

შემდგენელი

**პროფ. შიხილ ჩიქოვანი და ვასლან მაცაბერიძე
წინასიტყვაობა, შენიშვნები და რედაქცია შიხილ ჩიქოვანისა**

პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომების გამო

ყველაზე ადრინდელი თარიღიანი ჩანაწერი პეტრე უმიკაშვილის არქივში 1859 წელს განეკუთვნება. პეტრეს მდიდარი კოლექცია თანდათან იქმნებოდა 1859—1904 წლებში. აქ ბევრი უთარილო ჩანაწერია, მათ შორის, ჩვენი აზრით, ისეთებიც მოიპოვება, რომლებიც 1859 წელზე ადრინდელი არის. არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ პ. უმიკაშვილის ფოლკლორული არქივი XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს იღებს სათავეს; მასში თავმოყრილია 50 წლის განმავლობაში შეკრებილი ყველა ფოლკლორული ყანრის ნიმუში. 1904 წლის შემდეგ უმიკაშვილისეულ არქივს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია და ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწია. 1904 წლიდან 1958 წლამდე, ე. ი. მთელი 54 წლის მანძილზე ეს დიდი საგანძური, როგორც ცნობილია, პეტრეს აღზრდილის პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილისა და მისი მემკვიდრეების ხელში იყოფებოდა. ჩვენ, ქართველი ფოლკლორისტები, მადლიერების გრძნობით ვიგონებთ ფილიპე გოგიჩაიშვილის ამაგს უმიკაშვილის მდიდარი არქივის შენახვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების საქმეში.

„ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომებში მოთავსებული ნიმუშები შინაარსისა და ყანრის მიხედვით მრავალფეროვანია. იგი დაყოფილია შემდეგ განყოფილებებად: 1. ჭადოსნური ზღაპრები, 2. ცხოველთა ზღაპრები, 3. თქმულებები და ლეგენდები. 4. საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, 5. მახვილსიტყვაობა, 6. მაგიური ტექსტები. ქვეყნდება აგრეთვე პ. უმიკაშვილის პირადი არქივიდან ამოკრებილი ლიტერატურული წერილები და ნარკვევები.

სიუჟეტური თვალსაზრისით, აქ თავმოყრილ მასალათაგან ბევრი ნაცნობია; იგი სხვადასხვა დროს ყოფილა ვარიანტის სახით გამოქვეყნებული როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესაში. ვერც ამირანის, ეთერის, ბეჟანის თქმულებები ჩიოთელება მხოლოდ უმიკაშვილის შემონამატად. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე უმიკაშვილისეული ყოველი ტექსტი შესაბამისი სიუჟეტის ისტორიაში თავის სიტყვას ამბობს, რადგან იგი ადრეა მოპოვებული და თან, შემდეგდროინდელ ჩანაწერებს ბევრი რამ აკლია წესჩვეულებრიობის, ხალხურობის, სისაყსის თვალსაზრისით.

ამიტომაც მსჯელობისათვის ავირჩევთ შედარებით ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებს და მათზე მივაპყრობთ მკითხველის გულისყურს. პირველ ყოვლისა,

მხედველობაში გვაქვს ზღაპარი „თავისი მიწა-წყალი მოითხოვს“ და თუშური გადმოცემა „ნამდვილი შემთხვევა დიკლოში“, რაც მხოლოდ უმბიკაშვილის არქივმა შემოგვინახა.



მოთხრობა, რომელსაც უმბიკაშვილის კოლექციის მიხედვით ეწოდება „თავისი მიწა-წყალი მოითხოვს“, ხოლო ჩვენ „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის ამბავი“ შეეარქვით, თავისი შინაარსითა და ილუზურ-ფილოსოფიური დატვირთულობით ღიღინიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ზღაპრის დასასრული არაა ოპტიმისტური; გმირი საწადელს ვერ აღწევს. მიუხედავად ამისა, ზოგადი თვალსაზრისით, ნაწარმოებს პესიმისტურად მაინც ვერ მივიჩნევთ, რადგან ცხოვრების ამაოებათა წინაშე გმირი კედს არ იხრის. ხალხის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ნაწარმოებში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული და ორიგინალურ ქართულ შედევრთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომლის მნიშვნელობა შეუძლებელია შეფასდეს ერთი ქვეყნის მასშტაბით.

უკვდავების მაძიებლის თავგადასავალი კლასიკური ფორმით დამუშავებულ იქნა ჭერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ, ძველ შუამდინარეთში, გილგამეშის ეპოსის სახით. ესაა პირველი ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა თემამ მხატვრული ასახვა პოვა. მეორე ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოები არის „სიბრძნე ბალავარისა“, რომელსაც აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალავარისა და იოდასაფის ცხოვრებაში უკვდავების მაძიებლობა ეპიზოდურად არის მოცემული, მაგრამ ამ ძეგლს მაინც მნიშვნელოვან ადგილს ეუთმობთ, რადგან მისი ერთ-ერთი პოპულარული ვერსია საქართველოში დამუშავდა IX—X საუკუნეების მიჯნაზე და ჩვენი დაკვირვების საგანიც ამ სამყაროს განეკუთვნება.

რა მდგომარეობაა ზეპირ ლიტერატურაში? აქაც უკვდავების ანუ უსიკვდილო ქვეყნის მაძიებლის სიუჟეტი საკმაოდ არის გავრცელებული. სანიმუშოდ რამდენიმე ძირითად ვერსიას დავასახელებთ: 1. იპონური ხალხური მოთხრობა — „ურასიმა ტარო“, 2. ქართული — „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი“, 3. უნგრული — „უკვდავების მაძიებელი“, 4. იტალიური — „ერთი ღამე სამოთხეში“, 5. რუსული ლეგენდები — „სამოთხის ჩიტი“ და „სტუმრად მიცვალბულთან“. ნაწილობრივ სიუჟეტი ფიქსირებულია საერთაშორისო საძიებელში: A-A 470, 471 (ნ. ანდრევი, ზღაპრულ სიუჟეტთა საძიებელი, რუს., 1929).

უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის სიუჟეტს ქართულ ფოლკლორში ოცამდე ვარიანტი მოეპოვება, რომელთაგან ერთი, უმბიკაშვილის არქივის მონაცემების მიხედვით, 1878 წელსაა ჩაწერილი. სულ უახლოესი 6 ჩანაწერი მოპოვებულ იქნა 1961-62 წლებში, საველე-საექსპედიციო მუშაობის დროს. უკვდავების მაძიებლის ქართული ზღაპრის თარგმანები სხვადასხვა დროს იყო დაბეჭდილი რუსულ (გატცუკი), ფრანგულ (დე ბაი) და ინგლისურ (კარინგტონი) ენებზე. გამოირკვა, რომ მცირე იგავის სახით იგივე სიუჟეტი შესულია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „წიგნი სიბრძნე-სიკრუისა“ („ობოლი და მისი დედა“).

ნაწარმოების ძირითადი კონცეფცია შენარჩუნებულია XIX — XX სს ჩანა-

წერებში, მაგრამ ძველისაგან განსხვავებით აქ ხაზგასმულია „წუთისოფლის“ ამოღება: გმირი მიუსაფარი გარდაიცვალა, „გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა“. (თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი „მიწა თავისას მოითხოვს“). ობოლი გლეხისშვილი დამაფიქრებლად მსჯელობს: „მე არ მითხოვნია ღმერთისათვის, გამაჩინეო, და რაკი გამაჩინა, რათლა უნდა მომკლას... ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არის“. ყველა დასახელებული აღმოსავლური სიუჟეტისგან განსხვავებით, ძირითადი ქართული ვერსიის მიხედვით, ხალხი ფიქრობს, თუმცა მიწა თავისას მოითხოვს, მარადიულობის მიღწევა მაინც შესაძლებელია მშვენიერების, სილამაზის მეოხებით. მშვენიერებას აქ განასახიერებს ქალი, რომელიც კაბუქს აშკარად უმელავენებს ცხოვრების უღმობელ კანონს. „მე ტურფა შევია და არც როდის დაებერდები, მუდამ ესე ვიქნები და არც მოკვდები. შენ აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგიტხოვს“. მშვენიერი ასულის მოწოდება, ჩემთან დარჩიო, ვაჟს მიწიერ სიყვარულს მოაგონებს, რასაც ის, თავის მიზანთან შედარებით, აბრაოზად მიიჩნევს: „მე შენთან კი არ წამოკისულვარ, იმისათვის წამოველ, რომ ისეთი ადგილი ვიპოვნო, სადაც სიკვდილი არ არისო“ („მიწა თავისას მოითხოვს“). დასახელებულ არაქართულ ვერსიებსა და ნაწარმოებებში მარადიული მშვენიერების ამგვარ გაგებას ვერსად ვპოულობთ. როგორც XVII საუკუნის, ისე უმეცაშვილისიველ ჩანაწერში ნაჩვენებია ქალთა სახელმწიფო, აგრეთვე ბოლო დროს ფიქსირებულ ვარიანტებში დახატული მბრწყინავი „სალი მინის სახლი“ — ხალხის სოციალურ-უტოპიურ წარმოდგენათა გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. დამახასიათებელია, რომ ქართველი კაბუქი უკედავენას ეძიებს დედამიწაზე, არ მიმართავს სულებსა და ქადოსნურ სამყაროს. ამით ის არსებითად განსხვავდება სხვა ეროვნული ვერსიებისაგან. მეთევზე ურასიმა ტარო მადლიერი კუს მეშვეობით, დრაკონის სასახლეში, ზღვის ფსკერზე, 700 წელს დაპოფს... იტალიური ზღაპრის გმირი გარდაცვლილი მეგობრის მეშვეობით სამოთხეს ესტუმრება, სადაც 300 წელს გაატარებს... რუსული ქრისტიანული ლეგენდის თანახმად, გლეხის ბიჭი სამასი წელი, ვით სამი წამი, უცხო ბაღში — სამოთხეში ნეტარებად... უნგრულ გადმოცემაში კი ყოველ საფეხურზე გვხვდება ქადოსნური თვისების საგნები (ბეჭედი, ოქროს რტოები, ყუთი, წყლიანი ბოთლი) და „უკედავენებისა და სიცოცხლის დედოფალი“ უფრო ბუმბერაზ ამორძალს ჰგავს, ვიდრე ამაღლებული მშვენიერების განსახიერებას. უკედავენის მამიებელი კაბუქის რეალისტრად გადმოცემული თავგადასავალი, პერიპეტეიები უფლებას გვაძლევს გავიხსენოთ ინგლისელი მთარგმნელის ბელ კოლბი კარინგტონის სიტყვები, ამ თემასთან დაკავშირებით: „მკითხველს სიამოვნებით ეუზიარებ საქართველოს — ოქროს ვერძის ქვეყნის — ამ ლეგენდას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჩერ კიდევ ქრისტიანობამდე, და მთქმელები მას ღღესაც მოუთხორობენ კავკასიის მთებსა და თბილისის განათლებულთა სახლებში. იგი წარმოადგენს ფილოსოფიას ძველი ერისას... ჩვენი რასის ამ აყენისა, ქრისტიანობის ბურჯისა საუკუნეთა მანძილზე ურწმუნოთა თავდამსხმელი ურდოების წინააღმდეგ, ერთადერთი ქვეყნისა, რომლის შვილებს ნება ჰქონდათ გაშლილი ბაიარლებით შესულიყვენ იერუსალიმს“.

უკედავენის მამიებლის ფოლკლორული სიუჟეტი, ჩვენი აზრით, უფრო აღრინდელია, ვიდრე ის ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც მის მხატვრულ

უკუფენას წარმოადგენენ. ვიდრე სუმერულ-აქადურ ეპოსს შეეცხებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ ბალავარისა და იოდასათის ცხოვრებას, რომლის ერთი შესანიშნავი მაღალმხატვრული ვერსია IX — X საუკუნეებში დამუშავდა ქართულ ენაზე; იგი გვაცნობს ქრისტიანობის გავრცელებას ინდოეთში და თავისი ძირებით ბუდას თქმულებას ემყარება.

ჩვენს ფოლკლორულ ჩანაწერში მეტ-ნაკლები მსგავსება შეინიშნება ქართულად დამუშავებულ ბალავარიანთან შედარებით. აღნიშნოთ ზოგიერთი მათგანი.

1. გმირთა შთამომავლობის ორი ხაზი ვითარდება ხალხურსა და ლიტერატურულ ვერსიებში. ერთ შემთხვევაში უკვდავების მაძიებელი ხელმწიფის შვილია (XVII ს. ჩანაწერი; 1878 წ. უმიკაშვილისეული ჩანაწერი; 1897 წ. „აკაკაში“ გამოქვეყნებული როსტომელას თქმულება; 1950 წელს სოფ. შილდაში მოპოვებული ვარიანტი). ამგვარ გენეალოგიას მხარს უჭერს „ბალავარიანის“ როგორც ვრცელი, ისე მოკლე რედაქციები. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე დაფიქრებული იოდასათიც ინდოეთსა სახელოვანი მეფის შვილია. მეორე ჯგუფის, უფრო დემოკრატიული ხასიათის, ვარიანტებში უსასაფლო ქვეყანას ქერივი ღედაკაის შვილი დაეძვბა (1890 წლის რაზიკაშვილისეული და კელენჭერიძის ჩანაწერები). გმირის ამგვარ წარმოშობას იცნობს ორბელიანის იგაიცი. მაშასადამე, სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოები და იტალიაში, ნეაპოლის ბაბლიოთეკაში დაცული ქართული ზღაპრების კრებული ადასტურებენ, რომ საძიებელი სიუჟეტი XVII საუკუნის საქართველოში ვარიანტების სახით იყო გავრცელებული. მთავარი პერსონაჟიც სხვადასხვა შთამომავლობისად ითვლება. თუ ბალავარიანის მონაცემებს მივიღებთ მხედველობაში და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხალხურ მოთხრობაში ქარბად არის მოცემული ქრისტიანობამდელი წარმართობის ელემენტები, მაშინ შეიძლება ვაღიაროთ, რომ პერსონაჟთა წარმოშობის არაერთგვარობა ახალი მოვლენა როდია; თანაც იგი საშუალო საუკუნეების შემდეგდროინდელ დემოკრატიულ იდეებსაც არ უნდა ასახავდეს.

2. როგორც ფოლკლორულ, ისევე ლიტერატურულ ნაწარმოებებში უკვდავების მაძიებლობას სიკვდილის შიში იწვევს. ბერნადე ნეაპოლელისეულ XVII ს. ხელნაწერებში ბირდაპირ იკითხება: „სიკუდილს გადმოხვეწილნი ვართო და სიკუდილსა ვემაღლებითო“. 90-იანი წლების ჩანაწერებშიც სიკვდილისაგან გამოქცევაზე ლაპარაკი. ამასვე განიცდის იოდასათი შოლაიტელთა მეფის ძე. „მე აწ თანამაც სიკუდილი?... აბა შენ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა“. „მაშინ შეძრწუნდა ძე იგი მეფისაჲ, აღდულნა გული მისი, ტიროდა“. იოდასათის შიში და ძრწოლა მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც ზანდან აღმზრდელისაგან მოისმინა: „ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელნიმე ოდეს იშვნენ, მაშინვე წარიტაკებს სიკუდილი, და რომელთამე—მკირედ რაჲ აღიზარდნენ და ზოგთაჲ — ჰასაკსა რაჲ მოვიდენ“ (ჩვენის საუნჯე, 1, გვ. 238).

3. ადამიანის წარმავალი ბუნების შეცნობისთანავე სახალხო გმირი კითხულობს: რა არის სიკვდილი და შეიძლება თუ არა მისი აცილება? ხალხურ ნაწარმოებშია: „დედაჲ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო. დედაჲ უთხრა: მოკვდა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ იმასთან, სიკვდილს ვერავინ გადაუვრჩებიოო, ყველა მიწად ვიქცევიო, დაეხოცებითო“ („მიწა თავისას მოითხოვს“). დაკვირვებამ კმაწვილს დაანახვა, რომ სიკვდილი საყოველთაოა. შეკითხვაზე ყველასგან

ერთი პასუხი ეწმრდა, — „არისო“. დაღონდა ვაეი, ადგილი არ იყო, რომ სიკედლი არ ყოფილიყო. XVII საუკუნე. მეზღაპრესთანაც ხელშეწყობის შვილი თავგამოდებით ეძიებს, „სიკედლი რასა ჰქვიანო“. ამასვე ეხედებით ბალავარიანშიც. მოკლე რედაქციაში, რომლის ჩამოყალიბებას მეცნიერები XI საუკუნეზე გვიან აღარ ვიარაუდობენ, ნათქვამია: „რქუა იოდასათ: რაჲ არს სიკედლიო?“ დასკვნა აქაც უარყოფითი და საყოველთაოა. ზანდანი კატეგორიულად ეუბნება ადამიანის უძლეურობით შეუფოთებულ იოდასათს: „არა არს ცასა ქუეშე ეგვეთარი ქუეყანაჲ ძეო მეფისაო, რომელსა შინა განერნენ კაცი საღმობათა და სიკედლისაგან“.

ამგვარად, ფოლკლორული გადმოცემა სიკედლის ბუნების განსაზღვრაში არ უნდა იყოს დამოკიდებული ბალავარიანზე.

4. კიდევ ერთი მსგავსება ვლინდება ბავშვის აღზრდაში. ქვეყნის ამოებათა ასაცილებლად ორივეგან ბავშვები განმარტოებით იზრდებიან, მიუვალ ციხე-ქალაქებში.

ორივე ნაწარმოებში გარემოსაგან მოზარდის მოწყვეტის ცდა მარცხით მთავრდება. ცხოვრებამ შეაღწია ციხე-ქალაქში და მომავალ გმირებს თვალი აუხილა. აღზრდის ამგვარი წესის გამოყენება საერთოდ გავრცელებული მოვლენაა ფოლკლორსა და ლიტერატურაში. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბალავარიანი აქტრადიციას უფრო ემყარება, ვიდრე პირიქით („ბალავარიანი და ქართული ფოლკლორი“, „მნათობი“, № 7, 1959 წ., გვ. 178).

როგორც ეხედავთ, ხალხურ გადმოცემებსა და ქართულ მწიგნობრულ ძეგლს შორის თვალსაჩინო შეხვედრები არსებობს. მსგავსება უმთავრესად დასტურდება მოტივების მხრივ, სიუჟეტური მიმდინარეობა კი აშკარად სხვადასხვაგვარია. უკვდავების მაძიებელი როსტომელასა და იოდასათის თავგადასავალი ერთმანეთს ჰგავს მხოლოდ ყმაწვილობის პერიოდში, ვიდრე გმირები ქვეყნის მოხილვას დაიწყებდნენ; მაგრამ როგორც კი ისინი პირველ სამყოფელს მოსცილდებიან, მათ შორის შეხვედრის წერტილები ქრება და ამზის განვითარება სხვადასხვა გზით მიემართება. ქართველი მთქმელებისაგან შექმნილი მხატვრული სახე უსიკედლო ქვლეჩის პოვნის იდეას ემსახურება ყოველგვარი რელიგიური გატაცების გარეშე; ბალავარიანის იოდასათი კი პირიქით, ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელი ხდება. ამდენად, ლიტერატურული ნაწარმოების იდეური ზეგავლენა ხალხურზე გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. პრობლემა უფრო სხვა მიმართულებას იღებს.

1959 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ამის თაობაზე ვერძღობთ: „ქართული ძეგლის გულდასამით გასინჯვა და ფოლკლორულ ტრადიციასთან შედარება კითხვას წამოჭრის: ხომ არ უსწრებდა მწიგნობრულ ბალავარიანს მისი, ასე ვთქვათ, არალიტერატურული საფეხური? ამას გვაფიქრებინებს ნაწარმოების საერთო სტილი, მასში შესული ლიტერატურულად თუ ფოლკლორულად გავრცელებული თქმულებები, იგაეები, ანდაზები და სიუჟეტები, რომელთა სპეციალური განხილვა მომავალი დაკვირვების საგანს წარმოადგენს“. ზემოთ ნაჩვენები შედარებანი, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ასეთი წინასაფეხურის არსებობა რეალობად ჩავთვალოთ და „სიბრძნე ბალავარისას“ ჩამოყალიბებაში ხალხურ შემოქმედებას თავისი წილი დავეთმოთ.

ახლა უფრო შორს წავიდეთ, ისტორიის სიღრმეში, და მივმართოთ იმ ნაწარმოებს, რომელშიც მკვეთრ ფორმებში პირველად ვლინდება უკვდავების ძიებისა

და ადამიანურ სისუსტეთა დაძლევის იდეა. ეს გახლავთ გილგამეშის ეპოსი, მსოფლიო კულტურის ეს უბრწყინვალესი ძეგლი არა მხოლოდ სიძველის, არამედ იდეურ-შინაარსობრივი და პოეტური თვალსაზრისითაც. ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა წარმოშობისა და ეპოქის ნაწარმოებებს: ერთი მხრივ, ჩვენს წელთაღრიცხვაზე ორთ ათას წელზე მეტი ხნის მწიგნობრულ ძეგლს, მეორე მხრივ კი — XVII, XIX და XX საუკუნეებში ჩაწერილ ზეპირ მოთხრობებს! შეიძლება თუ არა დროის მიხედვით ასე დაცილებული თხზულებების შეპირისპირება? მიუხედავად დიდი ფილოლოგიური დაბრკოლებისა, ამნაირი შედარება მაინც დასაშვებად მიგვაჩნია. კავკასიური პრომეთეს — ქართველთა ამირანის კვლევის სფეროში ამ მეთოდმა გააპართლა.

რას გვაძლევს უძველესი სუმერულ-აქადური და გვიან ჩაწერილი ეპიკური ძეგლების შედარება?

1. თავზარდამცემი გავლენა მოახდინა მეგობრის სიკვდილმა გილგამეშზე. შეფე ბუმბერაზმა დაქარგა სულის სიმშვიდე და ველად გაქრა გადაწყვიტა:

მე თვით შენს შემდგომად ტანს აღარ განებან.

ლომის ტყავს ჩაეცვამ, ველად გავიქრები.

(VIII დაფა).

გილგამეშმა აღთქმა შეასრულა:

სიკვდილს შევეუშინდი, ველად ვეხეტები,

მაშძიმებს ძმობილის ამბავი!

(X დაფა, ზ. კიკნაძის თარგმანი).

იტალიური ზღაპრის მიხედვითაც, სიკვდილმა განუყრელი მეგობრები ერთმანეთს დააცილა. ეპი ვერ შეგუებია ამხანაგის დაქარგვას და მუდამ მასზე ფიქრობს — ქორწილშიაც მიიწვევს ცივ სამარეში მწოლარეს. გილგამეშისებური გოდება და იდეათა სამსახურის გამო უზრუნველ ცხოვრებაზე ხელის აღება უფრო მკაფიოდ ქართულ თქმულებაში იგრძნობა. ხელმწიფის შეილმა ისეთი ქვეყნის აღმოჩენა გადაწყვიტა, სადაც ადამიანი უკვდავი იქნება. როსტომელა უარს ამბობს სასახლეზე, საყვარელ დედაზე და სიკვდილს გაურბის. ღარიბი გლეხისშვილიც დიდად არის შეძრწუნებული მამის სიკვდილის უსამართლობით და უტოპიურ ქვეყანას დაეძებს. იმერული გადმოცემითაც, ჭაბუკს „ჩაუვარდა გულში ეს სიკვდილი. ეშინოდა იმისი და სულ იმას ფიქრობდა, სად მოეძებნო ისეთი ალაგი, რომ სიკვდილი არ იქნესო“. ჩანს, სიკვდილის აჩრდილი ერთნაირად აღელვებს ყველას, სად და რა პირობებშიაც არ უნდა ცხოვრობდეს ის.

2. უკვდავების მაძიებლის ბედი თითქოს წინასწარაა განსაზღვრული; იდეალი მიუწვდომელია. უიმედო სიტყვები ესმის გმირს ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ იგი მაინც არ ღრკება.

ბაბილონელთა გმირს დამარცხებას უწინასწარმეტყველებს შამაში:

გილგამეშ, რად დაეხეტები?

სიცოცხლეს რომ ეძებ, ვერ მოიპოვებ! (IX დაფა).

უფრო დეტალურად ამას სიღური აუწყებს. სიკვდილი — რეალური ცხოვ-

რების წარმავლობა — უბრალო ხედარი კი არაა, არამედ იმთავითვე დაწესებულა და მოკვდავს არ ძალუქს მისი დაძლევა.

ეს სიტყვები მოგვაგონებს ქართველი დედის დარიგებას, რომლითაც ის ცდილობს პირშშოს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. ხალხურმა გმირმა წინასწარ იცის, რომ სიკვდილი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული, იგი უღმობელია და განუკითხავი. მიუხედავად ამისა, გლეხის ბიჭი გილგამეშვიით შეუპოვარია და საოცნებო ქვეყნისკენ მიიღტვის. ქართულ პოეზიაში შემუშავებულია წუთისოფლის აფორისტული დახასიათება, სადაც ღრმა მოაზროვნის თვალითაა დანახული სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული კიდილი:

წუთისოფელი რა არი? — აგორებული ქვა არი,
რა წამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი.

მასსადამე, როგორც გილგამეშმა, ისე მისმა ორეულეებმა იციან, რომ მათი ნარ-ეკლიანი გზით სვლა ერთხელ დაწესებული ცხოვრების საპირისპირო დინებას ნიშნავს, მაგრამ ისინი მაინც იბრძვიან, რათა აღმოაჩინონ მარადიული სიცოცხლის ქვეყანა.

3. გილგამეშის თქმულებაში, ეპიკური სტილის შესაბამისად, ვრცელადაა ნაჩვენები მოგზაურობის სიძნელეები: მორიელ-კაცებიდან დაწყებული ვიდრე სიკვდილის ზღვებამდე. ხალხურ თქმულებაში უკვდავების ქვეყნის ძიება დიდი დაბრკოლებების გადალახვას უკავშირდება; უფლისწულს თანამგზავრნი ამოუწყდნენ, იგი მარტო დაეხეტება უკაცრიელ ხეებში. სიღურის და ურ-ნაშობის მაუწყებლობის ფუნქციას ზეპირ გადმოცემაში ირემი, ყვავი, თეთრი ქორი თუ სხვა არსებანი ასრულებენ.

4. უკვდავება გილგამეშს უთანაფიშთის სახით წარმოუდგენია. ეს უკანასკნელი ერთ დროს უბრალო მოკვდავი იყო და ღმერთმა სასუფეველის ღირსი გახადა. აქაც, ქართულ გადმოცემაშიც, უკვდავება ადამიანურ ფორმაში წარმოუდგება უფლისწულსა თუ გლეხის შვილს. ქართულში არ ჩანს, ღვთაება თუ არის ტურფა ასული; იგი უცხო კოშკში ცხოვრობს და სიკვამულის მომნიჭებელი ვაშლისხის მფლობელია.

5. როგორც გილგამეშმა, ისე მისმა ორეულეებმა ძლივს მიაღწიეს საოცნებო მხარეს, იპოვეს მარად ცოცხალი ადამიანები, მაგრამ მათი სურვილი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ იქ დარჩებიან და სამშობლოს უარყოფენ. ამგვარ პირობაზე არც ერთი გმირი არ თანხმდება. გილგამეშმა რამდენიმე დღე ძილში გაატარა, რისტომელა და მისი ბროლები კი მშვენიერი ასულის ახლოს ჰკარგავენ დროის შეგრძნებას, ასეული წლები წუთებად ეჩვენებათ. მაგრამ დაბრუნება მაინც გარდაუვალია. უძლეველია სამშობლოს ძახილი. ეს მოტივი ხალხურ გადმოცემებში უფრო რელიეფურად მოჩანს, ვიდრე სუმერულ-აქადურ ძეგლში.

6. გილგამეშმა საწადელს მიაღწია: უთანაფიშთმა საჩუქრად უძღვნა მარადიული სიყმაწვილის ყვავილი.

ქართულ გადმოცემაში სიკვამულის მომგვრელია არა საიდუმლო ბალახი ან ყვავილი, არამედ ვაშლისხე, მისი ნაყოფი, რომელსაც მზეთუნახავი სამშობლოში დაბრუნებისას ვაჟს თან გამოატანს. ჭადოსნური საგნების გამოყენება გავრცელებული მოვლენაა საერთოდ ზეპირსიტყვიერებაში. ეტყობა მას ძველი ბაბილონელ-

ნიც კარგად იცნობდნენ. ქართული ვერსიის ვაშლი საპირისპირო თვისებების მქონეა; ზოგჯერ იგი აახალგაზრდავებს ადამიანს, ზოგჯერ აბერებს, ზოგჯერ კი სიცოცხლეს უბრუნებს.

7. დასასრულ, კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარე. სუმერულ-აქადურ ეპოსში სულეთზე ისეთივე წარმოდგენაა შექმნილი, როგორც დღემდე გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაში „შავეთის“ სახელწოდებით. ამგვარადვე უნდა ითქვას მრავალშვილიანობის მოტივის გამო, მაგრამ მათზე სიტყვას აღარ გვავარძელებთ, რადგან უკვდავების მაძიებლის სიუჟეტის სტრუქტურას სცილდება.

ამრიგად, გამოირკვა, რომ გილგამეშის თავგადასავალს პარალელები — ორეულეები ეძებნება ზეპირსიტყვიერებაში, კერძოდ, ქართულ ფოლკლორში. დადგინდა ისიც, რომ უკვდავების მაძიებელი ქაბუკის სიუჟეტი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფოლკლორსა და ლიტერატურაში¹. ასეთ დასკვნას ხელი შეუწყო იმ ჩანაწერის შესწავლამ, რომელიც პ. უმიკაშვილის არქივში აღმოჩნდა და აქვე ქვეყნდება.

• • •

მხატვრულ შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ისეთ მოტივებს, რომელთა დაჭერბა გვიძნელდება. ამგვარ გასაოცარ შემთხვევებს ადამიანი ფანტაზიის სფეროში გადაჰყავს და რეალურ გარემოს აცილებს. ჩვეულებრივ, ისინი მხატვრული წარმოსახვის საშუალებებად გვეჩვენება და ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხალხის წარსულთან მსგავს ეპიზოდებს. ერთ ამგვარ ამაღლევებელ მოტივს წარმოადგენს საკუთარი ცოლ-შვილის დახოცვა და თვითგანწირვის მიზნით მტრის რაზმში ხმალამოწყდილი შექრა. გმირის ასეთ საკვირველ თავგადასავალს კარგად იცნობს ქართული მწერლობა და ზეპირსიტყვიერება. სწორედ ეს ამაღლევებელი იდეა შეადგენს პ. უმიკაშვილის არქივში დაცული ერთი თქმულების სულსა და გულს.

ჩვენს ლიტერატურაში კლასიკური სახით ეს მოტივი ვაჟა-ფშაველამ შემოიტანა. 1899 წელს² დაწერილ ბალადაში „ბაკური“ კვითხულობთ:

ცეცხლად გადიქა ბაკური,
მარტო ოხვრად და კენესადა...
გული ჰქცევიო ტალადა,
თვალეები უჩანს კენესადა.

¹ ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც უკვდავების მაძიებელი ქაბუკის თავგადასავალს შეეხება, ჩვენ მიერ წაკითხული იყო მოხსენების სახით 1964 წლის 6 იანვარს ორიენტალისტების XXVI საერთაშორისო კონგრესზე ქალაქ დელიში (ინდოეთი): M. Y. Chikovani. The theme of a youth seeking immortality in Ancient Folklore and Literature. M., 1963.

² უფრო ადრინდელი ცდები ეკუთვნით: ი. ცისკაროვს („დიკლო და შენაქო“, „კავკაზი“, 1846, № 27), ივ. ბუქურაულს („ზურაბის კოშკი“, „ივერია“, 1897, № 112), ბ. ბორჯაძეს („დიკლო-შენაქო“, „ივერია“, 1891, № 80) და სხვ.

„ვამ, დედას მტრისასი“ — ესა სთქვა,
ხელი გაივლო ხმალზედა;
„ისევ მე დაგზოცო“, — და ცოლ-შვილის
თავები დასკრა წაშზედა.

უფრო ძველ ხალხურ ლექსში მთქმელი გაოცებით ამბობს:

მიქელმა, ზურაბის ძემა,
რა საქმე მოახდინაო:
თვითონ დახოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაიხდინაო.

ანდა:

მიქელი, სურას გაზრდილი,
რად არვინ დაიჭირაო?
ქალნი დახოცა თავისნი,
სულეთი წაიხდინაო.

თვითთული ეს ლექსი პატრიოტული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშია. ვაჟ-
უშაველას „ბაკური“ თავისი ამალღებული იდეალითა და შინაგანი პათოსით
აქარბებს ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო მნიშვნელობის მარგალიტად
გვევლინება.

უმავალითო თავგანწირვა და საკუთარი ცოლ-შვილის ამოწყვეტა პოეტური
წარმოსახვის მწვერვალს წარმოადგენს. გმირს არ შეუძლია მტერს საჩიჯგნად
ზელში ჩაუგდოს ცოლ-შვილი, დედა, და, ნათესაეები; ქალაბიე სიკედილს ამჟო-
ბინებს ტყვეობას.

რა არის ეს, ფანტაზია თუ სინამდვილე? ერთი შეხედვით, ამგვარ ტრაგიკულ
გადაწყვეტილებამდე მხოლოდ ხელოვანის მიერ იდეალურად დასახული გმირი
შეიძლება მივიდეს; მას უფრო შეუფერის სიკედილის წინაშე ქედუხრელობა.

მაგრამ თუ ქართველი ხალხის წარსულს გადავხედავთ, გამოირკვევა, რომ
გამოგონილი აქ არაფერია, ყოველივე სიმართლეს შეიცავს.

პირველ ყოვლისა, ხალხურ ლექსებს და თქმულებებს მივმართოთ. რა შემთხ-
ვევა იქცა ამ უჩვეულო გმირობის მიზეზად? მკვლევარის განკარგულებაში
ამჟამად 20-მდე ფოლკლორული ჩანაწერია, რომლებიც სხვადასხვა დროს იქნა
შოპოვებული. ვარიანტების შეკრებაში მონაწილეობდნენ: ი. ცისკარიშვილი,
შხხილ ჟორჯაძე, პეტრე უმიკაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, თ. რაზიკაშვილი, ი. ბუქუ-
რაული, დ. როსტომაშვილი, დ. ალბანელი, ბაჩანა, ვ. ტუქსიშვილი, ე. ბალიაური,
გელოვანი, ბ. გაბური, ბ. ლიქოკელი, ს. მაკალათია, თ. უთურგაიძე, ი. ლონგი-
შვილი და სხვ. თავიდანვე შეიძლება განვაცხადოთ, რომ ცოლ-შვილის დახოცვის
მორტიის შემკველ ფოლკლორულ ნაწარმოებებს სინამდვილე უდევს სარჩულად.
1897 წელს, „ივერიაში“ (№ 112) გამოქვეყნებულ ნარკვევში — „ზურაბის კოშკი“,
აღწერს რა პელოზე ლეკების თავდასხმას, ი. ბუქურაული ხალხური ლექსის
ნაწყვეტს იმოწმებს: „მიქელმა, ზურაბის ძემა, რა საქმე მოახდინაო“... ავტორი
ამართლებს მიქელის მოქმედებას: „ღღენიმცა ერგოს ეგეთი, ვინე მიქელს გაუ-

ცინაო... ერთი წლის შემდეგ „ივერიაში“ (№ 217) ბაჩანა წერს: ეს ამბავი პელოშო მოხდა. მტრის შემოსევის დროს მიქელს ჟერ თავისი ქალიშვილები დაუხოცავს და თვითონაც უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულაო. ამ შესანიშნავი ლექსის გამომქმელები და მკვლევარები — აკადემიკოსი აკ. შანიძე, პროფ. ს. მაკალათია, ფოლკლორისტიები გ. კალანდაძე, აბ. ცანავა და გ. ბარნოვი ადასტურებენ აღწერილი შემთხვევის სინამდვილეს, რომელსაც მთა-თუშეთის სოფელ პელოში მომხდარ ამბად მიიჩნევენ¹. წინა მკვლევარებს ხელთ არ ჰქონიათ ის საინტერესო. გადმოცემები, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი დიდოელთა თავდასხმის დროს ორი მოსახლერე სოფლის, დიკლო-შენაქოს აკლება და თუშთა თავგანწირული ომი. სწორედ ასეთი ისტორიული ჩანაწერი აღმოჩნდა პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში, რომელიც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში ინახება სათაურით „ნამდვილი ანუ მართალი შემთხვევა“ (№ 4129). თუშის ნაამბობის მიხედვით, გადმოცემა, დაახლოებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში, ვრცლად ჩაუწერია მინგილ ჯორჯაძეს, მწერალ ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის ვაჟს. მეორე პროზაული გადმოცემა მოპოვებულია დიპლემატოლოგ თ. უთურგაიძის მიერ და გამოქვეყნებულიც არის მისსავე ნაშრომში „თუშური კილო“ (1960 წ.). სამწუხაროდ, ჩაწერის ადგილი და მოქმელის ვინაობა არც ერთ შემთხვევაში არაა მითითებული.

როგორც მკვლევარნი შენიშნავენ, ცოლ-შვილის ამოწყვეტის მოტივის შემცველი ხალხური ლექსების უმრავლესობა პელოს ირგვლივ არის დაჯგუფებული და სამციხელების უთანასწორო ბრძოლას ეხება. აი ამ ლექსთა სათაურები: 1. „თავისი ქალების დახოცვა“; 2. „მიქელა“; 3. „ფშაველ-ხეესურთა მიშველება თუშეთში“; 4. „ელოს ატირდეს დედანი“; 5. „ელოს ატირდნენ ქალები“; 6. „ელოს ატირდეს დედანი: მტერმა ჩვენ შაგვაშინაო“; 7. „პელოში დედან ატირდნენ“; 8. „პელოს ატირდა დედანი“; 9. „სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შამაპხვიელაო“ (აკ. შანიძის კრებული „ხალხური პოეზია“. 1931); 10. „გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა პელოსა“ (ს. მაკალათია, „თუშეთი“); 11. ვაჟას „ბაკურისა“ და ხალხურ ნაწარმოებთა შერწყმულ-გადამუშავებული ვარიანტი „პელო“ (ჩაწერილი ი. ლონგიშვილის მიერ, 1961 წლის კახეთის ფოლკლორული ექსპედიციის დროს. მოქმ. შ. აზიკური, ზემო ალვანი, ფ. არქ. 322, გვ. 139). პელოს ციკლის ამოსავლი ერთი ლექსია, რომელსაც დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებანი განუცლია და ამჟამად ნაირფერად გამოიყურება. მთავარი გმირი მიქელაა (იგივე მიქე, მიქელა) ზურაბის ძე (იგივე სურას ან რუსას გაზრდილი, ზურაბის შვილი), გვარად ურაზიშვილი (ხალისძეთი). დასახელებული თერთმეტი ლექსიდან, სადაც კი ჟალაბის ამოწყვეტაზეა საუბარი, ყველას ერთნაირი პოეტური სახე შემოუნახავს, როსტომაშვილის ჩანაწერის მსგავსად:

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1, გვ. 389, 479, 483—85; ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 125—126; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, გვ. 148—150; ა. ცანავა, ვაჟას „ბაკურის“ ფოლკლორული წყაროები (ახალგაზრდა კომუნისტი, 22. VI. 1957 წ.); გ. ბარნოვი, ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხური წყაროებთ (1960 წ., გვ. 41—42).

მიქელმა ზურაბის ძემან,
რა საქმე მაიხდინაო:
დახოცა თავის ცოლ-შვილი,
სულეთიც წაიხდინაო.

დიკლოსა და შენაქოს ბედი ერთმანეთთან ოდითგანვე მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული. დაღესტნის მხრიდან ორივეს მკვიდრად ნაშენი ციხე-სიმაგრეები იცავდა. თუ მტერი საზღვარს გადაშლახავდა, ქვით ნაგები საცხოვრებელი სახლები და სოფლისშიდა გალაენიანი ციხეები გადადიოდნენ თავდაცვაზე. 1961 წლის აგვისტოში სამეცნიერო-ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს პირადად მოვიარეთ მთათუშეთი, გომეწარ-ალაზნის ხეობები, კერძოდ, დიკლო-შენაქოს თვალწარმტაცი უბნები. იქ ახლაც ამაყად ამართულა მტკიცე, უღულაბოდ ნაგები ციხე-კოშკები, ჩარდახიანი სახლები. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ უგზო-უკვლო მხარეში მკაცრი ზამთარი იცის და დიდი თოვლი მოდის, ადვილად მიხედვით, რა ძნელად დასაპყრობი იქნებოდა საქართველოს ეს განაპირა სოფლები. მტერი მუდამ ითვისაწინებდა ამ გარემოებას. თავდასხმებს ან მავინ აწყობდა, როცა მთაში მიმოსვლა ადვილი იყო, ან კიდევ იმ დროს, როცა თუშეთ-კახეთის გამყოფ მთებს თოვლი დაფარავდა და ბარიდან მავშველი ჯარის ამოსვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

„ნამდვილი შემთხვევა დიკლოში“, ე. ი. დიდოელი ლეკების შემოსევა, თქმულების მიხედვით, 1836 წლის 12 თებერვალს მოხდა, ივანე ცისკარიშვილის ცნობით 1838 წლის 1 თებერვალს („კავკაზი“, 1846, № 27), ჩვენი დაზუსტებით კი 1836 წლის 30 დეკემბერს, ახალწლის წინ, და 1837 წლის 29 იანვრამდე გაგრძელდა (შდრ. ლექსი „დიკლოს შამოვლენ ლეკები ახალ წელისა დღესა“, ზუქ., № 63). იმავე ამბავს ოფიციალური რელაციები 1837 წლის 4 იანვარს მომხდარ ამბად მიიჩნევენ (აქტები, VIII, 609).

დიკლო-შენაქოს ბრძოლის შესახებ მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვება როგორც ოფიციალური, ისე თავდაცვის მონაწილეთა მიერ შექმნილი: 1837 წლის 27 თებერვალს „ჩალმა თუშების მოხსენებაში“ სწორად არის ნათქვამი, რომ „თუშეთის კლიტე დიკლო და შენაქო იყო“. თავიანთ საჩივარში გლეხები ზუსტად მიუთითებენ საბედისწერო თარიღს, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ხალხის ხსოვნაში. „ოცდაათს დეკემბრის თვისასა (1836 წ.) შემოვიდა ჯარი ლეკოსა სოფელსა დიკლოსა და შენაქოსა“. ლეკების ეს შემოსევა საფუძვლად დაედო იმ თქმულებებსა და ლექსებს, რომელთა შესახებ ახლა ასე დაწერილებით ვმსჯელობთ.

ხალხური მგოსანი ჩვეული ოსტატობით იწყებს სიმღერას: „დიკლოს დაღევი ვინ სთქო, ან განრისხება ღვთისაო“ (ხალხ. სიტყვ., 1, თაყ. რედ., გვ. 86). ღიახ, მტრის შემოსევა ღვთის რისხვას მოასწავებდა; მომთაბარეთა შემოჭრა კერის მოშლასაც ნიშნავდა, რადგან ცოცხლად გადარჩენილ ქალსა და კაცს ტყვედ მიერეკებოდნენ ცხვირის ფარასთან და საქონლის ჯოგთან ერთად¹; სახლებს

¹ მარტო ორი სოფლის, დიკლოსა და შენაქოს 1837 წლის აკლებისას შეეობრებებმა გაანადგურეს 690 მსხვილფეხა საქონელი და 460 ცხვარი, გაიტაცეს 90 ცხენი და სხვა ქონება.

სწავდნენ, ციხეებს ანგრევდნენ, წისკვილებს არღვევდნენ, ამის გამო თუშები ყოველთვის შეიარაღებულნი იყვნენ. აქური საცხოვრებელი სახლი პირველ რიგში თავდასაცავად იყო განკუთვნილი: დატანებული ჰქონდა სათოფურები, ასაშლელი კიბეები და მაგარი ურდულები.

ამნაირი იყო დიკლო და შენაქო, ასე გამოიყურებოდა შრავალი სხვა დიდი და მცირე სოფელი მთათუშეთისა. ამის გამო დაუნდობელი მტერი ბრძოლას ციხეების აფეთქებით იწყებდა. „ვინა თქვა... გოციძის ციხის დაქცევა, შედგება ქანქანისაო?“ — კითხულობს მელექსე. ამ მეზობელ სოფლებს ერთი ბედი ჰქონიათ მუდამ: „დიკლო აიღეს, შენაქო, ოწალი ნავლად ქინან“, ანდა, მოძალადის „ხელშია დიკლო, შენაქო, ომალოს დარეკ ზარსაო“. შემამუთოთებელი სურათები წარმოგვიდგება თვალწინ ისეთ ფოლკლორულ ძეგლებში, როგორცაა ი. ბუქურაულის ჩაწერილი „დიკლოს მოვიდა დიდო“, „ჯარი იყრების დაღასტანს“, „შენაქოს მოვიდ დიდო“, „დიკლოს დაღვენა“, „დიკლო დაწვესა, შენაქო“, „ხუთშაბათს თენებისასა“ (ხალხ. სიტყვ., ბუქ., № 33, 60—63, 72); ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული: „დიკლოს აოხრება“ და მისი ვარიანტი „შენაქოს აკლება“ („თუშური ლექსები“, 1937 წ.); ე. კრელაშვილის მოპოვებული „დიკლოს მოიდა დიდო“ („თუშური პოეზია“, 1962 წ.); თ. უთურგაიძის ჩანაწერი „კუშკანდილაი“, „დიკლოს მოიდა დიდო, ღენგამ შეხყარა ჯარიო“ („თუშური კილო“, 1960 წ.); „შენაქოს მოვიდა ლექები“ (ფ. არქ., კ 22, გვ. 146; კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის (ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი) მასალები. (მთქმელი ლეო ბაიხოძე, ზ. ალვანი, ჩამწ. იოსებ ლონგიშვილი); „შენაქოს ციხე“ (მთქმ. საბა ითურიძე, იქვე), „ანას ნახტომი“ (იქვე), და სხვ. აშკარაა ამ ლექსების ურთიერთკავშირი. ამიტომაც ისინი ერთ რკალში, დიკლო-შენაქოს რკალში უნდა მოვაქციოთ.

დიკლო-შენაქოს რკალის ლექსების მხატვრული მწვერვალია ის ეპიზოდი, სადაც მგოსანი ცალ-ცალკე ჩამოთვლას რა გმართა ვაჟაკობას, იჩუას შესახებ ამბობს:

სულეთში ღეთისოს იჩუა
ჩივილით შემოდისაო:
ხანჯლით ღავხოცენ ცოლ-დანი,
სულეთს არ მამესვლებაო.

(ბუქ., № 61)

თუშური ლექსები და თქულებები ერთმანეთს ავსებენ და აზუსტებენ, ამალელებლად გადმოგვცემენ იმ საბედისწერო თარეშს, რომელიც ასეთი სიმძაფრითაა ნაჩვენები პროზასა და პოეზიაში.

შეუძლებელია ამ თქმულების დამშვიდებით მოსმენა. ჩვენ არ ვიცით, იცნობდა თუ არა მას ვაჟა-ფშაველა. სავარაუდოა, არ იცნობდა, თორემ ძნელი წარმოსადგენია „ბაკურის“ წერისას არ გადმოეცა ცოლ-შვილის დიალოგი.

ახალ ჩანაწერში ამ ამბავს „დიკლო-შენაქოს მოთხრაი“ ეწოდება (თუშური კილო, 1960 წ.). მტერს აუოხრებია ეს მშვენიერი სოფლები. უფრო მაინც დიკლო დაზარალებულა. ხალხის ხსოვნაში ასეთი ცნობა შემონახულა: „შენაქოს ერთი ციხე მაინც დამრჩალიყო, დიკლოს კატაიდ აღარ შეეწირ, ქალ-რძალი სუ გვერეცნ-

ნეს დიდოეთ¹. ბლოკადა დიდხანს გაგრძელებულა. ასალი ჩანაწერი მის ხანგრძლიობას 27 დღით განსაზღვრავს, პეტერბურგს წარგზავნილ მიმართვაში კი როზენი 29 დღეს ასახელებს.

პროზასა და ლექსში მოხსენებული პირები ჩვენ მთავარ გმირებად მიგვაჩნია. ესენი არიან: ლეთისია, შეთე, კახო, გიო, ბერა, ლეთისიას ცოლ-შვილი, სტუმარი აღდამი. ცოლ-შვილის დახოცვის მოტივი დიკლოელ ლეთისიას უკავშირდება. ლეთისია, იგივე ლეთისო, სხვადასხვა გვარით იხსენიება: თქმულეებში იგი გოჩო-შვილია ან იჩოშვილი, ხოლო ლექსებში — ბექურიძე¹, იჩუა, ან თისო ცოგიძე... სახელების სიჭრელე განსაკუთრებით ლექსებს ახასიათებს, რაც იმის შედეგია, რომ დიკლო-შენაქოს ხშირად ესხმოდნენ თავს და სხვადასხვა ბრძოლის მონაწილეთა სახელები მოგვიანებით ერთ ლექსში გაერთიანდა. ლეთისიას (ლეთისია, ლეთისო, თისო) თავგადასავალი გამოირჩევა და პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული. ეს ფსიქოლოგიურადაც გასაგებია. აკი მასთან დიდი აღამიანური ტრაგედიაა დაკავშირებული დედის, დისა და ცოლ-შვილის გაწირვა ამ უტეხი ეპიკაის უმძიმეს ხედვარზე მიუთითებს. დიკლოელთა მეთაურის ბეროს მოკვლას შექვევ ლექებს დაუკეხნიათ: „გმირი ბერო რა მოკვალით, მთლად ჩვენ დაგვრჩა სოფელიო“. მაშინ აღდამმა ცეცხლის აღში გახვია ციხენი.

ხეთისოი ბექურიძეი, მობრუნდა სათოფურთანა.
სათოფურებთან ცეცხლი სცემს, ველარ ომობდა ლექთანა.
მობრუნდა გულბრაზიანი: „ბერო, მეც მოვალ შენთანა!“
დაი მუხლთა მოესვია: „მამო, მომკალით თქვენთანა,
ვერ ვივლი საბუსრმანოში, ძმებო, თქვენს დამხოცებთანა“.
— დაო, მამეცა იქითა, შენ რაზე მოკლავ ჩემთანა?
შენ რომ მოკვლა, დაო ჩემო, როგორ წავიდე ღმერთთანა?
ახლა ცოლშაი დაიკივლა: „შენაც მომკალით თქვენთანა“.
თოფ-ხმალსა ხელი უტაცეს: „ორნივე დაგვხოცე ერთადა“.
იელა ხეთისოს ხანჯალმა, დაი დაეცა ძმასთანა...
იელა ხეთისოს ხანჯალმა, ცოლიც მიაგდო დასთანა, —
ახლა ლექმა თოფი დაჰკრა თისოს მარჯვენა ბექთანა...
(მაკალათია, „თუშეთი“, გვ. 41).

სიუჟეტურად ამის გაგრძელებას მოგვაგონებს უკვე ციტირებული ლექსი: „სულეთში ლეთისოს იჩუა ჩივილით შემოდისაო“. ლეთისია ნამდვილი ბუმბერაზია, დიკლოელთა სახელი და დიდება. ეტყობა, ცოლ-შვილის გაწირვის მოტივი დროთა ვითარებაში გადასხვაფერებულა და წაწილობრივ სიმძაფრეც დაუკარგავს. ეს იგრძნობა, მავალითად, ლექსში „დიკლოს დაღევა“, სადაც დის ტირილსა და ცოლის გაჯავრებაზეა საუბარი და არა მათ დახოცვაზე.

¹ ხეთისო ბექურიძედ იხსენება ეს გმირი ავტორმთქმელის ლექსში, რომელიც ახლახან მოვიპოვეთ და რომელიც 1934 წლით თარიღდება (ლიტ. მუზ., 2006-ბ, 4331). ნაწილობრივ იგი გამოქვეყნებულია პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომში „თუშეთი“.

ეუბნებოდა ბიჭებსა:
ტირილ მაწუხებს დისაო;
ცოლს ამას უჭაერდებოდა, —
რას მეფერები პირსაო,
ტყვია თუ გამითავდება,
ფარგულს აგაჭრი ლილსაო.

(ბუქ., № 63)

მეორე სოფელსაც — შენაქოსაც ჰყავს თავისი სახელოვანი გმირი, მასაც ზერო ჰქვია.

ბეროს ნახოცთა ლეკებსა დაღესტან გახკვირდისაო, —

ნათქვამია ერთ-ერთ ჩანაწერში (ბუქ., № 61). ეს ის ბერო გახლავთ, რომლის ცოლმა შენაქოელთაგან პირველმა შეიტყო მტრის შემოსევა და სოფელს აუწყა: „არიქათ, შენაქოელნო, ჭარ დაგეცათ, ციხეებში შექუჩრდითო“ (უთურგ., გვ. 80).

როგორც დიკლო-შენაქოს, ისე პელოს ბრძოლის ამსახველ ლექსებში მტრის მოხდომაზეა ლაპარაკი. ჩანს, აქ თავდასხმის გარკვეული ხერხი იგულისხმება. ესაა მოყვრულად მისვლა, ნაცნობ-მეგობრობის საფარით თავდასხმა.

დიკლო-შენაქოს ბრძოლაში ქალებიც აქტიურად მონაწილეობენ. მათი მამაცობა სახალხო მთქმელების დამსახურებულ ქებას იწვევს. ასე, მაგალითად, ამ დროს სოფელი ომალო დალაშქვრისგან საბედოსა და გიორგის გადაურჩენიათ.

ღმერთმან გაცხონოს, საბედო,
სულ იალღმთაც არიო.
მანდილი უკან გაიკრა,
წელს შემოირტყა ბმალიო,
გამეერა ლეკებსა —
ჩაღად დაყარა მკედარიო;
უშველებ წასნის გიორგი,
ლეკებს შაუკრა გზანიო;
არ შამაუშევს ომალოს,
დაბრუნდა დაღესტანიო.

(ბუქ., № 63)

ქალები ტყვეობაშიც არ ნებდებიან. ბევრი მათგანი მოწამებრივად დაიღუპა. კლდეზე გადაიჩეხა, ხოლო მტერს საჩიჯგნად არ ჩაუვარდა ხელში:

ქალაო, სულითამ სცხონდები,
ბაქი, შენ ხაჩიერისაო,
არ გადაჰყევი ლეკებსა,
ხელი არ იკადრ მტრისაო,
სულიმც იალად გექნება,
საც ქრისტე პურად ზისაო.

(უთურგ., გვ. 154).

სხვა ლექსში ქალის ფიქერგორის კლდეზე გადავარდნა გულისხმება:

ლექებს არ გააყოლიდი
შენი ლერწამი ტანიო.
გადავარდ, გადაიყოლე
ლეკის ნარჩევი უმანიო.

(თუშ. ლ., 19).

ტყვე ქალმა დიდოეთში ძვირად დაუსვა ვერაგ მტერს ღროვებითი წარმატება:

მთა მაღალ გადამაველიეს,
დალესტანს ვაველ თვალიო,
სამი დღე-ღამე ვიყავი
ბუსურბან დალესტანშიო...
ავდექ, სამს გამოვსკერ ყელი,
ქალმა დავცადე თავიო,
გამოველ, გამოვეპარე,
შენაქოს ვაველ თვალიო.

(თუშ. ლ., გვ. 20).

მაშასადამე, თავისუფლების მოყვარე თუშმა (და, კერძოდ, დიკლო-შენა-ქოელმა) ქალებმა უქნობი სახელი დაიმსახურეს: ზოგმა ტყვეობას ძმისა და ქმრის ხელით სიკვდილი აირჩია (ქანდა, მარიამი, მოხუცი დედა), ზოგმა კლდეზე გადავარდნით შეინარჩუნა ნამუსი (ბაქი), ზოგმა კი ტყვეობას ხმლით დააღწია თავი (ელანი).

ქორჩაძისეულ გადმოცემაში დიდოელთა მეთაურად ნაიბ ალდამის შვილი ამირხანია გამოყვანილი, ხოლო ლექსები თვითონ ალდამს მიუთითებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდასხმას ალდამი წინამძღოლობდა. ამის საბუთს გვაძლევს ლაშქრობის 10 წლისთავზე თუშის ივანე ცისკარიშვილის მიერ გამოქვეყნებული მხატვრული ნარკვევი „დიკლო და შენაქო“ („კავკაზი“, 1946 წ., № 27).

საგულისხმოა ერთი დეტალიც. ი. ცისკარიშვილის ცნობით, ლექებმა დიკლო-ში 16 მძევალი მოკლეს. იგივეა აღნიშნული ბუქურაულასეულ მცირე გადმოცემაშიც იმ განსხვავებით, რომ აქ 40 ვაეკაის მოტყუებაზეა საუბარი (ბუქ. № 61).

მძევლების წარგზავნაზე სოფელი ზავის ჩამოგდების მიზნით დათანხმდა. ალდამიც, პირველ ხანებში, თვალთმაქცურად, ზავის მომხრედ აჩვენებდა თავს, ნამდვილად კი სისხლი სწყუროდა. ეძებდა მიზეზს, და აი, ისიც გამოიჩნდა. ათი წლის ბიჭუნამ კომედიან თვალი მოჰკრა მძევლად წაყვანილი შშობლის წამებას. პატარამ მაშინვე მამის თოფი ჩამოიღო და ქალათს სული გააფრთხობინა.— ვინ მომიტანს იმ თავხედის თავს? — იკითხა ალდამმა. შეკობრებმა საჩქაროდ კოშკს ლიბოში წამალი ჩაუყარეს და ციხე ააფეთქეს. შეცვიდნენ ნანგრევებში, ქალები და ბავშვები დაიჭირეს, მამაკი ბიჭუნა კი მამას წააკლეს. ამის ანარეკლი უნდა იყოს ლექსის ის ადგილი, სადაც ცოგიძის ციხის დაქვეყნა ნახსენები. მაშასადამე, დიკლოს წარტყვევების დროს მხოლოდ მცირეწლოვანი ბასილა არ დაღუპულა; საარაკო საქმე ჩაიდინა ათი წლის ბიჭუნამ, სამწუხაროდ, მისი სახელი არ შემონახულა, გვირად კი ცოგიძე უნდა ყოფილიყო; სწორედ ცოგიძეთა საგვარეულო კოშკი დაანგრია ალდამმა.

დიკლოელი ათი წლის ბიჭის გმირობა პირველად ი. ცისკარიშვილის ნარკვევ-შია მოხსენებული (1846 წ.), შემდეგ მას იგონებს ი. ბუქურაული (1897 წ.), იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთან ბავშვის გიორგი ჰქვია, არის მიქელის შვილი და ცხოვრობს ჰელოში.

ფოლკლორული ტრადიციის წყალობით შესაძლებელია დიკლო-შენაქოს ციკლის ლექსების ერთი ნაწილის პირველგამომქმელს მიგნებაც. სახალხო მთქმელი უთუოდ ბრძოლის მონაწილეა და მამაცობით თანასოფლელები გაუკვირ-ვებია; ქალს საღიაცო საქმის მავიერ თოფი და ხმალი აუღია ხელში. იგი შენაქოე-ლია. უცხოვრია სოფლის ახალ უბანში. ლექსში გარკვევით არის ნათქვამი: „გას-წიეს ახალ უბნისკენ: ელანს მოვავლოთ თვალიო“. სწორედ ეს ელანი გამზდარა მეისტორიე დიკლო-შენაქოს აკლებსა: „ემაგის მომლექსობელი თვითონ ელანიც არიო“, იკითხება ერთ ვარიანტში (თუშ. ლ., 20). მგოსანს ჰმა და ოჯახის წევრები ამოუწყვიტეს თურმე, თვითონ კი წაუყვანიათ: „ე მაგის მომლექსობელი ქალ შენა-ქოელ ვარიო, გულლალი არვის გეგონოთ, ტყვეთ მომდინარიც ვარიო“ (თუშ. ლ., 20). ელანი (ელანე უნებურიძე), 1961 წელს ჩაწერილ ვარიანტშიც ესხენება:

გაკვირვებია შენაქოს
ამ ელანესი ომიო,
ან მკლავი როგორ უძლებდა,
ან სამღარიან ხმალიო.

(მთქმელი ლ. ბახიძე, ჩამწ. იოსებ ლონგიშვილი, ზ. ალვანი, 1961 წ., 25. VI. კახეთის ფოლკლორული ექსპედიციის მასალებიდან. ფ. არქ. კ. 22, გვ. 147).

შენაქოელ ქალს სხვა მოსაგონარი ლექსებიც მიეწერება, სადაც იგი კვლავ უბრუნდება ადრინდელი ბრძოლის სურათებს:

მომაგონდება ტიალი
დიკლო-შენაქოს დრონია...
დიკლო-შენაქოს წახდენიო.
დაბრუნდა ცოდო-ბრაღია...

(ბუქ., № 64)

მოლექსე ქალები დიკლოშიც ყოფილან, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებებში მათი სახელი აღარ გვხვდება („ამ ამბის გამლექსობელი დიკლოში ქალი ზისაო“, ბუქ., № 72). ლეკიანობის ამსახველ ჰეროიკულ სიმღერაში პირველ-მთქმელი თვითონ გვამცნობს ვინაობას:

მომლექსობელი დიკლოს ვარ,
მე ერთი თუშის ქალია,
გამარჯვებულზე ვიმღერი, —
მკედარზე მიტირის თვალია.

(მთქმ. ლ. დინგაშვილი, ჩამწერი. ი. ლონგიშვილი, 1961 წ., ფ. არქ. კ. 23, გვ. 492).

ომში ბევრი ვაჟაკი მოუკლავთ. ამის თაობაზე ადგილობრივ მემკვიდრეებს უთქვამს: „აღარცინ დარჩა კაცის ძეო“ (ბუქ. № 64). მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლექსი „შენაქოს აკლება“ შექმნილია იმავე ხანებში, როცა სოფელი დაარბიეს. თუ დავუშვებთ, რომ თავდასხმა 30 დეკემბერს მოხდა, ალყა ოცდაშვიდ დღემდე გაგრძელდა და ლექსის გამომტკმელმა რამდენიმე დღე დიდ-ოეთს გაატარა, შეიძლება დავასკვნათ, რომ „შენაქოს აკლება“ 1837 წ. თებერვალ-მარტში შეიქმნა და მალევე გავრცელდა ხალხში, როგორც დაღუპულთა მოსახსენებელი ნაწარმოები. დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა წარმოშობილყო „დიკლოს დალევნის“ ლექსიც. სამწუხაროდ, ამ ბალადის ჰირეულმტკმელის სახელი ტექსტს აღარ შემოუნახავს.

ახლა დავუბრუნდეთ ვაჟა-ფშაველას შედევრს „ბაკურს“. როგორც ვხედავთ, ნაწარმოებს სათაურად გმირის სახელი ამშვენებს, მაგრამ გადმოცემაში ბაკური არ იხსენიება. ის, რაც ვაჟა-ფშაველამ ბაკურს მიაწერა, ჰელოელ მიქელსა და დიკლოელ ღვთისიას ჩაუდგინა.

საკითხავია, ბაკური მთლიანად ლიტერატურული გმირია, თუ მასაც მოეპოვება წინამძღვრები ფოლკლორში?

თუშური პოეზია აქაც თავის სიტყვას ამბობს; იგი ვაჟას შემოქმედებით წყაროდ გვევლინება. მართალია, ბაკურის თავგადასავალი არ უკავშირდება დიკლო-შენაქოს ან ჰელოს ეპოპეას, მაგრამ იგი სხვა ბრძოლაში ისახელებს თავს. თუშეთში დღემდე პოპულარულია ხისოს ბრძოლა, სადაც ბაკურს ლეკებისათვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია და სამარადისო სახელიც დაუშკვიდრებია. სოფელი ხისო შორს არაა დიკლო-შენაქოს უბნიდან. სწორედ ამ სოფელში მოხდა ლეკებთან სასტიკი შეტაკება, რომელშიც ბაკურმა და მისმა თანასოფელმა ვაჟაკებმა მუსრი გაავლეს სადავლაოდ მოსულთ.

მერმე თქვეს, სოფლად ჩავიდეთ, ხისოს ჩავლენით ქაწიო.

მეორე დილა გათენდა, ხისოს დახურეს ცანიო.

შიგ დახვედრიან ვეფხეები — გამარონ სამნი ძმანიო.

ასრე უხოცაე ლეკები, როგორც რომ ნადირს ცხვარიო.

სახალხო მგოსანი გამორჩევით მოიხსენიებს ახალგაზრდა ბაკურს.

დავნატრე დამბადებელსა ომაის ბაკურისაო,

დედამ რომ შვილი გაზარდოს, გულ უნდ დაუდოს ქვისაო,

მოუკლავ მებაირახე, ბაღმა რა იცოდ კდისაო.

ჩივიან ლეკის ნაიბებ: მეომართ გვიყო ძალიო.

(ბუქურ., № 50).

იგივე ბაკური იგულისხმება ახალ ჩანაწერებშიც:

ბაკურ მანდ არს ომაიზევი — ვეფხვი სუროში ზისავ.

(უთურგ., 136).

აი ეს ახალგაზრდა თუში ბაკური აიღო ვაჟა-ფშაველამ თავისი ნაწარმოების შემკრებლობით გმირად და მას დაუკავშირა ტრაგედია, რომელიც, ხალხური ტრადიციის მიხედვით, ჰელოსა და დიკლოში დატრიალდა. მაშასადამე, ბაკური

გამოგონილი გმირი არაა, იგი კვლავ ფოლკლორულ სტიქიაში აღმოაჩინა ვაჟამ და ხელოვნების მწვერვალზე აიყვანა.

როგორც ვნახეთ, თუშური ზეპირსიტყვიერება საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს. მასში შემონახულია ფეოდალური ხანის დუხჭირი ცხოვრების მძაფრი სურათები. გლოვისა და მწუხარების მოტივებთან ერთად ხალხურ ნაწარმოებში აღამიანის ზნეობის ამბავსა და სიტყვიერი ცხოვრების:

ნეტავი ჩვენსა მეთოდებს თოფები დაუგრილაო!
ან წყალი დააღვირა, ან ცოტა დააძინაო!
ან მაგ მთელთა ბიჭებსა ყაწიმი დაუჩინაო!

საეპიკო და გამამხნეველი ლექსები უმეტეს შემთხვევაში შეგონებით მთავრდება: „შენდობა დიკლოს ნახოცთა, საღ დასდეს ხალხი სმამო!“ თუ 125 წლისთავეზე ჩვენ კვლავ გავისვენებ ხალხური ზოგზიის შემოთავახილული შედეგ-რები, წინაპართა მოგონებასთან ერთად ამას წმინდა ლიტერატურული ინტერესიც აქვს და ყოველივე კვლავ იმ ჩანაწერის მეშვეობით მოხერხდა, რომელიც ათეუ-ლი წლების მანძილზე პ. უმიკაშვილის კოლექციაში იყო ჩაჩუქრული.

• • •

ხალხური ნაწარმოებების გაგებისა და მათი შეგროვების პრინციპების გასა-ცნობად აუცილებელია მკითხველი იცნობდეს თვითონ შემკრების ნაკვეთებს. პ. უმიკაშვილის თხზულებებს, 70-80-იან წლებში გამოქვეყნებულ მის საეპიკო სტატიებს, მხოლოდ პრაქტიკული, შემკრებლობითი მოძრაობის წამომწყების მნი-შვნელობა როდი ჰქონდა. ამ ნაკვეთებში რიგი ისტორიული და თეორიული ხა-სიათის კითხვები აღძრული. ავტორი არა მარტო დაუღალავი შემკრები იყო ზე-პირსიტყვიერების ნიმუშებისა, იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი პროგრესული მოაზროვნე და მოღვაწე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა XIX საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

საგულისხმოა, რომ პ. უმიკაშვილზე იდრე ხალხური შემოქმედების საკითხებ-ზე ჩვენში ბევრს არ უწერია. სულ რამდენიმე ხელმოსაკიდი წერილი თუ უსწრებს უმიკაშვილის გამოსვლებს. სამწუხაროდ, ბევრი მაგალითის გახსენება არც ხერხ-დება. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის, რ. ერისთავის და დ. შიხაზის გარდა თითქმის ვერავის დავასახელებთ. ამასთან, ჯამბაკურ-ორბელიანსა და შიხაზელს თითო წერილი გამოუქვეყნებიათ 1861 — 1864 წ.წ. „ცისკრის“ ნომრებში. პ. უმი-კაშვილმა როგორც ზოგადი, ისე კერძო ხასიათის წერილების მხრივ დაასწრო ისეთ თანამედროვეებს, როგორც იყენენ: ილია და აკაკი, ყაზბეგი და ვაჟა-ფშავე-ლა. ამის გამო პ. უმიკაშვილი მარტო შემკრებლობითი მუშაობის პიონერად კი არ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ამას აღნიშნავს სოფრომ მგალობლიშვილი, არამედ ზეპირსიტყვიერების პირველ თეორეტიკოსად და პოპულარიზატორად ჩვენში, თავისი დროის თვალსაჩინო მეცნიერად. საქმით დაინტერესებული მკითხველი გვერდს ვერ აუვლის უმიკაშვილის ფოლკლორისტულსა და ეთნოგრაფიულ ნარ-კვეთებს: „სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება“ (1871 წ.), „სახალხო ლე-

ქსების შეკრება“ (1872 წ.), „არსენა“ (1872 წ.), „ხალხური სიტყვიერების სახე-
დგომო მნიშვნელობა“ (1882 წ.), „ვეფხისტყაოსნის ზეპირად ეოდნა“ (1887 წ.)
და სხვ. თვითწერილი ნაშრომის გამოქვეყნებას თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა
მანამდე საზოგადოებისათვის და ინტერესითაც იკითხებოდა, კაულობდა
გამოხმაურებას როგორც რიგით მკითხველებში, ისე ჩვენი ლიტერატურის კლასი-
ციკოსების მხრივ (ალ. ყაზბეგი).

ცხადია, აქ შეუძლებელი არის დაწვრილებათ დაეახასიათოთ უმიკაშვილის
ყველა ნაშრომი. მათ შესახებ, ისე როგორც საერთოდ უმიკაშვილის დამსახურე-
ბაზე, ჩვენ სხვა დროსაც გვქონია საუბარი („ქართული ხალხური სიტყვიერების
ისტორია“). ახლა მხოლოდ ყველაზე ადრინდელ, 1871-72 წლების ნაშრომებზე
გავამახვილებთ ყურადღებას. ესეც იმის გამო, რომ მანამდე ჩვენს პერიოდულ
პრესაში ქართულ ენაზე ზეპირსიტყვიერების გამო იშვიათად იმართებოდა მსჯე-
ლობა. პ. უმიკაშვილის ერთ-ერთ დამსახურებამდ ესეც უნდა მივიჩნიოთ, რომ
მან დაარღვია დუმისის ეს ტრადიცია და ფოლკლორისტიკის საკითხებზე ვერადში
ამოუყენა ქართული კულტურის ისტორიის აქტუალურ პრობლემებს.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაზე მსჯელობა 60 — 70-იან წლებში რიოქმის
შეუძლებელი იყო მასალების შეუგაროვებლობისა გამო. ხალხური ტექსტების მო-
პოვება თავისთავად მიზნის გარეშე სალიტერატურო ენის პრობლემებსაც უყა-
შირდებოდა. ენის თაობაზე „ციცისკარში“ დაწყებულ პოლემიკას ფართო სტდეგები
მოჰყვა. ილია ქვეჯავახის განცხადებამ, რომ ენის კანონმდებელი ხალხია და
ყური ვუგდოთ მის სადა მერყეულებასაო, ღრმად დაფიქრა საზოგადოება. ახალ-
გაზრდა მწერლის მიერ მევეთრად გამოთქმულმა კვშმარტებამ ბევრი შემოაბ-
რუნა. ძირითადი შემოქმედებითი ძალები სწორედ ხალხის გზას გააყვა. მასებთან
დაახლოება სცადა იდეურად და მხატვრულად. იწყება სალიტერატურო ენის
რეფორმა, მწერლობაში შემოდის გამაახალგაზრდაებელი ნაკადი ფოლკლორული
სიუჟეტებისა და ხმების სახით. ილია ქვეჯავახის ენის განახლებისათვის ბძრლა-
ში მტკიცედ დაუქირა მხარი პ. უმიკაშვილმა და თავისი შესაქლებლობას მიჰდევით
პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. თუ ენის შემქმნელი ხალხია და მის მერყეულე-
ბას გამაჯანსაღებელი გავლენის მოხდენა შეუძლია მწერლობაზე, მაშინ პირველ
ყოვლისა ხალხისავე ენით გამართული მხატვრული ნაწარმოებები უნდა მოიკრი-
ბოს და მიეწოდოს საზოგადოებას. ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა უმიკაშვილი
და საქმესაც მარჯვედ მოჰკიდა ხელი.

• • •

აქ ვსვამთ წერტილს, თუმცა პეტრე უმიკაშვილის და მის მიერ შეკრებული
მასალის შესახებ წერას ან რა მოგვაწყვენს, ანდა რა დაგვასრულებინებს აქ მო-
თავსებულ ყოველ ნაწარმოებს შეიძლება ვრცელი ნაშრომი მიეძღვნას და საკითხი
მინც ამოუწურავი დარჩეს.


ასეთი მდიდარი და მიზნიდელია ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერი მართა-
ნე. ეს გარემოება გვაძლევს გავიმეოროთ უმიკაშვილის პირველი გამოცემლის

და ბიოგრაფის კალამბური: სულმოუთქმელად ჩამოვწერე ეს სტრიქონებიო. სწორედ დაძაბულად, შეუსვენებლად ვცდილობდით, რაც შეიძლება მალე და სრული სახით მიგვეწოდებია საზოგადოებისათვის ქართული შემკრებლობითი ფოლკლორისტიკის ეს ღირსსახსოვარი ნობათი. დიახ, ახლა იგი შენს მაგიდაზეა, მკითხველო, და შენვე იყავ მისი პირუთენელი მსაჯული.

მინეილ ჩიკოვანი

8 ოქტომბერი, 1963 წ.

ქ. თბილისი.



o

o

o

o

o

o

o



o

o

o

o


o

o

o

o

o




o

o

o

o

o



1. ილანკულა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა ჩვენბოდა იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ვაჟი, რომელსაც ერქვა ილანკულა და ზდიდა ერთს კოშკში. ისე იზღებოდა, რომ ქვეყნიერებისა არა იცოდა რა.

ერთს ღღეს გაიხედა ფანჯრიდან და ნახა, რომ მკვდარი მიაქვთ. ჰკითხა თავის გამზღელს, ეს რა მიაქვთ, და მან უამბო, კაცი როგორ მოკვდებოდა. და მან სთქვა: სიკვდილიც ყოფილაო და მე რათ მზდიან ასრე, რომ ქვეყნიერებისა არა ვიცი რაო. ჩამოვიდა მამასთან. მამას იმისი ეშინოდა: ცხრა მთას იქით ცხრა ძმა ღღეს — თითოს ცხრა-ცხრა თავი ჰქონდათ — ერთი და ჰყავდათ, მზეთუნახავი, ცხრადაკეტილ სახლში. ღამე რომ გამოიყვანდნენ გარეთ, როგორც მთვარეს, აქ დაინახავდნენ. რადგანაც ილანკულა ძლიერ მძლავრი იზღებოდა, ამისათვის კოშკში ზდიდა მამა, რომ იმ ქალის ამბავი არავინ უთხრას და არ წავიდეს, ღვევებმა არ მომიკლანო.

რაკი ილანკულა ჩამოვიდა მამასთან, ხემწიფემ მთელ თავის საბრძანებელში გასცა ბრძანება, რომ იმ ქალის ამბავი არავის ეთქვა. ერთს ღღეს ილანკულა თავის ტოლებში გაერია და დაიწყო თამაშობა. ერთს თავის ტოლს მოავლო ხელი, გასწია და კინაღამ დაღღ-

წა. მერე იმან უთხრა: ჩემი მორევა კი არაფერიაო, თუ ღონიერი ხარ, ცხრა ძმას დევს რომ ერთი და ჰყამთ, იმას მოსტაცებ და ცოლად შეირთაშო. გაიქცა ილანკულა მამასთან და უთხრა, ერთი რაში უნდა მიბოძვო, უნდა წავიდე და ცხრა ძმას რომ ერთი მზეთუნახავი და ჰყამთ, ის უნდა მოვიტაცო და ცოლად შევიერთოვო. ხემწიფემ ბევრი იტირა და ეხვეწა, ნუ წახვალო, მაგრამ არ დაიშალა და წავიდა.

ბევრი იარა და კიდევ დაულამდა. ერთს ტრიალს მინდორზედ ნახა: ერთი სახლი ღვას და ცეცხლის შუქი გამოდის. იფიქრა, ამაღამ აქ დავდგებიო. გადახტა რაშიდან, რაში ხეზედ მიაბა და შევიდა სახლში. ძრიელ გაუკვირდა: მშვენიერი ცეცხლი ენთო, თავისით სამი შამფური მწვადი იწოდა, თითონ ტრიალზედა; ცალ კუთხეზე ტახტი, დაფენილი; კედელზე ერთი ხმალი, ერთი ქუდი და ერთი ხელსახოცი ეკიდა. იფიქრა ილანკულამ: ეს სახლი უნდა გავიგო ვისიაო და ტახტქვეშ შეძვრა და დაუგდო ყური. თურმე ეს სახლი სამი ეშმაკისა ყოფილიყო. შემოვიდნენ ეშმაკები. გაშალეს სუფრა, მოიტანეს მწვადები და დაუწყეს ჭამა. დაიწყეს ლაპარაკი. უთხრა ერთმა: აბა თქვენ რა იცითო? ერთმა სთქვა: მე ეს ვიციო, რომ ჩემს ხმალს რომ უთხრა, ქარქაშიდან ამოვა და რაც უნდა ბევრი ხალხი იყოს, ყველას თავებს დააყრევინებსო. მეორემ სთქვა: ა ის ჩემი ქუდი უჩინმაჩინის ქუდაა, ვინც დაიხურამს, თვითონ ხელამს და სხვა კი ვერავინ დაინახამსო. მესამემ სთქვა: ა ის ჩემი ხელსახოცი მკვდარს გააცოცხლებსო. მერემ სთქვეს: ასე რომ ვლაპარაკობთ, ილანკულა კი არსად იყოსო.

გაათავეს ვახშამი ეშმაკებმა და გავიდნენ და წავიდნენ. გამოვიდა ილანკულა, ჩამოიღო ქუდი, თავზედ დაიხურა, ხმალი წელზე შემოიკრა, ხელსახოცი ჯიბეში ჩაიღო და წავიდა.

ბევრი იარა და მივიდა ცხრათავიანი ღვევების სახლთან. ამ ღვევებს ეს წესი აქვთ, რომ ერთი ვახშამობისას და ერთი სადილობისას შევლენ თავის დასთან და შეუტანენ სადილ-ვახშამს. უყურა ვახშამობამდინ ილანკულამ, ეს უჩინმაჩინის ქუდი თავზე ახურამს და როცა გააღეს კარები და შეაქვთ ვახშამი, ილანკულაც შეჰყავა. ძმებმა ვახშამი მიართვეს და გამოვიდნენ. ისეც ცხრა კარები დაკეტეს. როცა ვახშამს ჭამა გაათავა და დაწვა ეს მზეთუნახავი, ილანკულა მივიდა და ერთი აკოცა. ამ ქალმა ერთი ისეთი იკივლა, რომ ეს ღვევები შემოცვივდნენ და ჰკითხეს: რა იყოვო? ვილაცამ მაკოცაო, უთხრა დამ. ძმებმა ბევრი ათვალერეს, მაგრამ ვერავინ ნახეს. უთხრეს დას:

სიზმარი გინახამსო, და გავიდნენ და გაიკეტეს ისევ კარები. კიდეც მივიდა ილანკულა და კიდეც აკოცა. ქალმა უთხრა: რას მაწვალე, ვილაცა ხარ, მოთხარი, თუ ილანკულა ხარ, სთქვიო. უთხრა ხემწიფის შვილმა, სწორედ ილანკულა ვარო. ქალმა გაწაღა თითები და უთხრა: აბა ამ თითებს თუ ერთმანეთზედ მიმიტან, ილანკულა იქნებიო. მოჰკიდა ილანკულამ ხელი და კინალამ სულ დაამტვრია. გამიშვიო, — უთხრა ქალმა, გაუშვა და ეხლა ილანკულამ უთხრა: აბა შენ თუ ერთმანეთთან მიმიტან თითებსო. მოუჭირა ქალმა ხელი, მაგრამ სრულგებოთ ვერ მოუტანა ერთმანეთთან. მაშინ მისცეს ცოლ-ქმრობის პირობა ერთმანეთს. ილანკულას მოშიგდა და უთხრა: შენს ძმებს უთხარი, რომ ღამე მომშიგდება და მეტი საქმელი მომიტანეთო. შემოვიდნენ ძმები. უთხრა: მეტი სადილ-ვანშამი შემომიტანეთო. შემოუტანეს. ჰამეს, ეხლა წავიდეთო, — უთხრა ილანკულამ ქალს, და გასჭრა შუაზედ თავის უჩინმაჩინის ქუდი და ნახევარი თითონ დაიხურა, ნახევარი თავის ცოლს დაახურა და როცა ძმებმა ვანშამი შემოიიტანეს და გავიდნენ, ისინიც უკან გაჰყვნენ; შეხტნენ რაშზე და წავიდნენ.

ბევრი იარეს და მერმე უთხრა ილანკულამ თავის ცოლს: მიიხედე უკან, ხომ არავეინ მოგვზღვესო. მოგვდევენ, ბუზის ტოლა ჩანანო, — უთხრა ცოლმა. გაიარეს რამდენიმე გზა და კიდეც მიახედა. უთხრა ცოლმა: მოგვეწიენო. უთხრა ილანკულამ თავის ხმალს. აბა, ხმალო, ამოდი და ამ ცხრა ძმას დევებს ყველას თავები დააყრევიენო. ამოვიდა ხმალი და ყველას თავები მოსჭრა. დევების და ძრიელ შესწუხდა, რომ ნახა თავისი ცხრა ძმა დახოცილი. უთხრა ქმარმა: რას შესწუხდი, თუ გინდა, ეხლავე გავაცოცხლებო. და ჯერ ერთს მოუსვა ხელსახოცი, გააცოცხლა და ჩამოართვა პირობა, რომ თავის დაზე ჯღარაფერი ეთქვა. სუყველა თითო-თითოთ გააცოცხლა. ყველას პირობა ჩამოართვა და დიდის სიხარულით წავიდნენ. მივიდა ილანკულა თავის მამასთან თავის ცოლით და ცოლის ძმებით. ხემწიფემ დიდი ქორწილი გადაიხადა, დიდი სიხარული შეუდგათ მთელს იმათ საბრძანებელში.

კირი იქა, ლხინი აქა.
სამი ვაშლი, სამი ბროწეული,
ღმერთმა სუ მოგაკლოთ
თქვენი ხელით მოწეული.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფის შვილი, ყამდა ვეზირებში, უსხდნენ მხრებში და (ნაავადმყოფარს) ასეირნებდნენ. როცა შეიძლო სიარული, ცხრა ოთახი დაატარეს, მეათეზე რომ მივიდა, არ გაუღდს. ეს ვეზირები ხემწიფის შვილმა აქეთ-იქით გაისროლა, ჩაპკრა წიხლი და კარები ჩაამტერია. შევიდა, ნახა ქალის სურათი და მაშინვე გული შეუწუხდა. ეს გაიგო იმის მამამ. გამოვიდა ხემწიფის შვილი, დაჯდა სალორეში და უთხრა მამას: თუ ამ სურათისთანა ქალს მიშოვი, გამოვალ ამ სალორიდამ, თუ არა — არ გამოვალ. უთხრა მამამ: ჩავიცვამ რკინის ქალამნებს და რკინის ჯოხს დავიჭერ და მანამ ესენი გამიცვდებოდეს, ვეძებ, და თუ ვიშოვნე, მოგიყვან, თუ არა და ისე მოვალ. წავიდა მამა, იარა ბევრი, გაუცვდა ეს ჯოხიც და ეს ქალამნებიც. მოვიდა ცარიელი, ვერ იშოვნა იმ სურათისთანა ქალი: შვილო, რაც შენი ნება იყოს, ის ქენიო. გამოვიდა ეს ყმაწვილი და სთხოვა მამას ერთი ბიჭი და ორი ცხენი. შეჯდა და წავიდა.

ბევრი იარა და გავიდა ერთ ტრიალს მინდორზე. ნახა, ერთი უზარმაზარი კაცი წევს, სძინავს, ახვევია ბევრი ხალხი. რამდენი ხალხი ახლის თოფსა და ზარბაზნებს ყურებში და ვერ გაუღვიძებიათ. დაიწერა პირვეარი ამ ხემწიფის შვილმა, მივიდა და ჩასძახა მძინარეს მარჯვენა ყურში ორჯერ; მესამეჯერ რომ ჩასძახა, ცოტათი შეინძრა მძინარე, ხალხმა უკან დაიწია. წამოდგა ზეზე და უთხრა ამ ყმაწვილს: რა გაგაჭირდა მაგისთანა, რომ მე გამაღვიძეო. მე გამიჭირდა ესაო, — უჩვენა სურათი. მამ მოგიკვდეს შენი ხმელი ქურანი, თუ ამაზედ უკეთესი ვერ გიშოვნეო, დაითხოვე ეგ შენი ბიჭი და ცხენო. აიყვანა ხემწიფის შვილი, ჩაისვა უბეში და გასწია. მივიდა დევის კარს. გამოვიდა დევის ცოლი: ვაიმე, რა კარგი ყმაწვილი ბრძანდები, მოვა ის სულძალი დევი და შეგკამსო. ხმელმა ქურანმა უთხრა: ცოტა საუზმე მაჭამე, შენ ნუ გეშინია, რომელს გზაზე მოვა, მასწავლეო. ასწავლა დევის ცოლმა: ამა და ამ ბოგირზე გამოვაო. წავიდა ხმელი ქურანი, ჩაპკრა ბოგირთან წიხლი და დედამიწა ჩაანგრია, ჩასვა შიგ ხემწიფის შვილი და თითონ დაჯდა ბოგირის ქვეშ. საღამოს მოვიდა დევი. რაშმა დაიფთქვინა ბოგირზე: შე ოხერო, რისა გეშინიან, ერთს ალაგას აქებენ ხმელს ქურანს, ჯერ არ მოვიდოდა აქ, და თუ მოვიდოდა — რას მიზამსო, შესძახა დევმა.

გამოვიდა ხმელი ქურანი: მე გახლავარ და გადმობრძანდიო.

გადმოვიდა დევი და დაიტაკენნ. მოერია ხმელი ქურანი, მოკლა დევი-
შეაგდო რაშს სადავე და გააგდო სახლში. ამოიყვანა ხემწიფის შვი-
ლი, ძრიელ შეშინებული, წაუსვა უკვდავების ხელსახოცი და მოაბ-
რუნა. წავიდა, მივიდა დევის ცოლთან და ღამე გაათია. დევის ცოლმა
უთხრა: რა გაგიჭირდა მაგისთანა, რომ აქეთ წამოსულხარო? ხმელმა
ქურანმა უთხრა: შენ რომ უფროსი და გყავს, იმის შოვნა მინდა ამ
ყმაწვილისთვისო. დევის ცოლმა უთხრა: მე იმისი არა ვიცი რა, მან-
დეთ ერთი ჩვენი შუათანა და არის და ის გეტყვის ყველაფერსო.

გასწია ხმელმა ქურანმა და მივიდა მეორე დევის ცოლთან. გამო-
ვიდა დევის ცოლი და უთხრა: ვაიმე, რა კაი ყმაწვილი ბძანდები,
მოვა ის სულძალდი დევი და შეგქამსო. შენ ნუ გეშინია, — უთხრა
ხმელმა ქურანმა, — ცოტა საუზმე მაქამე და მასწავლე, რომელი გზით
მოვაო. ასწავლა დევის ცოლმა: ამა და ამ ბოგირზე მოვაო. წავიდა
ხმელი ქურანი, ჩაჰკრა წიხლი, ჩაანგრია დედა-მიწა, ჩასვა შიგ ხემ-
წიფის შვილი და თითონ ჩაჯდა ბოგირის ქვეშ. მოვიდა დევი. დაიფთ-
ქვინა რაშმა: შე ოხერო, რისა გეშინიაო, შესძახა დევმა, ერთ ალაგას
აქებენ ხმელს ქურანს, ჯერ არ მოვიდოდა, თუ მოვიდა და, რას მიზამ-
სო. გამოვიდა ხმელი ქურანი: გადმობძანდი, მე გახლავარო. გადმო-
ვიდა დევი, დაიჭიდნენ. მოერია ხმელი ქურანი და მოკლა დევი, მი-
ჩეხ-მოჩეხა, შეაგდო რაშს სადავე და გააგდო სახლში. ამოიყვანა ხემ-
წიფის შვილი, წიშით შეწუხებულნი, წაუსვა უკვდავების ხალსახოცი
და მოაბრუნა. მივიდა დევის ცოლთან. დევის ცოლმა უთხრა: რა გა-
გიჭირდა მაგისთანაო? მე გამიჭირდაო: უნდა ვიშოვნო შენი უმცრო-
სი და, უნდა მითხრა, საიდან ვიშოვნოო. დევის ცოლმა უთხრა: იმას
ვერ იშოვნი. იმას მართებს შვიდის დღის ძილი, შვიდი დღის უძილო-
ბა; სამი დღეა სძინავს, ოთხი დღე კიდევ უნდა ეძინოსო. უჭირამს
ქმრის ხელობა, ჰყამს რაში გულთმისანი, აქვს ალმასის მათრახი. რო-
გორც ფეხს გადადგამთ იმის ადგილში, რაში გაიგებს, გააღვიძებს
ქალს. გამოვა ქალი, შეჯდება რაშზე, შემოუვლის თავის მამულს.
თქვენ ღამე უნდა იაროთ, როგორც გადადგამთ იმის ადგილში ფეხს,
გამოვა ქალი, რაშზე შემჯდარი, გაანათებს ქვეყანას. წამოვა რაში
პირდაპირ. შენ უნდა ჩაკრა მიწაში ფეხი და ჩაიმალოთ შიგა. რაში
გადაგახტებათ და ქალი ვერას გაიგებს.

წავიდა ხმელი ქურანი. როგორც გადადგა ფეხი იმის ადგილში,
დაიჭიხვინა რაშმა, გააღვიძა ქალი. ადგა, შეკაზმა ქალმა რაში, ჩაიცივა
ალმასის ტანისამოსი, დაიჭირა ალმასის მათრახი, ამოიყვანა რაში

და შეჯდა. გაანათა ქვეყანა. ჩაპკრა ფეხი ხმელმა ქურანმა და ჩაანგრია დედამიწა, ჩაჯდა შიგა. მოვიდა რაში და გადაახტა თავზე, ქალი რას გაიგებდა. წავიდა და შემოურბინა თავის მამულს. შევიდა და დაიძინა. ამოვიდა ბმელი ქურანი და გასწია. დაიჭიხინა კიდევ რაშმა, გააღვიძა ქალი. გამოიყვანა ქალმა რაში და შეჯდა ზედ, გაანათა ქვეყანა. ხმელმა ქურანმა დაპკრა წიხლი, ჩაანგრია დედამიწა და ჩაჯდა შიგა. მოვიდა რაში და გადაახტა თავსა, — რას გაიგებდა ქალი. შემოურბინა თავის მამულს, შევიდა და დაიძინა. აღგა ხმელი ქურანი და წავიდა. კიდევ დაიჭიხინა რაშმა, გააღვიძა ქალი. შე რჯულდადლო, — უთხრა ქალმა, — შენ გინდა, რომ ძილი დამიფრთხო. მოსდგა ქალი აღმასის მათრახით და გაატყავა რაში ცემით. სთქვა რაშმა გულში: შენ რაც მოგივა, შენი თვალები გაიგებს. გასწია ხმელმა ქურანმა, მივიდა ქალის სახლში. ქალი გულდაღმა წევს. აიღო რკინის პალოები, ცხრა ნაწნავით დააქრა, დაპკრა მუჭი პალოებს და დედამიწაში გაარბინა, ქალს მკლავები დაუქრა და ფეხებიც. მიიყვანა ხემწიფის შვილი და უთხრა: აბა ამოიღე შენი სურათიო. ამოიღო ყმაწვილმა. კიდევ ეს ქალი სჯობია ამ სურათსო, იმდენი ხანი ეხვიე და კოცნე. — შენ ხმა არ გასცე, — მანამ ჩემი სახელი არ ახსენოსო, მე დაველაპარაკები მაგას. მივიდა ყმაწვილი, ეხვია და კოცნა. როცა იყო, ქალმა გამოიღვიძა, შეინძრა, გაანძრია პალოები. უთხრა ყმაწვილს: შენ ჩემთან ვერ მოხვიდოდი, — ერთ ალაგას აქებენ ხმელ ქურანს, თუ მოგიყვანდა, ის მოგიყვანდაო, მომიცია მალლა ღმერთი, ძირს დედამიწა, მე შენ არ გიმტყუნოო. არ გასცა ყმაწვილმა ხმა. ხმელმა ქურანმა გასცა ხმა. აუშვა ქალი. შეირთო ვაჟმა ეს ქალი.

ხმელი ქურანი წავიდა დევებზე ცოლებთან. ერთ ხანს გაჩერდა მათთან. იმათ ერთი სარკე აქვთ, ცა და ქვეყანა შიგ ჩანს. ხმელმა ქურანმა უთხრა: აბა გაიხედეთ, თქვენი სიძე და თქვენი და როგორ ცხოვრობენო. გაიხედეს სარკეში და დაინახეს: ყმაწვილს ცხრა ოთახი გაუღია, მათე ოთახისათვის არ ურგია გასაღებს; წასულა და უძებნია, უნახამს ცოლის თმაში. წაუღია და გაუღია. უნახამს, — შიგ აბია ერთი დევი, ზურგზე ხავსი აქვს. შეეხვეწა ეს დევი: ამიშვი შენი ქირიმეო. ყმაწვილმა უთხრა: რითი გავწყვიტო ეს ჯაჭვიო? დევმა უთხრა: მარცხენა ხელზე შენს ცოლს რომ ნეკზე ბეჭედი აქვს, მოიტანე და ის დაპკარი ამ ჯაჭვსო. წავიდა ყმაწვილი, წაძრო ბეჭედი თავის მძინარე ცოლს, მოიტანა და დაპკრა ჯაჭვს. დაიშალა ჯაჭვი. გამოვიდა დევი, დაავლო ხემწიფის შვილს ხელი, დაარტყა დედამი-

წაზე და მოჰკლა, დაავლო ქალს ხელი და გაუყენა გზას. შემოიკრა ხმელმა ქურანმა თავში ხელი. უთხრა დევების ცოლებს: ოცს დღეს მიყურეთ, თუ მოვიდე ოც დღეზედ, ის არის, თუ, არა — წირვა გადამიხადეთო. წამოვიდა ხმელი ქურანი, მოვიდა, საცა ხემწიფის შვილი იყო, ამოილო უკვდავების ხელსახოცი, მიუსვ-მოუსვა და გააცოცხლა. უჰ, რამდენი მძინებიანო, — თქვა ყმაწვილმა, — შენ რომ გეძინა, შენმა თვალებმა გაიგოსო, — უთხრა ხმელმა ქურანმა და დაუბარა: ოცს დღეზე თუ არ მოვიდე, წირვა გადამიხადეო.

წამოვიდა ხმელი ქურანი, მივიდა ერთს კლდეში. ნახა, კომლი ამოდის. შევიდა სახლში და ნახა დევის მოტაცებული ქალი. შესტორა იმ ქალმა: რა გინდოდა აქა, მოვა ის სულძალდი დევკაეი და შეგკამსო. ნუ გეშინია, შენ გამოკითხე იმას, მისი სული რაში არის, უთხრა ხმელმა ქურანმა და დაიმალა. მოვიდა საღამოს დევკაეი. უთხრა ქალს: ადამიანის სუნი მამდისო. ქალმა უთხრა: შენი შიშით ვინ მოვიდოდაო! და ჰკითხა: შენი სული რაშიაო? ჩემი სული კერაშიაო, — უთხრა დევკაემა. წავიდა დევკაეი სანადიროდ. მოსდგა ქალი და ააყვავა კერა. მოვიდა საღამოს დევკაეი: ამ სულელს რა უქნია, ჩემს სულს კერაში რა უნდა, ჩემი სული ა იმ ბოძშიაო. წავიდა დევკაეი სანადიროდ. ქალმა ააყვავა ბოძი. მოვიდა საღამოს დევკაეი და სთქვა: ამ სულელს რა უქნია ესა, ჩემს სულს ბოძში რა უნდაო! უთხრა: ჩემი სული მალლა იმ კლდის თავზე არის. ხვალ გაგიყვან და განახებო. გათენდა დილა, გამოიყვანა ქალი, დაანახვა მალლა: იქ არის საარაყე ქვაბი, შიგ ძვეს ერთი კოლოფი, იმაში სამი მერცხალია, ის არის ჩემი სულიო. წავიდა სანადიროდ. გამოვიდა ხმელი ქურანი და წავიდა იმ კლდეზე, ავიდა ნახევარზე. იმ დროს მოდის დევკაეი. დასკყივლა იქიდან ხმელმა ქურანმა და წამოვიდა მისკენ. დაავლო დევკაემა ხმელ ქურანს ხელი, შეისროლა მალლა, შეუწია ნახევარზე. დასკყივლა კიდე ხმელმა ქურანმა: აგრე არ უნდა, შე მყარალო, აგრე არ უნდა გასროლაო. დაავლო ისეც დევკაემა ხელი, შეისროლა, აუწია, საცა ის ქვაბი იყო. ჩაყო ხმელმა ქურანმა ხელი, ამოიყვანა მერცხლები: შე მყარალო, აქედან ჩამიყვანე ბატონივით, თორემ წავსწყიტამ თავებსო. ავიდა დევკაეი და მოიკიდა ქვაბი. ჩაჯდა შიგ ხმელი ქურანი, წამოიყვანა დევკაემა, ჩამოიყვანა ძირს. ჩაისვა ქალიც, წამოიყვანა და წამოვიდნენ. გავიდა ხემწიფის შვილთან, ჩასვა ისიც შიგ. მოვიდნენ დევის ცოლებთან, ჩასხა ეს დევის ცოლებიც. მოვიდა, საცა იწვა ხმელი ქურანი, იმ მინდორში და უთხრა ხემწიფის

შვილს: მოდი, ძმაო, რაც ვიშოვეთ და ვიპოვეთ, შუაზე გავიყოთო. შეწუხდა ხემწიფის შვილი და უთხრა: ოღონც ამ ქალს ნუ გავყოფთ, სხვა სულ შენი იყოსო. ხმელმა ქურანმა უთხრა: არ იქნება, უნდა გავყოთ სუყველაფერიო. აიღო ხმალი ხმელმა ქურანმა. მოჰკიდე ხელი ქალს, — უთხრა ყმაწვილს. მოჰკიდა ხელი ყმაწვილმა. დაუქნია ხმალი, ამოაგდებინა მის ცოლს მუცლიდან არწივი. მოჰკლეს. დაუქნია მეორედ, — ამოაგდებინა არწივი, ისიც მოჰკლეს. ხმელმა ქურანმა უთხრა ხემწიფის შვილს: მე, ძმაო, რათ მინდოდა ქალი. გაიწმინდა, თორემ შენს სახემწიფოში დაიბადებოდნენ ეს არწივები და შენსამდნენ შენს სახემწიფოსო. ჩასხა ქვაბში. რომ მიხვიდე შენს ქვეყანაში, მიიყვანე დევკაყი წყლის პირზე, წასწყვიტე მერცხლებს თავი და მიეცე წყალსო.

ერთი ლხინი და ქორწილი გადაუხადა მისმა მამამ, როცა მივიდა ეს შვილი თავის ცოლით.

ქირი იქა, ლხინი აქა.

8. მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მონადირე კაცი, ყამდა ერთი ვაჟიშვილი. მოკვდა მამა. ჰკითხა შვილმა დედას: მამაჩემს რა ხელობა ექირაო? დედამ უთხრა: მონადირე იყოო. მეც მამაჩემის ხელობას დავიქერო, შვილმა თქვა. დედამ გააფრთხილა: შვილო, მთაში რომ წახვიდე, თეთრ მთაში ინადირე, შავ მთაშიაც ინადირე, წითელ მთაში არ გადახვიდეო. წავიდა ეს ბიჭი, ინადირა იმ ორს მთაში, ვერაფერი ვერ იშოვნა, მემრე გადავიდა წითელ მთაში. დაუღამდა, დადგა ერთი ხის ქვეშ. შეიქნა მამლის ყვილი. შემოჯდა ერთი ფრინველი, ათასნაირად აყვავებულნი. სთქვა ამ ბიჭმა: არ მოვკლა, რა ვქნა, მოვკლა — ვაითუ ვინანო. ესროლა თოფი და მოჰკლა. გათენდა და წამოიღო, მოიტანა სახლში დედასთან. უთხრა დედას: დედაჩემო, ხემწაფეს მივართმევ ამ ფრინველს. დედამ უთხრა: წაილე, შვილო, რომ მიხვიდე ხემწიფის კარზე, ნაზირ-ვეზირი რომ შემოგვევაქროს, მიეცი იმას, შვილო, თორემ ინანებო. წაიღო ბიჭმა. ვეზირებმა აძლიეს ოცი თუმანი, — არა ქნა და მიართვა ხემწიფეს. უთხრა ხემწიფემ ნაზირ-ვეზირს: წაიყვანე ეს ბიჭი, რამდენსაც მოერიოს, მიეცი თვალი და მარგალიტო. წაიყვანეს ნაზირ-ვეზირებმა და მისცეს

ერთი ნათალი პური და ერთი ნათალი ყველი და ერთი ჭიქა ღვინო დაალევინეს, ერთი სილა აქეთ ყბაში შემოჰკრეს, ერთი იქით. წავიდა ბიჭი სახლში.

ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს ხემწიფეს: მაგ ფრინველს რომ სპილოს ძვლის ოთახი ედგას, ხემწიფე მაშინ იქნებიო. უთხრა ხემწიფემ: ვინ გამიკეთებს სპილოს ძვლის ოთახსო? ვინც ეგ ფრინველი მოგიტანა, ის მონადირის შვილი მოგიტანს იმასაცო. დაიბარა ხემწიფემ მონადირას შვილი და უთხრა: რამდენიმე სპილო უნდა მომიტანოო. დაღონდა ბიჭი და წავიდა სახლში, შესჩივლა დედას: ასე მითხრა ხემწიფემ, რომ სპილოები უნდა მომიტანოვო. რითი მოვუტანოვო. აჟი გითხარა, შვილო, — უთხრა დედამ, — ჩნანებო. წადი, შვილო, და გამოსთხოვე ასი ურემი ბანგი, ასი ურემი ბაზბა. წადი, ამა და ამ ალაგას ერთი დიდი ტბა არის, ამოაშრე იმ ბაზბით, მოუშვი მერე ბანგი; მოვლენ შუადღისას სპილოები, დათვრებიან და დაეყრებიან. მიდი და დასკერი ყელგებო. წავიდა ეს ბიჭი, გამოსთხოვა ხემწიფეს, რაც დედამ უთხრა, წაიღო და მივიდა იმ ტბასთან, ამოაშრო ბაზბით და მიუშვა ბანგი. მოვიდნენ შუადღისას სპილოები, დალიეს და დაეყარნენ. მივიდა და დასკრა ყელგები. წამოვიდა, დააბრუნა ურემი. დაუღო ეს სპილოები და მიუტანა ხემწიფეს, უთხრა ხემწიფემ ნაზირ-ვეზირს: წაიყვანეთ ეს პიჭი და რასაც მოერიოს, მიეცით თვალი და მარგალიტო. წამოიყვანეს ნაზირ-ვეზირებმა, მისცეს ერთი ნათალი პური, ერთი ნათალი ყველი, ერთი ჭიქა ღვინო დაალევინეს, ერთი აქეთ შემოჰკრეს, ერთი იქით და გააგდეს.

ვეზირებმა უთხრეს ხემწიფეს: თეთრ ზღვასა და წითელ ზღვას შუა ერთი მზეთუნახავი ზის; ის რომ თქვენი ცოლი იყვეს, ხემწიფე მაშინ იქნებითო. კითხა ხემწიფემ: ვინ მომიყვანსო? ვინც ეგენი მოგიტანათ, იმასაც ის მოგიყვანსო, უთხრეს. დაიბარა კადევ ხემწიფემ ეს მონადირის შვილი და უთხრა: თეთრ ზღვას და წითელ ზღვას შუა რომ მზეთუნახავია, ის უნდა მომიყვანოო. დაღონდა ბიჭი და წავიდა. მივიდა დედასთან, შესჩივლა დედას: ხემწიფემ ასე მითხრა, — თეთრ ზღვასა და წითელ ზღვას შუა რომ მზეთუნახავია, ის მომიყვანოო. დედამ უთხრა: წადი, შვილო, გამოსთხოვე ხემწიფეს ფული, ვინც ნახო გზაზე საქმეგაჭირვებული, დაიხსენი და გაუშვიო. წავიდა ბიჭი ხემწიფესთან და სთხოვა, ფული მომეცოო. უთხრა ხემწიფემ ნაზირ-ვეზირს: მიეცით, რასაც მოერიოსო. წაიყვანეს ნაზირ-ვეზირებმა და ჩაუყარეს შავი ფული. წავიდა ბიჭი. ნახა, ერთ ადგილას ბიჭები

ქორს აწვალებდნენ. მივიდა, მისცა გროშები ბიჭებს და ქორი გააშვებინა. მობრუნდა ქორი და უთხრა: ეს ფთა წაილე, იქნებ ერთს გაჭირვებაში მეც გამოგადგეო. გაიარა ცოტა გზა და ნახა, ერთს წყლის პირზე ერთი თევზი აბია; მივიდა, მოაჭრა თოკი და თევზი გაუშვა, მობრუნდა ეს თევზი, მისცა ფთა და უთხრა: იქნებ ერთს გაჭირვებაში მეც გამოგადგეო. გაიარა კიდევ ცოტა გზა ამ ბიჭმა და ნახა, ხემწიფის შვილს ერთი ირემი გამოუგდია. დაიჭირა ეს ირემი და შეეხვეწა ხემწიფის შვილს: ჩემს ბატონს გამოექცა ეს ირემი და თუ მაჩუქებთ, კარგი იქნებაო. აჩუქა ხემწიფის შვილმა. გაატარა ბიჭმა ცოტა გზა ეს ირემი და გაუშვა. მობრუნდა ირემი, მისცა ბალახი და უთხრა: ერთს გაჭირვებაში მეც გამოგადგებო. გაიარა კიდევ ცოტა გზა. ნახა, ძალღებს მელა გამოუგდიათ. დაიჭირა ბიჭმა ეს მელა და დამალა. შემოხვდნენ კაცები, ჰკითხეს: მელა ხომ არ გინახამსო? არ მინახამსო, უთხრა. ის კაცები რომ მოშორდნენ, გაუშვა მელა. მობრუნდა ეს მელა, მისცა ბალანი და უთხრა: ერთს გაჭირვებაში მეც გამოგადგებო.

მივიდა ბიჭი იმ ზღვასთან, საცა მზეთუნახავი იყო, სთქვა: რა ვქნა, რა მოვახერხო, თოფი ვესროლო, მოჰკვდება და ზღვაში ჩავარდებო. გადმოსძახა მზეთუნახავმა: რისთვის მოსულხარო? ბიჭმა უთხრა: შენ წასაყვანად ვარ მოსულიო. უთხრა მზეთუნახავმა: სამჯერ უნდა დამემლო ისე, რომ მე ვერ დაგინახოვო; თუ ვერ დამემალე, თავს გააგდებინებ, სამი სახლი სულ კაცის თავებით მაქვს აშენებული, ერთი თავი მაკლიაო. წავიდა ეს ბიჭი და მოტრუსა ქორის ფთა. მოვიდა ქორი და ჰკითხა: რა გაგიჭირდაო? უთხრა ბიჭმა: ისე უნდა დამემლო, რომ მზეთუნახავმა ვერ დამინახოსო. დაისვა ქორმა ზურგზე ბიჭი, აიყვანა ცაში და ცაზე მიაკრა, ქვეიდან თითონ მიეფარა.

გათენდა დილა. დაიბანა ქალმა პირი, გაიხედა სარკეში და ხმელეთით დაინახა. მოვიდა ბიჭი და ჰკითხა: დამინახეო? როგორ არ დაგინახე, ცაში იყავი, ქვევიდან ქორი გეფარაო. — უთხრა მზეთუნახავმა, — წადი, დაიმალე კიდევო. წავიდა ბიჭი, მოტრუსა თევზის ფთა. მოვიდა თევზი და ჰკითხა, რა გაგიჭირდაო? ბიჭმა უთხრა: უნდა დამემლოო. დაისვა თევზმა ზურგზე, გაატარა თეთრი ზღვა, წითელ ზღვაში გავიდა, ერთს ლოდს ქვეშ ამოაფარა ბიჭი და თითონ ზედ მიეფარა.

გათენდა დილა. დაიბანა ქალმა პირი, გაიხედა სარკეში ზღვით,

დაინახა მაშინვე ბიჭი და სთქვა: ამ ეშმაკს აბა უყურეთ, თევზიც მე-
გობარი ჰყოლიაო. მოვიდა ბიჭი და ჰკითხა: დამინახეო? როგორ არ
დაგინახეო, — უთხრა მზეთუნახავმა, — თეთრი ზღვა გაგველო და
წითელ ზღვაში გასულიყავ, ერთს ლოდს ქვეშ ამოფარებულყავ და
აქედან თევზი გეფარა. უთხრა: ერთი კიდეც დაიმალო. მოტრუსა
ბიჭმა ირმის ბალანი. მოიჭრა ირემი და ჰკითხა: რა გაგიჭირდაო. ბიჭმა
უთხრა: უნდა დამმალოო. დასვა ირემმა ზურგზე: გაატარა ცხრა მთა,
მეათეზე მიიყვანა, ერთს კლდეც ქვეშ ამოაფარა და თვითონ მიეფა-
რა.

გათენდა დილა, დაიბანა ქალმა პირი, გაიხედა სარკეში, დაინახა
კლდეში ბიჭი. მივიდა ბიჭი და ჰკითხა: დამინახე, თუ არაო? რო-
გორ არ დაგინახეო, — უთხრა მზეთუნახავმა, — ცხრა მთას გადაგე-
ტარებინა, მეათე მთაზე ერთს კლდეში ამოფარებულყავ და აქედან
ირემი გეფარაო. მაშინ სთხოვა ბიჭმა: ერთს კიდეც დავიმალო. —
დაიმალო. — უთხრა ქალმა. მოტრუსა ბიჭმა მეღას ბალანი. მოიჭრა
მელა და ჰკითხა: რა გაგიჭირდაო? ბიჭმა უთხრა: არიქა, დამმალე,
თორემ თავს მაგდებინებს მზეთუნახავიო. დაისვა მელამ ზურგზე,
წაიყვანა, იმდენი ატარა, რომ საცა მზეთუნახავი იყო, იმის ფეხითთ
იატაკს ქვეშ ამოსვა.

გათენდა დილა. დაიბანა ქალმა პირი, ჩაიხედა სარკეში, გაიხედა
ცით, — ვერ დაინახა; გაიხედა ხმელეთით, — ვერ დაინახა, გაიხედა
ზღვით, — ვერ დაინახა. მოსწია სარკეს, გატეხა, ამოიღო მეორე სარ-
კე. გაიხედა კიდე, — ვერ დაინახა. გატეხა ისიც. ამოიღო მესამე,
გაიხედა და ვერ დაინახა. მოსწია ისიც, უნდა გაეტეხა, მაგრამ მო-
ახლემ უთხრა: ნუ სტეხამ მაგას, ეგ არის ჩვენი ცხოვრება, მიეცი
ღვთის ფიციო. მზეთუნახავმა გასძახა ბიჭს: მომიცია მალლა ღმერთი,
ძირს — დედამიწა, მე შენ არ გიმტყუნო, შენ ქმარი და მე ცოლი.
მაშინ ბიჭმა ჰკრა თავი, ამოანგრია იატაკი და ამოვიდა, ჰკითხა მზეთ-
უნახავმა: შენთვის გინდივარ, თუ სხვისთვისო? ბიჭმა უთხრა: დასაე-
ლეთის ხემწიფისთვისო.

წამოვიდნენ, მოვიდნენ ამ ხემწიფისთან. უთხრა მზეთუნახავმა ამ
ხემწიფეს: სამჯერ უნდა დამემალო, თუ ვერ დამემალე, თავი უნდა
გაგადებინოვო. წავიდა ეს ხემწიფე, უთხრა ნაზირ-ვეზირს, ახურში
ჩამაწვინეთო. ჩააწვინეს, ზევიდან ბზე დააყარეს და ცხენებს ქერი
დაუყარეს.

დილას დაიბანა პირი მზეთუნახავმა, გაიხედა სარკეში და დაიძახა:

არიქა, ჩქარა გამოიყვანეთ, გული გაუსკდება საცაა ამ ცხენების ში-
შითო. გამოვიდა ხემწიფე და ჰკითხა: დამინახეო? როგორ არ დაგინა-
ხე, ცხენის ახურში იწეპიო, უთხრა მზეთუნახავმა, — ორჯერ კიდე
დაიმალო. ხემწიფემ უთხრა ნაზირ-ვეზირს: შემიყვანეთ ცხრა ოთახ-
ში და დამაყარეთ, რაც ლოგინი მქონდესო.

დილას დაიბანა ქალმა პირი, გაიხედა სარკეში და დაიძახა: არიქა,
ჩქარა, გამოიყვანეთ, თორემ საცაა დაიხრჩობაო. გამოვიდა ხემწიფე
და ჰკითხა: დამინახე, თუ არაო? როგორ არ დაგინახე, ცხრა ოთახ-
ში იყავი, რაც ლოგინი გქონდა, ზედ გეყარაო, — უთხრა მზეთუნა-
ხავმა, — ერთი კიდე დამემალო. ეხლა ხემწიფემ უთხრა ნაზირ-
ვეზირს: ამოთხარეთ ნეხვი, ჩავეკდები შიგ, დამათარეთ გოდორი და
ზედ ნეხვი დამაყარეთო.

დილას დაიბანა ქალმა პირი, ჩაიხედა სარკეში, დაიანახა ხემწიფე
და დაიძახა: არიქა, უშველეთ, დაიხრჩობა, საცა არისო! გამოვიდა
ხემწიფე და ჰკითხა ქალს: დამინახე, თუ არაო? როგორ არ დაგინახე,
ნეხვში იხრჩობოდით, უთხრა ქალმა. შემოჰკრა ხმალი, გააგდებინა
თავი. ნაზირ-ვეზირი მოაბა ძუაზე რაშს და დააგლეჯინა, დარჩა ამ
ბიქს მზეთუნახავი და ეს სახემწიფო, მოიყვანა დედა და სცხოვრობ-
დნენ ერთად.

პირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

4. დევის სახვარელი და ამისი შვილი

იყო ღა არა იყო რა. იყო ერთი მარტოხელა კაცი. ყამდა სამი ქა-
ლი. მოუკვდა ცოლი და მეორე ცოლი მოიყვანა. ამ ცოლმა უთხრა:
ამ შენს შვილებს რამე აუტეხეო. ქმარმა უარი უთხრა. გაიარა ცოტა
ხანმა. აღარ მოეშვა ცოლი, — წაიყვანე სადმე ეს ქალები და გადა-
კარგეო. წავიდა ეს კაცი ტყეში, მივიდა ერთი ვაშლის ქვეშ, თხარა
ერთ კვირეს და ამოთხარა დიდი ხარო. მოწყვიტა სამი ვაშლი და
მოუტანა შვილებს. უთხრეს შვილებმა: მამა, ამ ვაშლის ქვეშ წაგვი-
ყვანეო. წავიდეთ ხვალ, შვილებო. უთხრა მამამ. ცოლს უთხრა: ცო-
ტა პურები გამოაცხე, წავიდებ და ჩაუყური მაინცო. ადგა ცოლი,

გამსო გულა წივით და ზევიდამ სამი პური მოაწყო. გათენდა დილა, აიკიდა კაცმა ეს გულა და უთხრა შვილებს: წავიდეთ, ფარდაგიც წამოიღეთო. მივიდნენ იმ ვაშლის ქვეშ, გადაათარა ფარდაგი მამამ ხაროზე, ავიდა ვაშლზე და შვილებს უთხრა: ფარდაგზე ჯერ ნუ შესდგებით, ვაშლს რომ ჩამოვყრი, მერე ერთბაშად შესდევით და ავკრიფოთო. დაბერტყა ვაშლი, ჩამოვიდა ძირს და უთხრა: აბა, შვილებო, უცებ შესდევით, თორემ მოგვისწრებს ვინმეო. შესხდნენ სამთავენი და ჩაკვიდნენ ხაროში. მოხსნა მამამ გულას თავი, დახედა, ნახა წივა და შვილებს ჩასძახა: რა ვქნა, თქვენი ცოდო ზილოს თქვენმა დედინაცვალმაო, და წამოვიდა შინ.

მოშივდათ ხაროში ქალებს. თქვეს: მოდიო, დებო, ნეკები დავიჭრათ, რომლისაც ტბილი იყვეს, ის შევსკამოთო. დაიჭრეს სამთავებმა ნეკები, ნახეს გემოთი და ერთმანეთში ვერ გამოარჩიეს. ინატრა უფროსმა: ცალი ხელი ბარათ მიქცია, მეორე ნიბათო! ექცა ორთავე ისრე, როგორც ინატრა. თხარა, თხარა ამ ქალმა მიწა და ჩავიდა ქვესკნელში, მივიდა ერთ ბებერთან. შეიყვანა სახლში ბებერმა და მოუტანა პური. ქალი ერთ ლუქმას თითონ შესკამს, ერთ ლუქმას მარჯვენა მუხლზე დაიდებს და ერთ ლუქმას მარცხენაზე. ჰკითხა ბებერმა: რათ შევები მაგასო? ქალმა უთხრა: ორი და მყავს, ამა და ამ ადგილას და იმათთვის ვდებო. წადი და მოიყვანეო, უთხრა ბებერმა. წავიდა ეს ქალი და მოიყვანა დები.

გაიგო ერთმა ხემწიფის შვილმა, — ერთი ბებრისას სამი მზეთუნახავიაო. მივიდა, ნახა ქალები და ჰკითხა: რა ხელობა იცითო? უფროსმა უთხრა: მე მოვექსოვ იმისთანა ხალიხას, რომ შენი სახემწიფო ზედ დასხა, ნახევარი ხალიხა კიდევ მორჩესო. შუათანამ უთხრა: კვერცხის ხეჭუჭში იმისთანა საკმელს გავაკეთებ, შენი სახემწიფო რომ დაჰპატავო, ნახევარი კიდევ მორჩესო. უნცროსმა უთხრა: ბატონო, მე ვერაფერს გეტყვიო. ხემწიფის შვილი არ დასჯერდა: არ იქნება, უნდა სთქვაო. მაშინ უთხრა ამ უნცროსმა: მე არა ვიცი რა, მხოლოდ ვინც შემირთავს, რომ დავორსულდები, ვაჟი იქნება, თუ ქალი, ოქროს ქოჩრიანი იქნებაო. გაეხარდა ხემწიფის შვილს და დაიწერა ამაზე ჯვარი. წაიყვანა სამთავე დები.

წავიდა ამ ხემწიფის შვილი ომში, დასტოვა ცოლი ორსულად და სახლში დაუბარა: ჩემს ცოლს რაც ეყოლოს, მომწერეთო. ეყოლა ოქროს ქოჩრიანი ვაჟი. მისწერეს ამ დებმა: შენსა ია ჩახათუნსა ძაღლის ლეკვი ეყოლაო. ხემწიფის შვილმა მოიწერა იქიდან: მანამ

მე მოვიდოდე, დედა და შვილი თონეში დასწვითო. ვერ გაიმეტეს ნაზირ-ვეზირებმა დასაწვავად, წაიყვანეს ერთ მთაში და იქ გაუშვეს. შემდეგ გაახურეს თონე, ჩააგდეს შიგ ლორი და დაახვედრეს ხემწიფეს.

გაიზარდა მთაში ეს ყმაწვილი. ერთ დღეს სთხოვა დედას: შვილდ-ისარი მინდაო. დედამ უთხრა: წაიღე ეს ბეჭედი, ჩადი ამა და ამ ხემწიფესთან, შეუგზავნე ბეჭედი და შვილდ-ისარი სთხოვეო. წავიდა ბიჭი, შეუგზავნა ბეჭედი. უთხრეს ხემწიფეს. ერთი ბიჭი მოვიდა, ეს ბეჭედი მოიტანა, შვილდ-ისარს თხოულობსო. ხემწიფემ ბრძანა: გაუტანეთ ეგ ბეჭედი და შვილდ-ისარიც წაიღოსო. წაიღო ბიჭმა, ავიდა დედასთან. იწყო ნადირობა, მოლონიერდა და აღარ არგო ამ შვილდ-ისარმა. უთხრა კიდე დედას: ერთი ბეჭედი კიდე გამატანეო. მისცა დედამ. წაიღო ბიჭმა, ჩავიდა იმ ხემწიფესთან, შეუგზავნა ბეჭედი. უთხრეს ხემწიფეს: ერთი ბიჭი მოვიდა, ეს ბეჭედი მოიტანა, შვილდ-ისარს თხოულობსო. ბრძანა ხემწიფემ: გაუტანეთ ეგ ბეჭედი და შვილდ-ისარიც მიეცითო. წაიღო ბიჭმა შვილდ-ისარი, ავიდა დედასთან. ინადირა ცოტა ხანი. მოლონიერდა და აღარ არგო ამ შვილდ-ისარმა. მოვიდა და სთხოვა დედას: ბეჭედი მამე კიდე, ჩავიდე და ვსთხოვო კიდე შვილდ-ისარიო. მისცა დედამ. წავიდა ბიჭი, ჩავიდა და შეუგზავნა ეს ბეჭედი ხემწიფეს. მოახსენეს ხემწიფეს: მოვიდა კიდე ის ბიჭი და კიდე შვილდ-ისარს თხოულობსო. აიღეთ და მიეცითო, უთხრა ხემწიფემ. მიიყვანეს ეს ბიჭი, აიღო შვილდ-ისარი, მისწი-მოსწია და დაანტერია. შეუვიდა ხემწიფეს ამბავი: ის შვილდ-ისარი დაანტერიაო. უთხრა ხემწიფემ: წაიყვანეთ ჩემს ქალაქში, როგორიც უნდოდეს, იმისთანა გაუკეთეთო. წაიყვანეს მკედელთან. უთხრა ბიჭმა მკედელს: სამფუთიანი გააკეთეო. გაუკეთა მკედელმა. მისწი-მოსწია, დაანტერია. უთხრა: გააკეთე ექვსფუთიანიო. გაუკეთა. მისწი-მოსწია ბიჭმა და ცოტა დაღმბიჭა. აიღო და წავიდა.

გაისროლა ბიჭმა ეს შვილდ-ისარი ერთს მთაში, მოხვდა ერთს კლდეს. ააყენა კლდე მალა და იქიდან ორი რაღაცა გამოვარდა. მოვიდა და დედას უთხრა: დედა, ერთს ადგილას ერთი კლდე ავაყენე და რაღაცა გამოვარდაო. დედამ უთხრა: შვილო, არაფერი იქნებოდარო. წავიდა, კიდე ბიჭი სანადიროდ, გაისროლა შვილდ-ისარი. წავიდა ეს შვილდ-ისარი და ჩაეცო ცხრა ძმის ღვევის სახლში. უფროსმა ღვემა უთხრა უნცროსს: მოდი, ბიჭო, და ეს შვილდ-ისარი გადა-

ავდლო. მოჰკიდა ხელი უნცროსმა, მაგრამ ვერ გაანძრია, ადგნენ დევები, ცხრავე, — ვერც ერთმა ვერ ამოიღო. გადაცვივდნენ შიშით დევები, — მარტო ერთი დარჩა, ოთახში დაიმალა. მივიდა ეს ბიჭი, დაავლო ხელი შვილდ-ისარს და ნეკით ამოაძრო. მიიხედ-მოიხედა, მოეწონა სახლი, წამოვიდა, უთხრა დედას: ერთ ალაგს კარგი სახლი ვნახე, იქ წავიდეთო. მოიყვანა დედა დევების სახლში და იქ დასახლდა.

წავიდა ბიჭი კიდე სანადიროდ. გამოჩნდა დამალული დევი და ამ ბიჭის დედა შეიყვარა. ერთს ღღეს დედაკაცმა უთხრა დევს: ჩემს შვილს მოვუხერხოთ რამე, თორემ გაგვიგებსო. დევმა უთხრა: მაგას ნუ გამიმხელ, იგი ძალიან ღონიერია, იმის მომკვლელი არავინ არისო. დედაკაცმა არ დაიშალა: შენ გეცოდინება რამეო. მემრე ასწავლა დევმა: მოიავანტყოფე თავი და უთხარი, — ერთ ადგილას ერთი ტახია, თუ იმის გულ-ღვიძლს მამიტან, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. ის ტახი იმას მოჰკლავსო. მოვიდა შვილი, ნახა, დედა ავად არის, ჰკითხა: რათა ხარ ავადო? შვილო, — უთხრა დედამ, — ერთ ადგილას ერთ ტახს აქებენ, თუ იმის გულ-ღვიძლს მომიტან მოვრჩები, თუ არა — მოვკვდებიო. ოღონდ, დედა, კარგად იყავ და მოვკვდები თუ მოვრჩები, მოგიტანო, უთხრა შვილმა. წავიდა ბიჭი იმ მთაში, საცა ის ღორი იყო. შემოუტია ღორმა, ჰკრა შვილდ-ისარი. გააპო შუაზე, ამოიღო გულ-ღვიძლი, მოსჭრა თავიც და წამოიღო, შინ რომ მოვიდა, უთხრა დედას: აპა, დედაჩემო, გულ-ღვიძლს ამბობდი და მე თავიც მოგიტანეო.

წავიდა კიდე სანადიროდ. დედაკაცმა უთხრა დევს: მოვუხერხოთ რამე ჩემს შვილსო. დევმა უთხრა: თავი დამანებე, არ გამიგოს, თორემ მეც მაკლამსო. აღარ მოეშვა დედაკაცი, — გეცოდინება რამეო. მაშინ დევმა ასწავლა: უთხარი, — ერთ ადგილას არწივის ფაშკუნჯი შვილგებს უჭამს; თუ იმ არწივის გულ-ღვიძლს მამიტან, ხომ მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. მოსთხოვა ეს დედამ შვილს. წავიდა შვილი და მივიდა არწივის ბარტყებთან. წამოვიდა ფაშკუნჯი ბარტყების შესაქმელად. ჰკრა ბიჭმა შვილდ-ისარი და მოჰკლა ფაშკუნჯი. დაიღალა და დაეძინა. ჩამოფრინდნენ არწივის ბარტყები და ფრთებით დაუჩეროვეს. მოვიდა არწივი. გაელვიდა ბიჭს. ჰკრა შვილდ-ისარო და მოჰკლა არწივი. ამოიღო გულ-ღვიძლი, ეს ბარტყებიც წამოიყვანა და წამოვიდა. მოვიდა დედასთან და უთხრა: აპა, დედაჩემო, გულ-ღვიძლს ამბობდი და მე ბარტყებიც მოგიყვანეო.

წავიდა კიდევ ბიჭი სანადიროდ. უთხრა დედაკაცმა დევს: ვერაფერი მოვუხერხებთო? დევმა უთხრა: ერთ ადგილას ერთი თავის-საბანი მიწა არის, როგორც მივა იქა და მოთხრის, დაბრმავდებაო. შვილი რომ მოვიდა, დედამ უთხრა: ამა და ამ ალაგას თავის საბანი მიწა არის, თუ იმას მამიტან, თუ არა — მოგვკვდებიო. წავიდა ბიჭი, წაიყვანა თან არწივის ბარტყები, მივიდა იმ მიწასთან, დაუწყო თხრა, ჩამოუვიდა ოფლი და დაბრმავდა. დაჯდა. მოდიან ჩალვად-რები გზაში. კაცის ხმა რომ გაიგონა, ეს ბიჭი შეეხვეწა: მეც წამიყვანეთო. იმათ უთხრეს: რა შენი ჯავრი გვაქვს, მტრისა გვეშინია, ჩქარა მივდივართო. ადგა ეს ბრმა, გამოუდგა იმათ ფეხის ხმას და მიდის. დაუღამდათ. შეიქნა შუალამე. დაეხა მტერი. დაუძახა ამ ბრმამ თავის არწივის ბარტყებს: აბა, ბარტყებო! წამოცვიდნენ ეს ბარტყები, დაერთენ მტერს და გაწყვიტეს სულა.

გათენდა დილა, წამოვიდნენ. წამოჰყვა ეს ბრმა უკან ამ ჩალვად-რებს. ჩამოვიდნენ ერთ ქალაქში. აქ ჰკითხეს ამ ჩალვადრებს: ა იმ ბარტყებს ხომ არ გაყიდითო? ჩალვადრებმა უთხრეს: ჩვენ საქმე არ არის, ა იმ ბრმისა არისო. ამ დროს გამოვიდა ხემწიფის ქალიშვილი, მზეთუნახავი, გადაეხვია ამ ბრმას და დაკოცნა. უთხრა მამას: მე ამის მეტი არავინ მინდაო, თუ მიმცემთ ამას, თვარა თავს მოვიკლამო. მამამ უთხრა: შვილო, ეგ რათ გინდა, ბრმა კაციო. აღარა ქნა ქალმა, უთხრა მამას: მე რომ კლდეში ეშმაკისგან ვიყავი დაქერილი, ამან გამომიყვანა თავის ისრითაო. დასწერა ხემწიფემ ჯვარი ამ ბრმაზე და გაუკეთა საწოლი ერთი ალვის ხის ქვეშ, კარებთან. იქ იყო ხშირად ბრმა წამოწოლილი.

ერთ დღეს შემოჯდა ალვის ხეზე სამი მტრედი. სთქვეს ამ მტრედებმა: საწყალი! დედას რომ უღალატნია. ეს რომ ჩვენს სიტყვას გაიგონებდეს და გაიბრუნებდეს ხელს, აათლიდეს ხელუკუღმა ამ ალვის ხეს ქერქს და მოისვამდეს თვალებზე, თვალები აეხილებაო. გაიბრუნა ხელი ბიჭმა და აათალა ალვის ხეს ხელუკუღმა, მოისვა თვალებზე და აეხილა. მიუვიდა მახარობელი ხემწიფეს: თქვენს სიძეს თვალები აეხილაო. მივიდა სიძე. გაეხარდა ხემწიფეს და ხელმეორედ ქორწილი გადაიხადა.

იყიდა ამ ბიჭმა საწვრიმალო და წავიდა დედასთან. მივიდა და დაიძახა: საწვრიმალო არ გინდათო? დაუძახა დედამ, შეიყვანა, აიღო საწვრიმალო. ბიჭმა უთხრა: რამდენიც გინდა აიღე, ოღონდ ა ის რკინა მამეციტ, მანდ რო გდიაო. დედაკაცმა უთხრა: წაიღე,

თუკი მოერევი; ერთი შვილი მყავდა, იმის დანატოვარიაო. აილო ბიჭმა ის შვილდ-ისარი და დაიძახა: ხარსა თუ ფურსაო? დევმა უთხრა: ხარს რას ერჩი, — ფურსაო. ჰკრა ბიჭმა ძსარი დევსა და წაწყვიტა კისერი. წაიყვანა დედა, მიიყვანა თავის სიამართან და ცხოვრობდნენ ერთად.

5. ხემწიფის შვილი და კოსა მინონგურა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ხემწიფე, მყავდა სამი ვაჟიშვილი. მოვიდა იმის სიკვდილის დღე და ანდერძი დაუგდო შვილებს: სამი ძმა ხართ, სამ ღამეს მითიეთო. მოკვდა ეს ხემწიფე. დაასაფლავეს. უთხრა ძმებს უმცროსმა ძმამ: ძმებო, ვუყარაულოთ, ნუ გაეტეხამთ მამიჩვენის ანდერძსო. ძმებმა უთხრეს: საქმე არა გვაქვს, თუ გინდა წადი და შენ უყარაულო. წავიდა უმცროსი ძმა. უყარაულა. შუალამე რომ შეიქნა, მოვიდა ერთი კაცი თეთრი ცხენით, თეთრი ტანისამოსით. ცოცხალს ვერ ვერეოდი, მკვდარს მაინც მოვერევიო. მაშინ გამოჩნდა ხემწიფის შვილი. გადმოხტა ცხენიდან ეს კაციც. დაიტაკნენ. მოერია ხემწიფის შვილი, მიჩეხ-მოჩეხა, დააყენა ხორა, ტანისამოსი გახადა და წაშლილო, რაში წამოიყვანა, შეიყვანა ოთახში და დააბა.

გათენდა დილა. უთხრა უმცროსმა ძმებს: წადით, ძმებო, ეხლა თქვენ უყარაულოთ ორ ღამესო. ძმებმა უთხრეს: თუ საქმე არა გვაქვს. წადი და უყარაულო. წავიდა უმცროსი და უყარაულა. შეიქნა შუალამე. მოვიდა ერთი კაცი წითელი რაშით. წითელი ტანისამოსით, წითელი იარაღით შემოსილი. სთქვა ამ კაცმა: ცოცხალს ვერ ვერეოდი, მკვდარს მაინც მოვერევიო. მაშინ გამოჩნდა ხემწიფის შვილი, გადმოხტა ცხენიდან ეს კაციც. დაიტაკნენ. მოერია ხემწიფის შვილი. მიჩეხ-მოჩეხა, დააყენა ხორა. ტანისამოსი გახადა და წაშლილო. რაში წამოიყვანა, შეიყვანა ოთახში და დააბა.

გათენდა დილა. უთხრა ძმებს: წადით, ძმებო, ერთ ღამეს მაინც უყარაულოთ. ძმებმა უთხრეს: თუ საქმე არა გვაქვს, წადი და უყარაულო. წავიდა უმცროსი კიდევ მესამე ღამეს და უყარაულა. შუალამე რომ შეიქნა, მოვიდა შავი კაცი შავი ტანისამოსით, შავი

რამით, შავი იარაღით. სთქვა ამ კაცმა: ცოცხალს ვერ გერეოდი, მკვლარს მაინც მოგერევიო. გამოუჩნდა ხემწიფის შვილი, გადმოხტა ცხენილამ ის კაციც. დაიტაკნენ. მოერიო ხემწიფის შვილი. მიჩეხ-მოჩეხა, დააყენა ხორა, წამოიყვანა რაში, იარაღი და ტანისამოსი წამოიღო და რაში რაშებთან დააბა.

ერთ ხემწიფეს ციხეში სამი მზეთუნახავი ჰყამდა. გამოაცხადა ამ ხემწიფემ: ვინც გადაახტუნებს ცხენს იმ კოშკში და ამოიყვანს მზეთუნახავს, იმისი იყვესო. მიდის მრავალი ხალხი. ხემწიფის უფროსი შვილებიც, ორივე, ვარდებიან ვალში, ყიდულობენ ცხენებს და მიდიან. უმცროსმა ძმამ სთხოვა, მეც წამოიყვანეთო, მაგრამ ძმებმა უთხრეს: შენმა სიცოცხლემ, შენისთანები არიან იქა, რომ ვერ იტაცებენო. წავიდნენ ეს ძმები. შეჯდა უმცროსი ძმა თეთრ რაშზე. შეიკმაზა თეთრად. მივიდა თუ არა, გადაახტუნა რაში ციხეში და ამოიტაცა მზეთუნახავი, მოიყვანა შინ და დასვა ოთახში. მოვიდნენ ძმები, ჩაჰკრეს უმცროსს თავში: შენმა სიცოცხლემ, შენისთანა იყო, რომ მოიტაცა დღეს მზეთუნახავიო!

წავიდნენ კიდე მეორე დღეს უფროსი ძმები. შეიკმაზა უმცროსი ძმა წითლათ, შეჯდა წითელ რაშზე და წავიდა. მივიდა თუ არა, გადახტა ციხეში, ამოიყვანა მზეთუნახავი, მოიყვანა სახლში და დასვა ოთახში. მოვიდნენ ძმები, ჩაჰკრეს უმცროსს თავში: შენმა სიცოცხლემ, შენისთანა იყო, რომ დღეს მოიტაცა მზეთუნახავიო.

გათენდა დილა. წავიდნენ კიდე უფროსი ძმები. კიდე შეიკმაზა უმცროსი ძმა შავი ტანისამოსით, შეჯდა შავ რაშზე. მივიდა, გადახტა ციხეში და ამოიყვანა მზეთუნახავი, წამოიყვანა და დასვა ოთახში. მოვიდნენ უფროსი ძმები და ჩაჰკრეს უმცროს ძმას თავში: შენმა მზემ, შენისთანა იყო, დღეს რომ მზეთუნახავი მოიტაცაო.

შეიყვანა უმცროსმა ძმამ ოთახში უფროსი ძმა, მისცა უფროსი და და თეთრი რაში თავის ტანისამოსით. შეიყვანა შუათანა ძმა, მისცა შუათანა და, წითელი რაში და წითელი ტანისამოსი. თითონ შეირთო უმცროსი და, გადაახადეს ქორწილი.

ანდერძათ კიდე ეს დაუგდო მამამ ამ სამ ძმას, რომ თუ ძალიან შორს არ იყვეთ და თქვენს სახლს მოატანდეთ, ღამე არსად დადგეთო. ერთ დღეს უმცროსი ძმა მგზავრათ წავიდა და ღამე კარში დარჩა. ამ დროს მოვიდა ძმების სახლში ერთი კოჭლი ქოსა მეჩონგურე. ძმებმა ყურით არ უგდეს უმცროსი ძმის ცოლს შურით, რად-

გან უმცროსის ცოლი იმათ ცოლებზე ბევრათ ლამაზი იყო. ქოსა მეჩონგურემ მოიტაცა და წაიყვანა ეს მზეთუნახავი.

მეორე დღეს მოვიდა ქმარი. ბევრი იცა თავში და ბევრი იტირა. მერმე ადგა, საში და ჰყამდა გათხოვილი და იმათთან წავიდა. ერთი და ჰყამდა დევს, ერთი არწივს და ერთი გველეშაპს. იარა, იარა და მოვიდა დევისას, შევიდა დევის ეზოში. იქ ერთი წყარო იყო და იმ წყაროსთან დაჯდა. ჩამოვიდა მოახლე, ჩამოიტანა ვერცხლის სურა და აამსო წყალით. ხემწიფის შვილმა უთხრა: ქალო, ქალო, ერთი წყალი დამალევენო. მიუტანა ქალმა. იმან მოიყუდა, წაიძრო ხელიდამ ბექედი და ჩააგდო სურაში. აუტანა მოახლემ წყალი ქალბატონს და დააბანინა პირი, რომ დაუშრა წყალი, მუქში ბექედი ჩაუვარდა. იცნო ქალმა თავის ძმის ბექედი და იკივლა: ეს ბექედი სად იყოვო? რა მოგახსენოთო, მოახლემ უთხრა, ერთი ყმაწვილი კაცი იჯდა წყაროზე, მთხოვა, წყალი დამალევენო; მოვუტანე და დალიაო. წადი და უთხარი, აქ ამოვიდესო, უთხრა ქალმა. წავიდა მოახლე და მოიყვანა ყმაწვილი. მოეხვიენ ერთმანეთს ეს და-ძმანი, ილხინეს, იმხიარულეს სალამომდინ. სალამომ რომ მოატანა, დაჯდა და დაიწყო ტირილი. ჰკითხა ძმამ: რა გატირებსო? როგორ რა მატირებს, მოვა ჩემი ქმარი ნადირობიდამ და შეგკამსო. დამმალეო, უთხრა ძმამ, და დამალა დამ.

სალამოს მოვიდა დევი. ადამიანის სუნი დისო, დაიძახა. ადამიანი სად არისო, — ცოლმა უთხრა, — რა ჩემი ძმები მოვიდოდნენო. სთქვიო, — დევმა უთხრა, — თუ უფროსი შენი ძმა არის, თავს მოვსკრიო, თუ შუათანა არის, შუაზე გავსკრიო, თუ უმცროსია, თავზე დავისვამ და ისე ვალხენო. გამოიყვანა ქალმა ძმა. მიესალმენ ერთმანეთს. შესჩივლა ხემწიფის შვილმა თავის სიძეს: კოჭლმა ქოსა მეჩონგურემ ცოლი მომტაცაო. ძრიელ შესწუხდა დევი და უთხრა: მე ვერაფერს გიშველი და ჩემს ქვისლთან წადი, არწივთან, იქნებ იმან რამე გიშველოსო.

წავიდა ხემწიფის შვილი. იქაც მივიდა და წყაროზე დაჯდა. ჩამოვიდა მოახლე ვერცხლის სურით. სთხოვა ყმაწვილმა, ერთი წყალი დამალევენო. მიუტანა მოახლემ სურა. იმან მოიყუდა, წაიძრო ხელიდამ ბექედი და ჩააგდო შიგ. აუტანა მოახლემ ქალბატონს წყალი და პირი დააბანინა. გადმოვარდა ბექედი და ქალს მუქში ჩაუვარდა. იკივლა ქალმა: ეს ბექედი სად იყოვო? მოახლემ უთხრა: ერთი ყმაწვილი არის წყაროზე და იმან მთხოვა სურა, — წყალი

დამალევინეო. წადი, უთხარი აქ ამოვიდეს, ჩემი ძმა იქნებაო, ქალმა უთხრა. მოიყვანა მოახლემ. მოეხვიენ ერთმანეთს და-ძმა. საღამომდინ ილხინეს, იმხიარულეს. მოატანა საღამომ. დაჯდა ქალი და ტირის. დავო, რა გატირებსო? ჰკითხა ძმამ. როგორ რა მატირებსო, — ქალმა უთხრა, — მოვა ჩემი ქმარი არწივი, სანადიროთ არის წასული, და შეგკამსო. დამმალეო, ძმამ უთხრა, და დამალა დამ.

საღამოს მოვიდა არწივი და ჰკითხა ცოლს: ადამიანის სუნი დის და დღეს აქ ვინ მოვიდაო? ცოლმა უთხრა: რა ჩემი ძმები მოვიდოდნენო? არა, მითხარო, — არწივმა უთხრა, — თუ უფროსია, თავს მოვსჭრიო, თუ შუათანა არის, შუაზე გავსჭრიო, თუ უმცროსია, თავზე დავისვამ და ისე ვალბენო. მაშინ გამოიყვანა ქალმა ძმა. მოეხვიენ სიძე-ცოლისძმა ერთმანეთს. შესჩივლა ხემწიფის შვილმა თავისი მწუხარება: კოკლმა მეჩონგურემ ცოლი მომტაცაო. განა არა, დავინახე, იმ წყეულს რომ მიჰყამდაო, უთხრა არწივმა. მე ვერაფერს გიშველი, ჩემს ქვისლთან წადი, გველეშაბთანო.

წავიდა ხემწიფის შვილი იქაც, მოვიდა ეზოში და წყაროზე დაჯდა. ჩამოვიდა მოახლე ვერცხლის სურით, აავსო წყალთ. ხემწიფის შვილმა სთხოვა: ქალო, ერთი წყალი დამალევინეო. მიუტანა მოახლემ სურა, იმან მოიყუდა, წაიძრო ხელიდამ ბეჭედი და ჩააგდო შიგ. აუტანა მოახლემ ქალბატონს წყალი და პირი დააბანინა. ჩაუვარდა ქალს მუკში ბეჭედი. იკვლა ქალმა: ეს ბეჭედი სად იყოვო? რა მოგახსენოთო, — მოახლემ უთხრა, — ერთი მშვენიერი ყმაწვილი ზის წყაროზე და იმან წყალი მთხოვაო. წადი, უთხარ, აქ ამოვიდესო, ქალმა უთხრა. ამოვიდა ყმაწვილი, მოეხვიენ და-ძმა ერთმანეთს, იმხიარულეს. მოატანა საღამომ, მაშინ დაჯდა ქალი და დაიწყო ტირილი. დავო, რა გატირებსო? — ჰკითხა ძმამ: როგორ რა მატირებსო, დამ უთხრა, სანადიროთ არის ჩემი ქმარი წასული, მოვა საღამოზე და შეგკამსო. დამმალეო, უთხრა ძმამ. დამ დამალა.

მოვიდა საღამოს გველეშაბი: ქალო, ადამიანის სუნი დის, სად ვინ არისო? ქალმა უთხრა: რა ჩემი ძმები მოვიდოდნენ აქ. შენის შიშითო? არაო, იმან უთხრა, სწორეთ უნდა მითხრა, ადამიანის სუნი დისო. თუ შენი უფროსი ძმაა, თავს მოვსჭრიო, თუ შუათანა არის, შუაზე გავსჭრიო, თუ უმცროსია, თავზე დავისვამ და ისე ვალბენო. მაშინ გამოუყვანა ქალმა ძმა. მოეხვიენ ერთმანეთს სიძე-ცოლისძმა, გადაჰკოცნეს, ილხინეს, იმხიარულეს. შესჩივლა ხემწიფის შვილმა სიძეს თავისი მწუხარება: ქოსა მეჩონგურემ ცოლი

მომტაცა და იქნება რამე მიშველოვო. ა ის წყეულო, — უთხრა ჯადემ, — იმას ვერაფრით ვერ წაართმევო. იმას სამფეხა ზღვის ცხენი ჰყამს, თუ შენ ოთხფეხა ზღვის ცხენს იშოვი, შეიძლება წაართვაო. წელიწადში ერთხელ ზღვიდან ერთი ცხენი გამოვარდება, დაიჭიხვინებს და მოიგებს კვაცს. თუ უეცრათ არ წაართვი კვიცი და მგლებს ცხვრები არ გადაუყარე, მგლები მიდარაჯებულები არიან და შაშინვე შესჭამენ. კოკლ მეჩონგურეს ველარ მოუსწვრია და ერთი ფეხი მის ცხენისათვის მგლებს მოუჭამიათ და შენ თუ ოთხფეხას იშოვი, შენ აჯობებო. მალე კი უნდა ეცადო, იმას სამი თვის ძილი სჭირს და მანამ გამოელვძებოდეს, მოასწარო.

წავიდა მამინვე ხემწიფის შვილი. როგორც გველეშაპმა დაარია, ისე იშოვა ის ზღვის ცხენი. წამოვიდა, ბევრი იარა, მოვიდა ქოსა მეჩონგურისას. მიიპარა, ნახა თავისი ცოლი. ჰკითხა ყველაფერი ამბავი. ცოლმა უთხრა: ამ წყეულს სამი თვის ძილი სჭირს. ორი დღე აკლია კიდე გაღვიძებას და მოგკლამს, თუ ჩქარა არ წავედითო. გამოიყვანა ხემწიფის შვილმა ცოლი, შემოისვა ცხენს უკან და გამოსწიეს.

გამოიღვიძა მეორე დღეს ქოსა მეჩონგურემ. ნახა, რომ მზეთუნახავი აღარ არის. შეჯდა თავის სამფეხა ცხენზე და გამოუდგა. უთხრა ხემწიფის შვილმა თავის ცოლს: აბა მოიხედე, იმ წყეულს ხომ არ გამოიღვიძებია და ხომ არ მოგვედევსო. მიიხედა ცოლმა და უთხრა: ბუზისტოლა მოჩამსო. გამოიარეს რამოდენიმე გზა. აბა კიდე მიიხედეო, ქმარმა უთხრა. აი მოგვეწიო, უპასუხა ცოლმა. როგორც კი მოვიდა ახლოს ქოსა მეჩონგურე, ხემწიფის შვილის ცხენმა ესროლა წიხლები და მოჰკლა. გადახტა ხემწიფის შვილი. სამფეხა ცხენზე თავისი ცოლი შესვა და წამოვიდნენ. მოვიდნენ მშვიდობით სახლში.

ქირი იქა, ლხინი აქა.
სამი ვაშლი, სამი ბროწეული,
ღმერთმა ნუ მოგაკლათ,
თქვენი ხელით მოწეული.

6. ხემწიფის ცოლი და მოღალატე ქალუა

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი დარიბი ცოლ-ქმარი. არ ჰყამდათ შვილი და ძალიან გვიან მიეცათ ერთი ქალი. დასწერეს ბედისმწერლებმა, რაც ამ ქალს თავს გადახლებოდა. ერთმა ბედისმწერალმა სთქვა: რამდენჯერ ამ ქალმა პირი დაიბანოს, იმდენი თავის ზელპირის ნაბანი ოქროთა და ვერცხლად ექცესო. მეორემ სთქვა: ხემწიფემ შეირთოს და ძალუამ უღალატოსო. მესამემ სთქვა: ერთი უკვდავების კრიალოსანი გაუჩნდეს ხელში და ბოლოს ისევ იმან უშველოს და ისევ ხემწიფის ცოლად დარჩესო.

გაიზარდა ქალი, გავარდა ამ ქვეყანაში ხმა, რომ ამა და ამ დარიბმა კაცს მეტად მშვენიერი ქალი ჰყამს და რამდენიც პირსა და ხელს დაიბანს, იმდენი პირინაბანი ოქროთა და ვერცხლად ექცევაო. გაიგო ეს ხემწიფემ და მივიდა იმ ქალის დედ-მამასთან თავის ფეხით და სთხოვა ის ქალი. დედ-მამამ უთხრა: გვცდიეთ, ბატონო, თორემ ჩვენს ქალს როგორ შეირთამთო. ხემწიფემ უბძანა: სწორეთ იმიტომ მოვედი, რომ უნდა თქვენი ქალი შევირთოვო, თუ არ შევირთე, არ იქნებაო. მისცა ნება დედ-მამამ, დაიწერა ჯვარი ხემწიფემ და წაიყვანა ქალი.

წაპყვა ამ ქალს ძალუა და ამ ძალუასაც ქალი ჰყამდა გასათხოვარი. ძალუა დადეთ გაპყვა და თავისი გასათხოვარი ქალიც ჩუმად მიპყამს, რომ ხემწიფემ და მისმა ცოლმა არ გაიგონ. გაიარეს რამდენიმე გზა, და გადახტა დასასვენებლად ხემწიფე. ძალუამ უთხრა ხემწიფის ცოლს: პატარაზე ჩვენც გავიაროთო. გაიარეს, გადიყვანა ხემწიფის ცოლი ტყეში, თვალეზი დასთხარა, კრიალოსანი გადააძრო ყელიდან, თავის ქალს ჩამოჰკიდა და წამოიყვანა. მოუსვა ხემწიფეს ცოლად. წავიდნენ, მივიდნენ სახლში და მიიყვანეს ეს ქალიც.

დარჩა თვალეზდათხრილი ქალი ტყეში, ზის და სტირის. გაიშო კალთა და იქაურობა ოქროთი და ვერცხლით, პატრონი არავინ არის. ამ დროს მოდის ერთი მგზავრი ბერიკაცი, და წაადგა ამ ქალს, რო ასე საცოდავად სტირის და ოქროში და ვერცხლში ზის. ამ კაცმა უთხრა ქალს: რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ მაგრე მარტო ხარ და სტირი და პატრონი არავინ გყამსო. ქალმა უთხრა: ვინა ხარ, კრიალტიანი, მიშველე და წამიყვანე და გაგავსებ საცხოვრებელითო. წავი-

და მაშინვე ეს ბერიკაცი, ურემი ჩამოუტანა, დასვა ურემზე ამ თავის ოქრო-ვერცხლიანათ და წაიყვანა თავის სახლში.

უთხრა ქალმა ბერიკაცს: მე მალე მოვკვდები. როცა მოვკვდე, არ დამმარხო. მშვენიერი კუბო გამიკეთე, ჩამასვენე შიგ და ამა და ამ მთაზე ამიტანე და დამდგო. მოკვდა ქალი. ამ ბერიკაცმა გაუკეთა მშვენიერი კუბო, ჩაასვენა და რომელ მთაზედაც უთხრა, იქ აიტანა და დადგა.

ხემწიფემ ნახა თავის ცოლი, რომ არც ისე მშვენიერია, არც, პირს რომ დაიბანს, მისი ნაბანი ოქროდ და ვერცხლად არ იქცევა. გლოვობს ხემწიფე თავის დედ-მამით, არის ერთს მწუხარებაში და ფიქრში.

სთხოვა ხემწიფეს თავის დედამ: აგრე დარდიანათ ხარ, შვილო, და წადი სანადიროთო. წავიდა ხემწიფე სანადიროთ თავის ნაზირ-ვეზირით, ავიდა ერთს მთაზედ და დაინახა, რომ მეორე მთაზე რალაყა ბრჭყვინავს. გაუკვირდა, მაგრამ ვერ გაბედა, რომ გასულიყო და ენახა. მოვიდა შინ და უთხრა დედ-მამას: ერთს მთაში ამისთანა რალაც დავინახე და ვერ გავბედე მისვლა და ნახეაო. წადიო, — უთხრა დედ-მამამ, — ძრიელ ბევრი ნაზირ-ვეზირი წაიყვანე და ნახეო; რა იქნება მაგისთანა, რომ შენ შეშინებულხარო. წავიდა ხემწიფე მეორე დღეს და ნახა კუბო. ახადა კუბოს, ჩახედა და ნახა. რომ მშვენიერი ქალი ასვენია. დაითხოვა თავის ნაზირ-ვეზირები და დარჩა იმ ქალთან იმ დამეს. მეორე დღეს ჩამოვიდა სახლში და უთხრა დედ-მამას: ქალი ყოფილაო, კუბოთი დგას მთაშიო.

გამოვიდა რამდენიმე ხანი. კიდე წავიდა ეს ხემწიფე იმ კუბოსთან, ახადა თავი და ნახა, რომ ვაჟი მისცემია მიცვალებულ ქალს და სწოვს ძუძუს. აიყვანა ეს ბავშვი და წამოიყვანა სახლში. უთხრა თავის ცოლს: ამას ძალიან კარგად მოუპარეო.

ამ ქალსაც პატარა ჰყამს და უკვდავების კრიალოსანი ამას აქვს და თამაშობს. მიცვალებულს შვილიც ამ კრიალოსნისკენ იწევს და სტირის; ბავშვი და დედა არ ანებებენ. ქალმა აზრი აიღო და ძრიელ ეშინოდა ბავშვისა, ეს უკვდავების კრიალოსანი არ წაიღოსო. ხემწიფემ უთხრა ცოლს: ეს ბავშვი მაგ კრიალოსნისთვის სტირის, ნუ ატირებ, მიეციო. ადგა ქალი, და რომ მეტი ღონე არ ჰქონდა, მისცა.

ბავშვი, რაკი კრიალოსანი მისცეს, აუტყდა მამას, — დედასთან წამიყვანეო. აღარ დადგა. წაიყვანა მამამ, აიყვანა ამ მთაზე, — ახადა

კუბო და ჩაუშვა ბავშვი. ბავშვმა მოუსვა თვალბზე დედას კრია-
ლოსანი და თვალები აეხილა და კიდევ გაცოცხლდა. ხემწიფეც
იქვე არის. ქალი რომ გამოცოცხლდა, ჰკითხა ხემწიფემ: რა ხარ,
რა სულაერი ხარ, მომკვდარხარ და ეხლა გაცოცხლდიო. მოუყვა
ხემწიფეს ქალი ყველა თავის გაჭირვებას: მე ერთმა ხემწიფემ შე-
პირთო და ძალუამ მიღალატა და თვალები დამთხარაო. უკვდავე-
ბის კრიალოსანი მქონდა და ისიც გულიდამ ამომადრო და თავის
ქალს გაუკეთაო და იმ ხემწიფეს, ჩემს ქმარს, თავისი ქალი შეატ-
ყუაო. მერე ერთი ბერიკაცი წამომაწყდა და მკითხა, რა გატირებ-
სო. შეესჩივლე ჩემი გაჭირვებაო, სამზე ვიყავი ოქრო-ვერცხლით
და თავის სახლში წამიყვანაო. მერე ბერიკაცს ვსთხოვე, რომ მოვკ-
ვდე, ნუ დამმარხამ, ამ მთაში კუბოთი დამდგითქო. ამომიტანა და
აქ დამდგაო. მაშინ გადაეხვია ხემწიფე ამ თავის ცოლს, აკოცა და
შემოუთვალა დედ-მამას: ეს ჩემი ცოლი ყოფილა და მოემზადეთო.
დედ-მამამ თავის სახემწიფო მოაგება და დიდის დიდებით მოიყვა-
ნეს.

ძალუა გაიყვანეს შეიდანზე და ცხენის კულზე დააგლეჯინეს
ორივე, დედა და შვილი.

პირი იქა, ლხინი აქა.

7. ძმა და ორკბილა და

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყამდათ მრავა-
ლი საქონელი. ჰყამდათ ერთი ვაჟი და მიეცათ კიდე ერთი ქალი. ამ
ქალს დაჰყვა ორი კბილი და ორკბილა დაერქვა. ეს ორკბილა ადგე-
ბა ღამე, გავა და სკამს საქონელს, — სულ გაარწყო საქონელი. ძმამ
თქვა: თუ არ ვუდარაჯე არ შეიძლება, რა გვიკამს ასე ჩუმათ საქო-
ნელსო. უყარაულა. ადგა ღამე ეს ორკბილა და, გავიდა და შექაშა
ერთი კამბეჩი. უყურა ამას ძმამ, წავიდა და უთხრა მამას: ან ეს ჩემი
და უნდა მოჰკლათ, ან მე უნდა გადავარდე სადმეო. მამამ უთხრა:
ამას ვერ მოვკლამ და შენ რაც გინდა, იაა ქენიო.

წავიდა ეს ბიჭი, დიდი გზა იარა და მივიდა ერთთვალა დევთან
და შეუხვეწა: მამაშვილობას, ამაღამ დამაყენეო. დააყენა დევმა.
დაკლა ერთი ცხვარი, ისე შექაშა, რომ ბიჭს არ აქამა და კიდევც

უთხრა: ამადამ ეს ცხვარი და ხვალ შენაო. ბიჭი ვერ მიხვდა, თუ თავის თავზე უთხრა. დაწუნენ ერთად ეს დევი და ეს ბიჭი. მივიდა ერთი ვერძი, — ფეხი დაადგა ბიჭს და უთხრა: ეგ დევი შექმნას გიპირობს და მენ ვერ მიხვდიო. ადექი, შამფური გაახურე და მძინარეს ჩაპკარი თვალში, შერმე ერთი ცხვარი დაკალი, ტყავი წამოიხბი და ცხვარში ჩაწექიო. ადგა ბიჭი და როგორც ვერძმა უთხრა. ისე მოიქცა: თვალი გამოთხარა დევს, წამოიხბა ცხვრის ტყავი და გაერია ცხვარში. წამოვარდა დევი, აიღო დიდი ლოდი, მიაღო კარებს და დაუძახა ბიჭს: აქედან სად წამიხვალო?.

მეორე დღეს დევმა ლაჭებში გაითვალა ცხვარი. ბიჭსაც ცხვრის ტყავი ესხა და იმე გაუძვრა, როგორც ცხვარი. გავიდა კარში და დევს დაუძახა გარედან: გამოვედი და ეხლა რაღას მიზამო? დევმა დაუძახა: შენ შვილი და მე მამაო. ბიჭმა უთხრა: ვერ გენდობიო. დევმა შეჭვიცა: ზეით ღმერთი მომიცია და ქვეშ დედამწა, მე შენ აღარ გიღალატებ, მენ შვილი და მე მამაო. შევიდა ბიჭი შვილათ ამ დევთანა.

დევმა ყოველივე თავის საცხოვრებელი ჩააბარა, ცხვარიც მიუთვალა და უთხრა: ამა და ამ მთაში შავი დევია, შავი ცხვარი ჰყამს, შავი ძაღლები, და იმ მთაში არ გადახვიდე, თორემ ცხვარი ცხვარს დაეტაკება, ძაღლი ძაღლს, დევი შენ დაგეტაკება, მოგკლამს და ეს ცხვარი იმას დარჩებაო. წავიდა ბიჭი თავის ცხვრით, ძაღლებით და გადავიდა იმ მთაში. დაიტაცნენ ბიჭი და შავი დევი, მოერია ბიჭი და მოჰკლა დევი, მისი ცხვარი წამოიყვანა, მოიყვანა თავის მამობილთან და უთხრა: აბა, გამო, ნახე შენი ცხვარიო. შემოუარა დევმა და უთხრა: მოუმატნიაო, ღმერთმა ნუ მოგიშალოს, შვილო, გამარჯვებო.

კიდევ უთხრა დევმა: შვილო, ამა და ამ მთაში წითელი დევია და წითელი ძაღლები, წითელი ცხვრის ფარა ჰყამს. იქ არ გადახვიდე, თორემ შენი ცხვარი იმას დარჩებაო. გადავიდა იქ ეს ბიჭი. დაეტაკნენ ცხვარი ცხვარს, ძაღლი ძაღლს, წითელი დევი ბიჭს. მოერია ბიჭი, მოჰკლა დევი და მისი ცხვარიც წამოიხბა, მოიყვანა სახლში და უთხრა მამობილს, აბა, მამავ, გამოდი, შემოუარე შენს ცხვარსო. დევმა ვერ შემოიარა ერთ დღეს, იმდენი იყო.

კიდევ უთხრა დევმა: შვილო. ამა და ამ მთაში ერთი არწივი და იმ მთაში არ გადახვიდე. თორემ შეგკამაო. გადავიდა ბიჭი, საკაის არწივი იყო. არწივმა უთხრა: რა ხარ, რა სულღიერი ხარ, რომ აქ

შოსულხარ, — ჩემი შიშით ზევით ფრინველს ვერ გადაუვლია და ძირს, დედამიწაზე, ჭიანჭველას. რადგანაც შენ მეცხვარე ხარ, ბე-ბიობა გეცოდინება, მოდი, მიშველე, მშუკელი მტკივაო. მივიდა ბიჭი და მოამშობიარა. ორი არწივი ეყოლა, ერთი ქალი, ერთი ვაჟი. ბიჭმა ვაჟი თავისთვის დამალა და არწივს უთხრა: აი, ქალი მოგეცაო. არწივმა გაიგო, რომ ორი შვილი ჰყავდა, და უთხრა ბიჭს: რადგანაც გინდა, ორივე წაიყვანეო. წამოიყვანა ბიჭმა ორი არწივის ბარტყი, მოიყვანა მამობილთან. დევს გაუხარდა ძალიან.

მეორე დღეს ბიჭმა უთხრა დევს: ერთი ჩემს დედ-მამასთან წავალო. დევმა გამოუტყვო პური, დაუკლა ცხვარი და გაატანა. მივიდა ბიჭი თავის სახლთან, გადახტა და ცხენი კარებზე დააბა. ერდოდან ჩაუტვირთა: დაინახა თავის ორკბილა და და თავისი დედ-მამის თავები. ორკბილა ეუბნება ამ თავებს: დღეს შეგქამო. ხვალ რაღა ვქნა? ხვალ შეგქამო, ზეგ რაღა ვქნა? ამ სოფლის ხალხი ორკბილას სულ მთლად შეუქამია, ისე რომ სოფელში აღარავინ არის.

აიხედა ერდოში ორკბილამ და დაინახა ძმა, შესძახა: უი, ძმაო, მოხვედი! ჩამოხტა ძმა და შევიდა სახლში. გავიდა ორკბილა კარში და მოსქამა ცხენს ერთი ფეხი, შემოვიდა და ჰკითხაძმს ძმას: სამფეხა ცხენით მოხვედიო? სამფეხათი მოვედიო, უთხრა ძმამ. კიდევ გავიდა და მოსქამა მეორე ფეხი და კიდევ ჰკითხა: ორფეხათი მოხვედიო? და ასე სუყველა ფეხები დაქამა და ძმას ჰკითხა: ძმაო, უფეხო ცხენით მოხვედიო? უფეხოთი მოვედიო, უთხრა ძმამ. გავიდა ორკბილა და სულ გადაყლაპა ცხენი. კიდევ ჰკითხა: უცხენოთ მოხვედიო? უცხენოთ მოვედიო!

ახლა ძმის შექმა მოინდომა ორკბილამ. ერთი მქედელი ჰყავს კბილები გამლესი, სხვა სულ მთელი სოფელი შესქამა. წავიდა მქედელთან კბილები გასალესად. ძმას სძინაძმს. მოვიდა ერთი თავი, კუდი ძმარში დაისველა, შეუყო ცხვირში და ცხვირი დააცემინა. გამოელეძა ბიჭს. თავგმა უთხრა: შენი და კბილები გასალესად წავიდა, მოვა და შეგქამსო. ადგა ბიჭი, აიღო ერთი ლოდი, ლოგინში ჩადო და ნაცრით სავესე ტომარა მადლა დაჰკიდა, თითონ გამოვიდა და ალვის ხეზე ავიდა.

მოვიდა ორკბილა და დაიძახა: კიდევ გძინავს, ძმაო? ლოგინში ძმა ეგონა. მივიდა, უქბინა ლოგინში ლოდს და ნაფოტ-ნაფოტი ავარდა. აიხედა, ტომარა დაინახა: უი, ძმაო, მანდა ხარო? უქბინა და ნაცარი თვალებში ჩაეყარა. მოიწმინდა თვალეხი, გამოვიდა გარეთ.

დანიხა თავისი ძმა ალვის ხეზე და დაუწყო კბილით ჭრა ალვის ხეს, უნდა ძმა ჩამოაგდოს. რომ უნდა მოსჭრას, ამ დროს გამოვარდა ერთი მელა და უთხრა ორკბილას: შენ განზე გადაქე, მაგის ჯავრი მჭირს, შემოვკრავ ტოტს და ჩამოვაგდებო. მოუსვა ტოტი და გაამთელა ალვის ხე. გამოუდგა ორკბილა მელას, მარამ ვერ მიეწია.

მობრუნდა ორკბილა და კიდევ დაუწყო ხეს ჭრა. რომ უნდა მოსჭრას, გამოვარდა ამ დროს დათვი და ორკბილას უთხრა: მე მაგის ჯავრი მჭირს, შენ განზე დადექი, მე შემოვკრავ ტოტს და გადმოვაგდებო. მოუსვა ხეს ტოტი და გაამთელა. გაიქცა დათვი. გამოუდგა ორკბილა, მარამ ვერ მიეწია.

კიდევ მობრუნდა და დაუწყო ხეს ჭრა. რომ უნდა მოსჭრას ეს ალვის ხე, იმ დროს ბიჭის თავის არწივები მოაგონდა და ახსენა. მოიჭრენ ორივე და გაგლიჯეს ორკბილა; ნახევარი ერთმა არწივმა შეჭამა და ნახევარი მეორემ.

ორკბილასი სამი წვეთი სისხლი დაეცა ალვის ხის ფოთოლზე. დაიწყო ამ ფოთოლმა ბიჭის წინ გორვა და უთხრა: წამიღებ, ინანებ, არ წამიღებ და — ინანებო. აიღო ბიჭმა ეს ფოთოლი, ჩაიღო უბეში, და შეანხა ცალი გვერდი. წამოვიდა, მოდის თავის მამობილ დევთან. შემოხვდა ორი სოვდაგარი, — ორი სკივრი მოაქვთ, ერთში ბანბაა, ერთში მზეთუნახავია. უთხრეს ამ ბიჭს: თუ გამოიცნობ, ამ სკივრებში რა არის, შენი იყოს, თუ ვერ გამოიცნობ, ეგ არწივები ჩვენ მოგვეციო. ბიჭმა ვერ გამოიცნო და მისცა არწივები. ცოტაზე რომ გაიარა, უთხრა ფოთოლმა: ერთში ბანბაა და ერთში მზეთუნახავიო. გამოუდგა ბიჭი სოვდაგრებს: მობრუნდით, ეგებ გამოვიცნოვო, მობრუნდნენ. უთხრა: ერთში ბანბაა და ერთში მზეთუნახავიო. მისცეს სოვდაგრებმა არწივებიც, მზეთუნახავიც და ბანბაც. წაიყვანა მზეთუნახავი თავას სახლში, მამობილ დევთან, და გადაიხადა ქორწილი.

პირი იქა, ლხინი აქა.

8. ზღვის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ღარიბი კაცი. ჰყამდა ერთი ვაჟი. მოკვდა მამა თავის საღარიბით, დარჩა შვილი პატარა. როცა ეს შვილი გაიზარდა, ჰკითხა დედას:

შე შამა არა მყამდაო? გყამდა, შვილო, — დედამ უთხრა, — მაგრამ სილარიბით მოკვდაო. შვილმა იფიქრა, მეც სილარიბით მოკვდებო და წავალ სადმეო.

წავიდა, ერთს დიდს მთაზე ავიდა. იქიდან გადმოიხედა და ერთი ქალაქი დაინახა. დაჯდა და დაიწყო ფიქრი: სად მივიდე ამ ქალაქში? სადაც დიდი კომლი ამოდის, იქ მივალო. ჩამოვიდა და შევიდა იმ ქალაქში. ნახა, რომ ერთი სახლიდამ ძალიან დიდი კომლი ამოდის. მივიდა იქ და იკითხა. უთხრეს: აქ ხემწიფის სამზარეულო არისო. ნახა მზარეული, და იმან შეინახა ხემწიფის ჩუმათ სამი დღე.

მესამე დღეს ბიჭმა სხვაგან წასვლა მოინდომა, მაგრამ მზარეულმა არ გაუშვა. ბიჭმა უთხრა: უნდა წავიდე, ლარიბი კაცი ვარ, მოჯამაგირეთ უნდა დაუდგე სადმეო. მზარეულმა უთხრა: სხვაგან, ნუ მიდიხარ, ხემწიფეს ვკითხამ, იქნება დაგიჭიროს მოჯამაგირეთო. შევიდა ხემწიფესთან და მოახსენა: ერთი გლუხკაცი გიახლათ, მოჯამაგირეთ უნდა დადგეს და თქვენ დაიჭირეთ და რამე ხელობა ჩააბარეთო. ხემწიფემ ჰკითხა: რა ხელობა იცის, რომ დაეჭიროვო? მზარეულმა მოახსენა: მეჭინიბობა იცის, სხვა არაფერიო. წადიო, — უბძანა ხემწიფემ მზარეულს, — და ჩემთან მოიყვანეო.

ეახლა ბიჭი ხემწიფეს. ჰკითხა ხემწიფემ: მეჭინიბობა იცისო? დიახო, უთხრა ბიჭმა. კარგიო, ბძანა ხემწიფემ, სამს ცხენს ჩაგაბარებ და წელიწადში სამს თუემანს მოგცემ, მაგრამ ძალიან ერთგულათ უნდა მოუარო ცხენებსაო. წამოვიდა ეს ბიჭი, დაიწყო სამსახური; ისე ერთგულათ მოუარა ცხენებს, რომ წელიწადი გავიდა — გარეთ არ გამოსულა. წელიწადი რომ შესრულდა, გამოვიდა გარეთ და დაინახა ხემწიფემ. დაიბარა ხემწიფემ თავის მზარეული და უთხრა: უთხარი ჩემს მეჭინიბეს, რომ მე განა ეგრე გითხარი, რომ შენი თავისთვის აღარ მოგივლიათ-თქო. და ესეც უთხარი: თუ კიდევ ერთ წელიწადს დადგება, დამიდგეს და თავის თავსაც მოუაროსო.

დაუდგა კიდევ მეორე წელიწადს მეჭინიბეთ. ცხენებსაც კარგა უვლის და თავის თავსაც. ერთ დღეს გამოვიდა ბაზარში და ნახა, რომ ერთი კაცი ბადესა ქსოვს. ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა, — ეს რა არისო. ბადის მქსოველმა გაშალა მინდორზე ეს ბადე და უთხრა: ეს ბადეა, უნდა მიხვიდე წყალზე და თევზს დაიჭირო. იყიდა ბიჭმა ეს ბადე. იფიქრა, რადგანაც ნება ავიღე ხემწიფისგან, ზღვა ახლოს

არის, წავალ და თევზს დავიჭერო. წავიდა, წაიღო ბადე, დილით საღამომდინ ინადირა, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირა. მხოლოდ ერთი ჯოხი მოჰყვა ბადეს და ეს ჯოხი წამოიღო, მოიტანა საცა თითონ სდგას და მიაყუდა კუთხეში.

დაღამდება, დაწვება ბიჭი და დაეძინება. ეს ჯოხი თავითაც სამთელს აუნთებს და ფეხთითაც. ფიქრობს ბიჭი: ამ სახლის კარები შიგნიდან დაკეტილ მაქვს და ეს რა ამბავია, ვინ მინთებს ამ სამთლებსო. უყარაულა ერთს ღამეს, მაგრამ მაინც წაეძინება და კედელს აუნთებენ სამთლებს. დიდად უკვირს და სთქვა,—თუ არ გავიგე, არ იქნებაო, და ერთს ღამეს გაიჭრა ნეკი, ჩაიყარა მარილი და აღარ დაეძინა. ნახა, რომ ჯოხიდან გამოვიდა ერთი მშვენიერი ქალი და რომ მივიდა სამთლის ასანთებად, სტაცა ხელი და დაიჭირა. ქალმა უთხრა: შენ ქმარი და მე ცოლიო. ბიჭმა უთხრა: მე მოჯამაგირეთ ვდგავარ ხემწიფესთან და ცოლათ რომ შევიერთო, სად წაგიყვანოო. ქალმა უთხრა: ნუ გეშინიაო, ყველაფერი მე ვიციო. ერთი ბეწვი თმა გამომამკრე და როგორც გორგალი, ისე დაახვიეო. ამოაძრო და დაახვია გორგლათ ბიჭმა. წაიღე ეს გორგალიო, უთხრა ქალმა, ამა და ამ ადგილას სახლები იყიდება და ამ თმით იყიდეო, მივიდეთ და დავსახლდეთ იქაო. წავიდა ბიჭი და რყიდა. ხემწიფესთან აღარ დაგაყენებო, — ცოლმა უთხრა. გაეცალა ბიჭი ხემწიფეს და დასახლდენ იმ სახლში.

ამ ქალს ერთი ზღვის კაცი აღარ ეშვებოდა და ხმელეთათ იმიტომ გამოვიდა და შეიერთო ეს ბიჭი. ზღვიდან ერთი ბებერი ქალი, იმ ზღვის კაცის გამოგზავნილი, გამოვიდა და დაუწყო ძებნა ამ ქალს. ეს ბებერი მივიდა ხემწიფესთან და დადგა მოსამსახურეთ. მოახსენა ხემწიფეს: ამა და ამ ადგილას ერთი მშვენიერი ქალია და ცოლც არ არის, რომ შენ არა გყამს ცოლათაო? ბებერს უნდა, იმ ბიჭისთვის ცოლი წაართმევინოს ამ ხემწიფეს. ხემწიფემ უთხრა: რითი უნდა წავართვა ის ქალიო? რითი და—დაიბარე ის ბიჭი და ასე უთხარიო. ათი კვერცხი მოგიტანოს იმისთანა, რომ თითო კვერცხიდან ათ-ათი კურდღელი გამოვიდესო. დაიბარა ბიჭი ხემწიფემ და უბძანა: ან შენი ცოლი უნდა მომცე, ან ათი კვერცხი მომიტანო იმისთანა, რომ თითო კვერცხიდან ათ-ათი კურდღელი გამოვიდესო.

დაიწყო ბიჭმა ტირილი და მივიდა ცოლთან: ხემწიფემ ასე მითხრაო. ცოლმა უთხრა: რა გატირებსო, კაცო, წადი ზღვის პირზედა, საიღამაც მე ამომიყვანე, დაგხვდება დედაჩემი და ის თითონ მიხვ-

ღება შენს გულის პასუხსო. წადი, ნუ გეშინიაო. წავიდა ბიჭი, მივი-
და ზღვის პირზე. გამოვიდა სიღებრი და ჰკითხა: რა გაგიჭირდა,
ჩემო სიძევ, რომ მე მომძებნეო? როგორ არ გამიჭირდაო, — უთხ-
რა სიძემ, — ხემწიფემ მიბძანა, ან შენი ცოლი მომეცი და ან ათი
კვერცხი მომიტანე იმისთანა, რომ თითო კვერცხილამ ათ-ათი კურ-
დღელი გამოვიღესო. გადაათარა სიღებრმა სიძეს ტილო და შეიყვა-
ნა ზღვაში; ათს კვერცხზე ერთი კვერცხი დაუმატა და თერთმეტი
კვერცხი გამოატანა.

წამოვიდა ბიჭი. შუა გზაზე რომ მოვიდა, ერთი კვერცხი გას-
ტეხა საშინჯავათ, — არ ეჭერა თუ კურდღლები იჭნებოდა, მარამ
ნახა, რომ ამ კვერცხილამ ათი კურდღელი გამოვიდა. წამოვიდა
სიხარულით და მიუტანა ხემწიფეს. დაანტვრიეს ეს კვერცხები და
ყველაში, როგორც ხემწიფის ნაბძანები იყო, ისე გამოვიდნენ
კურდღლები. ძრიელ ეწყინა ხემწიფეს, მარამ რაღა იქმოდა. უბ-
ძანა ბიჭს: წადიო, გამართლდიო.

ხემწიფე გაუწყრა ბებერს, — რათ შემაცდინეო? ნუ გეშინია-
ნო, — უთხრა ბებერმა, — კიდე ერთ სიტყვას მოგახსენებო. კიდე
დაიბარე ეს ბიჭი და უბძანე, სამის დღის ბავშვი იმისთანა მოგიყვა-
ნოს, რომ თქვენ სიტყვა მოგიგოსო. დაიბარა ბიჭი ხემწიფემ და
უბძანა: ან შენი ცოლი უნდა მომეცი, ან სამი დღის ბავშვი უნდა მო-
მიყვანო ისეთი, რომ მე სიტყვა მომიგოსო.

დაიწყო ბიჭმა ტირილი, წავიდა ცოლთან და შესჩივლა, ხემწიფემ
ასე მიბძანაო. ნუ გეშინიანო, უთხრა ცოლმა, კიდე დედაჩემთან
წადიო.

წავიდა ბიჭი. მივიდა ზღვის პირზე. გამოვიდა სიღებრი: რა
გაგიჭირებია, ჩემო სიძევ, რომ მოსულხარო? როგორ რა გამჭირ-
ვებიაო, — სიძემ უთხრა, — ხემწიფემ მიბძანა, ან შენი ცოლი მომე-
ცი, ან სამის დღის ბავშვი მომიყვანე იმისთანა, რომ სიტყვა მო-
მიგოსო. ნუ გეშინიანო, სიღებრმა უთხრა, გაუძღვა და შეიყვანა
ზღვაში. მის სიღებრს უფროსი ქალი გათხოვილი ჰყოლია და წინა-
წვევად მოუყვანია და ლოგინად დაწოლილა. ვაჟი ჰყამს სამის დღი-
სა. სიძემ უთხრა თავის ცოლისდას: ეს ყმაწვილი უნდა გამატანოთო.
წაიყვანეო, უთხრეს, მარამ სანამ ხემწიფესთან არ მიიყვანო, მანამ
არ ახადოო.

წამოიყვანა, შუა გზაზე რომ მოვიდა, ვერ მოითმინა და ახადა-
ყმაწვილმა უთხრა: არა გრცხვენია, სიძევ, — რას მიყურებო?

წაიყვანა ბავშვი და მიიყვანა ხემწიფესთან. როგორც კი მივიდა ბიჭი კარებთან, ხემწიფეს დაუძახა ყმაწვილმა: თითქო ხემწიფე ძრიელ ჰკვიანს უნდა იყოს და მაგ ბებერმა როგორ შეგაცდინაო? ღეთის მოცემულ ცოლს შენ ართმევო? ხემწიფეს ჭავრით გულს შემოეყარა. როგორც იყო მობრუნდა და უთხრა ბიჭს: ეგ ყმაწვილი საიდანაც მოგიყვანია, იქ წაიყვანეო და შენი ცოლი ღმერთმა შენ მოგახმაროსო.

წავიდა ბიჭი შინ. ცოლმა ჰკითხა, რა ქენიო? ამაშიდაც გავმართლდიო, უთხრა ქმარმა. ხემწიფემ თავის შერცხვენისათვის ის ბებერი რაშის კულზე დააგლეჯინა. თითონაც იმდენი იჭავრა, ეს საქმე რათ მომივიდაო, რომ მალე მოკვდა. იმ ბიჭს დარჩა მშვიდობიანათ თავისი ცოლი. თავისი დედაც იქ მოიყვანა და ცხოვრობდენ ერთათ.

პირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ქიქა შეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი ვაამოთ ყველასა.

9. ხელმწიფის უპილი და მფინსპვილის უპილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე, ჰქონდა მრავალი საცხოვრებელი. უთხრა ცოლმა: შვილი არა გვყავსო და ჩვენი საცხოვრებელი ვის დარჩებაო? წადი, იკითხე, იქნება როგორმე მოხდეს და გასწავლონ რამეო. წავიდა ხელმწიფე. ცოტა იარა, ბევრი იარა, შეხვდა ერთი კაცი. ჰკითხა იმ კაცმა: სად მიბრძანდები, დიდებულო ხელმწიფეო? უამბო ხელმწიფემ: უშვილო ვარო და წამოვედი, იქნება ვინმე შემხვდეს და მასწავლოს რამეო. უთხრა იმ კაცმა: დაბრუნდი შენ სახლში, მიდი და შენს ბაღში რომ თურაშაული დგას, წყლის პირზე, იმ შენს ვაშლს ორი ვაშლი ებმება და მარჯვედ იყავ, მოგლიჯე. ერთი შენ შეკვამე და ერთი შენმა. ცოლმაო. წავიდა ხელმწიფე, შევიდა თავის ბაღში, ავიდა ხეზე და მოწყვიტა ორი ვაშლი. ერთი წყალში ჩაუვარდა და ერთი წამოიღო.

გაკრა შუაზე, ნახევარი თვითონ შესქამა და ნახევარი ცოლს შეა-
ქამა. მეორე ვაშლი წაიღო წყალმა, რამოდენიმე გზა გაატარა. ამ
წყლის პირზე მენწისქვილის ცოლს სარეცხი უდგია. ეს ვაშლი მოაქვს
წყალს. ადგა ქალი, დაიჭირა და შეინახა საღამომდის. საღამოზე
უთხრა ქმარს: კაცო, ეს ერთი ვაშლი მოჰქონდა წყალს, ნახევარი
შენ და ნახევარი მეო. შეშქამეს ვაშლი. ესენიც უშვილოები იყვნენ.

ხელმწიფის ცოლიც დაორსულდა და ეს მეწისქვილის ცოლიც.
როცა მოვიდა დრო, ორივეს მიეცათ ვაჟები. გაიზარდნენ ორივე,
ეს ხელმწიფის შვილი და ეს მეწისქვილის შვილიც. შეხვდნენ ერთმა-
ნეთს, ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ უერთმანერთოთ აღარსად
დადიოდნენ. ვნახოთ, ერთდღეს ბიჭები კოქაობდნენ და იმათ უყუ-
რეს. ამ ბიჭებმა არ აკოჰავეს ისინი. მოუსვა ხელი ამ კოქებს მეწის-
ქვილის შვილმა და მოუჭირა მუჭი; კოქები ხელში მტვრად აქცია,
შეუბერა სული და ქარს გაატანა. გაიხდეს, ერთ ქალს ჩაფი უდგია
მხარზე და წყლიდან მოდის. მეწისქვილის შვილმა წყალი სთხოვა
ამ ქალს, მან არ ასვა, აიღო და კენჭი ესროლა, ჩაფი გაუტეხა. მობ-
რუნდა ეს ქალი და უთხრა: როგორ დაგწყევლოთო, დედის ერთა
ხართო ორივენი. და შენც ჩაგვარდნია სიყვარული სამ ძმა დევების
დისაო. დასხდნენ და ორივემ იფიქრეს, ამ ქალმა ეს რა გვითხრაო.
ჩვენ უნდა წავიდეთ და ვიპოვოთ ის ქალიო. ვიშოვით, თუ არ ვიშო-
ვით, მაინც უნდა წავიდეთო. მივიდნენ თავიანთ დედ-მამასთან:
ჩვენ ამა და ამ ადგილას მივდივართ და ჯავრი ნუ გექნე-
ბათო. უთხრეს დედ-მამამ: ამდენი ხანია თქვენი სახე არ
დაგვინახავს და რა გინდათ, იქ რომ წახვიდეთო? მაინც არ
დაიშალეს, წავიდნენ. ხელმწიფემ და მეწისქვილემ თავის სახ-
ლებს სულ შავი გადააკრეს და გლოვობენ. ეს ბიჭები მივიდნენ.
საცა მღვევების ბინა იყო და გადმოიხედა მზეთუნახავმა დევების
დამ. საშინლად მოეწონა ეს ყმაწვილები, ძალიან მშვენიერები იყვ-
ნენ. და მიუგზავნა მოახლე, დაიბარა ორივე და აიყვანა. ჰკითხა:
ყმაწვილებო, რად მობრძანებულხართ აქაო? ჩვენ იმიტომ მოვედით,
შენ უნდა გითხოვოთ, თუ შეიძლებაო. მე საიდან მითხოვთ თქვენ,
ჩემი სამი ძმის წიშით მალლა ფრინველს ვერ გაუფლიაო და ძირს
ჰიანქველასაო? ის ჩემი ძმები სანადიროდ არიან წასული, საღამოზე
რომ მოვლენ — თითო ირემს მოიტანენ, თითო წიფელას, გეტყვით:
აბა, სტუმარებო, სტუმარსაც გარჯა უნდაო. მოგცემენ სანთლის
ცულს და გეტყვიან, ეს წიფელი დააპეთო. ერთი ეგე. მეორეც ესა:

იმ სამ ირემს ერთ საარაყე ქვაბში ჩასდებენ, ის ქვაბი სამჯერ ნეკით უნდა აილოთ, შედგათ და უნდა ჩამოდგათო. მესამეც ესა: აი ის ალვის ხე რომ დგას, გაგიმსებენ ოქროს თასს ღვინით და გაგატანებენ; ისე უნდა აიტანოთ იმ ალვის ხეზე, რომ ცუარი არ უნდა დაგეგცეთ და მაშინ მოგცემენ ჩემს თავსა. ეს საქმე შეგიძლიათ თუ არაო? საარაყე ქვაბის შედგმას ნეკით კი შევიძლებთ, მაგრამ სანთლის ცულის ვიფლის დაქრას და ალვის ხეზე თასით ღვინის ატანას ვერ შევიძლებთო. მზეთუნახავმა უთხრა, მე როგორც დაგარიგოთ, ისე მოიქეცითო. გამოიძრო თმა და მისცა. რომ მოგცეთ ჩემმა ძმებმა ეს ჩემი თმა, გადაახვიეთ ცულის პირს და რამდენიც გინდათ დაქარით წიფელას. ეს ბეჭედიც, ღვინით სავსე თასი რომ მოგცეთ, შიგ ჩააგდეთ და გასწით და ადით ალვის ხეზე, ნულარ ზეგეშინდებათ. მოვიდნენ საღამოს დევები. უთხრეს, ყმაწვილებო, რად მობრძანებულხართო? ჩვენ სამოყვროთ მოვსულვართო. მაშ კარგი, სტუმარსაც გარჯა უნდა. ამ ცულით ეს წიფლები უნდა გააპოთო. გადაახვია მეწისქვილის შვილმა მზეთუნახავის თმა ცულის პირს და სულ ნაფოტად აქცია. მეორეც ესა: ეს ქვაბი სამჯერ ნეკით აილე. შედგე ზედადგარზე და ჩამოილეო. ისიც აილო და ჩამოილო ამ მეწისქვილის შვილმა. მესამეც ესა: ეს ოქროს თასი ღვინო ამ ალვის ხეზე ისე უნდა აიტანო, ნამი არ გადმოვარდეს. გამოართვა ღვინით სავსე თასი და აიტანა ალვის ხის წვეროში, გადინედა და დაინახა თავის მამის სახლი. მოერია ტირილი და სამი წვეთი ცრემლი გადმოვარდა. უთხრეს დევებმა ხელმწიფის შვილსა: აი შენს ძმას ღვინო გადმოექცა და უნდა ზეგეპოთო. დაიცათ პატარა ხანს, ჩამოვიდეს ეს კაციო. ძირს ჩამოსულ მეწისქვილის შვილს უთხრეს დევებმა, შენ ღვინო გადმოგექცა მაღლიდანაო. არაო, უთხრა მან, ღვინო არ დამქცევიაო. ჩვენი დედ-მამის სახლი დაეინახეთ, შავები გადაუკრავთ, ტირილი მამერია და სამი ცრემლი გადმოგვარდაო. დევებმა უთხრეს, ნება თქვენო. რაც გინდოდეთ, ის აასრულეთო. წაიყვანეს და დასწერეს ხელმწიფის შვილს ჯვარი მზეთუნახავზე. დევებმა უთხრეს სიძეს: აი ეს ცხრა ოთახის გასაღები, გააღე და ნახე ჩვენი ნაშოვარ-ნაპოვარიო. გაიარა ეს სასახლეები ხელმწიფის შვილმა: რა გინდა სულო და გულო, რომ ამ დევებს არა აქვს ნაშოვარი! ეს ცხრა ოთახი კი დაიარა და მგათეს გასაღები არ მისცეს დევებმა.

მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილი ცალკე ოთახში არიან. ფიქრობს ხელმწიფის შვილი, ალბათ ჩემ ცოლისძმებს ამ ოთახში ძა

ლიან კარგი აქვთ ნაშოვარი და იმიტომ არ მომცეს გასაღებიო. როდესაც დაეძინა მზეთუნახავს, დახედა ქმარმა, რომ ნაწნავში ატანია გასაღები. ამოსნა ჩუმად ეს გასაღები, წაიღო და გააღო მეთუოთახი, ნახა, რომ დევეკაიანი ყოფილა დამწყვედელი იმ ქალის გულისათვის. გამოვარდა დევეკაიანი, ერთი სული შეუბერა ამ ხელმწიფის შვილსა, ეს დაასკდა მიწას და მოკვდა. მოიტაცა დევეკაიანმა მზეთუნახავი და წაიყვანა. მზეთუნახავის ძმები და მეწისქვილის შვილი ცალკე ოთახში ატარებენ დროს; და ფიქრობდნენ, ჩვენი სიძე და და შემოვლენო. რომ აღარ შემოვიდნენ, ადგნენ და მოიკითხეს. გავიდნენ, ნახეს, თავისი სიძე მკვდარი გდია. დევეკაიანს კარები გაუღია, გამოსულა და მოუტაცნია ქალი და წაუყვანია. მეწისქვილის შვილი შეწუნდა ძალიან და უთხრა დევეებს, ეს თქვენ მიმტრეთო. დევეებმა უთხრეს, ეს ჩვენი ბრალი არ არის, ამ ოთახში მყავდა დევეკაიანი დამწყვედელი, ჩვენს დას გვთხოვდა და არ მივეციოთო. ეს ოთახი ჩვენს სიძეს გაუღია, იმას მოუკლამს და მზეთუნახავი წაუყვანიაო.

მეწისქვილის შვილმა უთხრა დევეებს, ეს ჩემი ძმა მე სანამ მოვიდოდე, მანამ ალვის ხის ფურცელივით ისე წემინახეთ, ბუზი არ მიაკაროთო. წავიდა მეწისქვილის შვილი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთი კაცი, ამ კაცს მუხლის თავებზე წისქვილის ქვეები ჰკიდია. გამარჯობა, კაცო, შენი. გაგიმარჯოს. რად გინდა ეგ წისქვილის დოლაბები მუხლის თავებზე რომ გკიდიაო? რად მინდაო და კურდელი რომ გაიქცევა ხოლმეო, ვიჭერ და წინ აღარ გავასწრებო. მეწისქვილის შვილმა უთხრა: რა კაცი ყოფილხარ შენაო? მე რა კაცი ვარო, კაცი მეწისქვილის შვილი ყოფილაო. სამი დევის და ხელმწიფის შვილისთვის ცოლად შეურთავსო. მე ვარ ის კაციო. შენი ჰირიმეო, უთხრა ამ კურდელის ჰერამ, ან მიძმე ან მიყმეო. ყმობისაგან ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ გიძმობ კიო! დაყარა წისქვილის დოლაბები, გამოუდგა ამ კაცს და წაყვა ამ მეწისქვილის შვილს. წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს — ერთ კაცს გუთანი უბია. რამდენ ბელტიც გადადის, იმდენს სჭამს გუთნის დედა. გამარჯვება, გუთნის დედაო, უთხრა მეწისქვილის შვილმა. გაგიმარჯოსო. რა კაცი ყოფილხარ შენო, რომ მაგდენ ბელტებს სჭამო? მე რა კაცი ვარ, კაცი ის მეწისქვილის შვილი ყოფილა, რომ დევის და ხელმწიფის შვილისთვის ცოლად შეურთავსო. ის კაცი მე ვარო. ამ გუთნის დედამაც უთხრა, ან მიძმე ან მიყმეო. ყმობისაგან ღმერთმა დაგიფაროს, და გიძმობო. დაანება გუთანს თავი და გაყვა.

წავიდნენ, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდა ერთი კაცი: იმ მთას მოჰკიდებს ხელსა იმ დუბეში გადაიტანს, ამ მთას მოჰკიდებს, — იქით გადაიტანს. გამარჯვება, კაცო, შენის, მეწისქვილის შვილმა უთხრა, გაგიმარჯოსო. რა კაცი ყოფილხარ მაგისთანაო, რომ მთას და ბარს აწორებო. მე რა კაცი ვარ, კაცი მეწისქვილის შვილი ყოფილა, რომ ხელმწიფის შვილისათვის სამი ძმა დევის და შეურთავსო. ის მე ვარო. ან მიძმე, ან მიყმეო. ყმობისაგან ღმერთმა დამიფაროს, და გიძმობო. ესეც წაყვა. წავიდნენ, რამდენიმე გზა გაიარეს. შეხვდა ერთი მღვდელი, ეკლესია ჰქონდა ზურგზე და საცა მივა, დადგამს და ისე წირამს. გამარჯობა, მღვდელო, შენი, გაგიმარჯოსო. რა ყოფილხარ, მაგისთანაო, რომ ეკლესია ზურგზე გიქონდა და საცა გაივლი იქა სწირამო. ამ მღვდელმა ისე უთხრა როგორც წინა პირველებმა. წაჰყვა მღვდელიც ამხანაგად. მეწისქვილის შვილმა იფიქრა: ეს ხუთი ამხანაგი ვართ, საცა მივალთ ან დევკაჟიანი როგორ გავგიძლებს ან სხვაო. მივიდნენ და დაბინავდნენ, საცა დევის ბინა იყო. ამ კურდღლის ჭერიას უთხრა მეწისქვილის შვილმა: ჩვენ უნდა ვინადიროთ და შენ მზარეულად უნდა იყოვო. მოიტანეს ნანადირევი და ჩაადგეს ქვაბში. დატოვეს ის კურდღლის ჭერია და წავიდნენ სანადიროთ. როდესაც მოიხარშა ხორცი, გაიღო კლდე, გამოვიდა დევკაჟიანი და უთხრა: კაცო, ხორცი მშინაო. გშიაო და აგერ არისო ქვაბშიო. სულ ერთიანად შეჭამა ეს ხორცი ამ დევკაჟიანმა და შევიდა თავის ბინაში. მოვიდნენ მეწისქვილის შვილი თავის ამხანაგებით და ჰკითხეს მზარეულს, ხორცი რა უყავიო. ქაფვაზე ქაფს გამოყვაო. მეწისქვილის შვილი გულთმისანია და ყველა იცის. ესლა ბელტიცლასიას უთხრა, შენ უნდა იყო მზარეულათო. დააყენეს და წავიდნენ.

კიდევ როდესაც მოიხარშა ხორცი, გამოვიდა დევკაჟიანი. უთხრა: ხორცი მშინაო. გშიაო და აგერ არისო და სჭამეო. შესჭამა. მოვიდნენ, ჰკითხეს: მზარეულო, ხორცი რა უყავო. მეც ქაფს ვადმიყვაო. შესამე დღეს უთხრა გორიგლეჯიას: დღეს შენ უნდა იყო მზარეულადო და წავიდნენ. ინადირეს, მოვიდნენ საღამოზე, ჰკითხეს, რა უყავ ხორციო. იმანაც ისე უთხრა: ქაფს ვადმიყვაო. კიდევ მეოთხე დღეს წავიდნენ და მღვდელი დააყენეს მზარეულად და ამანაც დევკაჟიანს შეაჭამა. ჰკითხეს, მღვდელო, რა უყავ ხორციო? ამანაც ისე უთხრა — ქაფს ვადმიყვაო. მეხუთე დღეს უთხრა მეწისქვილის შვილმა: დღეს თქვენ წადით სანადიროთ, მე მზარეულად ვიქნე-

ბიო. ჩაადგა ხორცი. გამოვიდა დევკაჟიანი და უთხრა: კაცო, მე ხორცი მშვიანო. მეწისქვილის შვილმა უთხრა: ეს ხორცი მოუხარშავიაო. დაჯექი, შეუბერე ცეცხლს, მოიხარშოს, ნახევარი შენ და ნახევარი მეო. სულ შენთვის ნუ კი გინდაო. დევკაჟიანი დაჯდა და დუწუყო ცეცხლს ბერვა. მეწისქვილის შვილმა ეს ქვაბი აიღო და ზედ თავზე დაასხა. დევს სულ თვალები დაეწვა, წამოვარდა, აღარც ხორცს უგდო ყური და ღრეში შევიდა. მეწისქვილის შვილმა ეს ხორცი ისევ აკრიფა, გარეცხა და ჩაადგა ქვაბში ისევ. მოვიდნენ ეს ამხანაგები. აბა, ამხანაგებო, რატომ მე არ გადამიყვა ქაფს ხორციო. დასხედით, ეს სადილი ქამეთ და მერე საქმე მაქვს თქვენთანაო. რომ ქამეს სადილი, წამოღით აქაო. წავიდნენ, მოუარეს კლდეს თავიდან. ავიდნენ კლდის თავზე. ამ კლდის თავზე ერთი სასულე აქვს და იმით სუნთქავს ეს დევი. უთხრა მეწისქვილს შვილმა: აბა, რომელი ხართ კარგი ბიჭი და ჩადით იქაო! უთხრეს: სწორეთ ჩვენ არც ერთს არ შეგვიძლია მანდ ჩასვლაო, ისევ შენ თუ ჩახვალო. მაშ მე ჩავალო, მაგრამ არ მიღალატოთო. ღვთის ფიცი მამცითო. მისცეს ღვთის ფიცი, რომ არ გიღალატებოთ.

ადგა და ჩავიდა. ნახა დევი ცალგვერდზედ არის და ბორგავს. დაბრმავებულა და ცალგვერდზე ქალია. რომ დაინახა ქალმა მეწისქვილის შვილი, გადაეხვია და უთხრა: შენ გენაცვალე მე, ჩემო მახლო, აქ რამ მოგიყვანაო? ჩუმად ეუბნება, დევმა რომ გაიგონოს, სად გაასწრებენ! უთხრა ქალს, ეს დევკაჟიანი უნდა მოგკლა და რას მეტყვიო. აიღე მისი ხმალი და ნელა დაუსვი კისერზე, თორემ მიწაში გაგეჭყევო. სხვითი ვერაფრით მოკლავო. აიღო ხმალი და დაუსვა, შეეხვეწა დევკაჟიანი: უმადლე შენს ღმერთს, ნუ მომკლავ და იმისთანა წამალს გასწავლიო, რომ შენი ძმა გააცოცხლო. ეგ მზეთუნახავიცი წაიყვანეო. მისცა წამალი, მაინც მოკლა დევი და ქალს უთხრა, ადი შენაო. ქალმა უთხრა, ჭერ შენ ადიო. არა ქნა ამ კაცმა და ქალი აგზავნა. აიყვანეს მზეთუნახავი. ამ გორიგლეჯიამ მოგლიჯა დიდი გორა და დაადგა მეწისქვილის შვილს და მიატოვეს შიგ. წამოიყვანეს. მოჰყავთ ეს ქალი და ამ ქალმა უთხრა: ეგ კაცი ჩემი ძალიან საყვარელი კაცი იყო და ერთი მატირეთო. მიმიყვანეთ, მაინც თქვენი არა ვარ, სად გაგეჭყევითო! მიიყვანეს ეს ქალი და იტირა ზევიდან: მანდაო შავი თხა გამოვა და გაგემასხარავება, მაგრამ არ გაბრავდე, ხელი არ მოჰკიდოო. მეორედ კიდევ გამოვა წითელი თხა, ისიც ისევ მასხარაობას დაგიწყებს და ხელი არ მოჰ-

კიდო. ამიტომ, რომ ისინი იმისთანა ალაგას გაგინათებენ, რომ შენს ასავალ-დასავალს ვერაინ გაიგებსო. მესამედ გამოვა თხა, იმას ძალიან გამძლივნეთ მოექეცი და ხმელეთით გამოგიყვანაო.

როგორც ამ ქალმა ჩასტირა, ისე მოიქცა ეს კაცი და თეთრმა თხამ გამოიყვანა ხმელეთზე, ამით კი წამოიყვანეს ეს ქალი და ლამის ერთმანეთი დახოცონ. ერთმანეთს არ ანებებენ ამ ქალს. ამ დროს მოუსწრო მეწისქვილის შვილმა: გამარჯვებათო, კაი ამხანაგებო! ბარემაც ელდა ეცათ, მაგრამ რაღას იზამდნენ. მოჰკიდა ხელი მეწისქვილის შვილმა და ერთმანეთს შეახოცა ოთხივე. ეს ქალი წამოიყვანა, მივიდა, საცა ხელმწიფის შვილი იყო. ამ დევებს ისე გასჭირვებით საქმე, უნდა თავი დაანებონ და დამარხონ. მივიდნენ ისინი და დამარხვას შეუდგნენ. ჩემი ძმის დამარხვას რად აპირებდითო, ვადამდე აღარ მიცდიდითო? დევებს საშინლად გაეხარდათ მეწისქვილის შვილის და თავის დის მოსვლა. ის წამალი წაუსვა მეწისქვილის შვილმა და გააცოცხლა ხელმწიფის შვილი. როგორ მძინებიაო, თქვამან. აქეთ-იქედან უთხრეს ცოლის ძმებმა: კი არ გეძინაო, ამნაირად იყოფო შენი საქმეო. ხელმეორეთ კარგი დროება გაატარეს. წამოიყვანეს მზეთუნახავი და თავის სახლში წამოვიდნენ. მოვიდნენ ხელმწიფესთან და დედ-მამას ძალიან გაეხარდა. ხელმწიფემ უთხრა თავის შვილს, რადგანაც მეწისქვილის შვილმა ამისთანა ძმობა გაგიწია, ერთად უნდა დასახლდეთო. მეწისქვილემაც მოიყვანა თავის დედ-მამა და ხელმწიფემ ორივეს დაულოცა თავის სახელმწიფო. ცხოვრობდნენ ერთად.

კირი იქა, ლხინი აქა.

10. ორი ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ცოლ-ქმარა, ჰყამდათ ერთი ვაჟი. მოუყვდა კაცს ცოლი და მოიყვანა მეორეთ ცოლი. მიეცა ამ ცოლის ხელშიც ვაჟი. მერმე მამა მოკვდა და დარჩენ ეს პატარა შვილები.

როდესაც ეს ბიჭები დაიზარდნენ, ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ დედა რომელი გერი იყო და რომელი შვილი, ვერ სცნობდა. დედაკაცმა მეზობლებში დაიჩივლა: უბედურობა არ არის, რომ რო-

მელა ჩემი შვილია და რომელი გერი, ველარ ვსცნობო! ერთმა ქალმა უთხრა: რას მომცემ, რომ შენი შვილი გაცნობო? რა უნდა მოგცე, შენზე უკეთესი არავინ მეყოლებაო, უთხრა ამ დედაკაცმა. მაშ ასე მოიქეციო, უთხრა ქალმა: სალამოზე რომ შენი შვილები მუშაობიდან მოდიოდნენ, სახლში არ შემოგასწრონ, — დადექი ცეცხლთან და კალთაზედ ნაკვერჩხალი დაიდეო. სალამოზე, როცა დაინახა მომავალი შვილები, დაჯდა დედა და ჩაიდრო კალთაში ნაკვერჩხალი. მოვიდენ შვილები და უთხრა შვილმა თავის დედას: დედა, კაბა გეწვისო. ამით გაიგო დედამ, რომელი იყო მისი შვილი.

ერთ დღეს დედამ უთხრა თავის შვილს: შვილო, შენს ძმას უნდა გაეცალოო. მერე, დედა, ჩემს ძმას რომ გავეცალო, მე შენ მეყოლები საკმლის გამკეთებელი და იმას რა ეშველებაო? — უთხრა შვილმა. დედა შეჰპირდა: მე ყოველთვის იმას უწინ გავუკეთებ ხარჯსო. და უთხრა ძმამ ძმას: უნდა გავიყაროთო. ძმამაც უთხრა: რა ვქნა, ძმაო, გავიყაროთო.

გაიყარნენ, გაიყვეს რაც ჰქონდათ, დადიან თავთავისთვის სამუშაოზე. ეს დედა უწინ გერს გაუკეთებს სადილს და მიუტანს, საცა მუშაობს. გამობრუნდება და თავის შვილს იმისთანა სადილს გაუკეთებს, რომ კაცი უკეთეს რაღას ნახამს. გერთან ისეთი გლახა ნამზადი მიაქვს, რომ გერი ვერ სჭამს და ერთს ალაგას აგროვებს. ერთს კვირას ინახა გერმა ეს ხარჯი, — სხვა საკმელს შობს და სჭამს.

შაფათი სალამო რომ დალამდა, გერმა უთხრა თავის ძმას: ძმაო, ამალამ ვანშმათ ჩემთან იყავიო, დარჩა ძმა იმ ღამეს ვანშმათ. გაშალა გერმა ვანშამი, და რაც იმ ერთს კვირეს დედინაცვალმა სადილვანშამი უმზადა და უზიდა, ყველა მოიტანა სუფრაზე: აი, ძმაო, დედაშენის მოტანილი ნამზადი ეს არისო, და ან რით ვსჭამო, ან როგორ უნდა გავსძლო ამ საკმელზეო. ადგა ძმა და წამოვიდა დედასთან. გერმა მოაძახა: ოთხი ძალლი დაგვრჩაო და ისიც უნდა გავყოთო. გათენდა დილა და ჩამოვიდა გერი. გაიყვეს ძაღლები, — ორი იმას ერგო და ორი იმას. გერმა უთხრა: ძმაო, ყველა ჩემი ნაწილი შენი იყოს, მე უნდა წავიდე საღმე და ამ ძაღლებს კი წავიყვანო. წავიყვანა ძაღლები და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გადავიდა ერთს სახემწიფოში. ხემწიფის კარებზე მივიდა და გაიარა. რომ მიდის, დაინახა მზეთუნახავმა, — გადმოიხედა ზევიდამ. შევიდა და მამას მოახსენა: ერთ-

მა მშვენიერმა ყმაწვილმა გამოიარა ჩვენს კარებზე; თუ იმას ქმრათ შემრთამ, თორემ სხვა არ მინდაო. წენ კი ისურვეო, შვილო, და ნება შენი არისო, უთხრა მამამ. გამოუყენეს კაცი და დააბრუნეს ეს ყმაწვილი. ჰკითხა ხემწიფემ: დაქორწინებული ხარ თუ არაო? არაო, უპასუხა ყმაწვილმა. აბა ჩემს ქალს, მზეთუნახავს, უნდისხარ ქმრათ და წენ რას იტყვიო? მეო, ბატონოვო, — უთხრა ყმაწვილმა, — დასტური როგორ დაგცეო, — არც სახლი მაქვს, არც არაფერი საცხოვრებელი და ცოლი სად უნდა წავიყვანოვო?! შევიდა ხემწიფე და უთხრა თავის შვილს: შვილო, არც სახლი ჰქონია, არც არაფერი და რას იტყვიო? უნდა შევიერთოვო, მაგის მეტი ქმარი არ მინდაო, უთხრა ქალმა. დასწერა ჯვარი ხემწიფემ თავის შვილს და უთხრა სიძეს: შვილო, თუ შენ ჰკვიანათ იქნები, ჩემი სახემწიფო შენი არისო, მე მაგის მეტი შვილი არა მყავსო, და სანამ ცოცხალი ვიყო, მარჩინეთ და მერე ჩემი საბრძანებელი ღმერთმა თქვენ მოგახმაროსო. მაგრამ ამა და ამ მთაში ერთი სანადირო არის, იმ მთაში არ გადახვიდეთ.

ადგა ეს ყმაწვილი, — სიმამრის დარიგება არ დაიჭერა. — შეიკმაზა თოფ-იარაღით და წავიდა იმ მთაში. რომ მიდის, ნახა ერთი ბებერი დგას გზაში. მან ჰკითხა: ყმაწვილო, სად მიდიხარო? ყმაწვილმა უთხრა: მე, დედი, ამა და ამ მთაში მივიღივარ სანადიროთო. ბებერმა უთხრა: თუ ჩემს სიტყვას გაიგონებ, დაბრუნდი და შენს სახლში წადიო, გამვლელი ბევრი მინახავს და გამომვლელი არავინო. მაინც არ დაიჭერა ყმაწვილმა და წავიდა.

ინადირა, მრავალი ნადირი მოჰკლა, დაუღამდა და ბინას თვარიელედა დაუწყო. ნახა ამ მთაში ერთი ოთახი არის, — მივიდა და იმ ოთახში დაბინავდა: ააგო მწვადები და წვამს. მივიდა ერთი ბებერი და დაუძახა: ყმაწვილო, არ დამპატიებო? მობრძანდიო, ყმაწვილმა დაუძახა. საიდან მოვიდეთ, ჯერ შენი ხმლის მეშინია და მერე შენი ძაღლებსაო. მაშ ჩემს ხმალსა და ძაღლებს რა უნდა ვუყოვო? თმებს გამოვიძრობ, შენს ხმალს და ძაღლებს დააყარე და მერე შემოვალო. გამოართვა ყმაწვილმა თმა და დააყარა ძაღლებსა და ხმალს. წევიდა ეს ბებერი, აიღო ერთი მწვადი და შესჰკამა, მეორე აიღო და შესჰკამა. ყმაწვილმა უთხრა: სულ რომ შენა სჰკამ, მე რაღაო? შენც ჩემი ხარო, თორემ მწვადი სად წამივარო, უთხრა ბებერმა და მწვადებიც შესჰკამა და ეს ყმაწვილიც გადაყლაბა. ამ ყმაწვილს დაბარებული ჰქონდა ძმასთან, რომ მე თუ რამე გამიჭირდა, პირს

რომ დაიბან, ხელზე სისხლათ გექცევა წყალიო. ერთს დილას დაიბანა ძმამ პირი და ექცა სისხლათ მუკზე წყალი. სთქვა: სწორეთ ჩემს ძმას გასჭირებია რამეო, და წავიდა საძებნელათ. ძაღლებიც წაიყვანა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ ხემწიფის კარზე, საცა მისმა ძმამ ცოლი შეირთო. ნახეს ეს ყმაწვილი, თავისი სიძე ჰგონიათ და დიდათ გაეხარდათ: მობრძანდი, სიძევ, მობრძანდიო, მიიწვიეს. ჰკითხა სიმამრმა: რა ქენი, სიძევ, როგორი სანადირო იყოო? ძალიან კარგიო, უთხრა ყმაწვილმა და იფიქრა: უთუოთ ჩემ ძმას ეს მზეთუნახავი შეურთამსო. მოახსენა ხემწიფეს: დილაზე მე კიდევ უნდა წავიდე სანადიროთ და თქვენ ნუ იჩავრებთო. იმ დამეს ხემწიფის ქალი და ეს ყმაწვილი ერთად დააწვინეს ოთახში — სიძე ჰგონიათ. დაწვა ყმაწვილი რძალთან და შუაში ხმალი ჩაიდო.

დილას ადგა და წავიდა თავის ძმის საძებნელათ. ნახა ბებერი გზაზედ. ბებერმა ჰკითხა: ყმაწვილო, სად მიბრძანდებიო? სანადიროთ მივდივარო. ერთმა შენფერმა ყმაწვილმა იმ დღესაც აიარა, ავლილი ვნახე, ჩამოვლილი ვეღარაო, დაბრუნდი და წადი სახლშიო, უთხრა ბებერმა. ყმაწვილი არ დაბრუნდა და წავიდა სანადიროდ. რადგანაც აღარ იშლიო, — უთხრა ბებერმა, — გზაზე ერთი მშვენიერი წიფელა დაგვდება, იმას ჩაარი ესროლე და თუ მოარტყა, გამარჯვებული იქნები, თუ არა და — დაბრუნდიო.

წავიდა. როგორც მიატანა ამ ზეს, ესროლა ისარი და ეს წიფელა შეუანე გააანო. აიღო ისარი, მივიდა იმ სანადიროში. ბევრი ინადირა, მოჰკლა ნადირი მრავლისაგან უმრავლესი და დაუღამდა. მიიხედ-მოიხედა და ნახა ერთი ოთახი. მიიტანა ნანადირევი, დაანთო ცეცხლი, ააგო მწვადები და წვამს. მივიდა ბებერი და უთხრა: არ დამპატიებო, ყმაწვილოვო, ამაღამო? მობრძანდიო, ყმაწვილმა უთხრა. შენი ხმალის შიშით და ძაღლების შიშით როგორ მოვალო; თუ ჩემი მოსვლა გინდა, აი ეს ჩემი სამი ბეწვიო, მაგ შენა ხმალს და ძაღლებს დაადე და მერე შემოვალო. გამოართვა ყმაწვილმა ბეწვები და ჩუმით გადაადგო. შემოვიდა ბებერი, ჯერ ერთი მწვადი შესჭამა, მერე მეორე. რას შვრებიო, უთხრა ყმაწვილმა, მაგ მწვადს რომ სჭამ. მე რაღა ვქნაო? შენც ჩემი ხარო და ეგ მწვადებიცაო შენი ვარო? ჩემი ხარო აბა, ჩემო ძაღლებო, სადა ხართო, — დაუძახა ყმაწვილმა, — ეს ქალი შექმას მიპირებსო. მივარდნენ ძაღლები და ერთმა ერთ ფეხში წაავლო კბილი და მეო-

რემ მეორე ფეხში. შემაღლე შენს ღმერთსო, — უთხრა ბებერმა, —
ნუ მოჰკლამო და შენს ძმასაც ეხლავე გაგიჩენ და მის ძაღლებსაცო.
აბაო, — ყმაწვილმა უთხრა, — გამიჩინე ჩემი ძმა აქო და მისი ძაღლებო
დამიცოცხლეო. მაშინვე ბებერმა მიუყვანა მისი ძმა და ძაღლებიც
დაუცოცხლა. უთხრა ძაღლებს ყმაწვილმა: მაგ ბებრის ლუკმა არ-
სად გადააგდოთ, ისე შესჭამეთო, და ძაღლებმა ბებერი ერთ წამზე
შესჭამს.

წავიდენ ძმები, მოდიან ხემწიფესთან. ჰკითხა გაცოცხლე-
ბულმა ძმას: შენ რომ სახლიდამ წამოდი, ღამე არსად გაგითევიანო?
როგორ არაო, ამა და ამ ხემწიფესთან ვიდექი ერთი ღამეო და მე
იმ ხემწიფესთან არაოდეს არ ვყოფილვარ, მარამ სიძეს მეძა-
ხდენო, იმ ღამესაც ქალი დააწვინეს ჩემთანო. ვაიმეო, — გაცე-
ცხლებულმა უთხრა ძმას, — ის ჩემი ცოლი არისო, შენ იმასთან
წმინდათ არ იწვებოდით. არა, არაფერს ბორბტს ჩემს გულში არ
გაუვლიანო, — უთხრა ძმამ, — აიო, ისარს ავისვრიო და რაზედაც
დამეცემა, ის იქნება შენს ცოლთან მიკარებულიო. აისროლა ისარი
და დაეცა ფეხის ცერზე და მოსწყვიტა. აი, თუ შართალი არა ვარო:
ეს ცერი მიჰკარებია და მომწყვიტა ისარმაო.

წავიდენ და მივიდენ ხემწიფესთან. ჰკითხა სიმამრმა სიძეს:
ეგ მეორე კაცი ვინ არისო? ჩემი ძმა გახლამსო. ჰკითხა კიდევ
სიძეს: მეორეთ რომ წახვედი, როგორი სანადირო იყოო? სიძემ
უთხრა: გუშინწინ რომ კაცი იყო, მე ის არა ვყოფილვარო, ის ჩემი
ძმა იყოო, მაგას რომ ჩემთვის არ ეშველა, დღეს შე მეკვდარი ვიქ-
ნებოდით. მაშ, რადგანაც ეგრე გყვარებიათ ერთმანეთი ძმებსო, —
უთხრა ხემწიფემ, — დღესაც ერთათ იყავითო, მე ხომ მაგ ერთი
ქალის მეტი არა მყავს და ეს სახემწიფო თქვენი იყოს ორივესიო,
სანამ ცოცხალი ვიყო, მომიარეთ, მოგკვდე, — დამმარხეთო.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

11. ცხრა ძმა და ბაჰაჰი

იყო და არა იყო რა, ღვთის უყეთესი რა იქნებოდა იყო ერთო
კაცი. ჰყავდა ცხრა ვაჟი და ერთი ქალი. მოუკვდა ცოლი და მეორე
ცოლი შეირთო. დედინაცვალი ძალიან ცუდად ეკიდებოდა გერებს,

ასე რომ, საქმე გაუჭირვა. ინატრეს გერებმა: ღმერთო, რათმე გადაგვაქციეო. გადაიქცნენ ცხრა ძმა ირმათ და და ბაყაყად. ეს ბაყაყი ზის კერასთან მამის გვერდზე. აიღებს დედინაცვალი და გადაადღებს. იმდენს ივლის ბაყაყი, რომ შემოვა და კიდე კერასთან დაჯდება. ადგა დედინაცვალმა და კვახში ჩასვა და სანაგაოზედ გადაადგო. ორბმა აიღო კვახი და გატეხა. ქალი გამოვიდა იქიდან და ლიბანის ხეზე ავიდა.

ხემწიფის შვილი სანადიროდ მიდიოდა და ვეზირები მიზღვედნენ. ქალმა დაუძახა ვეზირს, ერთი წყალი დამალევინეო. მიაწოდა ვეზირმა წყალი და ქალმა დალია. წამოვიდა ვეზირი და ხემწიფის შვილს უამბო, მშვენიერი მზეთუნახავია ლიბანის ხეზედაო. ხემწიფის შვალმა უბძანა ვეზირებს, მომიყვანეთო. მოუყვანეს და ცოლად შეერთო. ცხრა დღე და ღამე ერთად იწვნენ და ქალმა ხმა არ გასცა. ხემწიფის შვილმა უთხრა ვეზირებს: მე სანადიროდ წავალო და ვითომ მოგვედებო, ჩამასვენეთ კუბოში და მომიტანეთო. მოიტანეს კუბოთი ხემწიფის შვილი და დაასვენეს. ხემწიფის შვილს ერთი გამზღელი ჰყამდა და იტირა გამდელმა, მერე ცოლს უთხრა, ეხლა შენი რიგია ტირილისო. ცოლმა სთქვა ტირილში ლექსი:

გოგრითა აგორებული,
ნაგავსა გატანებული,
ლიბანის ხეზე გაზდილი,
მეღორის მოგონებული,
ვაი, ვარ დაღონებული.

ამოვიდა კუბოდან ხემწიფის შვილი, გადაეხვია ცოლს.

ხემწიფის შვილი სანადიროდ წავიდა. ერთ მის ვეზირს ერთი შავი ქალიშვილი ჰყამდა. ხემწიფის შვილის მზეთუნახავი ცოლი მოჰკლა ვეზირმა და წყალში გადაადგო და თავისი ქალი დასვა ტახტზე ხემწიფის შვილის ცოლათ. ის ცხრა ძმა ირემიც იმ დასთან იყო. მოვიდა ხემწიფის შვილი ნადირობიდან. დაუწყუო კოცნა ამ ცოლმა, ვეზირის ქალმა, და მერე უთხრა: ერთი ირემი უნდა დავკლავო. ხემწიფის შვილს გაუკვირდა: აქამდინ ძმები არიანო, ამბობდი. ხელახლოცით თვალებს სწმენდდი და ეხლა ამბობ, უნდა დავკლავო? ხემწიფის შვილმა ბძანა, ირემებს წყალი ასვითო. მიიყვანეს ირემები წყალთან. ჩახედეს თავის დას, თევზათ ქცეულა, და ასე ჩასძახეს:

დაო, დაო, ვუუუნაო,
ველ-ყურა და სუქანაო,

შენსა ძმასა ირემსა,
დანა-ხმალი ელესება,
წყალი დუღს და ქვაბი შრება,
საკლავს თავი არ უჩნდება.

ამორეკა მსახურმა წყალიდამ ეს ირმები და მოახსენა ხემწიფის შვილს: ერთი დიდი თევზი წვეს წყალში და ამ ირმებმა ეს ლექსი ჩასძახესო. წადით და ის თევზი აქ მომიტანეთო, უთხრა ხემწიფის შვილმა. წავიდენ და მოართვეს თევზი. ხემწიფის შვილმა ამ თევზს კოცნა და ალერსი დაუწყო. ცოლმა უთხრა: მაგ შლამიან თევზს რას კოცნიო. დააპრევიანა ეს თევზი და მოახარშვინა. შესკამეს. ერთი ფხა ნაგავს გაჰყოლოდა და კარწინ ალვის ხედ ამოვიდა. ხემწიფის შვილი რომ გავა, ზოგი ქვეშ დაეგება და ზოგი ზევიდან დაეფარება ეს ალვის ხე. ხემწიფის შვილი ალვის ხეს არ შორდება. ცოლთან აღარ წვება, სულ ალვის ხის ქვეშ არის. ცოლი გაუჯავრდა: სულ მანდ რათა ხარო! მოსჭერიეთო,— უბძანა ქალმა მოსამსახურეებს,— და ისე დასწვითო, რომ ნაფოტი არხად გადავარდესო. მაინც კიდე ერთი ნაფოტი დარჩათ. ერთმა ცოლ-ქმარმა იპოვა ეს ნაფოტი, წაიღო შინ და კიდობანს ქვეშ შეაგდო. ნაფოტი მზეთუნახავე ქალათ იქცა და იმ ცოლ-ქმარმა იშვილა.

ერთ დღეს ხემწიფის შვილის ვეზირი ამ უშვილო კაცთან კურდღლის შესაწვავად შევიდა და ეს მზეთუნახავი კარებში შეეფეთა. წამოვიდა ვეზირი და ხემწიფის შვილს მოახსენა: ამა და ამ უშვილო კაცთან ამისთანა მშვენიერი მზეთუნახავი არისო. უბძანა ხემწიფის შვილმა, მომიყვანეთო. მიუყვანეს და ისევე ცოლათ შეიერთო. ის უშვილო ცოლ-ქმარი სიღედრათ და სიმამრათ მიიღო. ვეზირი ქალი რაშის კუდზე დააგლჯინა.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

12. უსეინა და ბაირამა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ხემწიფე და ჰყავდა ცოლი. ისე დაბერდენ, რომ შვილი არ მიეცათ. დაუწყეს ღმერთს ხვეწნა სიბერის დღეს: ღმერთო, ერთი შვილი მოგ-

ვეციო. შეისმინა ღმერთმა იმათი ვედრება და მიეცათ ერთი ვაჟი, რომელსაც დაარქვეს უსეინა. ბავშვი იმისთანა ხასიათის იყო, რომ ყოველთვის სტიროდა. ასე რომ, მობეზრდათ ღელ-მამას და უბძანეს თავის ვეზირებს: წაიყვანეთ ეს ბავშვი და წყალში გადააგდეთო.

წაიყვანეს ვეზირებმა. შუაგზაზე უსეინამ, მტირალმა, ერთი პატარა ბავშვი დაინახა, შესცინა და გაჩუმიდა. ვეზირებმა დასვეს იმ ბავშვთან. დაიწყეს ბავშვებმა თამაშობა, დიდხანს ითამაშეს. მერე ვეზირმა ისევ ღელ-მამას მოუყვანეს ბავშვი. ჰკითხა ვეზირებს ხემწიფემ, რათ მოიყვანეთო. ვეზირებმა მოახსენეს: ერთი ბავშვი შეგვხვდა გზაში და იმ ბავშვის დანახვა უსეინამ გაიხარა და მხიარულათ ითამაშაო, მისთვის წამოვიყვანეთო. ხემწიფემ უბძანა ვეზირებს, იმ ბავშვის მამა მოიყვანეთო.

წავიდნენ და მოუყვანეს. ბავშვის მამა იყო მდიდარი ვაჭარი კაცი. იმასაც ერთი ვაჟის მეტი არ ჰყავდა. იმ ვაჭარს შვილს ერქვა ბაირამა. ვაჭარი როგორც მოვიდა, ხემწიფემ უთხრა: ერთი სათხოვარი საქმე მაქვსო. მიბძანეო, ბატონოვო. ერთი პატარა ვაჟი გყოლიაო და ის მე უნდა მამცეო. ვაჭარი ძალიან დალონდა, მაგრამ ხემწიფეს უარი ვეღარ უთხრა ხათრით. მოგართმევო. ხემწიფემ მაშინვე გაგზავნა ვეზირები და მოაყვანინა ვაჭარის პატარა ვაჟი. უსეინას ძალიან გაეხარა ბაირამას ნახვა და ისე, რომ სრულებით აღარ სტირის. ერთათ მხიარულათ იზრდებოდენ. ცოტა რომ მოიზარდენ, ხემწიფემ ვეზირებს მიაბარა, რომ ჰიდაობა ესწავლებინათ. სამი წელიწადი ჰიდაობას სწავლობდენ. ყარგათ რომ შეისწავლეს ჰიდაობა, უსეინამ უთხრა ბაირამას, გავსინჯოთ ერთმანეთიო. ბაირამა დათანხმდა. გავიდნენ ერთს მინდორზე და დაიწყეს ჰიდაობა. ვერც ერთი ვერ მოერია. მაგრამ ბოლოს ერთის ქამანდით ბაირამამ აჯობა.

გათენდა მეორე დღია. უსეინამ უთხრა თავის ძმობილს, სანადიროთ წავიდეთო. და წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, შევიდნენ ერთ ტყეში. საღამომდინ ინადირეს, მრავალი ნადირი მოჰკლეს, ძალიან დაუღამდათ, სახლში ვეღარ წამოვიდნენ და ბინის ძებნა დაიწყეს. მიადგენ ერთ ზღვის პირს და ნახეს ერთი პატარა ქოხი. შევიდნენ, დაანთეს ცეცხლი და დაუწყეს მწვადებს წვა. უსეინამ უთხრა ბაირამას: მანამ ეგ მწვადები შეიწოდეს, მე წავალ და ზღვის პირზე გავივლ-გამოვივლი, ზღვას ვნახამო.

წამოვიდა უსეინა და ზღვის პირას სიარული დაიწყო. ამ დროს

მოადგა გემი. უსეინამ უთხრა გემის პატრონს: ჩამსვი გემში და გამატარ-გამომატარეო. გემის პატრონმა შეუტია და არ დააჯდინა.

დაბრუნდა მოწყენილი და მოვიდა ბაირამასთან. ბაირამამ როგორც შეხედა, ჰკითხა, რათა ხარ მოწყენილიო. უსეინამ არ უთხრა. ბაირამა ჩააცივდა, არ იქნება, რათა ხარ მოწყენილი, უნდა მითხრაო. უსეინა მოუყვა: ზღვის პირას მივედი, ერთი გემი მოვიდა, გემის პატრონს ვთხოვე, ჩამაჯდინე, პატარა ხანს გამატარ-გამომატარეო, და არ დამაჯდინაო. ბაირამამ უთხრა: ჯერ ვახშამი ვჭამოთ და მერე წავიდეთო, თუ არ ჩაგვაჯდენს, მის სეირს გაყურებინებო.

სჭამეს ვახშამი და წავიდენ. ბაირამამ, როგორც მივიდა ზღვის პირას, გემის პატრონს შეუტია: რატომ ჩემი ამხანაგი არ ჩააჯდინეო. გემის პატრონს შეეშინდა და შეეხვეწა: ოღონდ ნუ მომკლამთ და ჩაბძანდით და გაჯატარ-გამოჯატარებთო.

ჩასხდენ. გაატარა. გზაში გემი დაიღუპა. ყველანი დაიხჩვენ ბაირამასი და უსეინას მეტი. ესენი დარჩენ ორს ფიცარზე, აღარც ზევით მიაქვს წყალს, აღარც ქვევით, გააჩერა ერთს ადგილას, შექნეს წუხილი. ბოლოს ბაირამამ სთქვა: ღმერთო, ოღონც ერთმანეთის გაჭირვებას ნუ გვაჩვენებ, ერთმანეთს გაგვაშორე, ერთი ზევით წავიყვანე, ერთი ქვევით, და ამ აღთქმას მოგცემთ, რომ სამი წელიწადი აღარც თმა მოვიკრიჭოთ, არც ფრჩხილები დავიჭრათო. ღმერთმა შეისმინა იმათი ვედრება, გააშორა ერთმანეთს, უსეინა წაიღო წყალმა ზევით და ბაირამა ქვევით. ბაირამა ატარა წყალმა და ერთს სახემწიფოში გააგდო. მივიდა ერთს კაცთან და დადგა მოჯამაჯირეთ. უსეინა ატარა-ატარა ზღვამ და გაიტანა ნაპირზე ერთს კლდის ძირში.

გამოვიდა ნაპირს უსეინა. შეხედა და ხედამს ამ კლდეზე აყვანილი არის გველეშაპის ძვლების კიბე. უსეინამ იფიქრა, მოდი, ამ კიბეზე ავალო. დაიწყო სიარული და ავიდა თავში. შეხედა და ხედამს, რომ მშვენიერი ქალაქი არის გაშენებული. დაიწყო ამ ქალაქში სიარული. ერთი კაცი არ შეხვდა. იფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო. გაიხედა და დაინახა ერთს სახლში ერთი მშვენიერი ქალი. მივიდა ქალთან და უთხრა: შენ ცოლი და მე ქმარიო. ქალმა ჯერ უარი უთხრა, მერე დასთანხმდა, მარამ ასე უთხრა: სამი დღის სიცოცხლე არ გექნებაო. უსეინამ ჰკითხა: რატომაო? იმიტომაო, რომ ყოველ მესამე დღეს მოვა გველეშაპი, ერთს შეისუნთქამს და ჩაგყლაპამსო. ამ ქალაქში იმიტომ არავინ არის, რომ ჩემს მეტს,

ვისაც ნახამს, ყველას გადაყლაპამსო. უსეინამ უთხრა: ნუ გეშინიანო, როდის არის იმის მოსვლის დროეო. ქალმა უთხრა: ხეალ მესამე დღე არის და უთუოთ მოვაო.

გათენდა დილა. მოვიდა გველეშაპი, შეისუნთქა, რომ უნდა გადაყლაპოს, ამოიძრო უსეინამ ხმალი, დაჰკრა და იქვე მოჰკლა. აკეპა, აკეპა და ზღვაში გადაყარა. მობრუნდა უსეინა. ცოლმა ცხრა გააადები მისცა: წადი, დააღე ოთახები და ჩემი ცხოვრება ნახეო. უსეინამ დაიარა ცხრა ოთახი და ყველაფერი თავისი ცოლის სიმდიდრე ნახა. მეათე ოთახს რომ მიაღგა, გასაღები არ ჰქონდა და ცოლს სთხოვა, ამ ოთახის გასაღებიც მომეციო. ცოლმა არ მისცა, მაგაში არაფერი არ არისო, ცარიელი ოთახი არისო.

უსეინას სჭირდა ექვსი დღე და ღამის ძილი, ქალს სამი დღისა და სამი ღამის ძილი. ქალმა როგორც დაიძინა. უსეინამ თმაში გააადები დაუნახა, ამოიღო. მივიდა და გააღო მეათე ოთახი. ნახა, რომ იქ ერთი ქალის მშვენიერი პერანგი ეკიდა. მივიდა, შინჯვა დაუწყუო. ამ დროს შემოფრინდა ერთი ყვავი. მოიტაცა და წაიღო. უსეინას შეეშინდა, გამოვიდა, დაკეტა კარები, მიიტანა გასაღები და ისევე ჩაუღო თავის ცოლს თმაში.

ის პერანგი წაეღო ყვავს და რომელ სახემწიფოშიაც ბაიჩამა იღგა. იმ სახემწიფოში მიეტანა და ერთს ტრიალს მინდორზე დაეგდო. ეს მშვენიერი პერანგი იპოვა ერთმა მეცხვარემ, წაიღო და ხემწიფეს მიართვა. ხემწიფეს ძალიან მოეწონა პერანგი, რადგანაც ეს ხემწიფე უცოლო იყო, გასცა თავის სახემწიფოში ბრძანება: ვინც ამ პერანგის პატრონა მომიყვანს, დიდს საჩუქარს მივცემო. ვერავინ ვერ იღო ეს საქმე, რომ აესრულებინა. ბოლოს ერთი ბებერი ქალი გამოჩნდა და მოახსენა ხემწიფეს: მე შემძლიან იმ ქალის მოყვანაო. ერთი პატარა ნავი გამოიკეთეთ, თქვენი მეტი არაფერი მინდაო.

მაშინვე გაუკეთეს ნავი. ჩაჯდა ეს ბებერი, იარა, იარა ზღვით და მიაღგა იმ გველეშაპის კიბეს, ავიდა და შევიდა იმ ქალაქში. ამ დროს უსეინას ეძინა. მივიდა, სტაცა იმ ქალს ხელი თმებში, ჩამოიყვანა ზღვის პირს, უნდა ჩასვას ნავში და წაიყვანოს. ქალმა ტირილი დაიწყუო, შეეხვეწა ბებერს: პატარა ხანს გამიშვი სახლში, რაღაც დამრჩა, ჩამოვიტან და წამოვალო. ბებერმა გაუშვა. ავიდა ქალი სახლში, დასწერა ქალაღზე: მე ერთმა კუდიანმა ბებერმა წამიყვანა ძალათი, ერთს გასაღებს გიტოვებ და როცა გამოგელვი-

ძოს, აიღე ეს გასაღები, გააღე ოთახი, შედი, და დაგხვდება სამ-
ბერი და ისინი გასწავლიან, როგორ მოიქცეო.

მეშვიდე დღეს გამოეღვიძა უსეინას, მიიხედ-მოიხედა, ცოლი
არსად არის; ძალიან შეწუხდა. ნახა თავის ცოლის დაწერილი წიგ-
ნი და გასაღები. წაიღო, გააღო ოთახი, დახვდა სამი ბერი. შე-
ჩავ-
ლა თავის გაჭირვება. უფროსმა ბერმა უთხრა: თუ გინდაო, ერთს
წითელ ცხენს მოგცემო, რომელიც წაგიყვანს ხმელეთათ, ერთს
კვირეს მოუწოდებ სიარულსო. მეორე ბერმა უთხრა: თუ გინდაო,
თეთრ ცხენს მოგცემო, რომელიც სამს დღეს მიგიყვანს იმ სახემ-
წიფოში, რომელ სახემწიფოშიაც შენი ცოლი არისო. მესამემ
უთხრა: ერთ შავ ცხენს მოგცემ, რომელიც ერთ წამს მიგიყვანს იმ
სახემწიფოშიო. უსეინამ ამოირჩია შავი ცხენი, შეჯდა და ერთ
წამს მივიდა იმ სახემწიფოში, გადმოხტა ცხენიდან და მივიდა ერთ
ბებერთან. ამ ბებერ ქალს შეეხვეწა, ამაღამ დამაყენეო. დააყენა
ბებერმა. უსეინამ ჰკითხა ამ ბებერს: რა ამბავია ამ სახემწიფოში?
ეს არის ახალი ამბავი, რომ ჩვენმა ხემწიფემ ერთი მშვენიერი
ქალი შეირთო, მაგრამ ქალი ისეთი მოწყენილია, რომ ეკრავინ
გაამხიარულაო. გაცემულია ხემწიფისაგან ბძანება, ვინც ჩემს
ცოლს გააცინებს, დიდს საჩუქარს მიცემო. უსეინამ ამოიღო
ჯიბიდან მრავალი ოქრო და მისცა ამ ბებერს: წადი და იყიდე
ვერცხლის ხონჩა და სხვა კიდე ვერცხლეულობაო. წავიდა ბებ-
ერი, ყველა იყიდა და მოუტანა. დააწყო უსეინამ ეს ვერცხლეული
და თავის ბეჭედი წამოიძრო, დაღო ხონჩაზე და უთხრა ბებერს:
წადი და ხემწიფის ცოლს მიართვიო.

წაიღო ბებერმა, ვეზირებმა არ შეუშვეს, ასე უთხრეს: შენგნით
რა ესაამოვნებაო? მერე მეორე ვეზირმა უთხრა: რა გენაღლებათ.
შევიდესო, და შეიყვანეს. მიართვა ამ ბებერმა ეს ვერცხლეულობა
ხემწიფის ცოლს. ქალმა როგორც დახედა, დაინახა თავის ქმრის
ბეჭედი, ძალიან გაეხარდა, ვეზირები დაითხოვა, მარტო ბებერი
დარჩა, და ჰკითხა: ის კაცი როდის მოვიდა შენთანო? წუხელი
გეახლათო. ასე უთხარი იმ კაცსა, თუ შეგიძლიან. ამაღამ რკინის
კალო გააკეთე, შიგ ბაირალი დაასვე და საომრად ხემწიფე გამოიწ-
ვიეო; ძალით თუ წაართმევ-თქო ჩემს თავს, თორემ ნებით არ
მოგცემს-თქო.

წამოვიდა ბებერი და ეს ამბავი ჩამოუტანა უსეინას. იმ დამეს
გააკეთა უსეინამ რკინის კალო, შიგ რკინის ბაირალი დაასო და

ვაპოიწვია ხემწიფე საომრად. ხემწიფემ მახარათ აიგდო. ერთი კოჭლი კაცი ჰყამდა და იმას უთხრა: წადი და მოჰკალი, თავიდაჲ მოგვაშორეო. წამოვიდა ეს კოჭლი ფალავანი და დაეტაკა უსეინას. უსეინამ გაისროლა და ხემწიფის სასახლეს ზედ მიარტყა, კოჭლი აქვე მოკვდა. რამდენიც ფალავანი გამოუგზავნა ხემწიფემ, იმდენი ჯახოცა. ხემწიფეს შეეშინდა და გასცა ბძანება: ვინც იმ კაცს მომიკლამს, დიდს საჩუქარს მიცემო. ბაირამამ გაიგონა და სთქვა: იმას მე მოვერევიო. ხემწიფეს უთხრეს: ერთი კაცი ამბობს, მე მოვერევი და მოვკლამო. ხემწიფემ დაიბარა ბაირამა და უბძანა: შეგიძლიან ამ კაცის მოკვლაო? შემიძლიანო. აბა წადი და მოჰკალიო. წამოვიდა და დაეტაკა უსეინას. დაიწყეს ქიდაობა. რა ქამანდნაც უსეინა უზამს, იმ ქამანდს ბაირამა. ბევრი იქიდავეს, ვერც ერთმა ვერ აჯობა. ბოლოს, რადგანაც ბაირამამ ერთი ქამანდით პეტი იცოდა, მოიქნია უსეინა ისე ღონიერათ, რომ მიწაში ჩააძვინა. აპოილო ხმალი და რომ უნდა მოსჭრას თავი, უსეინამ უთხრა ქვედაჲ: ორი სიტყვა მათქმევინეო და მერე თავი მომჭერიო. ბაირამამ სიტყვის თქმა დააცალა. უსეინამ უთხრა: მე კი მომკლავო, მაგრამ მე ისეთი ამხანაგი დამრჩია, ბაირამა, რომ იმას ვერ ვადაურჩებო.

ბაირამა რომ ახსენა, მაშინვე სტაცა ხელი ბაირამამ, ამოიყვანა მიწიდან, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ერთმანეთი იცნეს და მეტი სიხარულისაგან აღარ იცოდნენ რა უნდა ექნათ. უსეინამ თავის თავზე გადასავალი მოუყუვა. ხემწიფეს რაც ჯარი ჰყამდა, ამოუხოცეს, უსეინამ თავის ცოლი წამოიყვანა და თავის მამასთან მოვიდა. დიდი სიხარული შეუდგათ და ცხოვრობდენ ერთათ.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

18. ათი ძმა და ერთი და

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო ერთი ცოლი და ქმარი, ჰყამდათ ერთი ქალი და ცხრა ვაჟი. მოუკვდათ მამა, დარჩნენ შვილები. წავიდნენ ცხრავე ვენახში სამუშაოთ. შვილებოვო, — დედამ უთხრა, — თქვენ კი მიდინართ, მარამ სადელი ვის გამოვატანოვო. ჩვენს დას გამოატანეო. გზა არ იცისო, შვილებოვო. შვილებმა უთხრეს: ჩვენ კიტრის ნათალს მოჰყვებს

და ჩვენ ვენახში მოიყვანსო. ეს მათი და ერთ დევს უნდოდა. აქ დევის დედამ უყურა, კიტრის ნაფცქენები აკრიფა და თავის სახლის გზაზე დაჰყარა. წაუღო დამ ძმებს სადილი და დევისას მივიდა. მოჰკიდა დევის დედამ ხელი ქალს და შეიყვანა სახლში. სალამოს მოვიდა დევი და ძიელ გაეხარდა.

სალამოს ეს ცხრა ძმა მოვიდა დედასთან. უთხრეს დედას: დედა, მშვიერი რაზე დაგვბოცო? მე თქვენს დას გამოვატანე სადილი, მარამ წმინდათ დევის დედა წაიყვანდაო.

უფროსმა ძმამ შვილდ-ისარი მოიძებნა და მეორე დღეს წავიდა. მივიდა დევთან. დევის დედა ბანზე ზის. დევის დედა, შენი შვილი სად არისო?— დაუძახა. შვილო, რა წყრომით ლაპარაკობ, ეგ კვირისტავი ამომიტანე და მერე გეტყვიო, უთხრა დევის დედამ. ამ დევის დედას წისქვილის დოლაბი აქვს კვირისტავათ, წააძრო თითისტარს და დაუგორა. ყმაწვილი დაეუორჯალა ამ ქვას, მაგრამ ვერც კი შეანძრია. დევის დედამ უთხრა: იმ ჩემს ბაღში გადადი, ჩრდილი იჩრდილე, ხილი იხილეო, სალამოზედ ჩემი შვილი მოვა და პასუხს მოგცემსო. გავიდა ბაღში ყმაწვილი, შვილდ-ისარი მხარზე აქვს გადაგდებული, მარა იმდენი არა შეუძლიან რა.

მოვიდა სალამოს დევი და უთხრა: აბა ჩემო ცოლის ძმავ, სტუმარსაც გარჯა უნდა,—ეს წიფელა უცულოთ დაანტვრიე, ეს ირეში უღანოთ დაგლიჯე, ჩავდგათ ქვაბში, დავსხდეთ ამაღამ ვახშმათ და ქეიფი გავსწიოთო. ყმაწვილმა ვერც ერთი ვერ შესძლო, ვერც წიფლის დანტვრევა, ვერც ირმის დაგლეჯა. იმ ღამეს სქამეს ვახშამი, მერე ჰკითხა დევმა: დომაკ-ბუმბულში ხარ დაჩვეული ძრლსა თუ ჩალაჩულაშიო? ჩალაჩულა რა არის, მე ბუმბულში ვარ მოსვენებას დაჩვეულიო; და დაიძინა. შევიდა დევი და დედას უთხრა: დედა, პური მშიაო. მე წელან ბუმბულში ერთი პურის კუტი ვნახე, შედი და შესჭამეო, — უთხრა დედამ. შევიდა დევი. დასუნთქა და გადაყლაპა ის ყმაწვილი, მეორე დღეს ისევ სანადიროთ წავიდა დევი.

რვა ძმას რომ ეს ძმა არ მიუვიდათ, წამოვიდენ ცალ-ცალკე დევთან და დევმა სუყველანი გადაყლაპა. გაჰავრებულმა დევმა ქალიც — მათი და — გადაყლაპა.

ამათი დედა გამოსულა ბანზედ და სტირის. გამოიარა ქრისტე ღმერთმა და ჰკითხა: დედა, რა გატირებსო? როგორ რა შატირებს, ათი შვილი მყამდა, ცხრა ვაჟი და ერთი ქალი, და ყველა დევმა

გადამიყლაპაო. ქრისტემ უთხრა: ჩემი ჯორის ნაფეხურში რომ წყალი ჩადგეს. დალიე და გეშველებაო. დალია დედაკაცმა და დაორსულდა. მოვიდა დრო და მიეცა ვაჟი. მოიზარდა ბავშვი, ძალიან მძლავრი იზრდებოდა. დედა არ ეუბნებოდა, ძმები და და გყამს დაკარგულიო, ეშინია,— ენაც არ წავიდეს და დევმა არ გადამიყლაპოსო.

ერთ დღეს ეს ყმაწვილი ბავშვებში კოჭაობს და ერთ ქალს ჩაფით წყალი მოაქვს. ესროლა კენჭი და ამ ქალს ეს ჩაფი გაუტეხა. ქალმა უთხრა: ჩემი ჩაფის გატეხას ისა სჯობია, შენი ცხრა ძმა და ერთი და დევს ჰყამს გადაყლაპული, თუ შეგიძლია რაღე, იმას ეომეო. მივიდა ეს ყმაწვილი სახლში და დედას უთხრა: ძუძუ უნდა მომაწოვოვო. რაღა დროს შენი ძუძუ არის, შვილო, მაგოტელა კაცი ხარო,— ეუბნებოდა დედა. არ მოეშვა და დაეთანხმა დედა: მოდი და მოსწოვეო. მოუჭირა შვილმა კბილი ძუძუზე და უთხრა: მარჯლა, დედაჩემო, ჩემი ცხრა ძმა და მეთათე და დევსა ჰყამს გადაყლაპულიო? არა, შვილო, ვინ გითხრა, ტყუილიაო. მოუჭირა ძუძუზე კბილი და შეაწუნა დედა. და დედამ უთხრა: მართალი არიარო.

წავიდა ეს ყმაწვილი, მჭედელთან მივიდა და უთხრა: მჭედელო, იმისთანა შვილდ-ისარი უნდა გამიკეთო, რომ სამჯერ მოვსწიო და არ გატყდესო. გაუკეთა მჭედელმა შვილდ-ისარი, მოსწია ყმაწვილმა და გატყდა. მჭედელს უთხრა: იმისთანა მშვილდ-ისარი გამიკეთე, რომ სამმა კაცმა ვერ გადააბრუნოსო. მჭედელმა იფიქრა, ეს სწორეთ ღონიერი ყოფილაო, და გულდაგულ მოეკიდა და კარგი შვილდ-ისარი გაუკეთა, მივიდა ყმაწვილი, შვილდ-ისარი მისწი-მოსწია, ვერ გატეხა. გადიგდო მხარზე და წავიდა.

მივიდა დევინას, დევის დედა ბანზე ზის, ყმაწვილმა დაუძახა: დევი სად არისო? შვილო, რას სწყრებიო,— უთხრა დევის დედამ. კვირისტავი დაუგორა: ეგ კვირისტავი ამომიტანე და ჩემს შვილს მერე გასწავლიო. ყმაწვილმა წამოჰკრა ნეკი ამ წისქვილის დოლაბს, ისროლა და ბებერს ახალა. მაშინ ბებერმა უთხრა: ა იმ ბაღში გადადი, შვილო, მოვა ჩემი შვილი და პასუხს მოგცემსო.

გადავიდა ბაღში. ერთი თურაშაული ვაშლი დგას და იმას ესროლა შვილდ-ისარი,— ნახევარი გვერდი მოგლიჯა. ერთი ვაშლი წავიდა და საცა დევი ნადირობს, იქ დაეცა. დევმა დახედა. იცნო თავის ვაშლი და იფიქრა, ეხლა კი ღმერთი მიწყრებოდა. უფრო დი-

დი ნადირი მოჰკლა და უფრო დიდი წიფელა მოგლიჯა და წამოიღო. მოვიდა სახლში და უთხრა ყმაწვილს: ეს წიფელა უცულოთ დაამტვრიე, ეს ირემი უდანოთ დასქერი და ამაღამ ვახშმათ კაი დრო გავატაროთო. ყმაწვილმა სულ ლუქმა-ლუქმა აქცია ირემიც და წიფელაც. მოვიდა ვახშმობა, დასხდენ და სჭამენ. ვახშამზე იწყეს ძვლების სროლა, — დევი ყმაწვილს ესვრის: ჩემს ცოლის ძმას გაუმარჯოსო, და ყმაწვილი დევს: ჩემს სიძეს გაუმარჯოსო. ამ ძვლებით კარგათ დაეყეეს ერთმანეთი. უთხრა დევმა ყმაწვილს: ბუმბულში ხარ მოსვენებას დაჩვეული თუ ჩალაჩულაშიო? ყმაწვილმა უთხრა: მე ბუმბული არც კი ვიცი, მე ჩალაჩულაში ვარ დაჩვეულიო. მაშო, — უთხრა დევმა, — შედი, საცა რაშები არიან, და ბაგაში ჩაწექიო. შევიდა ყმაწვილი, კარებს უთხრა: დევი არ შემოგეპაროთ, თორემ სულ ლუქმა-ლუქმა დაგჩეხთო. რაშებსაც უთხრა: თუ კარებს დევი შემოგეპაროს, თქვენ არ შემოგეპაროთო.

იფიქრა დევმა, ესლა ყმაწვილს დაეძინებოდაო, და დედას უთხდა: დედა, პური მზიაო. შედი, წვილო, რაშების ბაგაში ერთი კუტია და შესჭამეო. წავიდა დევი: მიაწვა კარებს. კარებმა სულ ჭრინი დაიწყეს და დევი უკან წამოვიდა. ორჯელ-სამჯელ მივიდა და დაბრუნდა. მეოთხეთ რომ მივიდა, ყმაწვილმა დაუძახა: რალას ბრუნდები, სირცხვილი არ არის, მეოთხეთ გაბრუნდეთ? შევიდა დევი და უთხრა: რკინის კალოზედ ხარ ქიდაობას დაჩვეული თუ მიწის კალოზეო? ყმაწვილმა უთხრა: რკინის კალო არც კი ვიცი, რა არისო, მიწის კალოზეო. მაშ გათენდეა დილა და გავიდეთ, ვიჭიდაოთო.

გათენდა დილა. გავიდენ კალოზედ და დაიჭიდენ. მოიქნია დევმა და კოჭამდინ ჩასვა მიწაში. ყმაწვილმა მოიქნია და მუხლამდინ ჩასვა მიწაში. დაძალა ყმაწვილმა და სარტყლამდინ ჩასვა მიწაში. დევმა უთხრა: მიმადლე, შენს ღმერთს, სულ ნუ მომკლამ და შენი ცხრა ძმა და მეთათე და ცალ კვერში მყანს, გვერდს გამოვიჭრი და გამოვიყვანო. გამოიჭრა დევმა გვერდი და გამოიყვანა ათივე. ერთი უკვდავების ხელსახოცი აქვს დევს, — მოუსვა და სულ ყველა დააცოცხლა. ყმაწვილმა დევიც მოჰკლა და დევის დედაც. წამოიყვანა თავის ძმები და და, წამოვიდენ სახლში. ეს ღონიერი ძმა ცოტა ხნით უკან ჩამორჩა.

ძმებმა იფიქრეს და მოილაპარაკეს: თუ ჩვენს ღონიერს ძმას არაფერი მოვუხერხებთ, ჩვენ არ ვვახეირებსო. ცოტა იარეა თუ

ბევრი იარეს, ერთ ადგილას ერთი ქა ნახეს. თავის ღონიერ ძმას უთხრა დამ: მართალია, ძმაო, დევიდან მიშველე, მარამ ისეთი წყალი მწყურია, რომ თუ არ მიშოვე, მოგვეცედიო. უთხრეს ძმებმა ერთმანეთს: აბა ამ ქაში რომელი ჩახვალთო? იმ ღონიერს უთხრეს: თუ შენ არ ჩახვედი, ჩვენ ვერც ერთი ვერ ჩავალთო. ადგა და ჩავიდა ღონიერი ძმა და მოაწოდა წყალი. ადგენ ეს ძმები, დიდი ქვა მოიტანეს და დაათარეს თავზე ქას, დასტოვეს შიგ ის ძმა. ამ ცხრა ძმამ მათი ძმის შვილდ-ისარი აითრიეს და ძლივ მიიტანეს სახლში. დედას ძალიან გაეხარდა შვილების ნახვა, ჰკითხა: შვილებო, თქვენი უნცროსი ძმა რა იქნაო? ჩვენ კი გვიშველა, მარამ იადევმა შესჭამაო,— უთხრეს დედას.

ღონიერი ძმა დარჩა ქაში და ფიქრობს. შეევედრა ღმერთს: ღმერთო, ცალი ხელი ბარათ მიქციე და ცალი ნიჩბათო, ან ისევ ბარათ ავიდე ან ქვესკნელში ჩავიდეთ. როგორც ინატრა, ექცა ისე. იმდენი იმუშავა, რომ ქვესკნელში ჩავიდა და მივიდა ერთი ბებრისას. უთხრა ბებერს: ძალიან მშია და პური უნდა მაჭამოვო. ბებერმა უთხრა: გამომცხვარი არა მაქვსო, გამოვაცხოზ და გაჭმევო. გაცრა ფქვილი და თავის შარდით ზელამდა. რას შერები, დედაო?— ჰკითხა ვაჟმა. რა ვქნათო, წყალი გველეშაპს უჭირამს, თითო მზეთუნახავი თუ არ მივეციო, წყალს არ მოგვეცემსო, და ასე ვცხოვრობთო. ჰკითხა ყმაწვილმა: აქ მქედელი არ არისო? როგორ არ არისო. წავიდა ის ბიჭი და გააკეთებინა შვილდ-ისარი. წაიღო ეს შვილდ-ისარი, კოკები და მივიდა, საცა გველეშაპი ჩამოდის. დახვდა იქ მზეთუნახავი, ხემწიფეს გამოუგზავნია და წყალი უნდა წაიღოს. ქალმა უთხრა: რათ მოსულხარ, ყმაწვილო, გველეშაპი ჩამოვა და შეგჭამსო. ყმაწვილმა უთხრა: მე დიდოს ხნის უძილო ვარ, შენს კალთახე თავს დავდებ, დავიძინებ, და გველეშაპი რომ წამოვიდეს, სამი იმისთანა ცრემლი დამეცი, ისე დამწვას, რომ გამომეღვიძოსო; დაწვა და დაიძინა.

წამოვიდა გველეშაპი. მზეთუნახავმა ტირილი დაიწყო და ყმაწვილის გამოეღვიძა. ჰკრა შვილდ-ისარი და მოჰკლა გველეშაპი, ცხრა ხორა ხორცი დადგა და ცხრა ზორა ძვალი.

წავიდა მზეთუნახავი მამასთან. მამამ უთხრა: რათ მოხვედი, შვილო, მოვა გველეშაპი და ჩვენ შეგვჭამსო. ერთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდაო,— უთხრა ქალმა მამას,— და იმან მოჰკლა გველეშაპიო. წაბძანდა თავის ფეხით ხემწიფე და ჩახა მკვდარი გველეშა-

პი. დაიბარა თავის სახემწიფო და გასცა ბძანება: ვინც ის გველ-
შაპი მოჰკლა, ჩემი ქალიც იმას უნდა მივცე და ჩემი სახემწიფოცო.
რამდენიც ხალხი მივიდა, იმდენი ხემწიფემ ჰკითხა: აბა, შვილო.
რომელია ის კაცი, ვერ იცნობო? როგორ ვერ ვიცნობო, მარამ აჲ
არ არისო. შეაჯერა თავის სახემწიფო და ვერ იპოვეს. ბძანა ხემ-
წიფემ: აღარავინ არის ჩემ საბძანებელშიო? აღარავინ გახლამ-
სო, — უთხრეს, — მხოლოდ ერთი მათხოვარი არის ერთი ბებრისო.
მათყვანეთო, ბძანა ხემწიფემ. მოიყვანეს. ჰკითხა მზეთუნახავა: ეს
არის, შვილოვო? ეს გახლამსო, ქალმა უთხრა. უბძანა ხელმწიფემ: ეს
ჩემი ქალიც შენ უნდა შეირთო და ჩემი სახემწიფოც შენი უნდა
იყვესო. არაო.— მოახსენა ხემწიფეს ყმაწვილმა.— ეგ და და მე
ძმა, არ შემიძლია აჲ დგომო. იმდენი წყალობა უნდა მიყო, რომ
სამი არწივი მიბოძო, რათა ხმელეთათ გამიყვანონო. მისცა ხემწი-
ფემ სამი არწივი და გამოიტანა საგძალი. გააფრთხილა: ამ არწი-
ვებმა რამდენიც ფთა მოიჭნიონ, იმდენი ლუკმა აძლე, არ დააყ-
ლოვო.

წამოიყვანეს არწივებმა და გადმოიყვანეს ხმელეთათ. თითო
ლუკმა ხორცი დააკლდათ. გამოიჭრა ყმაწვილმა კუნთი და ჩაუღო
პირში. არწივებმა უთხრეს: რა გემრიელი ყოფილაო, აქამდინ რომ
გვცოდნოდა, შეგჰკამდითო. გამოიგლიჯეს ფთა, გამოუსვეს და მოურ-
ჩა ყმაწვილს კუნთები. წადიო,— ყმაწვილს უთხრეს,— და ერთს
ხეზე მოშორებით თავი მიიკარი, თორემ ჩვენ რომ წავალთ, იმძთა-
ნას დავიწივლებთ, რომ ქარით ისევ თან არ წაგიღოთო.

წამოვიდა ეს ყმაწვილი. ბევრი იარა და მოვიდა ისევ ძმებთან.
ძმებს თურმე ქორწილი აქვთ და ეს ყმაწვილი მათხოვრათ მივიდა.
შეიყვანეს სახლში. სკამზე დაჯდა და უყურებს ხალხს. ხელავე, მისი
შვილდ-ისარი გდია ამ სახლში და მიათრ-მოათრევენ. ამის პატრო-
ნი ძალაჲნ ღონიერი კაცი არ იქნებოდაო,— ამბობს ხალხი. ეს
ყმაწვილი ყურს უგდებს. მერე უთხრა: ეგ რაღაც არის, მეც მიჩვენ-
ეთო. ხან ერთმა წაჰკრა თავში, ხან მეორემ, — მასხარათ იგდებენ
ყმაწვილი მაინც იმდენი ეხვეწა, რომ შეაცდინა ხალხი და საცა
თითონ ზის, იქამდინ მოატანინა ის შვილდ-ისარი. აიღო ხელში
და მოღწია: ხარსა თუ ფურსაო? ფურსა რა ბრალიაო,— უთხრეს,—
ხარსაო. ესროლა და ყველა ძმები დახოცა.

ჭირი იქა და ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

14. ნანათ-მონადირე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ორა ქმაკაცი: ერთი მონადირე იყო, ნანათ-მონადირე ერქვა, და მეორე შინაკაცი იყო. ერთ ღღეს ადგა ნანათ-მონადირე და წავიდა სანადიროთ; მთვარემ მოატყუა და ძალიან ადრე მოუვიდა წაპვლა. მთვარიანს ღამეში ველარსაით წავიდა და ერთ ხეს შეეხიზნა. იმ ღამეს ქორწილი ჰქონდათ ნადირთმცველებს. დაიძახეს ნადირთმცველებმა: ქორწილი გვაქვს და გვეწვიეთო. იმ ხილგან გასძახა ნადირთმცველმა: ღვთის სტუმარი მყამს და ვერ გეწვივითო. მერმე კიდევ დაუძახეს: შენი სტუმარიანათ გვეწვიეთო. მაშინ ხის წვეროდგან წამოვიდა ნადირთმცველი, ნანათ-მონადირე განზე გაუდგა და ფეხზე შეაყენა თოფი, უნდა ესროლოს; მაგრამ ნადირთმცველმა დაუძახა: არ მესროლო და ბედსა გწევო. არ ენდო ნანათ-მონადირე და ჰკითხა: რა ბედსაო? ნადირთმცველმა უთხრა: გაღმიდან რომ გვიძახიან და გვპატიუობენ, ხომ გაიგონეო? გავიგონეო, და ნადირთმცველმა დაარიგა მონადირე: ჩვენ რომ იქ მივალთ, ბევრს გეტყვიან — პური გატეხე, მიირთვი, მოგვილხინეო, მაგრამ შენ ხმა არ გაიღო, მანამ მე თვალი არ გიყოო. შეისვა ნანათ-მონადირე ნადირთმცველმა და გაიყვანა გაღმა.

რო გავიდა და წეხედა ნანათ-მონადირემ, ნახა, რომ რაც ქვეყანაზე ნადირია, ყველას ნადირთმცველი იქ არის. დაახდენ ვახშმათ და სთხოვეს ნანათ-მონადირეს, ვახშამი მიირთვიო, პური გატეხეო. მან არც პური გატეხა და არც სჭამა. სთქვეს ნადირთმცველებმა: რა დაუწესოთ და რათი ვცეთ პატივიო? მაგის თოფი ნულარ გავარდებო და ყოველდღე ორი ირემი მივიდეს მასთან, დაიხოქოს და მან დაჰკლასო. მაშინ თვალი უყო ნადირთმცველმა და ნანათ-მონადირემ გატეხა პური და სჭამა ვახშამი.

ეს იმათი დაწესებული ორი ირემი რომ მიდიოდა ყოველდღე და ჰკლამდა ნანათ-მონადირე, მის ცოლს და ძმას მოსწყინდათ, — ვერც იმეტებდენ სხვისთვის გასაგზავნათ და სუნმა შეაწუხათ. მაშინ მაზლს უთხრა ნანათ-მონადირის ცოლმა: შეელევი შენს ძმას, რომ მოუხებრხო რამეო? მაზლმა უთხრა: წვეველევიო. მაშინ ცოლმა მათრახი გადაჰკრა ნანათ-მონადირეს და უთხრა: შენამც ქეტულებარ ძაღლათაო. იქცა ძაღლათ ნანათ-მონადირე. ირემი აღარ მოუვიდათ, რაკი ძაღლათ იქცა ნანათ-მონადირე, სამაგიეროთ ღამეში ათს მგელს ახიობდა ეს ძაღლი.

ჩამოიარა იმერელმა საპალნეებით. ამ ძაღლმა ძალიან შეუტია. სთქვა იმერელმა: ნეტავი ნანათ-მონადირე ამ ძაღლს მომყიდდეს, ერთი საპალნე ღვინოს ვაჩუქებო. გაიგონა ცოლმა და უთხრა იმერელს: რა სთქვიო? მე ესა ვთქვიო, — ნანათ-მონადირე ნეტავი სახლში იყვეს, ამ ძაღლში ერთ საპალნე ღვინოს მივცემო, მარამ არ შეელევა, თვითონ მონადირე არისო. ადგა ცოლი და მიჰყიდა ძაღლი, ერთი საპალნე ღვინო გამოართვა.

წაიყვანა იმერელმა ეს ძაღლი. მეცხვარეებთან მივიდა და დალაშქრა. მეცხვარეებს უთხრა იმერელმა: ღვინო ჩემიო და საკლავი თქვენიო. მეცხვარეებმა ცხვარი დაჰკლეს, უსაზომო ღვინო დალიეს და დათვრენ. იმ ღამეს უმწყემსოთ დარჩა ცხვარი. დაერია მგელი, მარამ ამ ძაღლმა ისტონიარად გაიმაგრა, რომ ერთი არ გააფუჭებინა. ადგენ დილაზე მეცხვარეები და თავში ხელი შემოიკრეს, ეგონათ ცხვრები მგლისაგან შეჰმული, მარამ ნახეს, რომ ცხვარი სრულად იყო და ოცი მგელი ეგდო მკვდარი ამ ძაღლისაგან. უთხრეს იმერელს: ეს ძაღლი უნდა მოგვეყიდოვო. იმერელმა დიდი უარი უთხრა, — ვერ მოგყიდითო. მეცხვარეებმა შეუტიეს, — თუ არ მოგვეყიდი, მოგვლამთო. აღარ მოეშვენ და მიჰყიდა იმერელმა. ასი სული ცხვარი მისცეს. წავიდა იმერელი, მეცხვარეებს ძაღლი დაუტოვა.

ერთ ხემწიფეს ერთი შვილის მცტი არა ჰყოლია რა და ავით გამხდარა, ექიმს ეძებენ და წამლებს. იმდენი იარეს, რომ ნანათ-მონადირის ცოლთან მივიდნენ. ამ ქალს გაუგია, რომ მისი გაყიდული ძაღლი მეცხვარეებს ჰყამთ. მონადირის ცოლმა უთხრა: ამა და ამ მეცხვარეებს რომ ძაღლი ჰყამთ, იმ ძაღლის გულ-ღვიძლი შეუწვი და აჰამეთ და მორჩებაო. ხემწიფეს მოახსენეს: ერთმა ექიმმა, ამა და ამ მეცხვარეებს რომ ძაღლი ჰყამთ, იმის გულ-ღვიძლი გვასწავლა, მარამ მეცხვარეებმა არ მოგვეყიდეს ძაღლიო. გაატანა ხემწიფემ ამ მეცხვარეებთან მრავლისაგან უმრავლესი ფული, თუ მოგყიდონ — თუ არა — წაართვით და წამოიყვანეთო. მივიდნენ მეცხვარეებთან, არ მიჰყიდეს ძაღლი და წაართვეს. წაიყვანეს ხემწიფესთან, და საცა ყმაწვილი იყო ავანტყოფი, ეს ძაღლი იმ ოთახში დააყენეს იმ ღამეს.

ჩამოვიდა იმ ღამეს ქაჯი და დააწვა ყმაწვილს. სტაცა ძაღლმა პირი და დაიჭირა ეს ქაჯი. ქაჯმა უთხრა ძაღლს: გამიშვი და ბედსა გწევო. ამ მათრახს მოგცემო, — შენს ცოლს გადაჰკრამ, სახედრათ

გადიქცევად, შენს ძმას გადაჰკრამ, ისიც სახედრათ გადიქცევად. შენ კიდევ კაცად გადიქცევად.

გათენდა დილა. შემოვიდნენ ხემწიფის ნაზირ-ვეზირები, ეს ძალლი უნდა დაჰკლან. მოჰკიდეს ხელი და გაიყვანეს. ხემწიფის შვილი გაწყრა: ნუ დაკლამთ მაგ ძალს, მაგან მამარჩინაო. ყმაწვილი მორჩა, მასუკან აღარა სტკენია რა. ძალლი კაცათ იქცა, და გაუშვეს. იყო რამოდენიმე ხანი იქ.

დაიწყო ხემწიფის შვილმა სასახლეების შენება. მაშინ წამოვიდა ეს კაცადქცეული მონადირე თავის სახლში. გადაჰკრა მათრახი ცოლს და იქცა სახედრათ, გადაჰკრა ძმას და ისიც სახედრათ იქცა. წამოიყვანა ეს სახედრები და ხემწიფის შვილს მოჰგვარა. უბძანა ხემწიფის შვილმა: დღეში რა მოგცე ქირაო? ამ კაცმა მოახსენა: რაც თქვენი ნება იყვესო. მე დღეში ერთი იჯრის მეტს არა მყამს დაჩვეული და მეტი არ აჭამოთო, ქვა და ლოდი ზურგზე არ გამოუღოთო.

ქირა იქა, ლხინი აქა.

16. ხემწიფის შვილი და მზეთუნახავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ხემწიფე და ჰყამდა ერთი ვაჟი. როდესაც მოიზარდა, მამამ სასწავლებელში მიაბარა. იყო რამოდენიმე ხანი და ვერა ისწავლა რა. ხემწიფემ გამოიყვანა და ახლა კიდევ სხვაგან მიაბარა. ვერც ვერაფერი იქ ისწავლა. ადგა ხემწიფე და სხვა სახემწიფოში წაიყვანა. რო მიჰყამს, ერთი კოშკის ძირში გაიარეს, და იქ მზეთუნახავმა გადმოხედა და გადმოსძახა ხემწიფეს: ეგ ყმაწვილი სად მიგყამსო? ხემწიფემ უპასუხა: ჩემს სახემწიფოში მრავალ ალაგას მივაბარე და გცადე და ვერა ისწავლა რა და ეხლა ამ სახემწიფოში წამოვიყვანე, იქნება მივაბარო სადმე და ისწავლოს რამეო. მზეთუნახავმა უთხრა: მე მომბარე და ვასწავლიო. მიაბარა ამ მზეთუნახავს და ხემწიფე წამოვიდა თავის სახლში.

მზეთუნახავმა ბევრი სცადა ესწავლებია ამ ყმაწვილისათვის, მარამ ამან ვერაფერი ვერ ისწავლა, მხოლოდ ბანქოს თამაშობა ისწავლა. ეს ბანქო ძალიან კარგად ისწავლა. წავიდა სხვა სახემწი-

ფოში და მრავლისაგან უმრავლესი ფული მოიგო. მერე სთქვა: ერთი წავალ და ჩემს ოსტატს ვეთამაშებიო. მოვიდა და ეთამაშა მზეთუნახავს. მზეთუნახავმა, რაც ფული ჰქონდა, სულ მოუგო, ყმაწვილი წავიდა და უთხრა მამას: ოსტატი ფულსა მთხოვსო, მოატყუა. მამამ მისცა ფული, წაიღო, ეთამაშა და ეს ფულიც მოუგო მზეთუნახავმა. იმდენი ზიდა ფული მამისაგან და ამ მზეთუნახავმა მოუგო სულ, რომ ხემწიფე გაღარიბდა და შვილს უთხრა, აღარაფერი აღარ მაქვს და რაც გინდა ქენიო. ყმაწვილმა იფიქრა: მე რაღა კაცი ვარ, მამა გეაღარიბე, ამდენი ფული წავაგეო, წავალ და თავს ჩამოვიბრჩობო.

წავიდა, ერთს დანგრეულს სახლში შევიდა, — ჩუმათ უნდა დაეხჩო თავი. რომ ჩამოაბა თოკი და უნდა გაუყაროს თავი და ჩამოიხჩოს, შეხედა მალლა გასაყარში და დაინახა ერთი ფულის ქისა, ერთი ქუდი და ერთი სუფრა. ადგა, აიღო ესენი და სთქვა: თავს აღარ დავიხჩობო და ერთი კიდე წავალ და მზეთუნახავს ვეთამაშებიო. (ქისა ისეთი გამოდგა, რომ შიგ ფული არ ილეოდა, სუფრაც ნატვრის სუფრა გამოდგა და ქუდი — უჩინმაჩინის ქუდი). მივიდა მზეთუნახავთან და დაიწყეს თამაშობა. ორი დღე ითამაშეს და მრავალი ფული მოუგო მზეთუნახავმა. უთხრა ყმაწვილს: შენ რითი ვერ გამოგელია ფული, ვინ მოგცა მაგდენიო? ყმაწვილმა უთხრა: მე ფულს რა გამომილევეს, ჩემი ქისა იმისთანა არის, რომ რამდენიც უნდა წავაგო, ფული შიგ არ გამომელევეო. მაშინ მზეთუნახავმა უთხრა: თუ მაგ ქისაზე მეთამაშებიო, თუ არადა — აღარ მინდაო. ეთამაშა ქისაზე და ქისაც მოუგო ქალმა.

მერე ყმაწვილმა ქუდი დაიხურა და ქალს ლაპარაკი დაუწყო. ქალმა უთხრა: სადა ხარო? აგერ გვერდზე გიდგივარო, ეუბნება ყმაწვილი. რატომ ვერა გხედამო? შენ სიღამ დამინახამო, — ყმაწვილმა უთხრა, — მე უჩინმაჩინის ქუდი მახურამსო. მოიხადა ქუდი და უთხრა: კიდე ვითამაშოთო. ქალმა უთხრა: თუ მაგ ქუდზე მეთამაშებიო, გეთამაშებიო, თუ არადა — არ მინდა თამაშობაო. ეთამაშა კიდევ ყმაწვილი ქუდზე, და ეს უჩინმაჩინის ქუდიც მოუგო ქალმა.

უთხრა ყმაწვილმა: ეხლა სადილის დრო არის და ვისადილოთო. ქალმა იფიქრა: ეს მოსულა კაცია და სადილი სად აქვსო? დაიბანეს ხელი სადილისათვის. ყმაწვილმა თავისი სუფრა გაშალა და რა გინდა, სულო და გულო, რომ ამ სუფრაზედ არ არის. გაუკვირდა ქალს. გაათავეს სადილი, ყმაწვილმა დაკეცა სუფრა და კიდე უთხრა:

გეთამაშოთო. ქალმა უთხრა: თუ მაგ სუფრაზე მეთამაშები, გეთამაშებო. დაიწყეს თამაშობა და ეს სუფრაც მოუგო.

ყმაწვილმა იფიქრა, ეხლა მაქვს თავი დასახრობიო. ჯერ მამაჩემის ამოდენი საცხოვრებელი წავაგე, ეხლა ეს ქისა, ქული და სუფრაო, უთუოთ თავი უნდა დავიხროვო, და წავიდა. ერთს წყლის პირას მივიდა. რომ უნდა ჩავარდეს, იფიქრა, ვაი თუ ჩქარა არ დამახროს წყალმარო, და აიხედა, — ერთი დიდი კლდე დაინახა. სთქვა: ავალ და იქილამ გადმოვარდები და მოვკვდებიო. ავიდა კლდეზე, შუაგზას რომ მიატანა, უნდა გადმოვარდეს. გადმოიხედა და იფიქრა, აქედან რომ გადავვარდე, არ მოვკვდები და სულ ზევით ავალო. ავიდა კლდის თავზე. ნახა ამ კლდის თავზე მშვენიერი პატარა მინდორია, იფიქრა, დავისვენებ ცოტას და მერე გადავვარდები და მოვკვდებიო. ნახა ამ მინდორზე ორი ძირი ვაშლი დგას, ერთს დიდრონი ვაშლები ასხია და მეორეს უფრო წვრილი, და ძალიანაც შიან ყმაწვილს. მსხვილი ვაშლი მოგლიჯა და შესჭამა და ორი დიდი ირმის რქა გამოება. მერე წვრილი ვაშლი შესჭამა და ისევ დაცვინდა ეს რქები. იფიქრა, აღარ მოვიკლავ თავსო. ადგა, ოთხი ვაშლი დიდისა წამოიღო და ოთხი პატარასი. დააწყო ოთხი დიდი ვაშლი თაბახზე, დაიდგა თავზე და მზეთუნახავის კარებზე დააქვს, — მეწვრილმანის ტანისამოსი აცვია ვინც ჰკითხამს; ვაშლი როგორა, ბიჭო? თითო ვაშლი ოც თუმნათო, ეუბნება. გაუკვირდებათ, ვაშლი და ოცი თუმანი როგორ იქნებაო. შეხვდა მზეთუნახავის მამა: ბიჭო, მოიტანე ეს ვაშლიო, — როგორაო? ბატონო, განა თქვენ არ იცით ვაშლის ფასიო? მაინც როგორაო? თითო შაურათ მიირთვითო. იყიდა ხემწიფემ ეს ვაშლები, აბაზი მისცა, წამოვიდა სახლში. იფიქრა, ამ ორს ვაშლს ჩემს შვილს, მზეთუნახავს, გაუგზავნიო. დააწყო ხონჩაზე და გაუგზავნა. შესჭამა მზეთუნახავმა და ორი იმისთანა ირმის რქა გამოება, რომ ველარ იძვრის. ერთიც ხემწიფემ შესჭამა, ერთი იმის ცოლმა, ამათაც თითო ჯაშინელი დიდი ირმის რქა გამოება.

რაკი ამ ყმაწვილმა ეს ვაშლები გაყიდა, მეწვრილმანის ტანისამოსი გაიხადა და თავისი ტანისამოსი ჩაიცვა და დადის ამ ტანისამოსით. ხემწიფემ ბრძანება გასცა თავის სახელმწიფოში. ექიმები მოლაღეს, მარამ ვერაფერ მომრჩენი ვერ იშოვეს. ამ ყმაწვილმა ხან ერთთან სთქვა, მე მოვარჩენო, ხან მეორესთან, ასე რომ მიუვიდა ზემწიფეს ანბავი და მაშინვე დაიბარეს. უბძანა ხემწიფემ: შეგიძლიან მოგვარჩინო? შემიძლიანო, და მისცა ორი ვაშლი. ერთი ხემწიფემ

შესჯამა, ერთი ცოლმა. დაცვინდათ მაშინვე რქები. აიღო ხემწიფემ და ათასი თუმანი მისცა ყმაწვილს და კიდევ უთხრა: მზეთუნახავსაც თუ მამირჩენ, ერთი შვილის მეტი არა მყავს და ორი რქა იმას გამოებაო, რასაც მთხოვ, შვილო, იმას მოგცემო. ვნახამო, ბატონო, ყმაწვილმა უთხრა, თვალთ უნახავათ ავანტყოფი ვის მოურჩენიაო, ტყუილათ რომ თავს ვიღო და ვერ მოვარჩინო, არ იქნებაო. წაიყვანა ხემწიფემ მზეთუნახავთან. მოჰკიდა ყმაწვილმა ქალს ხელი და გაანძრია: ოჰ-ოჰოვო! — სთქვა. რა იყოვო, ჰკითხა ხემწიფემ. რაღა რა იყოვო. ამას იმტელი ცოდვა უქნია, რომ ამისის ცოდვით თქვენც რქები გამოგბმიათო. ხემწიფემ ჰკითხა: მაგისთანა რა ცოდვა უქნიაო? როგორ არაო, ერთ ხემწიფეს ერთი ვაჟი ჰყოლია; ამას უთქვამს მე გაგიზრდი და ვასწავლიო. ამას ქალაღდის თამაშობის მეტი ვერა უსწავლებია და მერე რაც იმ ყმაწვილის მამას საცხოვრებელი ჰქონია, ყმაწვილს გამოუზიდნია და სულ ამას მოუგიაო. კიდე იმ ყმაწვილს უჩინმაჩინის ქუდი, სუფრა და ერთი ქისა სულ ამას მოუგია, ასე რომ, საცხოვრებლისაგან რომ გადგა, თავის დახჩობა დააპირა იმ ყმაწვილმა. რაც იმ ყმაწვილისათვის ცხოვრება მოუგია, თუ იმას მომცემს, მოვარჩენ, თუ არადა — არ შემოძლიანო. ამ ქალმა: ოღონც მომარჩინეო და — ორი ათასი თუმანიც სხვა მისცა. შეაქამა ყმაწვილმა ვაშლები და ორივე რქა დასცვინდა. მერე ხემწიფემ უთხრა ყმაწვილს: თუ გინდა, შვილო, შეირთე ეს ჩემი ქალიო. ამ ქალმაც იფიქრა, ჩემი ქონება ამან წაიღოვო, ყმაწვილიც კარგიაო, და დაიწერეს ჭვარი. მამამ თავის საბძანებელი დაულოცა.

პირი აქა, ლხინი აქა.

16. ალმასხანდი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფის ვეზირი; სამი ქალი ჰყამდა, ვაჟი არა ჰყამდა, თითონ ხემწიფეს ემსახურებოდა. ცოლ-შვილი სახლში ჰყამდა, სახელათ ალუმბალი ერქვა. მოხუცდა ეს ალუმბალი ძალიან და ხემწიფემ უთხრა: ეხლა აღარ შეგიძლიან სამსახური, მადლობელი ვარ, და წადი შენს ცოლ-შვილს მიეპატრონეო.

ადგა ვეზირი და მოვიდა თავის სახლში. მისი ქალები გასათხოვრები არიან. უფროსმა უთხრა მამას: მამაჩემო, აქამდინ ხომ შენ

ემსახურე ხემწიფეს და ეხლა—ვინ რას გამიგებს — კაცურად ჩავი-
ცვამ, წავალ ხემწიფესთან და ვემსახურებიო. კარგიო, მამამ ნება
მისცა. ამ ქალმა თეთრი ტანისამოსი ჩაიცვა, იარაღი შემოირტყა,
შეჯდა თეთრს ცხენზედ და წავიდა. მამამ, როგორც არაბი, პირი
გაიშავა, არაბული ტანისამოსი ჩაიცვა, შავს ცხენზედ შეჯდა და
მეორე გზით წავიდა, უნდა თავის შვილი გამოსცადოს. დახვდა ქალს
წინ, ამოიღო ხმალი და შეუტია. ქალმა ერთი საშინლად იკივლა და
უკანვე დაბრუნდა. სანამ ქალი სახში მივა, მამა მიასწრებს. ჰკითხა
შვილს: რათ მოხვედიო? შვილმა უთხრა: გზაზე ერთი არაბი დამიხ-
ვდა, ძიელ შემეშინდა და დავბრუნდიო.

ეხლა შუათანამ აიხირა, მე წავალო და შეიკმაზა კაცური ტანი-
სამოსით, იარაღით, წითელს ცხენზედ შეჯდა და წავიდა. ამასაც ისე
დახვდა მამა არაბული ტანისამოსით და შუათანაც უკანვე დაბ-
რუნდა.

ეხლა მესამემ აიხირა, მე უნდა წავიდეთ. შავი ტანისამოსი ჩაი-
ცვა, იარაღი შემოირტყა, შავ ცხენზედ შეჯდა და წავიდა. რომ მიდის.
გზაში მამა ამასაც ისე დახვდა. ამოიღო ხმალი, შეუტია, მარამ ეს
ქალი არ შეშინდა და ასე უთხრა: ვაი, რომ მამაჩემსა გავხარ, თორემ
ეხლავე თავს მოკჭრიდიო. კაცმა უთხრა: ნუ მომკლამ, შენი მამა
ვარო. წადი, შვილო, — დაარიგა, — შენ ივარგებო. ამა და ამ მთაზე
რომ ახვალ, — თითქმის შუა გზა არის, — იმ მთიდან დაინახავ ერთს
ღევის სახლს. ის ღევი ჩემი კარგი მეგობარი არისო. ძირს რომ ჩახ-
ვიდეთ, ვაკეზედ, და იმის სახლს მიატანო, — გზა იმის სახლის წინ
გაგატარებს, — ცხენიდან ჩამოხტი და ისე გაიარეო. მაშინ ღევი
იტყვის, ეს ჩვენი მოკეთე არისო, და ცხენზედ შემჯდარმა რომ გაი-
არო, იტყვის, ეს ჩვენი მტერიაო.

წავიდა ქალი. მიატანა ღევის სახლს. ჩამოხტა და მიდის ისრე.
ღევმა გამოიხვდა და იფიქრა: ეს ვილაც არის, ჩვენი მოკეთე არისო.
გამოვიდა და ჰკითხა: ვინა ხარო? მე ალუმბლის შვილი ვარ, ალმას-
ხანისო. ღევმა უთხრა: თითქო ალუმბალი ამბობდა, ვაჟი არა მყამსო,
და მაგისთანა მშვენიერი ვაჟიშვილი ჰყოლიხარო. ეს ერთი ვაჟი ვყა-
მდიო და იმისთვის არ ამხელდაო, ვაითუ ხემწიფემ წამართვას, და
ეხლა მამაჩემი რაკი დაბერდა და ხემწიფის სამსახური აღარ შეუძ-
ლია, მე მივდივარ, ხემწიფეს უნდა ვემსახუროო.

ამ ღევს სამი ქალი ჰყამდა. ღევმა იფიქრა: ამალამ ამ ყმაწვილს
არ გავუშვებ და ჩემს ქალზედ ჯვარს დავწერო. ალმასხანი გამოემ-

შვიდობა და წასვლა დააპირა. დევმა უთხრა: ამაღამ შენი წასვლა არ იქნებაო, მამაშენი ჩემს სახლში თვის თვეობამდინ იყოფო. იმ ღამეს აღარ გაუშვა. დადგა ქალი დევისას. ვახშამი სკამეს. მერმე დევმა უთხრა თავის უფროს ქალს: გადი, ლოგინი დაუგე და შენც ამაღამ იმასთან უნდა იყვეო. აღმასხანს უთხრეს: შედი და მოისვენეო. შევიდა და დაწვა. დევის ქალიც შევიდა და მოუწვა გვერდით. აღმასხანმა უღუერი არ გაიტეხა და ერთი გაემასხარავა და აკოცა, გადაბრუნდა და დაიძინა.

გათენდა დილა. დევმა ჰკითხა თავის ქალს. ქალმა უთხრა: როგორც და და ძმა, ისე ვიწვექითო. დევმა იფიქრა, უთუოთ ქალი დამიწუნაო. აღმასხანმა კიდე წასვლა დააპირა, დევმა არ გაუშვა: მამაშენი ოთხთვეობით იყოფო ჩემთან და შენ ოთხ დღეს როგორ გაგიშვებო; შენც დაისვენე, ცხენიც დაასვენე და მერე ისე წადიო. იმ ღამეს კიდე სკამეს ვახშამი. ეხლა თავის შუათანა ქალს უთხრა დევმა: წადი, ლოგინი დაუგე და შენც გვერდს მოუწექიო. დაუგო ქალმა. უთხრეს: შებქანდი და მოისვენეო. შევიდა აღმასხანი, დაწვა, ქალიც გვერდს მოუწვა. ამასთანაც ისე იწვა, როგორც უფროსთან.

გათენდა დილა. ჰკითხა დევმა ქალს, რა ქენიო? როგორც და და ძმა, ისე ვიწვექითო, ქალმა უთხრა. დევმა იფიქრა, უთუოთ ქალები დამიწუნაო, და ამ მესამე ჩემს ქალსაც ვცდიო და თუ ესეც დამიწუნა, მერე სვირს უფრენებ, დავახრჩობო. კიდე გაიწია წასასვლელად აღმასხანი, მარამ დევმა არ გაუშვა, შენი წასვლა არ იქნებაო. იმ ღამესაც სკამეს ვახშამი. ეხლა უნცროს ქალს უთხრა დევმა: წადი, ლოგინი დაუგე და შენც გვერდს მოუწექიო. შევიდა აღმასხანი და დაწვა. დევის ქალიც შევიდა და მოუწვა გვერდს, აღმასხანმა მასხარაობა დაუწყო. ქალმა უთხრა: რას მემასხარავებიო, შენც ქალი ხარ და მეცაო. მამაჩემი ზვალ სიკვდილს გიპირობს, უთუოთ მოგკლამსო, და თუ ღეთის ფიცს მამცემ, რომ როცა კაცათ იქცევი, ჩემს მეტს არავის შეირთამ, მაგ სიკვდილისაგან დაგიხსნიო. ოღონდ კაცათ ვიქცეო, — აღმასხანმა უთხრა, — და ღმერთი მომიცია თავდები, რომ შენს მეტი არავინ შევირთოვო. ქალმა უთხრა: დილაზე მე ლოგინში ვიწვები და შენ ადექი და ბალკონში სიარული დაიწყო, მამაჩემი შემოვა და მკითხამსო.

გათენდა დილა. აღმასხანი ბალკონში გამოვიდა და დადის. შევიდა დევი და ჰკითხა თავის ქალს. ქალმა უთხრა: როგორც ცოლი

და ქმარი, ისე ვიყავითო. დევს გაეხარდა და გამოვიდა, წაიყვანა ალმასხანი, ცხენის ჯოგში შეიყვანა: რომელიც ცხენი გინდოდეს, აირჩიეო. ერთი გაქნაქული ცხენი აირჩია. სიძეო,—უთხრა დევმა,—ეს ბელაურები აირჩიეო. თუ ამას მოვიხმარო, — უთხრა ალმასხანმა, — ეგენიც ჩემი არ იქნებაო? წაიყვანა დევმა და ერთს სახლში შეიყვანა, იარაღით სამსე იყო: აბა აირჩიეო. ერთ თეთრტარა ხმალი აიღო და წელზე შემოირტყა. მერმე კიდევ მეორე სახლში შეიყვანა დევმა: ბექედები ამოირჩიეო, უთხრა. ქალმა ასწავლა, ცალკე ერთი წითელთვალა ბექედი ჰკიდია და ის აირჩიეო. ხმლის და კვიციის არჩევაც ქალმა ასწავლა. ალმასხანმა ეს ბექედი ხელზე გაიკეთა, კვიცი შექმაზა, შეჯდა და ხემწიფესთან წავიდა.

გაქნაქულმა რაშმა უთხრა ალმასხანს: მე ხემწიფისას ნუ მიმიყვან, გამომვიო, ერთი ძუა გამომგლიჯე და როცა გაგიჭირდეს, მოტრუსე და მაშინვე შენთან მოვალო. გაუშვა რაში ალმასხანმა. მივიდა ხემწიფის გალავანთან და ზარი ჩამორეკა. ხემწიფემ გაიგო, ვილაც უმა შემოგვემატაო. იმ ზარით გაიგებდა, რომ ვინმე შეემატებოდა. გაგზავნა კაცი ხემწიფემ და ალმასხანი მოაყვანინა თავისთან. ჰკითხა: ვინა ხარო? მე ალუმბალის შვილი გახლავარ, ალმასხანიო. ი მამაშენი შეარცხვინა ღმერთმა, თუ მამისთანა ვაჯიშვილი ჰყამდი, ერთხელ ეთქვა ჩემთვის, რომ შენთვის ერთი ხელი ტანისამოსი გამომეგზავნაო, უთხრა ხემწიფემ. რა ვქნა, შენი ჰირიმეო, პატარა ვიყავი, ერთის მეტი არ ვყამდი და ვერ ბეღამდა თქმასო. რაკილა მამაჩემი ისე ტყბილათ დაბერდა თქვენს ხელში, მეც, რაკი შევიძელ თქვენს სამსახური, გიახელითო, მოახსენა ალმასხანმა.

ამ ხემწიფეს ერთი მზეთუნახავი ჰყამდა. იფიქრა ამ ქალმა: ალუმბალის შვილი რომ მოვიდა, ერთი თუ არ გადავხედე და არ დავინახე, არ იქნებაო. გადაიხედა სასახლიდამ, დაინახა ალმასხანი და მეტათ მოეწონა. დედ-მამის წიუმათ გაუგზავნა თავის გამდელი და დაიბარა, მარამ ალმასხანი არ ავიდა. ერთი თვის უკან კიდევ შემოოუთვალა და კიდევ არ ავიდა ალმასხანი. მზეთუნახავი ძალიან ავად გახდა ვითომ. ტყუილათ იგონებს. ქალს უნდა, ალმასხანი ისეთს ალაგას გაგზავნოს, რომ ან მოკედეს, ან ამან თვალით ვეღარ დაინახოს. ავიდეს დედ-მამა: რა დაგემართა, შვილოვო. მრავალი ექიმები მოლაღეს. ქალმა უთხრა დედ-მამას: მე აღარ მოვრჩებიო. ამა და ამ მთაში ტახია, თუ იმის გულ-ღვიძლს არ მამიტანინებთ, უთუოთ მოვკვდებიო. ჰკითხა მამამ: აბა, შვილო, იმ ტახს ვინ მოჰკლამს და ვინ მოი-

ტანსო? მზეთუნახავმა უთხრა: იმას ალუმბლის შვილი თუ მოიტანს, თორემ სხვას არავის შეუძლიანო. ხემწიფემ უბძანა ალმასხანს: ამა და ამ მთაში რომ ტახტი არის, იმის გულ-ღვიძლი უნდა მოიტანოვო; რა ვქნა, ბატონო, იქ წასვლა ძნელიაო; წავალ და გამმარჩვე ღმერთთაო.

წავიდა ალმასხანი, გავიდა გალავანს გარეთ და მორუჯა ძუა. მოვიდა რაში და ჰკითხა: რა გაგიპირდაო? უთხრა ალმასხანმა: ხემწიფემ ტახტის მოკვლა შემომიკვეთაო. რაშმა უთხრა: კაი ალაგას კი გაუგზავნიხარო! მაგრამ ნუ გეშინიაო, დაბრუნდი და ერთი საპალნე ბანბა და ერთი საპალნე ბანგი სთხოვე ხემწიფეს და წამოიღეო. მოახსენა ალმასხანმა ხემწიფეს. მაშინვე გამოატანა.

გათენდა დილა და წავიდენ. ბევრი იარეს, დაუღამდათ და დადგენ გზაში. რაშმა უთხრა: თუ ხვალ ამ დრომდე აქვე არ გამოვასწართ, იმისთანა ქარი ამოვარდება და იმისთანა ადგილას გადაგვადლებს, რომ დაგიკარგებთო. იმ ღორს ერთი ტბა აქვს, და შეუადღე რომ მოატანს, იმ ტბასთან წამოვა, უნდა მივიუსწროთ დილით და ტბა ამ ბანბით ამოვსწუროთო. მივიდენ დილით იმ ტბაზე, ამოსწურეს, ბანგი ჩაასხეს და გაამსეს ტბა. წამოვიდნენ, — შეეშინდათ, ქარმა არ მოგვისწროსო, და ჩამოვიდენ თავის ბინაზედ. რომ შეიქნა სამხრობა, წავიდენ, მივიდენ იმ ტბასთან. ნახეს, ღორი იქვე გაგორებულყო. რაშმა უთხრა: მოსჭერი თავიო. მოსჭრა ალმასხანმა თავი, გასჭრა ღორი შუაზე, ამოიღო გულ-ღვიძლი და წამოვიდა. რამშა უთხრა, არ დაგიჯერებენო და ერთი ყურიც მოსჭერი და წამოიღეო. მოსჭრა ყური და წამოიღო. მოუტანა ხემწიფეს გულ-ღვიძლი და უთხრა: თუ არ დამიჯერებთ, ყურიც მოვიტანეო, აი ეგერაა, გალავანმდინ ვატარე, მეტი ვეღარ მოვერიე და იქ არისო.

მზეთუნახავს შეუწვეს ეს გულ-ღვიძლი. შესჭამა, და უფრო ავად გახდა, რომ ამდენი შესძლებია ალმასხანსო. კიდე ჩუმთ გაუგზავნა კაცი, ამოდი და მნახეო. ალმასხანმა უარი შეუთვალა, არ ნახა. დედ-მამამ ჰკითხეს: როგორა ხარ, შვილოვო, გარკო ღორის გულ-ღვიძლიაო? ეხლა უფრო ავად ვარო, — უთხრა მზეთუნახავმა, — ერთი გაქვავებული ქალაქია, თუ იმის ანბავს მამიტანს ვინმე, მოვრჩები, თუ არა — მოკვდებიო. ვინ წავა, შვილოვო, და: — ისევე ალმასხანი თუ წავა, თორემ სხვას ვის შეუძლიაო. კიდე უთხრა ხემწიფემ ალმასხანს: ამა და ამ გაქვავებული ქალაქის ანბავი უნდა მოგვიტანოვო.

გავიდა აღმასხანი და მოტრუსა ძუა. მოუვიდა რაში და ჰკითხა: რა გაგიჭირდაო? უთხრა: ასე მიბძანა ხემწიფემ, გაქვავებული ქალაქის ანბავი უნდა მომიტანოვო. რაშმა უთხრა: ვაი, რა ძნელ ალაგას გაუგზავნიხარო! გაბრუნდი და ერთი საპალნე ყველი და თაფლი გამოსთხოვეო. მისცა ხემწიფემ.

წავიდენ. იარეს სამი დღე და იმ ქალაქში მიატანეს. ერთი გზა არის, იმ გზის მეტი გზა არა აქვს, და ისეთი ბუზები არიან, რომ ცოცხლათ გადაყლაპენ კაცს. რომ მივიდენ, რაშმა უთხრა: დააპე თაფლის გუდებიო, მაგას დაეხვევიან და ჩვენ გზას მოგვცემენო. დააპო, მაშინვე იმას დაეხვიენ ბუზები და ამათ გაიარეს. კიდე ერთი დღე იარეს და დაუხვდათ ჰინკველები. დაუყარეს ყველი, ჰინკველები ამ ყველს დაეხვიენენ, ცალ გვერდზე გზა მისცეს და ამათ გაიარეს. შევიდენ ქალაქში.

ნახა აღმასხანმა, რომ მშვენიერი ქალაქი ყოფილა, მარამ მთელი სახლები და კაცები გაქვავებული არიან. გუთანი ნახა თავის გუთნის დედით, ხარ-კამეჩით, მეხრეებით გაქვავებული არიან, ურმები თავის კამეჩებით, ცხენები, აღარაფერი ნამყოფიერობა აღარ იყო, სუ გაქვავებულები იყვნენ. დანახა ერთ სახლში კომლი ამოდის. იფიქრა, იმ სასახლეში თუ არ მივედი, არ იქნებაო. მივიდა. ნახა შიგ ერთი კაცია, წელქვეით გაქვავებულია, წელზევით კაცია ხორციელი. ჰკითხა აღმასხანს ამ კაცმა: ვინა ხარო? ქრისტიანი კაცი ვარო, და ჰკითხა აღმასხანმა: რა ანბავია ამ ქალაქში, ან შენ რამ გაგაქვავა ან ეს ამოდენა ქალაქიო? კაცმა უთხრა: მე რომ ჩვენს ამბავს მოგიყვე ეს დღე დადამდებაო. არ მოეშვა აღმასხანი და ათქმევინა. იმ კაცმა უამბო:

მე ამ ქალაქის ხემწიფე ვიყავი და ჩემი ცოლი ხომ დედოფალი იქნებოდა ერთი მეურმე მყავდა და ძალიან კარგი სანაქებო ხარები. ძალიან გახდენ ეს ხარები, და მეურმეს ვკითხე, ეს ხარები რათ არიან ასე შეწუხებულნი-მეთქი. მეურმემ მითხრა: რა გქნა, შენი ჰირიმეო, როგორც ერთი ძილის პირი შეიქნება, — მე თქვენთან რა ძალა მაქვს, — დამიძახებს დედოფალი, აღდექი, ჩქარა ხარები შეაბიო. შემაბმევინებს, წამიყვანს, მე არ ვიცი საით მივდივარ და საით არა, ის თითონ მასწავლის გზას. ამიყვანს ერთს მთაზედ, იქ ერთი კოშკია. შევა დედოფალი, კაი ვახშამს მიირთმევს, დიდს ხანს იქნება, მერე გამოვლენ სამნი. იქ ერთი დიდი შინდორია, ჩასხდებიან, იმდენს მატარებენ, სანამ ხარები ძალიან არ დაიღლებიან. მერე ის ორი

გადახტება, იმ კოშკში წავლენ, დედოფალი ისევ აქ მობძანდება, და ამაში ილახებიან ხარებიო. მე არ დავუჭერე და კიდევ ვსცემე მეურმეს. რას დავუჭერებდი, მე ცალკე ოთახში ვიწევი და რომ შევიდოდი ადრე, დედოფალი ლოგინში იწვა. ერთს ღამეს ვუთხარო ჩემს მეურმეს: შენ თუ მართალს ამბობ, შენი ტანისამოსი მომეცი, ჩავიცვამ და შენ ჩემს ოთახში შემოდი და დაწევი-მეთქი. ჩავიცვი ჩემი მეურმის ტანისამოსი და დავწევი ჩემს საქონელში. გამოვიდა ჩემი ცოლი და დაუძახა მეურმეს, ჩქარა ხარები ურემში შეაბიო. მე ავდექი და შევაბი. გამოვიდა და ჩაჯდა დედოფალი. წავედით, და მე რა ვიცოდი იმისი გზა, ხან იქით გადაუხვებე, ხან აქეთ. მიჯავრდება დედოფალი, ამის მეტად არ ყოფილხარ თუ როგორ არისო, სწორე გზაზე წამიყვანეო. მე ვუთხარი: რა ვქნა, შენი ქირიმე, ბნელა და ვერ ვხედავ-მეთქი. როგორც იყო, მივიყვანე იმ ციხესთან. დედოფალი გადმოხტა, მითხრა მე, მეურმეს, შენ აქ მომიცადეო, თითონ ციხეში შევიდა. თურმე ამ ციხეში ქაჯეთის ხემწიფეს ყვარობს. დედოფალი კაი ხანს იყო ამ ციხეში. რამდენიმე ხნის მერმე, ერთი მშვენიერი ბალი აქვს ქაჯების ხემწიფეს, და გავიდენ იქ და დროს ატარებენ. ვუყურებ ურმიდან მე, ქმარი. დედოფალმა უთხრა თავის საყვარელს, ერთი ღვინო ჩემს მეურმეს დაალევიანეო. დამიძახეს მეურმეს და ყველი და პური მომაწოდეს და ერთი სტაქანი ღვინო. ეს ღვინო ვითომ დავლიე, პირზედ მივიღე და დავაქციე. მერე დამიძახა, აბა ურემი შეაბიო. ჩამოვიდა საყვარელიც, რამდენიმე ხანს ჩაუჯდა ურემში და გამოაცილა, მერე გადახტა და წავიდა. დედოფალი მოვიყვანე სახლში, შევიდა და დაწვა. მე ჩემს ოთახში შევედი და დავწევი, მეურმე ისევ საქონელთან გავგზავნე. მეორე დღით ცოლთან შევედი და ვუთხარი: დიდება შენდა, ღმერთო, წუხელის რანაირი სიზმარი ვნახე-მეთქი. წუხელ სიზმარში ვითომ მეურმე ვიყავი-მეთქი, და ვუამბე, როგორ წავიყვანე, როგორ მოვიარეთ. ცოლმა გამიქარწყლა, ურმით რომ დადიხარ, ის ჩაგყოლიაო. ბოლოს ვუთხარი: ვითომ ღვინო დამალევიანეთ და ყველი და პური მამეცი-მეთქი. ჩავიყავე ჯიბეში ხელი და ვუთხარი: აი, თუ არ დამიჯერებ, შენი მოცემული ყველი და პური-მეთქი. მაშინ გადამსახა ჯვარი: შენი ქალაქი ქვათაც ქცეულაო, და გადაიქცა ქვათ. მე ასე ნახევარქვათ გადაამაქცია. აი ეს სახრე. დღეში ერთს პურს მომიტანს და ერთს ბოთლს წყალს, მომდგება ამ სახრით და მკეპს, რომ დაილღება, წავა. ეხლა საცა არის მოვა და შენც გაგაფუჭებს და ნუ დაუხვდები აქა, წადიო.

ამ კაცის ნაამბობს აღმასხანი სულ სწერდა. აღმასხანმა ჰკითხა: დიდხანს დაიგვიანებს თუ არაო? კაცმა უთხრა: აი ამ წამს მოვარ, ადგა აღმასხანი, კარებს უკან დაიმალა. ის ქალი მოდის და ორი იმისთანა ნაწნავი აქვს, რომ ფეხებში სცემს. სტაცა აღმასხანმა ქალს თმაში ხელი და დაიჭირა. უთხრა ქალმა: ქვათაც ქცეულხარო, მარამ აღმასხანს იმისთანა ბეჭედი ჰქონდა, რომ ვერ გასკრა იმის წყევლამ და არ იქცა ქვათ. მერე აღმასხანმა უთხრა: დალოცეო. დედოფალმა უთხრა: თუ კაცი იყო, ქალათ იქეციო, და თუ ქალი იყო, კაცათ იქეციო. იქცა კაცათ აღმასხანი. ეს ხემწიფე დალოცეო, უთხრა ქალს. დალოცა, და როგორიც ხემწიფე იყო, ისე გადიქცა. ეს ქალაქიც დალოცეო. დალოცა, და სულ აეშვა ქალაქი. ხემწიფეს ჰკითხა აღმასხანმა: მოვკლავ? მან უთხრა: მოჰკალი, თორემ არ გაგვახარებსო. და მოჰკლა დედოფალი.

წამოვიდა, შეჯდა რაშზე, მოვიდა ხემწიფესთან და მოუტანა პასუხი. ეს დაწერილი წიგნი, ამ ქალაქის ანბავი რომ ასწერა, ხემწიფემ მზეთუნახავს გაუგზავნა. მზეთუნახავი ავით გახდა უფრო. კიდე შეუთვალა ჩუმათ აღმასხანს, ამოდი და მნახეო. ავიდა და ნახა აღმასხანმა. დაიწყო მზეთუნახავთან სიარული. ხემწიფემ გაიგო და დაითხოვა აღმასხანი. წადი ეხლა შენს სახლშიო, მადლობელი ვარო. აღმასხანი წამოვიდა, დევისას მოვიდა და დევის ქალზედ ჰვარი დაიწერა.

ქირი იქა და ლხინი აქა.

16 ა. ვეზირის ქალი

ერთ დიდებულ ხელმწიფეს ახლდა ვეზირი. როცა დაბერდა და ველარ შესძლო სამსახური, ხელმწიფემ დაითხოვა და უბძანა: მოსწრებული შვილი გეყოლება და ის მაახლეო. ვეზირმა იფიქრა, რა ვქნაო, მოსწრებული ვაჟი არა მყამსო, ვეზირს სამი ქალის მეტი არავინ ჰყამდა. ისევ გადაწყვიტა, წავალ სახლში, ერთ-ერთს კაცურად ჩავაცემე, იარაღს შემოვარტყამ და გამოვგზავნი ჩემს მაგიერათო. მოვიდა სახლში, იფიქრეს ცოლ-ქმარმა, ვინ გავგზავნოთო. ჰკითხეს სამთავეს, რომელს შეგიძლიათ ხელმწიფის სამსახურიო. უფროსმა

თქვა: მამა, მე გამაგზავნეო. ჩააცვეს კაცურად, შემოარტყეს იარაღი და გაგზავნეს. მამა ჩუმად წავიდა წინ და ტყეში დაიშალა. შვილმა რო გამოიარა, მამამ შემოუტია: ჰაი, შე მყარალოვო, ქალს შეეშინდა და ცხენიდან თავდაყირა გადმოვარდა. გაწბილებული დაბრუნდა სახლში. ეხლა შუათანა გაგზავნეს, ისიც შეშინდა და დააბრუნეს. ბოლოს უნცროსმა სთქვა: მამა, ხელმწიფის სამსახურს მე ვიღებ თავზე, გამაგზავნეო. ამასაც ჩააცვეს ვაჟურად და გაუშვეს. მამაც წავიდა და ტყეში დაუხვდა. ქალმა გადმოიღო თოფი და გულზე მიუღწვია, დაუყვირა, მამაჩემს რომ არა ჰგამდე, ეხლავე მოგკლამდიო. მაშინ მამამ უთხრა, მართლა მამაშენი ვარო, და ორივენი დაბრუნდნენ სახლში. დედ-მამამ დალოცეს და გაისტუმრეს უმცროსი ქალი ხელმწიფის სამსახურში.

მივიდა ვეზირის შვილი ხელმწიფესთან. გეხარადა ხელმწიფეს: ბარაქალა, ვეზირო, კარგი მოსწრებული შვილი გყოლიაო. დაიწყო სამსახური. გზავნის აქეთ-იქით. დეეჩვია, გაიცნო ყველანი, მიიღეს ხელმწიფემ, ქალბატონებმა და ბატონიშვილებმა.

ერთს ბატონიშვილს თვალი შეუვიდა. დედ-მამას ეტყვის, თქვენ რა ხელმწიფეები ბძანდებით, იადონი და ბულბული არა გყამთო. რა ვქნათ, შვილო, ვინ მოგვეგვრის იადონსა და ბულბულსო. მაშინ ქალი ეტყვის: ვეზირის შვილს შეუძლიანო. ხელმწიფეც შეუკვცთამს ვეზირის შვილს, საცა არ უნდა იყოს, მოგვეგვარეო. ვეზირის შვილი იფიქრებს, იფიქრებს და მოაგონდება თავისი დედობილი, მივა და შეშჩივლებს. ნუ დაღონებულხარ, შვილო, ამა თუ ამ ადგილას სხდებიან იადონი და ბულბული. იქ უნდა ორმო გათხარო, მიიტანო ლეში და დაუდო. შენ ორმოდგან უდარაჯე. ლეში დააბი, რომ არაფერმა მოიტაცოს. ლეშზე დასხდებიან ფრინველები, იადონი და ბულბულიც მოვლენ. დაიჭერ და მიგვრი ხელმწიფეს.

ადგა ეს ვეზირის შვილი და წამოვიდა. ისე მოიქცა, როგორც დედობილმა დაარიაგა. მალე მოგვარა ფრინველები. ბატონიშვილს ეწყინა, რადგან ამისი შერთვა უნდა ანდა უნდა დალუპოს. იფიქრა ხემწიფის ქალმა და გაიგო, რომ ქაჯეთის ხემწიფეს თავისი ქალაქი გაქვავებული ჰყამს და ქმარიც წელქვეით ქვად უქცევია; ისეთი ცუდი თვალი აქვს, ვისაც დაინახამს აქვავებს.

მივიდა ბატონიშვილი და მოახსენა ეს ამბავი თავის დედ-მამას, და სთქვა: ეს ყმაწვილი ვეზირის შვილობას მაშინ დაამტკიცებს თუ ან თმას ან თავს მასჭრის იმ ქაჯეთის ხელმწიფესო. უბძანეს ვე-

ზირის შვილს ეს ანბავი. დაღონდა ძალიან, წავიდა ისევ თავის დე-
ლობილთან, უამბო სუყველაფერი.

შვილო, ნუ სწუხხარ, ის ქალი რომ დაბრძანდება სადილზედ, მა-
შინ უნდა მიეპარო ისე, რომ არ დაგინახოს და დაუქირო თმა და
თავი მოსკერო.

წავიდა ვეზირის შვილი, ქალი კია, ნუ დაგავიწყდებათ, და მიე-
პარა. სადილს მიირთმევდა. დაიჭირა. რა სულიერი ხარ, რომ ვერ
დაგინახეო. ჩემი შიშით მალლა ფრინველს ვერ გაუვლია, ადგილზედ
ჭიანჭველასაო. კაცი ხარ, ქალად ქცეულხარ, ქალი ხარ—კაცადაო. ვე-
ზირის შვილი მაშინვე კაცად იქცა. ეხლა კიდევ გეეხარდა, ხელმწიფის
ქალი რომ ნდომულობდა, უარს აღარ ეტყვის. უთხრა ქაჯის ქალს
ვეზირის შვილმა: შენი ქმარი კაცად აქციე და ქალაქიც აუშვიო. მა-
ლე ქალაქი ეეშვა, დაიწყეს ერთმანეთთან სიარული, ვაჭრობა, აღებ-
მიცემობა, როგორც მოგეხსენებათ ქალაქის ანბავი. ვეზირის შვილმა
თქვა თავის გულში, ეს ხომ მადლი ვქენი, ქალაქი ავაშეებიწე, ახლა
თავს მოვჭრიო. გადაუსვა ხანჯალი და მოსკრა თავი. წაიღო და მი-
ართვა ხელმწიფეს.

ქალი უფრო შეწუხდა, საცა არ გავგზავნეო, ყველაფერი შეას-
რულაო. ამის დალუპვა მინდოდა და ვერ მოვახერხე. ეს რა არის.
მამაზე გადამეტებული ყოფილაო. მერე გაუწყრა დედ-მამას: თუ
ამაზედ ჯვარი არ დამაწერინეთ, გადავარდები, თავს დავიხრჩობო.
დედ-მამამ უთხრეს ვეზირის შვილს, ჩვენ ქალზედ ჯვარი უნდა დაგწე-
როთო. ვეზირის შვილმა მიუგო: წავალ, დედ-მამას დავეკითხებიო.
წავიდა საკითხავად. მამამ უთხრა: შვილო, შენ ქალი ხარ! როგორ
შეიძლება თქვენი დაქორწინებაო. ეხლა ამ ქალმა მიუგო თავის
დედ-მამას: ჩემი საქმე ასე იყო და ახლა კაცი ვარო. მაშინ გაეხარ-
დათ დედ-მამას, დალოცეს და უთხრეს: შენი ნებაა, შვილო, თუკი
გიკადრებს ხელმწიფე სიძეთო.

გამობრუნდა და მოვიდა ხელმწიფესთან. მოახსენა: თქვენი ნებაა,
ბატონოვო. ხელმწიფე დაიბარებს თავის ქალს: აბა, შვილო, ბოლო-
დროს საყვედური არ გვითხრაო. რასაკვირველია, გეეხარდა ქალსა
და დაინიშნენ კიდევ; ჯვარი დაიწერეს. სიძე ხელმწიფეზედ მომეტე-
ბულ საქმეებს აკეთებდა. ბოლოს ხელმწიფემ დაულოცა თავისი
საბრძანებელი და ტახტი.

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი გლეხკაცი, ჰყავდა სამი ქალი. უმფროსები სახლში საქმიანობდნენ, უმცროსი კი ხბორებს აძობდა შინდორში. ამ პატარა მწყემსმა გოგომ იბოვა ერთი კვიცი; ეს იყო რაში, მოიყვანა ჩუმად სახლში და ახორში დააბა. აჰმევედა ბევრს ქერს და ისე გამოზარდა. ერთხელ ერთ ხელმწიფეს ომი ჰქონდა. ყველა სოფლიდგან ჰკრეფდა ჯარს, თითო ადამიანს თითო კომლიდგან. ამ გლეხკაცს ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ამიტომ უფროსმა ქალიშვილმა უთხრა მამას: ჩავიცვამ კაცურად და მე წავალ ომშიო. მამა დათანხმდა. ჩააცვა კაცურად, შესვა ცხენზე და გაგზავნა; თითონაც ჩუმად შეჭდა ცხენზე და დაიძალა შორს ტყეში, საცა უნდა გაეარა მის ქალს. გამოიარა თუ არა ქალმა, მამა სახეშეცვლილი გამოვარდა ტყიდან და ცხენოსანს შეუტია. ქალს გული შეუწუხდა და ცხენიდან გადმოვარდა. გლეხკაცმა მაშინვე მოაბრუნა და უთხრა: შვილო, ნუ გეშინია, მე შენი მამა ვარ, არ შეგიძლია შენ ომში წასვლაო, და გამოაბრუნა სახლში.

ეხლა მეორე ქალმა მოსთხოვა წასვლა. მამამ ნება მისცა, ჩააცვა კაცურად, შემოსვა ცხენზე და გაისტუმრა; თითონ ტანთ გამოიცვალა კიდევ და დაიძალა ტყეში. გამოიარა თუ არა ქალმა, გამოვარდა და შეუტია. იმასაც გული შეუწუხდა შიშისაგან. მამამ მოაბრუნა და წაიყვანა სახლში. ბოლოს მესამე ქალმა მოითხოვა ომში წასვლა. მამამ მასაც ნება მისცა. უმცროსმა ქალმა ჩაიცვა კაცურად, შეჭდა თავის რაშზე, ჩამოიკიდა თავისი პატარა ჯანგიანი ხმალი და წავიდა საომრად. მამამაც გამოიცვალა ტანთ და დაიძალა ტყეში. გამოიარა ქალმა, გამოვარდა ტყიდგან და დაეცა თავზე. გოგომ მაშინვე წვერში წაავლო ხელი, გადმოიღო ცხენიდან, იძრო ხმალი და უნდა მოეკლა, რომ მამამ დაუყვირა, — შვილო, ნუ მომკლამ, მე შენი მამა ვარო. მაშინ ამ გოგომ წამოაყენა კაცი. მამამ უთხრა: შვილო, შენ შეგიძლია ომში წასვლა და წადიო. თითონ უკან გამობრუნდა. ქალი შეჭდა რაშზე და წავიდა თავის გზაზე.

მივიდა დანიშნულ ალაგას. დახედა, საშინელი ომია. დადგა გვერდზე და სთქვა: რომელი ხელმწიფეც დამარცხდება, მე იმისავე წავალო. ერთი ხელმწიფე დამარცხდა, ასე, ნახევარზე მეტი ჯარი გაუწყდა. მაშინ მან გამოსცა პირობა: ვინც მამეხმარება და გამამარჯვებინებს, ჩემს ქალს მივსცემო. მოეხმარა ეს გოგო დამარცხებულ

ხელმწიფეს. ჩაერია გამარჯვებულ ჯარში და დაუწყო თავის ხმლით ხოცვა. რამდენსაც თითონ ჰკლავდა, იმის მეტს რაში კბილით ახრ-ჩობდა და ფეხით ჰქელამდა. ამგვარად გაუწყვიტა მთელი ჯარი და ბოლოს ხელმწიფეც მოჰკლა. გოგო რადგან კაცურად იყო ჩაცმული, ხელმწიფემ ვერ იცნო თუ ქალია და თავისი ქალი მიათხოვა. დამე ერთად დაწვინენ. გოგომ შემოჰკრა სილა ცოლს. ხელმწიფის ქალი ამაზე გაიბუტა და დილაზე თავის მშობლებს შესჩივლა. მშობლებმა გადასწყვიტეს სადმე გადაეკარგათ თავიანთი სიძე. ექიმს უთხრეს: როდესაც მოგიყვანთ, თქვი, რომ ჩვენი ქალის წამალი რაშის რძეაო.

მეორე დღეს ხელმწიფის ქალმა თავი მოიხადმყოფა. მიიყვანეს ექიმი. ექიმმა თქვა: ამის წამალი რაშის რძე არისო; უთხრეს ეს სიძეს და უჩვენეს მთა, სადაც რაში იყო. სიძემ გამოართვა პატარა თასი, შეჭდა თავის რაშზე და წავიდა რძის მოსატანად. გზაზე უთხრა თავის რაშს, რაშის რძე უნდა მოვიტანოთო. და უჩვენა ალაგი. ამ რაშმა უთხრა: ის რაში ჩემი ბებერა არისო. ავფრინდეთ იმ მაღალ მთაზე, შენ მაგრად მომეჭიდე ფაფარზე. ჩაფრინდები და დავაჭდე-ბი ჩემს ბებერას და ვეტყვი, თუ მომცემ შენს რძეს, მაშინ გაგიშვებ-თქო, ისიც მომცემს. მართლაც აფრინდა რაში მთის წვერზე, გოგო მოეჭიდა ფაფარზე და მერე ჩამოფრინდა მთის ძირში. დააჭდა ზურგზე ბებერას და უთხრა: თუ მამცემ შენს რძეს, გაგიშვებო. ბებერამ მაშინვე გამოართვა თასი, მოუწველა რძე და მისცა.

პატარა რაში აფრინდა და წამოვიდა სახლში. შეუტანა სიძემ რძე ხელმწიფეს და მის სახლობას, ისინი გაკვირდნენ, როგორ გადურჩა იმ საშინელ რაშსაო. დაალევიან რაშის რძე ქალს და ვითომც მორჩა. მერე სხვა მოიგონეს და უთხრეს: თუ გინდა, შენი ცოლი კარგად იყოს, უნდა მოიტანო კუდიანი ბებერის წიგნი და ალაგიც უთხრეს. სიძე შეჭდა თავის რაშზე და გასწია კუდიან ბებერთან. გზაზე რაშს უთხრა, კუდიანი ბებრის წიგნი მინდაო და როგორ მოვიტანოთო. რაშმა უთხრა: კუდიანი ბებრის სახლთან რომ მივალ, იქ არის დიდი ბალი და შიგ იმის სახლია. ბალში ბევრი ყვავილებია, როცა შეხვალ ბალში, სთქვი: რა კარგი სუნია-თქო. მერე, როცა სახლთან მიხვალ, ცხრა კარი ღიაა და ცხრა მიხურული. ღია უნდა მიხურო და მიხურული გააღო. ასე შეხვალ ოთახში, საცა კუდიან ბებერს სძინავს. ოთახში სდგას სუფრა და მასზე ძევს სავარცხელი, სამართებელი, პატარა შუშით წყალი და ის წიგნი. აიღე და ყველა გამოიტანე, შემაჭექი და მე გამოვიქცევიო. თუ გაიღვიძა და

გამოგვეყიდა, თუ მოგვეწია, ჯერ გადააგდე უკან სავარცხელი, — გაჩნდება საშინელი ხშირი ტყე. თუ ტყიდგან გამოვიდა და კიდევ დაგვეწია, მერე გადააგდე სამართებელი — გაჩნდება სამართებლის ტყე, თუ იქაც გამოვიდა და დაგვეწია, — გადაასხი წყალი, ისე, რომ მე არ დამესხას, თორემ გაჩნდება ძალიან დიდი ზღვა და ჩვენც შიგ დავიღუპებით.

მოვიდნენ კუდიანი ბებრის სახლთან. გოგო ჩამოხტა რაშიდგან, შევიდა ბალში და სთქვა: რა კარგი სუნია. მერე ცხრა ღია კარი მიხურა და მიხურული გააღო. ბოლოს შევიდა ოთახში, აიღო ყველაფერი, რაც სუფრაზე იყო და გამოვიდა ოთახიდგან. ცხრა გაღებულ მიხურა, მიხურული გააღო. ასე გამოვიდა გარეთ, შეაჯდა რაშს და გამოაქენა. ბებერს გამოელვია და გამეყიდა. მიუახლოვდა თუ არა, გოგომ გადმოაგდო სავარცხელი და გაჩნდა საშინელი ხშირი ტყე; ბებერმა დაამტვრია ტყე, გამოვიდა და გამოეკიდა კიდევ, წამოეწია თუ არა, გოგომ გადმოაგდო სამართებელი; გაჩნდა სამართებლის ტყე. ბებერი იჭრინდა ფეხებს და ისე გამოდიოდა, და ბოლოს სამართებლის ტყეც გათავდა, და კიდევ ესაა, უნდა წამოეწიოს და გოგომ გადმოასხა წყალი და გაჩნდა დიდი ზღვა, ერთი ორი წვეთი წყალი რაშსაც დაესხა და უკანა ფეხები ზღვაში დარჩა, მაგრამ რაშმა გამოსვლა მოახერხა კუდიანი ბებერი დარჩა მეორე ნაპირს, ველარ გადმოვიდა და დასწყევლა გოგო ამ სიტყვებით: თუ ქალი ხარ, კაცად იქეცი და თუ კაცი ხარ — ქალად გადაიქეციო. მაშინ ეს გოგო გადაიქცა კაცად, მოვიდა სახლში და მოიტანა კუდიანი ბებრის წიგნი. ხელმწიფემ, რაკი ველარ მოიშორა თავიდგან, კიდევ მისცა თავისი ქალი. ამათ დაიწყეს მშვიდობიანი და კეთილი ცხოვრება, და აქობამდე ასე ცხოვრობენ.

17. ხელმწიფის შვილი და ლერწამი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო სამი ძმა ხემწიფის შვილი. წავიდა უნცროსი ძმა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაიღალა და დაწვა ერთს ადგილას. დაეძინა და ეძინა სამს კვირას. ნახა სიზმარი: მივიდა ერთი ქალი და უთხრა ამ ყმაწვილს: შენ თუ მზეთუნახავი გინდა, ამა და ამ ადგილას მიბძანდი, იქ სა-

მი ლერწამი დგასო. მივიდა ის ყმაწვილი, საცა დაუსახელა სიზმარ-
ში ქალმა, და ნახა მართლა სამი ლერწამი. მოსწია ერთს, მოგლიჯა,
არაფერი ამოყვა. მეორე მოგლიჯა, არც არაფერი იმას ამოყვა. მე-
სამესაეც რომ აპირებს უნდა მოგლიჯოს და ერთი კაცი მოვიდა და
უთხრა: ბევრი შენისთანა მობძანდა, მარამ ეგ ლერწამი ვერ მოგ-
ლიჯაო, მაგის მომგლეჯ კაცს დევის ღონე უნდა ჰქონდესო. მოსწია
ხემწიფის შვილმა და ვერ მოგლიჯა. მეორეთაც მოსწია და კიდე ვერ
მოგლიჯა. ამ ლერწამს შუა წელზე ხელსახოცი ახვევია, იმისათვის,
რომ მზის შუქი არ ჩავიდეს. მესამეთაც მოსწია ყმაწვილმა და მოგ-
ლიჯა. ის მგზავრი კაცი უყურებდა და უთხრა: რაკი ეგ ლერწამი მოგ-
ლიჯე, ისე მიიტანე სახლამდინ, რომ ხელსახოცი არ შემოხსნაო. გას-
წი და წადი შენს სახლშიო, თუ ხელსახოცი შემოხსენი, მაშინვე
მოკვდებიო.

წაიღო ხემწიფის შვილმა და მიდის. მივიდა შუა გზაზე და აღარ
მოუთმინა გულმა, იფიქრა: იქნება შიგ არა იყოს რა და ამდენს ამაგს
ტყუილათ ვსწევდიო, და შემოხსნა ხელსახოცი. ნახა შიგ მზეთუნა-
ხავი და ამოიყვანა. ხემწიფის შვილი მაშინვე მოკვდა.

მზეთუნახავი მოუჯდა გვერდით და სტირის. სამ კვირეს არიან იმ
აღაგას, საცა მოკვდა. რომ გაუტირდა მზეთუნახავს, ჩასძახა ყმა-
წვილს: აკი ვითხარი, რომ სანამ სახლში არ მიმიყვანო, ხელსახოცი
არ შემომხსნაო, იმ კაცმა რომ დაგარიგა, მე ვუთხარი იმ კაცსო, და
რათ მომხსენი ხელსახოციო. და სტირის მზეთუნახავი და არის.

მოვიდა ერთი ქალი. ეს ის ქალი არის, ეს ყმაწვილი რომ მიდა-
ოდა და გზაზე დაეძინა და სიზმარში ნახა. ეხლა ეს ქალი ცხადათ
მოვიდა და უთხრა მზეთუნახავს: რადგანაც ეგრე მწუხარე ჭირისუ-
ფალი ხარ, ამოიღე შენი ხელსახოცი, მოუსვი თვალეზზედ და გა-
ცოცხლდებაო. ამოიღო მზეთუნახავმა, მოუსვა და ყმაწვილი გა-
ცოცხლდა. ადგა ეს ყმაწვილი, გადაეხვიო მზეთუნახავს. მზეთუნა-
ხავმა უთხრა: ჩამსვი ისევ ლერწამში და წამიყვანე ისე, რომ სახ-
ლამდინ არ დაიხვენო, თორემ გზაში ბევრი მტერი გაგიჩნდებაო.

ბევრი იარა ხემწიფის შვილმა და მიუახლოვდა თავის სახლს. ერ-
თი დიდი კლდეა და მიაყუდა ლერწამი ამ კლდეს. ქვემოთ დიდი ზღვა
არის. ამოვიდა მზეთუნახავი, დაჯდა, სტირის და ეხვეწება ყმაწვილს:
ნუ დამტოვებ, თორემ ინანებო. ყმაწვილმა არ დაუჯერა: ცხრა წელი-
წადია წამოსული ვარ და ეხლა ეგრე როგორ მიგიყვან, თუ ჩემს
სახემწიფოს არ შევატყობინე და არ მომეგებნენო. კიდე შეეხვეწა

ქალი: ნუ დამტოვებ, თორემ ბევრს ინანებო. ყმაწვილმა არ დაუჭერა და დასტოვა. წავიდა სახლში.

სანამ ეს ყმაწვილი სახლიდამ მობრუნდებოდა, მანამ მოვიდა ერთი ეშმაკი და მოუჭდა გვერდით მზეთუნახავს. ეშმაკმა უთხრა: ავიდეთ და ამ კლდის თავზედ ვისეირნოთო. ავიდენ კლდის თავზედ. ეს ეშმაკი ქალია. უთხრა მზეთუნახავს ეშმაკმა: გაიხადე შენი ტანისამოსი, მე ჩამაცვი, აბა როგორ მოშინდებაო. მზეთუნახავს მშვენიერი ოქროს თმა ასხია. იმდენი შეუჩნდა ეშმაკი, რომ თმაც გადილო და დაიკიდა, ტანისამოსიც გახადა და ჩაიცვა, ბექლებიც წააძრო და თითონ წამოიკცა. აბა ეხლა დავსხდეთ, რომელი უფრო დავმშვენდებითო, უთხრა ეშმაკმა, დასხდენ, ჰკრა ეშმაკმა ხელი მზეთუნახავს და გადააგდო კლდეზედ. მზეთუნახავი დაინტვრა და ჩავარდა ზღვაში.

მეორე დღეს მოვიდა ხემწიფის შვილი თავის სახემწიფოდან მაყრჩბით, ავიდა კლდის თავზედ, აიყვანა ეს ჯარი, ნახა ეშმაკი და იცნო, რომ თავის მზეთუნახავი არ არის, მაგრამ აღარათფერი სთქვა და წამოიყვანა. მოიყვანა სახლში. დაინახეს ხემწიფემ და ხემწიფის ცოლმა და დიხოცენ, სამი დღე და ღამე კვდრები იყვნენ. ხემწიფეს შვილს თავის მზეთუნახავის ხელსახოცი ჯიბეში ედო. ამოიღო და დედამამა დააცოცხლა. დედ-მამამ უთხრა: შვილო, ეს რა ქენი, ცხრა წელიწადი დაკარგული იყავი და ეს რა მოიყვანე, რომ ჩვენ საბძანებელში ამისთანა გლახა არავინ არისო. რა ვქნა, დედაო, — შვილმა უთხრა, — მე მზეთუნახავი მამყამდა, მარამ ამ კლდესთან დავტოვე და მე რომ აქ მოვედი, არ ვიცი როგორ მოხდა, იმის მაგიერათ ეს დამხვედაო. ეშმაკი ჯავრით ავად გახდა, — ის მზეთუნახავი არსად იპოვნონო. დედამთილი და მამამთილი ეფერებიან ამ რძალს, — ცხრა წელიწადი ჩვენი შვილი ამისათვის დაკარგული იყო და იმისი ეშინიათ, კიდევ წავა სადმეო.

მზეთუნახავი, ზღვაში რომ ჩავარდა, ლოქოთ იქცა. ხემწიფის რაშები და ცხენები ამ ზღვაზე მიყამთ წყლის დასალევათ. რომ მიიყვანეს, რაშები ისე დააფრთხო ლოქომ, რომ წყალი აღარ დალიეს. ვეღარ მიეკარნენ. წამოვიდენ მსახურები და ხემწიფეს მოახსენეს, ერთი დიდი თევზი წევს ზღვაში და წყალი ვეღარ დალიეს, ისე ფთხებიან რაშებიო. ეშმაკს არ იამა და ჯავრით ავათ გახდა, უთხრა ქმარს: თუ ის თევზი არ მოაყვანინე და სულ მარტო მე არ შევქამე მოგკვდებიო. გაგზავნეს ვეზირები და მოატანინეს ის თევზი, ეშმაკმა თითონ გამოსწლა, თითონ მოხარშა და წესქამა, უცქირა

ფხვები ან წელი ან ძვალი არსად გადავარდესო, ძალიან დაიბერტყა კალთები, ძვალი არსად მიმეკრასო, და მოაგვევინა და ცეცხლში ჩააწვევინა. მარამ ერთი პატარა ფხა მაინც კიდე თმაში ჩავარდნოდა და რომ გავიდა კარებზედ და გაისეირნა, ეს ფხა ჩამოვარდა და იმ ღამეს ალვის ხეთ ამოვიდა.

გავიდენ ვეზირები, ნახეს ეს ალვის ხე და გაუკვირდათ, შევიდენ და ხემწიფის შვილს მოახსენეს: ბატონო, ერთი ალვის ხე ამოსულა წუხელის თქვენს კარებზედ, ნახევარს თქვენს სახემწიფოს ფარამსო. ეშმაკმა აიხირა: თუ ეგ ალვის ხე არ მოსჭერიტ, თონეში არ ჩასწვით და რაც ის პურს გამოაცხობს, მარტო მე არ შევკამე, მოვეკვდებიო. ხემწიფე და ხემწიფის შვილი ძალიან დაღონდენ, დაენანათ ალვის ხე დასაწვავათ და ფიქრობენ, ამ ქალის სიკვდილი სჯობია, თუ ეს ალვის ხე მოვეჭრათო. ბევრი იფიქრეს და იღარდეს და ისევ ალვის ხე მოსჭერეს და იმითი გამომცხვარი პური სულ ამ ეშმაკმა შესჭამა.

ერთი ნაფოტი ერთი დღის სავალზე გადავარდნილა. ეს ნაფოტი ლამაზი ნაფოტი იყო და მეცხვარეს მოეწონა, აიღო და წაიღო, სავარცხლათ გავაკეთებო. მიიტანა შინ და გარედან სახლის სარტყელზედ შემოდო. მეცხვარეს არავინ არა ჰყამს სახლში, მარტო თვითონ არის ეს ბერიკაცი. წავიდა ცხვარში. ეს ნაფოტი მზეთუნახავათ იქცა, შევიდა სახლში, ჰადები გამოაცხო, სადილი გააკეთა და გავიდა ისევ თავის ალაგას და იქცა ისევ ნაფოტათ. მოვიდა მეცხვარე და დიდათ გაუკვირდა: აქამდინ არავის შევბრალებივარ და ეხლავინ არის ეს ღვთისნიერიო. სჭამა ამ ბერიკაცმა და წავიდა მეორე დღეს ცხვარში. კიდე გაუკეთა სადილი მზეთუნახავმა, კიდე ნაფოტათ იქცა და არის იმ სარტყელზე ნაფოტათ. მოვიდა მეცხვარე და სჭამა სადილი დიდის გაკვირვებით: ვინ მიკეთებს ამ სადილს, თუ ხვალ არ ვუყარაულე, არ იქნებაო. მესამე დღეს ბერიკაცმა უყარაულა, შევიდა სახლში და ნახა, რომ მშვენიერი მზეთუნახავი არის. ქალმა უთხრა ბერიკაცს საჩქელ: შენ მამა და მე შვილიო. ბერიკაცმა ჩამოიღო ნაფოტი და უნდა დასწვას. მზეთუნახავმა უთხრა: ჩემო მამავ, მაგ ნაფოტს ნუ დასწვამ, თორემ ჩემს თავს შენ არავინ დაგიყენებსო. ბერიკაცმა არ დაუჭერა: შენ, შვოლო, მაინც არ დაგმალამ ამ ნაფოტით. რაც უნდა მომივიდესო, და დასწვა ნაფოტი.

ერთმა თვემ გაიარა, და გავარდა ხმა: ერთ მეცხვარეს ერთი მზეთუნახავი ჰყამსო. ვინ გახადა ის ბებერი იმის ღირსიო, უკვირთ

ხალხს. იმდენი ილაპარაკეს ხალხმა, რომ ხემწიფის შვილმა გაიგო, მას მოახსენეს: ამა და ამ მეცხვარეს, ერთს ბერიკაცს, ამისთანა მშვენიერი მზეთუნახავი ჰყავსო. ეშმაკმა რომ გაიგო, ავით გახდა ჯავრით და კვდება. ხემწიფის შვილმა თავის ვეზირები გაგზავნა მეცხვარესთან, გაიგეთ, მართალია თუ არაო. მივიდენ ვეზირები მეცხვარის სახლში და ნახეს მზეთუნახავი. ჰკითხეს ბერიკაცს: — ვინ მოგცა და ვინ გაგზავნა ამის ღირსიო? მეცხვარემ ხემწიფის შვილს წიგნი მისწერა: ბატონო ხემწიფეო, მე ვინ გამხდოდა ამის ღირსსო, მარამ ერთს მინდორზედ ერთი ნაფოტი ვიპოვეო, მომეწონა, სახლში მოვიტანე და მზეთუნახავათ იქცაო. გაატანა მეცხვარემ ვეზირებს ეს წიგნი. ხემწიფის შვილმა წაიკითხა და შემოუთვალა მეცხვარეს: ჩემის ჯარით უნდა მოვიდეთ და რას შემომითვლიო. ბერიკაცმა მოახსენა: მობრძანდით, მარამ თქვენს საკადრისად ვერ დაგზავდებიო. ხემწიფის შვილმა შემოუთვალა: შენი არა გვინდა რაო. ეშმაკმა უთხრა ხემწიფის შვილს: შენ თუ იქ წადი, მე მოგვედებიო. ყმაწვილმა უთხრა: მოკვდები თუ არა, უნდა წავიდეთ.

წამოვიდა ხემწიფის შვილი თავის ჯარით და მოვიდა მეცხვარისას. მზეთუნახავი დაემალა. ხემწიფის შვილმა თავის ვეზირის პირით შეუთვალა: დამენახვეო, რას იმალებიო? მზეთუნახავმა შემოუთვალა: რათ უნდა დაგენახვო, ჩემთან რა ხელი გაქვსო? ყმაწვილი არ მოეშვა, და მოვიდა მზეთუნახავი. ხემწიფის შვილი მიესალმა და ჰკითხა: როგორ იყო შენი საქმე, ამ ბერიკაცთან ვინ მოგიყვანაო? ქალმა უთხრა: ამ ჩემმა მამამ, მეცხვარემ, მომიყვანაო, და მერმე მოუყვა ყველაფერი: აკი გითხარო, რომ იმ კლდის ძირში ნუ დამტოვებო, — მოვიდა, შენ რომ ეხლა ცოლათ გყავს, კლდეზე გადამაგდო და მერმე ხომ თევზათ გადავიქეციო. მზეთუნახავმა, რაც თავს გადახედოდა, ყველა გაჭირვება უთხრა. ხემწიფის შვილს დიდი სიხარული შეუდგა, მოიტანა და გაშალა სუფრა: აბა სუფრა, შენი გამომცემის მზესა, კარგი სადილი მოგვართვიო. მშვენიერი სადილი გაიშალა და კარგი დრო გაატარეს.

მერმე ხემწიფის შვილი სახლში წავიდა. მივიდა, ნახა ეშმაკი ლოგინში წევს, ჯავრით კვდება. უთხრა ყმაწვილმა: ადექი და შენი ხელით შენი ტანისამოსი გაიხადეთ. რათაო? — ჰკითხა ეშმაკმა. იმისათვის, რომ შენ ჩემი მზეთუნახავი დამაკარგვინე და ამდენი სატანჯველი გამომატარეთ. გაიხადა ეშმაკმა. ვეზირებს უთხრა ყმა-

წვილმა: ერთი რაში და ერთი ცხენი გამოიყვანეო. გამოიყვანეს, ორივეს მიაბეს კულზე ეს ეშმაკი და დააგლეჯინეს.

მერმე წავიდა ხემწიფის შვილი და მოიყვანა მზეთუნახავი. ეშმაკს თავის ფრჩხილი თმაში ჩაუღვია და დაუტოვებია, რომ დაიკიდა თმა მზეთუნახავმა, გახდა ავათ. პირველათ რომ ხემწიფის შვილმა სიზმარში ქალი ნახა, ის ქალი მივიდა და უთხრა მზეთუნახავს: ეგ თმა დასწვი, თორემ კიდე ის ეშმაკი გიღალატებსო. დასწვა ქალმა და მორჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

17ა. ხემწიფის შვილი და ბაყაყი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ძრიელი ხემწიფე, სახელოვანი. ყვანდა სამი შვილი. შეიქნენ ეს შვილები საცოლეები. დაიბარეს მებაღეები და უბძანეს: წადით, სამი კარგი ნესვი მოიტანეთ, ოქროს საინზე დააწყეთ, თითოზე ალმასტარიანი დანა დაურჭეთ, ყაბი დახურეთ და მამას მიართვითო. მაშინვე მოამზადეს მებაღეებმა და მიართვეს ხემწიფეს. უბძანა ხემწიფემ: ახადეთ, რა არიო: ახადეს და ნახა. ბძანა: ჩემს შვილებს ცოლები მონდომიათო. მატანინა სამი ისარი და გაუგზავნა შვილებს: წადით, შვილებო, თითომ თითო გაისროლეთ, ვის კარზეც დაერჭობა ისარი, იმისი ქალი ითხოვეთო. წავიდნენ შვილები. უფროსმა გაისროლა, — ნაზირის კარზე დაერჭო ისარი. შუათანამ გაისროლა, — ვეზირის კარზე დაერჭო. დაქორწილდნენ. მერე მოახსენა მამას უნცროსმა: დასტური მიბოძე, რომ წავიდე და ჩემი ისარი მოვნახო, სად დაიკარგავო. უბძანა მამამ, წადიო.

წავიდა, იარა დიახ მრავალი. გავიდა ერთს საშინელ მინდორში, ნახა საშინელი გორა, — სამი ალვის ხე დგა იმ გორაზე. მივიდა, ნახა, — მისი ისარი იქ ურჭვია. გაიცინა: აბა ეს გორა თუ არი ჩემი ბედო. გადმოსწია იმ ისარს და გადმოაბრუნა მიწა, აიღო ისარი, გაიღო მხარზე და წამოვიდა. გამოიარა ცოტა გზა. გამოვიდა ნაისრალი მიწიდან ერთი ბაყაყი და გამოუდგა: სად მიხვალ, უნდა წამოყვანოო. მოიქნია ხემწიფის შვილმა და გადააგდო. ბაყაყი კიდევ გამოუდგა. ხემწიფის შვილმა თქვა: ჯანი გავარდეს, წავიყვან და და-

ვაგდებ, — ან ნაგავს გაატანენ, ან მოკლავენო. მივიდა შინ. მამამ იკითხა: მოვიდა ჩემი შვილიო? მოახსენეს: მოვიდაო, მაგრამ ბაყაყი მოიყვანა ცოლათო. ძალიან გაუწყრა შვილს მამა და გააგდო თავის სახლიდამა. შვილი ცალკე დაბინავდა.

გავიდა რამდენიმე ხანი, და ხემწიფემ შეუთვალა თავის რძლებს, თითო სინი მარგალიტი უნდა ამისხათო. გაუხარდათ ნაზირ-ვეზირის ქალებს: ჩვენ ძაფებს გავაკეთებთ და ავასხამთო, ბაყაყს რა ეშველებაო. დიახ დაღონებული შვიდა თავის ბინაში უნცროსი ვაჟი. და დაიბუხბუხა ბაყაყმა: რათა ხარ დაღონებულიო? შენ ნუ მომიკვდებიო, — უთხრა ვაჟმა, — სწორეთ შენც აასხამ მარგალიტსა, როგორც ჩემი რძლები აასხამენ და მიართმევენ მამაჩემსო. ბაყაყმა უთხრა: წადი, საიღამაც მე მამიყვანე, ნაზირის ალვის ხე აკაკუნე, გამოვა ჩემი დეიდა და უთხარო: თქვენმა ქალმა, მარიამმა, გამომგზავნა და შემოგითვალა, ჩემი ჭია-ჭილყვაფი გამოგზავნეო. წავიდა ვაჟი, დააკაკუნა. გამოვიდა ერთი საშინელი ბაყაყი, უთხრა ვაჟმა დანაბარები, და ბაყაყმა მისცა ჭია-ჭილყვაფი. წამოასხა ხემწიფის შვილმა და მოვიდა შინ. მათანინა ბაყაყმა მარგალიტი და ერთს საათზე აასხეს ჭია-ჭილყვაფებმა. ბაყაყმა ისევ შინ გაისტუმრა ესენი და ქმარს უთხრა: წაიღე, მიართვი მამაშენსაო. წაიღო ვაჟმა და მიართვა. გაუკვირდათ ყველას ძალიან, — ბაყაყმა როგორ აასხაო, იმ რძლებმა სულ დაფანტეს. — ვერ აასხეს.

გამოვიდა ხანი და ხემწიფემ კიდევ შეუკვეთა რძლებს: ისეთი ხალიჩა უნდა მომიქსოვოთ, რომ ჩემი სახემწიფო ზედ დასხდესო. ძალიან გაუხარდათ იმ რძლებს, — ჩვენ მატყლს დავაფერადებთ და მოვქსოვთ, ბაყაყი რას იქსო. უნცროსი ვაჟი შევიდა შინ დაღონებული, და ბაყაყმა ჰკითხა: რათ ხარ დაღონებულიო? შენ ნუ მომიკვდები, შენც მოქსოვ ისეთ ხალიჩას, რაც მამამ უბრძანა რძლებსაო. ბაყაყმა უთხრა: შენ წადი ისევ იქ, შუა ალვის ხე აკაკუნე, გამოვა ჩემი და და უთხარი, შენმა დამ შემოგითვალა, მანდ რომ ჩემს ყუთში კვერცხია, ის გამომიგზავნე-თქო. წავიდა, აკაკუნა. გამოვიდა ერთი საშინელი ბაყაყი. უთხრა ვაჟმა დანაბარები, და ბაყაყმა მისცა კვერცხი. წამოიღო ხემწიფის შვილმა ეს კვერცხი და მოიტანა შინ. უთხრა ბაყაყმა: წაიღე ეს კვერცხი და საცა გიბძანონ, იქ დაახალეო, მემრე მოახსენე მამაშენსა, ნახეთ ხალიჩა-თქო. წაიღო ვაჟმა კვერცხი, იკითხა, — აბა სად დავდო ხალიჩაო? უჩვენეს ადგილი. აიღო და დაახალა იქ ის კვერცხი: ისეთი ხალიჩა გაჩნდა, რომ მნახვები

მოდან. სადა ყამს იმოდენა ხალხი ხემწიფეს, რომ იმაზე დასხას! უკვირთ ყველას, ბაყაყმა ეს როგორ მოქსოვაო!

ახლა ხემწიფემ ეს შეუკვეთა რძლებს: ამა და ამ თრიალეთის მინდორზე ისეთი სოფელი და ბალი უნდა გავაკეთოთ, რომ იმისთანა არსად არ იყოსო, გაუხარდათ რძლებს. ჩვენ საკირეს დავაწვევი-ნებთ, თავს დავადგებით, კარგათ გავაკეთებინებთ, ბაყაყი ვერ გააკეთებსო. შევიდა შინ უნცროსი ვაჟი დაღონებული. ბაყაყმა ჰკითხა: რათა ხარ დაღონებულიო? ქმარმა უთხრა: შენ ნუ მამიკვდები, მამამ რომ შეუკვეთა რძლებსა, შენც დაადგები თავსა და გააკეთებო! ბაყაყმა უთხრა: წადი ისევ იქა და დიდი ალვის ხე აკაკუნე, გამოვა დედაჩემი და უთხარი, თქვენმა ქალმა გამომგზავნა, ჩემს ყუთში რომ ერთი შუშით ზეთია, ქვა და მახათი, გამოგზავნე-თქო. წავიდა ქმარი, მისცეს რაც ცოლმა დააბარა, და მოიტანა შინ. უთხრა ბაყაყმა: წადი, მამაშენს უთხარი, სად უნდა გავაკეთო ბალი და სოფელი-თქო, რომ გიჩვენონ ადგილი, მიიტანე, დაურქვე მახათი, დადე ქვა, დაარტყი ის შუშით ზეთი და გამოიქეცი, არ მიიხედო. დაგიძახებენ: მობრუნდი, აშენდაო, მაგრამ არ შეხედო, თორემ შენც ქვათ იქცევი და ზედ დაგადებენო. წავიდა ხემწიფის შვილი. ჰკითხა მამას: სად არის ის ადგილი. უჩვენეს, როცა ხალხი მიწყდა, ჩაურქო მახათი, დადო ქვა, დაანტვრა: შუშა და გაიქცა, რამდენიმე ვერსი ირბინა. ეძახიან: მობრუნდი, აშენდაო, მაგრამ არ შეხედა. მერე შეუთვალა მამას: მამავ, ბაყაყმა ბალი და სოფელი გააკეთა, ნახეთო. წაბძანდა ხემწიფე, ნახა, — რა ნახა, იმისთანა სანახავი არა სახემწიფოში არ არის. უკვირთ ყველას, ბაყაყმა ეს როგორ გააკეთაო.

ამის შემდეგ ხემწიფემ ისურვა თავისი რძლების დაპატიყება. უხარიათ ნაზირ-ვეზირის ქალებს: ჩვენ ძალიან მორთულნი წავალთ, და ბაყაყი როგორ მოვა, — ჩვენი მაზლი ხელში თუ დაიჭერს, აბა რას იქსო. შევიდა შინ უნცროსი ვაჟი დაღონებული. ბაყაყმა ჰკითხა: რათა ხარ დაღონებულიო? ვაჟმა უთხრა: შენ ნუ მამიკვდები, მშვენიერი რამ იქნები, — მამა რძლებს ჰპატიუებს, შენც დაგპატიუებს და რა უნდა ქნაო. მოუვიდა ბაყაყს ხემწიფისაგან მოპატიყე. ბაყაყმა უთხრა ქმარს: წადი იქვე, დიდი ალვის ხე აკაკუნე, გამოვა დედაჩემი, იმას უთხარი, — თქვენმა ქალმა შემოგითვალათ, ცხრა გოგო, ცხრა ბიჭი, სახემწიფო ტანისამოსი ჩემთვის და თქვენი სიძისთვის, ორი რაში თავის მორთულობით და მეჭილავე გამომიგზავნეო. წავიდა ხემწიფის შვილი. გამოატანა დედამ სულ ბაყაყები, — უს-

კდება ვაჟს გული: რა ვქნა, სად წავასხა ამდენიო. მორეკა შინ და თვითონ გავიდა გარეთ და დაიძალა. გაიხადა მისმა ცოლმა ბაყაყის ტყავი, — გამოვიდა ქალი: ისეთი ქალია, რომ ვინ იქნება იმისთანა, — რამდენსაც ფეხს გადაადგამს, ოქროს ზოდი ამოდის; რამდენსაც დაამთქნარებს, ია და ვარდი ამოდის; რამდენსაც თვალს დაახამხამებს, თვალ-მარგალიტი სცვივა. დაინახა ხემწიფის შვილმა, შევარდა და შესძახა: შე უღმერთოვ, რახან ეგეთი იყავი, რათა მკლამდიო! აიღო ბაყაყის ტყავი და ცეცხლში ჩააგდო. ნუ ჩააგდებ ცეცხლში, თორემ ინანებო, დაუძახა ქალმა. მაგრამ ვაჟმა არ დაუჭერა და დასწვა. უბძანა ქალმა მოახლეებს და ბიჭებს და იმათ გაიხადეს ტყავები. ჩაიციეს ქალმა და ვაჟმა სახემწიფო ტანისამოსი, შესხდნენ რაშებზე, გაიმძღვარეს მეჭილავე, მიდიან, მისდევთ ცხრა გამდელი, ცხრა ბიჭი. მივიდნენ, ჩამოხტნენ, შევიდნენ სასახლეში, დასხდნენ. დიდი მეჭლრაი და შექცევა გაიმართა. მოართვეს საქმელები. მშრალს საქმელს რომ მოართმევდნენ, ეს უნცროსი ვაჟის ცოლი მარჯვნივ იყრის იღლიაში, წვნიანს რომ მიართმევდნენ, — მარცხნივ. იმ ორმა რძალმაც ისე ქნეს, რაც უნცროსის ცოლმა ჩაიყარა, სულ თვალ-მარგალიტი სცვივა. იმ რძლებს, რომ იძვრიან სულ წუნწკლი გასდით. ბძანა ხემწიფემ: ჩემმა რძლებმა უნდა ითამაშონო. ადგნენ ნაზირ-ვეზირის ქალები, ითამაშეს, — წუნწკლი ჩამოსდით. ააყენეს უნცროსი ვაჟის ცოლი, გაუშალეს სუზანი: თამაშობს; რამდენსაც ხელს გაშლის, თვალ-მარგალიტი სცვივა, რამდენსაც ტუჩს გაშლის, ია და ვარდი ამოდის. მეორეთ კიდე უბძანა ხემწიფემ, უნცროსი შვილის ცოლმა ითამაშოსო. ქალმა ითამაშა, რომ თამაშობს, იმ დროს მივიდა მამამთილი და აკოცა. ქალმა ითაკილა ძალიან. იქცა ფრინველათ თავისი მახაურებითა და გაფრინდა. ერთი ეს დაუძახა ქმარსა: შენაც ჩაგიცვამს რკინის ჩექმა, დაგიჭერია რკინის ჯოხი და ისე გიბზნივარ და გიპოვნივარო.

ადგა ხემწიფის შვილი, ჩაიცივა რკინის ჩექმები, დაიჭირა რკინის ჯოხი და წავიდა თავისი ცოლის საძებნელათ. იარა იმდენი, რომ მივიდა ერთ ზღვის პირზე, — გაუტყდა ჯოხი, გაუცვდა ჩექმები. ნახა: დღისით გაიდება ზღვაზე ხიდი და ღამე აიღებენ. უყურა — ხიდი რომ გაიდო, გავიდა ზედ და წავიდა. ნახა — ზღვაში ქალაქია, მშვენიერა ქვეყანა, მებაღესთან მივიდა და მუშათ დაუდგა. ჰკითხა მებაღეს: ამ ქვეყანაში ბატონი ვინ არიო? მებაღემ უთხრა: ეს ქალაქი ქალთა ხემწიფისაა, აქ უცხო ვერავინ შემოვალ. ასეთი საუცხოვო ბაღი გქო-

ნია და ერთ თაიგულს რატომ არ გაუგზავნი ქალბატონსო? — ჰკითხა კიდეც ხემწიფის შვილმა. მებაღემ უპასუხა: რათ უნდა ჩვენი თაიგული, — თითონ რამდენსაც დაამტკნარებს, ია და ვარდი ამოსდრსო. მაინც გააკეთოთ ერთი და გაუგზავნოთო, უთხრა ვაჟმა. გააკეთა თაიგული და შიგ თავისი ბეჭედი ჩაატანა. მიართვეს ქალთხემწიფეს. ქალმა რომ ბეჭედი ნახა, იცნო, თქვა: ჩემი ქმარი მოსულაო. დაიბარა მებაღე, უთხრა: ჩემს სახემწიფოწი უცხო ვინ მოსულაო? მოახსენა მებაღემ: ერთი მშვენიერი ყმაწვილი მოვიდა, იმის მეტი არაფერ არიო. მოაყვანა ქალმა. შეხედა, — იცნო, რასაკვირველია, უთხრა: აკი გითხარი, ბაყაყის ტყავს ნუ დასწვამო! აღარსად გაუშვა ვაჟი. ჩააცვეს სახემწიფო ტანისამოხაი. დაიწერეს ჯვარა და ცხოვრობდნენ კეთილათ.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

18. ბერი და დედინაცვალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი კაცი და შვილი არა ჰყამდა. ცხრა წლის შემდეგ მიეცა ერთი ქალი. ცხრა თვისა რომ გახდა ბავშვი, დედა მოუკვდა. მამა დიდი გაჭირვებით ზრდიდა ამ ბავშვს. მეორე წელიწადს ამ კაცმა ცოლი შეირთო, ამ ქალსაც ერთი ქალი მოჰყვა.

გაიზარდნენ ეს ორივე ქალები. ამ კაცის შვილს იმისთანა იღბალი აქვს, რომ რამდენიც პირს დაიბანს, იმდენი ოქრო და ვერცხლი სცივია. მამამ სამი სახლი გაავსო ვერცხლით და ოქროთი. დედინაცვალმა იფიქრა, ჩემს გერს მოგვკლამო, და იმდენი ეძება, რომ გველის ტყავი იშოვა, გაახმო, დაფშვნა და დაალევიანა გერს. ეს ქალი გასოვდა. ქმარს ეუბნება დედინაცვალი: შენი შვილი აღარ მორჩება, რაც უნდა ბევრი უცადოვო. გერმა ნახა სიზმარში თავისი დედა, მან უთხრა: დედინაცვალს კი ნუ გააგებინებო და მამაშენს უთხარი, გველის ტყავი გიშოვნოსო, მოხარშე, იმით ტანი დაიბანე და მორჩებიო. გამოუღვიძა ქალს და უთხრა მამას: მამა, სხვა წამალი არაფერი მინდა, იმდენი ეცადე, გველის ტყავი მიშოვნეო. წავიდა მამა, იმდენი ეძება, რომ იშოვა. მოუტანა და მოუხარშა. მამა რომ

უხარშამდა თავის ქალს გველის ტყავს, ცოლმა ბევრა უშალა, ეგ არ მოარჩენსო, მარამ კაცმა უთხრა, სიზმარში ნახაო და არგებს თუ არა, უნდა ვუწამლოვო. ქალმა დაიბანა ტანი და მორჩა.

ერთს დღეს ერთი ხემწიფის შვილი დადის და ერთი ბექედი დააქვს, ვისაც ის ბექედი არგებს, ის ცოლათ უნდა შეირთოს. ყველგან დაუვლია და იმ ბექედს არავისთვის ურგია. მოვიდა ამ კაცისას ხემწიფის შვილი, დახვდა დედინაცვალი და უთხრა: ჩემს ქალს არგებს ეგ ბექედიო. მოიყვანა და არ არგო. გერს კარგათ მოუვიდა. ეს ქალი ისეთია, რომ პირს რომ დაიბანს, ოქრო და ვერცხლი ხომ სცვივა და — ოქროს თმაც ასხია. ხემწიფის შვილმა სთქვა: ეს მოუცია ღმერთს ჩემთვისო, და დაიწერა ჭვარი. თითონ სახლში წავიდა და ცოლი ისევ დედინაცვალთან დასტოვა.

წლის თავზე გამოგზავნა მაყრები და წაიყვანა. დედინაცვალიც თან წაჰყვა და შვილიც თან წაიყვანა. რომ მიახლოვდნენ იმ სახემწიფოს, დედინაცვალმა გერს თვალეზი დათხარა და ეს თვალეზი ჯიბეში ჩაიღო, თმა აპკრიქა და თავის ქალს დაჰკიდა, ბრმა კი გადააგდო. მივიდნენ ხემწიფისას. ის ქალი ლამაზი იყო და ეს ქალი არ ვარგა. ხემწიფის შვილმა რომ ნახა, შემოეყარა გული. ეს ჩემი ცოლი არ არისო, და გული შეუწუხდა ჯავრით. რომ მობრუნდა, უბძანა თავის მსახურებს: ეს რა ანბავიაო, ეს ჩემი ცოლი არ არისო. სიდედრმა უთხრა: აცივ-აცხელეზადო და ფერიც იმისათვის დაეკარგა და ოქროც და ვერცხლიცო. არაო, — ხემწიფის შვილმა უთხრა, — ეგ ქალი გამოცვლილიაო, ეგ ჩემი ცოლი არ არისო. არაო, შვილო, ეგ არისო, ეუბნება სიდედრი. მე თქვენი მოახლე ვიქნები და ამ ჩემს შვილს ვემსახურებო. კარგო, — ხემწიფის შვილმა უბძანა, მარამ ძალიან ჯავრიანათ კი არის ეს ყმაწვილი; იცის. რომ თავის ცოლი არ არის.

თვალეზდათხრილი ქალი ერთმა ძალიან ღარიბმა კაცმა იპოვნა, იმისთანა ღარიბი იყო ეს კაცი, რომ წკნელის სახლი ედგა და მხოლოდ ერთი ძროხა ჰყამდა. ის ძროხა დაეკარგა და იმის ძებნაში ეს ბრმა ქალი იპოვნა. გაიგონა ამ კაცის ხმა და დაუძახა ქალმა: ვინა ხარ ქრისტოვანი, წამიყვანე და ოქროთი და ვერცხლით გაგავსებო. მიიყვანა ამ კაცმა ეს ქალი თავის სახლში. ორი კვირის განმავლობაში ორი სახლი ოქროთი და ვერცხლით გაავსო ქალმა. კიდევ დედა ნახა სიზმარში და უთხრა დედამ: ჩემს საფლავზე გამოგზავნე ვინმე და ჩემი საფლავის მიწა მოატანინე, ამოისვი თვალეზში და აგეხილებო. რომ

გამოვლვიძა მეორე დღეს, ბერი კაცი გაგზავნა, მოატანინა მიწა, ამოისვა თვალეზში და აეხილა.

გავიდა რამდენიმე ხანი და ხემწიფეს გაუგია, რომ ერთს ბერი-კაცს ერთი ქალი ჰყავს და ოქროთი და ვერცხლით აუვსია. გაიგო ხემწიფის შვილმა, გაუგზავნა კაცი და აკითხვინა: ეგ ქალი შენ ვინ მოგცაო? ბერიკაცმა შეუთვალა: მე ძროხა მყამდა დაკარგული, იმას ვეძებდი და ეს თვალეზდათხრილი ქალი ვიპოვნეო. ხემწიფემ ვეზორები გაგზავნა, იმ ქალს ჰკითხეს, როგორ იყო შენი საქმეო. ქალმა უამბო: მე ხემწიფის შვილმა შემირთო და მივყავდი მაყრებსო. დედინაცვალი წამომყვა, თავის ქალიც წამოიყვანაო, გზაზე მე თვალეზი დამთხარა, ტყეში დამტოვა და თავის ქალი ხემწიფის შვილს წაუყვანაო. ეხლა თვითონ ხემწიფის შვილი მივიდა და უთხრა იმ ღარიბ კაცს: ეგ ქალი მომეცი და ნახევარ ჩემს სახემწიფოს მოგცემო. ბერიკაცმა მოახსენა: რადგანაც თქვენი ყოფილა, წაიყვანეთ, მე რა ძალა მაქვსო, ტყეში ვიპოვეო. ხემწიფის შვილმა ამ ბერიკაცს უთხრა: რადგან შენის ნებით მომეცი, ნახევარი სახემწიფოც მომიცია და სამი მილიონიცო.

ეს ქალი იქვე დასტოვა ხემწიფის შვილმა და წავიდა სახლში. უთხრა სიდედრს და ცოლს: ამისთანა საქმე რათ მიყავითო, რომ ჩემი ჯვარდაწერალი ცოლი იმისთანა სატანჯველში ჩააგდეთო? არაო,—სიდედრმა უთხრა,—ტყუილიაო, ეგ სხვა იქნებოდაო. თუ მაგისთანა ჩემი გერი გამოვიდა, განა სხვა არავინ იქნებო, თორემ, ეს არის შენი ცოლიო. ხემწიფის შვილმა უთხრა: სწორეთ ისაა ჩემი ცოლიო. ჯაჭვი მოაბა და სიდედრი ისე დასწვა, ქალი ცხენის კულზე დააგლეჯინა, წავიდა და ის ცოლი მოიყვანა სახლში. ერთი თვის მერზე კიდე დაბრმავდა ქალი. ხემწიფის შვილმა თავის საბძანებელი შესძრა და ვერაფრით ვერ უწველა, თვალეზი ვერ აუხილა. კიდე დედა ნახა ქალმა სიზმარში. დედამ უთხრა: შვილო, საცა ის შენი დედინაცვალი დასწვით, იქ შენი თვალს კაკლები ისევ იქნებო, დააყენოს შენმა ქმარმა მუშა და აპოვნინოს, ამოისვი თვალეზში და თვალეზი აგეხილებო. უთხრა ქალმა ქმარს. მოაძებნინეს, იპოვეს თვალის კაკლები, მოისვა თვალეზში და აეხილა თვალის. ხემწიფის შვილმა, რაკი ცოლს თვალეზი აეხილა, მარმარილოს ქვა დაადო სიდედრს და ოქროს გალავანი გაუკეთა სათლაგზე.

ჭირი იქა და ლხინი აქა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ობოლი ქალი, ჰყავდა დედინაცვალი. ამ დედინაცვალს ღვიძლი ქალი ჰყავდა, კარგა ინახავდა, გერი კი არ უყვარდა: ფურს გააყოლებდა მინდორში, თითისტარსა და ბამბას: მისცემდა, — დაართო, და ერთ პურის კუტს მისცემდა, — ნახევარი შენა სკამეო, ნახევარი გამვლელ-გამომვლეულს აკამეო და ისევ მთელი მოიტანეო.

მიჰყვანდა ფური ქალს, ბამბას ართამდა და შინ მშვიერი მოვიდოდა, კუტი მთელი მოჰქონდა. ამ შეწუხებაში იყო და ტიროდა. ფურმა უთხრა: ერთ ყურწი ერბო მაქვს და ერთ ყურში თათლიო; როცა გინდოდეს, ერბო სკამე, და როცა გინდოდეს, თათლიო. ეს ქალი ასე რჩებოდა; გაკეთდა, გასუქდა. დედინაცვალს უკვირდა გერის ასე გაკეთება. ბოლოს შეუტყო, რომ ფური არჩენს, და ქმარს გადაეკიდა, — ეს ფური უნდა დამიკლაო. კაცს ენანებოდა, დაკვლა არ უნდოდა, მაგრამ დედაკაცი არ მოეშვა. ფურმა უთხრა გერს: ჩემ დაკვლას აპირებენო, შენ ჩემი ხორცი არა სკამოვო, ძვლები მოაგროვე, ჩემ ტყავში შეახვიე და ორმოში დაფალიო; გაჰკირება რომ დაგადგეს, ამოთხარე და ნახეო. დაჰკლეს ფური, გერმა ხორცი არ სკამა, მწუხარეთ იყო; ჩააცივდა დედინაცვალი, სკამეო, მაგრამ მაინც არა სკამა. მოაგროვა ძვლები, ტყავში შეახვია, ორმო მოთხარა და დაფლა.

შეწუხებული და ნაღვლიანი ქალი წაიღებდა თითისტარს და ართამდა ბამბას. ერთხელ ერთ დედაბრის ბანზე იჯდა, კვირისტავი გავარდა და ეზოში ჩაუვარდა. იქ ერთი დედაბერი იყო, შეეხვეწა ქალი: დედავ, დედაშვილობას, კვირისტავი ამამიგდეო. დედაბერმა უთხრა: ჩამოდი და აიტანეო. ჩავიდა ქალი. დედაბერმა უთხრა: დედაშვილობას, ერთი თავი მამიხილეო. დაუჯდა ქალი და მოუხილა, — ასეთა აქვს თავი დედაბერს, რომ სულ წილითა და მკბენართ სავსე. ქალმა მოთმინებით მოუხილა და არ იზიზლა. მერე უთხრა დედაბერმა: აბა მოდი; სარდაფში წნილისა და ყველის ქილებს გაჩვენებო, როგორ მოგეწონებაო. ჩაჰყვა ქალი, ახადა დედაბერმა ქილებსა და — სულ გველ-ბაყაყით სავსეა. როგორ მოგწონსო? — ჰკითხა, და ქალმა გული არ გაუტეხა: იფ, იფ, რა კარგიაო, — მოუწონა. დედაბერმა უთხრა: რადგანაც აგეთი ქალი ყოფილხარ, ბედსა გწევო. გზაზე სამი წყარო დაგხვდება, ერთი თეთრი, ერთი შავი და

ერთი ყვითელი, თეთრი გადმოვიდეს, — თავი არ შეუშვირო, შავი გადმოვიდეს, — არ შეუშვირო, ყვითელი გადმოვიდეს, — შეუშვი-
რეო. წავიდა ქალი. თეთრი წყარო გადმოვიდა, — თავი არ მიუშვი-
რა, შავი გადმოვიდა, — არ მიუშვირა, ყვითელი გადმოვიდა და —
თავი მიუშვირა: თმა ოქროსფერად შეეღება. დაღონდა ქალი, ახლა-
დღედინაცვალს ველარ გადავრჩებო; ხელსახოცი შემოიხვია და თმა-
დაიშალა.

შინ რომ მოვიდა, დედინაცვალმა დაუნახა, რომ ხელსახოცის-
ქვეშ იდამ ერთი თმა გარეთ დარჩენია, ოქროსავით უბრწყინავს;
მოგლიჯა ხელსახოცი და რას ხედამს? მთელი თმა ოქროსი ასხია-
დაუწყო ლანძღვა: ვუი შენს თავსა, რა მაგისი ღირსი ხარო! მაგისი
ღირსი ჩემი ქალიაო. გამოჰკითხა, როგორ გამოგესხა ოქროს თმაო.
გერმაც უამბო, როგორ იყო, — ასე, დედაბერთან კვირისტავი ჩამი-
ვარდაო და იმან მასწავლაო. მცორეს დღეს თავისი ქალი გაგზავნა,
თითისტარა გაატანა. წავიდა ის ქალი და დედაბრის ბანზე დაუწ-
ყო თითისტარის რთვა, კვირისტავი განგებ ჩააგდო. დაუძახა დედა-
ბერს: შენ უი, ქოფაკო, ეგ კვირისტავი ამომიგდევო. დედაბერმა უთხ-
რა: ჩამოდი და აიტანეო. ჩავიდა ქალი. დედაბერმა უთხრა: მოდი,
შვილო, ერთი თავი მაშიხილევო. ქალმა დაუწყო მოხილვა, იზიზღა-
და უთხრა: ფუ, რა მურტალი ყოფილხარ, ტილითა და მატლით სავ-
სე გაქვს თავიო. დედაბერმა სარდაფში წაიყვანა ქილების სანახავათ,
ქილებში რომ ჩაიხედა, ქალმა ზიზღით უთხრა: აი კარგი მოგივა,
კარგი წნილი და ყველი შენა გაქვსო, გველ-ბაყაყით სავსე. გქონიაო-
დედაბერმა უთხრა: გზაზე სამი წყარო გადმოვაო, თეთრი გადმო-
ვიდეს, — თავი არ მიუშვირო, ყვითელი გადმოვიდეს — არ მიუშვი-
რო, შავი გადმოვადეს და — მიუშვირეო. წავიდა ეს ქალი, თეთრი-
წყარო გადმოვიდა, — თავი არ მიუშვირა, ყვითელი გადმოვო-
და, — არ მიუშვირა, შავი გადმოვიდა და მიუშვირა: გამოუვიდა
თავზე ვირის კუდი. მოვიდა დედასთან. აბა რალა თქმა უნდა, რაც
დედას ელდა ეცა! სკრის თავის ქალს ამ კუდს, მაგრამ უფრო და-
უფრო ეზღება. ხელსახოცს ახვევს, მაგრამ მაინც უჩანს.

ერთხელ დედინაცვალმა დღეობაში ღაპირა წასვლა, თავისი-
ქალი მორთო-მოკაზმა, გერს ერთი ტომარა ფეტვი მისცა და ერთი-
ვარცლი დაუდგა: ჩვენ მოსვლამდინ ეს ფეტვი გაარჩიეო და ეს ვარ-
ცლი ცრემლით გაავსეო. წავიდა დედინაცვალი და თავისი ქალი
წაიყვანა.

ზის ობოლი ქალი საცოდავათა და ტირის, მაგრამ ან ფეტვს როდის გაარჩევს და ან ვარცლს ცრემლით როგორ აავსებს? მეზობლებმა ნახეს, ჰკითხეს, რა გატირებსო, უთხრა ქალმა თავისი მწუხარება: აი დედინაცვალმა ასე დამიგდო, ეს ფეტვი უნდა გავარჩიო და ვარცლი ცრემლით უნდა ავავსოვო, სანამ მოვიდოდეს დღეობიღამო. მეზობლებმა ნუგუნნი მიაცეს, — მაგაზე რა გატირებბო; მოატანის ცხრილი და ტაბაკი, — ამით გაარჩიეო, მარილწყალი გააკეთე და ვარცლში ჩაასხიო. ქალიც ისე მოიქცა. რო გათავდა, იჭდა დაღონებული და მოაგონდა ფურის ნათქვამი, თქვა, — მოვთხრი ორმოს თავს და ფურის ძელებს ვნახამო. ამოთხარა და ნახა, რომ ერთი მშვენიერი რაში აბია შეკაზმული და ერთი ხელიც სახემწიფო ტანისამოსია თვალ-მარგალიტით შექედილი. ამოიღო ტანისამოსი, ჩაიციო, მოირთო, მოიკაზმა, ისეთი გახდა, თვალს უნდა რომ ნახოს. შეჭდა რაშზე და წავიდა დღეობაში სალოცავათა. მივიდა საყდარში, ილოცა და გამოვიდა, ხალხი გაცდა იმისის ნახვითა, ამისთანა მშვენიერი და ასე მორთული არავინ ენახათ. გამოაქენა რაში და წამოვიდა. ხალხი იმის ყურებას ნატრობდა, ნეტა ერთი პატარა ხანს გვაყურებინაო. გზაში ჰენების დროს ქალს ფეხიღამ ცალი ქოში წყალში ჩაუვარდა. მოვიდა შინა, გაიხადა ტანისამოსი, შეჰკრა, ისევე ორმოში ჩასდო და რაშიც ჩაიყვანა და ორმოს დახურა. მოვიდა დედინაცვალი და ქალი, ობოლს თავში ჩაჰკრეს: აი სწორეთ, შენმა მზემ, შენა გგავდა, დღეობაში რომ ხემწიფეს ქალი იყოვო, მთელი ხალხი იმას უყურებდაო, ასეთი ტანისამოსი ეცვა და ასეთი რაში ჰყავდაო, რომ მთელი ხალხი იმას უყურებდაო. დედინაცვალმა ნახა, ფეტვი დარჩეულა და ვარცლი სავსეა. არ დაუჯერა, — ვარცლში წყალი ჩაგისხამსო, მაგრამ გემო ნახა, მარილიანი იყო, და დაიჯერა.

ხემწიფის ცხენები მიიყვანეს წყლის სასმელათ იმ წყალზე, სადაც ობოლს ცალი ქოში ჩაუვარდა, — ცხენები წყალს არ სმენ, ფთხებიან. ჩაგზავნეს წყალში მცურავები, ნახონ, რა არის. ჩავიდნენ და იპოვეს თვალ-მარგალიტით შექედილი ქოში, — ასეთია. რომ იმისთანა არავის არ უნახავს. მაშინათვე ხემწიფეს მიუტანეს. ხემწიფეს ძალიან გაუკვირდა და თქვა: ჩემ შვილს ამისი პატრონი უნდა შეერთაო. უბძანა, ეს ქოში წაიღონ და სახლები დაიარონ, ვინაც ფეხზე მოუვიდეს, ცალი ჰკითხონ და ხემწიფის შვილისათვის ითხოვონ. წავიდნენ ხემწიფის კაცები, მთელი ქალაქი შემოიარეს,

მაგრამ ფეხზე ვერავის მოუვიდა. მოვიდნენ, ხემწიფეს მოახსენეს, — ყველგან ვიარეთ და ვერავის ვერ მოუვიდა ფეხზედაო. სულ მოიარეთო? — ჰკითხა ხემწიფემ, და: სულაო, უთხრეს, მხოლოდ ერთი ღარიბი კაცის სახლი დარჩაო. წადით, იქაც ნახეთო, — უბძანა ხემწიფემ. თურმე იმ გერის მამის სახლი არ ენახათ.

დედინაცვალმა რომ შეიტყო, ხემწიფის შვილისათვის საცოლოს დაეძებნენ, მორთო თავისი ქალი და გერი კი გოდორქვეშ დამალა. მოვიდნენ ხემწიფის კაცები. დედინაცვალმა ქოში რომ ნახა, უთხრა, სწორედ ჩემი ქალის ფეხზეა მოყვანილიო. ჩააცვეს, გაუშინჯეს, მაგრამ — რას მოუვიდოდა! ხემწიფის კაცი რომ გოდორზე ჩამოჯდა, ობოლმა მახათი უჩხვლიტა. წამოდგა ხემწიფის კაცი, — აქ კიდევაც ყოფილა ვინმეო. გადააგდო გოდორი და ქალი გამოჩნდა. ქოში გაუშინჯეს და კარგა მოუვიდა ფეხზე. ჰკითხეს: ამისი ცალი გაქვსო? და: მაქვსო. ამოიღო ორმოდან და მძცა. გაეხარდათ და ხემწიფეს მოახსენეს. დედინაცვალს ჯავრი მოსდიოდა, მაგრამ რაღას იზამდა. წაიყვანა ხემწიფის შვილმა და ჯვარი დაიწერა, შვიდი დღე და შვიდი ღამე ქორწილი ჰქონდათ.

დედინაცვალს შურდა თავისი გერის ბედნიერება, ჯავრი მოსდიოდა, რომ გერი ისე გაბედნიერდა და თავისი შვილი კი შინ უჯდა. ერთხელ გერთან იყო თავისის ქალითა, ბაღში სეირნობდნენ. გერსა სთხოვა: აბა ეგ შენი ტანისამოსი ჩემ ქალს ჩააცვიო, ვნახოთ, როგორ უხდებო. გაიხადა გერმა და დას მძცა. დედინაცვალმა ხელი ჰკრა გერს და აუზში ჩააგდო: ქალი ჩაიღუბა, დაიხრჩო. დედინაცვალმა თავისი ქალი ხემწიფის შვილს მიუყვანა. ხემწიფის შვილმა რომ შეხედა, ნახა, რომ თავისი ცოლი აღარ არის. დედინაცვალი აჯერებდა, — როგორ არ არის, ტანისამოსი იმისი აცვია, და შენ ეგრე გეჩვენებო; მაშ ვინ არის, თუ შენი ცოლი არ არისო? რას იზამდა ხემწიფის შვილი, — დედა იყო მაინც, და ქვეყანაში შერცხვებოდა, რომ უარი ეთქვა და დედა ხალხში გაემტყუუნებინა.

ხემწიფის შვილი ნაღვლიანი იყო და შეწუხებული, რომ მშვენიერი ქალი დაჰკარგა და უმსგავსი ეამი გვერდსა ჰყავდა. წამოვიდოდა ბაღში და მოუჯდებოდა აუზსა. აუზში ერთი მშვენიერი თევზი გამოჩნდა, ამ თევზს შესტრფიალებდა და გულს იმით ირთობდა. ნახა ქალმა, რომ ხემწიფის შვილი უგულოთ არის იმასთანა, ბაღში აუზს უზის და თევზს შესტრფის. დედინაცვალმა უთხრა, — ის თევზი დაეცვლევინეო. დაუტინა ქალმა ხემწიფის შვილსა, თევზი დაეკლათო.

ხემწიფის შვილმა უარი უთხრა, — არ ემეტებოდა, ამისთანა მშვენიერი თევზი როგორ უნდა დაეკლათო. ქალმა არ მოიშალა, თავი მოიავანთყოფა, თუ თევზს დაჰკლამ და მაჰმევე — მოვრჩებიო, თუ არადა — მოგვედებო. მეტი რა ღონე ჰქონდა. ხემწიფის შვილმა დააკლევინა; ქალმა სქამა და წამოდგა, — კარგათ გავხდიო. ხემწიფის შვილმა არა სქამა.

ნასუფრალთან თევზის ძელები ბაღში გადაყარეს. ამოვიდა მშვენიერი ალვის ხე. ხემწიფის შვილი მოვიდოდა, დაჯდებოდა ამ ხის ქვეშ და გულის ნაღველს იქარვებდა, — ქალი კიდევ აუტყდა, — ეს ხე მოაჰკრევინეო. ხემწიფის შვილს ენანებოდა და უთხრა: ეს ხე რას გიშლისო და როგორ უნდა მოვაჰკრევინოვო? არა ქნა ქალმა, თავი მოიავანთყოფა, — სანამ იმ ხეს არ მოსჭრიო, არა მეშველება რაო. ვეღარ მოაშლევინა ხემწიფის შვილმა და უბძანა მოეჭრაო. დამშვიდდა ქალი და ფეხზე წამოდგა.

ხე რომ მოსჭრეს, მოვიდა ერთი მოხუცებული ქვრივი დედაკაცი, ნაფოტი მოაგროვა და შინ წაიღო. ამ დედაბერს არავინ არა ჰყავდა; ადგებოდა, სახლს დაჰკეტავდა და წავიდოდა სადმე საქმეზე. შინ რომ დაბრუნდებოდა, სახლი დაგვილ-დაწმენდილი და დალაგებული დახვდებოდა. უკვირდა დედაკაცს, — ესეთი კეთილი რამ საიდან გამომჩნდა მშველელიო. ერთხელ მასწრო დაგვის დროს, ნახა, რომ მშვენიერი ქალია, წაავლო ხელი კალთაში და ჰკითხა, ვინა ხარო? ქალმაც უამბო თავგადასავალი, რომ ესა და ეს ვარ, ხემწიფის შვილის ბაღში რომ ნაფოტი მოაგროვე და მოიტანე, ის ნაფოტი ვარო. დედაბერმა უთხრა: შენ შვილი და მე დედაო, დედაშვილურათ ვიცხოვროთო.

ერთხელ ხემწიფის შვილმა გამოიარა და თვალი მოჰკრა ამ ობოლ ქალსა. ძალიან მოეწონა და ნახვა უნდოდა, მაგრამ ქალი დაემალა, კარები ჩაკეტა. გაბრუნდა ხემწიფის შვილი. დედაბერს კაცი გაუგზავნა, შენთან ვახშამი მინდა ვჰამოვო. დედაბერი შეწუხდა, მე რა მაქვს, რომ სახემწიფო ვახშმით დავუხვდეო. კაცებმა უთხრეს, თითონ ხემწიფის შვილი მოიტანსო. მოვიდა ხემწიფის შვილი დედაბრისას, გააშლეფინა ვახშამი და დასხდნენ. ქალი დამალული ჰყვანდა დედაბერს. ხემწიფის შვილმა ჰკითხა, მარტო შენა ხარო, არავინ არ გყავსო? დედაბერმა უთხრა, ერთი ობოლი მყავსო. უბძანა ხემწიფის შვილმა, აბა გამოიყვანეო. გამოაყვანინა, ისიც სუფრაზე დასვა და სთხოვა, ზღაპარი გეცოდინება გერთხარო.

დაიწყო ქალმა თავით თავგადასავალი, მოახსენა: იყო და არა იყო რა, ერთი ობოლი ქალი იყო, დედინაცვალი ჰყავდა. დედინაცვალი ფურს გაატანდა, ბამბას მისცემდა დასართევლად, ერთს კუტს გაატანდა და ეტყოდა, ნახევარი შენ ქამეო, ნახევარი გამვლელებამომვლელებს აქამე და ისევ მთელი მოიტანეო. სუფრაზე შემწვარი კაკაბი იდვა და იმას ჰკითხა:

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო, — კაკაბმა ხმა ამოიღო.

მერე დედაბრისას იმ ობოლს კვირისტავი ჩაუვარდა, დედაბერმა ასწავლა, ასე და ასეო, — სულ დაწვრილებით მოუყვა და ოქროს თმა გამოესხაო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო!

მერე დღეობაში წავიდა ქალიო, ქოში დაუკარგა და ხემწიფემ მოაძებნინა იმისი პატრონი და ხემწიფის შვილმა ცოლათ შეირთოო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო.

მერე იმ ქალის დედინაცვალმა კაბა გაახდევინა, თავის ქალს ჩააცვა და ის გერი კი აუზში ჩააგდოო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო.

აუზში თევზათ იქცა, ხემწიფის შვილი ნაღვლიანი მივიდოდა და შესტიროდაო. მერე ეს თევზი დააკლევინა დედინაცვალის ქალმაო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო.

მერე ალვის ხე ამოვიდა და ისიც მოაჭრევინაო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო.

მერე ნაფოტი დედაბერმა მიიტანა და ქალათ იქცევოდა და სახლს უძღვებოდაო.

— აგრე, კაკაბო? — და:

— აგრე, ბატონოო.

ხემწიფის შვილმა იცნო, გადაეხვია და წაიყვანა; დედინაცვალი და იმისი ქალი ცხენის კუდს მოაბმევინა, ათრევინა და ნაკუწ-ნაკუწათ აქცევინა, ლხინი გამართა და სიხარულში იყო.

ჰირი იქ დაეაგდო, ლხინი აქ მოვიტანე.

19. ხმის ცოლი და ბატონი

იყო და არა იყო რა, იყო სამი მამაკაცი, სამთავე უცოლოები იყვნენ. ერთს დღეს ერთმანეთს უთხრეს: ჩვენ შვილდ-ისრები უნდა გავიკეთოთ და გავისროლოთო და საცა ჩვენი ისარი დაეცეს, იქ უნდა შევიერთოთ ცოლებიო. გაიკეთეს შვილდ-ისრები და გაისროლეს. ორი ძმის, უფროსების, ისარი გლეხკაცის კარზე დაეცა და იქიდან მოიყვანეს ცოლები. უმცროსმა გაისროლა ისარი და ტბაში ჩაეცა. ამოიღო ვაჟმა ისარი და ამოყვა ბაყაყი. ბაყაყი ისევ ტბაში ჩააგდო, წამოვიდა და კიდევ წორიდან გაისროლა ისარი. ისარი კიდევ იმ ტბაში ჩავარდა და კიდევ ბაყაყი ამოჰყვა. რამდენიმეჯერ სცადა, მარამ მაინც არ მოეშვა ეს ბაყაყი. მერმე იფიქრა ყმაწვილმა: რა გაცწყობაო, რაკი ეს ბაყაყი მწერებია ცოლათ, უნდა წავიყვანოვო. და წამოიყვანა სახლში, მოიყვანა ძმებთან და იყვნენ რამოდენიმე ხანი ერთათ.

მერმე ორმა რძლებმა უთხრეს ქმრებს: თუ ამ ბაყაყს და თქვენს ძმას გაეყრებით, ხომ კარგი, თუ არადა თქვენი ცოლობა არ შეგვიძლიაო. ძმებმა უთხრეს უმცროსს: ძმაო, უნდა გავგეყაროო. უმცროსმა უთხრა: რა ვქნა, ძმებო, ღმერთმა ეგ ბაყაყი მამცა ცოლათო და გამეყარეთო. ადგა, აიყვანა თავისი ბაყაყი, ერთი ოთახი გაიკეთა და დადგა შიგ. ორს ჭადს გამოაცხობს, ერთს თან წაიღებს და ერთსაც სალამოსთვის შეინახავს. კაცი რომ წავა, ბაყაყი ტყავს გაიხდის, გამოვა მშვენიერი მზეთუნახავი და იმისთანა ვახშამს მოუმზადებს ქმარს, რომ რა გინდა, სულო და გულო, რომ ამ კაცს არ დახვდება. სალამოზე ისევ თავის ბაყაყის ტყავს ჩაიცვამს ქალი. მოვა ქმარი სალამოზე, ამისთანა მშვენიერი ვახშამი დახვდება და ძალიან გაუკვირდება. კაცი ფიქრობს: თუ ჩემი რძლები მიკეთებენ, მარამ ეს ჩემი ცოლი იქ სძულდათ და აქ ისინი არ შემოვლენო. ერთს სალამოს მოვიდა ჩუმათ და უური უგდო სარკმლიდამ; უქვერეტს. გადიძრო მზეთუნახავმა ბაყაყის ტყავი, დაუწყო ვახშამს მზადება. კაცს ძალიან გაენარდა და შევიდა სახლში, ბაყაყის ტყავს დაეტყა და სწავამს. ქალმა უთხრა: მაგ ტყავს ნუ დასწვამ. თორემ ინანებო. კაცმა არ დაუჭერა და დასწვა.

ამ კაცს ერთი საცოლო ბატონი ჰყავს. ყველამ გაიგეს, რომ მას ამისთანა მშვენიერი მზეთუნახავი ჰყავს. ამ ბატონთან მივიდა ერთი კაცი და უთხრა: შენს ყმას ამისთანა მშვენიერი მზეთუნახავი ჰყავს,

ცოდვა არ არის, რომ თქვენ არა გყავთ ცოლათო! დაიბარა ბატონმა თავისი ყმა და უთხრა: შენ ერთი მზეთუნახავი გყოლია, ან ის უნდა მამცე, ან ათასი ღლის მიწა მაქვს, ის მიწა ერთი უღელი ხარით ერთ ღლეს კიდევ უნდა მოხნა, კიდევ უნდა დათესო პური და კიდევ უნდა დაფარცხო.

ეს კაცი ძალიან დაღონდა და წამოვიდა სახლში ტირილით. ცოლმა ჰკითხა: რა გატირებსო? როგორ რა გატირებსო, შენს თავს მართმევენო. რათ გატირებსო? და: — ასე მითხრაო, ათასი ღლის მიწა ერთი უღელი ხარით ერთ ღლეს კიდევ მოხანი, კიდევ დაფარცხო. თუ ეს არ შეგიძლია, შენი ცოლი მამეციო. აკი გითხარო, — უთხრა ცოლმა, — ტყავს ნუ დასწვამო. ნუ გეშინიაო, წადი, საიდანაც მე წამომიყვანე, იმ ტბის პირზე მიდი და ჩასძახე დედაჩემს: შენმა შვილმა შემოგიფალა-თქო, შენ რომ კუდთეთრი ხარები გყავს. ისინი თავის გამართულობით უნდა მათხოვო-თქო.

წავიდა კაცი და ჩასძახა. გამოუყვანა მისმა სიდედრმა კუდთეთრი ხარები და გამოატანა. მიიყვანა კაცმა იმ მიწაში, შეაბა და მოხნა საღამომდინ. ის არის მზე უნდა ჩავიდეს, და ამ კაცს ფარცხზე მიეძინა. მოიქნია კუდი ერთმა ხარმა და მოარტყა. წამოვარდა კაცი ზეზე: ვაი დედიჩემის ღმერთსაო, აკი დაღამებულაო! გაათავა ეს მიწა და წავიდა სახლში. ცოლმა ჰკითხა: გაათავეო? და გავათავეო. აბა წაიყვანე ეგ ხარები და იქვე მიუყვანეო. მიუყვანა სიდედრს ხარები.

მეორე ღლეს კადე დაიბარა კაცი ბატონმა და ჰკითხა: რა ქენი, გაათავე მიწაო? დიახ, ბატონო, გავათავეო. აბა წადი და ისევე ან უნდა აკრიფო ის პური და ბეღელში ჩაყარო და გაამსო, ან შენი ცოლი მომიყვანეო, უთხრა ბატონმა. წამოვიდა კაცი ცოლთან ტირილით. ცოლმა ჰკითხა: რა დაგეშართაო? რაო და ბატონმა მითხრა, ან ის პური უნდა აკრიფო და ბეღელში ჩაყარო, ან შენი ცოლი უნდა მამცეო. ცოლმა: აკი გითხარი, ტყავს ნუ დასწვამო. ნუ გეშინია, წადი და კიდევ დედაჩემთან მიდი და უთხარი, — შენმა შვილმა შემოგიფალა-თქო, შენ რომ ფრინველის ყუთი გაქვს, უნდა მათხოვო-თქო

წავიდა კაცი. ჩასძახა და გამოუტანა სიდედრმა ყუთი, მისცა და უთხრა: სანამ შუა მიწაში არ მიიტანო, მანამ თავი არ ახადოვო. მიიტანა შუა მიწაში და ახადა თავი. ამოვიდა მრავალნაირი ფრინველი და აკრიფეს ჭულ. კაცმა ეს ყუთი წაიღო და წაუძღვა წინ, მიიტანეს ფრინველებმა და ბეღელში ჩაყარეს. ბატონმა უთხრა: ერთი

მარცვალი აკლიაო. მოიხედეს უკან: აგერ მოაქვს ერთ ფრთამოტე-
ხილ ფრინველს, — მიიტანა და ჩააგდო ბელელში, აჰაო, თუ ეს ერთი
მარცვალი გაგაკეთებდსო, უთხრა ფრინველმა. წამოვიდა კაცი და
ყუთი ისევ თავის სიღედრს მიუტანა. მოვიდა ცოლთან. ჰკითხა ცოლ-
მა: რა ქენიო? ავკრიფეო, უთხრა ქმარმა.

კიდევ დაიბარა ბატონმა და უთხრა: მამაჩემს საიქიოს ბეჭედი
წაპყვა და ის უნდა მომიტანოო, ან შენი ცოლი უნდა მომცეო. წამო-
ვიდა კაცი ტირილით. ცოლმა უთხრა: ნუ გეშინიაო, წადი დედაჩემს
უთხარი. — შენმა შეიღმა შემოგითვალა-თქო, შენ რომ წითელი
ვაშლი გაქვს, ის მათხოვე-თქო. წავიდა სიღედრთან კაცი. გამოუ-
ტანა სიღედრმა ვაშლი და უთხრა: საცა შენი ბატონის მამის საფ-
ლავი არის, იმ საფლავზე დაზდე ეს ვაშლი, დაჰკარ წიხლი და მიპყე
შენც რკინის ქალამანებით და რკინის ჯოხითო. მიიტანა კაცმა, დაზ-
დო საფლავზე, დაჰკრა წიხლი, გაგორდა ვაშლი და მიპყვა უკან
თითონ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გავიდა ერთს მინდორზე. მწვენიერი
ბალახია და მშვენიერი ცივი წყარო დის. ერთი ხარი აბია, იმისთანა
ხმელია ეს ხარა, რომ ცარიელი ძვლებია. კაცმა ჰკითხა ხარს: ამის-
თანა მშვენიერ ბაღში აბიხარ და მაგრე გამხდარი რათა ხარო? ხარმა
უთხრა: ჩამვლელი ბევრი მინახავს და ამომვლელი არავინაო, როცა
ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა კაცი. ბევრი იარა, მივიდა ერთ
კლდესთან: ერთი ხარი აბია ამ კლდეზე და საწინელი სუქანია. ამ
სარს უთხრა კაცმა: ერთს ალაგას ერთს მშვენიერს მინდორში მშვე-
ნიერი ცივი წყალი აქვს და იმისთანა საწინელი გამხდარია ხარი.
შენ კლდეზე აბიხარ და მაგისთანა სუქანი ხარო, რისგან არისო?
წადიო, — ამ ხარმა უთხრა, — ჩამვლელი ბევრი მინახამს და ამომვ-
ლელი არავინარ, როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა. ბევრი
იარა. ნახა ერთს ალაგას ერთი ქალი პურს აკრამს თონეში და თო-
ნიდამ ტალახს ჰყრის. დედა, ეს რა ამბავიაო, პურს აკრამ და ტა-
ლახს ჰყრიო? იმანაც ისე უთხრა: წადიო, ჩამვლელი ბევრი მინახამს
და ამომვლელი არავინაო, როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა,
ბევრი იარა, კიდევ ერთს ადგილას მივიდა. ერთი ქალი ტალახით
პურს აკრამს თონეში და თონიდამ მშვენიერ თეთრ პურს ჰყრის.
ამ ქალსაც ჰკითხა და ქალმაც ისე უთხრა: ჩამვლელი ბევრი მინახამს
და ამომვლელი არავინაო, როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა.
ბევრი იარა, მივიდა ერთს ადგილსა. ერთს გუთნისდედას ეხვევიან

შეხრებები, ზოგი აქეთ სწევს, ზოგი იქით, არის ერთს გაჰვივრებაში. ამ გუთნისდელდასაც ჰკითხა: კაცო, რა ამბავია, რომ მაგრე გწეწენო? იმან უთხრა: წადიო, ჩამვლელი ბევრი მინახამს, ამომვლელი არავინაო, როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა. ბევრი იარა და მივიდა ერთს ადგილას. ერთი გუთნისდელა ზის და მშვენიერს დროს ატარებს. ჰკითხა: კაცო, რა ამბავია, ის გუთნისდელა იმისთანა გაჰვივრებაშია და შენ მაგისთანა დროებას ატარებო? წადიო, — ამა-ნაც უთხრა, — ჩამვლელი ბევრი მინახამს და ამომვლელი არავინაო, როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. კიდე წავიდა, რამდენიმე გზა გაიარა. ნახა ერთს ალაგას ერთს კამეჩის ტყავზე ცოლი და ქმარი წვანან, ქმარი ეუბნება — მიიწიო, ცოლიც ეუბნება — მიიწიო, და ჩხუბობენ. კაცმა ჰკითხა: რა ამბავია, რომ მაგოდენა კამეჩის ტყავზე წევხართ და ვერ ეტევით, ერთმანეთს ეჩხუბებითო? უთხრეს: ჩაიარეო და როცა ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა. ბევრი იარა, ურთს ადგილას ნახა, რომ ერთს ცულის ტარზე ცოლი და ქმარი წვანან, ქმარიც ეუბნება — მოიწიო, და ცოლიც ეუბნება — მოიწიო. ამ კაცმა ჰკითხა: რა ამბავია, რომ ერთს ადგილას ერთს დიდს კამეჩის ტყავზე ვერ ეტევიან ცოლი და ქმარი და თქვენ ერთს ცულის ტარზე წევხართ და კიდე ნახევარი ცარიელიაო? უთხრეს: წადიო და რო ამოივლი, მაშინ გეტყვიო. წავიდა. ბევრი იარა და მივიდა თავის ბატონის მამასთან. ჰკითხა ბატონმა: შენ აქ რა გინდაო? მე, ბატონოო, — უთხრა ამ კაცმა, — შენმა შვილმა გამომავზავნაო. ჩემი ოქროს ბეჭედი რომ წაგყვავ, გამომიგზავნეო. ბატონის მამამ გამოიძრო ხელიდამ და მისცა. ამ კაცს თავისმა სი-დელდრმა დააბარა: ის ბეჭედი რომ მოგცეს, ხელით არ გამოართვა, ჯობი გაუშვირე და ჯობზე წამოგებული გამოართვიო. გაუშვირა ჯობი და ბატონმა ბეჭედი გააკეთა ჯობზე და დააბარა: ჩემს შვილს ასე უთხარიო, — ამ ბეჭდის გაკეთება და შენი აქ წამოსვლა ერთი ოქნება-თქო.

დაბრუნდა ეს კაცი და წამოვიდა. მოვიდა იმ ცოლ-ქმართან, ცულის ტარზე რომ იწენენ, — თქვენი ამბავი უნდა მითხრათო. იმათ უთხრეს: იქაც ასე გვიყვარდა ერთმანეთი და აქაც ასე გვიყვარსო, ჩვენი ამბავი ეს არისო. წამოვიდა და კამეჩის ტყავზე რომ წვანან, იმათთან მივიდა და უთხრა: თქვენი ამბავი უნდა მითხრათო. ჩვენი ამბავი ეს არისო, — საიჭიოსაც გვძულდა ერთმანეთი და სააქაოსაც ასე გვძულსო. წამოვიდა და გუთნისდელდასთან მივიდა, — შენი ამ-

ბავი უნდა მითხრაო. ჩემი ამბავი ეს არისო, — იქაც ასე მიყვარდა დროების გატარება და აქაც ასე ვარო. მეორე გუთნისდელასთან მივიდა და მასაც ამბავი ჰკითხა: როცა ჩემი ალო იყოო, გუთნის მანქეაზე პური მქონდა გაკეთებული და არც მეხრეს ვაქმევედი და არც ხარს ვაძოვებდი და ღმერთმა ასე მომანიჭა და ასე ვიტანჯებო. წამოვიდა და მოვიდა, საცა ქალი კარგ პურს აკრამდა, ჰკითხა, — შენი ამბავიც უნდა მითხრაო. ჩემი ამბავი ეს არისო: საიქიოს პურს რომ გამოვაცხოვებდი, რაც უნდა შორს კაცი დამენახა, დავუძახებდი და ვაქმევედი და ღმერთმა აქ ასე მომანიჭაო. წამოვიდა და საცა ქალი გლახა პურს აცხოვს, იქ მოვიდა, — შენი ამბავიც უნდა მითხრაო. ჩემი ამბავი ეს არისო: სამი დღის მშეიერი რომ მენახა, პურს არ მოვუტეხებდიო და აქ ღმერთმა ასე მომანიჭაო. წამოვიდა და მოვიდა სუქან ხართან, — შენი ამბავიც მითხარიო. ჩემი ამბავი ეს არისო: როცა საიქიოს ვიყავი, ჩემს პატრონთან სიამოვნებით ვიყავი და აქაც ასე ვარო. წამოვიდა და მოვიდა ხმელ ხართან: აბა შენი ამბავიო. ჩემი ამბავი ეს არისო: საიქიოსაც ასე ჩემი პატრონის უსიამოვნო ვიყავი და სააქაოსაც ასე ვარო. წამოვიდა კაცი და მოვიდა ბატონთან, მიართვა ბეჭედი. გაიკეთა ბატონმა ხელზე და ჰკითხა: რა დაგაბარა მამაჩემმაო? ასე დამაბარაო: მაგის ხელზე გაკეთება და შენი აქ წამოსვლა ერთი იქნებაო. გადაბრუნდა და მოკვდა ეს ბატონი. კაცი თავის ცოლთან წამოვიდა.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

20. შამჩიტა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, რომელსაც ჰყვანდა ერთი ქალი და ერთი იმისთანა ცხენი, რომ ქვეყანაზედ მოსი მსგავსი არ გამოსულა. იმ ცხენს შამჩიტა ერქვა, მეფის ასულს კი — ელი-აჯახთან. მეფესთან მიდიოდა ბევრი მოციქული და ქალს სთხოვდნენ, მაგრამ მეფე უუბნებოდა ყველას: ვინც ჩემი ქალის სახელს გამოიცნობს, იმას მივცემო. და მთელ საბჭანებელში არავინ გამოჩნდა მეფის ასულის სახელის გამოცნობი.

ამ მეფის საბჭანებელში მოვიდა ერთი გულთმისანი არაბი და

სთქვა, თუ მეფის ასულის სახეს დამანახებენ, იმის სახელს გამოვიცნობო. ერთხელ მეფის ასული აბანოში წაბძანდა. პირისახე პირბადით ჰქონდა დამალული. მაგრამ აბანოდან რომ დაბრუნდა, პირბადე ცოტად გადაეხადა და არაბმა დაუნახა პირისსახე, მაშინვე გაიგო არაბმა, რაც ერქვა სახელად. მოვიდა და მეფეს მოახსენა: მეფევე, თქვენს ქალს ელი-აჯახთან ჰქვიაო და უნდა ცოლად მამცეო. მეფემ უთხრა თავის ასულს, უნდა მიგცეო.

ქალს ძალიან ეწყინა. წავიდა შავჩიტასთან და უთხრა, მე არაბს მადღევენო. შავჩიტამ უთხრა, აბა რა ვქნაო. წადი და მეფეს სთხოვე ჩემი თავი შენ მოგცესო. წავიდა ქალი და მამას ფეხებქვეშ დაუვარდა, შესტირა და უთხრა: მამავ, რახან ისე გამაუბედურე, რომ უბრალო არაბს მიმეცი, შავჩიტა მაინც თან გამატანეო. მამამ უარი უთხრა.

წავიდა ქალი და შავჩიტას შეატყობინა, მამამ უარი მითხრა და დაიძინაო. შავჩიტამ უთხრა: წადი თავს დაუჯექ მამას და იმთენი იტირე; რომ შენი ცრემლები ფეხაძღის მოუვიდესო. წავიდა ქალი და ისე მოიქცა, როგორც შავჩიტამ უთხრა. გამოიღვიძა მეფემ და ჰკითხა თავის ქალს, რა გინდაო. ქალმა უთხრა, შავჩიტას თავი მამეციო, მამამ კიდევ უარი უთხრა.

წავიდა ქალი შავჩიტასთან და უთხრა, მამამ უარით გამომისტუმრაო. შავჩიტამ უთხრა: წადი ეხლა, ფეხებთან დაუჯექ და იმდენი იტირე, რომ შენი ცრემლები თავაძღის მოუვიდესო. ქალი ასე მოიქცა, იმდენი იტირა, რომ მეფემ გამოიღვიძა და ჰკითხა, რა გინდაო. ქალმა სთხოვა, შავჩიტას თავი მამეციო. მამამ კიდევ უარი უთხრა და დაიძინა, მაგრამ ქალი არ მოსცილდა: ჯერ მარჯვენა მხარეს მოუჯდა, შემდეგ მარცხენა მხარეს და იმთენი იტირა, რომ მამამ გამოიღვიძა, მაშინ უთხრა მამამ თავის ქალს: კარქი, მოგცევიო.

ქალი გაიქცა გახარებული შავჩიტასთან და უთხრა, მამა დაყაბულდაო. მაშინ შავჩიტამ ასწავლა, წადი კაცის ტანისამოსი მოსთხოვე მამას და ჩაიცეო. ქალმა გამოართვა მამას კაცის ტანისამოსი, ჩაიცვა, შეემაზა შავჩიტა და წავიდნენ არაბი და ეს ქალი. გზაზე შავჩიტამ უთხრა ქალს: ისეთი მათრახი დამკარო, რომ სამი წყვილი საქალმე ტყავი ამძვრესო. ქალმა ისეთი ამოუსო, რომ სამი წყვილი საქალმე ასძვრა ცხენს. და მაშინვე გაფრინდნენ ეს ქალი და შავჩიტა ერთად. მივიდნენ ერთ ქალაქს და ქალი იქ დადგა ერთ სახლში.

გაიგო ამ ქალაქის მეფემ ქალის იქ მოსვლა და დაჰპატრეა თავის სასახლეში. რომ მიდიოდა ქალი, შევიტამ დაარიგა: თუ ღვინო დაგაღვევინონ, რამთენიც დალიო, იმთენი თქვი — ეს შევიტასაო, და არ დაითვრებო.

ესტუმრა ქალი მეფეს. სადილზე ქალს ღვინო მიაწოდეს, უნდოდათ დაეთროთ, მაგრამ ქალი ჩუმად ამბობდა: ეს შევიტასაო, და არ დაითრო. შინ რომ დაბრუნდა ქალი, ნახა, რომ მის მაგივრად შევიტა დამთვრალიყო და მიწაზე გორაობდა.

ერთხელ ეს ქალი მეფესთან იყო მიწვეული და გააბეს ლაპარაკი. ამ ლაპარაკში ღვინო მიართვა. ქალს დაავიწყდა და არა ჰქვია შევიტასაო, ისე დალია. დაითვრა ქალი და დაიძინა. მაშინ ნახეს, რომ ქალი ყოფილიყო. გაუხარდა მეფეს და ცოლათ შეირთო. მემრე მეფე წავიდა საომრათ. ამ დროს ქალს გაუჩნდა მშვენიერი ვაჟი, ოქროს სჯობდა. ქალმა გაგზავნა კაცი მეფესთან, რომ ახაროს ვაჟის გაჩენა.

ბევრი იარა ამ კაცმა თუ ცოტა იარა, დაეძინა ერთ ალაგას. მაშინ საიდღამაც გაჩნდა ის არაბი, ამოუღო წიგნი და დაუწერა, შენ ცოლს გაუჩნდა ძაღლის ლეკვები და მოდი ჩქარაო. არაბი საჩქაროთ წავიდა. გაიღვიძა კაცმა და გასწია. მივიდა მეფესთან და მიართვა წიგნი. წაიკითხა თუ არა მეფემ, ბევრი იწუხა, მაგრამ რაღა ექნა! მოსწერა. რომ შეინახონ მის მოსვლამდი. დაბრუნდა კაცი უკან და კიდევ იქ დაეძინა. როგორღაც გაჩნდა არაბი, ამოუღო წიგნი, ის წაშალა, რაც მეფეს დაუწერა და თითონ დაწერა: ვაჟს ყელი გამოსჭერით და ქალს კიდევ თვალეზი დათხარეთო. ვეზირმაც ისე ექნა. ქალს თვალეზი დათხარეს, ვაჟს ყელი გამოსჭერეს და ერთად გადაყარეს.

ეხლა შევიტამ მონახა ერთნაირი ბალახი, მოუხსვა თვალეზზე ამ ქალს და აეხილა, მემრე მოუხსვა ყმაწვილს ყელზედ — ის ვაჟიც გაცოცხლდა. უთხრა შევიტამ ქალს: დამკალი, ჩემი თავი თავთ დაიდუ და ჩემი ნაწილები კი გარშემო შემოიწყვეო. ქალი არა შერებოდა. მაშინ შევიტა გადაიქცა და ფართხუნი დაიწყო. ქალს შეეშინდა და თავის გუნებაში თქვა, სჯობია დავკლო, მანამ ისე მოკვდესო. აიღო დანა და შევიტამ უთხრა: რაც გითხარ, ნუ დაივიწყებო. დაკლა ცხენი, თავი თავქვეშ დაიდო, ნაწილები კი გარშემო შემოიწყო. ქალმა დაიძინა. მეორე დღეს რომ გაიღვიძა, ნახა მშვენიეროთახში იწვა, გარეშამო ქალაქი იყო გამართული.

მობძანდა მეფე ომიდან და ცოლი აღარ დახვდა. უამბეს როგორც იყო დაწერილი. ბევრი იწუხა, მაგრამ რას გააწყობდა. ერთ-

ხელ სანადიროთ წავიდა მეფე. მოვიდა ამ ქალაქში, გაუკვირდა, ადრე აქ არ იყო ეს ქალაქი და საიდან გაჩნდა ასე ჩქარაო. დადგა ერთ სახლში. მემრე ბიჭი გაგზავნა. წაღი იმ სახლში ხოხობი შაწვიო. ბიჭი წავიდა და დაუდგა ცუცსლს ხოხობი. დაინახა ეს ვაჟიცა სუ იმას უყურებდა. ამასობაში ხოხობს ერთი გვერდი დაუწვა. წავიდა ბიჭი და მეფეს მოახსენა, მეფეო, ისეთი ვაჟი ვნახე, რომ თვალი ველარ მოვაშორეო და ხოხობი იმისათვის დამეწვაო. ეხლა მეფემ ბძანა, მოდი ერთად წავიდეთო. წავიდნენ. ქალმან ძალიან კარგათ მიიღო და ჩამოვარდა ლაპარაკი. ამ ქალმა იცნო თავისი ქმარი, ეაცმა კი ვერა. ქალმა უამბო ვისი ქალი იყო და ვინ წაიყვანა. მე მყვანდა ერთი ქმარიო და სხვაგან იყო წასული და იმას მოუწერაო, გადააგდეთ ქალი თავის ვაჟითაო, მეც გადაამაგდესო. იცნო მეფემ, გადაეხვია და ერთი საათი ასე იყვნენ. მემრე წაიყვანა მეფემ ქალი თავის სახლში და იყვნენ ერთად, სახემწიფოც იმათ დაჩჩათ.

21. არწივის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. შვილი არ ჰყვანდა და ძალიან მწუხარებაში იყო. გაიარა რამდენიმე ხანმა და ბოლოს გაუჩნდა შვილათ არწივი. თუმცა ძრიელ ეწყინა ხემწიფეს, მაგრამ რას იზამდა?! უბრძანა, მოათხრევიან ხარო და ჩააგდებინა შიგ ეს არწივი. არწივი ძალიან გაუმაძღარი იყო, ჭერზე ერთ საქონელს სჭამდა. სრულიათ გაუწყვიტა ხემწიფეს საქონელი. ხემწიფე რომ ველარ აუვიდა, ბრძანება გასცა თავის სახემწიფოში, რომ ყველას თავის სახლოდგან ჭერით თითო სული საქონელი, და თუ საქონელი არ ჰყავდა, ბაღლათ ადამიანი წაეყვანა არწივისათვის საჭმელათ. ასრე ამ არწივმა გადაჭამა მთელი სახემწიფო.

ბოლოს ჭერი მიდგა ერთ ოჯახზე, საცა ერთი ობოლი ქალი იყო. რაკი ის ობოლი იყო, ოჯახმა ის გაიმეტა არწივისთვის. როდესაც ქალმა გაიგო, რომ არწივის შესაქმელათ უპირობდნენ გაგზავნას, წავიდა თავის დედის საფლავზე და დაიწყო ტირილი. ბოლოს ქალს საფლავიდგან ესმა ხმა: შვილო, ყური დამიგდე და რაც გითხრა. ისრე მოიქეცი. იშოვნე კამბეჩის ტყავი და, როცა წაგიყვანონ, შიგ კარგათ გეხუე. ისე რომ, არწივმა ვერსაიდან თვალი ვერ მოგკრას.

როცა ჩაგადგონ ხაროში, შენ ტყავიდგან არ გამოხვიდე. არწივი აქეთ-იქით შემოვივლის, მაგრამ ვერაფერს ვერ დაგაკლებს. მემრე დაგიწყებს ლაპარაკს და გეტყვის: რა სურიელი ხარო, გამოდი ტყავიდგანო. და შენ უპასუხე: არა, შენ გამოდი-თქო. არწივი მაგრა იდგება, მაგრამ შენ აცდინე. და არწივი როცა გამოვა თავის ტყავიდან, გეტყვის: აბა, ხომ გამოვედიო, და ეხლა შენ გამოდიო, მაგრამ შენ არ გამოხვიდე და ასე უთხარ: ეგ ერთი ფჩხილი რომ შეგჩრჩია, ეგეც მოიჭერ და მემრე მე გამოვალ-თქო. არწივი კიდე ძალიან მაგრა დადგება, მაგრამ შენ აცდინე. და როცა ის ფჩხილიც მოიგდოს, მემრე გამოდი ტყავიდან და არაფერი არ დაგიშავდებარო.

ადგა ქალი და გახარებული წამოვიდა. იმ დღეს არაფერი და მეორე დღეს მოვიდა ხემწიფისაგან კაცი და წაიყვანა ქალი. ქალმა თან წაიღო კამბეჩის ტყავი. რომ მიიყვანეს იქ, ქალი გეეხვია ტყავში და ჩაადგეს არწივის ხაროში. არწივმა უარა აქეთ-იქით და ვერ უპოვნა ადგილი, რომ კბილი შეეგდო. და რო ჩარა გაუწყდა, დაუწყო ლაპარაკი, უთხრა: გამოდი შენი ტყავიდგან, რა სურიელი ხარო? ქალმა უთხრა: ჯერ შენ გამოდი შენი ტყავიდგან და მერე მე გამოვალო. არწივის არ ესიაპოვნა ეს თქმა და ცდილობდა ქალი გამოეყვანა ტყავიდან. მაგრამ ქალი გამაგრდა და არ გამოვიდა.

ბოლოს გამოვიდა არწივი თავის ტყავიდან და მაშინვე ვადიქცა მშვენიერ ვაჟათ. და უთხრა ქალს: აბა, ეს ხომ მე გამოველი ტყავიდან და აბა ეხლა შენ ვადიხადეო. ქალმა უთხრა: მანამ მაგ ფჩხილს არ მოიგდებინებ, არ გამოვალო. არწივის არ უნდოდა ფჩხილის მოგდებინება, მაგრამ კიდე აცდინა ქალმა, და ის ფჩხილიც მოიგდო. მაშინ ქალმაც ვადიხადა კამეჩის ტყავი და გამოვიდა. და ეს ქალი და ვაჟი ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ ანათებდნენ იმ ხაროს.

გაიარა რამდენიმე დღე, არწივი აღარა წიოდა. მსახურებს ძალიან გაუკვირდათ, ეგონათ, არწივი მოკვდაო. წავიდნენ, ჩაიხედეს ხაროში და ნახეს მშვენიერი ქალი და ვაჟი. ძალიან გაუკვირდათ ეს მოჩვენება. წავიდნენ და ხემწიფეს მოახსენეს. ხემწიფეს ეგონა, მსახურები ატყუებდნენ, და უბრძანა. რომ ისინი მოეკლათ. სხვებსაც, ვისაც ეს ამბავი მოჰქონდა, ყველას ხოცავდა. ბოლოს ერთმა პატროსანმა კაცმა სთხოვა, რომ თითონ წასულიყო.

ადგა და წავიდა ხემწიფე, ნახა მანაც ის მშვენიერი ქალი და ვაჟი. უბრძანა, რომ ამოეყვანათ. ბევრი ინანა იმ დახოცილ ხალხზე, მაგრამ რაღას უშეეღიდა. ქალმა და ვაჟმა დაიწერეს ჯვარი და გახდნენ ცოლი და ქმარი.

ამ ქალს ხემწიფემ აჩუქა ერთი მშვენიერი რაში, რომელიც გულთმისანი იყო. გავიდა რამდენიმე ხანი; ხემწიფის შვილს მოუ-
ნდა სხვა ქვეყანაში წასვლა და ცოლს სთხოვა რაში. რაშიმაც უთხრა
ქალს: თუ რომ ჩემ თავს ათხოვებ ხემწიფის შვილს, უთხარი, რომ
როცა სადმე ჩამოხდეს, მარტო ცალი ფეხით დამაბასო. კიდე და-
რიგა ქალი რაშიმაც: როცა რომ შენ ღვინოს გასმევედნენ, გულში
თქვი, — ჩემი რაში თერესო, და ისე დალიეო.

მეორე დღეს წავიდა ხემწიფის შვილი სხვათა ქვეყანაში. მისი
ცოლი ორსულად იყო და ერთი კვირის შემდეგ გაუჩნდა ოქროს-
ქორიანი ვაჟი. დედამ და მამამ დასწერეს წიგნი და გაუგზავნეს
შვილს მახარებლის ხელით. ეს მახარებელი გზაში ჩამოხდა
ლამის გასათევად ერთ დედაკაცთან, სადაც ყველა მგზავრი უნდა
ჩამომხდარიყო. იმნაირ ადგილას იდგა ის დედაკაცი. ღამე, როდესაც
ამ კაცს დაეძინა, ბოროტმა დედაკაცმა ამ კაცს ჯიბიდან ამო-
უღო ის წიგნი, ნახა, რომ დედ-მამა სწერდნენ: შენმა ცოლმა ოქ-
როსქორიანი ვაჟი შობაო. დახია და სამაგიეროთ ასრე დაწერილი
წიგნი ჩაუღო ჯიბეში: შენმა ცოლმა საქვეყნოთ თავი მოგვეჭრა, ძალ-
ლის ლეკვი შობაო. დილას ადგა ის კაცი, წავიდა და მიუტანა ხემ-
წიფის შვილს წიგნი.

ძრიელ ეწყინა ხემწიფის შვილს, მაგრამ მაინც მისწერა დედ-
მამას: ჩემს მოსვლამდინ დედაც და შვილიც შემიძინებთო, და ეს
წიგნი იმავე კაცს გამოატანა. ეს კაცი ღამის გასათევათ ისევ იმ
დედაკაცთან ჩამოხდა. დედაკაცმა, როცა კაცს დაეძინა, ისევ ამო-
ცალა ჯიბიდან წიგნი, დახია და სამაგიეროთ ასრე დაწერილი ჩაუ-
ღო: დედაც და მამაც, გთხოვთ ჩემს მოსვლას ნუ ელოდებით, გაა-
ხურეთ საკირე, ჩააგდეთ შიგ დედა და შვილი და დასწვითო.

გათენდა დილა. ადგა კაცი და წამოვიდა ხემწიფესთან. მიართვა
წიგნი. ხემწიფემ გაშალა წიგნი და როცა წაიკითხა, ელდა ეცა იმი-
სთანა უცნაურ პასუხზე. მაგრამ შვილის ხათრი ვერ გასტეხა. უბ-
ძანა გაეხურებინათ საკირე. სადილად ქალს ღვინოს ასმევედნენ, რა-
თა არ ეგრძნო თავისი ტანჯვა. მაგრამ რაშისაგან დარჩებულნი ქა-
ლი ასრე ამბობდა თავის გულში: ჩემი რაში თერესო, და არ
დაითრო.

ნასადილეფს ქალი თავისი შვილით ჩასვეს ყუთში და ჩააგდეს
საკირეში. დაბმულმა რაშიმაც ამ დროს აიწყვეტა თოკი და გამოეჭანა
ცეცხლისაკენ. დასწვდა და მოიტაცა ყუთი ცეცხლიდან და გააქანა

ერთ უდაბურ მინდვრისავენ. დაუშო ყუთი ერთ ადგილზე და ავ-
გლიჯა ხუფი. ამოვიდნენ დედა და შვილი. ამ დროს რაში ისე დასუ-
სტდა, რომ სიცოცხლე აღარ შეეძლო, და ესრეთი დარიგება მისცა
ქალს: მე რო მოვკვდე, მომჭერ კუდი, და სადაც აიარო და ჩაიარო,
დაპყარ დედამიწაზედ და უდაბნოში გაჩნდება ქვეყნიერებაო.

მოკვდა რაში, ქალმა შეაჩრულა მისი დარიგება, და გაჩნდა ქვე-
ყნიერება. დასახლდა ქალი იქ და იწყო ცხოვრება.

წამაიზარდა მისი ვაჟი — მეტად ღონიერი და მეტად მშვენიე-
რი. დაიწყო ნადირობა. ნადირობაში გაიცნო შვიდი ძმა დევი: დი-
დათ შეუყვარდათ ამ დევებს ეს ყმაწვილი მისი ყოჩაღობისათვის,
ასწავლიდნენ და არიგებდნენ მას.

აჟი გაუწყრა ღმერთი ვაჟის დედას — მონღომა გათხოვება
ერთ კოჭლ დევზე. შვილისა რო სცხვენოდა, იფიქრა მისი თავიდამ
მოშორება და შეეხვეწა კოჭლ დევს ისეთი ადგილი ესწავლებინა,
რომ იქ გაეგზავნა შვილი და შინ აღარ დაბრუნებულოყო. დევმა
დაარიგა: ტყუილად ავად გახდიო, ტახ ღორთან გაგზავნეო, — უთ-
ხარი, თუ იმ ღორის ღვიძლს მომიტან, მოვრჩები. თუ არადა მოვ-
კვდებიო.

როცა შვილი მოვიდა შინ, ჩახა, რომ დედა კვნესის და ძრიელ
შეწუხდა, ჰკითხა: რა დაგემართა, ან რა მოგარჩენსო. დედამ ისე
უთხრა, როგორც კოჭლმა დევმა დაარიგა.

მეორე დღეს დილით ადრე ადგა ვაჟი და წავიდა თავის მეგობარ
დევებთან და თავისი დარდი უთხრა: იმათ გაიცინეს და უთხრეს:
შენს დედას შენი მოკვლა უნდაო, კოჭლ დევზე გცვლისო. შვილმა
არ დაიჯერა და სთხოვა ესწავლებინათ, სადაც ის ღორი იყო. დევე-
ბმა უთხრეს, იმ ღორთან ვინც წასულა, ცოცხალი აღარ მოსულაო,
და თუ არ დაგვიჯერებ და წახვალო, ეცადე შვილდ-ისარი შეუბღში
მოარტყაო, თორემ გაგაფუჭებსო.

ვაჟი წავიდა ღორთან. როცა ახლო მივიდა, ძრიელ შეეშინდა.
ღორი გამოექანა. ამ დროს ვაჟმა ესროლა შვილდ-ისარი და მოარ-
ტყა შეუბღში. მოჰკლა ღორი და წაუღო გულ-ღვიძლი დედას. დე-
დამ არ დაიჯერა, ეს იმის ღვიძლი არ იქნებაო. უჩვენა კოჭლ დევს,
და იმან უთხრა, ეს არისო.

მერმე დევმა ასწავლა დედაკაცს: შენ კიდევ ავად გახდი და უთ-
ხარ შვილს, უკვდავების წყალს თუ მომიტან, მოვრჩებიო, თუ არა-
და მოვკვდებიო. ეგ წამალი მე სიზმარში ვნახეო, — ასე უთხარიო.

მეილი როცა მოვიდა, ჰკითხა დედას: რა დაგეპართა ან რა მოგაბრ-
ინს, რომ მოგიტანოვო? დედამ უთხრა, როგორც დევმა დაარია.

ვაჟი კიდევ წავიდა თავის მეგობარ დევებთან და უთხრა თავისი
დარდი. იმათ კიდევ გაიცინეს და კიდევ უთხრეს: დედაშენს შენი მოკ-
ვლა უნდაო, თუ არა გჯერა, შენი ნებააო. ის ადგილი, საცა უკვდა-
ვების წყალია, ორ კლდეს შუა არის, კლდე წელიწადში ერთხელ
იღება და მალე ისევ იკეტებაო.

ვაჟი წავიდა. ბევრი იარა და, როცა მივიდა იმ კლდესთან, ნახა,
რომ კარი ღია იყო. შავიდა შიგ. აამსო ტოლჩა უკვდავების წყლით.
მემრე დაიწყო იქით-აქეთ ყურება. მშვენიერი ბალი იყო და იქ ძა-
ლიან გრილოდა. მიწვა და დაეძინა. მის ძილში კლდეს კარი ისევ
დაიკეტა.

იმ ადგილას ერთი მზეთუნახავი ცხოვრობდა თავისი მოახლეთი.
ამ დროს ეს მოახლე ჩამოვიდა წყლის ასატანად. ნახა ეს ყმაწვილი,
დიღხანს უცქირა მძინარეს, ძალიან მოეწონა. მერე ავიდა და თავის
ქალბატონს მოახსენა, მშვენიერს ყმაწვილს სძინავს ჩვენს ბაღშიო.
ადგა ქალი და ჩავიდა, გაადვიდა ვაჟი და ჰკითხა, რისთვის მოსულ-
ხარ აქაო. ვაჟმა ყველაფერი უამბო. ქალმა გაუცინა და უთხრა:
დედაშენი ამალამ იწერს ჯვარს ერთ კოჭლ დევზეო და შენი მოკვლა
უნდოდა, იმიტომ რომ შენი სცხვენოდაო. ვაჟმა არ დაუჯერა, უთხ-
რა, მაგას როგორ მეუბნებო, დედა მაგას როგორ მიზამსო. მაშინ
ქალმა გამოიძრო ბეჭედი და ვაჟს მისცა, უთხრა: მე ხომ ვიცი, რომ
შენ უკან დაბრუნდები, ამ ბეჭედს გატან, უკან რომ დაბრუნდები,
უჩვენე კლდესა და გაიღებო. ერთი პატარა ფინიაც გამოატანა, ეს
გზას გიჩვენებსო.

ადგა ვაჟი, უჩვენა კლდეს ბეჭედი, კლდე გაიღო და წამოვიდა.
როცა მივიდა შინა, ნახა, რომ დიდი ძალი ბალხი შეგროვილა და
მისი დედის ქორწილია. ეს რო ნახა, ძალიან შეწუხდა. აიღო შვილდ-
ისარი, ესროლა ჯერ თავის დედას და მოჰკლა. მერმე დევს ესროლა
და მოჰკლა. შემდეგ წავიდა თავის მეგობარ დევებთან და უამბო
თავისი თავგადასავალი, განუმეხმევიდობა დევებს და წავიდა უკვდა-
ვების ქალთან. კლდესთან რომ მივიდა, უჩვენა ბეჭედი, კლდე გაი-
ღო და შევიდა. დაიწერა ჯვარი იმ ქალზე და იწყეს ცხოვრება.

ქირი იქა, ლხინი იქა,
ნაცარი იქა, ფქვილი იქა.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა სამი ძმა ყასაბი. ეს ყასაბები უწინ-
ძალიან მდიდრები იყვნენ, მაგრამ ბოლოს გადარიბდნენ და უთხრეს
ერთმანეთს: ეს საკლავი ხომ შემოგვავლდაო და ჩვენ ორი ძმა,
საკლავის საყიდლათ წავიღეთო და მესამე ძმა კი საყაპაპოში ვაქრო-
ბისათვის დარჩესო.

წავიდნენ ყასაბები, იარეს, ბევრი იარეს და მივიდნენ ფშავში
მეცხვარე თუშთან. თუში გარეთ დაუხვდათ. ჰკითხეს ყასაბებმა:
ცხვრები არა გყავსო გასაყიდო? მან უპასუხა: აი გაიხედეთო ამა და
ამ მხარესაო, რაც რომ ცხვრებია, სულ ჩემიაო. ყასაბებმა უთხრეს,
ასს როგორ მისცემო? თუშმა უთხრა: მე ასობით არა ვყიდო, თუ
გინდათ ფარობით აიღეთო. ყასაბები დათანხმდნენ. როცა ფულს
უთვლიდნენ, შემოაკლდათ ოცი თუმანი და ეს ფული ვალათ დაი-
დეს იმ პირობით, რომ მეორეთ როცა მოვალთო, მოგიტანთო. წაას-
ხეს ერთი ფარა ცხვარა და წავიდნენ.

იმ ცხვრების მონაგებით ცოტათი გამდიდრდნენ ყასაბები. რამ-
დენიმე ხნის უკან მეორეთ წავიდნენ თუშთან, ვალი მიუტანეს და ხუ-
თი ფარა იყიდეს, მაგრამ ახლა ასი თუმანი დაეღოთ ვალათ. წაასხეს
ცხვარი, დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქში და ამ ცხვრების მონაგებით
ისე დამდიდრდნენ, როგორც უწინ იყვნენ.

რამდენიმე ხნის უკან წავიდნენ ისევ თუშთან ვალის მისაცემად.
რომ მივიდნენ, თუშის კარზე მათ დაუხვდათ ბებერი დედაკაცი.
იმ ბებერს ეგონა, ეს კაცები ვალის სათხოვნელად მოდიანო, და უთ-
ხრა: ამ ბაღლებს მამა აღარა ჰყავთო და წერილ ობლებს რაღა ვალი
გამოერთმევათო? ყასაბებმა უთხრეს: არა, დედაო, ჩვენა გვმართებს
მაგათიო, არამცთუ მაგათ ჩვენიო. აიღეს და ასი თუმანი მისცეს
ბებერს ობლებისათვის. ამასთანავე კიდევ უთხრეს ყასაბებმა: უფ-
როს ვაჟს ჩვენ წავიყვანთო და ისე გავამდიდრებთ, როგორც მაგის-
მა მამამ ჩვენ გავამდიდრაო.

მეორე დღესვე შემოიხვეს ცხენზე თუშის ბიჭი და წაიყვანეს.
მივიდნენ შინა. ერთი კარგი ოთახი საკუთრათ მისცეს ბიჭსა და
ძალიან კარგათ ინახავდნენ. მაგრამ თუშის ბიჭი ღამ-ღამ აითრევდა
ქეჩასა და ბანზე დაწვებოდა, დილით კი ჩუმათ ჩამოვიდოდა ხოლ-
მე თავის ოთახში.

ერთ ღამეს თურმე ხემწიფის ქალსა და ერთ სხვა ხემწიფის

შვილს პირი ჰქონდათ მიცემული, რომ იმ ბანზე უნდა შეყრილიყვნენ, სადაც თუშის ბიჭი იწვა. დანიშნულ დროზე ხემწიფის შვილმა დაუწყო ქალს იმ ბანზე ცდა. დანიშნული დრო გადვიდა და კიდევ ერთი საათი მეტი უცადა, მაგრამ ქალი არ ჩანდა. მერე, როგორც წავიდა ის ხემწიფის შვილი, მოვარდა თავის რაშით ქალი. ახლა ქალმა დაუწყო ცდა, მაგრამ ვაჟი რაღას მოვიდოდა, წასულა იყო. მაშინ ქალმა სთქვა: ესა ყოფილა ჩემი ბედი და იღბალიო, დაავლო ხელი თუშის ბიჭს, შემოისვა რაშზე და წაიყვანა.

იარეს, გადავიდნენ სხვა სახემწიფოში. მივიდნენ ხემწიფის სასახლესთან და ხემწიფეს შეუთვალეს: ამა და ამ ხემწიფის ქალი ვარო და გთხოვ მიგვილოთო. მაშინვე ხემწიფემ მიიღო დიდის პატივისცემით, ცალკე სასახლეში დააბინავა.

მეორე დღეს ნახეს ვეზირებმა, რომ ეს ქალი ოსეთი მშვენიერი იყო, რომ რაღა! შევიდნენ და მოახსენეს ხემწიფეს: კაციც ეგა ყოფილა და ცოლიც მაგას ჰყოლიაო, თუ რომ მაგ ყმაწვილს ცოლს არ წაართმევო, ხემწიფეთ არ გვინდინარო. ხემწიფემ უბძანა: რა მიზეზით წავართვაო? მოახსენეს: ეგ ყმაწვილი სადილათ დაჰპატივეო და ვინიცობაა შენსავით ვერ მოიქცევა, მიზეზიც ეგ იქნებაო.

მესამე დღეს ხემწიფემ დაჰპატიჟა თუშის ბიჭი. ბიჭი შევიდა ცოლთან და შესჩივლა. ქალმა უთხრა: იხუ გეშინიანო. თორმეტნაირ საჭმელს მოგოტანენო და ყველა საჭმლისაგან თითო-თითო ლუკმის მეტი არ აიღოვო. მერე ამოიღო სამი ვაშლი, მძაცა და უთხრა: როცა რომ სუფრის ალაგების დრო იყოსო, მაშინ ეს ერთი ვაშლი საკუთრათ ხემწიფეს მიართვიო, ეს ორი ვაშლი კი დააწყე თეფშზედო და დანით ჭვარდინათ გაუსვ-გამოუსვიო. რამდენიც გინდა ხალხი იყოსო, ყველას წინ თითო-თითო ნაჭერი ვაშლი დაეცემაო, ერთი ნაჭერი კი შენთვის შენ წინ დარჩებაო. მას უკან აღეკ სუფრიდგან და გამოდიო.

ეწვია თუშის ბიჭი სადილათ ხემწიფეს. იქ ისე მოიქცა, როგორც მისმა ცოლმა დაარჩვა. ძალიან გაუკვირდათ ხემწიფეს და მის ვეზირებს. კიდევ მოახსენეს ხემწიფეს ვეზირებმა. რახან ეხლა ვერ წავართვიოთ ცოლიო, მაშ კიდევ მოვიგონოთ რამეო. აბა რაღა მოვიგონოთ? — უბძანა ხემწიფემ. მოახსენეს: სანადიროთ წაბძანდითო და თუ რომ ისე არ მოიქცევა, როგორც თქვენაო, მაშინ წავართვათ ცოლიო.

ხემწიფემ კაცი შეუგზავნა თუშის ბიჭს და სანადიროთ წამო-

სვლა სთხოვა. თუმინ ბიჭი კიდევ უარესათ შეწყუბდა, უთხრა თავის ცოლს: თავას დღეში სანაღიროთ არ განიეღიო და ცხლა როგორ წავეყვეო? ცოლმა უთხრა: მაგისი ნუ გეშინიანო, და დაარაგა, — რიგირც სენწილემ ატაროს თავასი რაშიო. ისე წენაო, რაჲ განდა გეხვეწნენ იმასი ვეხირები. მაინც არც წან წასვილე სენწილემ და არც უკანაო. ნერც ახოლო ერთი იქროს ბუქრთი და მოცა: როდესაც იტანად მოახლოვდებით ამ სასახლესაო, წენ დაიქნაკოვო რაშიო და მოხვლას უმად სეაფდე ეს ბუქრათი ნაუღაო. ბუქრთი მოღია დაიწეება თამარბაჲ და ეს რაჲთი კი ბირაჲო. როდესაც მოვა სენწილემ სასახლემან, მაშინ ჩამოვარდება ის ბუქრათი, მენ დაიქნაკოვო სულსი და რაჲდენიც გიჲსიჲს. აღარ მისტყვე და აღარაო.

თუმინს ბიჭი ქორბთ ისე მოიგედა. როგორც წინ ცო დეჲ დაარაგა, უღრო უარესათ გაუტვირდათ სენწილესაც და მოა ვე მოვამატე. მაგრამ კიდევ არ მოეწესენ ვესირენსი სენწილეს: ერთი კ დეჲ ეკეჲთეო. სენწილემ უთხრა: აბა მიხზარით, ისეთი რაჲც სევეკეთოთეო. მოახსენებს: თქვენ შეუყვეთეთ ბუქრის ყვაფილო. ის იმას ვერ მოიგანაო და მოა ცოლი თქუნ დაგრძეზაო.

სენწილემ მაშინვე შეუგზაგნა კაცი თუმის ბიჭს და ბუქრის ყვაფილის მოტანა შეუკეთა. ამაზედ თუმის ბიჭი ძალიან დაღონდა: ბუქრის ყვაფალი საიდგან მოვეუტანოვო, არც კი ვამიგონიო? ცოლმა უთხრა: წენ ვამოსთხოვე სამი წლიჲს. სამი თვისა, სამი კვირისა და სამი დღის საგძალი, მოატანე ის საგძალი აჲა. რამაც სე სუყველა კარები და წადი, გე რაჲთი თვითონ დასოფელესაო. თუ გეგმ მოხდა მათხოენი სავიადო, და წაჲდა თუმის ბიჭი, იმას ბუქრათი, ეტე დასამი წადო, სამი თვე დასამი კვირა. მღერამ ეკოა მოიგედა რა მღერდა ერთი ცალკეჲსი. მღერდა ერთი ძალიან თვამბეჲთი მსაჲთეჲთი დიკაკო. ჰკონას მას ბუქრის ყვაფლის ანბეჲთი. მან უთხრა: მას იტით თის წაჲდა. ჩენსე უფროსი მსა აბოს. ის გაჲქადესაო. მსაჲდა და მღერდა ჰედარ-მღერადეჲთი კაკო. იმასაც ჰკონას. მას უთხრა: მგ არ გიკოო. მღერამ აბას იტით რომ წასვად, ჩენსე უფროსი მსა არ სეჲდა ის ვიციჲსაო. გააჩა კიდევ გზა და მიჲდა ამ ყდროსი ამ სასახლესი, დაჲცვა იქ ერთი მებერო დედაკაცი. ჰკონას მას: იმ კაცემ თუ გე რითი მსა მიწდა და სეჲა იმასომ უღელავნა უთხრა: მის არსე სეჲნავს და ვერ გაკადეჲძებო. თუმის ბიჭი წახოვდ მოხვდა, სე სეჲე-წა — გაადეგნეო. ბიჭის შეჲოღაჲ, ქორბეჲთი სეჲეჲთი და ვამიგნეჲთი ამ ხმაზედ ვაიღეჲსა იმ კაცმა და დეჲდა ეს მღერძაჲ: რი-თენს ვა-

ღვიძეო? ბებერმა უთხრა: ერთი შეწუხებული ყმაწვილი კაცი ვეძებნო, იმისმა ცოლმა დაწვეაო და გაგაღვიძეო.

დაუძახეს თუშის ბიჭსა, და მან ნახა ის კაცი. რომ თმა და წვერი სულ შავი აქვს და თითონაც კარმაგათ არას. ვაუკვირდა: ეს როგორი იმათი უფროსი ძმა არისო, და უანბო, რომ ბუქურის ყვავილის საშოვნელათა ვარაო. ეს კაცი, მანამ ბუქურის ყვავილისას აწავლიდა, თავის ანბავს მოუყვა და უთხრა: ამ ბებერს რომ ხედავო, ეს ჩემი ცოლი არისო, ის ორი კაციც რომ ნახე, ერთი ძრიელ მოხუცი და მეორე ჭალარიანი, ისინი ჩემი უნცროსი ძმები არიანო. მე რომ დავინიშნე ამაზედა, ის ჩემი ძმებიც თურმე ამაზედ დანიშნული იყვნენ და რა დღესაც მე შიველ ჭვარის დასაწერათ, ისინიც მაშინ მოვიდნენო. ამაზედ მოგვივიდა ჩხუბი, კინალამ ერთმანეთი გავწყვიტეთო, მერე მივიხედ-მოვხედე იმ სახლში და დავინახე ერთი ფინა და ერთი კატა. შევთხოვე ღმერთსა, ესენი ქალებათ აქციემეტქი. მისმინა ღმერთმა და მართლა ქალებათ იქცნენ. ძაღლისა იმ მოხუცს ერგო და კატისა ჭალარაშერთულსა, მე კი ამაზე დავიწერე ჭვარიო. ძაღლისა რომელსაც ერგო, ის ძრიელ მოხუცდა, რადგან იმ ქალს ძაღლის ბუნება გამოჰყვა: მუდამ უტუქსუნებდა და უწყურებოდა, კატისა კი უფრო ისრე არ იყო. ახლა მე ხომ მნახე, როგორ ფრთხილათ გამომადვიძა ცოლმა და ამისთვის ეხლა კი ერთი ჭალარა თმა გამომერიაო. თუშის ბიჭმა უთხრა: ჩემი საქმისა მითხარი რამეო, ვადა გამიღისო, ერთი დღედა დამრჩენია ვადამღისინაო. იმ კაცმა უთხრა: ამ ზღვის პირზე კოშკი დგას, იმ კოშკის კედელს მიეყუდე. შუალამისას ერთი დიდი ფრთონა შეიქნება ზღვაზედ, თვალეზი დახუჭე და ისე მოხვიე წყალს ხელები, და რაც მოგხვდება, სულ ბუქურის ყვავილი არისო.

წავიდა თუშის ბიჭი, და როგორც დაარიგა იმ კაცმა, ისრე მოიქცა. შუალამისას რომ შეიქნა დიდი ფრთონა ზღვაზედ, მაშინ მოხვია ხელები ბუქურის ყვავილსა, მაგრამ ველარ მოითმინა და თვალეზი გაახილა: ნახა, რომ თმა შემოეხვია წელზედ და კოშკში აიტაცა. თურმე იქ ერთი მზეთუნახავი ქალი ყოფილიყო და იმის თმამ აიტაცა. ჰკითხა ქალმა ვინაობა. თუშის ბიჭმა ყოველივე უანბო თავისი ანბავი. ქალმა უთხრა: ნუ გეშინიანო, შენ ძმა და მე დამ, ამაღამვე მიგიყვან შენს ალაგსაო.

დაუყარა იმ ქალმა თავის რაშს ერთი ლიტრა ლურსმანი და უთხრა: სამი წლის, სამი თვის, სამი კვირის და სამი დღის სავალი ამ

სამ საათში უნდა გაირბინოვო. რაშმა თავი დაუქნია. შეჯდა ქალს რაწხე, შემოისვა თუშის ბიჭი, თავის რაშს ერთ ყურში ერთი ხალჩა ჩაუდო, მეორე ყურში თუშის ბიჭის რაში და გასწიეს, მივიდნენ თუშის ბიჭის სასახლეში, საღაც გამოეგება თავისი ცოლი.

მეორე დილით ადრე თავის სადგომიდან ხემწიფის სასახლეში გაჰფინეს ის ხალჩა და ზედ ბუქურის ყვავილი გაშალეს : აივსო მთელი ქალაქი სურნელებითა. გაუკვირდა ყველას და მეფესაც.

მასუკან როგორც იმ დობილმა დაარიგა, თუშის ბიჭმა მოახსენა ხემწიფეს: თქვენ რაც რომ შემომიკვეთეთ, ხომ ყველა აღვასრულეო, ეხლა ერთს მე შემოგიკვეთამო, თუ შეასრულებთ, ხომ კარგა თუ არა და ისევ მე შევასრულებო. ხემწიფემ უთხრა: აბა რახ შემომიკვეთამო? თუშის ბიჭმა მოახსენა: ამ თქვენ ზღვაზედ დაწნული ქალის თმის ხიდი გააკეთეო თავისის მოაჯირებითაო. ხემწიფე დაფიქრდა: ეს როგორ შეიძლებაო? უთხრა თუშის ბიჭს: აბა შენ თითონ გააკეთეო. მაშინ თუშის ბიჭმა მოახსენა: რაც ამ ქალაქში ბებერი და ყმაწვილი ქალები იყვნენ, უბრძანე იმათ, რომ რამდენიც თმა მიეცე, სულ სწნან სამ წელიწადს. ამასთანავე ყველა მკედლებმა ლურსმანი რამდენიც გააკეთონ, სულ მე ჩამაბარონო.

გადმოჰკიდა თავისი თმა იმ დობილმა სასახლიდამა. სწნეს, სანამდი ვადა გათავდებოდა. როცა გაათავეს, ერთ ღამეს გაიპარა ის ზღვაზედ და გააკეთა მანქანებით თავის თმის ხიდი და რაც ლურსმანი იყო, სულ ზედ შეალია. მერე თუშის ბიჭმა სთხოვა ხემწიფეს, ჩემი გაკეთებული ხიდი ნახეო. ხემწიფე თავის ნაზირ-ვეზირებით მივიდა ხიდზედ, გაიარ-გამოიარა. თუშის ბიჭმა მოახსენა: კარგათ დათვალიერეთო, ხომ არა აკლია რაო. ხემწიფემ კიდევ თავის ნაზირ-ვეზირებით გაიარა და ათვალიერებდა, თუშის ბიჭი კი გამოდმა გამოვიდა. ამ დროს მისმა დობილმა გამოჰკრა თავის თმა ხელი და ხემწიფე და მისი ვეზირები სულ ზღვაში ჩაცვივდნენ და ჩაიხჩვენ. შემდგომ ეს თუშის ბიჭი დასვეს იმ ქვეყანაში ხემწიფეთ, მისმა დობილმა სამეფო დაულოცა და თითონ წავიდა თავის ალაგას.

ქირი იქ დავადე, ლხინი აქ მოეიტანე.

ერთ ღურგალს უმჯობესია ზღვის პირზე. როდესაც პურის ქა-
მანე დაწვდნობდა, ნახევარ პურს წყალში ჩაჰყრიდა თევზებისათვის
და ნახევარს თათონა სჭამდა. ამ სურათში ჩაყრილ ნახევარ პურსა
დაიხლოდნენ პატარა თევზები და ის იმათ ბატონი თევზებისათვის
მიტოვდა.

ერთი რამდენიმე ხანსა და თევზები ბატონმა პეიოსა თავს
პატარა თევზებისა და ვინ არის იგიოი მადლობა, რომა ამოღენა
ბათი ამოღდა. უღუღეს გვიგნაფობო? ის ვაჟი აქ მამოღებოი.
პატარა თევზებისა უს ღებია: სღვის პირზე ერთი ღურგალი შექა-
ონსა და რამდენაც პურსა აჭამო, ნახევარ პურს ჩვენამე მ წყალ-
ში ჩაჰყრასო, ნახევარს თათონა სჭამსო და ის პური ქვეს სჭამოს
ზრდევქვასო.

პატარა თევზები წაკიდნენ და იმ ღურგალს უბარეს: უნდა წა-
შობოდე. ჩვენი პატრონი გიბარებაო. უნდა გარტქოა რამეო და შენ
სურადერს ნუ იმეოებო. უთხარო. რომა შენი არადერა არა მინ-
და მონატემიო. შენი ენა განამოსეო პარში.

წაიყვანეს თევზებში. თავიანთ ბატონთან მიიყვანეს. უთხრა
თევზების ბატონმა ღურგალს: შენ რა სიკეთე მოგაგონებდა ჩემგა-
ნაო რომ იმოდენა უღუღეს მიგსაფილიო, რა გინდა. მობოდეო,
რომა შეე გაგაგინადო პატრონ-ცემა და განტქოა რამო. ღურგალმა
უთხრა: რა დეო სიკეთე და პატრონ-ცემა არისო, ჩემთქოა სავსა-
რისი იყოო და შენდენაო. იმისთვის არ ფიჭებებდეო, რა სიკე-
ტის გეგინდა გმობნისა თევზების ბატონმა მეორეო სიკეთეა შენქო
ქიდა: არ იქნესა, რაც გინოოდე. უნდა მობოდეო და შენ უნდა გ-
მტქებო. ღურგალმა უთხრა: მე შენი ნაუჭებო სო და არ მინდა
რამო. მაგრამ რა გინდა არ მეშეებო. შენი გნაპარში გ მოგინდის.
ისქა არა მინდა რა არს მეტო. ასეა თევზები პატრონს გინდა:
რამისა მთხოვ. მე შენთვის არ დავიშორებო. მაგრამ იმოდენა ვინ-
ბეო გათქვინებნსო და თუ ვინთანე სთქვიო. მაშინათვე მოცე-
ლებო.

გამოტქა თევზმა პარში თავისი ენა. ღურგალმა მაშინათვე
სულ ყველანაირი ენა ისწავლა. რომა რასაც უსკოლო საგანი დაჰა-
რაკობდა ან სუღიერი პარტყევი, სულ ყველას დაჰარაკი გაგონა.

დურგალმა კიდევ რამდენიმე ხანი იმუშავა ზღვის პირზე. მერე დაანება თავი იქ მუშაობასა და მივიდა თავის სახლში.

ერთხელ იმ დურგლის შვილებმა ნახვზე დაუგეს ჩიტებს ჭინი, ქვეშ პურის მარცვლები დაუყარეს. შავიდა ერთი კაქკაქის ბარტყი, თოკითა ჰქონდათ გაკეთებული, დაახლიტეს, მაიტანა ქვეშა ჭინში ის კაქკაქის ბარტყი, დაიქარეს და შინ წაპაიყვანეს. დაუწყეს ყმაწვილებმა თამაშობა და წვალუბა იმ ბარტყსა. იმანაც დაიწყო ჩხავილი და იმ ჩხავილზე გაიგონა იმისმა დედამა, გამაიქცა, იმათი სახლის ახლო კარებზე წამოჭრა და თავის ენაზე დაიწყო ლაპარაკი: ნეტავა ისეთი ვინმე იყოს, ჩემი ლაპარაკი ესმოდესო. ეც ჩემი შვილი მავათი ხელიდგან გამამისწასო. და ამა და ამ ალაგას რომ ერთი მდინარე არისო. იქ ერთი დიდი ქვა არისო. - იმ ქვის ქვეშ იმოდენა თვალი და მარგალიტი არისო. რომა, ვინც იმას იპოვებს, მღონია იმის შვილიწვილსაც ეყოლოს.

დურგალმა ეს კაქკაქისაგან ნათქვამი სიტყვები რომ გაიგონა, მაშინათვე უთხრა თავის შვილებსა: ამა მიტევენთ ვე ჩიტო, როგორი არისო. შვილებმა მისცეს. გაუშვა ხელიდგანა და შეიკვებნენ ყმაწვრა გამიფრინდაო.

წავიდა დურგალი იმ ალაგასა. სადაც კაქკაქმა ასწავლა თვალი და მარგალიტი. ნახა. რომა იმ დიდი ქვის ქვეშ იმოდენა თვალი და მარგალიტი არის, რომა უნაგარიშო. აკრიფა, რაც ეზიდებოდა ეს თვალი და მარგალიტი, და მაიტანა შინა.

იმ დურგალს ძალიან ჰყვანაკლები ცოლი ჰყვანდა. იფიქრა, ეს თვალი და მარგალიტი რომ სულ ერთათ გამოვეუჩინო, სულ გააქრობო და ცოტ-ცოტას გამოვეუჩინო. ცოლმა ჯერ უგდო ყური ქმარსა და მერე უთხრა: აქამდენ უფრო ზღვის პირზე მუშაობდი, მაგოდენა საშოვარს ვერა შოვობდი. ეხლა შინა ხარო და ვინ გაძლევს მაგოდენა საშოვარსაო? ქმარმა უთხრა: იმისათვისა ვმუშაობო, რომა სარგებლობაც უნდა მქონდესო.

გამოვიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ცოლმა უთხრა ქმარსა: თუ აქამდენ ნაკლები ვიყავით, ეხლა ფულიც ბევრი გვაქვსო და პურიცაო, მოდი და ხატში წამიყვანეო. ხატიც ვილოცოთო და ქეიფიც გავწიოთო. ქმარმა ნება მისცა, წავიდეთო.

ღუდაკაცმა გამააცხო პურები, ნაჭუქები, ყველაფერი სამზადისი ჩაალაგა ხურჭინში, აკიდეს ცხენსა და წავიდნენ სალოცავათა ხატში. როდესაც მიდიოდნენ, ღუდაკაცი წინ მიდიოდა და ქმარი უკან

ზიზღევდა. დედაკაცის ცხენი კვიციანი იყო. შუღდგნენ ერთ აღ-
შართაა, კვიცი უკან დარჩა და დაუძახა თავის ენაზე დედასა: რას
ჰიეშურებო, დამიცადეო, ველარ მოვდივარო. ახლა დედამ დაუძა-
ნა: ერთი ხურჯინი ორივ თვლებით სავსე შაქვსო აკიდებულო, ერ-
თი შენოდენა შვილი მუცელში მიძევსო, ჩემზე დედაკაცი ზისო,
გრთი ყმაწვილი ხელში უჭერია და მეორეც მუცელში უზისო. ჰე კი
ამოდენას ვატარებ, კიდევ შენზე წინ მივდივარო და შენ ცა-
რიელა თავა როგორ ვერ ატარებო.

ღურგალმა კვიცისა და ცხენის ლაპარაკი რომ გაიგონა, გაიცი-
ნა. დედაკაცმა უთხრა: რაზე გაიცინეო? კაცმა უთხრა: არაფერზე,
რაზე უნდა გავიცინოვო. გადაეკიდა დედაკაცი: შენ ამ ცხენ-კვიცის
დახვიხვინებაზე გაიცინეო და უნდა მითხრა, რა გაიგონეო, რომა
გგრე გაგეცინაო. რომ აღარ მოეშვა უთხრა კაცმა: დამაცალე ხატი
ვილოცოვო და როცა შინ მივალთ, მაშინ გეტყვიო.

ხატი ილოცეს, მივიდნენ შინა და ცოლი შაადგა: ეხლა ხომ შინ
ძოველითო, უნდა მოხბრაო. მანამდენ ებრძოლა, მანამ ქმარი ბეზარს
შაიყვანა. მაშინ უთხრა ქმარმა: აბა რადგანაც აღარ მეშვები, გე-
ტყვიო.

იმ დროს მამალმა დაიწყო ყვირილი და ძაღლმა დაუძახა: და-
გიდგეს თვალი, რა ღრიალი და თავში ცემა გმართებსო, რა სიმზი-
არულის წიგნი მოგსვლიაო? არ გეყურებაო, რომა პირველი დამი-
დგან მოყოლებული გათენებამდენ მათანა, — ჩვენი პატრონის დე-
დაკაცი ჩვენ პატრონზე შამდგარი არის, ის სიტყვა მითხარო. ჩვე-
ნი პატრონი აქნობამდენ უარზე იყო, არ გეტყვიო, მაგრამა რადგა-
ნაც თავი მიაბეზრა, ეხლა უნდა უთხრას ის სიტყვაო. რაააც წამს
იმ სიტყვას დაასრულებს, მაშინათვე მოკედებაო. მაშინ ჩვენი პატ-
რონი ვინდა იქნებაო. შენც საკენკის დამყრელი აღარავინ გეყოლე-
ბაო და მეც ერთი ლუქმა პურის მამდგები აღარ მეყოლებაო, —
აბა რა თავს იხეთქავო და რა გაყვილებსო?

ახლა მამალმა უთხრა ძაღლსა: თვალი შენ დაგიდგაო, ღმერთმა
შავის მეტი საბოროტო ნურაფერი ნუ მამცესო, მაგაზე რათ ვიდარ-
ლებო. მე სამოცი ცოლი მყავსო, რომელსაც თავში ჩავყრავე, ყველას
დავიმორჩილებო. მაგ ჩვენ პატრონს რომ ჰკვა ჰქონდეს და ჩემ
სიტყვას გაიგონებდესო, თუ მე სამოც ცოლს მართო ერთი ვიმორ-
ჩილებ, ერთი კაცი ერთ დედაკაცს როგორ ვერ დამმორჩილებსო,
დედაკაცის სიტყვას როგორ იჯერებსო და იმისათვის თავს რათ იკ-

ლავსო? ეგ ჩვენი პატრონი დილაზე რომ ადგეს, ტყეში წავიდესო, ერთი კონა ასკილის წნელი მოიტანოსო, ერთი საკაცე მააყოლოსო, ის ასკილის წნელი გარეთ დამალოსო და ის საკაცე შინ შამაიტანოსო. დედაკაცი რომა ჰკითხავსო, ეგ რა არისო, უთხრასო, რომა ეგ საკაცე არისო: თუ მათქმევეინებო იმ სიტყვას, მოვკვდებიო, ამ საკაცეზე დამდეთო და ისე წამიღეთო დასამარხავათო. თუ რომ უთხრაო დედაკაცმა: უღონდ ნუ მოკვდებიო და თუნდა თავის დღეშიც ნუ იტყვიო, ისენი გაიტანოსო და გარეთ გადაყაროსო. თუ ისა თქვასო, რომა მითხარიო და მაგითი გაგიტანო და დაგმარხამო, მაშინ შამაიტანოსო ის ასკილის კონა, მიადგეს, ისე გაუსხეპავი ეკლიანითა იმოდენა სცემოსო, მანამდენ ცემით დაიღლებოდესო, და მაშინა ნახოსო, თუ ქმრის სიტყვას იმან წინა გადაუაროსო.

იმ კაცმა ძაღლისა და მამლის ლაპარაკი რომ გაიგონა, იმათ ყური დაუგდო, დედაკაცს აღარა გაუგონა რა. დაასრულეს ძაღლმა და მამალმა ეს ლაპარაკი და კიდევ გათენდა.

აილო კაცმა წალდი, წავიდა ტყეში და დააჭრა ერთი კონა ასკილის წყებლები, ერთი საკაცე გააკეთა, მაიტანა შინა, ასკილის კონა გარეთ დამალა, საკაცე შინ შაიტანა და კედელზე მიაყუდა. დედაკაცმა ჰკითხა: ეს რა მოგიტანია, რათ გინდაო? ქმარმა უპასუხა: ეს იმისთვის მინდაო, რომ შენ რომ სიტყვიან თქმას ჩამაცივდი და აღარ მეშვებო, იმ სიტყვას რომ ვიტყვიო, მაშინვე მოვკვდებიო, ამ საკაცეზე დამდეთო და ისე წამიღეთო დასამარხავათო. ასლა დედაკაცმა უთხრა: რაღასა ჰგვიანობო, ამოდენა ხანი არისო მიხვეწებო, როცა მოჰყვდები, მაგითი წაგიღებო და დაგმარხამო.

მაშინ შამაიტანა ქმარმა ის ასკილის კონა, მიადგა და იმოდენა სცემა, რომა სისხლი ჩქაფა-ჩქუფით წავიდა იმისი ტანიდანა. როცა შეწუხდა, აილო და ლოგინში ჩააგდო. მერე რამოდენისამე ხანის შემდეგ ძლივ-ძლიობით მორჩა დედაკაცი. როდესაც გაუმთელდა თავისი მტკივნეულობა, ისეთი ხათრი და შიში ჰქონდა თავისი ქმრისა, რომა სულ შუბლში უყურებდა, რა ეწყინებო და რა ეამებო. დიდის მოკრძალებით იყო ქმართანა.

იყო ერთი მონადირე, ჰყვანდა ერთი ცოლი. ორნიც სიბერისკენ იყვნენ გაბრუნებულები და შვილი არა ჰყვანდათ. ბოლოს ჟამს იქმნა ლეთისაგან ბრძანება და მიეცათ ერთი ვაჟი. ის ყმაწვილი ისეთი იყო, რომა სხვა რამოდენასაც წლით იზღებოდა, იმოდენათ ის თვით იზღებოდა. როდესაც შიძლო სიარული, იმ დროს მამა მოუყვდა.

საშინლად ღონერი იზღებოდა. ერთხელ გამოვიდა მეზობლის ყმაწვილებში სათამაშოთა, წასწვდა ერთ ყმაწვილს. უნდოდა ქუდი მახსადნა და გაეგორებინა. ჭუღის ნიასდაში ყმაწვილს თავი მოჰკლიჭა და ისე თავიანთა გააგორა. რამდენსჭერაც გავდოდა სათამაშოთ, ჰგლოჯდა ყმაწვილს თავებსა და გადაჰყრიდა.

შაჟიანა საღმა სოფელუერთა და ხემწიტესთან იჩილა: ან ჩვენ უნდა გადავხსნა ღოვო და ან ის ბებერიო. ერთი შვილი ჰყავსო, ვისაც ყმაწვილს მოასწრებს, მაშინვე თავს მააძრობს და გადაადგებსო. დაძარა სენწიღემ ბებერი და უბძანა: წაღო შენცა და სენი შვილიცაო, რომა ამ ქვეყანაში თქვენი სხენება აღარ გაიგონებოდესო. თორემა შენცა და შენ შერსაც ორსაც დაგახრობთო.

წამოვიდა ბებერი. შაკრბეს ღელა-შვილმა თავიანთი სარჩოსაბადებელი, ერთ დიდ გოდორში ჩააწყეს. ღელა შიგ ჩასვა ყმაწვილმა, მაიკადა და წაიღო. გაიარა რამოდენიმე გზა. დაინახა, რომა სამოცა დევი სანადიროთა ყოფილან, უნადირნიათ, მიაქეთ ნანადირევი და მიდიან. იფიქრა ამ ყმაწვილმა: სადაც ისენი წავლენ, მეც იმით უნდა გავყვეო.

შავიდნენ დევები ერთ სახლში. შაჟყვა ისიც იმათა, მოიხსნა გოდორი, ღერუჯანში დადგა და დაუძახა: ოჯახის პატრონოვო. გამოვიდა ერთი დევი. დაჰპირა ეს დევი, მააძრო თავი, კარებზე ერთი დიდი ხარო ჰქონიათ და ჩააგდო წიგა. დაიძახა მეორეთა: ოჯახის პატრონოვო! გამოვიდა მეორე დევი. იმასაც თავი მააძრო და ჩაუძახა ხაროში, ასე რომა ორმოცდაცხრამეტი დევი ისე თითო-თითოთ გამორეკა და ჩაყარა ხაროში. გამოვიდა ბოლოს იმათა უფროსი ძმა, სამოცათავიანი დევი. შაიბნენ და გაუხდათ საშინელი ბრძოლა. მოუმართა ღმერთმა ხელი და დაძალა ყმაწვილმა, მაჰკრა ორმოცდაცხრამეტი თავი და ჩაყარა ხაროში. შამოჰკრა იმ ერთ თავსაცა ხმალი, მოსჰკრა და ცოტა ტყავსდა ეპირა, ჩააგდო ისრე და მოაყარა მიწა. დაარჩა იმათი სარჩო-საბადებელი და გახდა ის ყმაწვილი მეპატ-

რონე. წავა სანადიროთა, მარტანს ცალით მხრით ირემს, ცალი მხრით ჭანდარსა, მოხარშავს დედა ირმის ხორცსა და არიან ამნაირ ცხოვრებაში.

რომელიც ბოლოს დროს დევი მოჰკლან და ერთი თავი ტყავით დაკიდებული ჩააყოლა, ის თავი მიირჩინა დევმა და ისეთ დროს ამოყო მიწიდგან, რომა ის ყმაწვილი სანადიროთ არის წასული. გამოვიდა ბებერი გარეთ, ნაგავი გადმოყარა. დაინახა თუ არა დევმა, დაუძახა: მანდ სახლში ერთი საბელი არისო და მიწაში ერთი ქლა ერბო. ის საბელი ერბოს ქილას მიაბი და საბლეს წვერი აქ მანატანო. წავიდა ბებერი, მიაბა საბელი ქილასა და საბლეს წვერი მიუტანა დევსა. გამოსწივა დევმა და ამაპრო ერბოს ქლა, ამოჭანა ერბო და საჩქაროვნედ მოღონიერდა წამშილასაგან წაწვეტსული.

ამოვიდა დევი, ამოსტდა ხარისა, შევიდა თავის სანდში, მოიარნოიარა და ამ სიარულში ბებერსაც გადაავლო თვალი. — თანდამა მისი შეყვარება. როდესაც ბებერს გამოუტყადა თავისი გულის წაღალი, ამანედ ბებერმაც სანართლით ნება მისცა. ბებერს შველი დღე სანადიროთ დადიოდა, ბებერი და დევი იმის მოსვლამდე ერთათა ჭეიფობდნენ. როდესაც იდროვებდა, ახლა კი მოსვლის სანი აქვსო, დევი დაიმალებოდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. დაორსულდა ბებერი და გაუჩნდა ვაჟი. იფიქრა ბებერმა: ეს რომ ჩემმა წვილმა გამიგოს, მამკლავსო, თუ არსად გადავაგდევო. წაიყვანა ბებერმა ყმაწვილი, ტყეში ერთი უდი შამბიანი ადგილი ნახა და ჩაავლო იმ შამბში.

როდესაც დასაღამოვდა, იმისი შვილი მოდის ნადირობიდანა, ცალი მხრით ირემი მოაქვს და ცალით ჭანდარი. იმის მახლობლად ჩამაიარა, სადაც ბებერმა ყმაწვილი გადაავლო, და ერთი სამინგლი წივილი მავსმა. ჯერ კი მიბრუნდა, უნდოდა ენახა, რა იქნებო, მაგრამა მერმე უკანვე მობრუნდა, — ვაითუ ან გველი იყოს და ან სხვა რამე მავნებელი, მოვერიდებო. მერმე კიდევ წარმოიდგინა სხვანაირი ფიქრი და შარსებინა თავისი თავი: ისე როგორ წავშინდიო, რომა იქ მისვლა ვერ გავებდევო, იქნება რა არისო. დაყარა, რაც მოჰქონდა, დაიქირა შვილდ-ისარი მშათა და მივიდა. ნახა, რომა ყმაწვილი არის ახალი გჩინილი, და ისა წივის და კივის. მაინადა ქუდი, ღმერთს მადლობა მისცა, რადგანაც ძმა არ მყევანდა და ძმის ღირსი გამხადევო. გამაისვივა კალთაში, მოუყვანა დედასა და უთხრა: ჩემო დედავ, თუ დედაშვილობის ხათრი გაქვს, უნატრელად

ღმერთმა ძმა მამცა და როგორც იყო, უნდა გამიზარდოვო. დედამ პირველად ძალიან იუარა: განა არ იცი, რამდენი ხანია, რაც შენ მოგიშორე, მე რძე აღარა მაქვსო და რითი უნდა გავზარდოვო. მაგრამა, რომ ველარათი მაიშორა, გამოართვა და დაუწყო მოვლა.

გაიზარდა ის ყმაწვილი, ისწავლა ლაპარაკი. გამოვიდოდა დევი და იმ ყმაწვილის თვალწინ ეხუმრებოდა ბებერსა, რადგანაც ყმაწვილს არად აგდებდა. ერთხელ ყმაწვილმა უთხრა: დაიცადე, შავო კაცო, მოვიდეს ჩემი ძმა და ვუთხრა, დედაჩემს რომ ეხუმრებო. ამ სიტყვაზე ამოკრა წიხლი დეემა და გარეთ გადმავლო. წამოდგა ყმაწვილი, დაადგა გზასა, რადგანაც იცოდა, რითაც მისი ძმა იარებოდა და იპოვნა თავისი ძმა. უთხრა ძმამ: რა ამბავი არის, ვინ გატირაო? იმან უპასუხა: ჩვენსა რომ ერთი წავი კაცი არის, ის დედაჩემს ეხუმრებო. რადგანაც დავემუქრე, ჩემ ძმას ვეტყუი-მეთქი, იმაზედ ამამკრა წიხლი და გარეთ გადმავლოვო. ვაჟს წინაწინვე ეჭვი აღებული ჰქონდა თავის დედაზედა, მაგრამ სიმართლე ვერსაიდგან შეიტყო, ვიდრე იმ ყმაწვილმა არ უამბო. რა ის ყმაწვილის ნაამბობი მოისმინა, იფიქრა, რომა სწორეთ ის ძალი იმ თავს მარჩენდაო, რომელიც ტყავით დაკიდებული ჩავაყოლე ხაროშიო, ამოვიდოდა ხაროდგანა და დედაჩემს ის შაკყეარდებოდაო. მოვიდა სალამოზნდა შინა, მაიყვანა ძმაცა და ნანადირევიც, რაც ჩვეულებრივ მოჰქონდა, ისიც მაიტანა.

გათენდა დილა და დედას უთხრა: ჩემო დედავ, შვილდი გამიტყუაო და იმისათვის რკინა რამე მაშინახეო. ბებერმა ეძება, მაგრამ ვერაფერი ვერა იპოვნა, — არ არისო. წამოდგა და თვითონ დაუწყო ძებნა. იმას რკინა კი არ აწუხებდა, უნდოდა, რომა ის დევი ეპოვნა. როდესაც მივიდა იმ ალაგასა, სადაც დევი იყო, მაშინ გაქანდა ბებერი და უთხრა: შვილო, მანდ დევი არისო და არ წეგქამოსო, ნუ მიხვალ მანდაო, — შვილი შეებრალა. მივიდა ვაჟი, გამათრივა ერთი უზარმაზარი დევი. დაიჭიდნენ. ძალიან დიდი ხანი იბრძოლეს, მაგრამა ბოლოს დაძალა ისევ ვაჟმა, — მოსკრა თავი და ჩაადლო ხაროში, როდესაც დამშვიდდენ, უმცროსმა ვაჟმა ერთი ცული სადლაც იპოვნა, მიეპარა დედასა, დაჰკრა თავში და ისიც იმან მოჰკლა. დაუწყო ჭავრობა უფროსმა ძმამ, რისთვის მოჰკალი, ჩვენი დედა იყოვო, მაგრამ იმან უთხრა: თუ ჩვენი დედა იყო, იმ შავ კაცს რათა რჩეობდაო, წაიღე და ეგეც იმასთან დამარხე, რადგანაც ერთმანეთი უყვარდათ, ერთათ იყვნენო. წაიღო და ისიც იმ დევთან დამარხა.

დაიწყეს ძმებმა ერთად სიარული და ნადირობა. დილით წავიდოდნენ სანადიროთ და საღამოზედ მოვიდოდნენ, სახლი კი უპატრონოთ ეგდო მთელი დღე. უმცროსმა ძმამ უთხრა უფროს ძმასა: ეს ჩვენი ცხოვრება ვერ მამწონსო, წავადეთ ან იქით ან აქეთა, რას ვაკეთებთ აქ მარტოებიო? უფროსმა ძმამ უთხრა: მე წავალ და შენ აქაურობას დაუდექო. ახლა უმცროსმა უთხრა: რადგანაც შენ წახვალო, როდესაც რამე გაგიჰირდეს, რითი გავიგოვო? იმითი გაიგებო,—უფროსმა უთხრა, — რომა, თუ გამიჰირდეს რამე, ეგ ჩვენი წყარო სისხლათ მაიქცესო. გამაესალმნენ ერთმანეთსა, უმცროსმა გზა დაულოცა და წავიდა უფროსი.

იარა დიდი ხანი, ვავიდა ერთ სახემწიფოში. ნახა, რომა, ერთი წივილ-კივილითა და ტირილით მოჰყავთ ურმით ერთი მშვენიერი ქალი. ჰკითხა: რა ამბავი არის, ვისათვის მოგიტაცნიათ ეგ ქალი ან ვისთან მიგყავთო? იმათ უპასუხეს: აბა გაჰხედე აიქით, რამოდენა მთასავით ზის, — იმისთვის მიგყავსო. ყმაწვილმა ჰკითხა: ვინ არის ის, რისათვის მიგყავთ იმასთანაო? უთხრეს: ის არის სამოცთავიანი დევი, იმას უნდა დღეში სამი სული მივუყვანოთ: ერთი ქალი სადილათ, ერთი ქალი სამხრათ და ერთი კაცი ვახშმათაო. თუ არ მოვუყვანთ, ჩამოვა და მთელ სახემწიფოს დაგვლუბავსო. უთხრა ყმაწვილმა: ეგ ქალი უკანვე გააბრუნებო, თუ მე ის დევი მოვკალი, ეგ ქალი მე მამეცით ცოლათო, თუ იმან მამკლა და — ალალი იყოს ჩემი სიკვდილი იმაზე და თქვენ ისევე თქვენი დებულება აძლიევთო. ქალმა უთხრა: თუ წახვალ და აღარ იშლი, ის შვილდ-ისრის სროლით წამოვა და შენც უნდა სამოცი თავი გავიკეთო და ისრე წავდიო. დააკერა მხრებზე ორმოცდაცხრამეტი ფარდაგისა თავებისავითა და ისრე გაჰზავნა.

მივიდა იმ მთის ძირში, სადაც ის დევი იყო. დაჯდა იქა და დაუწყო იქიდგან ცქერა. დაუწყოვლა დევმა: სად გააბრუნე. რატომ არ მაიყვანე, მამშივდაო. ვაჟმა დაუძახა: აქ ჩამოდი და მე შამქამეო. წამოდგა დევი და წამოვიდა ბობოქრობით და წვილდ-ისრის სროლითა. იმოდენა ესროლეს ერთმანეთსა, რომა ორმოცდაცხრამეტი ფარდაგის თავი დევმა გააგდებინა და ორმოცდაცხრამეტი აშანა. მივიდნენ ერთმანეთთან და შახელდახელავდნენ: აიღებს დევი, დასცემს დედამიწაზე, მუხლებამდენ ჩავარდება მიწაში; ამაიღებს. დასცემს ის ვაჟი, კოჭებამდინ დასვამს მიწაში. იმოდენა იბრძოლეს, რომა დაიღალნენ და დაშველდნენ. როდესაც დაისვენეს და ეცნენ ხელ-

მეორეთ ერთმანეთსა, იმოდენა იბრძოლეს, რომა დაღალა დევი ვაჟმა და დაინარჩომა, მოჰკლა. დაისვენა კარგა ხანი, რადგანაც თავათაც ძალიან დაიღალა. აღგა მერმე და სულ ერთიანათ აკუწა დევი, ისეთი გორა შაყენა ლეშისა, რომა როგორც მთა.

წამოვიდა, მივიდა იმ საქალაქოში, სადაც ხემწიფე იყო. მახსენეს ხემწიფესა, რომა დევი მოუქლავსო. ისე გაცხარდათ ყველასა, რომა იმათ სახარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. შეირთო ვაჟმა ის ქალი, რომელიც დევთან მიჰყენდათ შასაჰმელათა. როდესაც გათუნდა დღა, აღგა, დაიბანა პირი, გამოვიდა გარეთა, გაიხედ-გამოიხედა: მშვენიერი საამერი დილა არის, მოწმენდილი, ღრუბელი არსად იმ ღება. მაგრამა ერთი ისეთი გაიღვვა, რომა ვაჟი ძალიან ფიქრში ჩააგდო. შამოზრუნდა საჩქაროზე შინა და ჰკითხა: ეს რა ამბავი არისო, რომა ამისთანა მოწმენდილ დილაზე გაიღვავო? ვე ის ამბავი არისო, — უთხრეს, რომა აიქ რომ ერთი დიდი კოშკი ჩანსო, იმ კოშკში ერთი ფალავანი არისო. იმ ფალავანის ცოლი როდესაც პირს დაიბანს. იმისი სწვენიერის ეღვა არისო. იმ ფალავანს კოშკის კარზედ ერთი ქვა უძევსო, ვისაც იმისი ჰიდაობა უნდა, იმ ქვანე უნდა დაჯვღსო, მაგრამა იმისი დამკილოვებელი არაფერ განოსულა, არც დევი და არც აღაშაანო. ეს რომ მოისმინა, ვაჟმა უთხრა: მე იმასთან უნდა წავედო. ბევრი უშალეს, ნუ წახვალო, თორემა იმის ხელიდგან ცოცხალი ვეღარ წამოხვალო, მაგრამა არ დაუჭერა და წავედა.

მივიდა ფალავანის კოშკთანა, აღარც ქვანედ დაჯდა და არც იმის გამოსვლამდინ შოიცადა, ავიდა მალა კარებთანა და დაუძახა: ვინა ხარ. ფალავანი, გამოდიო. ფალავანმა იქ აავლა და ისე დიდგულათ დაძახება ძალიან ითაკილა. გამოვიდა, უნდა დაავლოს მხრებში ხელები და დედამიწაზე დაანარცხოს, მაგრამ ცოლი გადაეფარა და უთხრა: ვე რომ ეგრე გულადი მოვიდა, მაგას პატრონი ეყოლებო, ნუ მოჰკლავ, თორემ ინანებო. მაშ რა ვუყოვო? — ქმარმა ჰკითხა. ის უყავიო, — ცოლმა უთხრა, — რომა დავიჰქირთო და საბუნლონი ჩავაგდოთო. დაიჭირეს — ცოლმაც უშველა, და ჩააგდეს საბუნლოში.

იმისი უმცროსი ძმა ყოველ დღეს დადის წყაროზე და ნახამს, ჩემ ძმას ხომ არა დაემართა რაო. გამოვიდა ერთხელა. ნახა, რომა წყარო სულ სისხლათა ქვეულა. თქვა, რომ სწორეთ ჩემ ძმას ერთი რამ უბედურება სწევია, ან მოუქლავს ვისმე და ან დაჰრილი სად-

მე არისო. დანება სახლს უპატრონოთ თავი და წავიდა თავის ძმის
სამებნელათა.

გამაიარა და ნახა, რომა ფრინველი რასმე ეხვევა ერთ ალაგასა.
რფინრა. სწორეთ ჩემი ძმა ვისმე მოუყვავს და იმას ეხვევაო. ნახა,
რომა მისი ძმა არ იყო და მისი ძმის ნომარი კი იყო. გამობრუნდა,
ჩავიდა იმ საქალაქოში, რომელშიაც მისი რძალი იყო. და იქითა:
ცხეთ-ცხეთა ვეყო სამ აქეთს განსაფთო? ინათ ვერ იცნეს, რადგა-
ნაც რჩნოე ძალთან ერთმანეთსა პევიანდნენ. და უთარეს: შენ ეს არა
სარ, ვეწიარს რომ დევი მოჰქალი და შერზე ფალაგნის საწიგაოთ
წსტეკონ მადლობა ეწერასა, რომა მშვიდობათ გადაარჩინილსარ
ის ს სტმპუებელ მკვადებსსო. შერზე გაიგო იმისმა რძალმა, რომ
წმარბ მოსულათ, მიგება ისიც, და იმნაც მოულოცა მწიგინით
კადრენმა, რადგანაც ვერც იმან იცნო, წაიყვანა ბინამ. რადესაც
დ ემდა, გასსამი ტანეს. გაშალა ქალმა ლოგინი და მიიწვია. მანან
მიედა ვავი, გაისადა ტანისამოსი, ამიილო ხმალი, შუა ლოგიზე
დაეცა და დაეცა. ქალს უთხრა: თუ შენ ამ ხმალს გადნოსტელობი-
ნარ, აქ ხმლით სულ ლეკმა-ლუქმა დაგეკწავო. მანან ვეღარ გაპ-
ბედა ქალმა იმასთან გადასვლა და დარწმუნდა, რომა ეს ჩემი მანლი
ყოფიდაო.

იდეა დილაზე ვავი. ჩაიცვა ტანთა და ტანისამოსის ჩადმაში ნეცა
თითის ფხიხილი მადსეღრა რძლის კაბასა, როდესაც ჩაიღია. და-
ბანა პირი, აქ-მეს სწმული, აფეა თა წავიდა თავის ძმის სამებნელა-
თა. მივიდა იმ ცალაგნის კოკეთანა, ავიდა კარებზე და იმნაც ისე
ლოდვულათ დაღოსა შენა მარ ფალაგნი. გამოვიდა. გამოვიდა თუ
არა, ბილი დარტყა დედამაწანე და მანანაც სოლა გადართობინა.
დაიწყო ტარილი ფალაგნის ცოლმა. ვეცმა სკეთათ იმში ძმა რა თა
ვითომ შენი ძმა საბნელიანი მავიყვანეთ მე და ჩემმა ქმარმაო, --
უთხრა ქალმა შევიდნენ საბნელოში. მსგედა თეთს ამოა და თისსა.
შავარტხედა დმერთმა, ვე არას შენი ვეკეცობა. აქ რას აკეთებო?
გამივიდა საბნელოდან ცდროსი ძმა. რომელმაც სირცხვილისაქონ
თავის ძმას ვედარაღვრი პასუხი ვეღარ უყო. მაუბოცეს. თუ რა
სარით პეტონიყო ფალაგანს. წამაიფეს და ფალაგნის ცოლიც და-
ტროსმა იმან ციდაა წამაიყვანა.

მივიდნეს უფროსი ძმის ცოლის სამშობლოსთაჩა. აქ უფროსი
ძმან გაიგო, რომ. მისი ძმა მის ცოლთან იწეა. ეს ამბავი მას არ.ფ-
რათ ეტანსიკა და ამისაივის თავის უმცროს ძმას უთხრა: ჩემო ძმაო.

აბა გაიფიქრე შენს გულში, რაც საქმე შენ ჩემთვის გიქნია, — ეგრე როგორ შესცდი, რომა ჩემს ცოლთან სწოლილხარო. მართალია, შენ დამიხსენი სიკვდილისაგანა, მაგრამ მაგ საქმისა და ჩემი შერცხვენის გაგონებას ის მირჩევნია, ისევე იმას მოვეყალიო. დაიფიცა უმცროსმა დიდი საწინელი ფიცა, რომა მე შენ ცოლთან, მართალია, ვიწეკიო, იმ მიზეზითა, რომ ვერ მიცნესო, შენობაზედ დამაწვინესო ძალათა, მაგრამა შუაზედ ხმალი მგდვა ამოღებული, არც ის გადმოსცილებია ხმალსა და არც მე გადაცვილებულვარ იმისკენო. ეს იმისი ფიცი და ვცდრება სულ ამო იქნა უფროსისათვისა და არც დასწვდა იმისი გული. უთხრა უმცროსმა ძმამ: კარგი, ჩემო ძმაო, რადგანაც არ მენდობი, მე დაწვეები გულადმა, შავისვრი შვილდ-ისარსა, ჩამოვარდეს და რომელიც ჩემი ასოთაგანი შენ ცოლს შეეხვო, იმ ასოზე დამეცეს და მამკლასო. გადაწვა, შიაროლა შვილდ-ისარი. ჩამოვარდა ისარი, დაეცა იმ ნეკა თითის ფჩხილსა, რომელიც ჩაცმის დროს თავისი რძლის კაბას მიახვედრა, მოაგლიჯა და იმ ფჩხილის მოგლუჯაზედ მოკვდა. რა დაინახა ეს საწინელი სურათი და დარწმუნდა, რომ, ჩემი ძმა ჩემ ცოლთან უბრალო ყოფილაო, ამადლო უფროსმა ხანჯალი და იმანაც ზედ თავის ძმაზე თავი მაიკლა.

დაუსხდნენ ცოლები თავით თავ-თავის მკვდრებსა და დაიწყეს ტირილი. გავიდა რამოდენიმე ხანი. იმათვინ არც სმა არის და არც: ჰამა, უსხედან და ტირიან. იმოდენა ხანი იტირეს, რომა ღმერთს შეეხანა და გამოგზავნა ყვავი გასაგებათ: რა ცოდვა დაბრუნებულა ქვეყანაზე, სწორე ამბავი ამამიტანეო. ჩამოვიდა ყვავი, გაძღა ლეშითა, წავიდა და უთხრა რა ღმერთს: კრაფერი ამბავი არ არისო. გამოგზავნა ღმერთმა ახლა მტრედი. დაისვარა მტრედმა სისხლით ფეხები, ავიდა და უთხრა: ძმებს ერთმანეთი დაუხოცნიათო და იმათი ცოლები ტირიანო, ქვეყანა იწვის იმათი ცოდვითაო. მეორეთ გაგზავნა ღმერთმა მტრედი, გაატანა ერთი ხელსახოცი და უთხრა: ეს ხელსახოცი მოუსვი ერთსაცა და მეორესაცა და გაცოცხლდებიანო. წავიდა მტრედი. მოუსვა ჯერ ერთსა: წამოდგა, მაისვა თვალზე ხელი და თქვა: ახ, რა ბევრი მძინებიაო! წაუსვა ახლა მეორესა: წამოდგა ისიცა, მაიფშენიტა თვალეზი და თქვა: რატომ არ გამაღვიძეთო, რამოდენა მძინებიაო! ეგრე თქვენს მტერს ეძინოსო, როგორც თქვენ გეძინათო, — ცოლებმა უთხრეს, — და სიხარულისაგან ხანა ტიროდნენ და ხან იცინოდნენ. რასაც წამს გაიგო ხემწიფემ იმათი ამბავი, უფრო ძალიან გაიხარა იმათ გაცოცხლებაზე. დაიბარა უფ-

როსი ძმა, რომელმაც დევი მოუკლა, აჩუქა ბლომათ ფული, თვალ-მარგალიტი, დიდი მადლობა გადაუხადა დევის მოკვლაზე და ის-რე გაკვზავნა. წავიდნენ ძმები თავიანთ სახლში თავიანთ ცოლებითა, ქნეს ქორწილი და დაიწყეს ცხოვრება.

25. დევის სანახევრო

იყო და არა იყო რა, ღვთის საუკეთესო რა იქნებოდა იყო ერთი უშვილო ხელმწიფე და ნატრობდა: ნეტავი ერთი ისეთი კაცი მაჩვენა, შვილიერობის წამალი მამცესო, და ჩემ სახელმწიფოს ნახევარს იმას დავულოცავდიო. ნაზირ-ვეზირებს უთხრა მამიკითხეთო, იქნება ვისმე ჰქონდესო შვილიერობის წამალიო.

ერთხელ ნახეს, რომა ერთი დევი იძახოდა: ვის უნდა შვილიერობის წამალი, სანახევროთ მივცემო. ნაზირ-ვეზირები მივიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს: ხელმწიფე ღმერთმა აღღეგრძელოსო და ერთს დააქვსო შვილიერობის წამალიო და იძახისო, ვის უნდა, სანახევროდ მივცე შვილიერობის წამალიო. ხელმწიფემ დაბარებინა დევი თავისთანა და უთხრა: აბა რაზე მაყვიდიო, რასაცა მთხოვო, უთუოთ მოგცემო. დევმა უთხრა: მე არაფერი არ მინდაო და არცა რა მაქვს გასაყიდიო, თუ გინდაო, სანახევროთ მოგცემო, — რაც გაგიჩნდესო, ნახევარი შენაო და ნახევარი მეო. რა მეტი გზა ჰქონდა, — გაურიგდა ხელმწიფე სანახევროთა. ხელმწიფეს ერთი ვაშლი მისცა დევმა და უთხრა: ეს ვაშლი შუაზე გასკერიო, ნახევარი ამ წელსა ჰამეთო შენ და შენმა ცოლმაო და ნახევარი იმ წელსაო.

გასჭრეს ვაშლი შუაზე ორთავე ცოლ-ქმართა, ნახევარი შაჰამეს და მაშინვე დაორსულდა ხელმწიფის ცოლი. გაუჩნდათ ოქროს ქორიანი ყმაწვილი, ისეთი მშვენიერი, რომ ავი თვალით არ ინახებოდა. სხვა რამოდენასაც წლით იზრდებოდა, იმოდენათ ის დღით იზდებოდა. მეორე წელს იმ ვაშლის მეორე ნახევარი შაჰამეს, და კიდევ იმისთანა ვაყი გაუჩნდათ, როგორც პირველი. ისე დაიზარდნენ ორი თავტოლათა, რომა არ ეტყობოდათ, უფროსი რომელი იყო და უმცროსი რომელი. მიაბარეს სასწავლებელში და ათ წელიწადს სასწავლებელი დაასრულეს.

და ათ წელიწადს უკან მოვიდა ის დევი და უთხრა ხელმწიფესა:

ჩემი შვილები რა უყავო? ხელმწიფემ თავისი შვილები ვეღარ გაი-
ნეტა, — თავისი ყმის შვილები ნაურეკა და უთხრა: აი ჩვენი შვილე-
ბი ედენი არიანო. დევმა უთხრა: რას მატყუებო, ისე შენ ვერ იც-
ნობ ამს შვილებსა. შენი დასჯილება არიანო, როგორც მე ვიც-
ნობო. ამ სიტყვებზე განგონე ხელმწიფემ მოურეკა ორივე შვილები,
თავდასაც პაიობა ისე პკონდა დევთანა, რომა რაც გაუჩნდნოლა,
იმ დევმა უნდა ყოფილყო ხასევარი. დევსა ერთი შვილი ხელმწი-
ფემ დაუტყდა და ერთი თისობ წაიყენა. როდესაც მიჰყავდა დევსა,
იმ შვილები უთხრა დედ-მამას: ჩემო დედ-მამაო, ერთ ნიშანს მოგ-
ცხნობო. იმათი შვიტკობათო, როდესაც მოგვეყვებო იმათ ერთი აღვსა
ხე დევსა სახლს წახა, იმ აღვსა სეს ხელსასოცი შაბა და უთხრა:
როდესაც ეს სე გარდაქცეხსო. იტოდეთო, რომა მამან მოცკვებათო.
დედ-მამას გამოვიდოდა სჯილი. დედ-მამამ დაულოცეს გსა.

წავიდნენ დევი და ვეო. ბებერი იარეს თუ ცოტა იარეს, შივადნენ
ერთი ბებერი დედაკაცის სახლის ასლო. უთხრა ამ ვაჟმა დევსა: ქვა-
ლ მასწავურდა, წავალო, აგრე იმ ბებერი დედაკაცის სახლში წავალს
დავღვეო და აქედ ჩამოვალო. დევმა ნება მისცა: წადი, შვილო, და
მალე გაჩამოდიო.

წავადა ვაჟი იმ ბებერ დედაკაცთანა და უთხრა: დედა-შვილობასა,
წყალ დამადევილე. სესაუო ვარო. მოუტანა ბებერმა წყალი, დაა-
ღვეო და უთხრა: რად მიზღვე მაგ დევსა მაგისთანა მშვენიერი
უმწიფელიო? ასლა იმ ვაჟმა უნდათ თავისი თავგადსავალი. ბებერმა
უთხრა: სჯილოვო, მაგს წასაქმედდა მიხეცვარო. გარე წასვალთო,
მატკა გსს გაქვდიო. ერთი წყალი შეგი ეღებათო, შედ ხილი არის
გოდეკოლო. შენ გეტყვისო, — მიდი ამეკადე. ვადეცამოვო, და
ჩემს დევსა სასჯერ ვადი და გამოდიო და მერზე ავალეზი დასუ-
ტეო და წავალსო აკარდო. გატარებსო ის წყალი, ერთ აღვას გა-
მობრეკეოთ. ესა ღოთი სახლი არისო. შესვალო, რა უნდა სჯი-
ლსა გსა. უნდა, რომა იმ სახლში არ მოიბრებათო: საკრებეი იტარება
ისე მსჯელები, რომა უტრს დერ მოპირებს აღმიანო, სასწვილ-საგ-
მეცია არისო. რაც სჯილსა და პულს უნდაო, სუდე ყოველთადაცო. რაც
გინდა, გარე შედი გასწვივეო. მერე ადვიო, ერთი რაში აბოთ თა-
ვისი წვეტიოთ. ეს რაში შავამეული არისო, შედ სახელმწიფეო ცა-
ნს სამსა აკიკოო და სახელმწიფეო შმალი აკრავსო. რაშს ქუა გამო-
ადეო, ეო, ვახეში ჩაიდეო, შაქეჭიო და წადიო. როდესაც აღარ გინ-
და რაში, გაუწვიო. რაშსა სასმელ-საგმეული თავისათვის განმზადებუ-

ლი აქვსო. როცა მოგინდეს რაში, ძუა გამონასკული გედება ჯიბეში, ამიიღე და გამონსენიო და მაშინათვე იქ დაიბადებო. შეაჭექი და საითაც გინდა, იქით წადიო. როცა აღარ გინდა, ძუა გამონასკე, ჯიბეში ჩაიღე და რაში გაუშვიო.

ეს დარიგება რომ მაისმინა ვაჟმა, წავიდა, დევი იქ ელოდა, წავიღნენ. მივიღნენ იმ წყალზე. უთხრა დევმა: მოდი, ამეკიდე, უნდა გაგიყვანოვო. ვაჟმა უთხრა: არა, მამაო, ჯერ შენ გადიო და მერმე მე გამოვალო. დევი გავიდა. ვაჟი სამჯერ გავიდა და გამოვიდა, მერმე თვალეზი დახუჭა და წყალში ჩავარდა. დევმა დასცქირა წყალსა, ვერაფერი ვერა დაინახა რა. დევი წყალში ვერც ხელს ჩაპყოფს და ვერც ფეხსა. გაბრუნდა დევი, რომ ველარა დაინახა რა, და წავიდა ცარიელა.

ის ვაჟი წყალმა ატარა, ატარა და იმ სახლის ახლოს გარიყა. ადგა, წავიდა იმ სახლში. რაც უნდოდა, ყოველიფერი სასმელი და საჭმელი იქ იყო, კარგი ქეიფი გასწივა. აუშვა ის რაში და მწევიარო, შეაჯდა და წავიდა. რაშმა წაიყვანა და მიიყვანა ერთ საქალაქოში და უთხრა ვაჟსა, ამ ქალაქის ხელმწიფეს ერთი მშვენიერი ბალი აქვსო. მე ამალამ გამიშვიო, შავალ იმ ბალშიო, ისე ამოვადღებ ბალსაო, რომა მეორე დილით ხელმწიფე რომ გადმოიხედავსო და თავის ბალს ისე აოხრებულს ნახავსო, სულ ერთიანათ გამოპყრის მებაღეებსაო. მერე ძებნას დაუწყებენ სხვა მებაღესა და შენ დაუდექო. მერე ისევ ისე გავაკეთებო, როგორც მშვენიერი ბალი იყოვო. როდესაც მებაღეს ძებნას დაუწყებენო, შენ ერთი ცხვრის ფაშვი იშოვნეო და თავზე გადაიკარიო, რომა ოქროს ქოჩორი არ გამოგიჩნდესო. დაგაყენებენ მებაღეთა და ქაჩალ მებაღეს დაგიძახებენო.

გაუშვა ვაჟმა რაში. რაში წავიდა იმ ბალში, ისე ამავადლო, რომა ერთი აღარც ხე გაუშო და აღარც სხვა რამე დააყენა, სულ ააოხრა იმისთანა მშვენიერი ბალი.

მეორე დილით გადმოიხედა ხელმწიფემა. რომ ისე აოხრებული ნახა თავისი ბალი, დაიბარა მებაღეები, დაალახვინა ბიჭებსა და ისე გაპყარა. ხელმწიფემ გაგზავნა ნახირ-ვეზირები მებაღის საქებნელათ. შეახვდა ეს ვაჟი და უთხრა: მე დაგიდგებიო და ბალს ისევ ისე გავაკეთებო, როგორც ბალი ყოფილაო. დაიჭირეს მებაღეთა და იმ რაშმა ისევ ისეთი ბალი გააკეთა, — ველარავინ შაატყობდა, გაფუჭებული ყოფილა თუ არაო.

გავიდა რამოდენიმე ხანი. ის ვაჟი ყოველ დილით აღრიანათ

მაინდიდა თავიდგან ფაშვსა, დაიბანდა ოქროს ქოჩორს და მერე ისევ დაიხურავდა იმ ფაშვს.

ერთ დილას ხელმწიფის უმცროსმა ქალმა გამაიხედა თავიანთ ბაღქაყენ და იმ დროს იმ მებაღეს ფაშვი თავიდგან მოხდილი ჰქონდა, თავს იბანდა. დაინახა თუ არა ოქროს ქოჩორი, რომ ისეთი ბჭყვრიალი გაქმონდა, გული შაულონდა ქალსა და გადიქცა. ნახეს, რომა ქალს გული შასწუხებია, დაეცნენ ზედა, ხან წყალს ასხამენ, ხან ეძახიან, ძლივს მიაბრუნეს. უთხრეს: რა იყო, რა ნახე ძეთიო, რომა გული შაგიწუხდაო? ქალმა უთხრა: არაფერი არ მინახავს რაო, ისე უეცრათ შამილონდა გულიო და წავიქეციო.

გამოვიდა რამოდენიმე ხანი, და იმ სამივე დებმა უთხრეს ერთმანეთსა: ახლა ჩვენ ქმრები გვინდაო და როგორ უნდა ვუთხრათ ჩვენს დედ-მამასაო? უმცროსმა ქალმა უთხრა თავის დებსა: ჩვენ ევრაფრით ვერ შავებდავთო, ქაჩალ მებაღეს სამი საზამთრო მოვატანიხოთო,—ერთი ძალიან მწიფე, ერთი შუათანა და ერთი ძალიან მკვანეო. უფროსმა მწიფე საზამთროში ჩაურკოს თავისი დანა, შუათანამან შუათანა საზამთროში და მე მკვანე საზამთროში ჩავურკობ. ჩემ დანასაო. დავაწყოთ ოქროს ფოდნოცზედა, შავუგზავნოთ ჩვენ დედ-მამასაო და ისე გაიგებენო, რომა დათხოვება უნდათო.

იმათაც მათწონათ თავიანთ უმცროსი დის რჩევა. დაიბარეს ქაჩალი მებაღე, ამატანინეს სამი საზამთრო, ჩაურკეს თავ-თავისი დანები საზამთროებში, დააწყეს ოქროს ფოდნოცზე და შავუგზავნეს თავიანთ დედ-მამასა. იმათ შავზავნილ საზამთროებსა და დანებზე ქმარი ცოლს უცქერის და ცოლი ქმარსა. ცოლმა ჰკითხა ქმარს: ეს რასა ნიშნავსო? ქმარმა უპასუხა: ესენი იმას ნიშნამენო, რომ ქმრებსა ნდომობენ ჩვენი ქალებიო.

ხელმწიფემ გაჰგზავნა კაცები თავის სახელმწიფოში, ვინც იყვნენ დიდი და პატარა, სულ დააბარებინა და თავის სასახლის კარზე მარეკინა. უთხრა თავის ქალებს: წადითო, დაიარეთო ეს ხალხიო, რომელსაც რომელი მოგეწონათ, იმას ჩაუჯექით კალთაშიო და იმათზე ჯვარს დაგწერათო და ქორწილსაც გადაგიხდითო. ადგნენ ქალები, მიიარ-მოიარეს. უფროსი ნაზირს ჩაუჭდა კალთაში, საშუალო ვეზირსა, უმცროსმა იარა-იარა, თავისი ქაჩალი მებაღე იქ ვერ იპოვნა და უთხრა: ვინც მე მინდა, ის აქ არ არისო. გაუწყრა ხელმწიფე კაცებსა: ვინდა დაგრჩათო, რომა ჩემი ქალი ამბობს, აქ არ არის, ვინც მე მინდაო. მაახსენეს: არავინ არ დაგვიგდია ქაჩალ მე-

ბალის მეტიო. ხელმწიფემ უბრძანა: წადითო და ისიც მაიყვანეთო.

წავიდნენ, ქაჩალ მებალეს უთხრეს: ხელმწიფე გიბარებსო. წამოვიდა ვაჟი, გზაში ერთი კურდღლის ბაჭია წახვდა, დაიჭირა, უბეში ჩაისო და თვალები გამააჭყეტინა. მიიყვანეს ამ ხალხში. გაიქცა ხელმწიფის უმცროსი ქალი, უნდა კალთაში ჩასჯდომიყო, დაინახა — უბეში თვალბდაჭყეტილი კურდღლის ბაჭია ეჭდა და უკანვე გამაიქცა. დედ-მამამ უთხრეს: რალას გამაიქეციო? ქალმა უთხრა: უბეში რამ ჰყვანდა თვალბდაჭყეტილი და ჩემან შამაშინაო. უთხრეს დედ-მამამა: წადი, თვალები დახუჭე და ისე ჩაუჯეჭიო. რას გიზამს, რაც უნდა ჰყვანდესო. წავიდა ქალი, თვალები დახუჭა და ჩაუჯდა კალთაში ქაჩალ მებალესა. უფროსი ქალი და საშუალო ხელმწიფემ თავის ოთახებში დააყენა და უმცროსი — საქათმეში, რადგანაც მყრალი ქაჩალი მებალე ითხოვა. ქაჩალ მებალემ ის არ იკადრა, — მე აქ რათ დავდგებო? — წაიყვანა ცოლი, ბაღში კარგი ოთახი ჰქონდა და იქ დადგა.

ხელმწიფის ცოლი ავად გახდა და კურდღლის ხორცი მაინდომა: თუ კურდღლის ხორცს მაჭმევთო, მოვრჩებო, თუ არადა მოვკვდებო. უფროსი და საშუალო ქალების ქმრები შასხდნენ ცხენებზე და წავიდნენ კურდღლის ხორცის საშოვნელათ. ქაჩალ მებალემ უთხრა თავის ცოლსა: წადი, შენ დედას უთხარიო, კოჭლი ცხენი რო ჰყავთ, ის მათხოვოსო, მეც წავალ კურდღლის ხორცის მოსატანათო. წავიდა ქალი, უთხრა დედასა: თქვენმა სიძემ თქვენი კოჭლი ცხენი გთხოვათო, — მეც წავალ კურდღლის ხორცის მოსატანათო.

გამოუგზავნეს ქაჩალ მებალეს ცხენი. შეჯდა, ცოტა ალაგი გაატარა, გადმოხდა, ის კოჭლი ცხენი იქ დააბა, გამოხსნა თავისი რაწის ძუა და იმ საათში იქ დაიბადა მისი რაში და მწვევარი. გადმოიღო რაშიდგან სახელმწიფო ტანისამოსი, სახელმწიფო ხმალი, ჩაიცო და დაიხურა ხელმწიფის მგზავსათა, შამაირტყა ხმალი, დაუსტგინა და სულ იქ მააგროვა, საცა კურდღლები სადმე იბადებოდნენ, რიგსა ხოცავდა, რიგსა ატყავებდა და რიგს ცოცხლებს იჭერდა.

იმ დროს მოვიდნენ იმისი ქვისლები, ხელმწიფის ნაზირ-ვეზირები. ნახეს, რომა იმოდენა კურდღლებს იჭერდა. შეეხვეწნენ, თუ შაიძლებოდეს, ორიოდე კურდღელი ჩვენ მოგვყიდეთო და ღირებული ფასი გამოგვართვითო. უთხრა: რაც უნდა ფასი მამცეთო. ვერ გავყიდო. შეეხვეწნენ: ძალიან გაჭირვებული ვართო, წამლათ გვინდაო, და რასაც გამოგვართმევთ, მოგვცემთო, უნდა მოგვყიდო-

თო. ვაჟმა უთხრა, კარგო, რადგანაც აგრე გიჭირთო, ორივემ ყუ-
რის ბიბილოები დაიჭერით, მამეცით და მოგცემთო. რა მეტი გზა
ჰქონდათ, დაიჭრეს ყურის ბიბილოები, მისცეს და წაიღეს თითო
კურდღელი, წავიდნენ, მიუტანეს ხელმწიფის ცოლს კურდღლები.

ქაჩალი მებალეც გამობრუნდა, რაც უნდოდა კურდღლები, წა-
მაიღო, მოვიდა კოჭლ ცხენთანა. ტანისამოსი გაიხადა, რაწს დააყე-
ცა, ხმალი რაშზე ჩამოჰკიდა, გამონასკვა ძუა, ჯიბეში ჩაიღო და
გაუშო რაში. რაში თავის ალაგას წავიდა. ჩაიცო თავისი ტანისამოსი,
ჩამოიღო თავისი ფაშვი თავზე, შეჯდა კოჭლ ცხენზე, მივიდა ბაღში
და თავის ცოლის ხელით გაუგზავნა კურდღელი თავის სიდედრსა.
სასაცილოთ აიგდეს ქვისლებმა: მეხი კი დაეცესო, ეგ კურდღელს
როგორ მოჰკლავდაო, ჩვენ ნახოც კურდღელს სადმე იპოვნიაო და
ის მოუტანიაო. აქამეს კურდღლის ხორცი და მორჩა ხელმწიფის
ცოლი.

გახდა კიდევ მეორეთ ავათა და უთხრა სიძეებსა: თუ ირმის რძეს
მომიტანთ, მოვრჩებიო, თუ არა და მოგვკვდებიო. წავიდნენ ნახირ-
ვეზირები კიდევ. ქაჩალ მებალემაც გაჰგზავნა ცოლი და კიდევ ათ-
ხოვინა კოჭლი ცხენი. შეჯდა, წავიდა, ერთ ხეზე მიაბა ეს ცხენი.
გამოხსნა თავისი რაშის ძუა და იმ წამს იქ მიუვიდა რაში და მწე-
ვარი. გაიხადა თავისი ტანისამოსი, კოჭლ ცხენს დააყეცა, რაშიდან
გადმაიღო სახელმწიფო ტანისამოსი, ჩაიცო, შამაირტყა ხმალი,
შაჯდა რაშზე, დაუსტვინა მწევარსა და ერთი ნახირი ირმის ფარა
მოურეკა. დაწვცლა, დაავსო ქვაბები.

ირმის ქვისლებს ევლოთ, ვერსად რა ეშოვნათ და მივიდნენ, და-
უწყეს ხვეწნა: მაშინაც შენ გვასახელო, კურდღლები შენ მოგვეციო
და ეხლაც უნდა ეგ ირმის რძე მოგვეცილოვო, წამლათ გვინდაო.
ქაჩალ მებელემ უთხრა: რაც უნდა ფასი მამეცთ, მე ირმის რძეს ვერ
გავყიდიო. შეხხვეწნენ: როგორც იქნება, უნდა მოგვეცეო. რომ აღარ
მეუშვნენ, უთხრა: ნიფხვები ჩაიხადეთო, ამ ჩემს რაშს თითო წიხლი
გაარტყმევინეთო და მაშინ წაიღეთო. რა მეტი გზა ჰქონდათ, გაარ-
ტყმევინეს რაწს თითო წიხლი, გამოართვეს რძე და წაიღეს.

ქაჩალი მებალეც შაჯდა თავის რაშზე, რაც რძე უნდოდა, წამა-
იღო, მოვიდა თავის კოჭლ ცხენთანა, გაიხადა ის ტანისამოსი და
რაშს დააყეცა. ჩაიცვა თავისი ტანისამოსი, დაიხურა თავზე ფაშვა,
შაჯდა თავის კოჭლ ცხენზე და მივიდა თავის სახლში. გაჰგზავნა
ცოლი ხელმწიფისთან და გაატანა რძე, მაგრამ ხელმწიფის ცოლს

მისი ქვისლებების მოტანილი რძე აჭამეს და ქაჩალ მებალის რძე კი გადაღვარეს, — აიგდეს სასაცილოთა. — მაგას ირმის რძეს ვინ მისცემდაო!

ამის შემდეგ ერთმა ხელმწიფემ გამოუგზავნა ამ ხელმწიფეს მოციქული, რომა უნდა მეომროვო და ან ხარჯი მამცრო. დაემზადნენ ნაზირ-ვეზირები ომში წასასვლელათა და ქაჩალ მებალემაც გააგზავნა თავისი ცოლი დედ-მამასთან: ერთი ის თავიანთი კოჭლი ცხენი კიდევ მათხოვონო და მეც წავალ ომშიო. მივიდა და უთხრა ქალმა თავის დედ-მამასა: ერთი ის თქვენი კოჭლი ცხენი კიდევ ათხოვეთო. თქვენი სიძეც აპირებს წასვლას საომრათაო. დედამ უთხრა: შენ საწყალოვო, იმას რა ომის თავი აქვსო, წიხლქვეშ ვინმე გაგიტყულებთავსო და დარჩები ცარიელიო. ქალმა უთხრა: შორიდგან მაინც უყურებსო, ომში იმას რა შაიყვანსო? გამოუყვანეს ცხენი.

წაიყვანა ქაჩალ მებალემ, კიდევ ხეზე დააბა, გამოხსნა რაშის ძუა და მაშინათვე მოცივიდნენ რაში და მწევარი. გაიხადა ყმაწვილმა თავისი ტანისამოსი, კოჭლ ცხენს დააკეცა, ჩაიცვა სახელმწიფო ტანისამოსი, შამაირტყა სახელმწიფო ხმალი, შეჯდა რაშზე, შავიდა, საცა ომი ჰქონდა იმის სიმაგრესა, და გაუტივა და გამოუტივა. რასაც თითონა ხოცავდა ხმლითა, რაც არა და — მწევარი და რაში პირითა და ფეხით, დალუპეს ის იმოდენა ჯარი.

როცა გათავდა ომი და სულ ყველანი გასწყვიტა, გამობრუნდა ქაჩალი მებალე. მიეგება მისი სიმაგრე და მადლობას უხდოდა, რომა შენ გადამირჩინე ჯარიო და შენი სიკეთე როდის უნდა გადავიხადოვო. იმ დროს ამ მისმა სიძემ სისხლიანი ხმალი ხელზე გაისო-გამაისო, ვითომ ხმალსა ვწმენდავო. ამ წმენდაში ხმალს ხელი შააჭრა. ამიღო ხელმწიფემ თავისი ხელსახოცი და ხელი იმით შეუხვია. წაშოვიდა ქაჩალი მებალე, მოვიდა კოჭლ ცხენთანა, გაიხადა სახელმწიფო ტანისამოსი, რაშს დააკეცა, თავისი ტანისამოსი ჩაიცვა, დაიხურა ცხერის ფაშვი, შეჯდა ცხენზე და თავის სახლში მოვიდა. კოჭლი ცხენი გაუგზავნა თავის სიმაგრესა.

ხელმწიფემ დაიბარა, თავის სახელმწიფოში თუ ვინმე ჰყვანდა და სულ ყველას ხელს აბანინებდა თითონ თავისი ხელითა. დააბანინა ყველას ხელი და ახლა იმ ქაჩალ მებალესთან მივიდა და უთხრა: გამოშალე, ხელი უნდა დაგაბანინოვო. მებალემ უთხრა: მე რა ღირსი ვარ, რომა შენ ხელი დამაბანინოვო? არ მოგშვა ხელმწიფე. გამოშალა მარცხენა ხელი, მარჯვენას არ აჩვენებდა. გამააშლე ვინა

მარჯვენა ხელი, დახედა და თავისი ხელსახოცი იმის ხელზე იცნო. ააყენა მაშინვე, ჯერ დაჰკოცნა, მერე წაიყვანა და თავის ტახტზე დასვა, — შენ მებაღეობის ღირსი არა ყოფილხარო.

მერე უთხრა ამ სიძემ ხელმწიფესა: აბა მე რომა მწუნობდითო და თქვენი სიძეები, ნაზირ-ვეზირები, მოგწონდათო, მე ვჯობნივარ თუ ეგენი მჯობნებიათ? აბა მორეეკო ორივე აქაო, მე რომ სასაცილოთ მიგდებდენ, კურდღლებისა და ირმის რძის მოტანა ვისი საქმე იყოვო? კურდღლები მანამ არ მივეცი, მანამ ორივეს ყურის ბიბილოები არ დავაჰკერიო. ამაილო ჯიბიდგან იმათი ყურის ბიბილოები და დაუყარა წინა, — აი მაგეთი ბიბილოებითო. უნახეს, მართლა ორავეს ბიბილოები დაჰკრილები ჰქონდათ. ირმის რძე მანამ არ მივეცი, მანამ ჩემ რაშს წიხლები არ დაარტყმევინესო. აბა, თუ მართალი არ არის, ჩახადეთ, თუ ეხლაც ორივეს არ ეტყობოდეთო. მართლა ჩახადეს და ნახეს, რომა ორივეს რაშის ფეხის ნალები ზედა ჰქონდათ დაჩნეულები. ხელმწიფემ ხელმწიფობა ამ უმცროს სიძეს დაულოცა, ნაზირ-ვეზირი და იმათი ცოლები მოსამსახურეთ თავს დააყენა, ბალიდამ ცოლიც ამოუყვანა, ხელმეორეთ ქორწილი გაუქეთა, — ცხრა დღე და ღამე ქორწილი ჰქონდათ და მეჯლიში.

ერთს დღეს ამ სიძემ მაინდომა სანადიროთ წასვლა. შაჯდა თავის რაშზე, თავისი მწევარი წაიყვანა, მივიდა ერთ ალაგას, ერთ ცეცხლის გალავანს მიაღდა. უთხრა თავის რაშსა: ამ ცეცხლის გალავანზე ვერ გადაფრინდებიო? რატომ ვერ გადაფრინდებიო. — რაშმა უთხრა, — ერთი ისეთი მათრახი დამარტყიო, რომა ცხრა პირი ტყავი შენ აგძვრეს ხელის გულზეო და ცხრა პირი ტყავი მე ამძვრესო. ისე გადაფრინდებიო, რომა ფეხს არას მოვახვედრებო. თუ ფეხი ან სხვა რამ ასო მოვახვედრე, მაშინვე მამვარდებაო. ისეთი მათრახი დაჰკრა ვაჟმა, რომა ორთავ ცხრა პირი ტყავი ასძვრათ. ერთი იფრინა რაშმა და ისე გადავიდა, რომა ფეხი არაფერს არ მოახვედრა.

წავიდა იქ ვაჟი სანადიროთ, ინადირა, დახოცა ირმები, დაანთო ერთ ალაგას ცეცხლი, ააგო მწვადები და შაწო. მოვიდა ერთი ღევის ბებერი ღედაკაცი და დაუძახა: შვილო, ღედაშვილობასო, ეს თმა მაგ შენ რაშსა და მწევარს მიაგდე, — მეშინიანო; ეს კვირისტავი შენ ხმალს დაადეო, — მეშინიან არ გამჰკრასო. გადაუყარა და ვაჟმა თმები რაშსა და მწევარს მიაყარა და კვირისტავი ხმალს დაადო. მოვიდა და დაჯდა ის ღევის ღედაკაცი. დაუწყო მწვადებს ჭამა და

სულ შაქამა. ვაჟმა უთხრა: რათ შამიკამე მაგოდენა მწვადიო და მე მშიერი დამაგდეო? დედაკაცმა უთხრა: რას ამბობო? შენც უნდა შაგქამოვო. ვაჟმა უთხრა: როგორ შამქამო? ისე შაგქამო, — დედაკაცმა უთხრა: — ის თმები იქცეს ჭაჭვებათაო, რომა შენი მწვეარი და რაში დაებნენო. ის კვირისტავი იქცეს წისქვილის დოლაბათაო, რომა ველარ გადაილოვო. მართლა ის თმები იქცა ჭაჭვებათა, — რაში და მწვეარი დაებნენ, — და ის კვირისტავი იქცა წისქვილის დოლაბათა. დასცა დედაკაცმა პირი ამ ვაჟსა და ჩაყლაპა.

ამ ვაჟმა თავის დედ-მამას რომ ნიშანი მისცა, როდესაც მე მოგვედები, ეს თქვენი ალვის ხე გადაიქცესო, — გადაიქცა ის მისი დედ-მამის სახლის წინ მდგომი ალვის ხე. გაიგეს, რომა ჩვენი შვილი მამკვლარაო.

ეს ალვის ხე რომ გადაიქცა, წამოვიდა მისი ძმა საძებნელათ. იარა, იარა, და სადაც იმის ძმა მივიდა ბებერ დედაკაცთან წყლის დასალევათ, ისიც იმასთან მივიდა და უთხრა: დედაშვილობასა, ერთი ცვარი წყალი დამალევინეო. დაალევინა წყალი დედაკაცმა და უთხრა: სად მისდინხარო მაგ დევების ალაგასაო, ხომ შაგქამენო? უამბო ყმაწვილმა თავისი საქმე: ჩემ ძმასთან მივდივარო. ბებერმა უთხრა: შვილო, შენმა ძმამ ჩემთან გამაიარაო, ისიც მე დავარიგეო და შენც დავარიგებო. შენა ეგრე სწორეთ წახვალო, ერთ მდინარე წყალს შაეყრებო, იმ წყალზე ხიდი არის გადებულიო, სამჯერ გადი და გამოდი იმ ხიდზეო, მერე თვალუბი დახუჭე, წყალში ჩავარდიო. ის წყალი წაგიღებს, ერთი სახლის ახლო გაგიტანსო. ამ სახლში შახვალო: რა უნდა კაცსა, რომა იმ სახლში არ იპოვებოდესო. რაც გინდა სასმელ-საჭმელი, იქ არის, ქეიფი გასწივეო. მერე წადი თავლაში, რაშები აბიარო თავისი სახელმწიფო ტანისამოსითა, სახელ-მწიფო ხმლითაო და თავის მწვეერებითაო. რომელიც რაში გინდა, აუშვი, მწვეარიც თან წამოგყვებაო. წაგიყვანს რაშიო, რომელიც ხელმწიფის ქალი შაირთო შენმა ძმამა, იქ მიგიყვანსო. იმ ღამეს შენ რძალთან იყავიო. მეორე დღით რაში წაგიყვანსო, ერთ ცეცხლის გალავანს მიადგება და გეტყვისო: ერთი ისეთი მათრახი დამქარიო, რომა ცხრა პირი ტყავი შენ გაგძერეს ხელის გულზეო და ცხრა ტყავი მე ამძერესო. დაჰკრავ მათრახსა, გადაფრინდებო. იქ ინადირეო. მერე ცეცხლი დაანთე, მწვადები შაწვი შენი ნანადირევისაო. მოვა იმ დროს ერთი ბებერი დევის დედაკაციო, გეტყვისო, შვილო, დედა-შვილობასაო, ეს თმები მაგ შენს რაშსა და მწვეარს მიაგდეო, —

მეშინიანო. ახლა კვირისტავს გადმოგიგდებს და გეტყვისო: ესეც შენ ხმალს დაადეო, — მეშინიან არ დამჭრასო, ისინი ორივე ხელში შინახეო. როცა მოვა, სულ ერთიანათ შაგიქამს მწვადებსაო. ახლა შენ უთხარიო: დედი, რა მიყავი, სულ რაზე დამიქამე და მშიერი დამაგდეო? ის გეტყვისო: მწვადებს კი ნუ სჩივი, შენც უნდა შაგქამოვო. ახლა შენ უთხარიო: როგორ შამქამო? ის იტყვისო: ეგ თმებიც იქცევა ჯაჭვათა, შენი რაში და მწევარი დააბასო. შენ აიღე ის თმები და ცეცხლში შაყარე და თქვიო, ტრუს, ტრუს! და დაიწვებაო. ახლა კვირისტავისას იტყვისო: ისიმე იქცევა წისქელის დოლაბათაო. ისიც გააგორე და წავა შორსაო. მერე უთხარი: აბა, შე ძაღლო, მოგკლაო? ის გეტყვისო: ნუ მომკლავო, თორემ შენი ძმაც მოკვდებო. გეტყვისო: ერთი მუწუკი მაქვს, ის მუწუკი მამჭერი და შენი ძმა გამოვა იქიდანაო. შენი ძმა იმან შაჭამაო. მოსჭერი ის მუწუკიო და იქიდან შენი ძმა გამოვაო. შენ ძმას თმა სულ გაცვივნილი ექნებაო. ამ მუწუკის სისხლი წაუსვი და ისევე ისეთი თმა მოუვაო. შენი ძმის რაში და მწევარი დაბმულები არიანო. იმათაც ის სისხლი წაუსვი და ესენიც აეშვებინაო. მერე ის დევის დედაკაცი მოკალითო.

ბებერმა ეს ღარიგება რომ დაასრულა, ყმაწვილი წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ წყალთან, ხიდიც ნახა, სამჯერ გავიდა და გამოვიდა ხიდზე, მერე დახუჭა თვალები და ჩავარდა წყალში. ატარა, ატარა წყალმა და იმ სახლის ახლო გარიყა. შავიდა იმ სახლში, რაც უნდოდა, ქეიფი გასწივა, მერე შავიდა, აუშვა ერთი რაში, გადმოიღო სახელმწიფო ტანისამოსი, ჩაიცო, შამაირტყა ხმალი, შაჯდა რაშზე და გაჰყვა მწევარი. ატარა, ატარა რაშმა და მისი რძლის სახლში მიიყვანა. რძალმა ვერ იცნო — ჩემი მაზლი არისო, რადგანაც ძმები ერთი ვაშლისაგან იყვნენ შაქმნილნი, ერთმანეთსა ჰგავდნენ. რძალმა უთხრა, — ქმარი ჰგონია — სად იყავი, აქამდენ რათ დაიგვიანეო? იმან უთხრა: რა ვიცი, დამაგვიანდაო. იმ ღამეს გაშალა ქალმა ლოგინი, თავისთან დაწვინა. ვაჟმა ხმალი შუაზე დადო და უთხრა: ხუმრობა არ არისო, ამაღამ გაჯავრებული ვარო, ამ ხმალს აქეთ არ გადმოხვიდე, თორემ აშ ხმლით თავს მოგჭრიო.

იმ ღამეს იქ გაათენა, მეორე დღით შაჯდა რაშზე და წავიდა. რაში მიაღვა იმ ცეცხლის გაღავანსა და უთხრა: ერთი ისეთი დამკარიო, რომა ცხრა პირი ტყავი შენ აგძვრეს ხელის გულზეო და ცხრა პირი ტყავი მე ამძვრესო. ისეთი შემოჰკრა ვაჟმა, რომა ცხრა პირი ტყავი თვითონ ასძვრა ხელის გულზე და ცხრა პირი ტყავი რაშს

ასძვრა გვერდზე. იფრინა რაშმა და ისე გადავიდა, რომ ფეხი არაფერს არ შაახვცდრა. ინადირა ვაჟმა, შაიტანა ნანადირევი, დაანთო ცეცხლი, ააგო მწვადები. როდესაც შაიწო, მოვიდა დევის დედაკაცი და უთხრა: შვილო, დედაშვილობასაო, ეს თმები მაგ ზენ რაშსა და მწევარს მიაგდეთ, — არ მერჩოლონო. გადმოუგდო ახლა კვირისტავი: ესეც შენ ხმაღს დაადგო, — მეშინიან, არ გამიჭრას რაო. ვაჟმა აკრიფა ესენი, ხელში შაინახა, მოვიდა დედაკაცი, გაუსო პირი და სულ დაყლაპა ის იმოდენა მწვადები. უთხრა ვაჟმა: დედავ, ეგ რა მიყავი, მწვადები დამიჭამე და მე მშვიერი დამაგდეთ? დევის დედაკაცმა უთხრა: მაგას კი ნუ სჩივიო, შენც უნდა შაგჰამოვო. როგორ შამჰამო? — ჰკითხა ვაჟმა. დედაკაცმა უთხრა: ისე შაგჰამო. რომა ეგ თმები იქცეს ჯაჭვებათაო, შენი რაში და მწევარი დაებნენო, ეგ კვირისტავი იქცეს წისქვილის დოლაბათაო, ხმაღი დაიტანოს ქვეშაო, — აბა შენ რაღას მიზამო? ვაჟმა აიღო ის თმები, ცეცხლში შაყარა და უთხრა: ტრუს, ტრუსო, და დაიწვა. მერჯ კვირისტავი გააგორა, — იქცა წისქვილის დოლაბათა და გაგორდა. უთხრა ვაჟმა: აბა, შე ძაღლო, მოგკლავო? დედაკაცმა უთხრა: ნუ მამკლავო, თორემა შენი ძმაც მოკვდებო. აი ეს მუწუჟი მამჰქერიო და შენი ძმა აქედგან გამოვავო. მაჰკრა მუწუჟი და იმისი ძმა გამოვიცდა მელასავით გაქველეთილი. იმ მუწუჟის სისხლი წაუსვა რაშსა, მწევარსა, და გაიხსნა ჯაჭვი, ხმაღს წაუსვა და ის წისქვილის დოლაბი გადაგორდა ხმლიდგანა. ახლა თავზე ძმას წაუსვა ის სისხლი და ისეც ოქროს ქოჩორი მოუვიდა. მოჰკლეს დევის დედაკაცი, შასხდნენ რაშებზე და წავიდნენ.

მივიდნენ მეზაღედ ნამყოფის შინა. კარგი ქეიფი გასწიეს. ამ ძმამ ის თავის ძმა თავის დედ-მამასთან გაისტუმრა და თითონ თავის სიმამრისაგან მიცემულ სახელმწიფოში დადგა. მივიდა ის ვაჟი თავის დედ-მამასთანა. ის წაქცეული ალვის ხე ისევე ადგა. დღესაც ძმები თავისთვინ ცხოვრობენ.

პირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე,
 ნაცარი იქ დავყარე, ფქვილი აქ მოვიტანე.
 ბატონსა მოახლე ჰყვანდა, სამთავ თავის ნებისაო,
 მე კი წავალ, დავიძინებ, თქვენ კი ძილი ნებისაო.
 ტყეში კუნძი გამოვქერი, წამოვიდა გორებთა,
 აქ სიცოცხლით დამიძებით, საიქიოს ცხონებითა.

26. ალალა ბედისყვავილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე, იმას ჰყამდა სამი ქალი. ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ეს ქალები და ჰყამდათ თითო მოსამსახურე. ერთ დღეს ხემწიფემ მოინდომა სხვა ქალაქში წასვლა და შეუთვალა თავის ქალებს: რა გინდათ რო გიყიდოთო? უფროსმა ქალმა შეუთვალა: მე ისეთი სალოფი მინდა, წავიდე სადმე, თავისით წამომესხას. მივიღე — თავისით მომეხსნას და თავისით დაეკიდოსო. შუათანმა ქალმა შეუთვალა: მე იმისთანა სარკე მინდა, რომ ჩემი საბრძანებელი შიგ გამოჩნდესო. უნცროსმა ქალმა შეუთვალა: მე მიშოვნე ალალა ბედისყვავილიო.

წავიდა ხემწიფე, ქალაქში ჩაიარა. გამოექანა სალოფი და ჩამოეკიდა ცხენზე. ხემწიფემ სთქვა: სწორეთ ეს არისო. მივიდა და იყიდა სოვდაგრასაგან ეს სალოფი. ჩაიარა და ნახა ერთი დიდი სარკე. ჩაიხედა და თავისი საბრძანებელი დაინახა, სულ სჩანდა. სარკეც იყიდა. წამოვიდა და ალალა ბედისყვავილს კითხულობს. ყველა ეუბნება,— არ ვიცი, პირველად გვესმისო. ვერ იშოვნა. წამოვიდა.

ბევრი იარა. მივიდა ერთ ბერიკაცთან და უთხრა: მამაშვილობას, ამალამ დამაყენე, მგზავრი ვარო. მობრძანდითო, უპასუხა ბერიკაცმა. შეიყვანა სახლში. დაიწყეს მუსაიფობა. ბოლოს ჰკითხა ხემწიფემ: ალალა ბედისყვავილი ხომ არ გაგიგონიაო? როგორ არაო,— უთხრა ბერიკაცმა,— ჩვენს მხარეში გახლამთო, მარამ ძნელია შოვნაო. მითხარი, როგორ ძნელიაო?— ჰკითხა ხემწიფემ. ბერიკაცმა უამბო: ოცი დღის მიწა გახლამთ, გარს გველეშაპი არტყია და შუაგულში დგას ეს ხე. თქვენ უნდა მიბძანდეთ იქ და ისეთი დაარტყათ მაგ თქვენ რაშს, რომ სამი პირი ტყავი აძვრეს. აგრეთვე თქვენ ხელზე ტყავი აგძვრეთ, გადაახტუნოთ ბალში. მოსკრათ ალალა ბედისყვავილი და კიდე ჩქარა გადმოხტეთ ისე, რომ გველეშაპმა არ გაგიგოთო.

წამოვიდა ხემწიფე, ბევრი იარა, მივიდა და ნახა ეს მიწა. ერთი შეკრთა, მერე ისევ გული გაიმაგრა, ახსენა ღმერთი, დაარტყა რაშს, გადაფრინდა, მაგრა ძალა მოუვიდა. ასკრა ერთი ტოტი და ისევ გადმოხტა. წამოვიდა, სიხარულით ღმერთს მადლობა შესწირა, რო იწონა. მივიდა თავის სახლში. რასაკვირველია, თავისი ქალები გაახარა,— გაუგზავნა სალოფი უფროს ქალს, შუათანას

სარკე და უმცროსს ალალა ბედისყვავილი გაუგზავნა. დები დას-
ცინიან უმცროსს, ჩვენ ამისთანა კარგები ვინდომეთ და ჩვენმა
დამ ბალახი მოინდომაო.

რა იციან, რა ძალა აქვს ამ ბალახსა. ეს მათი უმცროსი და
მოირთობა ძვირფასად, დააგებს ძვირფას ლოგინს, მოსტეხამს
ბედისყვავილს პატარა ტოტს და დაადებს ცეცხლს. მაშინვე მოვა
მასთან ერთი დიახ მშვენიერი ხემწიფის შვილი და დარჩება და-
მით. ატარებენ დროს ქალი და ვაჟი. როდესაც ინათლებს, ადგება
ვაჟი და წავა თავის სახლში. ასე რამოდენიმე ხანი ატარებენ
დროებას.

სთქვეს ამ ქალის დებმა: ერთი გავიგოთ, რათ უნდა ჩვენ დას
ის ალალა ბედისყვავილიო. ერთ ღამეს უფროსი დის გოგოს უთხ-
რეს: შეიპარე ჩუმათ ჩვენი დის სახლში და უყურე, რათ უნდა ის
ბალახიო. შეიპარა გოგო და ტანტკვეშ შეძერა. რო დაღამდა, მო-
ირთო ეს ხემწიფის ქალი და დააგო მშვენიერი ლოგინი. უყურებს
გოგო. მოსტეხა ქალმა ტოტი ალალა ბედისყვავილს და დაადო
ცეცხლს. მოვიდა ერთი მშვენიერი ყმაწვილი ხემწიფის ქალთან.
ეს გოგო ისეთია, რომ იბნიდება არა ამ ქალის სილამაზით, არა ამ
ყმაწვილის სილამაზით,—ლამის გათავდეს გოგო, ეხვეწება ღმერთს,
ერთი ჩქარა გათენდეს, რო აქედგან ჩქარა წავიდეო. ამაოზაში გა-
თენდა. წავიდა ყმაწვილი და ეს გოგოც გამოვიდა ჩუმათ ტანტ-
კვეშიდან. წამოვიდა და უთხრა უფროს დებს: აი თქვენ საზარმა-
ცოები მოინდომეთ და თქვენმა დამ ეა გამოსადეგარი რამე მოით-
ხოვაო. როგორაო, გვითხარიო, ქალებმა უთხრეს და გოგომ —
ასეო: რო დაღამდა, მოირთო ძვირფასად, დააგო მშვენიერი ლო-
გინი და ცეცხლზე დადო პატარა ალალა ბედისყვავილის ტო-
ტი. მოვიდა მშვენიერი ყმაწვილი, ხემწიფის შვილი, გაატარეს
დრო. როგორც ინათლა, წავიდაო. აბა რა ვქნათ, გვინველე რამეო,
შეეხვეწნენ დები გოგოს. იქნება ვუმტროთ რამე ჩვენს დასო. გო-
გომ უთხრა: თქვენ აბანოში დაჰპატიჟეთ და ტანისამოსს რო გაიხ-
დის, მაშინ გასაღებს მოვპარავ და ამოვიღებ იმ ბალახსო, უთხრეს
ქალებმა: არიქა, გვიშველე რამეო.

წავიდა გოგო და შევიდა ხემწიფის უმცროს ქალთან და მოახ-
სენა: თქვენმა დებმა გთხოვეს, აბანოში წამოძიანდითო. ქალმა
უპასუხა: მაღლობელი ვარო, საქმე მაქვს, ვერ წამოვალო. მაინც
არ მოეშვენ, კიდე სთხოვეს და წაიყვანეს ეს ქალი. რო მოვიდენ,

გახადეს ტანისამოსი, შევიდნენ აბანოში და ბანება დაიწყეს, გამოვიდა ეს გოგო, ჩაუყო ჭიბეში ხელი, ამოაცალა გასაღები და წამოვიდა. გააღო სკივრი, ამიღო ბალახი და სკივრი დაჰკეტა საჩქაროზე მოვიდა ისევ აბანოში და ჩაუღო ჩუმად ჭიბეში გასაღები. როდესაც გაათავეს, ჩაიცვეს ტანისამოსი და წამოვიდნენ სახლში.

უმცროსი და თავის სახლში მოვიდა და ამობაში კიდევ დალამდა. მოირთო ეს ქალი ჩვეულებისამებრ, დააგო მშვენიერი ლოგინი, გააღო სკივრი და ნახა, რომ ალალა ბედისყვავილი აღარ არის. გადავიდა დრო, მარამ ყმაწვილი არ მოდის. დაჯდა და სტირის ქალი.

თურმე მის ღებს დაუმტვრევიათ ბოთლის შუშები და მის ბანზედ დაუყრიათ. თითონ ეს ღები მოირთვენ და მოელიან იმ ყმაწვილს. სულ დაადეს ის ალალა ბედისყვავილი ცეცხლს. წამოვიდა ხემწიფის შვილი ლანძღვით გაჯავრებული, — რათ მკლამს სუნი-თო? რო მოვიდა და უმცროსი დის ბანზე უნდა გაიაროს, ფეხი შუშებს დაჰკრა, წაიქცა და მთლათ ტანი შუშის ნანტვრევებით გაემსო. დაბრუნდა და წავიდა თავის დედ-მამასთან. მიდის და მისდევს სისხლის ნიაღვარი. სახლში რო შემოხედეს დედ-მამამ, უცებ დაბრმავდნენ, დაიწყეს ტირილი. რამოდენი აქიმები მოლა-ლეს, მარამ ვერავენ რა უშველა. არიან საშინელს მწუხარებაში და საწყალი ყმაწვილი არის ასე.

მეორე დღეს გავიდა ხემწიფის ქალი, ნახა თავის ბანი, რო სულ შუშის ნანტვრევები არის ბანზე და სისხლის ნიაღვრები დგას. წაიშინა თავში და იფიქრა, სწორეთ ეს ჩემმა დებმა მიმტარესო. ბევრი ტირილის შემდეგ დაიბარა მამა: ჩემო მამა, ცოტა ხანს მნახე, ავათ ვარო. ხემწიფემ თავის შვილის ავადმყოფობა რო გაიგო, მაშინვე მოვიდა თავის ქალთან და უთხრა: შვილო, რათა ხარ ავათო? ქალმა უთხრა: არა, მამა, ვერ გეტყვი ჩემს ავანტყოფობას, მხოლოდ იმას გევედრები, რომ ერთი რკინის ჯოხი და რკინის ქალამნები გამიკეთებინო. ხემწიფემ ტირილი დაიწყო: რათა, შვილო, რად მიდიხარ, უნდა მითხრა შენი გაჭირვებაო. შვილმა უთხრა: ეხლა ვერაფერს გეტყვიო, ეხლა ეს შემისრულეო. ადგა ხემწიფე, წავიდა და გააკეთებინა რკინის ჯოხი, რკინის ქალამნები და მოუტანა თავის ქალს. მრავალი ფულიც მისცა. გამოეთხოვა მამას ქალი და წავიდა.

დაადგა ერთს უცხო გზას. იარა ბევრი და მივიდა ერთ მოხუცებულ დედაკაცთან, უთხრა: დედაშვილობას, ამალამ დამაყენეო. მოხუცებულმა უპასუხა: მობძანდი, შვილოვო. მივიდა ქალი, დაისვენა. როცა ვახშმის ღრო მოვიდა, რაც შეეძლო, მოიტანა იმ დედაკაცმა, დასხდენ და ივანშმეს. მერე ქალმა ჰკითხა ბებერს: ამ ქალაქში რა ანბავიაო? არაფერი არ გახლამთო, დედაკაცმა უპასუხა. გათენდა დილა, ადგა ქალი, ახსენა ღმერთი და წავიდა. ბევრი იარა, შეხვდა რკინის ქალი, რკინის წყალზე მიდიოდა. უთხრა მას: რკინის ქალო, რკინის კოკა გიდგია, რკინის წყალზე მიდიხარ,— რა ანბავია ქალაქში, გეცოდინებო. მან უპასუხა: არაფერი ანბავიაო. გაიარა, წავიდა. შემოხვდა ვერცხლის ქალი, და ჰკითხა: ვერცხლის ქალო, ვერცხლის კოკა გიდგია, ვერცხლის წყალზე მიდიხარ, ამ ქალაქში ხომ არაფერი ანბავი არის რაო? არაფერი ანბავი არ არისო, მან უთხრა. გაიარა რამდენიმე გზა კიდევ, შეხვდა ოქროს ქალი, და ჰკითხა: ოქროს ქალო, ოქროს კოკა გიდგია მხარზე, ოქროს წყალზე მიდიხარ,— რა ანბავი იცი ამ ქალაქშიო? მან უპასუხა: არაფერი ანბავი არა ვიცი რაო.

წავიდა ეს ქალი დალონებული. ბევრი იარა. შეხვდა, ერთს ადგილას სამი ნერგი დგას, იქვე იმ ნერგებქვეშ წყარო გამოდის. მივიდა და დაჯდა იქ, დაღალული. ბევრი იტირა, ნამტირაღევს დაეძინა. შემოსხდენ სამი მტრედი. ერთმა სთქვა: ეს საწყალი ქალი სწორეთ იმ ხემწიფის შვილთან მიდისო. მეორე მტრედმა სთქვა: თუ ჩვენ არ წაგვიღო, რითი მოარჩენსო? მაგან რო იცოდეს, რომ ჩვენ ვართ იმ ყმაწვილის წამალიო. უნდა დაგვხოცოს, გაგვატყავოს და წაგვიღოსო. ახლა მესამე მტრედმა სთქვა: უნდა ტაფაზე დაგვდოს და გაგვათბოს, მერე იმ ყმაწვილის ტანზე დაგვაფაროს, მანამ ტანიდამ შუშას გამოვიტანდეთო. ამ ქალმა ყური უგდო,— მტრედის ენა იცის. ადგა ესროლა ჯოხი და სამივე მტრედი მოჰკლა, გაატყავა და ტყავები ჯიბეში ჩაიწყო. ცოტა გული გაიმაგრა. წავიდა.

ბევრი იარა და დაუღამდა. კიდევ მივიდა ერთ ბებერ დედაკაცთან და უთხრა, დამაყენეო. დააყენა ამ ბებერმა. რო დაისვენა, ჰკითხა ქალმა ბებერს: ამ ქალაქში რა ანბავია, დედაშვილობას, მინანბეო. ბებერმა უამბო: რა გითხრა, შვილო, ცოდვით დაიწვი. ისეთი ანბავი არისო. ხემწიფეს ერთი შვილის მეტი არა ჰყავდა რა და ისიც რამოდენიმე ხანი არის ავათა. რამოდენი ექიმები მო-

დალეს და ვერ მოარჩინეს,— შუშები აქვს ტანში და ვერ გამო-
ულეს. პირველათ რო მოვიდა გასისხლიანებული ის ყმაწვილი და
დედ-მამამ შეხედეს,— დაბრმავდენ. არიან ასე უბედურათო. ამ
ამბის გაგონებაზე ქალმა ბევრი იტირა.

რო გათენდა დილა, ბებერს უთხრა: დედა, ხემწიფესთან მიმეგ-
ზავნე, ფულს გაჩუქებ, და უთხარი, ყმაწვილს მე მოვარჩინ-თქო.
ბებერი წავიდა და პირდაპირ ხემწიფესთან მივიდა: ბატონო, თუ
არ გამიწყრები, უნდა მოგახსენო რამეო. უბძანეს: სთქვიო, იქნე-
ბა ჩვენი შვილის სასარგებლოთ სთქვაო. ბებერმა უთხრა: ერთი
ყმაწვილი ქალი გახლამს და თქვენს ნახვას ნდომობსო და კიდევ
მოგახსენებს, მე მოვარჩინო. მე უამბე ყველაფერი ანბავიო. დი-
დი მადლობა უთხრეს ბებერს, მრავალი თვალი და მარგალიტი
აჩუქეს, უთხრეს: წადი და ის ქალი მოგვიყვანეო. წამოვიდა ბე-
ბერი, უთხრა ხემწიფის ქალს, წაბძანდიო.

ადგა ქალი და წავიდა, შევიდა ხემწიფესთან. მოეხვივნენ დედ-
მამა,— თუ მოგვირჩენ, მეორე შვილი წენ იქნებიო. უპასუხა ქალ-
მა: ღვთის იმედით შემიძლიან შევასრულოო. მაჩვენეთ ყმაწვილიო.
წაიყვანეს, საცა ის ყმაწვილი წევს, და შეიყვანეს ეს ქალი. შეხე-
დეს და იცნეს ერთმანეთი. ყმაწვილმა უთხრა ამ თავის საყვარელს:
ჩემი გულისთვის გადმოვარდიო? დაიწყო ტირილი ქალმა, უთხრა:
რამდენი ტანჯვა მივიღე შენი გულისთვისო. დაუწყო წამლობა.
მოიკითხა ერთი ტაფა და ბადია, ათბობს მტრედის ტყავს და ადებს
ტანზე ყმაწვილს, ალაგებს შუშებს ბადიაწი, ამსებს ბადიას და
უგზავნის დედ-მამას. უმუდმა ქალმა ერთ კვირას სულ გაასადა
ის ყმაწვილი შუშებიდგან. მორჩა ყმაწვილი. ქალმა უთხრა: წადი,
შედი შენს დედ-მამასთანო. შევიდა ყმაწვილი, დედას გადაეხვია.
შეუწუხდათ ორივეს გული და მოაბრუნეს. ეხლა მამასთან მივიდა,
მამას გადაეხვია, და შეუწუხდათ გული. კიდევ მოაბრუნეს,— დაას-
ხეს ვარდის წყალი. დედ-მამას სიხარულით თვალი აეხილათ. დი-
დი მხიარულება შეექნათ, ერთ თვეს ილხინეს.

ხემწიფემ და ხემწიფის ცოლმა იფიქრეს, მოდი მაგ ქალს ვთხო-
ვოთ, ჩვენს ვაჟზე ჯვარი დაიწეროსო. ქალს მოციქული მიუგზავ-
ნეს, ჩვენს ვაჟზე ჯვარი უნდა დაგწეროთ და რას გვეტყვიო.
ქალმა დიდი უარი სთქვა: მე თქვენი არაფერი მინდა ამის მეტი, —
ალალა ბედისყვავილი რომ გახლამთ, მისი ერთი ტოტი მიბოძე-
თო. დიდის სრამოვნებითო, — უთხრეს, რამოდენიც გნებავს, მი-

ირთვიო. ყმაწვილმა მოუჭრა ალალა ბედისყვავილს ერთი დიდი ტოტი, გამოეთხოვა ქალი ხემწიფეს და იმის ცოლს. წამოიყვანა ყმაწვილმა, მოიყვანა მის სახლში და წასვლას აპირებს. ქალს ჰკითხა: რომ მოვიდე ხოლმე, რა უნდა გითხრაო? ქალმა უთხრა: შენ, ვიცი, გინებით წამოხვალ, და რო მოახლოვდები, მე დაგიძახებ, ოჰ, დო მქვიან, სისხლი არაო. მაშინ შენც დამშვიდდიო.

რამდენიმე ხანმა გაიარა. დადამდა. მოირთო ეს ქალი, მოტეხა ალალა ბედისყვავილს ტოტი და დაადო ცეცხლს. მოვიდა ყმაწვილი, მოდის გინებით. ქალმა დაუძახა: ოჰ, კარგი, დო მქვიან, სისხლი არაო. მოვიდა ყმაწვილი და გაატარეს დრო. მერმე ყმაწვილმა უთხრა,— წავალო. ქალმა უთხრა: ნუ წახვალო, მამაჩემს დავიბარებ და ჯვარი დავიწეროთო. ძალიან კარგი იქნებაო, ყმაწვილმა უთხრა.

დაიბარა ქალმა მამა. გაიგო ხემწიფემ თუ არა, სიხარულით გამოიქცა, მოვიდა და გადაეხვია ქალს: შვილო, ღმერთს მადლობას ვსწირამ, რადგან შენ ცოცხალი მოხვედიო. ქალმა უთხრა მამას: მამაჩემო, თუ არ გამიწყრებით, ჯვარი უნდა დავიწერო, თუ თქვენი ნებაც იქნებაო. მამამ ძალიან მოუწონა, ყმაწვილს უთხრა: შენი დეღ-მამა და ნათესაობა მოიწვიეო. სასიძომ მოახსენა: მე გაიხლებით სახლში და ჩემს დეღ-მამასაც და ნათესაობასაც თან მოვიყვანო.

წავიდა ყმაწვილი. ესენი ემზადებიან. ყმაწვილი თავის დეღ-მამით და ნათესაობით დაბრუნდა. დაიწერეს ჯვარი, დიდი ქორწილი გადაიხადეს, ერთ თვემდინ დიდი მეჭლიში ჰქონდათ. რომ გაათავეს ქორწილი, დიდი მზითევი მისცა მამამ და გაისტუმრა თავის საძე და ქალი. დები მოსამსახურებათ გაატანა.

კირი იქა, ლხინი აქა.

27. ღბ-ძმბ

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე და ხემწიფის ცოლი. ამ ხემწიფეს ორი ცოლის და ჰყამდა. დაორსულდა ხემწიფის ცოლი. და როცა დრო მოვიდა, დაწვა და მიეცა ოქროსქორჩიანი ვაჟი. ადგენ დეიდები და მოჰპარეს თავის დას ეს ოქროსთმიანი ვაჟი და

გადაადგეს, — ააკოკოლავეს და ზიგ ჩაადგეს ბავშვი, თავის დას კატის კნუტი მიუგორეს. ხემწიფეს უთხრეს ცოლისდებმა, შენს ცოლს კატის კნუტი ეყოლაო. ხემწიფემ იფიქრა: რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, შვილს ველოდი და კნუტი ეყოლა ჩემს ცოლსაო.

ერთს მეწისქვილეს ერთი თხა ჰყამდა მწველელი. როგორც გაადგებდა დილით საძოვრათ, გაიქცეოდა ეს თხა და იმ ბავშვს აწოვებდა ყოველდღე. სადამოს მივა ეს თხა შინ, უნდა მოსწველონ, ნახამენ, რძე, აღარ უდგია. გავარდნა მეწისქვილის ცოლი, დაუწყებს ჩხუბს მეცხვარეს, — რათ მიწველი თხასო. შეკფიცა მეცხვარემ, ჩვენ არ ვწველითო. ერთ დღეს გაჰყევი და ნახე, ვინ გიწველისო. წაჰყვა მეწისქვილის ცოლი, — მიჰყვა თხას. თხა მივიდა იმ აკოკოლებულ ქვებთან და მოაწოვა ძუძუ იმ ყმაწვილს. დახედა ქალმა, ამოიყვანა ოქროსთმიანი ბავშვი, მშვენიერი, გასუქებული, და თავის სახლში ქმართან მოიყვანა. დიდი სიხარული შეუდგათ, დიდის სიამოვნებით დაუწყეს ზღა, და კი არ იციან, ვისია ეს ბავშვი.

კიდეც დაორსულდა ხემწიფის ცოლი და მიეცა, როცა დრო მოუვიდა, მშვენიერი ოქროსთმიანი ქალი. ეს ბავშვიც მოჰპარეს დებმა ხემწიფის ცოლს, წაიყვანეს და გადაადგეს, დას როდინის ქვა მიუგორეს და თავის სიძეს უთხრეს: როდინის ქვა ეყოლა შენს ცოლსაო. უბძანა ხემწიფემ თავის ვეზირებს: ერთი კამეჩის ტყავი მოიტანეთ და ჩემი ცოლი შიგ გამოჰკერეთო. ხემწიფის ბრძანება შეასრულეს, მოიტანეს კამეჩის ტყავი და გამოჰკერეს ხემწიფის ცოლი, ააყუდეს კარებში და ვინც წევა, თითო ნიჩაბ ტალახს ესვრის. იყო ამ სატანჯველში ხემწიფის ცოლი.

ეს გადადგებული ბავშვიც მეწისქვილემ იპოვნა. არიან ეს ბავშვები კარგათ, იზდებიან. გაიზარდენ. ერთ დღეს ძმა სანადიროთ წავიდა და გამოვიდა კარებზე და ერთი ხის ძირში დაჯდა. დაინახეს მისმა დეიდებმა, მოვიდენ ამ ქალთან და უთხრეს: კარგი და-ძმანი ხართო, მარამ უჩინმაჩინის ხე რო გედგათ და მის ქვეშ იხსდეთ, უფრო მოგიხდებათო, და უცებ წავიდენ.

დაღამდა. მოვიდა ყმაწვილი ნადირობიდან, ეს და დახვდა საშინელი მტირალი. ჰკითხა: რა გატირებულსო? დამ უამბო: ორი ქალი იყვნენ აქ დილას და ასე მითხრეს: უჩინმაჩინის ხე უნდა გედგათ და მის ქვეშ იხსდეთ, უფრო მოგიხდებათ ორივე და-ქმანსაო. ძმამ უთხრა: ნუ სტირი, ვიშოვნო.

მეორე დღეს ადგა ეს ხემწიფის შვილი, ახსენა ღმერთი და წავიდა. ბევრი იარა და მოვიდა ერთს ბერიკაცთან. უთხრა: მამა-შვილობას, ამაღამ დამაყენეო. მობძანდი, შვილოვო, ამ ბერიკაცმა უთხრა. შევიდა ხემწიფის შვილი, დაიწყეს მუსაიფობა. ჰკითხა ხემწიფის შვილმა: ძველი ადამიანი ხარო, უჩინმაჩინის ხე ხომ არ გაგიგონიაო? ბერიკაცმა უთხრა: მე არ გაგიგონია და გზაზე დევის დედები ღვანან და იმათ იციანო, რო ჰკითხო, გასწავლიანო.

გათენდა დილა, წავიდა ხემწიფის შვილი. ბევრი იარა, მივიდა დევის დედასთან და უთხრა: დედაშვილობას, ერთი წყალი დამალევინეო. დევის დედამ უთხრა: დედაშვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდით, და რადგან დედაშვილობა მითხარი, ეხლა მობძანდიო. იმ ღამეს იქ დარჩა ხემწიფის შვილი. ჰკითხა დევის დედას: უჩინმაჩინის ხე მინდა და ხო არ გაგიგონიაო? დევის დედამ უთხრა: მე არ გაგიგონიაო და ჩემი და არის კიდევ გზაზე, და ის გასწავლის, თუ იცისო. დევის დედამ დაუწერა წიგნი თავის დასთან და თავის ბეჭედიც მისცა და უთხრა: რო მიახლოვდები, ჩემი და წამოვა შენთან მოსაკლავათ და ამ წიგნს და ბეჭედს რო დაანახებ, მაშინ აღარას გერჩისო. ძალღებიც ავები ჰყამსო, თუ არ ერიდე, შეგჰამენო.

გათენდა დილა. ახსენა ყმაწვილმა ღმერთი და წავიდა. იარა ბევრი. შეხედა — ერთი ქალი მოდის გააღმასებული, ოცლიტრიანი ხანჯალი აქვს წელზე. იფიქრა ყმაწვილმა, სწორეთ ის იქნებო, წიგნი და ბეჭედი დაანახვა. დევის დედა გაჩერდა და უთხრა: მაგისთანა კარგ ყმაწვილს რათ მოგძაგებია თავი, რო აქეთ წამოსულხარ მოსაკლელათო, შვილო, აფსუსი ხარო. ხემწიფის შვილმა უპასუხა: მე ვარ წამოსული უჩინმაჩინის ხისათვისაო, ან უნდა ვიშოვნო და ან მოვკვდეო. ხომ არ გაგიგონია, უნდა მასწავლოვო. დევის დედამ უთხრა: მე არ ვიცი, და ჩემი უნცროსი და არის, ის გასწავლისო, იმან კარგათ იცისო. ამ დევის დედამ დაუწერა წიგნი და უთხრა: რომ დაგინახამს ჩემი და, წამოვა შენს მოსაკლავათ, და ჩემს წიგნს რო დაინახამს, აღარას გერჩისო, რასაც ჰკითხამ, ყველაფერს გასწავლისო.

ადგა ხემწიფის შვილი მეორე დღეს და წავიდა. ბევრი იარა და დაინახა — დევის დედა მოდის გაბრაზებული მოსაკლელათ. დაანახვა ყმაწვილმა მისი დის წიგნი. დევის დედამ ჰკითხა: რათ გარჯილხარო? წაიყვანა სახლში და უთხრა: აბა მიანბე. რა საქმე

გაქვს ჩემთანაო. ყმაწვილმა უთხრა: თქვენ გცოდნიათ უჩინმაჩინის ხე საცა იშოვება და უნდა მასწავლოთო. შვილო, იმის შოვნა ძალიან ძნელიაო,— უთხრა დევის დედამ,— უნდა დაადგე — გზა აჩვენა — ამ გზას, ივლი ბევრს და მიხვალ უჩინმაჩინის ბაღში, საცა არას. რომელიც ხე მოგეწონოს, თუ სამის მოწევით არ ამოიღე, იქვე გაქვავდები. რო წამოიღებ, დაიწყებენ ყვირილს ქვა და ხეები, ასე იტყვიან: წავიდა და წაიღო უჩინმაჩინის ხეო. არამც და არამც არ მიიხედო, თორემ იქავ გაქვავდებიო.

ესენი ყველანი კარგა გაიგონა ყმაწვილმა, რო გათენდა, რომელიც გზა აჩვენა დევის დედამ, იმ გზას დაადგა. ბევრი იარა, მივიდა ბაღში, ნახა მშვენიერი ხეები. უჩინმაჩინის ერთ ხეს დაადგა, მოსწია,— მოანგრია; მეორეთ მოსწია,— სულ მოანგრია; მესამეთ მოსწია და ამოიღო, გაიღო მხარზე და წამოვიდა. დაიწყეს ქვამ, ტყემ, მიწამ ძახილი: წავიდა და წაიღო უჩინმაჩინის ხეო. მარამ ყმაწვილი ისე წამოვიდა, რომ არ მოიხედა უკან.

მოვიდა დევის დედასთან. საშინლად გაიხარა დევის დედამ და მიულოცა მშვიდობით დაბრუნება. წამოვიდა იქიდან, მეორე დევის დედაც ნახა, იმანაც გაიხარა. ნახა მესამე დევის დედაც და იმანაც გაიხარა მის მშვიდობით დაბრუნება. წამოვიდა და მოვიდა დასთან. დამ, რასაკვირველია, დიდათ გაიხარა, ძმა რო ცოცხალი მოუვიდა. ყმაწვილმა კარებზე დარგო უჩინმაჩინის ხე და გამართა მშვენიერი ტახტი მის ქვეშ. დასხდენ და ჩაის დაუწყეს სმა. გამოვიდენ დეიდები და შემოხედეს. ეწყინათ, ერთმანეთს უთხრეს: აკი მოუტანიაო და ცოცხალიც მოსულაო.

ყმაწვილი კიდე სანადიროთ წავიდა. დეიდებმა რომ გაიგეს, ყმაწვილი სანადიროთ წავიდაო, მივიდნენ მის დასთან და უთხრეს: ეს ხე კარგი მოუტანიაო, მარამ უჩინმაჩინის ქალიც რძლათ უნდა გაამდეთ, მაშინ უფრო კარგი იქნებაო. წავიდნენ ისევ ჩქარა.

დაღონდა ქალი. საღამოზე მოვიდა ყმაწვილი და დას ეკითხება: რამ დაგაღონაო? დამ უთხრა: კიდევე იყვენენ ის ქვრივი ქალები და ასე მითხრეს — ეს ხეც კარგიაო, მარამ უჩინმაჩინის ქალი რო რძლათ გაამდეთ, უფრო კარგები იქნებითო. ძმამ უთხრა სიცილით: მაგის გულისათვის რა გაწუხებეს, დაო, მალე ვიშოვნი, თუ ღმერთი შემეწიაო. მოემზადა წასასვლელათ და დას უთხრა: ჩემი სიკვდილი იმით გაიგე, რომ ამ უჩინმაჩინის ხეს სამი წვეთი სისხ-

ლი ჩამოვარდებო. დამ გარშემო სულ ბანბა შემოუფინა ამ უჩინ-
მაჩინის ხეს.

წავიდა ყმაწვილი. ბევრი იარა, მივიდა დევის დედასთან. იმას
გაეხარდა ამ ყმაწვილის ნახვა, მარამ უთხრა: შვილო, ერთხელ
გადაგარჩინე სიკვდილს და რაღათ მოდიხარო? ადგა ყმაწვილი,
წავიდა, მეორეც ნახა დევის დედა. მივიდა მესამესთან. ამან უთხ-
რა: რათ მოდიხარო? ყმაწვილმა უთხრა: უჩინმაჩინის ქალი უნდა
ვიშოვნოვო. დევის დედამ უთხრა: ძალიან ძნელი არის შოვნაო.
აჩვენა გზა: ამ გზას დაადექი, იარე, მიხვალ იმ ბაღში, საცა ის
უჩინმაჩინის ქალი არის. ბევრი ხემწიფის შვილები გაქვავებულა
იქ და შენც გეშინოდეს. რო გამოვა ქალი, ნაწნავეებში ხელი უნდა
სტაცო და ძირს თავი დააკვრევირო და დაიმორჩილებო. თუ ასე
არ მოიქეცი და ვერ დაიმორჩილე, გაქვავდები, შვილოვო.

წავიდა ხემწიფის შვილი. ბევრი იარა და მივიდა იმ ბაღთან.
შეხედა ერთ კარებში და — ბერიკაცი ზის და სწერს, ქალი სკამზე
ზის. ყმაწვილმა რო დაინახა, იფიქრა, სწორეთ მაჯობებს ეს ქა-
ლიო. მივიდა, ჩადგა კარებში. გამოვიდა ქალი. სტაცა ხელი ნაწნა-
ვეებში, დაიქნია და თავი ძირს ვერ დაულო. ყმაწვილი იმავ წამს
გაქვავდა.

უჩინმაჩინის ხეს სამი წვეთი სისხლი ჩამოვარდა და დაეცა
ბანბაზე. გამოვიდა და, დახედა და ხედამს, რომ სისხლი ჩამო-
ვარდნილა. იკივლა, დაუძახა დედობილს: ჩემი ძმა მამკვდარაო.
სტირიან საშინელის ხმით. დამ სთქვა: უნდა წავიდე, იმდენი უნდა
ვიარო, სანამ ჩემს ძმას ვიპოვნიდეთ.

გათენდა დილა. ჩაიცვა თავის ძმის ტანისამოჭი და წავიდა. ბევ-
რი იარა, მივიდა დევის დედასთან, ამან სარკმელიდან გადმოხედა.
ქალმა უთხრა: დედაშვილობას, წყალი დამალევინეო. დევის დედა
საშინლათ შეკრთა, — ის ყმაწვილი ჰკონია, — შემოდი. შვილო,
სახლშიო. ქალმა უთხრა: მე ქალი ვახლავარ, და ვარ იმ ყმაწვილისა.
გავიგე, ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არის და წამოვედი მოსანახა-
ვათ. თქვენი კარგი ანბავი გამიცონია ჩემი ძმისაგან და მეც იმის-
ვის გიახვლით თქვენთან, იქნება მიშველოთ რამეო. დევის დედამ
უთხრა: მე კი არა, მარამ ჩემმა დამ იქნება იცოდესო. წიგნი მიუ-
წერა დასთან. და წავიდა ეს ქალი. ბევრი იარა, მივიდა დევის დე-
დასთან. წიგნი რო დააწახვა, იცნო თავის დის ნაწერი: მოდი, რა
ანბავიო. ქალმა უთხრა: ჩემი ძმა აქეთ მკვდარი მეგულება და

სიმწარემ გამომიტაცა, უნდა, საცა იყოს, უნდა ვიპოვნოვო. დევის დედამ უთხრა: ჩემი უნცროსი და არის ზემოთ და ის გასწავლის ყველაფერსო. დაუწერა წიგნი. წავიდა ქალი და მივიდა დევის დედასთან, ეს წიგნი მიუტანა. იმან ჰკითხა: რათ გარჯილხარო? ქალმა უთხრა: აქეთ ჩემი ძმა წამოვიდა, გავაგე, რო შკვდარია და მივდივარ სანახავათო. დევის დედამ ბევრი იტირა, ძალიან დაენანა ყმაწვილი, მარამ დას უთხრა: თუ ყოჩაღათ მოიქცევი, შენს ძმას გააცოცხლებო. უნდა მიხვიდე ბალთან და კარებს უკან დადგე. გამოვა ქალი, უნდა სტაცო ხელი თმაში, დაიქნისო, თავი ქვას დააკერევირო და დაგმორჩილდება. მერე უთხრა: ეს ჩემი ძმა გააცოცხლე, თორემ მოგკლამ-თქო.

ადგა ქალი და წავიდა. ბევრი იარა. ნახა, ერთი მშვენიერი ბალი არის. მივიდა, კარებს უკან დადგა. გამოვიდა ქალი, სტაცა ხელი თმაში და დააკერევირა თავი, უთხრა: ახლა ხომ დაგმორჩილე, ჩვენი ხარ, ეს ჩემი ძმა არის, გამიცოცხლე, თორემ მოგკლამო. იმ ქალმა ორი ხელსახოცი ამოიღო, უთხრა ამ ქალს: იმდენი უნდა ვიტროთ, რომ ორივე ხელსახოცი დავასველოთო. იტირეს და დაასველეს, გადაუსვეს ყმაწვილს და ყმაწვილმა ჩძრევა დაიწყო. მერე წამალი გამოუტანა უჩინმაჩინის ქალმა, გადაასხა და გააცოცხლა. ყმაწვილი გადაეხვია დას. უჩინმაჩინის ქალი ცოლათ წამოიყვანა, წამოვიდნენ სამნივე და მივიდნენ თავის სახლში.

მერე დღეს რო გავიდენ კარზე და იმ ტახტზე დასხდენ, შემოხედეს დეიდებმა და უთხრეს ერთმანეთს: აკი მოუყვანიათ უჩინმაჩინის ქალი და ცოცხლებიც მოსულანო. ხემწიფეც თავის სახლიდამ უყურებს პირდაპირ და ფიქრობს, ამ მეწისქვილესთან ვინ არიან ამისთანა კარგი ხალხიო. ხემწიფემ იფიქრა, ერთ დღეს ისინი უნდა დავპატიოვო. დაჰპატიეა,— ვეზირები გავზავნა. ვეზირმა უთხრა დაძმას: ხემწიფემ გთხოვათ, დღეს სადილათ მობძანდით ერთობრივო. მადლობა შეუთვალეს. უჩინმაჩინის ქალმა უთხრა ქმარს: შენ წადი და ეს ფინა წაიყვანეო, და შენ რომ საჭმელი მოგიტანონ, ამ ფინას გადაუდგი და ხემწიფეს უთხარი, თქვენთან მავამეთ-თქო. არაფერი არა სკამო იმათი მოტანილი. ეს ოქროს კუნწულები, რო შეხვიდე, ტყავში გახვეულ ქალს ესროლე,— ის დედაშენიაო, ის ხემწიფეც მამაშენიაო.

წავიდა ყმაწვილი, გამოეგება ხემწიფე. რო შევიდა, ნახა კამეჩის ტყავი დგას, შიგ ქალია გახვეული, მან ოქროს კუნწულები

ესროლა. დასხდენ სუფრაზე. მიუვიდა სუფრაზე საკმელი. აიღო და თავის ფინიას გადაუდგა,—ხემწიფეს უთხრა: თუ ღირსი ვარ, თქვენთან მაჭამეთ პურიო. მიირთვიო, უთხრა ხემწიფემ. როგორც ფინიამ ეს საკმელი შესჭამა, მაშინვე მოკვდა. ხემწიფემ დაიძახა: აიღეთ და გადაადგეთ, ეს კარგი ანბავი არ არისო. გაიტანეს და გადაადგდეს ფინია. ყმაწვილმა მოიკითხა მოხარული მამალი, გამხმარი ვაზი, გამომცხვარი პური,—ესენი დააწყო სუფრაზედ და უთხრა: იყივლე, მამალო, ძახი, ვაზო, აჭეჯილდი, ქაბაბო, გაიხიე, ფურის ტყავო, გამოდი, დედაჩემო! მოხარულმა მამალმა ყივილი დაიწყო, გამხმარმა ვაზმა მოისხა, გამომცხვარმა პურმა ჯეჯილი დაისხა, გაიხა კამეჩის ტყავი და გამოვიდა ხემწიფის ცოლი. ყმაწვილმა უთხრა: თქვენ ჩემი დედ-მამა ხართ, ეს ჩემი დეიდები არიან, ამათ ბევრი მიმტრესო.

ხემწიფემ მაშინვე ქალიც და რძალიც მოაყვანინა. გამართეს ქორწილი, ერთი თვე ქორწილი ჰქონდათ. თავის სახემწიფო შვილს დაულოცა ხემწიფემ. მიწისქვილევც დიდათ გააბედნიერეს, მშვენიერი სახლები დაუმართეს. ქალიც გაათხოვა ხემწიფემ, ეს დეიდებიც ბუნის ძუაზე მოაბმევიანა და ლუკმა-ლუკმა დააგლეჯინა.

ჰირი აქა, ლხინი აქა.

28. ლარიზი ბიზი და სოვდაგარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლარიზი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი ვაჟი. ვაჟმა უთხრა დედ-მამას: მე უნდა წავიდე, მოჯამაგირედ დავდგე სადმე, თორემ რა უნდა გვეშველოს,—რაც რამე გვქონდა, სულ შევკვამეთ და ამ ზამთარში რით უნდა ვირჩინოთ თავიო. დედ-მამამ ჰკითხეს: სად უნდა დადგე მოჯამაგირეთო? სადა და — ქალაქშიო, უთხრა შვილმა. მერე ქალაქში ვინ წავიყვანსო? — ჰკითხეს ისევ მშობლებმა. ღმერთი მოწყალეა, მგზავრს შეგვხვდები ვისმეს და წავყვებიო, უთხრა შვილმა. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ლარიზი ვაჟის დედ-მამა, მათთან შევიდა ერთი სოვდაგარი და უთხრა ვაჟის მამას: მე წავიყვან შენს ვაჟს ქალაქში და ისეთ ალაგას მივაბარებ, რომ თქვენც კარგათ შეგინახოთ და თავი-

სი თავიცო. ძალიან მადლობელი ვიქნები, შენი ჭირიმე, თუ მაგის-
თანა სიკეთეს მიზამო, — ვაჟის მამამ უთხრა. მერე როდის მიღიხარ
ქალაქშიო? როდის და — ხვალო. მაშ ამაღამ უნდა მოვამზადოო? —
ეკითხება მამა. სოვდაგარი: ჰო, ამაღამ მოამზადე და კაი საგძალი
გაუკეთეო. კი, შენი ჭირიმე, — მამამ უთხრა, — ერთი მამალი მყავს,
იპას დავუკლამო. დაკლეს მართლა ერთი მამალი, ერთი ცხრა ხა-
ჭაპურიც გამოუცხეს, ტიკტორაში ღვინო ჩაუსხეს. დილაზე ადრე
გამოიარა სოვდაგარმა. დედ-მამამ დალოცა შვილი: მშვიდობით,
შვილო, ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს! ქალაქში რომ
ჩახვიდე, ერთი წიგნი მოგწერე. ნუ დაგვივიწყებ, შვილოვო. შვი-
ლი იმედს აძლევდა ღარიბ დედ-მამას, — ნუ გეშინიათ, ღმერთი
მოწყალეაო, — უთხრა მათ და გაჰყვა გზას.

წავიდნენ სოვდაგარი და ღარიბი კაცის შვილი. იარეს, იარეს
და გავიდნენ ერთ ტყიან ალაგას. ამ ღროს სადილობამაც მოატანა.
თანამგზავრმა უთხრა ვაჟსა: მონდი სადილი ვჭამოთო. ვჭამოთო,
უთხრა ვაჟმა. დასხდნენ სადილათ. ჯერ შენი საგძალი ვჭამოთო და
ვახშმათ ჩემიო. კარქიო, — უთხრა ვაჟმა, დასხდნენ და სჭამეს ვაჟის
საგძალი. მარტო სამი ხაჭაპურიღა დარჩა ვაჟს. სადილი რო გაათა-
ვეს, ადგა სოვდაგარი და ვაჟს უთხრა: პატარა ხანს აქ მოიცადე,
მე აგერ ტყეში გავალ და მალე მოვალო. ადგა და წავიდა, ვაჟი კი
იქ გაუშვა. ვაჟმა უცადა, უცადა, მაგრამ სოვდაგარი აღარ დაბ-
რუნდა. ვაჟი დაღონდა და თქვა, — სწორეთ მომატყუაო. ამობაში
საღამოს ჟამმაც მოატანა. ვაჟი უმეტესად დაღონდა, — გზა არ ვიცო
და კვალი, საით უნდა წავიდეო. ბოლოს გადასწყვიტა, ამაღამ ამ
წისქვილში შევალო. იქვე იდგა ერთი დანგრეული წისქვილი. ადგა
და შევიდა წისქვილში, მოხურა კარები, ავიდა და წისქვილის ხვი-
მირაში ჩაჯდა, ამოიღო სამი ხაჭაპური, დაიწყო გულზედ და დაი-
ძინა.

რომ შეიქნა შუალამე, მოგროვდნენ ამ წისქვილის კარებში
დათვი, მგელი და მელია. პატარა ხნის ჟეჟან დათვმა უთხრა მელიას:
მელიავ, კაცის სული მეცა, შედი წისქვილში, იქნება იყოს რამეო.
მელია შევიდა წისქვილში, შეხტა ხვიმირაზედა. ააცალა სამი ხაჭა-
პური ვაჟსა და გამოიტანა. დათვს უთხრა: ბევრი ვათვალერე,
მაგრამ ამის მეტი ვერაფერი ვიშოვნეო. თუმცა მელიამ კარქათ იცო-
და, რომ ხვიმირაში კაცი იჯდა, მაგრამ შეებრალა და აღარა სთქვა,
თუ იქ კაცი იყო. თითო-თითო ხაჭაპური დაურთვა დათვსა და

მგელსა და ერთი თითონ შექამა. მელამ უთხრა დათვსა და მგელს: მოდი ერთი ზღაპარი ვთქვათო. ჭერ შენა სთქვიო, მელას უთხრეს. მე თუ ვიტყვი, მართალს ვიტყვიო, — თქვა მელამ და დაიწყო: ამ წისქვილში ერთი თაგვი არის, იმდენი ფული აქვს, რომ დილაზე დაიწყებს ზიდვას მინდორში გასამზევრებლად და შუადღემდი ძლივს მორჩება გამზევრებას. თვითონ გვერდით მოუჭდება და უყარაულებს. მაშინ რომ იმას კაცი მიეპაროს და მოჰკლას, რამდენ ფულს იშოვნოსო. ეხლა მგელმა თქვა: დასავლეთის ხემწიფე დაბრძალებულა. ერთს მეცხვარეს ამ ტყეში ცხვრის ფარა ჰყამს, იმ ცხვრებში ერთი უნიშნო შავი ცხვარი ურევია, — იმისი ჯიგარი რომ წაილოს ვინმემ და იმ ხემწიფეს თვალებში ამოუსვას, ხემწიფეს თვალები აეხილება. და რა გამდიდრდება, ვინც იმას თვალებს აუხელსო! ეხლა დათვმა სთქვა: აღმოსავლეთის ხემწიფეს წყალი არა აქვს, ისე უჭირს უწყლობით, რომ ნახევარჯელ უწყლობით იხჩობიან. იმ ხემწიფეს ეზოში ერთი ალვის ხე დგას, ის რომ ერთს დაკვრით მოსჭრას ვინმემ, ისეთი წყალი გამოვა ალვის ხის ნაჭერზე, რომ წისქვილს ააბრუნებს. ვინც იმ ალვის ხეს მოსჭრის და იქ წყალს გამოიყვანს, რა მდიდარი შეიქნებაო! ეს ზღაპარი რომ გაათავეს, კიდევ გათენდა. აღგნენ და დაიფანტნენ იქით-აქეთ.

ეს მათი ლაპარაკი სუყველაფერი ეყურებოდა ბიძს. აღგა დილაზე ვაჟი, გამოსჭრა ერთი კომბალი და დაუდარაჯდა თავსა. თავგმა გამოიტანა მინდორში ფული და გაჰფინა, თითონაც იქვე დაუჭდა ყარაულათ. ამ დროს გაისროლა ვაჟმა კომბალი, შოარტყა თავსა; თაგვი მოჰკლა, აჰკრთა ფულები და წამოიღო. მოდის გზაში და შეხვდა მეცხვარეს. დაინახა ცხვრის ფარაში შავი უნიშნო ცხვარი და უთხრა მეცხვარეს: ეს ცხვარი მომიყიდეო. იყიდა, გამოსჭრა ცხვარს ყელი, გამოაცალა ჯიგარი და წამოიღო. მოვიდა დასავლეთის ხემწიფის კარზედ, ვეზირებს უთხრა, ხემწიფის ნახვა მინდა და თუ შეიძლებაო. ვეზირები შევიდნენ ხემწიფესთან და მოახსენეს, ერთი კაცი გახლათ და თქვენი ნახვა უნდაო. ხემწიფემ შემოყვანა ბძანა. შეიყვანეს ხემწიფესთან. ხემწიფემ უთხრა ვაჟსა: რა ამბავი არისო? თქვენი მშვიდობა, ბატონო, — უთხრა ვაჟმა, — შევიტყე, რომ თვალის სინათლე დაგკლებიაო და მე შემიძლიან, რომ გიწამლო და ერთ საათში გაათავისუფლოვო. ხემწიფემ უთხრა: მთელი ქვეყანა მამივლია და ვერავინ ვერ გამოათავისუფლა და შენ როგორ შეგიძლიან ჩემი გაათავისუფლებაო? ვაჟმა უთხრა: თუ ერთ

საათში არ გაგათავისუფლო, აქვე თავი გამაგდებინეო. კარგო, უთხრა ხემწიფემ. მიიტანა ვაჟმა წამლად ცხვრის ჯიგარი, ამოუსვა თვალელებში ხემწიფეს და ერთი საათის შემდეგ ხემწიფეს თვალელები აეხილა და ქვეყნიერებას კარქათ შეხედა. ხემწიფემ უთხრა ვაჟს: რა მოგცე, რომ ამისთანა სიკეთე მიყავიო? ვაჟმა უთხრა, რაც გინებოს, ის მიბოძეო. მაშ ნახევარი სახემწიფო მამიციავო. ვაჟმა უთხრა: ნახევარი სახემწიფო რათ მინდაო? მაშ რა გინდავო? ცხრა ჯორტვირთული ოქრო და ვერცხლი მომეციო. ეგ უმტრო უკეთესიო, უთხრა ხემწიფემ და მისცა ცხრა ჯორტვირთული ოქრო და ვერცხლი, თითო ჯორს თითო კაცი უჩინა და გამოატანა ვაჟსა.

ვაჟი ახლა აღმოსავლეთის ხემწიფესთან წავიდა. მივიდა ხემწიფის კარზედ და ვეზირებს უთხრა: შევიტყე, რომ თქვენს ხემწიფეს წყალი არა ჰქონია და მე შემიძლიან, რომ ამ თქვენს ეზოში წყალი გამოვადინოო. ვეზირები წავიდნენ და ეს ამბავი ხემწიფეს მოახსენეს, ხემწიფე გარეთ გამობძანდა და უთხრა ვაჟსა: რახან მაგისთანა ხელობა გცოდნია, მაშ გამოადინე ჩემს ეზოში წყალი და რასაცა მთხომ, მოგცემო. შეესეც მეყოფა, უთხრა ვაჟმა: როცა წყალი გამოვადინო შენს ეზოში, მაშინ ცხრა ჯორტვირთული ოქრო და ვერცხლი მამეციო. ძალიან კარგო, უთხრა ხემწიფემ. მაშ ერთი აღმასის ნაჯახი მამიტანეთო, თქვა ვაჟმა. მოუტანეს ვეზირებმა აღმასის ნაჯახი. მივიდა ვაჟი ალვის ხესთან, გაუქნია აღმასის ნაჯახი და გადაადებინა ალვის ხე. მინამ ალვის ხე მიწაზე დაეცემოდა, მინამ ალვის ხის ნაჭერიდან ასეთი წყალი ამოვარდა, რომ იქაურობა წაიღო. ხემწიფეს ძალიან გაეხარდა ეზოში წყლის გამოდენა და იმ წამსვე მისცა ვაჟს ცხრა ჯორტვირთული ოქრო და ვერცხლი. ვაჟმა წამოიღო თვრამეტი ჯორტვირთული ოქრო და ვერცხლი, და გასწია თავისი ღარიბი დედ-მამისაკენ.

ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა თავის ქვეყანაში, თავის მამასთან. მამამ შვილი ვერ იცნო, რადგანაც დიდი ხანი გასულიყო მის აქეთ, რაც თავისი შვილი არ ენახა. შვილმა აცნობა მოსვლა. მამამ რომ თავის შვილი იცნა, ისთე გაეხარდა, რომ ნამეტანი სიხარულით ბევრი იტირა. ვაჟი მიბრუნდა და ჯორებს ჩამოხსნა ოქრო და ვერცხლი. მამამ უთხრა: ეგ რა მაგიტანია, შვილოო? რა მამიტანია და სიმდიდრეო; მივიდა ვაჟი, ამოალაგა ოქრო და ვერცხლი და უთხრა მამას: აი, მამაჩემო, ამდენი სიმდიდრე მოგიტანე, რომ ათასი წელიწადი იცოცხლო, სიღარიბის ნულარ გეშინიაო. ვაჟის

ღედ-მამამ ისე გაიხარეს, რომ სიხარულით არ იცინა, რა ჰქნან. ეს მათი სიმდიდრე გაიგო იმ სოვდაგარმაც, რომელმაც ამ ბიჭს უღალატა, მოვიდა ვაჟთან და უთხრა: ვინ მოგცა ამდენი სიმდიდრეო? ღმერთმაო, — უთხრა ვაჟმა, — განა შენ რომ მიღალატე, ღმერთი ხელს არ მოუშარტამს საწყალს კაცსაო? არა, მაინც ვინ მოგცაო, ჩააცვიდა. მაშინ ვაჟმა უამბო: შენ რომ ამა და ამ ალაგას მომატყუე და ტყეში მარტო გამიშვი, იმ ტყეში ერთი წისქვილია. იმ ღამეს ველარსად წავედი, რადგანაც გზა არ ვიცოდი, და იმ წისქვილში დავდექიო. და მოუყვა სუყველაფერს, ან მელა როგორ შევიდა, ან ზღაპარი როგორა სთქვეს, ერთის სიტყვით, რაც თავზე გადახედოდა, სუყველაფერი უთხრა. სოვდაგარს ძალიან გაუკვირდა ეს ამბავი და თქვა თავის გუნებაში: მოდი ერთი მეც წავალ იმ წისქვილში და იქნება მეც შემეწიოს ღმერთიო, ადგა მართლა და წავიდა იმ წისქვილში, სამი ხაჭაპურის მაგივრად ცხრა ხაჭაპური წაიღო. მივიდა იმ წისქვილში და ჩაჯდა ხვიმირაში, დაწყო გულზედ ცხრა ხაჭაპური. რომ დაღამდა, მოგროვდენ დათვი, მგელი და მელია. პატარა ხანს ილაპარაკეს, მერე დათვ-ვა უთხრა მელიას: მელია, კაცის სული მეცა, შეხტი წისქვილში, იქნება იყოს რამეო. მელია შეხტა წისქვილში, მიიციუნცულ-მოიციუნცულა, შეხტა ხვიმირაზედ, ჩამოიღო ცხრა ხაჭაპური, მოუტანა დათვსა და მგელსა და აჭამა. პატარა ხანს უკან კიდე უთხრეს მელიას: მელია, კიდე შედი, იქნება კიდე იყოს რამეო. სულა კიდე შევიდა წისქვილში, მიიარ-მოიარა, შეხტა ხვიმირაზედ, დაავლო კაცს ხელი, მაგრამ ვერ მოერია, და დაუძახა დათვსა: დათვო, დათვო, ვერ მოვერიე, ძალიან მძიმე არის, და იქნება შენ მოერიოო. დათვი დაჯმაჭურდა, შევიდა წისქვილში, შედგა ხვიმირაზედ და გადმოათრია სოვდაგარი ძირსა. მივიდნენ სამივე მეგობრები და ლაზათიანად გამოძლნენ მოღალატე კაცის ზორცით.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქათო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
კიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გწყალობდეთ ყველსა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი ყაძახი. იმან დაიჭირა ხოხობი. ხოხობმა უთხრა, გამიშვი და რომ მოკვდები, ისეთ ზარს გაგიმართამ, რომ არავის ენახოსო, — რაც ფრინველი გალობს, სულ შევეყრიო. გაუშვა ყაძახმა. მოდის მუდამ ღლე ერთი ფრინველი, ხეზე შემოჯდება და ჰკითხავს ყაძახის ცოლს, — კაცი როგორა გყავსო? ცოლიც ეუბნება: კარგათ არის, მშვიდობითაო. მოდის ღღეს ბულბული, ხვალ მერცხალი, შაშვი, ტროლოა — სუყველა კითხულობს და ცოლიც ისეთ პასუხს ეუბნება. კაცმა უთხრა დედაკაცს, — აბა და გამოვეცადოთ, რაფერ ზარს იტყვიანო, მე თავს მოვიკვდენო, და რომ მოვიდნენ ჩემი სიკვდილი უთხარიო. მოვიდა დილაზე ერთი ფრინველი და იკითხა: — ყაძახი რაფერ არისო? დედაკაცმა თავში წვიშინა, — რაღა არის, მომიკვდაო. დაიწყო მოფრენა ურიცხვმა ფრინველმა, სახლი აივსო და გარეთ უთვალავია. წამოხტა კაცი, კარი გაუგდო, რასაც მოეხალა, ხოცა და ხოცა ფრინველი, — მტრედი, ხოხობი, შაშვი და სხვა ბევრი დახოცა, დაჰკიდა კედელზე, მერე მიირთმევდა და მიირთმევდა.

მევიდა ერთი ვაჭარი სოფელში და ამ კაცს ეწვია. ფული ბრევლი აქვს. ყაძახი კერასთან იჯდა, კატაც იქ მევიდა გასათბობად. გაუჯავრდა ყაძახი: აცხა, აქედან დამეკარგე, შე წუწკო შენაო, მე რა მაქვს, შენ რა მოგცეო, წადი, მეიტანე და ჰამეგო, არ მოგაქვს და რაღა უნდა გაჭამოვო. ვაჭარმა ჰკითხა: როგორაო? და: ასთეო, კაი სამსახური იცოდა, როდესაც ვეტყოდი, კაკაბი მოიტანე, კაკაბს მეიტანდაო; ხოხობს ვეტყოდი, ხოხობს მეიტანდაო; ახლა გაწუწკდაო. მაშ ახლა აღარ მოაქვსო? — იკითხა ვაჭარმა, — ეს ამოდენა ფრინველი მაგას მოუტანიაო და რას ემდურისო? კი, მაგან მოიტანაო, — უთხრა ყაძახმა, — მარა უწინ სხვა იყოვო. ვაჭარმა იფიქრა, — ამისთანა მონადირე კატა ჰყოლია, ამდენი ფრინველი უზიდნია, ძვირფასი ყოფილა, ვიყიდი, ამაშენებსო. შეეხვეწა ყაძახს, — მომყიდეო. ყაძახმა დაუწუნა, — გაწუწკდა, რას ვარგაო. არ მეეშვა ვაჭარი. ყაძახმა ფული ბრევლი გამოართვა და მიჰყიდა. წაიყვანა კატა ვაჭარმა, გაგზავნა სანადიროთ, — სად წავიდა, ვინ იცის, აღარ დაუბრუნდა ვაჭარს. გაჯავრდა ვაჭარი და მევიდა ყაძახთან.

ყაძახს ცეცხლზე ქვაბი ეყიდა და ღომს ხარშავდა. შორიდან რომ დეინახა ვაჭარი, ეილო ერთი ღომის კაკალი და ხელისგულზე

დღუწყო თითით სრესა, ვითომც ხეხავს, წყალში ავლცხს, ასუფთა-
ვებს. მოვიდა ვაჭარი, დღუწყო ყვედრება და ლანძღვა, — მომატ-
ყუე, კატა მომყიდე, წვევიდა და დაიკარგაო. ხომ გითხარიო, გაწუწ-
კდაო, უთხრა ყაძახმა, არ მამეშვი და რა მექნაო. ყაძახი ისევ დიდ-
ხანს ერთ მარცვალს ათამაშებს ხელისგულზე და სწმენდავს თითით.
მერე აიღო და ქვაბში ჩააგდო. მოურიხა და გამოჩნდა მოხარშული
ლომი. ვაჭარს გაუკვირდა, — ეგ რა ქენიო? ყაძახმა უთხრა: ჩავაგდე
ლომის კაკალიო. მერე ერთმა მარცვალმა ამოდენა ქვაბი აავსოვო?
შე დალოცვილო, ღარიბ კაცს მეტი სადა მაქვს, რომ ჩავაგდოვო, —
ყაძახმა უთხრა. ეგ რაც ღომი გაქვს, სულ აგრე უნდა მოხარშოვო,
თითო მარცვალი აგრე გაცხოვრებსო? ასეო, უთხრა ყაძახმა. ვაჭარს
მოეწონა: მომყიდეო. გაუნაზდა ყაძახი, — ჩემი საცხოვრებელი ეს
არისო, ამდენ ფულს შენ ვერ მომცემო. ვაჭარი ჩააცივდა და ფული
ბევრი აძლია. ყაძახმაც მიჰყიდა. წავიდა ვაჭარი, წაიღო ღომი. რა
გაუხდებოდა, — მოტყუვდა.

ყაძახმა იფიქრა, ვაჭარი კიდევ მომადგებო. ორი კურდღელი
დააბა და ცოლს უთხრა, მე ყანაში ვიქნებო. ის ვაჭარი თუ მოვი-
დეს, მოამზადე სადილათ ერთი ინდოური, ორი ქათამი, ოთხი იხვი,
ზოგი წემწვარი, ზოგი მოხარშული, ერთი დოქი ღვინო და მოგვი-
ტანე სადილათო, თან კურდღელიც მოიყვანეო. წვევიდა, ერთი კურ-
დღელი თან წეიყვანა. შევიდა მართლა ვაჭარი ყაძახისას, ჰკითხა
ცოლს და მან უთხრა, ყანაშია მუშაობაზეო. მივიდა ვაჭარი ყაძახ-
თან ყანაში და დღუწყო ყვედრება, — ასე გამომტყუე ფულები და
ღომი მომყიდეო. ყაძახმა უთხრა: შენ კარგა ღომის ხარშვა არ გცოდ-
ნიაო, ვინ იცის როგორ მოხარშე, ან როგორ გაწმინდე, ან ცეცხლი
როგორ უყავ, და ვერ მოიხარშოდაო. დარჩი, პური ვჭამოთ აქაო.
კურდღელს წეხსნა ბაწარი და უთხრა: წადი შინ, დედაკაცს უთხარო,
ერთი ინდოური, ორი ქათამი და ოთხი იხვი მოგვიმზადოს, დოქით
ღვინო და მოგვიტანოსო. ოუშვა კურდღელი. კურდღელი გაიქცა.
სადილობისას ცოლმა მოუტანა ერთი ინდოური, ორი ქათამი, ოთხი
იხვი, ზოგი წემწვარი, ზოგი მოხარშული, დოქით ღვინო და ბაწრით
კურდღელი: ამ კურდღელმა შენი შემოთვლილი სადილი მითხრა და
აგერ მოგიტანე და ესეც მოგიყვანეო. გაოცდა ვაჭარი. აგრე რასაც
შეუთვლი მაგ კურდღელის პირით, აგრე აასრულებსო? ასე იცისო,
ხომ ნახეო, უთხრა ყაძახმა. ძალიან მოეწონა ვაჭარს და სთხოვა,
მომყიდეო. კურდღელიც იყიდა და წაიყვანა. აბა რას გამოადგებოდა.

ყაძახმა თქვა, ვაჭარი კვლავ მოვა, აღარ მოგვემორღებო, ქათმის ჩინჩახეში სისხლი ჩაასხა და ცოლს ყელზე შეაბა, დაარიგა: ვაჭარი რომ მოვა, წავეკიდოთ ერთმანეთს და დანა რომ გამოვისვა, თავი მოიმკვდარუნეო და ადგომა რომ გითხრა, ადგო. ჩაიღო დანა ჭიბაში. მევიდა ვაჭარი, დაუწყო ლანძღვა, — შენ ამისთანა საქმე მიყავი, ფულები გამომართვი, მომატყუეო, ცოლიც გამოესარჩლა ამ ვაჭარს და დაუწყო ლანძღვა ქმარს. ქმარი შეება, ამოიღო დანა, დაჩუმდი, თვარა მოგკლავო. ცოლი არ მეეშვა, შეექნათ ამბავი, ვაჭარი შუაში ჩაუდგა, აშველებდა. ვერ გააშველა, დედაკაცი არ დადგა. კაცმა დანა გამოუსვა ყელში, ჰა, თუ არ დადგები და მოკვდიო. გადაბრუნდა დედაკაცი და მოკვდა. ვაჭარმა წეიშინა თავში, — რა ქენი, კაცო, როგორ მოკალი, ხათაბალაში ჩამავდე და ჩეიგდე თავიო, ცოლი როგორ არ შეგებრალო. ყაძახმა უთხრა, — არ მომეშვა და რა ვქნაო, მაგისთანა აბეზარს მაგრე უნდაო. მაგრამ წამალიც კი ვიციო, — ეს დანა ისევე ყელს რომ მოვუსვა, ისევე გაცოცხლდებაო. მარა არ ვიზამო. შეეხვეწა ვაჭარი: რაც მოხდა, მოხდა, აღარ გედავებო, და ამ ხათაბალას და დავიდარაბას მომარჩინეო. კაცმა უთხრა: რა ვქნა, შენ ხვეწნას უარს ვერ ვეტყვიო, თვარა სიცოცხლე გამიმწარა ამ დედაკაცმაო. გამოუსვა დანა და დედაკაცი გაცოცხლდა. დაუმადლა ვაჭარმა. ეს დანა ძალიან მოეწონა, ცოლი თურმე ანჩხლი ჰყავდა, იფიქრა, — ამ დანით დავაშინებ და დავიმორჩილებო. გადაეკიდა ყაძახს, მომყიდე და მომყიდე მაგი დანაო. ყაძახმა ძალიან უარი უთხრა, — აქამდის რაც მოგყიდე, იმაზედაც ამდენი საყვედური მითხარიო, ახლა რაღა უნდა მოგყიდოვო. არ მოეშვა ვაჭარი და ყაძახმაც მიპყიდა. წევიდა ვაჭარი შინ. ცოლი წეიკიდა, კაცმა დაუწყო ქაღნება, — მოგკლავ, დადექიო. არ დაჩუმდა ცოლი. ქმარმა დანა ამეიღო, ყელი გამოსჭრა. მერე გაცოცხლება მეინდომა, მარა რაღას უშველიდა.

მივიდა ყაძახთან, — შენ ამდენი საქმე დამმართე და ცოლიც მომაკვლევიე, ახლა კი სწორეთ უნდა გაგათავოვო. შექკრა და წაიყვანა, ზღვაში უნდა ჩაგაგდოვო. გზაზე ტყეში გაიარეს; ვაჭარმა ყაძახი ხეს შიაბა და თვითონ რაღაცაზე მოშორდა. დენახა ყაძახმა, ვინცხას ძროხის ნახირი მოუღის, დეიწყო ყვირილი: არ მინდა, არ მინდა მეფობა, არ მინდაო. მევიდა მენახირე, ჰკითხა: რა ამბავია, ძიაე, შენს თავსაო? ამან უთხრა: ასე ამბავიაო, აქეთ დამიჭირეს და მეფეთ უნდივარ, მე ვარზე ვარ, არ მეშვებიან, გაქცევას ვაპირებდი

და აქ ხეზე მიმაკრესო. მენახირემ იფიქრა, — ეს კაცი სულელი ყოფილა, ბედი მისდგომია, და არ უნდაო, უთხრა ყაძახს: შენ ჩამოგხსნი მაქედამ და მე მიმაბიო, ეს ნახირი შენი იყოსო. ჩამოხსნა მენახირემ ყაძახი, იგი ყაძახმა მიაბა ხეზე და გარეკა ნახირი. ბნელადა. მოვიდა ვაჭარი, იგი მენახირე მოხსნა, წაიყვანა და ზღვაში გადააგდო.

ყაძახს დიდი ნახირი გაუჩნდა და იყო კარგათ. შემოხვდა ვაჭარი. ნახა, ბრეველი ძროხა ყავს. გაკვირდა: ზენ ქე ზღვაში არ ჩავაგდე, რაფერ ხარ ცოცხალი და ეს ნახირი რაფერ იშოვნეო? ყაძახმა უთხრა: რაფერ ვიშოვნე და ასეო: შენ რომ ზღვაში ჩამავდე, ძირი სავსე იყო ძროხით, დიდი სიმრავლე იყო, რაც მოვასწარი, გამოვრეკე ზღვიდან, მარა ერთი სახრე რო მქონებოდა, ათას ამისთანა ნახირს გამოვდენიდიო. ვაჭარს იამა: აბა მაშ სახრეს მოვჭრი და ჩამავდე ზღვაშიო. წაიყვანა ყაძახმა და გადააგდო ზღვაში, — აბა გამოვდენე ნახირიო.

80. ხემწიფის შვილი და ხის ცხენი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე, ჰყვანდა ცოლი. იმის სიმდიდრეს რიცხვი არა ჰქონდა, მაგრამ შვილი არა ჰყვანდა და ეს აწუხებდა. სიბერის დროს მიეცა ერთი შვილი და ძალიან გაიხარა. რასაკვირველია, ყველამ მიულოცა. ამ ხემწიფეს ჰყვანდა ორი ხელოსანი: ოქრომჭედელი და ღურგალი. ამ ხელოსნებს ერთათ ჰქონდათ დუქანი, ერთხელ ეს ხელოსნები ერთათ ისხდნენ და ფიქრობდნენ: ყველამ ჩვენს ხელმწიფეს მიულოცა, და ხო ეწყინება, რომ ჩვენ არ მრეულოცოთო? ოქრომჭედელმა სთქვა: ხო ცარიელათ არ მივულოცამთ, — ისეთი კარგი რამ უნდა მივულოცოთ, რომ მადლობა გვიბძანოსო. ღურგალმა სთქვა: მე ისეთ ხის ცხენს გავაკეთებ, რომ თავისთავად ზეცაში ფრინავდესო. ოქრომჭედელმა სთქვა: მე ისეთ კულას და აზარფეშას გავაკეთებ, რომ თავისთავად ღვინო ისხმებოდეს და მთელ ჭარს ეყოსო. ორ კვირაში ამ ხელოსნებმა გააკეთეს თავიანთი დანაპირები და მიართვეს ხემწიფეს. ხემწიფემ ძალიან მადლობა უბძანა. ესენი წამოვიდნენ. გზაზე ღურგალი დაღონდა და უთხრა თავის ამხანაგს: ემ ჩვენ ხემწიფეს ერთი შვილი ჰყავს, და რო

ჩემ გაკეთებულ ცხენზე შეჯდეს, ხო ცხენი მიიტაცებს და დაეკარგებაო, მაშინ ხემწიფე რას გვიზამსო? წავიდე, ხერხი ვასწავლო, თორემ ფინთი საქმე მაძივალ. წამოვიდა ღურგალი და მოახსენა ხემწიფეს: დიდებულო ხემწიფევე, ეგ ხის ცხენი, მე რომ მოგართვი, ისეთი გახლავს, რომ თავისთავათ ზეცაში ფრინავს, და თუ თქვენ შეჯდომა მოინდომოთ, ესე მოიქეციოთ: თუ გნებავთ, რომ მალლა წავიდეს, უნდა აღვირი მაგრა მიიზიდოთ, და თუ გნებავთ, რომ ძირს ჩამოვიდეს, უნდა აღვირს მიუშვათო, თავი დაუკრა და წამოვიდა.

როცა გაიზარდა ხემწიფის ვაჟი, უთხრა თავის მამას: ხის ცხენი რომ გყავს, იმაზე მინდა შევჯდე, სხვაგან წავიდე და გავიგო ქვეყნიერების ანბავიო. ხემწიფემ ნება მისცა. ემ ვაჟმა აიღო დიდძალი ოქრო და ვერცხლი, შეჯდა ცხენზედ და წავიდა. რა გაიარა პატარა გზა, უნდოდა დაბრუნებულ იყო, ამიტომ დაუწყო აღვირს წევა, — ცხენი უფრო და უფრო მალლა ავიდა. იმდენი სწია აღვირს, რომ დაიღალა და გაუშვა ხელიდგან აღვირი. მაშინ ცხენი ძირს დაეშვა და დავარდა ერთ ბებრის ბანზედ. ბებერი გამოვიდა და შესძახა, — ვინ არისო? ვაჟმა უთხრა: ხემწიფის შვილი ვარ, გზა დაეკარგე და უნდა ადგილი მამცე, რომ დავიძინოვო. ბებერმა უთხრა: ერთი საწყალი ბებერი ვარ, ლოგინიც არა მაქვს, რომ დავაწვინოვო. ვაჟმა უთხრა, — არა უშავს რაო. ცხენი გარეთ დააბა და თითონ შევიდა სახლში და დაიძინა.

მეორე დღეს ვაჟი გარეთ გამოვიდა და დაინახა ერთი მალალი კოშკი, რომელსაც გარშემო ჯარი ერტყა. შევიდა და ბებერს ჰკითხა: ეს რის კოშკიაო? ბებერმა უთხრა: ეს ის კოშკია, რომ შიგ ხემწიფის ქალს სძინავს, და არავის არ შეუძლიან, რომ მანდ შევიდესო. რა დაღამდა, ამ ვაჟმა კაი ვახშამი გამართა, ეს ბებერი კარგა დაათრო და დაიძინა, თითონ კი გამოვიდა, შეჯდა თავის ცხენზედ, აფრინდა ზეით, დაეცა კოშკის ბანზედ, ცხენი იქ გაუშვა და თითონ კოშკში ჩავიდა. შიგ ნახა: კოშკის შუაზედ დგას ერთი ოქროს საწოლი, ზედ მზეთუნახავი ქალი წევს და ერთი შანდალი ფეხთით უდგას და ერთი — თავით. ამ ვაჟმა ერთი აკოცა ქალს, ფეხის შანდალი თავით დაუდგა, თავისა — ფეხთით და წამოვიდა. რა გათენდა დილა, ხემწიფის ქალმა მისწერა თავის მამას. რომ წუხელის, როცა მეძინა, ვიღაც მოვიდა ჩემთან, ერთი მაკოცა, შანდალი გამომიცვალა და წავიდაო. ხემწიფემ დაუძახა კოშკის ყარაულებს და ჰკითხა: წუხელის ვინ შევიდა კოშკშიო? ამათ უთხრეს: არავინო. ხემწიფე გა-

ჯავრდა და უბძანა თავის ვეზირებს, ყარაულებს თავები მოსჭერი-
თო. მოსჭრეს თავები. რა დაღამდა, ხემწიფის ჴვილმა კიდეც დაათ-
რო ბებერი, თითონ შეჯდა ცხენზედ და აფრინდა კოშკის თავზედ,
ცხენი იქ გაუშვა, თითონ შიგ ჩავიდა. ამ ღროს ქალს ელვიდა. ქალმა
ჰკითხა: ვინა ხარო? ვაჟმა უამბო თავისი ანბავი. ქალმა უთხრა:
მაშ თუ ეგრეა, შენ ქმარი და მე ცოლიო. ვაჟი წამოვიდა. მეორე
დღეს ქალმა გაუგზავნა მამას კაცი, — წუხელისაც ვილაც მოვიდაო.
ხემწიფემ შეჰყარა ხალხი და უთხრა: ვინც იმას დაიჭერს, რომელიც
ღამე ჩემ ქალთან შეიპარება, იმას ნახევარ სახემწიფოს მიცემო,
ბევრმა ეცადა და ვერ დაიჭირეს. ერთმა თქვა: ეს კოშკი კუპრით
გავსვართ, და ვინც ჩამოვა, — გაისერება; მეორეც დღეს გავეშინჯოთ
და გავიგებთ, ვინც არის მაგის მქნელიო. ხემწიფეს მოეწონა ეს
რჩევა და უბძანა კოშკის გაკუპრვა. გაკუპრეს კოშკი. როცა ხემწი-
ფის შვილი ჩამოვიდა კოშკში, ტანისამოსი გაესვარა. მეორე დღეს
ხემწიფემ შეჰყარა მთელი თავის სახემწიფოს ვაჟები. ამ ხემწიფეს
შვილს არავინ იცნობდა, ამიტომ არ დაჰპატიეს. ხემწიფის შვილმა
მისცა ფული ბებერს და უთხრა: წადი და სადილი იყიდეო. ბებერს
ფული შეხარბდა, არ უნდოდა დაეხარჯა, ამიტომ წავიდა, სადაც
შეკრებილი იყო ხალხი, და უთხრა: ერთი სტუმარი მამივიდა, არა
მაქვს რა ვაჰამო და დედაშვილობას, პატარა მამეცით რამეო. იქ
რომ გაიგეს, ვილაც ვაჟიო, გაგზავნეს კაცები და მოაყვანიეს ხემ-
წიფის შვილი. როცა სადილი გაათავეს, ხემწიფემ დაუწყო შინჯვა
ხალხს. როცა ამ ხემწიფის შვილთან მივიდა, ნახა, რომ კუპრშია გას-
ვრილი. ხემწიფემ ბძანა იმის თავის მოჭრა. ხემწიფის შვილმა უთხ-
რა: დიდებულო ხემწიფევე, ერთი ეს დამაცალე, რომ იმ ბებერთან
წავიდე, მინდა აღსარება უუთხრა, — თუ გნებავთ, ჯარი გამატანეთ.
რომ არ გავიქცეო. ხემწიფემ ნება მისცა და გაატანა ჯარი. ეს ვა-
ჟი რომ ბებრის სახლის ეზოში შევიდა, ჯარი გარეთ დარჩა. ვაჟი
შეჯდა თავის ხის ცხენზედ, აფრინდა ჴეცაში, კოშკზედ დაეცა, შიგ
ჩავიდა, ამოიყვანა ქალი, შეისო ცხენზედ და გაფრინდა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს. დაინახეს ერთი წყლის ნაპირი.
ქალმა უთხრა: დავიღალე და ამ წყლის პირს დავისვენოთო. ვაჟმა
მიუშვა აღვირს და ცხენი წყლის პირს დაეშვა. გაღმა გაიხედეს და
დაინახეს, რომ ცეცხლი ანთია, ვაჟმა თქვა: უნდა გავიდე გაღმა და
ცეცხლი გამოვიტანოვო. ქალმა უთხრა, გამოიტანეო. ვაჟი გაფრინდა
ცხენით. რომ დაეშვა, ნახა, რომ ცხრა დევი სხედან და შუაში დიდი

ცეცხლი უნთიათ. ვაჟი მივიდა, აილო ცეცხლი — დევებს თურმე ეძინათ — და გამობრუნდა. რომ წამოვიდა, იფიქრა: სირცხვილი არ არის, რომ ცეცხლი მოვიპაროვო? დაბრუნდა და დაუყვირა დევებს: ცეცხლი მამეცითო! დევებს შეეშინდათ და უთხრეს: აჰა, გადმოდი, ქვაბი გადმოლგი და ცეცხლი წაიღეო. ვაჟმა გადმოლგა ქვაბი, აილო ცეცხლი, ქვაბი ისევ შედგა და გამობრუნდა. შუა წყალში რო მოვიდა, ცეცხლი ცხენს მოხვდა, ცხენი დაეწო და თითონ წყალში ჩავარდა.

ქალმა უცადა, უცადა და მეორე დღეს წავიდა იქითკენ, საითაც მიდიოდნენ, ერთ სოფელში მივიდა. თურმე ხემწიფე მამკვდარა და სხვა უნდა დასონ. ამიტომ მტრედს უშვებენ: ვისაც დააფრინდება თავზე, ის უნდა დასონ ხემწიფეთ. მტრედი აფრინდა და ამ ქალს დააფრინდა თავზე. მეორეთ აუშვეს და კიდევ ამ ქალს დააფრინდა. ხალხმა თქვა: ქალი როგორ შეიძლება ხემწიფეთაო, — მესამე აუშვათ მტრედი და ვისაც დააფრინდება, ის დავსვათო. ააფრინეს და კიდევ იმ ქალს დააფრინდა. აბა რა ვქნათ, — დასვეს ეს ქალი ხემწიფეთ. მეორე დღეს ამ ქალმა გააკეთებინა ხიდი იმ წყალზე, რომელშიაც ვაჟი ჩავარდა. ხიდის ორივე ყეროზე თავისი სურათი დაჰქიდა და თითო სურათს თითო ყარაული დაუყენა და უბძანა: ვინც დადგეს და ამ სურათს დაუწყოს ცქერა, აქ მომიყვანეთო. ყარაულებმა ბევრი მიუყვანეს, მაგრამ ქალმა ყველა გააბრუნა. თურმე ხემწიფის შვილი წყალში რომ ჩავარდა, გამოსულა. რა მოვიდა ხიდთან, დაინახა სურათი და დაიწყო ტირილი. ყარაულმა მიუყვანა ქალს: ამათ ერთმანეთი იცნეს. ეს ვაჟი ხემწიფეთ დაჯდა და ქალიც ოლათ დაისვა. დიდი ქორწილი გადაიხადეს. მეც იქ ვიყავი.

81. მზის სიძე

იყვნენ სამნი ძმანი. უფროსი ძმები ცოლიანები იყვნენ, უნცროსი კი — უცოლო. უნცროსი ძმა ძალიან ეფერებოდა თავის ძმებს და მათ ცოლებს იმისთვის, რომ არ შესძულებოდათ იგი, მაგრამ მათ მაინც შეიძულეს და გააგდეს თავის სახლიდან. ძმებს ჰქონდათ ერთი ყანა, რომელიც სამად გაიყვეს, — უფროსმა ძმებმა უთხრეს უნცროსს: არჩევანი შენი იყოსო. დაფიქრდა უნცროსი ძმა და შუა ნა-

წილი ამოირჩია, — შელობვა ამცილებდაო, — დახნა, დათესა და ისე დატოვა. გავიდა რამდენიმე ხანი. უნცროსი ძმის ყანაში ისე მოდის ნამუშევარი, რომ მიწა მოაქვს. მისი ძმების ყანაში არაფერი არ მოდის. უნცროსი ძმა ძალიან მოხარულია თავისი ბედის და როდესაც შეხედავს თავის ყანას, სულ აღმა ხტუნავს. მისდა საუბედუროდ, ერთ დამეს მოვიდა საძაგელი წვიმა და ელვა-ჭექა. ამ ავდარმა მოგლიჯა ის ყანა, რომელიც უნცროს ძმას ეკუთვნოდა, და ბოლომდი ისე წაიღო, რომ ერთი ხელისდადება არ დაუტოვებია. ადგა მეორე დილას უნცროსი ძმა, შეხედა თავის უბედურებას, ნახა, რომ მისი ყანა მოუგლეჯია მეწყერს და ძმების ყანები იქით-აქეთ, თითქოს დარაჯებლავით დაუყენებია ვინმესო, ისე გაჩერებულია. როგორც კი შეხედა ამ კაცმა თავის ყანას, მაშინვე ადგა და მოშორდა იქაურობას, წავიდა შორს.

იარა, იარა და ბოლოს ერთ კეისართან მივიდა, რომელსაც იმ დღეს ნადი ჰყავდა. გამარჯვება, კეისაროო, — უთხრა ამ კაცმა. გამარჯვება მაშინ იქნება, თუ მომეხმარებიო, — უთხრა კეისარმა. კაცმა უთხრა, — მოგეხმარები ამ პირობითო: თუ მოვმკო იმდენი, რამდენსაც დღეს შენი მომკელები მომკიან, მაშინ მომეცი იმდენი, რამდენსაც მათ აძლევო, და თუ ვერ მოვმკო იმდენი, მაშინ გროშნაც ნუ მომცემო. კეისარი დაეთანხმა, — ბატონი ბრძანდებო.

აიღო ამ კაცმა ნამგალი და დაიწყო მკა. მკის, იმდენი მომკო, რომ ხემწიფის ნადი გაკვირვებულია იმის საქმეზე. მომკო იმდენი, რამდენიც კეისარის ნადმა მომკო. საღამოს დრომ მოაწია და ამ კაცს პატარა უკლია მკას. დაფიქრდა და თქვა: ჭერ, რაც მოვმკე, იმას შეგკრავ ძნებად და ხარდანზე ავადგებო და მერმეთ დანარჩენს მოვმკიო. ასეც მოიქცა. შემდეგ დაიწყო ისევ მკა. ამ დროს მზემაც დაიწყო ჩასასვლელად გადახრა. შეხედა ამ კაცმა მზის ჩასვლას. დაიჩოქა და სთქვა: მზეო, შენსა მადლსა! ამოდენა ნაშრომს ნუ დამიკარგავ, პატარა ხანს მომითმინე და მერე ჩაბძანდიო. მზემ არ გაუგონა და ჩავიდა. დაადლო იმ კაცმა ნამგალი და მიდის გამგუნებელი. შეხედა კეისარმა, რომ მიდის ეს კაცი, და დაუძახა: სად მიხვალო, რატომ შენი ქირა არ მიგაქვსო? მან მოუგო: თქვენც არ მომიკვდეთ, მე არც ერთი კაბიკი არ მერგებაო, რადგანაც პირობა ისე იყოვო; ეს თქვენი ფულები მე მზემ დამაკლო, — მე ვიცი და იმანო. კეისარი ძალიან გულთით აძლევდა ქირას, მაგრამ იმ კაცმა არ აიღო და წავიდა.

იარა, იარა და შეხედა კიდევ მეორე კეისარს, რომელსაც ბევრი

ჯოგი ჰყავდა. კეისარმა ერთი შეხედვით შეატყო, რომ ეს მარჯვე ბიჭი უნდა იყოსო, და ამიტომ უთხრა მას, მწყემსად დამიდექიო; შეჰპირდა, თუ ჩემს ჯოგს ისე მოწყყნავ, რომ არათერს დააკლებ, შემოდგომაზე ჯოგის ნახევარი შენი იქნებაო. კაცი დათანხმდა და დაიწყო მწყემსობა. შემოდგომამდე ისე მოუარა ჯოგს, რომ ცხენის კვიციც არ დაუჟარგავს, არც ძროხის ხბო, არც ცხვრის კრავი და თხის თიკანი. შემოდგომამაც მოაწია და ამ კაცმა საქონელს სახლში დენა დაუწყო. როცა რომ საქონლის თავი პატრონის კარამდი მიაწია, ამ დროს ცხენმა წიხლი ჰკრა ცხვრის კრავს და ფეხი მოსტეხა. აიყვანა ეს კრავი კაცმა და მიიყოლია უკან. ამ დროს გამონტა ტყიდან მგელი, დასტაცა ფეხმოტეხილ კრავს და მიჰყავს. შეხედა ამ კაცმა მგელს, დაუჩოქა და ეუბნება: ნუ დამაკლებ ამდენ საქონელს, დამიტოვე ეს კრავიო; ჯოგის ნახევარი ჩემია, — როცა გავიყოფთ, რაც გერჩიოს ჩემს ჯოგში, ის ამოიჩიე და წაიღეო. მგელმა არ გაუგონა, ამ კაცმა ჯოგი ჩააბარა კეისარს, მერმეთ დაადგა თავის გზას და მიდის. შეხედა თუ არა კეისარმა მიმავალს კაცს, მაშინვე უკანდინდან ძახილი დაუწყო: სა მიხვალ, კაცო, რატომ შენ წილს არ ჰკიდებ ხელს და არ მიგაქვსო? კაცმა მიუგო: შენც არ მომიკვდე, პირს როდი შევირცხვენო, — შენი ჯოგი მე ისე უნდა ჩამებარებია შენთვის, რომ არც ერთი კრავი არ ჰკლებოდანო; მე რომ ახლა ამოდენა საქონელი მეკარგება, თქვენი ბრალი კი არაა, მგლის ბრალიაო, — თუ გადვუხადე, ხომ კარქი, თუ არა და ღმერთმა შეარგოსო. ადგა და წავიდა.

მივიდა კიდევ მესამე კეისართან და სთხოვა, სადმე დამასახლეო. კეისარმა მეორე დღეს თავის ვეზირებს უბძანა დაერონიებიათ მთელი სამეფო და სადაც მოეწონებოდა, იქ დაესახლებინათ. ვეზირებმა კეისარის ბძანება შეასრულეს, მოარონიეს მთელი სამეფო, მაგრამ ამ კაცს არსად არ მოეწონა ადგილი. საღამოს დაღლილი ვეზირები კეისართან მოვიდნენ და უთხრეს ყოველისფერი. კეისარმა მიიხმო ეს კაცი და ჰკითხა: მამ სად გინდა, რომ დაგასახლოვო? მან მიუგო: შენს ზეგით რომ თეთრი და მაღალი მთაა, იმის წვერზე დამასახლეო. კეისარს გაუკვირდა და უთხრა: იმის წვერზე ფრინველი არ შეფრენილა და შენ აპირებ იმაზე ასვლასო? კაცმა უთხრა: იმედი მაქვს ასვლისო, და თუ ვერ ავედი, რაც გინდოდეთ ის მიყავითო. კეისარი ნებას დაჰყვა და გაისტუმრა ის კაცი. ის შეუდგა იმ მთაზე ასვლას და როგორც იყო, დიდის გაჭირვებით ავიდა მის წვერზე.

სადაც მშვენიერი მინდორი და ოქროს ტბა იყო. იმ ღამეს ერთი ხის ძირას დაწვა და დაიძინა. მეორე დილას ადგა და ბუჩქის ქვეშ შეძვრა. ამ დროს ციდან მოფრინდა თუ ჩამოვიდა სამი მზეთუნახავი ქალიშვილი. გაიხადეს ტანისამოსი, ტბის პირს დადევს, ჩავიდნენ ოქროს ტბაში და დაიწყეს ბანაობა. ამ კაცმა რომ შეხედა, პირველად ძიგძიგი დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ სთქვა თავის გულში: რაც უნდა დამემართოს, დამემართოს და ერთ იმათგანს თუ არ მოვპარე ტანისამოსი, არ იქნებაო. ადგა ჩუმად და მოჰპარა უნცროს ქალიშვილს ტანისამოსი. მერმეთ ისევ შეძვრა ბუჩქის ქვეშ და დაჯდა იქ. როცა ქალიშვილებმა ბანაობა გაათავეს, გამოვიდნენ ტბიდან. უფროსმა ქალიშვილებმა ჩაიცვეს ტანისამოსი, უნცროსმა ვერ ნახა და დაიწყო ტირილი. უფროსმა დებმა, ბევრი ძებნის შემდეგ, სთქვეს: ვილაცამ ჩვენი დის ტანისამოსი წაიღე, კაცი ხარ თუ ღმერთი, გვითხარი, რასაც ჩვენგან თხოულობ და აგისრულებთო, ასე სასიარცხვილოდ ნუ გაგვატან დედ-მამასთან ამ ჩვენს დასო.

ეს ქალიშვილები მზისა და მთვარის ქალიშვილები იყვნენ. კაცმა მიუგო ბუჩქიდან: სხვა არაფერი არ მინდა, ვისიც ტანისამოსი მე მაქვს, ის ჩემი ცოლი იყოსო. რა უნდა ექნათ, სხვა ღონე აღარა ჰქონდათ და დაუტოვეს უნცროსი ქალიშვილი ამ კაცს ცოლად. როცა უფროსი ქალიშვილები ზევით მიდიოდნენ, უნცროსმა ქალიშვილმა დაუძახა: ჩემ დედ-მამას უთხარით, რომ კვირას უსათუოდ ნატვრის ბეჭედი გამომიგზავნონო, უფროსი ქალიშვილები წავიდნენ ზეცას, უნცროსი კი თავის ქმართან დარჩა ქვეით.

იყო კვირამდი ცოლ-ქმარი ამნაირ მდგომარეობაში. კვირა დილას კი ჩამოუვიდათ ზეციდან ნატვრის ბეჭედი. ძლიერ გაუხარდათ. ცოლმა უთხრა ქმარსა, ახლა შენ მითხარი, რაც გინდა, და მე ავასრულებო. ამ კაცმა, რასაკვირველია, რაც სურდა, ყოველისფერი უთხრა, და ყოვლისფრის ნატვრა ასრულდა. ინატრეს მშვენიერი მინდორი, — გაჩნდა, ინატრეს სოფელი და — გაჩნდა, რაც კი უნდოდათ, ყოვლისფარი აუსრულათ ამ ნატვრის ბეჭედმა. ბოლოს, როცა გამდიდრდნენ, ქმარმა უთხრა თავის ცოლს, — კეისარი და მისი სამეფო დაჰპატიეთოთ. ცოლმა უთხრა: რა შენი საქმეა კეისრის დაჰპატიებო, ნუ იზამ, თვარა ბოლოს ინანებო. ქმარმა უთხრა: რაც რომ ჩვენ კეთილი საქმე დაგვემართა, ეს ყველა კეისრის წყალობით იყოვო. ცოლს რა უნდა ექნა, თავის ქმრის ბძანების წინააღმდეგობა აღარ შეეძლო. გაგზავნეს კაცი კეისართან, — ლხინი გვაქვს

ამა და ამ დღეს და გვეწვიეთო. კეისარს რომ ეს უთხრეს, გაჰკვირდა, — აქედან მარტო ის კაცი წავიდა, ღვთისაგან გაჩენილი არა ჰქონდა რა და ახლა ჩემი დაპატიება საიდან შეიძლოვო? კეისარმა თავის საბძანებელში ბძანება გასცა, რომ არ დარჩენილიყო არც ძალი სახლში და მისულიყო იმ კაცისას, რომელიც კეისარს ჰპატიობდა.

კვირა დილას ის კაცი სტუმრებს მოელოდა. მართლაც, გაიხედა და ხედავს, — ისე მოდის ხალხი რომ, როგორც ზღვის ქვიშას არ მიეცემა ანგარიში, არც იმას. მივიდა კაცი ცოლთან და უთხრა: ჩვენ მარტო კეისარი დავაპატიეთ და იმას, რაც მის საბძანებელში კაცი ყოფილა, ყველა წამოუყვანიაო. ცოლმა უთხრა: ხომ გითხარი, ინანებ-მეთქი! ამითი კიდევ არაფერი გვიჭირს, მაგრამ ვაითუ რამე უფრო ვინანოთო! მოვიდა კეისარი, გაიხედ-გამოიხედა, — ძლიერ მოეწონა ეს ადგილი. რამდენიმე ხნის შემდეგ კეისარი და მისი მხლებლები დასხდნენ, დაჯდა ეს კაციც თავში. კეისარი გაკვირვებულია, — ნეტა რას გვაჰმევეს ეს კაცი დღესო! კაცს ნატვრის ბეჭედი მუხლზე უდევს. უთხრა ნატვრის ბეჭედს, რომ სუფრა გაშლილიყო. როგორც კი სთქვა, შაშინვე გაიშალა სუფრა სხვადასხვა საჭმელებით. მერე უთხრა, რომ სასმელები გაჩენილიყო. ეგეც ასრულდა. კეისრის ყმაწვილმა რომ ნატვრის ბეჭედი დაინახა, დალუნა თავი, არც ჰამა და არც სვა. მივიდნენ იმასთან და ჰკითხეს: რათ მოგიწყენიაო? მან უთხრა: სანამ იმ ნატვრის ბეჭედს არ მომცემენ, მანამ ფეხს არ მოვიცვლი აქედანო. ბეჭედის პატრონმა რომ ეს შეიტყო, ტირილი დაიწყო და ცოლთან მივიდა. ცოლმა ჰკითხა: რა გატირებსო? მან მიუგო: კეისრის შვილი ბეჭედსა გვთხოვაო. ხომ გითხარიო, — ცოლმა უთხრა, — რომ ინანებო; მაგაზე ნუ სტირიო, კიდევ მოვუზერებთ რამეს, მაგრამ სხვიმის არ დაგეშართოს ასეო, წადი და ასე უთხარი კეისრის შვილსო: კვირა დილას ამ ბეჭედს და ძღვენსაც, ორივეს ერთად, მოგართმევ-თქო. წავიდა კაცი და აგრე უთხრა კეისრის შვილს. კეისარმა და მისმა შვილმა ძალიან გაიხარეს და, რამდენიმე ხნის შემდეგ, გახარებულნი თავის გზას გაუდგნენ.

მეორე დილას ცოლმა მისცა თავის ქმარს ყაჭის დახვეული ძაფი, ვაშლის ოდენა, და უთხრა: სადაც ეგ ძაფი გაგიძღვეს, იქ წადიო, შენ ეს წაგიძღვება ჩემ დედ-მამასთან, ე. ი. შუესთან და მთვარესთან, და მათ უთხარი ჩემ შვიერ, რომ თქვენმა შვილმა გამომგზავნა და თუ გიყვარდეთ-თქო, ერთი ნავთის კოლოფი გამომიგზავნეთ-თქო.

ადგა ეს კაცი, გაიძღვანა წინ ძაფი და წავიდა. როცა იყო, მივიდა მზისა და მთვარის სახლში. ამ დროს მარტი მთვარე იყო სახლში, მზე კი ქვეყანას ანათებდა. საღამოს დრომ რომ მოაწია, მთვარემ ეს კაცი სავარცხლად აქცია და ჭუჭქრუტანაში შეინახა, უთხრა: როცა მზე მოვიდეს სახლში, გამოძვერ ჭუჭქრუტანიდან და უთხარი ყოველისფერი, რაც დავაბარეო. საღამოს მოვიდა მზე. როგორც კი შემოდგა ფეხი სახლში, ამ კაცმა მაშინვე ძაგძაგი დაიწყო შიშისაგან. მზე სკამზე დაჯდა და უთხრა მთვარეს: რაცხა კაცის სული დისო. მთვარემ მიუგო: სულ კაცს ანათებ თავზე და კაცის სული როგორ არ გედინებაო? არაო, — მზემ უთხრა, — მე ყოველთვის თავზე ვადგივარ კაცებს, მაგრამ არასოდეს არ მდენია კაცის სულიო. ამ დროს ჭუჭქრუტანიდან გამოძვერა კაცი და მზეს მუხლთან დაუჩოქა. მზეს გაუკვირდა: ვინ მოგიყვანა აქ, ან ვინა ხარო? კაცმა უთხრა: მე შენი სიძე ვარო, შენმა ქალიწვილმა გამომაგზავნა, — თუ გიყვარდ, ერთი ნავთის კოლოფი გამომიგზავნეო. მზემ უთხრა, — კარქი, ხვალამდი იყავი და ხვალ მოგცემო. მეორე დილას ორივე ადგენ. მზე ქვეყნის სახათებლად აპირებს წასვლას. ამ დროს მზემ უთხრა ამ კაცს: შეგიძლია, ჩემი მადლი რომ მოგცე, ჩემ მაგიერ ანათო ქვეყანას დღესო? კაცმა იმედი უთხრა, გამოართვა მზეს მადლი და წავიდა. წასვლისას მზემ დააბარა, — ელვა სადილს მოგიტანს და კარქად გამოართვიო. შუადღისას ჩემ ბალამდის მიალწეე და ბევრი არ დაპყო, თორემ დასწევო. საღამოს სამხარს მოგიტანს მგელი და იმასაც კარქათ გამოართვიო. წავიდა კაცი ქვეყნის განანათებლად. სადილობის დრომ მოაწია, და ელვას სადილი მოაქვს, შეხედა კაცმა და დაუძახა: რას შვრები, შე ოხერო, რავე წყნარა მოდინარ, გამოიარე ჩქარაო. ელვა მოახლოვდა. კაცმა გამოართო სადილი და ისე გახადა ელვა ცემით, რომ ძვალი და რბილი ყველა რბილად გადაუქცია და ცოცხალ-მკვდარი დაადო იქავე. შუადღისას ბალთან მივიდა. ჩქარა წასვლის მაგიერ ნელა გაიარა და ბალი ფერფლად გადაიქცა. საღამოც მოვიდა და მგელს სამხარი მოაქვს. შეხედა კაცმა მგელს და შეუტია: გამოიარე, შე ფინთო, რავე წყნარა მეეთრევიო? გაუკვირდა მგელს: რას შვრება ე მზე, მის დღეში ამისაგან გლახა სიტყვა არ გამიგონია და დღეს რა დაემართაო? კაცმა სამხარი გამოართო მგელს და იმდენი სცემა, რომ გვერდები შეამტვრია, კბილები აღარ შეარჩინა და დატოვა ისე. საღამოს მზის სახლში მოვიდა ეს კაცი. მზემ ჰკითხა: მოგეწონა თუ არა მზეობაო? მან ძლიერ უქო.

მეორე დილას ის კაცი წასვლას აპირებს, მაგრამ მზემ არ გაუშვია: მოიცა, ჯერ ვნახო შენი გუშინდელი ნასიარულევი და მე რე გაგიშვებო. წავიდა მზე. სადილობის დროც მოვიდა, მაგრამ ელვა არსადაა, — გვიან გამოჩნდა ელვა, ერთ ნაბიჯს დღეს ადგამს, მეორეს ხვალ. მზემ რომ შეხედა, იფიქრა, — სწორეთ იმ კაცის ნამოქმედარი რაცხაო, და დაუძახა ელვას: რავა წყნარა მოდიხარო? ელვამ საცოდავის ხმით მიუგო: შენ ნუ მომიკვდები, გუშინ რომ შენ ჰქუა შეგეშალა, ისე დამტოვე, რომ აგერ-აგერ მოვკვდებო. მზეს ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამს! შუადღისას მზე ბალამდის მივიდა. ნახა, რომ ბალი სულ დამწვარია. გაჯავრდა, მაგრამ რა უნდა ქნას. ხალამოს მგელს სამხარი მოაქვს, მაგრამ ხან იქით ეცემა, ხან აქეთ. მზემ დაუძახა: რა დაგემართა, მგელო, რავა წყნარად მოდიხარო? მგელმა უთხრა: შენი მტერი, გუშინ შენ რომ გადირიეო, იმისთანა არაფერი მინახავსო, ცოცხალი აღარ დამტოვე, ჩემს ყოფას სიკვდილი სჯობიაო. ნუ გეშინიაო, — მზემ უთხრა, — მე როგორც გაწყრომა შემიძლია, ისე წყალობაც კარქ გულზედაო. ააყენა და დატოვა ისე.

მზე იჩქარის, სახლში უნდა მივიდეს, რომ შეიტყოს, რისთვის მიაყენა კაცმა ამოდენა ზარალი. სადამოს სახლში რომ მივიდა, მიიხმო თავისთან ის კაცი და ისე სასტიკად დაუწყო მზერა, დასაწვავად აღარ ზოგავდა. ბოლოს გაჯავრებით ჰკითხა: რას ემართლებოდ ილვას, რომ ცოცხალ-მკვდარი დაგიტოვებიაო? კაცმა მიუგო: ელვა რომ თლათ მომეკლა, იმისი ღირსი იყოვო. ჩვენ სამნი ძმანი ვიყავით, გვეონდა ერთი ყანა. რომ შეღობვა არ დამპირებოდა, შუა ნაწილი ამოვირჩიე, მოვიდა ერთ დამეს ელვა და ჩემი ყანა თავიდან აგლიჯა და ბოლომდი ისე წაიღო, რომ ერთი ფეხისსადგამი მიწა არ დაუტოვებია. მზემ უთხრა: მე მაინც რას შემართლებოდიო, რომ ბალი დამიწვიო? შენ როგორ არ გემართლებოდიო, — კაცმა უთხრა, — ერთ კენისარს ნადი ჰქონდა, შევპირდი იმოდენის მომკას, რამოდენსაც ნადი მომკიდა, და მათოდენა ფულს მაძლევდა. ცოტალა მაკლდა გათავებას. შეგებევწე დაჩოქილმა, რომ პატარა ხანს მოგეცადა ცაზე ჩემი გულისთვინ, მაგრამ არ გამიგონე და იმდენი ფული დამიკარქე. მგელს მაინც რას ერჩოდო? — ჰკითხა მზემ. მგელმა კიდევ უარესი მიქნაო, — უთხრა კაცმა, — ერთმა კენისარმა მწყემსად დამაყენა; შემოდგომამდი თუ ისე მოვწყესდი ჯოგს, რომ არაფერი დაკლებოდა, ჯოგის ნახევარი ჩემი იქნებოდა. შემოდგომამდი კარქათ მყავდა ჯოგი, ასე რომ არც ერთი კრავი არ დაჰკლებია. როცა

სახლში ვრეკავდი და თავის პატრონს ვაბარებდი, — მომეპარა მგელი და ერთი კრავი მომტაცა. ვეხვეწე დაჩოქილი: ნუ წამართმევნეთქი, პატრონისათვის საქონლის ჩაბარება დამაცალე და მერე, შეოხერო, ჯოგის ნახევარი ჩემია, ამოირჩიე, რაც გერჩიოს, და წაიღებეთქი. მაგრამ ვინ გაიგონა! მზემ ვერაფერი ველარ უთხრა, მისცა ნავთის კოლოფი და კაცმა წამოიღო თავის სახლში.

მოვიდა კაცი თავის ცოლთან და ყოველივე უამბო, რაც მას შეემთხვა. კვირა დილას ცოლმა გაგზავნა ქმარი კეისართან, გაატანა ნავთის კოლოფი და უთხრა, — როგორც კი მისცე, მაშინათვე გამობრუნდი და უკან არ მოიხედოვო. ამ დროს კეისარს შეკრებილი ჰყავდა თავისი სამეფო და ყოველ წამს მოელოდა ნატვრის ბეჭედს. მივიდა კაცი და მისცა კეისარის შვილს კოლოფი, უთხრა, რომ ჯერ არ გაეხსნათ. შეიკრიბნენ ყველანი. ბოლოს ახადეს თავი ნავთის კოლოფს. მაშინათვე მოედო ცეცხლი ამ შეკრებილებას, ისე ამოწყვიტა, ერთი არ გადარჩენილა. როცა რომ გაიგონა კაცმა წივილ-კივილი, ველარ მოითმინა და უკან მიიხედა: ეცა ყავრის ნატეხი და ერთი თვალი ამოსთხარა. მივიდა თავის ცოლთან და ყოველისფერი უამბო. დაიწყეს შემდეგ ცხოვრება და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

პირი იქ და ლხინი აქ. ღმერთმა ყველა დაგლოცოთ.

82. მზის პირისნაბანი

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა კაცი, სამივე ცოლიანები. ისე გაიზარდნენ ეს კაცები, რომ არ იცოდნენ ხვნა და თესვა. არც სხვა რამე ხელობა, — მხოლოდ იცოდნენ ნადირობა. ადგებოდნენ დილაზედ, გადიგდებდნენ თოფს მხარზედ, ილღიაში — მშვილდისაარს და გაუდგებოდნენ ტყისაკენ გზასა. წავიდოდნენ, ინადირებდენ, მოიტანდენ სახლში და იმითი ინახამდენ ცოლ-შვილსაც და თავიანთ თავსაც.

ერთხელ დილაზედ ადრე ადგნენ სამივე ძმები, წავიდენ სანადიროდ. იარეს, ბევრი აირეს, მთა და ბარი მოიარეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ინადირეს. მთელი ერთი კვირა ისე იარეს, რომ ერთი ჩიტიც ვერ ინადირეს; ერთი კვირა თითონაც მშვიერი კვდებოდნენ და შინაც ცოლ-შვილი შიმშილით უკვდებოდათ. ერთ ღამეს შიმშილი-

საგან მოქანტულეები მივიდნენ ერთის ხის ქვეშ და დაანთეს ცეცხლი, მოიტანეს ბალახი, დაიგეს ქვეშ და დაწვინენ ცეცხლისპირას. შუალამის დროს შამოაკლდათ შეშა და ჩაუქრათ ცეცხლი. ადგა უმცროსი ძმა, გავიდა ტყეში შეშისთვის, დაუწყო შეშას ძებნა და რადგან ღამეში ვერაფერი დაინახა, ამიტომ ხელებით მიწაზედ ათვალღერებდა. ამ დროს რბილათ რაღაცა მოხვდა ხელში. შეეშინდა მონადირეს, დაბრუნდა უკან, მოვიდა ძმებთან და ეს ამბავი თქვა. ძმები წამოდგნენ გახარებულეები, — იქნება ნადირი იყოს რამეგო; მოუკიდეს მკვარს, წაუძღვათ უმცროსი ძმა და მიიყვანა იმ ალაგას, საცა ის რბილი რაღაცა ენახა. მივიდნენ, ნახეს, რომ მკვდარი კაცი აგდია, რომლისათვისაც ყვავებს თვალეები ამოუჭამიათ. აიღეს ეს მკვდარი კაცი, მოიტანეს თავიანთ ბინაზედ და ცეცხლაპირას დაასვენეს. დასხდნენ სამივე ძმები, შიმშილით გადაყრუებულეები, უფროსმა თქვა: მაინც ხომ მშივრები ვკვდებით და ჯანაბას ჩვენი თავი, მოვქრათ მკვდარს ერთი სამწვადე და შევჭამოთო. — მოვქრათო, რაც იქნეს, იქნესო, — სთქვა მეორემ. ძალიან კარგო, — სთქვა მესამემ. გამოსქრეს სამწვადე, შესწვეს და შესჭამეს. ვახ, რა გემრიელი ყოფილაო. — დაიძახა სამივემ ერთათ. მისდგნენ ამ კაცსა და სულ ერთიანათ შეჭამეს. უმცროსმა ძმამ ერთი მწვადის ნაჭერი ჯიბეში ჩაიდვა და თქვა, — ამას ჩემს ცოლს ჩუმათ მივუტანო.

ადგნენ ძმები დილაზედ და დაბრუნდნენ შინისაკენ. მოვიდნენ სახლში. ცოლებმა ჰკითხეს: სად იყავით ეს ერთი კვირაო? სად ვიქნებოდითო, — იმათ უთხრეს, — მთა და ბარი მოვიარეთ, ვერაფერი ვერ ვინადირეთ და ცარიელეები სახლში ვერ მოვდიოდითო. აილო უმცროსმა ძმამ და თავის ცოლს სხვის უნახავად მისცა მწვადის ნაჭერი. ქალმა ცოტა ჭამა და თქვა: დედავ, რა გემრიელი არისო! ჩააცივდა თავის ქმარს, — რისა იყო ეს ხორცი, რომ ამისთანა გემრიელი ჩემს ღღეში არ მიჭამიავო. ქმარმა არ უთხრა, მაგრამ ქალი უფრო გადაეკიდა, — რისა იყო და რისაო, თუ არ მითხარი, არ შეიძლებაო. მაშ კარქი, შამომფიცე, რომ არავის უთხრა, და გეტყვიო, — უთხრა ქმარმა. ცოლმა დაიფიცა, არავის ვეტყვიო. მაშინ უთხრა ქმარმა, კაცის ხორცი იყოვო, და როგორც იყო, სუყველად ფერს მოუყვა. ქალმა მწვადი ცოტა თითონ შეჭამა და სხვა მაზლის ცოლებს აჭამა. ვიშ, რა გემრიელიაო! — წამოიძახეს იმათაც, და ჰკითხეს: ვინ მოგცა და ან რისა არის ასეთე გემრილიო? — ჩააცივდნენ. ქალმა ველარ მოითმინა უთქმელობა და თქვა: ასე და ასე.

ყოფილა საქმე და ჩემმა ქმარმა მამიტანა ცოტაოდენიო. დედა, რა გემრიელი ყოფილა კაცის ხორციო! — თქვეს ქალებმა და განიზრახეს თავიანთი ქმრების მოკვლა.

დილაზე ადრე ადგნენ ძმები და დაემზადნენ სანადიროდ წასასვლელად. უმფროსი ძმა და საშუალო მალე დაემზადნენ და წავიდნენ, — უმცროს ძმას უთხრეს, ნელა წავალთ და შენც მალე მოგვეწიეგო. ისინი წავიდნენ, უმცროსი კი თავჩაღებული ქალამნის თასმას იმაგრებდა. ამ დროს უეცრად ქალებმა ნაჯახი დაჰკრეს შიგთავში და იქვე სული დააღვივნეს, დასჩხეს, დაჰკუწეს, მოხარაშეს და შეჭამეს. ძმები კი გზაში მიდიან და ფიქრობენ: რათ დაიგვიანა ამდენი ხანით? მემრე თქვეს: იქნება არ შეუძლიან და აღარ წამოვიდავო. იმათ განაგრძეს თავიანთი გზა, საღამომდე ინადირეს და საღამოზედ დაბრუნდნენ სახლში. მოვიდნენ და იკითხეს: სად არის ჩვენი ძმავო? აკი წამოვიდაო! განგებისათ გაიოცა იმისმა ცოლმა. მაშ თქვენ არ გინახამთო? არავო, — სთქვეს ძმებმა, — ჩვენ სახლში გვეგონავო. არა, წამოვიდაო, — ტირილით ეუბნებოდა უმცროსი ძმის ცოლი.

ადგნენ ძმები და წავიდნენ საქებნელათ. იარეს, ბევრი იხეტიალეს, მთა და ბარი მოიარეს, მაგრამ მათი ძმა სად იყო და სად ეძებდნენ ან სად იპოვნიდნენ! ცამ ჩაყლაპა თუ ქვეყანამ, თავიანთი ძმის ამბავი ვერაფერი ვერ შეიტყეს. მოვიდნენ შინ დაღონებულები. ცოლები განგებისათ ჰკითხამდენ: ვერსად ვერაფერი შეიტყეთო? ვერაო, — ამოიხრეს ორივე ძმებმა და დაიწყეს ტირილი.

ბოლოს გადასწყვიტა უმფროსმა ძმამ: ხვალ წავალ და ან ჩემი ძმის ამბავს გავიგებ რასმეს და ან ჩემ თავს იმის ძებნაში მოვიკლამო. გათენდა დილა თუ არა, ადგა უმფროსი ძმა, გადიდო თოფი მხარზე და გაუდგა ძმის საქებნელათ გზას.

იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ თვალგადუწლომელ მინდორში. გაიხედა და შიგ შუა მინდორში დაინახა ერთი ირემი, რომელსაც რქები ცაში მიუბჯენია და ვერსად ვერ მიდის რქების გამოისობით. დაუმიზნა თოფი და უნდა მოეკლა, მაგრამ ირემმა დაუძახა: არ მესროლო თოფიო, მონადირემ აღარ ესროლა, მივიდა ირემთან და ჰკითხა: ვინ გასწავლა კაცის ენავო? ვინ მასწავლა და ღმერთმავო. — უთხრა ირემმა, — მე ირემების ხელმწიფე ვარო, მაგრამ ამ სიგრძე რქები მალონებს, ველარსად წავსულვარო. შეხედა მონადირეს და უთხრა: რას მოგიწყენიავო? კაც-

მა უთხრა: როგორ არ მოვიწყინო, განა არ მმართვეს მოწყენა, — ასე და ასეა ჩემი საქმე: ძმა დამეკარგა, ქვეყნიერებას უამოვლარე, მაგრამ ვერც ცოცხალი ვიპოვნე, ვერც მკვდარი, ვერცა რა შევიტყე რამევეო. ეგ ამბავი მზის მეტს არავის არ ეცოდინებავო, — უთხრა ირემმა. მზესთან ვინ მიმიყვანსო? — ჰკითხა მონადირემ. მე მიგიყვან, — ირემმა უთხრა, — თუ მომცემ პირობას, რომ როცა ჩამოხვალ, მეც გამათავისუფლებო. მისცა პირობა მონადირემ. მაშ კარგი, — უთხრა ირემმა, — ჩემს რქებზედ შეადგი ფეხი, აჰყევი და შიგ ცაში ახვალო. შესაველს კარებში მზის დედა დაგიხვდება და ის მიგიყვანს მზესთანო. შეახტა მონადირე ირემს რქებზედ და წავიდა მალა, ავიდა. ბევრი სიარულს შემდეგ შევიდა ცაში. იქ მზის დედა დაუხვდა, მზე კი შინ არ იყო, — ქვეყნიერობის გასანათებლად წასულიყო. მზის დედამ უთხრა: რა გაგჭირებია, კაცო, რომ აქ მოსულხარო? როგორ არ გამჭირებია, შენი ჰირომე, — უთხრა კაცმა, — ასე და ასეა ჩემი საქმე, — ძმა დამეკარგა, ცამ ჩაყლაპა თუ ქვეყანამ, ვერაფერი ველარ გავიგე რა, და აქ იმიტომ მოვედი, მზეს ეცოდინება და უნდა ვკითხო ჩემი ძმის ამბავიო. მზესთან შენი მისვლა როგორ შეიძლება, შვილო, — უთხრა მზის დედამ, — მზე მოვა, იმის სიცხოველეს ვერ გაუძლებ და დაგწვამსო, — არა, არ შეიძლება, რაც უნდა მაპივიდეს, უნდა ვნახოვო, — უთხრა კაცმა. მაშ კარქიო, — მზის დედამ უთხრა, — მე გადაგაქცევ ნემსად, თვარა მზე რომ მოვა, დაგწვამსო. კარქიო, — უთხრა კაცმა. შეუბერა სული მზის დედამ, გადააქცია ნემსად და შეარჭო კედელში. საღამოზედ მოვიდა მზე, მიიხედ-მოიხედა და თქვა: რა კაცის სული ღვასო! დედამ უთხრა: ქვეყანაზედ შენ დადიხარ და იქიდგან მოგყვებოდა კაცის სულიო. პატარა ხნის უკან მზის დედამ ჰკითხა მზეს: ესა და ეს კაცი რომ აქ იყოს, ხომ არ დასწვამო? არაო, უთხრა მზემ.

მიბრუნდა მზის დედა, შეუბერა სული ნემსს და გადააქცია კაცად. მზემ ჰკითხა მონადირეს: რა გაგჭირებია, კაცო, რომ აქ მოსულხარო? როგორ არ გამჭირებია, ბატონო, — უთხრა კაცმა, — ესე და ესეა ჩემი საქმე, და შენ გეცოდინება, რადგანაც ქვეყანას თავზედ დაჩერებხარო. მზე დაფიქრდა და ბოლოს უთხრა: თქვენ ამა და ამ ალაგას ერთი მკვდარი შეჭამეთ, — ტყუილია თუ მართალიო? მართალიაო, — კაცმა უთხრა. იმ კაცის მწვადის ნაჭერი, — მზემ უთხრა, — თქვენმა უმცროსმა ძმამ თავის ცოლს აჭამა და იმან თქვენს ცოლებსაც აჭამა. რახან კაცის ხორცის გემო გაშინჯეს, მერე,

როცა თქვენ სანადიროს წახვედით, თქვენი უმცროსი ძმა ქალამნის თასმას იმაგრებდა, ქალღებმა ნაჯახი დაჰკრეს და მოჰკლეს. მე მაშინ სახლის ბანიდან დავჩერებოდი. მოსჭრეს თავი, დაჩეხეს, მოხარშეს და შექამეს; ძვლები მოაგროვეს, გაახვიეს თავისსავე ტანისამოსში, წაიღეს და შესავალს კარებში სარძიკველს ქვეშ მიწაში დამარხესო. ეს რომ ყველაფერი უთხრა მზემ, ადგა, დაიბანა პირი და უთხრა კაცსა: აი, ჩემო ძმაგო, ეს ჩემი პირისნაბანი წაიღე და როცა მიხვიდე სახლში, ამოიღე შენი ძმის ძვლები მიწიდან და ერთს სუფთა სუფრაზედ დაამწკრივე, ასო ასოზე მიაწყვე და ჩემი პირისნაბანი მიასხი და გამთვლდება, ხორცს შეისხამს, მხოლოდ სული არ ჩაედგმის. ამოიღო ერთი ხელსახოცი და მისცა: აი ეს ხელსახოცი თვალებში ამოუსვი და გაცოცხლდება შენი ძმა, ისევე ისეთივე იქნება, როგორიც იყოვო. ადგა ეს კაცი, გადაუხადა მზეს მადლობა და წამოვიდა. მოვიდა კარებთან, დაიწყო ძირს ჩამოსვლა, — შეადგა ირმის რქებზედ ფეხი და ჩამოვიდა ძირს. როცა ჩამოვიდა, უთხრა ირემს: რა ალაგს გინდა მოგჭრა რქებიო? — თითო არშინი გაუშვი და სხვა მოსჭერიო, — უთხრა ირემმა. გაუშვა კაცმა თითო არშინი და სხვა მოსჭრა. გადაუხადა ირემმა მადლობა და ტყისკენ გასწია გახარებულმა.

ეს კაცი კი წამოვიდა სახლისკენ. მოვიდა სახლში. მიეგება საშუალო ძმა და უთხრა: რა ქენი, ვერაფერი ამბავი გაიგეო? ვერაფერიო, — ტყუილად უთხრა თავის ძმას. მაშ ეხლა მე წავალ და საცა უნდა იყოს, უნდა ვიპოვნოვო, უმფროსმა ძმამ გააჩერა, — ჯერ პატარა ხანს მოიცადეო. ადგა უმფროსი ძმა, აიღო ბარი, თოხი და წავიდა იმ კარებისაკენ, სადაც მისი ძმის ძვლები და ტანისამოსი იყო დამარხული, მივიდა და დაუწყო მიწას თხრა. მივიდნენ ქალები და უთხრეს: მანდ რათა სთხრი მიწასაო? — რათა და სარძიკველია გამრუდებული და ის უნდა გავასწოროვო, — უთხრა კაცმა. შამოესივნენ სამივე ქალები და ფერგადაკვრით უთხრეს: მანდ არაფერი გასწორება არ უნდავო. ეგ ჩემი საქმეა და მე ვიციო, კაცმა უთხრა. გამოიბრუნეს სამივე ქალებმა პირი და დაიწყეს შიშით კანკალი, — ვაითუ ნახოს თავისი ძმის ტანისამოსი, ვაი ჩვენს მოსწრებას, რაღა გვეშველება, სიკვდილს ვეღარ გადავურჩებითო. ამოთხარა კაცმა მიწა და ამოიღო თავისი ძმის ტანისამოსი, შიგვე იყო ძვლები გახვეული. ამოალაგა ტირილით ტანისამოსიდან ძვლები და ასო ასოზე დაამწკრივა სუფთა ფიცარზედ, მოასხა მზის პირისნაბანი და გაამთელა კაცი, ამო-

უსვა მზის მიცემული ხელსახოცი თვალებში და გააცოცხლა თავისი
 ძმა. უმცროსმა ძმამ ამოისვა თვალებში ხელი და თქვა—რა დიდხანს
 მძინებიაყო. — ისთე დაეძინა ჩემს მტერს, როგორც შენ გეძინაო, —
 უთხრა უმფროსმა. როგორ, რა ამბავი იყო? — იკითხა უმცროსმა.
 ადგა უმფროსი ძმა და მოუყვა სუყველაფერს, როგორც მომხდარი-
 ყო, ან როგორ გააცოცხლა. ეს რომ გაიგეს უმცროსმა და საშუალება
 ძმამ, შესხდნენ იმწამსვე სამივე. ძმები ცხენებზედ და გამოაბეს თითო
 ქალი თითო ცხენის კუდზე, გავიდნენ მინდორში, გააჰენ-გამოაჰენეს
 ცხენები და სულ ლუკმა-ლუკმად დააგლეჯიეს თავიანთი ცოლები
 ცხენებს. დაბრუნდნენ შინ, ითხოვეს სამივემ სხვა ცოლები და ცხოვ-
 რობდენ ძმურად ისევ ისე, როგორც უწინ.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
 ჭატო იქა, ფქვილი აქა.
 ელასა, მელასა,
 ჰიქა მეკიდა ყელასა,
 მთქმელსაც და გამგონებელსაც
 ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

88. მზემავაბუკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი
 კაცი, ყვანდა ორი ქალი. იმ ქვეყნის მპყრობელ ხემწიფეს შვილი
 არა ყვანდა. ინატრა შვილი და მიეცა წლოკი. ხემწიფე ზდიდა ამ
 გველის წლოკს: ყოველდღე ჩაუგდებდნენ ორმოში თითო ყმაწვილს
 შესაჰმელად. ამისთვინ იმ ხემწიფის ხალხი აძლევდა რიგ-რიგ თავი-
 ანთ შვილებსა. როცა იმ კაცის რიგი მოვიდა, რომელსაც ორი ქალი
 ყვანდა, — ერთი პირველი ცოლისაგან და მეორე — მეორისაგან, იმ
 კაცს უნდოდა მიეცა შვილი მეორე ცოლისაგან, მაგრამ ცოლმა არ
 დაანება თავისი შვილის მიცემა, და მან მისცა ქალი პირველი ცოლი-
 საგან. ქალს არ უნდოდა წასვლა, რადგან იცოდა, რომ ის გველის
 წლოკი გაათუქებდა, ტირილი დაიწყო და დაეძინა. ძილში ნახა თა-
 ვისი ალალი დედა, რომელმაც უთხრა: ნუ სტირიო; როცა ორმოში
 ჩავაგდებენ, ის დაიწვილებსო, შენ დაასწარ და ასე უთხარიო: აჰა

შენი დედის ძუძუებით. ეს შავი ფილთაქვეც — მისცა დედამ — დაა-
ნახეო.

მეორე დღეს წაიყვანეს ეს ქალი იმ გველის წლოკთან. ჩააგდეს
თუ არა ორმოში, ისე უთხრა, როგორც დედამ ასწავლა: უცებ ის
გველის წლოკი მშვენიერ ვაჟად გადაიქცა, იმათ შუა ალვის ხე ამო-
ვიდა და იმათ თამაშობა დაიწყო. გავიდა ორი-სამი დღე, — ეს გვე-
ლის წლოკი აღარ ჩხავის. მეფემ გაგზავნა ვეზირები გასაშინჯავად, —
ხომ არ მოკვდაო. ნახეს, რომ ის გველის წლოკი ვაჟად გადაქცეულა,
ის და ერთი ქალი ზიან და იმათ შუა ალვის ხე ამოსულა. ეს ამბავი
წაუღეს ხემწიფეს. ხემწიფემ არ დაუჯერა, გაგზავნა სხვები. იმათაც
ისე უამბეს. შემდგ თითონ წავიდა. ნახა, რომ ერთი ვაჟი და ერთი
ქალი თამაშობდნენ და იმათ შუა იდგა ალვის ხე. ჩავიდა შიგა, ამო-
იყვანა ვაჟი და ქალი და წამოიყვანა თავის სასახლეში. გამოჰკითხა
ქალსა, როგორ მოხდა ესაო, და იმან დაწვრილებით უამბო. შემდგ
ამისა ხემწიფემ იმათ ჯვარი დასწერა.

დედინაცვალმა როცა შეიტყო, რომ მისი გერი ამ ამბავშია,
წავიდა ხემწიფესთან, მივიდა სასახლესთან და კარებზე ჩამოჯდა.
მსახურებმა ჰკითხეს, რა გინდაო; მან უპასუხა — ხემწიფის ნახეაო.
შეიყვანეს ხემწიფესთან, და ხემწიფემ ჰკითხა: რა გინდაო? ქალმა
უთხრა: მე თქვენი რძლის დედა გახლავარო, მამა მისი შეწუხებულ
არის და მაგის ნახვას თხოულობსო, თუ შეიძლება, წავიყვან შინა და
ისევე მალე წამოვიყვანო. ხემწიფეს ჯერ არ უნდოდა რძლის გაგზავ-
ნა, მემრე კი მისცა. დედაკაცმა წამოიყვანა. მივიდნენ თუ არა შინა,
დედაკაცმა ქალს გინება დაუწყო, გაჰხადა ტანისამოსი და თავის
შვილს ჩააცვა და ეს თავისი შვილი ხემწიფეს მიჰგვარა, ის ქალი კი
ტიტველა გარეთ გააგდო. იარა იმ ქალმა ღამ-ღამითა, რადგანაც
ტიტველი იყო. მიუახლოვდა ერთ დაქვეულს საყდარს და შევიდა
შიგა, ნახა, რომ იქ მკვდარი ვაჟი ესვენა კუბოში. მზე რომ ჩავიდო-
და, ეს მკვდარი გაცოცხლდებოდა. ციდგან ჩამოუვიდოდა ერთი პუ-
რი და ერთი სავსე ლიტრა წყლითა, სინათლე რომ მოატანდა, ის
გაცოცხლებული ისევე მოკვდებოდა. ქალი მიიმალა კუთხეში. რომ
ნახა ესა, ძალიან გაუკვირდა. მკვდარს რომ პური და წყალი ჩამოუ-
ვიდოდა, მივიდოდა, მოსტეხდა პურს, დალევდა წყალს და დაიმალე-
ბოდა. მკვდარი რომ გაცოცხლდებოდა, ნახამდა ნაკრულს წყალს
და მოტეხილს პურს. ერთხელ ამ ყმაწვილმა თქვა: ღმერთო, რა შეგ-
ცოდე, რომ საწრლო დამიკელიო? მემრე დაიძახა: თუ აღამიანი ხარ,

თქვიო. ქალმა გამოხდახა, ადამიანი ვარო. აბა დამენახეო, უთხრა ვაჟმა. დენახა ქალი, გაიცნეს ერთმანეთი. ქალმა ჰკითხა: რათა ხარ შენ აგრეო? მან უპასუხა: ერთხელ შარდი გადავღვარე მზეზედაო და მზემ დამწყველაო და ამისათვის მომივიდა ეს სენიო. ქალი დარჩა მასთან საყდარში რამდენიმე თვე. ბოლოს რომ დაორსულდა მისგან, ვაჟმა უთხრა: წადი ჩემი დედ-მამის — ხემწიფის სახლში და უთხარი დედაჩემს: შენი მზეჭაბუკის მზესაო, მომალოგინებინეო. ჩემ სახელს ახსნებ თუ არა, მიგიღებსო. წავიდა ქალი ვაჟის დედასთან, უთხრა ისე, როგორც ვაჟმა დააბარა. დედამ მიიღო, მისცა ოთახი და მოალოგინებინა. ის ვაჟი ღამ-ღამით მოდიოდა ქალთან. მოსამსახურეებმა ამბავი მიუტანეს დედოფალს, — შენი მზეჭაბუკი აქ მოდის ხოლმეო. დედოფალმა ჯერ არ დაიჯერა, მერმე დაიმალა გზაში და როცა ღამის დროს მოვიდა მზეჭაბუკი, მივარდა შვილს, გადაეხვია და უთხრა: რა ვიცოდი, თუ შენი იყო, თორემ უფრო კარგათ შევინახამდი შენს ცოლს და შვილსაო. შვილი აღარ გაუშვა საყდარში. გათენდა თუ არა, ის ისევ მოკვდა.

მზეჭაბუკის ცოლმა თქვა: მე თუ არ მოვარჩინე ეს, რა ქალი ვარო. ჩაიცვა რკინის ქალამნები, დაიჭირა ხელში რკინის ყავარჯენი და წავიდა წამლის საშოვრათ. იარა, იარა და მივიდა საიქიოში. ნახა ბევრი სანახავი, ერთი ცოლ-ქმარნი ერთ ცულის ტარზე იწვნენ და ეძინათ. ჰკითხა: განა ალაგი არ არის, რომ აგრე ვიწროთ წევხართო? იმათ უთხრეს: ამვლეი ბევრი გვინახამს, ჩამოვლილი კი არაო, — როცა გამოივლი, მაშინ გეტყვითო. შემდეგ ნახა, რომ ერთ კაცს აუკიდნია ძეძვი და მიაქვს, ვერ ერევა და მაინც კიდევ უმატებს. იმას უთხრა: ჯერ ეგ წაიღე და მემრე სხვა აიღეო. იმან უპასუხა: ამვლეი ბევრი გვინახამს, ჩამომვლეი კი არაო, — როცა ჩამოივლი, მაშინ გეტყვით ამის პასუხსაო. შემდგომ ნახა, რომ ერთ დედა-კაცს თონე გაუხურებია და ძუძუებით სწუმენდამს თონესა. იმას უთხრა: აი ეგ ჩული აიღე და იმითი მოუხვიო. იმან უპასუხა: ამვლეი ბევრი გვინახამს, ჩამომვლეი კი არაო, — როცა ჩამოივლი, მაშინ გეტყვით მაგასო. ბოლოს მივიდა ქალი მზის დედასთან. მზე შინ დახვდა, ეძინა. დედამ დამალა ეს ქალი შინა, და მზე გააღვიძა, — აღექ, ამოაფინე თავიო, მოდღვედაო. მზე აღგა, პირი დაიბანა და გამოვიდა შინიღგან. მემრე მზის დედამ ჰკითხა ქალსა: რისთვის გარჩილხარ, შეილოო? მან უთხრა: ესე — ქმარი მყავს ამისთანა ავანტურადიო და გთხოვ წამალი მომცეო, რადგანაც შენი შვილის

მიზეზით არის ავთაო. დედამ გამოუტანა მზის პირისნაბანი, მისცა ქალს და უთხრა: სამჯერ აბანე ამ წყლით და მორჩებო.

ქალმა დიდათ გაიხარა, წამოიღო ის წყალი შინ. გზაზედ დახვდნენ ძინი, რომელიც ნახა ავლით. იმ დედაკაცმა, რომელიც ძუძუებს უსომდა თონესა, უთხრა: როცა ცოცხალი ვიყავი და პურს გამოვაცხოვბდი, გლახა რომ მოვიდოდა, არ მოვუტეხდიო და ამისთვის ეხლა ესე ვიტანჯებიო. იმ კაცმა, რომელიც ძეძეს იკიდებდა და იმატებდა, თქვა: როცა ცოცხალი ვიყავი, ცოდობებში ვიყავე გაბმული და ყოველთვის იმას ვცდილობდი, — უმეტესი ცოდვა მექნა, და ახლა აქა ამისთვის ვიტანჯები ესეო. იმ ცოლ-ქმართ თქვეს, რომელიც ერთ ცულის ტარზედ იყვნენ: ის სოფელიც სიამოვნებით და სიყვარულით გავატარეთ და აქაც სიყვარულით ვართო. ამის შემდეგ დაბრუნდა ქალი შინა. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაასხა თავის ქმარს სამჯერ მზის დედის მოცემული წყალი. პირველათ რომ დაასხა, მკვდარი შეინძრა; მეორეთ რომ დაასხა, — უმეტესი მოძრაობა მიეცა, და მესამეთ დაასხა და მკვდარი აღდგა. მზეჭაბუკის დედ-მამამ სიხარულით არ იცოდნენ, რა ექნათ. ასე გაანთავისუფლა მზეჭაბუკი ცოლმა იმ სენისაგან, მემრე ცხოვრობდნენ მხიარულათ და ბედნიერათ.

პირი იქა, ლხინი აქა.

88ა. მზეჭაბუკის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე და ჰყავდა სამი მზეთუნახავი ქალიშვილი. ეს ქალები ხემწიფეს მაღალ კოშკში ჰყავდა, სადაც მზე არ ხვდებოდა. ერთხელ მოვიდა ამ ხემწიფის დღეობა და მამამ ჰკითხა თავის ქალებს: რა გინდათ გიყიდოთო? უმფროსმა ქალმა უთხრა: ისეთი სარკე მიყიდე, სააქოც სჩანდეს და საიქიოცაო. შუათანამ უთხრა: ისეთი კაბა მიყიდე, თავისთავად ჩამეცოს და გამეხადოსო. უმცროსმა ქალმა უთხრა: ედემ-ყვავილის კაბა მიყიდეო. ორივე უმფროს ქალს უყიდა მამამ, რაც დააბარეს, და უმცროსი ქალისთვის კი ვერ იშოვა. წამოვიდა ხემწიფე შინისკენ და გზაზედ შემოხვდა ერთი დევი. ჰკითხა დევმა: რათა ხარ დაღონებულიო? ხემწიფემ უთხრა, — ედემ-ყვავილის კაბა მინდა და ვერ მი-

შოვნიაო. დევმა უთხრა, ამაზედ ნუ დაღონდები, ამას მე მოგცემო. გეხარდა ხემწიფეს, მისცა ბლომად ოქრო-ვერცხლი, გაშოართვა ედემ-ყვავილის კაბა და მიუტანა უმცროს ქალს.

მეორე დღეს სამივე ქალები აივანზე ისხდნენ, უმფროსი სარკეში იხედებოდა, უმცროსებს მამის მოტანილი ახალი კაბები ეცვათ. ამ დროს მიეპარა ეს დევი, რომელმაც ხემწიფეს ედემ-ყვავილის კაბა მიჰყიდა, მოიტაცა უმცროსი ქალი და წაიყვანა.

ამ დევს ორი მოჯამაგირე ჰყვანდა, — ერთს შინ უშვებდა და ერთი თან მიჰყვანდა ტყეში სანადიროთა. ის ბიჭი, რომელიც შინ რჩებოდა, დარიგებული იყო დევისაგან, — იმ ქალს მაგარი ღვინო დაუდგას, რომ დაითროს, დაეძინოს და ველარ გაიპაროს. ქალმა ეს ეშმაკობა გაუგო, და როცა სუფრაზედ სხდებოდნენ, ის ბიჭი გარეთ გაგზავნა და მანამ შემობრუნდებოდა, სასმელი გამოუცვალა. როდესაც შემოვიდა ბიჭი და დასხდნენ სუფრაზედ, ბიჭმა დალია თუ არა, მაშინვე მეეკიდა და იქვე დაეძინა. მაშინ ქალი ადგა და გაიქცა. რო მირბოდა, ქვამ, კლდემ, ღრემ, მიწამ და წყალმა დაიწყეს ყვირილი: წავიდა, წავიდა, წავიდაო. დევმა ეს გაიგონა და გამოუდგა ქალს. ქალმა მიირბინა ერთ საყდართან, უარა გარშემო, მაგრამ ვერ შევიდა, — საყდარს კარები არა ჰქონდა. მაშინ ინატრა ქალმა: ღმერთო და ჩემო ბედო ინძის ყვავილო, ამ საყდარს კარი გაუჩინეო. ეს რომ დაასრულა, ერთბაშად გაიხსნა კედელი და ქალი შიგ შევიდა. მაშინ კიდევ ინატრა ქალმა: ღმერთო და ჩემო ბედო ინძის ყვავილო, ამ საყდარს კარი გაუუქმეო: მაშინვე შეიკრა კედელი, მაგრამ ქალს კაბის ნაწილი გარეთ დარჩა და დევმა ამ კაბაში სტაცა ხელი და არ გაუშვა. მაშინ ქალმა გაიხადა კაბა და დევს შეატოვა ხელში, თვითონ საყდარში დარჩა.

საყდარში ქალმა ნახა ერთი მკვდარი კაცი კუბოში: თურმე როდესაც მზე ამოვა, ეს კაცი მოკვდებდა, და როდესაც მზე ჩავა, — გაცოცხლდებდა. ამ კაცს საჭმელი ზეციდამ მოსდიოდა. ქალი დაიმალა საყდარში. როდესაც ანგელოზები საჭმელს მოიტანდნენ, ეს ქალი გაჰყოფდა შუაზედ, — ნახევარს თითონ შესჭამდა და ნახევარს იმ კაცისთვის გადადებდა. კაცს უკვირდა, — წინათ ბევრი მოსდიოდა საჭმელი და ეხლა კი ნახევარი იყო. ბოლოს დაიყვირა: ვინა ხარ, რა სურიელი ხარ, გამოდიო. ქალმა ხმა არ გასცა. მერმე კაცმა დაიფიცა, და ქალმა უთხრა: ტიტველი ვარ და ვერ გამოვალო. მაშინ კაცმა კუბოლამ ამოიღო ტანისამოსი და გადუგდო ქალსა. ქალმა ჩაიცვა და

გამოვიდა. ზეცილამ გამოვიდნენ ანგელოზები და ჯვარი დასწერეს.

რამდენიმე ხანის უკან ქალი დაორსულდა და უთხრა ქმარსა, აბა ეხლა დასაწოლი ვარ და სად დავეწვეო. ქმარმა უთხრა: წადი, იპოვნე თამარ დედოფლის სახლი, — შე თამარ დედოფლის შვილი ვარო, — იქ მიიდი, სთხოვე ალაგი და იქ დაწევიო. როცა მიხვალ, ძაღლები გამოგივარდებიანო, მაგრამო, — კაცმა ამოიღო ჯიბილამ ბეჭედი და მისცა ქალს, — ეს ბეჭედი აჩვენე და არას დაგიშავებენო. წავიდა ქალი. იარა, იარა და იპოვა თამარ დედოფლის სახლი. რომ შედიოდა, ძაღლები გამოუვარდნენ, მაგრამ ქალმა ბეჭედი აჩვენა და გაჩუმდნენ. გამოვიდა მოახლე: ქალმა ალაგი სთხოვა მოსალოგინებლად. მისცეს ქალს ერთი საქათმე და იქ მოილოგინა. — ვაჟი ეყოლა. როდესაც მზე ჩავიდა, ამ ქალის ქმარი მოვიდა და ბანილამ ჩამოსძახა ცოლსა: ქალო, როგორ შენ და შენი ძეო? ცოლმა უპასუხა: ჩალა მე და ჩულა ჩემ ძესაო! ქმარმა ჩამოსძახა: ვაი, ოხრათ დაურჩეს დედაჩემს ოქროს ქსოვილი, რომ შენ არ გიგია ქვეშო! მოსამსახურებებმა გაიგონეს ეს ლაპარაკი და მოახსენეს დედოფალს: შენი ძე მოვიდა ამ ქალთან და ელაპარაკებო. დედოფალმა არ დაიჯერა. მეორე ღამეს კიდევ მოვიდა ის კაცი და ელაპარაკა თავის ცოლს. მეორეთაც უთხრეს დედოფალს, მაგრამ დედოფალმა კიდევ არ დაიჯერა. მესამედ დედოფალმა არ დაიძინა და ყური უგდო, როდესაც ის ვაჟი მოვიდა და დაუწყო ცოლს ლაპარაკი. მეორე დღეს დედოფალი შევიდა მელოგინესთან და უთხრა: როდესაც ის ვაჟი მოვიდეს და ზემოდამ ლაპარაკი დაგიწყოს, უთუოდ აქ ჩამოიყვანე, თორემ გაგადებო. მელოგინე შეჰპირდა. მეორე დღეს რომ მოვიდა ქმარი, ქალმა უთხრა: ჩამოდი, ერთი წყალი დამალევინეო. ვაჟმა ჩამოსძახა: ვერ ჩამოვალო, — გათენება მისწრებს და მოვკვდებიო. ცოლი არ მოეშვა, იმდენი ეხვეწა, რომ ჩამოიყვანა. იმოდენა ხანი ელაპარაკა ქმარსა, რომ გათენდა და მოკვდა ვაჟი. მეორე დღეს დედოფალმა რომ ნახა თავისი შვილი, ძალიან გაეხარდა. მაშინვე იმ ქალს გამოუცვალეს ქვეშავები, გამოიყვანეს საქათმოდამ, კარგ ოთანში შეიყვანეს და ოქროს ქსოვილ ქვეშავებში ჩააწვინეს; ყმაწვილსაც ძიძა დაუჭირეს.

ადგა დედოფალი; ჩაიცვა რკინის ტანისამოსი, რკინის ქალამნები, დაიჭირა რკინის ჯოხი და წავიდა თავის შვილისათვის წამლის საძებნელად. იარა, ბევრი იარა და ბოლოს მივიდა ერთ ალაგას, სადაც ერთი ირემი იყო გაჩერებული: ერთი რქა ცაში ჰქონდა მიბჯე-

ნილი და მეორე რქა დედამიწაზედ და ვერ ინძრეოდა. მივიდა დედოფალი ირემთან და უთხრა: ამიშვი შენ რქებზედ, ავიდე ცაში მზის დედანთანო. კარგიო, — უთხრა ირემმა, — მაშ ჩემიც ჰკითხეო. ავიდა დედოფალი ზეცას მზის დედასთან და თაყვანი სცა. მზის დედამ უთხრა: შენ აქ რა გინდა, — ჩემი შვილი რომ შინ იყვეს, ხომ მოგკლავსო! დედოფალმა მოახსენა: მე ერთი შვილი მყავს, რომელიც დღე კვდება და ღამე ცოცხლდება, და იმისთვის მოვედი, რომ შევიტყო, რისგან არის ან რა მოარჩენსო. მზის დედამ უთხრა: ის ჩემგან არის ეგრეო, იმიტომ რომ მე მაგან თოფი მესროლა და მე ეგრე გაეხადეო, და მანამ ჩემი ხელ-პირის ნაბანი არ წაიღო და არ დაბანო პირი, ეგ არ მოარჩებაო. დედოფალმა სთხოვა, რომ თავისი ხელ-პირის ნაბანი მიეცა, და მზის დედამ ჩაუსხა შუშაში და მისცა. მერე ირემზედ ჰკითხა დედოფალმა: ისრე რათ არის, რომ ვერ განძრეულაო. მზის დედამ უთხრა: ირემმა თავი გაიქნიოს, რქები შეენტყრევა და თავის ნებაზედ ივლისო. დედოფალმა თავი დაუქრა მზის დედას და წამოვიდა. რომ ჩამოვიდა, ირემს ისრე უთხრა, როგორც მზის დედამ ასწავლა. გაიქნია ირემმა თავი და განთავისუფლდა.

მოვიდა შინ დედოფალი თუ არა, მაშინვე იმ ნაბანით დაბანა პირი თავის შვილს. გაცოცხლდა ის ვაჟი, — დღეც ცოცხალი იყო და ღამეცა. და ცხოვრობდა დიდ სიხარულში თითონაც, შვილიც, ცოლიც და დედაცა.

84. ცის ძალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ყმაწვილი კაცი. ერთ დღეს თქვა: მორდი წავალ სადმე, ეგება ვიპოვნო რამეო. წავიდა. შევიდა ერთს ტურთა ქალაქში, შემოეყარა ერთი სოვდაგარი. ჰკითხა სოვდაგარმა: ვინა ხარ და სად მიხვალო? ვაჟმა უთხრა, — თუ კარგი ვინმე იქნება, მოჯამაგირეთ დავეუდგებიო. სოვდაგარმა უთხრა: წამორდი ჩემთან, ამ პირობით კი, რომ ჯამაგირს არ გაგირიდებო, — რაც მოგცე, ხმა არ ამოიღო, წაიღე და წადიო. კარგიო, — უთხრა ბიჭმა. წაიყვანა შინ სოვდაგარმა. ისე კარგა ემსახურება ბიჭი, რომ მეტი არ იქნება, ძალიან უყვარს იმ სოვდაგარს. შეუსრულდა ბიჭს სამსახურში წელიწადი. სწორეთ იმ დღეს ერთი ხემწიფის შვილი მოუვიდა სოვდაგარს

სტუმრათ. მიეგება ეს ბიჭი, მიაართვა სადილი, ვახშამი. მეორე დღეს უთხრა ბიჭმა სოვდაგარს: წელიწადი გათავდა და გამისტუმრეო. ადგა სოვდაგარი, გამოუტანა ერთი ლერწამი და მისცა, — აი შენი წლის ჯამაგირიო: გაუკვირდა იმ ხემწიფის შვილს, — ამ ლერწამს რა უნდა უყოს, რათ უნდაო, ერთი თუ არ გავეყვი და არ შევიტყე, რა უნდა იყოს ეს ლერწამი, არ იქნებო. გაჰყვა ხემწიფის შვილი.

მიდის ის ბიჭი დაღონებული, — რათ მინდა ეს ლერწამიო, ფიქრობს. სოვდაგარმა თქვა: გავყვები იმ ბიჭს, ხემწიფის შვილმა ის ლერწამი არ წაართვასო. გაჰყვა. იარა იმ ბიჭმა, ნახა ტრიალს მინდორში ერთი ხე არი. მივიდა, ლერწამი მიაყუდა, დაწვა და დაეძინა. ვნახოთ, ამ ლერწმიდან ისეთი ქალი გამოვიდა, რომ ანათებს იქაურობას. გაელვია ბიჭს, შეხედა, — იმის სიმშვენიერით გული შეუწუხდა. ადგა, აკოცა, — ჩემი ცოლი ხარო. ამ ამბავში მივიდა ის ხემწიფის შვილი და დაუწყო ჩხუბი, — მე ხემწიფე ვარ და მე არა მყამს მაგისთანა ცოლიო. ართმევს. ამ ჩხუბში მივიდა სოვდაგარი, უთხრა ხემწიფის შვილს: რათ ეჩხუბები, ხომ იცი, ერთი წელიწადი მემსახურა. ეგ მივეცი, ვერ წაართმევო, დაანებე თავიო. ხემწიფის შვილმა უთხრა: ორივეს დაგხოცამთ, მეც თავს მოვიკლავ და მაგას ვერ დავანებებ თავსაო. ბოლოს სოვდაგარმა უთხრა: წამოდი ჩემთანა, რაც ვითხრა, ისე მოიქეცი, და მე უკეთეს გიშოვნინი, — ემაგას ის მოახლეთაც არ იკადრებსო. დაანება თავი იმ ბიჭს ხემწიფის შვილმა და წაჰყვა სოვდაგარს.

სახლში რომ მივიდნენ, სოვდაგარმა უთხრა ხემწიფის შვილს: წადი, ამა და ამ ალაგას თეთრი ზღვა არი, მიდი იმ ზღვის პირზე, ამოთხარე ორმო და ჩაქექი შიგა. ცაში ერთი ხემწიფეა, იმას სამი ქალი ყამს, — ერთმანეთზე უკეთესები. ყოველს დღეს მოვლენ, შუადღის დროს, საბანებლად. შენ იქილამ უყურე, რომ გაიხადონ, — მტრედის ბუნებულის კაბა აცვიათ, — უყურე, რომელიც მოგეწონოს, ეცადე ფთა გამოაძრო კაბილამ და დაიძალე. ორი წავა და ის ერთი დარჩებო. ადგა და წავიდა ხემწიფის შვილი. მივიდა იმ ზღვის პირზე, ამოთხარა ორმო, ჩახტა და დაიძალა. მოვიდნენ ქალები, გაიხადეს. უყურა ვაჟმა. სამივე მშვენიერები არიან, მაგრამ უნცროსი უფრო ყველაზე უკეთესია. მიეპარა და გამოაძრო კაბილამ ერთი ფთა. ბანაობის შემდეგ ორმა ჩაიცვა და გაფრინდა, მესამე იქ დარჩა. დაუძახა ამ უნცროსმა: წადით, მეც ეხლავ მოვალო. ეძებს ეს ქალი ფთას, — ვერ იპოვნა. დაიძახა: ვინ ხარ, რა სულიერი ხარ, გამოჩ-

ნდი, ხომ დამინარჩუნე, — დამენახვეო. ამოვიდა ხემწიფის შვილი, უთხრა, — ცოლათ უნდა წაგიყვანო. წამოიყვანა, მოვიდა სოვდაგართან. სოვდაგარმა დასწერა ჭვარი, უყო კარგი ქორწილი და გაისტუმრა. ხემწიფის შვილის სახლში რომ მოვიდნენ, უთხრა ქალმა: ეხლა სადღა წავალ, შენი ვარ და შენო, და ის ფრთა რა უყავიო? მისცა ხემწიფის შვილმა. რომ დაეძინა იმ ყმაწვილს, ქალმა მოიბაფთა და ისევ იქცა მტრედათ და გაფრინდა. გამოელვია ხემწიფის შვილს, — სადღაა ქალი! იწუხა, იტირა, იცა თავში.

წამოვიდა ყმაწვილი, მივიდა იმ სოვდაგართან და უთხრა: თუ მიშველი შენაო, თუ არადა, შენც მოგკლამ და ჩემ თავსაცაო. რა ქნას სოვდაგარმა. დაუძახა — ერთი სპილო ყამს იმას და უთხრა, — ეს ყმაწვილი ამა და ამ ზღვებზე გაიყვანეო, მერე მოდი, გაგანთავისუფლებო. სპილომ უთხრა: აქავე მამკალით, მირჩევენიან, მე როგორ შემიძლიან მაგისი იქ გაყვანაო. არა, არ შეიძლება, უნდა გაიყვანო. უთხრა სოვდაგარმა. წაიყვანა სპილომ ხემწიფის შვილი, მივიდნენ ერთ ზღვის პირზე, ზღვა ძალიან ცხელია. აბა როგორ გაგიყვანო ასეთ ცხელ წყალშიო, უთხრა სპილომ. შევიდა ზღვაში, გაიყვანა. წავიდნენ, მივიდნენ მეორე ზღვაზე, — ის უარესი ცხელია. შევიდა სპილო, გაიყვანა, ბეწვი გასცივედა; ხემწიფის შვილმა ზეთი წაუსვა. წავიდნენ, მესამე ზღვის პირზე მივიდნენ. ისეთია ეს ზღვა, რომ დუღს. აბა როგორ გაგიყვანო აქ, ეს ხომ ვიცი, რომ გაგიყვან თუ არა, მაშინვე მოვკვდები, მაგრამ შენ იმ ქალს ვერ იშოვნიო. იმისთინ, რომ ის ქალი ცაშია, იმისი მამაცა, იმას ქვეითა ჰყავს ერთი მეწისქვილე, წელიწადში ერთხელ აჰკიდებენ ფარშავანგს რამდენსამეათას კოდს პურსა, დაფქვამს ის მეწისქვილე, დააკრენ იმ ფარშავანგსა და აიტანს ცაში. არ ვიცი, თუ ისე როგორმე მოიხერხებ, რომ ცაში ახვიდღ, თორემ ნუ იფიქრებ, რომ შენ ის ქალი ნახოვო. გაიყვანა სპილომ ყმაწვილი ზღვაში და რომ გავიდა, მოკვდა.

წავიდა ხემწიფის შვილი, იარა მრავალი. გავიდა ერთს ტრიალს მინდორში, იქიდან ერთს ქედზე დაინახა სამი კაცი. თქვა: მადლობა შენ, ღმერთო, რომ ადამიანი დავინახეო. ის სამი კაცი ჩხუბობდნენ, ეს მიმავალი ხემწიფის შვილი რომ დაინახეს, უთხრეს ერთმანეთს: რათა ვჩხუბობთ, დავიცადოთ, ეგება იმ კაცმა გაგვაშველოსო. მოიცადეს და ხემწიფის შვილი რომ მოვიდა, შესჩივლეს თავიანთ ჩხუბზე. ხემწიფის შვილმა უთხრა: თქვით, რაზე ჩხუბობთ, და გაგიჩინთ სამართალსო. იმათ უთხრეს: ოთხი რამა გვაქვს გასაყოფი და ვერ

დავზავდით, იმაზე ვიხუბობთო. აბა რა გავქვთ გასაყოფიო, — ჰკითხა ხემწიფის შვილმა. უთხრეს: ერთი ხალიჩა, ერთი სუფრა, ერთი ქუდი და ერთი ჯოხიო. მერე რა შეუძლიან მაგაებსაო — ხემწიფის შვილმა ჰკითხა. უთხრეს: ხალიჩას ის ძალი აქვს, რომ საცა დაუხიშნამ, იქ მაგიყვანსო; სუფრას რომ გაშლი და შეუკვეთამ, რაც საჭმელ-სასმელი გინდა, იქ გაიშლება, თუნდა მილიონი იყოს სტუმარი, მიერთმევაო; ქუდს ვინც დაიხურამს და ჯოხს დაიჭერს, ვისიც ჯავრი გჭირს, მიდგება ჯოხი და იმდენსა სცემს, რაც ხანი გინდა, — შენა ხედამ და ის ვერაო. ეს რომ ხემწიფის შვილმა გაიგონა, იფიქრა, — უთუოთ ღმერთი მიშველისო. უთხრა იმ კაცებს: მომშორდით ცოტა, — ადგილი დაუნიშნა, — იქ იყავით, მე აქ წიგნს დავწერ, სამივეს გაგიყოფთ, წიგნში ჩავწერ, თქვენ მოდით და მოგცემთო. იმათ დაუჯერეს და წავიდნენ. ხემწიფის შვილმა გაშალა ხალიჩა, დაჯდა ზედ და უთხრა: ხალიჩავ, ეხლავ იმ მეწისქვილის კარზე მიმიყვანეო. მაშინვე მიიყვანა. გადმოხტა, დაიხურა ქუდი, დაიჭირა ხელში ჯოხი და შევიდა იმ მეწისქვილესთან, მისდგა და სცემს, ისე რომ სიკვდილზე მიაყენა.

ყვირის მეწისქვილე, იძახის: ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ამოდენა ხანია, არავინ მინახამს, ვინა ხარ, დამენახეო. მოიხადა ქუდი ხემწიფის შვილმა და უთხრა მეწისქვილეს: არ შეიძლება, თუ ცაში არ ამიყვანეო. მეწისქვილე ეუბნება: შენ იქ როგორ აგიყვანო, — წელიწადში ერთხელ გამოგზავნის ხემწიფე ფარშავანგს, გამოგზავნის პურს, დავფქვავ და აიტანენო. აბა მე როგორ აგიყვანოო. ხემწიფის შვილი არ მოეშვა, — უნდა მოახერხო, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო. მერე მეწისქვილემ უთხრა: რა ვიცი, ჭილოფში თუ გაგახვევ, ჩაგატან ტომრებში და ისე აგიტანენ, მაგრამ იქაც ბელლები აქვთ, იქ დააწყობენ, — რა უნდა ქნაო? მერე მე ვიციო, უთხრა ხემწიფის შვილმა. მოიცადა წისქვილში. ჩამოვიდა ფარშავანგი, ჩამოიტანა პური, მეწისქვილემ დაფქვა, ხემწიფის შვილი ჭილოფში გაახვია, ტომრებში დაატანა და ფარშავანგმა აიტანა, იქ დასცალეს. გამოვიდა ხემწიფის შვილი, დაიხურა ქუდი, დაიჭირა ჯოხი და შევიდა, საცა ქალები არიან, — ქალები არა ხედავენ, ეს ყმაწვილი ხედამს. როცა რომ გავიდნენ თავთავის საწოლში, დარჩა მარტო ის უნცროსი ქალი. ყმაწვილმა მოიხადა ქუდი. შეხედა ქალმა, ხედავს, — მისი ქმარი არი. უთხრა: კაცობა ის კი არ იყო, რომ ერთი თვით დამინარჩომეო, კაცობა ის არი, რომ აქედამ წამიყვანოო. ყმაწვილმა

უთხრა: ეგ შენი ნებაა, თუ გამამყვები, წაგიყვანო, მე შენთვის მოგსულვარო. მემრე დაისვა ხალიჩაზე და წამოვიდნენ. დიდი გზა გაიარეს. უთხრა: — აბა გადაიხედო, — გაიხედა ყმაწვილმა და უთხრა: ღრუბლები ირევანო. ეგ ჩემი მამის ჯარის ორთქლიაო, — უთხრა ქალმა. მისცა ხელსახოცი, — გადააგდო. ყმაწვილმა გადააგდო, და იქცა ეს ხელსახოცი ერთ მოხუცებულ კაცათ და ერთ ცხვრათ. მოადგა ცას ხემწიფის ჯარი, ჰკითხეს კაცს, — აქ გამველელი ხომ არავინ გინახამსო? არავინო, უთხრა იმან. გაბრუნდა ჯარი უკან. მოახსენეს ხემწიფეს: არავინ იყო, ერთი ბერი კაცი ვნახეთ, ძლივ დადიოდა, და ერთი ცხვარი ყვანდა, ვკითხეთ და — არავინ მინახამსო, თქვაო.

გაწყრა ხემწიფე, — რატომ არ მამგვარეთო, ის იქნებოდაო. გამოგზავნა კიდევ ჯარი. უთხრა ქალმა ყმაწვილს, — მიიხედო. მან მიიხედა და უთხრა: ცოტათ ჟინქლამსო. ეგ მამიჩემის ჯარის ოფლიაო, — უთხრა ქალმა. და მისცა კიდევ ხელსახოცი, — გადააგდო. გადააგდო ყმაწვილმა, და იქცა ეს ხელსახოცი ღორათ და ერთ მოხუცებულ მეღორეთ. მოადგა ჯარი, ჰკითხეს მეღორეს; ხომ არავინ გინახამს აქ გამველელიო. არავინო, — უთხრა მეღორემ. გაბრუნდა ჯარი, და ხემწიფეს მოახსენეს: არავინ იყო, ერთი მეღორე იყო, ერთი ღორი ყვანდა, ვკითხეთ და შემოგვფიცა, — არავინ მინახამსო.

გაჯავრდა ხემწიფე და თითონ წამოვიდა თავის ჯარითა. ქალმა უთხრა ვაჟს: აბა გაიხედო. — გაიხედა და უთხრა: ძალიან წვიმსო. — ეგ მამიჩემის ცხენის ოფლიაო, — უთხრა ქალმა: მისცა ხელსახოცი, გადააგდო. გადააგდო და — გაჩნდა მღულარე ზღვა, ისე დუღდა, რომ ცას ჩქეფდა. გაღმით ისინი იყვნენ, გამოლმა — მამა და მისი ჯარი, — რას დააკლებდნენ! გაბრუნდა უკან მამა და წავიდა თავის ჯარით. ქალი და ხემწიფის შვილი მივიდნენ თავის სახემწიფოში. დაიწერეს ჯვარი, ცხრა დღე და ღამე ქორწილი იყო. მეც იქ ვიყავი.

პირი იქა, ლხინი აქა.

35. სამნი ძალიშვილნი

ერთნი ცოლ-ქმარნი იყვნეს, არაფერი არ გააჩნდათ საკმელი სამი მარცვლის მეტი. სამნი ქალიშვილნი დაეწერნეს. აცხოვრნა, სანემდინ შეეძლო. რომ გადარიბდეს და ვერ შეიძლეს იმათი რჩენა, უთხრა

ქმარმა ცოლსა: სამი მარილის კვერი გამომიცხვეო. გამოუცხო სამი მარილის კვერი. შვილებს უთხრა მამამა: წემოედითო, აგერ ვაშლი ვიციო. წამოვიდეს. მოემშია ამ სამთა ქალიშვილთა. მამამ შეაჭამა ორი მარილის კვერი. სამთავე მოსწყურდა. მამამ უთხრა, რომეო წამოედითო, მე წაგიყვან წყალზედაო. მოიყვანინა სამნივე მეწყრის თავზე, დააგორვა ეს მესამე მარილის კვერი, — ჩაედითო და სააც ეს კვერი გაჩერდეს, იქ არის წყალიო. ჩაედენს სამნივე, კვერი ქვე ნახეს და წყალი ვერა. მამაი ქვე წამოვიდა და ისინი სამნივე ქვე დასტოვნა იქა.

წამოვიდეს ეს სამნი ქალიშვილნი. მოშივდა და გასტეხეს ეს ერთი კვერი. უფროსთა ორთა დათა ქვე შეჭამეს თავის წილი, უმცროსმა ქვე შეინახა. გამოიარეს კილო დიდი გზაი, მოშივდა კიდევე. მერე ყარეს წილი ამ სამთა დათა და თქვეს: რომელსაც გვერგონ წილში, ის დაგკლათ და შევეჭამოთო. ერგო უმცროს დასა დაკვლაი. ამოილო თავისი წილი მარილის კვერი, რომ ჰქონდა შენახული, დაუტეხა ორთა დათა, თავისი წილი ისევ ქვე შეინახა. გამოიარეს კიდევ დიდი გზაი, კიდევ მოშივდა. ყარეს კიდევ წილი, უმცროს დას ერგო დაკვლაი. ამოილო კიდევ თავისი წილი ლუქმაი და უტეხა ი.რთა დათა. წავიდეს კიდევ და მივიდეს ერთს დიდს ტევრში, დაჯდეს სამნივე. მერე წავიდა უმცროსი დაი. იარა, იარა და მივიდა ხემწიფის მოჯამაგირებთან. რომ მისცემენ ეს მოჯამაგირენი ცხენებს საჭმელსა, მოიპარავს და წაუღებს თავისთა ორთა დათა. ხემწიფეს შეუწუხდეს ცხენები და მაშინ ხემწიფე გაუწყრა მოჯამაგირებსა. მერე მოჯამაგირებმა დაიწყეს ყარაული და დაიჭირეს ის ქალიშვილი, მიიყვანეს ხემწიფესთანა: ეს ჰპარევდაო შენს ცხენებსა საჭმელსაო. ხემწიფემ უთხრა, მოკალითო ეს ქალიო. ქალმა უთხრა, რომეო ერთი სიტყვა მათქმიეთო და მერე მომკალითო. ჩვენ ვიყვენით სამნი დანი საწყალნიო და იმათდა მიმქონდაო საჭმელიო და ვაჭმევდიო. ხემწიფემ უთხრა: წაეო და მოიყვანენო შენნი ორნი დანიო. წავიდა და მოიყვანნა. უმცროსმა დამ უთხრა: ორნი შვილი მეყოლებაო, წენს ზეით ოქრო იქნებაო და წენს ქვეით ვერცხლიო. ის ქალი ითხოვა ხემწიფის შვილმა. დაორსულდა ის ქალი. როცა მოაწია შვილის შობის დრომ, გაგზავნა იმ ქალის ორნი დანი, რომ წაედითო და მოუარეთო. და შობა შვილი (წენს ზეით ოქრო და წენს ქვეით ვერცხლი). ის აიყვანეს იმისმა დებმა და წყალში ჩააგდეს. ძაღლის ლეკვაი მიიყვანეს და დაუწვინეს ლოგინში. მერე უთხრეს ხემწიფის შვილსა, რომ ძაღლის ლეკვაი დაბადაო.

დაორსულდა კიდევ მეორე წელიწადსა, კიდევ დაწვა ლოგინზე-
და და თავისი ორნი დანი ისრით მოსამსახურეებათ გაუგზავნა ხემ-
წიფემა. შობა ქალიშვილი, წენს ზეგით ოქრო და წენს ქვევით ვერ-
ცხლი. ის აიყვანეს და წყალში ჩააგდეს და ძაღლის ლეკვია მიუწვი-
ნეს. ისინი წაიღო წყალმა ორნივე, მეწისქვილემ ამოიყვანა ორნივე
და დაზარდნა. როცა დაიზარდეს, მაშინ უთხრა მეწისქვილემ, რო-
მეო წაედითო და აწ თქვენდა იცხოვრეთო; ერთმანეთთან არ შესც-
დეთო, თვარა და-ძმანი ხართო.

წამოვიდეს ორნივე და გამოვიდეს ერთს დიდ შინდორზედა.
ინატრა ქალმა, ღმერთო, ერთი სარაიები გააჩინეო, და გაჩნდა მარ-
თლა კარქი სარაიი. ისწავლა ამ ვაჟმა ნადირობაი, ჰკლევდა ნადირ-
სა და სცხოვრობდეს ორნივე და-ძმანი იმითი.

ცოლი გააშავა იმ ხემწიფემა და ჰიშკარზე გააკრა, — ვინც გა-
იარ-გამოიარდა, უნდა შეეფუტრთხებიონ.

მერე ძმამ უთხრა დასა, რომ ღუნი-არაყოს ქალი უნდა შევირ-
თოო. დამ უთხრა, რომეო წასულნი დია მინახავანო და მოსულნი
არაო. მაინც არ დაიშალა ამ ვაჟმა და წავიდა. მივიდა თუ არა,
გადმოიხედა ღუნი-არაყოს ქალმა და მოსჭრა თავი. შეიტყო იმისმა
დამ, გასწია და წავიდა. როდისაც მიაწია, გადმოაშვირა ღუნი-არა-
ყოს ქალმა თმა; ჩაავლო ხელი იმ ქალმა და უთხრა: ძმაი წამოვიდა
ჩემი აქაო, და აღარ მოსულაო, — გააცოცხლეო, თვარა ჩამოგაგ-
დებ და მოგკლავო. გაუცოცხლა თავისი ძმაი. როდისაც გაცოცხლდა
ის ვაჟი, ითხოვა ის ქალი, წამოიყვანა ისიც და თავისი დაც და წა-
მოვიდეს სახში.

მეორე დღეს წამოვიდა ის ვაჟი სანადიროს. ის ვაჟი ეპარვის
ნადირს, სხვაი მონადირე ამ ვაჟს ეპარვის. დაინახა ამ ვაჟმა ის
კაცი და გამოიქცა შინა, უთხრა თავის ცოლსა და დასა, რომეო
მონადირე ვინმე მეპაროდაო და გამოვიქცეო. ცოლმა და დამ უთხ-
რეს, რომეო თულა ნახო, წამოიყვანე შინაო. ნახა და წაიყვანა შინა.
იმ დამეს კაი მაინძელი დაუხვდა, მეორე დილას უთხრა იმ კაცმა: აწ
ჩემს სახში წამოეო. გამოვიდეს გარეთ. შებრუნდა ეს ვაჟი ცოლ-
თანა და დასთან და უთხრა, ეს კაცი მპატიყებსო. მისცა ცოლმა
ორი ვაშლი და უთხრა, დასავლეთის ჰიშკარში ქალი ჰკიდიაო და
ეს ორი ვაშლი ძუძუებს ქვეშ შეუდევო და შეფუტრთხებით ნუ შეა-
ფუტრთხებო. როდესაც ამ ვაჟმა მიაწია იქ, აიღო ორი ვაშლი და
შეუწყო ორთავ ძუძუებში, და გაიცინა იმ ქალმა. მივიდეს ხემწიფის

სასახლეშიდა და დაჯდეს პურის ჭამათ. ოს ვაჟი იცნეს თავისთა ორთა დეიდათა, მოუწამლეს საჭმელი; ვაჟმა აიღო და ძაღლებს მიუტანა და თვითონ ხემწიფის ჭამზე დაუწყო ჭამა. მეორე დღეს წაიყვანა ოს ხემწიფის შვილი იმ ვაჟმა ისრივ თავის სახშიდ. როდესაც მოვიდეს, უთხრა ამ ვაჟის ცოლმა ამ ხემწიფის შვილსა, რომეო ეს ვაჟი და ქალი შენი შვილები არიანო და მე რძალი ვარ შენიო; დასავლცთის კარებში რომ ქალი ჰკიდიანო, ისიო დედაი არის ამათიო; წადიო და ის ქალი ჩამოიღეთ და მონათლეთ ისრივეო. ის ქალი ჩამოიღეს და მონათლეს ისრივ. მერე მასუჟან თავისი ორნი შვილნი და რძალი მიიყვანა. ის ორნი ქალნი ცხენის კუდებზე გამოაბნა და დააგლეჯინა ცხენებს.

30. შავ-დათუაშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი. ერთი დღის ნახნავი ჰქონდა და იმას ყარაულობდა. ერთმა დევმა შეიყვარა და დაორსულდა. დევმა უთხრა: დედაკაცი, შენ ორსული ხარ, ვაჟიშვილი გეყოლება და შავ-დათუაშვილი დაარქვიო. დაწვა დედაკაცი, ეყოლა ვაჟი და დაარქვა შავ-დათუაშვილი. ვინც წლით იზღებოდა, ის დღით იზღებოდა; ისეთი რამ იზღება, რომ თითო ყმაწვილს აიყვანს და მხალივით გასწურამს. ერთ დღეს წავიდა ტყეში და ერთი ფთა იპოვნა. ისეთი რამ არის ეს ფთა, ისე ანათებს, რომ შინ რომ მოიტანა და დადო, არც სამთელი უნდა; არც ცეცხლი. დედამ უთხრა: ეგ რა საჩვენოა, წაიღე, ხემწიფეს მიართვი, გაჩუქებს რასმეო. წაიღო და მიართვა ხემწიფეს. ხემწიფემ უბძანა თავის ვეზირს: წაიყვანე ეს ბიჭი და ერთი მუქა ოქრო მიეციო. გამოიყვანა ვეზირმა, ერთი კარგი სილა გააწნა და გაუშვა. წამოვიდა ბიჭი შინა. ხემწიფეს ძალიან მოეწონა ეს ფთა, მნახავებიც მიდიან იმ ფთისა.

შევიდა ხემწიფესთან ვეზირი და მოახსენა: ეგ ფთა ხომ აგრე მშვენიერია და მოგწონს, ამ ფთის ფრინველი, დედალ-მამალი რომ მოაყვანინო, მაშინ ნახამ, რა მშვენიერობა იქნებაო. ვინ მოიყვანსო? — ჰკითხა ხემწიფემ. ვეზირმა მოახსენა: ვინც ეგ ფთა მოიტანა, ის შეიძლებსო, საცა ეგ უპოვნია, ესეც არ გაუჭირდებაო. მაშ კარგო, უთხრა ხემწიფემ. დააბარებინა ვეზირს ის ბიჭი, ვეზირმა უთხ-

რა შავ-დათუაშვილს: ხემწიფე გიბძანებს, შენ რომ ფთა მოიტანე, იმისი დედალ-მამალი უნდა მოიყვანო, თვარა თავს გაგაგდებინებო. წავიდა ბიჭი დაღონებული და დედას უთხრა: ასე მიბძანა ხემწიფემ, ხვალვე წადი და შენ რომ ფთა მოიტანე, იმისი ფრინველი დედალ-მამალი მოიყვანეო. აბა რა ვქნაო, შვილო, — დედამ უთხრა, — მოახსენე, ერთი ცხენი მაინც მამეცი-თქო. წავიდა ბიჭი ხემწიფესთან, მოახსენა, — ერთი ცხენი მაინც მამეცითო. გამოუტანეს ერთი აღვირი, მისცეს და უთხრეს: შედი ჯოგში, დაახარუნე და რომელიც გინდა წაიყვანეო. შევიდა, დაახარუნა, — ჩინებული რაშები და ცხენებია, მაგრამ ერთი საძაგელი ბანჯგვლიანი რაში მივიდა და ჩამოჰკრა ტოტი. წაიყვანა ეს რაში შინა. ვეზირს უძახიან, — ეს რაში რად უნდა ათრიოსო. წაიყვანა ბიჭმა ეს რაში და რამდენიც ხელი გადაუსვა, ისეთი რამ შეიქნა, ისე გაკეთდა, რომ იმ ხემწიფის ჯოგში იმისთანა არა არის რა. და გულთმისანიც არის, უთხრა რაშმა ბიჭს, წავიდეთო.

წავიდნენ, ნახეს ერთს ტრიალ მინდორში ერთი ბებერი. ბებერმა დაუძახა, ბიჭი მოვიდა და უთხრა: რა გინდა, დედიო. ბებერმა უთხრა, — დედაშვილობას არ ვეთქვა, მე ვიცოდით, და რახან დედაშვილობა მითხარი, მითხარ, სად მიდინარო. ბიჭმა უთხრა: ერთი ფრინველის ფთა ვიპოვე, ხემწიფეს მივართვი; ახლა მიბძანა, იმისი დედალ-მამალი თუ არ მიშოვნე, თავს მოგჭრიო. ბებერმა უთხრა: წადი, ამა და ამ ზღვის პირზე რომ მიხვიდე, მოთხარე ორმო, ზეილამ ლასტი დააფარე და შენ შიგ ჩაჯექი, ერთს წიწილას თოკი მიაბი და შიგნიდამ თოკით დაიჭირე, აფრიალე, ის ფრინველები იმ ზღვაშია. ამოვლენ იმ წიწილის ხმაზე, დეცემიან წიწილას და მაშინ შენ მარდათ მოიქეცი, ამოყავი ხელი, დაიჭირე და წამოიყვანეო.

წავიდნენ ბიჭი და რაში, მივიდნენ ზღვის პირზე. მოთხარა შავ-დათუაშვილმა ორმო, დააფარა ლასტი, შეაბა წიწილას თოკი და აფრიალებდა. გამოვიდნენ ფრინველები, დაეცნენ წიწილას. ამოჰყო მარდათ შავ-დათუაშვილმა ხელი, დაიჭირა დედალ-მამალი, წამოიყვანა და მოართვა ხემწიფესა. დიდად გაუხარდა ხემწიფეს და უბძანა ვეზირს, წაიყვანე ეს ბიჭი და ორი მუჭი ოქრო მიეციო. გამოიყვანა ვეზირმა ბიჭი, ერთი კარგი სილა აქით გაჰკრა, ერთი იქითა და გაუშვა. წავიდა ბიჭი შინ ხელცარიელი. იმ ფრინველებს სასახლე გაუკეთეს და შიგ შეიყვანეს. მაგრამ რა ქება მოვახსენოთ იმათი, რომ

ყოველი სახემწიფო-ადამა მნახავები მოდიან, ისეთი მშვენიერობა არი და კარგი სანახავი.

ახლა კიდე შევიდა ხემწიფესთან ვეზირი და მოახსენა: ეგ ფრინველები ხომ კარგია, მაგრამ ასეთი ფრინველების ძვლების სასახლე რომ გააკეთებინო და ეს ფრინველები შიგ ჩასხა და იმღერონ, — აი მაშინ შენ არა ხემწიფე არ შეგედრებაო. ხემწიფემ ჰკითხა: ვინ მომცემს იმ ძვლებსო? ვეზირმა მოახსენა: ვინც ეს ფრინველები მოიყვანა, იმას არ გაუჭირდება ესეცო. კარგიო, უთხრა ხემწიფემ. დაიბარა ვეზირმა შავ-დათუაშვილი და უთხრა: ხემწიფის ბძანებაა, უნდა წახვიდე და საცა იყოს თუ არა, ასეთი ფრინველების ძვლები უნდა მოიტანო, რომ ამ ფრინველებისთვის იმ ძვლების სახლეები გავაკეთებინო. წამოვიდა შავ-დათუაშვილი შინ წელმოწყვეტილი. რაშმა ასწავლა: ხემწიფეს შეუთვალეო, — რახან ძვლებს თხოულობო, მაშინ ათასი ხარი და კამეჩი და ათასი აქლემი, დაფქულ-მარილ-აკიდებული, მამეცითო, ისე კი, რომ სულ ვეზირის ფულით იყოს ნაყიდიო, თუ სხვისა ერთი კაპეიკი ურევია, ეხლავე მოგახსენებთ, რომ ვერ მოვიტან იცოდეთო.

შეუთვალა ეს ხემწიფეს, და ხემწიფემ მაშინვე უბძანა ვეზირს, რომ კაპეიკი არავისი შეუჩიო, თორემ თუ ვერ მოიტანა, შენი კისრი-დამ ამოვიღებო. მისცეს შავ-დათუაშვილს ყველაფერი, როგორც ითხოვა. წავიდა შავ-დათუაშვილი ამ ხარ-კამეჩებით და აქლემებით. მივიდა იმ ბებერთან და უთხრა, ასე და ასეა ჩემი საქმეო. ბებერმა უთხრა: წადი, მიდი ამ ზღვის პირზე, დახოცე ეს ხარ-კამეჩები, დაყარე იქა და დააყარე ეს დანაყილი მარილი. გამოვლენ ზღვიდან ფრინველები, დაეკემიან ზედა და დაიხოცებიან. მერე მოვა ერთი საშინელი წვიმა, გაირეცხება იმ ფრინველების ძვლები, ასე რომ ბროლებივით დარჩება; მერე აჰკიდე იმ ათას აქლემს და წაიღეო. ასე მოიქცა და წაიღო აქლემებით ძვლები. იმდენი იყო, თუნდა ხუთი იმოდენა სასახლე გაკეთდებოდა, რაც ხემწიფემ შეუკვეთა. მიუტანა ხემწიფეს და გადასცალა. ხემწიფემ უბძანა ვეზირს: წაიყვანე ეს ბიჭი და ოთხი მუჭა ფული მიეციო. წამაიყვანა ვეზირმა, ორი სილა აქით შემოჰკრა, ორი იქითა და გამოაგდო. გააკეთეს იმ ძვლების სასახლე, — ისეთია, რომ იმის უკეთესს ვერას ნახამს ადამიანი. ის ფრინველები გალობენ შიგა.

მერე კიდევ შევიდა ვეზირი ხემწიფესთან და მოახსენა: ეგ ხომ ყველაფერი კარგია. ახლა ერთს კლდეში ერთი დევი და ერთი ლო-

მი არის, ისინიც რომ მოაყვანიო და შენი ეზოს გალავანთან დააბმეინო, მაშინ უფრო კარგი ხემწიფე იქნებიო. ვინ მოიყვანსო? — ჰკითხა ხემწიფემ. ვინც ესენი მოიყვანა, იმის მოყვანაც არ გაუჭირდებაო. დააბარებინა ხემწიფემ შავ-დათუაშვილი. ვეზირმა უთხრა: ხემწიფე გიბძანებს, ამა და ამ ტყეში უნდა ჩახვიდე, იქ ერთი დე-ვია და ერთი ლომი, ისინი აქ უნდა მოიყვანო და გალავანთან დააბაო. წავიდა შავ-დათუაშვილი, მივიდა იმ კლდეში, მოსკრა შეშა, ცხრა დღე და ღამე სკრიდა, — შეჰკრა. შემრე ნახა დევი და ლომი, — დევს აჰკიდა შეშა და წამოაღებინა, თვითონ ლომს წაავლო ყურში ხელი და ყურით წამოიყვანა. მოიყვანა ხემწიფის სასახლის გალავანთან და იქ დააბა. შეატყობინეს ხემწიფეს, — მოიყვანაო. ხემწიფემ უბძანა ვეზირს, შავ-დათუაშვილს ექვსი მუჭი ოქრო მიეცო. გამოვიდა ვეზირი, სამი სილა აქით შემოჰკრა, სამი იქით და გამოაგლო.

შევიდა კიდევ ხემწიფესთან ვეზირი და მოახსენა: ახლა ხომ ყველა აისრულე, და ერთს კიდევ მოგახსენებო, თეთრ ზღვაში რომ მარმარილოს კოშკია და იმაში რომ ხემწიფეს ერთი გასათხოვარი ქალი ყამს, ისიც რომ მოაყვანიო და ცოლათ შეირთო, მერე ვილა იქნება თქვენისთანა ხემწიფეო. ვინ მოიყვანსო? — ჰკითხა ხემწიფემ. ვინც ეგენი მოიყვანა, ეგეც შეუძლიანო, ვეზირმა უთხრა. დააბარებინა შავ-დათუაშვილი ხემწიფემ. რომ მივიდა, ვეზირმა გამოუტყბა: ხემწიფემ გიბძანაო, თეთრს ზღვაში რომ მარმარილოს ციხეა და შიგ ხემწიფეს მზეთუნახავი ქალი ყამს, ის ქალი მამგვარე ცოლათაო, თუ არა, თავს მოგჭრიო. გამოვიდა შავ-დათუაშვილი, შექდა თავის რაშზე და წავიდა მზეთუნახავის საძებნელათ. ბევრი იარა. ერთ ადგილას ნახა, ერთი კაცი ზეცას უყურებს, კაცო, ცაში რას შესცქერიო? — ჰკითხა შავ-დათუაშვილმა. შევიდი წელიწადია მშვილდ-ისარი შევისროლე, აღარ ჩამოვარდა, და იმას შევცქერიო. ოჰ, რა კაცი ყოფილხარო! — გაიკვირვა შავ-დათუაშვილმა. რას ამბობ, მე რა კაცი ვარ, — კაცი შავ-დათუაშვილია, დევს შეშა აჰკიდა და ლომი ყურით მოიყვანაო, — უთხრა კაცმა. მე ვარ ისაო. მაშ მიყმეო, უთხრა იმან. არა, გიძმობო. იძმო და წაიყვანა. წავიდნენ. ნახეს გზაში ერთი კაცი პირქვე წევს და დედამიწას ჩაბლუის. კაცო, მანდ რას უყურებო? — ჰკითხა შავ-დათუაშვილმა. ჰინტველები ჩხუბობენ და იმათ ვუყურებო. ოჰ, რა კაცი ყოფილხარო! კაცი მე

კი არა, შავ-დათუაშვილიაო. მე ვარ ისაო. მაშ მიყმეო. არა, გიძმობო, იძმო და წაიყვანა.

იარეს, ნახეს ერთს ადგილას ერთს კაცს წისქვილის დოლაბი ჰკი-
დია ფეხზე. ოჰ, რა კაცი ყოფილხარო — უთხრა გაკვირვებით შავ-
დათუაშვილმა. მე რა კაცი ვარ, კაცი შავ-დათუაშვილიაო. მე ვარ
ისაო. მაშ მიყმეო. არა, გიძმობო, იძმო და წაიყვანა. წავიდნენ, ნახა
ერთ კაცს გუთანი უბია, ხნამს, თან ბელტებს ყლაპამს და იძახის:
ვაი რა მშინანო! ოჰ, რა კაცი ყოფილხარო! — შესძახა შავ-დათუაშვილ-
მა. ეჰ, მე რა კაცი ვარო, კაცი შავ-დათუაშვილიაო. მე ვარ ისაო,
მაშ მიყმეო. არა, გიძმობო. იძმო და თან წაიყვანა, ნახა გზაში ერთი
კაცი, ზღვას ადგა, დაეწაფა, დალევს, ცარიელს ქვიშას გაუშვებს, და
იძახის: ვაი რა მწყურიაანო! ოჰ, რა კაცი ყოფილხარ შენაო! — უთხ-
რა შავ-დათუაშვილმა. ეჰ, მე რა კაცი ვარო, კაცი შავ-დათუაშვი-
ლიაო. მე ვარ ისაო. მაშ მიყმეო. არა, გიძმობო. იძმო და წაიყვანა.
შემოეყარა ერთი ღვდელი, — ერთი ეკლესია ჰკიდია, მიაქნ-მოა-
ქნევს და იძახის: ვაი რა მსუბუქიაო! ოჰ, რა კაცი ყოფილხარ შე-
ნაო! — უთხრა შავ-დათუაშვილმა. ეჰ, მე რა კაცი ვარო, კაცი შავ-
დათუაშვილიაო. მე ვარ ისაო. მაშ მიყმეო. არა, გიძმობო. იძმო და
წაიყვანა. მიადგნენ თეთრ ზღვას. დაუძახა იმ ზღვასრუტნიას: აბა
ერთი დაეწაფე, რომ მშრალად გავიდეო. დაეწაფა და დალია. წა-
ვიდნენ მშრალათ, მიადგნენ იმ კოშკს, საცა მზეთუნახავი იყო. შეუ-
გზავნა შავ-დათუაშვილმა ქალის მამას კაცი და შეუთვალა, ქალს
გთხოვს ჩემი ხემწიფეო. იმან შეუთვალა: ერთი ქვაბი მაქვს, რაც
ჩემ სახემწიფოში საქონელი არი, იმაში ჩავა, და თუ შენ ისეთი
კაცი გყავს, რომ იმას ზედადგარზე შესდგამს, ქალს მოგცემო. მოა-
ტანეს ქვაბი, რაც საქონელი ყვანდათ, სულ გაწყვიტეს და შიგ ჩა-
ყარეს. მივიდა თითონ შავ-დათუაშვილი, ნეკით სამჯერ გადადგა
ქვაბი და შედგა. უთხრა იმ ხემწიფეს: მომე ქალიო. იმან უთხრა:
თუ შენ ისეთი კაცი გეყოლება, რომ მაგას შეშვამს, — მოგცემო.
დაუძახა შავ-დათუაშვილმა ბელტი-ყლაპიას: იქ მიწას ყლაპამდიო
და აბა ეს შეჭამეო. დაეწაფა ის იმ მოხარულ ხორცს, ხორციც და
ქვაბიც ჩაყლაპა და დაიძახა: ვაი რა მშინანო! შავ-დათუაშვილმა
უთხრა ქალის მამას: აბა მომე ქალიო. იმან უთხრა: თუ შენ ისეთი
კაცი გეყოლება ვინმე, რომ ჩემ სახემწიფოში რაც ღვინოა, დალევს,
მოგცემო. მოხადეს ქვაბებსა.

დაუძახა შავ-დათუაშვილმა ზღვასრუტნიას: აბა იმ წყლით გაბერვას

ეს ღვინოები დალიცო. ადგა ზღვასრუტია, მივიდა, დაეწაფა ღვინოს: დალევს, ქვევრს გადააგდებს, დალევს, ქვევრს გადააგდებს, და დაიძახებს,—ვაი რა მწყურიაანო! გაწყვიტა ზედაში იმ სახემწიფოში. უთხრა იმ ხემწიფეს შავ-დათუაშვილმა: აბა მომე ქალიო. ქალის მამამ უთხრა: თუ შენ ისეთი კაცი გეყოლება, რომ ჩემს კაცზე აღრე მოიტანს უკვდავების წყალს,—მოგცემო, თუ არა და — შენ შენთვის იყავიო. დაუძახა შავ-დათუაშვილმა ფეხდოლაბიანს, მისცა შუშა და უთხრა: ამით უკვდავების წყალი მომიტანეო. წავიდა კაცი. წავიდა იმ ხემწიფის კაციც. მივიდნენ უკვდავების წყალზე, დაისვენეს — ხემწიფის კაცს ბანგი პქონოდა, შეაპარა შავ-დათუაშვილის კაცს, და აკი მოეკიდა და დაეძინა. გვერდით ის შუშა უდგას უკვდავების წყლითა. წამოვიდა ხემწიფის კაცი, მოაქვს უკვდავების წყალი. უთხრა შავ-დათუაშვილმა იმას, ვინაც ძირს ჩაიყურებოდა: აბა ერთი გაიხედე, უნდა აქამდინ მოსულაიყო და რა მოუვიდაო. გაიხედა იმან და დაიძახა: ვაიმე, ჩვენს კაცს დასძინებია და იმათი კაცი კი მოდისო. დაუძახა შავ-დათუაშვილმა იმას, ვისაც ზეცას მშვილდისარი შეეგდო და უცქეროდა: აბა ერთი გვიშველე რამე, გაისროლეო. იმანაც გაისროლა ისარი, მოხვდა შუშას, შეაჭყაპუნა წყალი, გამოეღვიძა იმ კაცს, წამოხტა: ვაიმე, ეს რა მამსვლია, დამძინებიაო. ერთი გაიქროლა და მაშინვე შავ-დათუაშვილთან გაჩნდა. ხემწიფის კაცი გზაზე დარჩა. უთხრა შავ-დათუაშვილმა ქალის მამას: ახლა მაინც მომეცი ქალიო, იმან უარი უთხრა. მაშინ დაუძახა შავ-დათუაშვილმა ღვდელს: ღვდელო, იქ საყდარი გეკიდა, აბა ახლა შენ იცი, ამ ხემწიფის ციხე-ქალაქი უნდა წავილოთო. მოუტანეს თოკი, მოსდო იმან ხემწიფის ციხე-ქალაქს, წამოვიდა და დაიძახა: ვაი, რა მსუბუქაო! შენებეწა ხემწიფე: ოღონდა ეგ ჩემი. ციხე-ქალაქი იქვე დადგით და წაიყვანეთ ქალიო. დადგეს ის ციხე-ქალაქი და წამოიყვანეს მზეთუნახავი, მოპგვარეს ხემწიფეს. ხემწიფემ უბძანა ვეზირს: რვა მუჭი ოქრო მიეცი შავ-დათუაშვილსო. გამოიყვანა ვეზირმა, ოთხ-ოთხი შენი მოწონებული სილა გააწნა და გაუშვა.

კიდევ შევიდა ვეზირი ხემწიფისთან და უთხრა: ეგნენ ხომ სულ კარგად მოგივიდა; აბა ერთი კურდღლის რძეც მოიტანე და მასში გაცბანეო, — ჭერ ეგ ბიჭი გაბანე, მერე შენა და მერე ჭვარი დაიწერეო. აბა მაშინ იქნები კარგი ხემწიფეო. კარგო, უთხრა ხემწიფემ. დააბარებინა ვეზირს შავ-დათუაშვილი. ვეზირმა გამოუცხადა: ხემწიფე გიბძანებსო, იმოდენა კურდღლის რძე უნდა მოიტანო, რომ

საარაყე ქვაბი გაიმსოს და აღუღდესო. ჯერ რომა დუღდეს, შენ უნდა გაებანო და მერე ხემწიფეო. წავიდა შავ-დათუაშვილი, შეჯდა თავის რაშზე, უამბო რაშს ეს ამბავი. მიატანეს, საცა კურდღლის ჯოგია. მოწველა და წამოიღო. რაშმა უთხრა: რომ აღუღდება და შენ რომ გეტყვიან, ჯერ შენ გეებანეო, მზათ იყავი და უთხარი, —სანამ ჩემი რაში მაგაში ტუჩებს არ ჩაყოფს, ვერ ვიბანო. მე გულმუცელს ყინულით გავიმსებ, ჩაყოფს პირსა და სულ ყინულს ჩაყოფს. და შენ საჩქაროზე ჩახტი, გაველე და ამოდი, მერე თითონ ხემწიფე ჩაჯდება და ჩაიფუტქებაო. მოუტანა ხემწიფეს კურდღლის რძე, ჩაასხეს ქვაბში, შედგეს ცეცხლზე. რომ აღუღდა, უთხრეს შავ-დათუაშვილს: აბა შენ უნდა ჩაჯდეო. მან უთხრა: მე გავებანები, ოღონდ ჩემმა რაშმა ჩაყოფს ტუჩიო. მოიყვანეს რაში, ჩაყო ტუჩი, გაიხადა შავ-დათუაშვილმა, ჩახტა, გაებანა და ამოვიდა სალი. ჩახტა მერე ხემწიფე და ჩაიფუტქა. დარჩა შავ-დათუაშვილს ხემწიფის საბძანებელი და მზეთუნახავი. დაიწერა ჯვარი. დიახ კარგი ქორწილი ქნა. თავისი დედა მაყვანა და სახლის უფროსად დასვა. ის ვეზირი თავის ცოლ-შვილით სულ გააძევა.

ჰირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

36. ხემწიფის შვილი და მისი რაში

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრმა ხემწიფე. ჰყვანდა სამი ვაჟი. ერთ დღეს ხემწიფემ უთხრა უფროს შვილს: წადი, შვილო, და უკვდავების წყალი მომიტანე, რომ თვალები ამეხილოსო. გამოვიდა კარზე ეს უფროსი ვაჟი, შევიდა თავლაში და ერთი კარგი რაში აირჩია, შეჯდა, დაარტყა მათრახი და სამი მთა გადაიარა. მივიდა ერთ ლამაზ წყაროსთან, ჩამოხტა და დაისვენა. რაშმა უთხრა: ამ წყაროდგან წაიღე წყალი და მამა მოატყუილე, მითომ უკვდავების წყაროდან არისო, თორემ თუ ამ წყაროს იქით წავალთ, შენც დაიკარგები და მეცაო. ამოიღო ვაჟმა წყაროდგან წყალი, შეჯდა რაშზე და გამოსწია უკან. როცა რომ მოვიდა შინ, მიუტანა მამას ის წყალი. ხემწიფემ აიღო, დალია და შეატყო, რომ ის უკვდავების წყალი არ იყო. შვილო, საიდგან მოიტანე ეს წყალიო? — ჰკითხა მამამ. უკვდავების წყაროდგანაო, უპასუხა შვილმა. მაშინ გაბრაზდა ხემწიფე,

რომ შეიღმა მოატყუა, დაუძახა ვეზირებს და უბძანა: ამას სამი როზგი დაარტყითო. დაარტყეს.

მიუბრუნდა ხემწიფე შუათანა შვილს და უბძანა: შენ მომიტანე უკვდავების წყალიო. გამოვიდა ეს მეორე შვილიც სახლიდგან, შევიდა თავლაში და იმანაც ამოირჩია ერთი კარგი რაში. გამოიყვანა, შეჯდა, მათრახი დაარტყა და სამი მთა გადაიარა. ჩამოხტა იმ წყაროსთან, სადაც უფროსი ძმა იყო, და იმანაც დაისვენა. რაშმა უთხრა: წაიღე ეს წყალი და მამა მოატყუილეო. ვაჟმა იუარა, — თუ მოვატყუილე, სამ როზგს დამარტყამენო. რაშმა უთხრა: თუ ამ წყაროს გადავცილდებით, შენც დაიკარგები და მეცაო; ისევ სამი როზგი სჯობია დაიკარგვასაო. ამისო ყმაწვილმა ლიტრა იმ წყაროთი, შეჯდა რაშზე და უკან გამოსწია. მოვიდა შინ და მიუტანა მამას. ხემწიფემ რომ დალია, შეატყო, რომ არც იმან მოუტანა უკვდავების წყალი. უთხრა შვილს: რათ მომატყუილეო? იმან უპასუხა, რომ მე მეგონაო, ის უკვდავების წყარო იყოო. დაარტყეს ამასაც სამი როზგი.

მიუბრუნდა მამა მესამე შვილს და უთხრა: ახლა შენი ჯერიაო. გამოვიდა კარზე ეს უმცროსი შვილი და ძალიან დაღონდა, — იმან ჯერ არაფერი არ იცოდა თავიანთ ეზოს იქით. შევიდა თავლაში, — გაივლის და გამოივლის, დაღონებული — არა იცოდა რა, სად უნდა წასულიყო და სად უნდა ებოვნა ის უკვდავების წყალი. დადიოდა ბევრს აქეთ-იქით. იმ რაშებში ერია ერთი ძალიან გამხდარი რაში. ის რაში მიუბრუნდა ამ ყმაწვილს და ჰკითხა: რათა ხარ დაღონებული? იმან უთხრა: როგორ არ ვიყო დაღონებული, მამას უნდა უკვდავების წყალი მოვუტანო და მე არა ვიცი რა, ეს წყალი სად უნდა ვიპოვოო. რაშმა უთხრა: წადი, მამაშენს მოსთხოვე ნუში და ქიშმიში, გამასუქე და მე გაპოვნინებო. ის რაში გულთმისანი იყო. წავიდა ყმაწვილი მამასთან და მოსთხოვა ნუში და ქიშმიში. მამამ ბძანა. მიეცითო. აქმევედა ყმაწვილი რაშს და ერთ თვეს ისე გაასუქა, რომ მეტი არ შეიძლება. მერე გამოიყვანა ის რაში, დააკრა ბევრი ნუშ-ქიშმიში, შეჯდა და წავიდა. დაარტყა მათრახი და სამი მთა გადაიარა. მივიდა იმ წყაროსთან, სადაც მისმა ორმა ძმამ დაისვენეს, ჩამოხტა, რაშს ნუშ-ქიშმიში დაუყარა და თითონ მწვადები შეიწო. რაში მიუბრუნდა ხემწიფის შვილს და უთხრა: წაიღე ეს წყალიო. ყმაწვილი ძალიან დაღონდა, — იცოდა, რომ სამ როზგს დაარტყამდნენ. არაო, რაშმა უთხრა, გაგეხუმრეო. როცა დაისვენეს,

შეჯდა ხემწიფის შვილი რაშზე, დაარტყა ერთიცა და სამი მთა გადაიარა, გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე. იქ შუა მინდორზე ერთი ბუმბული ეგდო. ის ბუმბული ისე ბრჭყვიალებდა, რომ მთელ მინდორს ანათებდა. როცა გაიარა იმის ახლო, რაშმა უთხრა: აიღებ—ინანებ, არ აიღებ, მაშინაც ინანებო. თუ ეგრე არისო, უთხრა ყმაწვილმა, მაშ ავიღებო. აიღო ის ბუმბული და ჩაიღო უბეში. წავიდნენ, იარეს ცოტა თუ ბევრი, მივიდნენ ერთი ხემწიფის კარზე.

დაუდგა ეს ყმაწვილი ამ ხემწიფეს მოჯამაგირედ. ყმაწვილს მისცეს ცალკე ოთახი. ხემწიფე რომ აძლევდა სანთლის ფულს, იმ ფულს ხემწიფის შვილი ინახავდა; საღამოზე ამოიღებდა იმ ბუმბულს და ის უნათებდა. ეს რომ გაიგეს ვეზირებმა, — რომ ესეთი ბუმბული ჰქონდა, — მივიდნენ ხემწიფესთან და უთხრეს: შენ კი არა ხარ ხემწიფე, ხემწიფე შენი მოსამსახურე არისო, იმიტომ რომ იმასა აქვს ერთი იმისთანა ბუმბული, რომელიც ანათებს როგორც მზეო. ხემწიფემ არ დაუჯერა და თითონ მოინდომა მისი ნახვა. როცა დაღამდა, მიეპარა ჩუმათ მის ოთახს და დაინახა ფანჯრიდგან ის ბუმბული. გაიგო, რომ მართალი იყო, რომ უთხრეს. მეორე დღეს დაუძახა ხემწიფის შვილს და უთხრა: შენ რომ ბუმბული გაქვს, მე უნდა მომცეო. ძალიან შეწუხდა ყმაწვილი, მაგრამ რას იზამდა, — მისცა.

მეორეთ მივიდნენ ხემწიფესთან ვეზირები და უთხრეს: ნამდვილი ხემწიფე მაშინ იქნები, როცა ის ფრინველი გეყოლება, რომელსაც ეს ბუმბული ებაო. ხემწიფემ ჰკითხა: ვინ მოიყვანს იმ ფრინველსაო? ვეზირებმა უპასუხეს: ვინც ეს ბუმბული მოიტანა, იმასაც ის მოიყვანსო. დაუძახეს ყმაწვილს. ხემწიფემ უთხრა: ის ფრინველი უნდა მომიყვანო, რომელსაც ეს ბუმბული ჰქონდაო. არა უშავს რაო, უთხრა რაშმა, წადი და ხემწიფეს ასი ხარ-კამეჩი მოსთხოვე, სულ ვეზირების ფულით იყოს ნაყიდიო. წავიდა ვაჟი და მოახსენა ხემწიფეს. ხემწიფემ დაიბარა ვეზირები და უთხრა: ასი კარგი მსუქანი ხარ-კამეჩი უნდა იყიდოთო. წავიდნენ ვეზირები და რაც რამ ფული ჰქონდათ, სულ დახარჯეს და უყიდეს.

შეჯდა ხემწიფის შვილი რაშზე, წაასხა ხარ-კამეჩი და მივიდა იმ ტრიალ მინდორზე, სადაც ის ბუმბული ეგდო. დახოცა ყველა ეს საქონელი და დასჭრა წვრილათ. ერთი კამეჩისა, რომელიც ყველაზე ღიდი იყო, გამოიღო ფაშ-ფუში, საწელულები ამოსჭრა და შიგ ჩაჯჯა. როცა რომ ჩაჯდა შიგა, რაშმა დაარბია: ამ ლეშს ბევრი ფრინველი

დაეხვევაო და სანამ ფრინველები არ შესჭამენო, მანამდის ის ფრინველი არ მოფრინდებაო. როცა მოფრინდება, ის დააჯდება დიდ ნაჭერსაო. შენ მარღათ მოიქეცი და სტაცე ხელი ფეხზედო. ოქროს ფრინველი გაგაქანებს სამჯერ ზევით და მერე ძირსო, მაგრამ შენ ნუ შეგეშინდება და ნუ გაუშვებ ხელებიდგან, თორემ მიწაზედ დაეცემი და შენი საქმე ცუდათ იქნებაო. რაში დაიმალა ჯაგს უკან. მოფრინდა ბევრი ფრინველი და უცდიან იმ ოქროს ფრინველსა. ჩამოფრინდა ის ფრინველი და დაეცა იმ დიდ ნაჭერს, აიტაცა ზეცას და დაეშო ძირს სამჯერ. მესამეთ რომ ჩამოუშო ძირს, გამოქანდა რაში, მიეშველა ყმაწვილს თავის წიხლებით და დააწყნარეს ფრინველი. წაიყვანა ყმაწვილმა და მიაჩრთა ხემწიფეს.

მესამეთ შევიდნენ ვეზირები ხემწიფესთან და უთხრეს: ნამდვილი ხემწიფე მაშინ იქნები, როდესაც ამ ფრინველის გამზღელს იშოვიო. ხემწიფემ ჰკითხა, — ვინ მოიყვანს იმასო? ვეზირებმა უთხრეს: თუ მოიყვანს, ის მოიყვანს, ვინც ეს ფრინველი მოიყვანაო. ხემწიფემ დააძახებინა ყმაწვილი. უთხრა ყმაწვილს: უნდა ამის გამზღელი მომიყვანოო. ყმაწვილი ძალიან დაღონდა და წავიდა თავის რაშთან. რაშმა ჰკითხა: რათ დაღონებულხარო? როგორ არ დავღონდეო, უთხრა ყმაწვილმა, ხემწიფემ მითხრა, რომ ამ ფრინველის გამზღელი უნდა მომიყვანოო. ნუ გეშინიანო, უთხრა რაშმა, წადი და ხემწიფეს მოსთხოვე ცხრა ლიტრა ერბო და სამი მუჭა მარილი, — სულ ვეზირების ნაყიდი იყოსო. წავიდა ყმაწვილი და მოსთხოვა ხემწიფეს, რაც რაშმა უთხრა. ხემწიფემ უბძანა ვეზირებს, ცხრა ლიტრა ერბო და სამი მუჭა მარილი იყიდეთო. წავიდნენ ვეზირები, სახლ-კარი დააგირავეს და იყიდეს. შეჯდა ხემწიფის შვილი რაშზე, შემოიკრა ის ცხრა ლიტრა ერბო და სამი მუჭა მარილი და წავიდა. მიაღვა ერთს უშველებელს გალავანს, — ისე დიდია, რომ წვერი ცამდინ უწევს. დაღონდა ხემწიფის შვილი და სთქვა: როგორ გადავალთ ამ გალავანს იქითაო? რაშმა უთხრა: სამი ისეთი დამარტყი, რომ სამი შოლტა ტყავი ამძვრესო და სამი მუჭა მარილი დამაყარეო. ხემწიფის შვილმა დაარტყა რაშს სამი ისეთი. რომ სამი შოლტი ტყავი ასძვრა, და სამი მუჭა მარილი წააყარა. რაში გადახტა იმ გალავანს იქით. რომ გადავიდნენ, ხემწიფის შვილმა ნახა, რომ ძაღლებს წინ თივა ეყარათ და ცხვრებს ხორცი. იმან აიღო და ცხვრებს თივა მიუჯდო და ძაღლებს ხორცი. გააღო ერთი კარები და — ერთი ლიტრა ერბო შეასხა, ეგრე მიასხა თითო ლიტრა ერბო ცხრა კარებს.

მეათე კარები რომ შეაღო, ხემწიფის შვილმა დაუძახა მზეთუნახავ ქალსა: რას აკეთებ, კარები გაგიღე, ვერ გაიგეო? იმავე საათში ყმაწვილი უკან გამოიქცა. გამოუღდა უკან ქალი დასაპყრად და დაძახა: მიშველე, კარებოო. კარებმა უპასუხეს: შენი დარდი არა გვაქვს, იმან ერბო შემოგვასხა და შენ გიშველოთო? დაუძახა ქალმა ძაღლებს, — მიშველეთო. ძაღლებმა უთხრეს: შენი დარდი არა გვაქვსო, იმან ხორცი გვაჭამა და შენ გიშველოთო? მერე დაუძახა ქალმა ცხვრებს, — მიშველეთო. ცხვრებმა უპასუხეს: იმან ხორცი აგვართო და თივა დაგვიყარა, და ვულალატოთო? როცა რომ გამოვიდა ქალი კარში, სტაცა ხელი ყმაწვილმა, დაიჭირა, დააწყანარა, შემოსივა რაშზე და წამოიყვანა. რომ მოპყვანდა, ქალმა უთხრა: ისევ შენ შემირთე და იმ ხემწიფესთან ნუ მიმიყვანო, მაგრამ ყმაწვილმა უპასუხა: არა, ხემწიფესთან უნდა წაგიყვანოო. მიადგნენ ერთ ზღვას. რაშმა უთხრა ხემწიფის შვილს: ეს ზღვა უნდა გადავიაროთო და როცა მივალთ შუა ზღვაში, მაშინ ეს ქალი ისეთს დაიყვირებს, რომ ამ ზღვის ქვეშ ჩავცვინდებითო. მაგრამ ეს ქალი როცა დაიხუნთქებდა დასაყვირებლათაო, შენ სამი ჯოხი დაარტყი ისეთი, რომ დაჩუმდესო. როგორც შუა ზღვაში მივიდნენ, ქალმა დაამთქნარა დასაყვირებლათ, ყმაწვილმა აიღო ჯოხი და დაარტყა. გადასცილდნენ ზღვას და მიუყვანა ქალი ხემწიფეს.

მზეთუნახავმა უთხრა ხემწიფეს: საქმე ჩემი მოყვანა კი არ არისო, საქმე ის არის, ჩემი რაში მოიყვანოს მაგანაო. დაიბარა ხემწიფემ ყმაწვილი და უბძანა, — ამ ქალის რაში უნდა მოიყვანოო. ყმაწვილი ძალიან დაღონდა და რაშთან წავიდა. რამ დაგაღონანო? — ჰკითხა რაშმა. როგორ არ დავღონდეო, უთხრა ყმაწვილმა, ხემწიფემ მიბძანა, რომ ამ ქალის რაში უნდა მოიყვანოო. რაშმა დაარჩია: წადი, ხემწიფეს მოსთხოვე ასი ხარ-კამეჩის ტყავი და ასი ჯაჭვიო, სულ ვეზირების ფულით ნაყიდიო. დაიბარა ხემწიფემ ვეზირები და უბძანა, ამას ასი ხარ-კამეჩის ტყავი და ასი ჯაჭვი უყიდეო. ვეზირებმა დააგირავეს თავიანთი ცოლ-შვილი, თავიანთი თავი და უყიდეს ასი ხარ-კამეჩის ტყავი და ასი ჯაჭვი. ეს ასი ტყავი ზედ დააფინა რაშსა და ჯაჭვები მოუჭირა, შეჭდა და წავიდა. იმ ზღვასთან რომ მივიდნენ, ყმაწვილი იქ დააგდო რაშმა და უთხრა: თუ ეს ზღვა გაწითლდა, — წადი შინა, ნულარ. მელოდებიო, თუ გათეთრდა, — ნუ წასვალ. დამიკადეო. ზღვის გათეთრება იმის ბაჩვენებელი იქნება. რომ მე იმ რაშს მოვერიე და მომყავანო.

როცა რომ ჩავიდა ეს რაში ზღვაში და მიუახლოვდა იმ ქალის რაშს, გამოქანდა ეს რაში და ეცა ყმაწვილის რაშსა, — გაიმართა ჩხუბი. აიღებს ქალის რაში, დაჰკრამს ყმაწვილის რაშს კბილებსა და კამეჩის ტყავს ხევეს. ყმაწვილის რაში ქალის რაშს კიდე აძრობს მის ტყავს. ბევრი ხანი იჩხუბებს და მემრე იმ ყმაწვილის რაში მოერია, ისრე რომ ქალის რაშს ტყავი სულ გადააძრო, ყმაწვილის რაშს კი დარჩა კიდევ ორი კამეჩის ტყავი. ზღვა გათეთრდა, მაგრამ ყმაწვილს მოეწყინა ცდა და დააპირა შინ წასვლა. იმ დროს გამოდის მისი რაში და მოჰყავს ქალის რაში თავის ნახირით. რაშმა დაუძახა: სად მიდიხარ, შე უხეირო, შენაო! ყმაწვილი მობრუნდა და ძალიან გაეხარდა, რომ თავისი რაში დაინახა. დაუცადა და როცა მისი რაში გამოვიდა, შეჯდა ზედ და თან წაიყვანა ქალის რაში და ნახირო, მიუყვანა ხემწიფეს. იმდენი იყო ქალის სარჩო, რომ იმ სახემწიფოში ვერ დეტია.

შემდეგ ქალმა უთხრა ხემწიფეს, რომ საქმე ნახირის აქლემების დაწველა არისო. ხემწიფემ ჰკითხა: ვინ უნდა დაწველოსო? ქალმა უპასუხა: ვინც მორეკაო. დაიბარა ხემწიფემ ყმაწვილი და უთხრა, ის აქლემები უნდა დასწველოო. შევიდა ყმაწვილი დაღონებული თავის რაშთან. რაშმა ჰკითხა, — რამ დაგაღონაო. იმან უპასუხა: როგორ რამ დამაღონაო, — ხემწიფემ მიბძანა, ის აქლემები უნდა დასწველოო; როგორ უნდა დაწველო, ხომ წიხლით მომკლესო. ნუ გეზინიანო, უთხრა რაშმა, წადი და იმ ქალს პირობა მიეცი, რომ შეირთამო. წავიდა ყმაწვილი, მისცა ქალს პირობა. ქალმა მისცა ბეჭედი, — ამას რომ უჩვენებ აქლემებს, დაგნებდებიანო.

წავიდა ყმაწვილი იმ ნახირში, რომელსაც იმ ბეჭედს აჩვენებდა, ეწველებოდნენ. სუყველანი რომ მოწველა და რძე ჩაასხა ერთს უშველცბელს ქვაბში, რძემ დაიწყო დუდილი უცეცხლოთ. ქალმა უთხრა ხემწიფეს: იმაში უნდა იბანათო, ხემწიფემ ჰკითხა: წინათ ვინ უნდა იბანოსო? ქალმა უპასუხა: ვინც მოწველაო. ყმაწვილმა რომ გაიგონა ესა, წავიდა თავის რაშთან და ჰკითხა, — როგორ უნდა ვიბანაო, რომ დულსო. რაშმა უთხრა: წადი, მიეცი ქალს პირობა, რომ უეჭველათ შეირთამო. წავიდა, მისცა პირობა, — უეჭველათ შეგირთამო, და ქალმა მისცა მეორე ბეჭედი და უთხრა: ჩააგდე ეს ქვაბში და რძე ნელთბილი გახდებო. როცა რომ გაათავებ ბანაობასა, წინათ შენ ამოდი და მერე ბეჭედი ამოიღე, თორემ ჩაიფუფქებიო. წავიდა ხემწიფის შვილი და როცა რომ ჩადიოდა ქვაბში, წი-

ნათ ბეჭედი ჩაუშო, მერე თითონ ჩავიდა შიგ და იმ ნელთბილ რძეში იბანავა. როცა რომ ამოდიოდა, წინათ თითონ ამოვიდა და მერე ბეჭედი ამოიღო. ეს ყმაწვილი ისეთი თეთრი გახდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ხემწიფეს ეგონა, რომ ისიც თეთრი გახდება, ჩავიდა შიგ და სულ გაიფუჭა.

დარჩა ამ ყმაწვილს მზეთუნახავი ქალი და იმ ხემწიფის საბრძანებელი. იმ დროს ქალმა შეულოცა ყმაწვილის მამას და იმას აეხილა თვალები, და ამ ხემწიფემ თქვა: ჩემი შვილი მოდისო და მოემზადა მის მრალეზად. მოვიდა ყმაწვილი თავისი საცოლეთი, დაიწერეს ჯვარი, გაიმართა დიდი ქორწილი. იმ ქორწილში ყველაფერი იყო, მარტო ჩიტის რძე აკლდა.

მთას ურემი ავიტანე
ვაითა და ვაგლახითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

87. შარაბ-ოლლი და ალექსანდრი

იყო ერთი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. იმას გამოეცხადა სიზმარში ანგელოზი და უთხრა: შენს ბაღში რომ ერთი ვაშლი დგასო, თუ იმაზე ახვალო, შენის ხელით იმ ვაშლის ხიდგან ვაშლს მოჰვლეჯავო, ნახევარს შენ შასქამო და ნახევარს შენს ცოლს შააქმევო, შვილი გაგიჩნდებაო. რფიქრა ამ ხელმწიფემ: ჯერ ადგილზე ვერ დავდივარო და ამ სიმაღლე ვაშლის ხეზე როგორ ავიდევო; ის ვაშლი ისეთი მაღალი არისო, რომა წვერი ცას მიუბჯენიაო, სამი ტოტის მეტი არა აქვსო და თითო ტოტს თითო ვაშლი აბიაო. ადგა და დურგალი დაიჭირა, კიბე გააკეთებინა, რომა ასულეყო და თავის ხელით ის ვაშლი მადგლიჯა.

ავიდა. მანამდისინ ავიდოდა, ერთი ვაშლი დაჭიანებულეყო და მაშინვე ჩამოვარდა. მეორეს ხელი რომ მიატანა, მაშინვე ჩამოვარდა. წისქვილს რუ მიდიოდა და იმ რუში ჩავარდა. მესამე მოგლიჯა ხელმწიფემ და შინ წაიღო.

ერთი უშვილო მკედლის ცოლი მივიდა იმ რუსთან, რომელშიაც ვაშლი ჩავარდა, კოკა მიუდგა და ის ვაშლი კოკაში ჩავარდა. ამადლო დედაკაცმა ის ვაშლი კოკის ყელიდგანა, ჯიბეში ჩაიღო და წა-

მოვიდა შინა, თქვა: საღამოზე სამკედლოდგან დალაღული კაცი მოვაო და იმას შავაჭმევ ამ ვაშლსაო. მოვიდა საღამოზე მკედელი. დედაკაცმა ამოიღო ჭიბიდგან ვაშლი, შუაზე გასჭრა, ნახევარი თვითონ შაჭამა და ნახევარი მკედელს შაჭამა.

იმ ხელმწიფემაც მიიტანა ის ვაშლი შინ, გასჭრა შუაზე, ნახევარი თვითონ შაჭამა და ნახევარი ცოლს შაჭამა.

იმ ვაშლების შაჭმანზე ორივე დედაკაცები დაორსულდნენ, იმ ხელმწიფის ცოლიცა და მკედლის ცოლიცა. წლის თავზე ხელმწიფის ცოლსაცა და მკედლის ცოლსაც ორივეს ვაჟები ეყოლათ. ხელმწიფის შვილს ალექსანდრე დაარქვეს და მკედლის შვილს ყარაბ-ოღლი. რასაც წამს წუთისსოფლისა რამე გაიგეს, ისეთი სიყვარული ჩაუვარდათ ყმაწვილებს ერთმანეთისა, რომა აღარც დღე ეშვებოან ერთმანეთსა და აღარც ღამე.

მოიზარდა ხელმწიფის შვილი ალექსანდრე. დარბის ბანებზე, ჩიტებს მშვილდ-ისარს ესერის და ხოცავს. ერთმა ქალმა გაიარა, მხარზე კოკა უდგას. ალექსანდრემ მშვილდ-ისარი გაისროლა და ქალს მხარზე კოკა გაუტეხა. მობრუნდა ეს ქალი, სხვა კოკა აიღო. დედამ უთხრა, ის კოკა რა უყავიო, რომა მეორე კოკა მიგაქვსო, და ქალმა უთხრა: ალექსანდრემ ისარი მიარტყაო და გამიტეხაო. დედამ უთხრა: თუ კიდევ გაგიტეხოსო, უთხარიო, დაგწყევლო, როგორ დაგწყევლოვო, თუ არა და — ცხრა ძმათ დევების დის სიყვარულიმც ჩაგვარდნიაო გულში-თქვა. გაიარა ქალმა. ალექსანდრემ მეორეთ ესროლა და მეორე კოკაც გაუტეხა. ქალმა უთხრა: დაგწყევლო, როგორ დაგწყევლოვო, თუ არა და — ცხრა ძმათ დევების დის სიყვარულიც ჩაგვარდნიაო გულში.

შავიდა დედასთან ალექსანდრე და დედას უთხრა: როგორღაც ძუძუს ჟინმა მამიარაო და ერთი ძუძუ მამაწოვეო. დედამ უთხრა: შვილო, რაღა დროს შენი ძუძუს მოწოვება არისო, როცა დრო იყო, კიდევ გაწოვეო და კიდევ მოგიშორეო. რომ აღარ მაეშვა, დედამ ჩაუდგა ძუძუ პირში. ალექსანდრემ ძუძუზე კბილები დაადგა დედას და უთხრა: დედავ, გზა დამილოცეო. დედამ უთხრა: სად აპირობ წასვლასა, რომა გზა დაგილოცოვო? შვილმა უთხრა: მე ჩემი ცოცხალის თავით აქ აღარ დავდგებიო, უნდა წავიდეო, ცხრა ძმათ დევების და ცოლათ უნდა შავირთოვო. რომ აღარ დაიშალა, დიდის თხოვნისა და ვედრების შემდეგ, ყარაბ-ოღლი თან გაატანეს და წავიდნენ.

მივიდნენ იმ ცხრა ძმათ დევებს კარზე. დევები შინ არ იყვნენ.

დევების და შინ დაუხვდათ და უთხრა, რა გინდათო, რისთვის მოსულხართო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: აი ეს ხელმწიფის შვილი არისო, ამას ცოლად უნდა შეგერთოვო, კარგათ გაშინჯო, ჭკვაში მოგივაო თუ არაო. შახედა ქალმა აღიქსანდრესა და ძალიან მაეწონა და ქალმა უთხრა: ახლა როგორა გწადიათო, საქმე მოსვლა კი არ არისო, საქმეს როგორ გაათავებთო; თუ თავი არა გაქვთ და ჩემს ძმებს პასუხს ვერ მისცემთო, როგორც მოსულხართ, ისევ ისე წადითო, რომა არავინ გაიგოსო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა ქალსა: პასუხი როგორ უნდა მივცეთ, შენ გეცოდინებაო და შენვე უნდა დარიგება მოგცეო. ქალმა უთხრა: მე აი ასე დაგარიგებთო, — ერთი დიდი ქვაბი უჩვენა, — ჩემი ძმები საღამოზე მოვლენო, ცხრანივე თითო-თითო ირემს მოიტანენო, დასჭრიანო, სულ ამ ქვაბში უნდა ჩაყარონო, შიგ ცხრა კოდი ფქვილი უნდა ჩააყოლონო. შენ გეტყვიანო, ეს ქვაბი სამჭერ უნდა გადმადლოვო და სამჭერ ცეცხლზე შადგაო. მეორეც ამას შემოგიკვეთენო: ერთი ალვის ხე უდგათ, ერთ საქაშეს მოგცემენო, ღვინით სავსესაო, თავზე უნდა დაიდგა ის საქაშე, ისე უნდა ახვიდეო იმ ალვის ხის წვერზედაო და ჩამოხვიდეო, რომა ერთი ნაში ძირს არ ჩამოვარდესო, თუ ჩამოვარდაო, მაშინ ორივეს დაგკამენო. მესამეც: ერთ რკინის კუნძს მოგიტანენო და სანთლის ცულსაო, იმ სანთლის ცულით ის რკინის კუნძი უნდა დახეთქოვო. და უთხრა ქალმა: იმ რკინის კუნძს სანთლის ცულით ასე დახეთქამო, — თავის თმა გამაიძრო და მისცა, — სანთლის ცულის პირზე გადაახვიეო, დაპკარო და როგორც ფუტურო, ისე დასქდება კუნძიო. მეორე თმაც გამაიძრო და მისცა: ესეც იმ ღვინიან საქაშეში ჩადეო და ისე გაიყინებაო, რომა როგორც გინდა ისე აიტანო იმ ალვის ხეზედა და ჩამაიტანო, ნაში არ ჩამოვარდებაო, მანამ ეს თმა შიგ იქნებაო, და როცა ამაიღებ, ისევ ისე ღვინო გახდებაო.

როცა დაღამდა, ცხრანივე დევები მოვიდნენ. თითომ თითო ირემში მაიტანა. თითო-თითოს დაუბუხუნებს ამ მისულებს და ეტყვის: სამტროდ მოსულხართ თუ სამოყვროთაო? ყარაბ-ოღლი ეუბნება, სამოყვროთ მოვსულვართო. დააწყეს ირმები. ყარაბ-ოღლიმ მიგლიჯ-მოგლიჯა ის ცხრავე ირმები, ჩაყარა ქვაბში, ცხრა კოდი ფქვილი დევებმა ჩააყოლეს, დაასხა წყალი და შადგა ცეცხლზედ მარტომა. გაუყვირდათ იმ დევებსა და თქვეს, ჩვენ ცხრანი დავებხვევით ხოლმე და ძლივ შადგამთო, მაგან ცეცხლზე მარტომ შადგაო. უთხრეს: კარგა ვერა დგასო, გადმაიღე, გავასწოროთო და მერე შადგო. ყარაბ-ოღლიმ სამჭერ გადმაიღო მარტომა და სამჭერ ისევ შადგა.

მეორე დღეს გამაიტანეს ქალაქები, ალვის ხეს გაუშალეს ქვე-
შა, გამაიტანეს ღვინით სავსე საქაშე და უთხრეს: ეს საქაშე ისე უნ-
და აიტანო თავით ალვის ხის წვერზედ და ჩამაიტანოვო, რომ ერთი
ცვარი არ დაიღვაროსო. ამიღო ყარაბ-ოღლიმ ის თმა, ჩადო საქაშეში
და გაიყინა ღვინო. ავიდა ალვის ხის წვერზე, საქაშე ჯიბეში ჩაიღო.
გაიხედა, თავისი საქალაქო დაინახა, რომა იმათ დედ-მამას სასახლე-
ებისათვის შავები გადაუკრავთ. ტირილი მოუვიდა და ცრემლი ჩა-
მოვარდა. დაუძახეს დევებმა: ყმაწვილო, კარგია, ჩამოდი, ღვინო
დაგედვარაო. ჩამოვიდა ყარაბ-ოღლი და უთხრეს, რომა ღვინო
დაგედვარაო და როგორც ჩენი პირობა არისო, უნდა დაგკამოთო.
ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ღვინო კი არ დამედვარაო, ჩენი საქალაქო
დავინახეო, შავებგადაკრული იყოვო, ტირილი მამივიდა, ცრემლი
ჩამოვარდაო და ისე გგონიათო, რომა ღვინის წვეთი ჩამოვარდაო.
არაო, ღვინო არისო, — უთხრეს. მაიყვანეს მექაშნიკე, აჩვენეს და
მექაშნიკემ თქვა, რომა ცრემლი არისო.

ახლა მიუტანეს რკინის კუნძი და სანთლის ცული. უთხრეს, ამ
სანთლის ცულით ეს რკინის კუნძი უნდა დახეთქოვო. ამიღო ყარაბ-
ოღლიმ ის თმა, სანთლის ცულს პირზე გადაახვია, დაჰკრა რკინის
კუნძისა და როგორც ფუტურო ხე, ისე დაიფშვინტა. მაშინ ცხრათა-
ვე ძმათ დევებმა დასტური დასცეს ყარაბ-ოღლისა, რომა შენს ძმა
ალექსანდრეს ჩენი და ახლა კი უნდა მივცეთო. ალექსანდრემ თა-
ვიანთ წესზე ჯვარი დაიწერა დევების დაზნდ.

მეორე დღეს ცხრანივე ძმანი დევები და მეთათეც ყარაბ-ოღლი
სანადიროთ ტყეში წავიდნენ. ალექსანდრემ უთხრა თავის ცოლსა:
შენი ძმები რომ ძალიან თავს იღებენო, რა ცხოვრება აქვთ, იმათი
ცხოვრება ყველაფერი უნდა მაჩვენოვო. გაუღო ქალმა შვიდი ოთა-
ხი და რაც შვიდ ოთახში ჰქონდათ, ყველაფერი აჩვენა. მერვე ოთა-
ხი იყო კიდევ და ის კი არ გაუღო. გამოვიდნენ სახლში, დაიწყეს
ხუმრობა და იმ ხუმრობაში ქალს დაეძინა. ალექსანდრემ თავის
ცოლს ჯიბე გაუშინჯა, იმ მერვე ოთახის გასაღები იპოვნა, წავიდა
და გააღო ის ოთახიცა. ნახა, რომა ერთი დიდი საშინელი დევი ჯა-
ჰვით აბია, რომელიც ამ ქალის მოსატაცებლათ მოსულა, მოუსწვრიათ
ცხრა ძმათ დევებსა, ჯაჰვით დაუბამთ იმ ოთახში და დაუკეტიათ.
დევმა უთხრა ალექსანდრესა: ოჰ, რა ღვთისნიერი რამ შემოხველიო,
ამოდელი ხნის დატუსაღებული ვარ და გული მიწუხდებო; თუ
ღმერთი გწამსო, ერთი ბეწო ძმარი მამიტანეო, რომა გული მო-

ვიბრუნოვო. ალექსანდრე გაიქცა შინ, საძმრე ეკიდა, ჩამაილო, ერთ ჯამზე დაასხა და შაუტანა. დევმა აიღო ის ერთი ჯამი ძმარი, გადაჰკრა, ერთი ასწივა ჯაქვსა და მაშინათვე გლაჯანი გაადინა. დაიჭირა ალექსანდრე, — რადგანაც ისეთი სიკეთე უყვო, სასიკვდილოთ კი ვერ გაიმეტა, — მოუგრიხა კისერი, აყარზე შაგდო, ქალი გაიტაცა და გაიქცა.

ყარაბ-ოღლის როგორღაც გულმა გაუგო, დევებს აღარ მოუცადა, წინ წამოვიდა, ცალი მხრით ირემი მაიტანა, ცალი მხრითა ჭანდარი, დაყარა, შავიდა სახლში. ნახა, რომა სახლში აღარავინაა. შავიდა იმ ოთახში. ნახა, რომა ალექსანდრე აყარზე ძევს დაოსებული. ჩამაილო, კისერი გაუსწორა და მასსურჩიელა. სადამოზედ მოვიდნენ დევები, მაიტანეს ირმები, ჭანდრები და ნახეს, რომა დევს ჯაქვი დაუგლეჯია და ქალი მოუტაცნია. დევებმა უთხრეს ყარაბ-ოღლისა და ალექსანდრეს: რადგანაც ეს საქმე თქვენი მოსვლით მოხდაო, თქვენ ორივენი უნდა დაგჰამოთო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: მე რას მერჩითო, ეგ თქვენა და ეგ თქვენი სიძეო. მე წავალო, შვიდი წელიწადი, შვიდი თვე, შვიდი კვირა და შვიდი დღე დამიღვიაო. თუ ამ ვადაზედ თქვენი და მოგიყვანეთო, როგორც მოკეთეობის წესია, ასე მოკეთურათ ვიყვნეთო, თუ ამ ვადაზე ვერ მოველიო, მე მკვდარი ვიქნებიო და მაგ თქვენ სიძეს, რაც თქვენი ნება არის, ის უყავითო.

ყარაბ-ოღლიმ ახსენა ღმერთი და წავიდა. ერთ ალაგას მივიდა. ნახა, რომა მღვდელს ერთი ეკლესია ზურგზე აუკიდნია, დააქვს, სადაც უნდა იქ დადგამს და იქა სწირავს. ყარაბ-ოღლიმ უთხრა მღვდელსა: ნეტავი შენაო, რომა მაგოდენა ეკლესია ზურგზე გკიდიაო, სადაც გინდა იქ მაინხნო და სწირავო, მე ეს ერთი პური მაქვს და ამისი ტარებაც მეზარებაო. მღვდელმა უთხრა: ნეტავი მე კი არა მაქვსო, ნეტავი ყარაბ-ოღლისა აქვსო, რომა ცხრა ძმათ დევებს ერთი და ჰყვანდათო და თავის ძმას ცოლათ შართოვო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ის ყარაბ-ოღლი მე ვარო. მღვდელმა დააგდო ეკლესია და ყარაბ-ოღლის დაედევნა.

წავიდნენ ორნი და გზაში შამახვდათ ერთი კაცი, ფეხებზე წისქვილის დოლაბები შამაეცვა, დადიოდა და კურდღლებს იჭერდა. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ნეტავი შენაო, რომა მაგოდელა დოლაბები ფეხებზე შამაგაცვამსო და ისე კურდღლებს დასდევო და იჭერო, მე ლამის არის ეს ქალმებიც დავიხადოვო და გადაეყაროვო, თორემ დოლაბებს კი როგორ ვატარებო. იმ კაცმა უთხრა: ნეტავი მე კი

არა მაქვსო, ნეტავი ყარაბ-ოღლის დედასა აქვსო, რომა ცხრა ძმათ დევებს ერთი და ჰყვანდათო, ყარაბ-ოღლიმ წაართოვო და თავის ძმას ცოლათ დაუსოვო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა, ის ყარაბ-ოღლი მე ვარო.

გახდნენ ამხანაგათ, წავიდნენ სამნი. გზაზედ ნახეს, ერთ კაცს ერთ მინდორში გუთანი ება, რამდენიც ბელტი გადავარდებოდა, დაავლებდა პირსა და ჩაჰყლაპავდა. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ნეტავი შენაო, რომა მაგოდელა ბელტებსა შქამო, მე ეს ერთი პური მაქვსო და ამისი შექმაც მეზარებაო. იმ კაცმა უთხრა: ნეტავი შე კი არა მაქვსო, ნეტავი ყარაბ-ოღლის აქვსო, რომ ცხრა ძმათ დევებს ერთი დის მეტი არა ჰყვანდათო, ყარაბ-ოღლიმ წაართვაო და თავის ძმას ცოლათ დაუსოვო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ის ყარაბ-ოღლი მე ვარო. უთხრა იმ კაცმა: ამ გუთანს თავს დავანებებო, მეც შენი ძმა ვიქნე-ბიო.

გახდნენ ოთხივე ამხანაგები. გაუძღვა წინა ყარაბ-ოღლი და მი-რეკა იმ ადგილას, სადაც ის დევი იყო, რომელმაც ალექსანდრეს ცოლი მოსტაცა. უთხრა ამხანაგებს: ჩვენ აქ უნდა დავბინავდეთო, ბინაზე თითო დავდგებოდეთო, სამნი სანადიროთ წავიდოდეთო, ნა-ნადირევს აქ მოვიტანდეთო და აქ ვიცხოვროთო.

მეორე დღით სამნი სანადიროთ წავიდნენ, მღვდელი ბინაზე გაუშვეს, ირემი დაუტოვეს მოსახარშად. მღვდელმა ირემი დასჭრა, ქვაბში ჩაყარა. მაიხარშა თუ არა, მაშინათვე ამოჰყო თავი ხაროდ-გან იმ დევმა, — სახელად მას ბაყბაყ-დევი ერქვა — და დაუძახა მღვდელს: ეგ ქვაბი მაიტანეო, წვენიცა და ხორციცა ჩამამასხიო, თორემა ამოვალ და შენც შაგჰამ და მაგ წვენსა და ხორცსაც შეგი-ჭამო. მღვდელი შაშინდა, წაიღო ქვაბითა და ჩაასხა დევს პირში. გაბრუნდა დევი და ჩავიდა ქალთანა. სალამოს მოვიდნენ ამხანაგე-ბი, მაიტანეს ნანადირევი და უთხრეს მღვდელსა: რატომ არა მოგი-ხარშავს რაო? მღვდელმა უთხრა: ხორცი შავდგიო, იწვნივა, იქაფაო და გაქრაო. შიშით ვერ უთხრა: დევი ამოვიდა ხაროდგანა და იმას ჩავასხიო.

მეორე დღილაზე ახლა ფეხებდოლაბიანს ერგო ბინაზე დგომა, სხვები სანადიროთ წავიდნენ. ფეხებდოლაბიანმა ჩაყარა ხორცი ქვაბში, როცა მაიხარშა, ამოჰყო ბაყბაყ-დევმა ხაროდგან თავი და დაიწყო ბობოქრობა, დაუძახა: მამიტანე ეგ წვენი და ხორცი, ჩამა-მასხიო, თორემა ამოვალო, შენც შაგჰამო და მაგ წვენსა და ხორცი-

საც შევეპო. შაშინდა ფეხებდლოლაბიანი, მიიტანა ქვაბითა და ჩაასხა პირში დევსა. ჩავიდა დევი ისევე ქალთანა. როდესაც მივიდნენ ამხანაგები, ნანადირევი მაიტანეს, უთხრეს ფეხებდლოლაბიანს: არა მოგვიხარშე რაო? და ამან უთხრა: ვხარშამდიო, იწვნივა, იქათა და გაქრაო.

მესამე დილით ბინაზე დგომა ბელტიყლაპიას არგუნეს და სხვები სანადიროთ წავიდნენ. ბელტიყლაპიამ ჩაყარა ხორცი ქვაბში. მახარშა თუ არა, მაშინათვე დევმა ბობოქრობით ამოჰყო თავი ხაროდგან და დაუძახა: ეგ წვენი და ხორცი მაიტანე და ჩამამასხიო, თორემა ამოვალო, შენც შეგქამო და მაგ ხორცსაცაო. ბელტიყლაპიამ მიიტანა და ჩაასხა პირში. შაქამა დევმა და ჩავიდა ქალთანა. მოვიდნენ სალამოზე ამხანაგები, ნანადირევი მაიტანეს და უთხრეს ბელტიყლაპიას: არა მოგვიხარშე რაო? ბელტიყლაპიამ უთხრა: ხორცი შევდგიო, იწვნივა, იქათა და გაქრაო.

მეოთხე დილით წავიდნენ სამნი სანადიროთ, ბინაზე დგომა ყარაბ-ოღლის შახვდა. ჩაყარა ხორცი, მოხარშა. ფეხებზე ნაბდის ძველები დაიხვივა, გავიდა და მოშორებით დაჯდა. დევი თავის დროს, როგორც ჩვეულება ჰქონდა, ამოვიდა — თავი ამოჰყო ხაროდგან — და დაუძახა ყარაბ-ოღლის: ეგ წვენი და ხორცი მაიტანე, ჩამამასხიო, თორემა ამოვალო, შენც შეგქამო და მაგასაცაო. ყარაბ-ოღლიმ დაუძახა: ნეტავი შენაო და შენ წვენსა და ხორცსაო, გარეულმა ღორმა დამქრაო და ადგილიდან ველარ ვიძვრებიო. ამოვიდა დევი, უნდოდა შეექამა ყარაბ-ოღლიცა და ხორცი და წვენიცა. რომ სულ ამოსცდა ხაროსა, ყარაბ-ოღლიმ ესროლა ბოძალშვილდი და მაშინათვე სული გააყრევინა, აკათა, ხორცისა გორა შააყენა და სისხლისა ზღვა წავიდა.

როდესაც მოვიდნენ ამხანაგები, მაიტანეს ნანადირევი და ნახეს, რომა ის დევი მოუკლავს ყარაბ-ოღლის, იმოდელა ხორცის გორა და სისხლის ღვარი ნახეს. გაუყვირდათ, დაფიქრდნენ, ერთმანეთში მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, რომა ჩვენ მაგისი ამხანაგობა ხელს არ მოგვეცემსო, რომ გავაჯავროთ რაქმეო, ჩვენც ეგრე დაგვხოცავსო და ისე მოვახერხებთო, რომა მოკვლათ როგორმეო.

ყარაბ-ოღლიმ უთხრა ამხანაგებს: აბა, ჩემო ძმებოვო, ამ ხაროში ერთ-ერთი უნდა ჩავიდეთო. ქალი არის ამოსაყვანი და ამოვიყვანოთო. იმათ სამთავემ, როგორც განზრახვა ჰქონდათ კიდევ მოილაპარაკეს და თქვეს, რომა ჩვენ რომელსაც წილი გვერგოს, ნუ

ჩავალთო, ყარაბ-ოღლი ჩავგზავნოთო, ქალი ამოვიყვანოთ და ის ხაროში დავაგდოთო. ჯერ მღვდელს შააბეს საბელი, ჩაუშვეს ხაროში, დაიწყო ყვირილი, ამიყვანეთო, თორემა დავიწვიო. ახლა ფეხებდოლაბიანი ჩაუშვეს. იმანაც ისე დაიწყო ყვირილი, დავიწვიო. ახლა ბელტიყლაპიას ერგო. ჩაუშვეს ხაროში, დაიწყო ყვირალი, დავიწვიო. ამიყვანეს.

მერე ჩაუშვეს ყარაბ-ოღლი. ამან უთხრა ამხანაგებს: რამდენიც დავიძახო დავიწვიო, უფრო დამიწვიოთ. დაუშვეს ყარაბ-ოღლი, დაიძახა დავიწვიო. და უფრო დაუშვეს. ჩავიდა ქალთანა. ქალმა გაინხრა თავიანი მაზლის ნახვა, მშვიდობა ჰკითხა. შემდეგ უთხრა: წინდაწინ შენ აღიო და მერე მე ამიყვანეთო, თორემა შენ აღარ აგიყვანენ, გიღალატებენო. ყარაბ-ოღლიმ არა ქნა, შენ უნდა ახვიდეო და მერე მე ამიყვანენო. თუ მიღალატონ და არ ამიყვანონო, შვიდი წელიწადი, შვიდი თვე, შვიდი კვირა და შვიდი დღე მიმიცადეო და მერე კი ჩემი იმედი გადასწყვიტეო. მააბა საბელი კიდობანსა, კიდობანში ქალი ჩასვა და აიტანეს. მღვდელმა თქვა: აბა კიდობანი ვნახოთ, რა არისო. ნახეს და ქალი იყო. მღვდელმა უთხრა სხვებს: ჩვენ ამის მეტი ნურა გვინდა რაო, ეს ქალი წავიყვანოთ და წავიდეთო. ქალმა უთხრა, ისიც ამიყვანეთო. არ უსმინეს, და ქალმა ჩასძახა: მანდ ერთი ოთახი არისო, იმ ოთახში სამი ცხვარი არისო. შადიო, თეთრზე შაჯდებო, ზეცას ამოგიყვანსო, შავზე შაჯდებო, გვერდზე გაგაგდებსო და წითელზე თუ შაჯექი, ქვესკნელს ჩავაგდებსო.

შავიდა ყარაბ-ოღლი იმ ოთახში. თეთრ ცხვარს მიეტანა, — გაუძვრა, შავიც გაუძვრა და წითელზე გადაჯდა. წითელმა ცხვარმა გააქანა და ქვესკნელს ჩააგდო ერთი ბებრის სახლში. ბებერი შინ არ იყო, მეზობლისას ყოფილიყო. როცა ბებერი შამოვიდა, ყარაბ-ოღლი დაიმალა, ბებერმა საცერი და ფქვილი მიიტანა პურის გამოსაცხობათა. როცა ფქვილი გასცრა, მივიდა ბებერი და ფქვილზე გადაიხოტა, უნდა ჩაეფსა და იმითი მოეზილა. ყარაბ-ოღლიმ დაუძახა: დედი, დედი, რასა შვარებო? ბებერმა უთხრა: შვილო, ვინა ხარო, აქ საიდან შამოხვედიო? ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ხაროში დამაგდეს ამხანაგებმაო, მერე ცხვარზე შავჯექი, ზეცას უნდა ავეყვანე და აქ ჩამამაგდოვო. ბებერმა უთხრა: ჩვენ ქვეყანაში ეს საცოდავობა არისო, ესე ვზღლავთ პურს და ისე ვაცხობთო, წყალი გველეშაპს უქვრიაო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა ბებერს: ჭურჭელი მამიტანე

და წყალს მე მოვიტანო. ბებერმა უთხრა: არაო, შენ ცოდოში ვერ გავერებო, გველეშაპი მოუკლავს არ გაგიშვებსო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: შენ ფიქრი ნუ გაქვსო, მე ის ვერას მიზამსო. ბებერმა მოუტანა ორი ნატეხარი. უთხრა ყარაბ-ოღლიმ: ესენი რა არისო, დიდი ჭურჭელი მამიტანეო. მაგის მეტი არა მაქვს რაო, უთხრა ბებერმა. მერე მიიხედ-მოიხედა ყარაბ-ოღლიმ და ნახა, რომა ორი ქვევრი მიწაში იყო. ჩაავლო პირებში ხელი, ამაძრო და წავიდა წყალზედა, მივიდა, აავსო. იმ წყაროსთან ხემწიფის ქალი იყო, ის ქალი გველეშაპს ცოლათა ჰყვანდა. ქალმა უთხრა: ჩქარა წაიღე და წადიო; თორემა გველეშაპი დაგინახავსო და გაგაფუჭებსო; მენანებო, მშვენიერი ყმაწვილი ხარო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ამ წყალს წავიღებ და ისევ აქ მოვალო და რაც გველეშაპია, მე გამოვჩხრეკავო.

წყალი მიუტანა ბებერს, მშვილდბოძალი წამაიღო, მოვიდა ქალთანა და უთხრა: შენ დაო და მე ძმაო. ყარაბ-ოღლიმ ქალის კალთაზე თავი დადო და ძილი მოუვიდა. ქალმა უთხრა: ნუ იძინებო, თორემა ვაი თუ იმ წყეულმა დაგინახოს და მოგკლავსო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: თუ დამეძინოსო, წამოვიდესო და ვერ გამაღვიძოვო, ცრემლი დამაგდებო და გამამეღვიძებო. დაეძინა ყარაბ-ოღლისა და იმ დროს გველეშაპმაც დაინახა და წამოვიდა საშინელი ჭეჭა-ქუხილითა. ქალმა აღვიძა, მაგრამ ვერ გამააღვიძა. დაიწყო ტირილი; ცრემლი ზედ ლოყაზედ დაადო. გამეღვიძა ყარაბ-ოღლის, მაიფშენიტა თვალეზი, შაიხედა და ნახა, რომა მოდის გველეშაპი საშინელის ბობოქრობითა. აიღო მშვილდბოძალი, ესროლა და ზედ შუაზედ გააწყვეტინა. ჩამოვარდა დედამიწაზე. მივიდა ხმლითა, აკუწა, ხორცისა გორა შააყენა და სისხლისა გუბე დადგა.

ქალი გაიქცა მამასთანა. ქალს მამა გაუჯავრდა: რისათვის მოხველიო, გველეშაპი მოგვივარდება და დაგვჭამსო. ქალმა უთხრა: ერთი ყმაწვილი ვინმე მოვიდაო და გველეშაპი იმან მოჰკლავო, ქმრათ ის უნდა შამრთოვო. მამამ არ ირწმუნა ქალის სიტყვა, კაცი გაგზავნა და უთხრა: აბა წადი, ნახეო, მართლა მოჰკლა თუ არაო. კაცმა ნახა, რომა მართლა მოუკლავს, — ხორცისა გორა იყო შაყენებული და სისხლისა ტბა. კაცი მივიდა, ხელმწიფეს უთხრა: მართლა მოუკლავსო, ხორცისა გორა არის შაყენებული და სისხლისა ტბაო. ხელმწიფე ძალიან გაუწყრა იმ კაცსა: ჩემმა ქალმა მამატყუაო და შენ როგორ მატყუებო, მთელმა ჩემმა სახელმწიფომ ვერ მოჰკლავო და ერთი კაცი როგორ მოჰკლავდაო? იმ კაცს მაშინვე თავი გააგდებინა.

მერე ხელმწიფის ცოლმა უთხრა ხელმწიფესა: შე დალოცვილო, წახვიდეო და შენი თვალით ნახოვო, ის არა სჯობიაო კაცების გზავნასა და ხოცვასაო? ხელმწიფე წავიდა და თავისი თვალითა ნახა, რომა მართლა მოკლულია.

ქალმა უთხრა ხელმწიფესა: თუ შამრთამო იმ გველეშაპის მომკლავსაო, თუ არა — მე ქმარი არ მინდაო. ხელმწიფემ ბრძანება გასცა: ჩემი სახელმწიფოს ხალხი სულ ერთიანათ უნდა მოგროვდენო და გავიგოვო, ვინ არი იმ გველეშაპის მამკლავიო. ყარაბ-ოღლიმ რომ გაიგო ეს ამბავი, ბებერს ძველი ტანისამოსი მოატანინა, ჩაიცო და უთხრა, ვინც მოვიდესო, უთხარიო, რომა კუტი არისო და ადგილიდან ვერ იძვრისო.

მილაგდა ხელმწიფის კარზე მთელი სახელმწიფოს ხალხი. ხელმწიფემ დააყენა სულ მწკრივზე და უთხრა თავის ქალსა, აბა ჩაუარეო და ყველანი დაშინჯეო და რომელიც არის, მითხარიო. ქალმა აუარ-ჩამოუარა ხალხსა და უთხრა მამას, ის ვაჟი აქ არ არისო. ხელმწიფემ უბრძანა: ან კუტი, ან კოჭლი ან ბრმა ხომ არავინ დარჩენილაო? უთხრეს: ერთი ბებრისას ერთი საწყალი კუტი არისო და ადგილიდანაც ვერ იძვრებაო. ხელმწიფემ უბრძანა: წადითო, სიარული თუ არ შეუძლიანო, აიყვანეთო და ისე წამაიყვანეთო.

მივიდნენ ყარაბ-ოღლისთან და უთხრეს: ხელმწიფე გიბარებსო, უნდა წამოხვიდნო. მან უთხრა: სიარულის თავი არა მაქვსო და როგორ წამოვიდნო? აღარ მაეშენენ, დაუქირეს ხელები და წამაიყვანეს.

ერთ ჭაგებში გამაიარეს და ყარაბ-ოღლიმ უთხრა: გამიშვითო და მე წამოვალო. გაუშვეს. ჭაგებში მიბრუნდა, ერთი კურდღელი გამოვარდა, წასწვდა, დაიქირა, უბეში ჩაისვა, თვალეზი გამააქყეტინა და ისე დადგა ხელმწიფის კარზე ხალხში.

ქალი მივიდა, შახედა და იცნა, მამას უთხრა: აგრე ის არისო. მამამ უთხრა: წადიო და მეხვიეო. მივიდა ქალი, უნდა მახვევიყო, მაგრამ ყარაბ-ოღლიმ უბიდგან კურდღელს თვალეზი გამააქყეტინა. ქალმა დაინახა და შაშინდა. მამას უთხრა: უბეში რალაცა უზისო, თვალეზს აქყეტსო და შავშინდიო. მამამ უთხრა: თვალეზი დახუჭეო და ისე მეხვიეო. ქალმა თვალეზი დახუჭა, მივიდა და ისე მეხვიევა.

მივიდა ხელმწიფე, უთხრა ყარაბ-ოღლის: ეს ჩემი ქალი შენ უნდა მოგცეო და ჭვარი დაგწეროვო, რადგანაც ეგ სიკეთე გვიყავიო და ჩვენი სახელმწიფო გველეშაპის მონობისაგან დაიხსენიო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: რასაც დროს მე შენი ქალი ვნახეო, მაშინვე და-ძმობა

ვუთხარო, ეხლა და-ძმობა როგორღა უნდა გავტეხოვო? ხელმწიფემ უბრძანა: მაშ რით უნდა მოვიგოვო შენი გულიო, რით დაგასაჩუქრო-ვო, რომა მაგისთანა დაუვიწყარი სიკეთე დამდეო. რაცა გსურს მთხოვეო, რომა შენი სიკეთე როგორმე გადავიხადოვო. ყარაბ-ოღ-ლიმ უთხრა: ჩემი სათხოვარი ის არისო, რომა, თუ როგორმე შაიძლე-ბაო, ზეცას უნდა ამიყვანოვო. ხელმწიფემ უთხრა: ეგ ძალიან დიდი საქმე დამავალეო და არ ვიცი, აგისრულებ თუ არაო, მაგრამა მოვი-კითხამო, იქნება შენი ამყვანი ვინმე გამოჩნდესო. ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს ხელმწიფეს, ტყეში ერთ ფაშქუნძს ბუდე აქვსო, იმას ერთი არწივი ჰყავს შაჩვეულიო, ყოველ წელიწადს შვილებს ზრდისო და ის არწივი უჭამსო. თუ იმ არწივის როგორმე მოჰკლავსო და შვი-ლებს გადაურჩენსო, ის ფაშქუნძი აიყვანსო.

ყარაბ-ოღლის ასწავლეს ფაშქუნძის ბუდე. მივიდა და ყარაულათ დაუჯდა. არწივმაც როდესაც იდროვა, რომა ეხლა ფაშქუნძი იქ არ იქნებაო, მივიდა, უნდა დაეცეს და დაუჭამოს შვილები. იმ დროს ყარაბ-ოღლიმ დაინახა არწივი, ესროლა მშვილდობძალი, მოჰკლა არწივი და გადააგდო. ყარაბ-ოღლი ყარაულობისაგან დაღალული იყო და იმ ხის ქვეშ დაეძინა, რომელ ხეზედაც ფაშქუნძს ბუდე ჰქონდა.

როცა ფაშქუნძი მოვიდა თავის შვილებთანა, დაინახა, რომა ხის ქვეშ ვინმე წევს დაეტანა, უნდა დასცემიყო, მოეკლა, იმას თავისი შვილების მტერი ეგონა, მაგრამ შვილებმა უთხრეს დედასა: მაგან დიდი სიკეთე დაგვდოვო და მაგას მოკვლა კი არ ეკუთვნისო, მაგის სიკეთეს შენ ვერ გადაიხდიო. ეგ რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ეხლა მტრისაგან დაქმულები ვიქნებოდითო. არწივი გამოქანდა, ის იყო უნდა დაგვეცემიყო და დავექამეთო, იმ დროს მაგან მშვილდობძალი ესროლა, მოჰკლა და გადააგდოვო.

ფაშქუნძი წავიდა, ნახა, რომა არწივი მართლა მამკლა. მოვიდა, ნახა, მძინარეს მზე მისდგომიყო. არ დასცხესო, ფრთები გაშალა და მანამ გამაიღვიძებდა, დაუგრილოვა. როდესაც ყარაბ-ოღლიმ გამა-იღვიძა, ფაშქუნძმა უთხრა: ისეთი რა სიკეთე მოგაგონდებოდაო ჩე-მი, რომა ამისთანა მტერი მამშორეო ჩემ შვილებსაო, და როგორ უნდა გადავიხადო სიკეთეო? ყარაბ-ოღლიმ უთხრა: მე შენთან მა-მასწავლეო, ჩემ შველას თუ შაიძლებ შენა, თუ არა და სხვამ ვე-რავენ მიშველაო, და თუ როგორმე შაიძლებო და სიკეთეს მიზა-ნო, -- ზეცას უნდა ამიყვანოვო.

ფაშქუნძის ძალიან დაეზარა ამ საქმის აღსრულება, მაგრამა უთხრა: რადგანაც მაგისტანა დაუვიწყარი სიკეთე მიყავი, აგიყვანო, ხოლოთ შენ ცხრა დღის საგძალი მამიმზადეო. ცხრა ბულა კამეჩი, ცხრა კოკა ღვინო და ცხრა კოდის ნამცხვარიო. დღეში ერთ ჯერს საჭმელს დაგჯერდებიო, თითო ჯერზე თითო ბულა კამეჩი, თითო კოკა ღვინო და თითო კოდის ნამცხვარი შამაჭამეო. ერთი დიდი ლასტი დაწანო, ის ლასტი მხრებზე დამადგო, ისენი ყველაფერი ზედ დააწყეო; შენც ზედ დამაჯექიო და აგიყვანო.

ყარაბ-ოღლიმ ხელმწიფეს უთხრა: შენ ისეთი სიკეთე უნდა მიყოვო, ცხრა ბულა კამეჩი, ცხრა კოკა ღვინო და ცხრა კოდის ნამცხვარი მამცეო ფაშქუნძის საჭმელათაო, რომ ზეცას ამიყვანოსო. ხელმწიფემ ესენი ყველაფერი მოუშზადა. ლასტი თითონ თავის ხელით დაწნა, ფაშქუნძის ბუდესთან მოვიდა. ფაშქუნძმა გაშალა ფრთები, ყარაბ-ოღლიმ ზედ ლასტი დაადო, მერე ლასტზედ დაალაგა ყველაფერი, გამაესალმა ხელმწიფესა.

აფრინდა ფაშქუნძი და წაიყვანა. ცხრა დღე და დამე იარა და აიყვანა ზეცასა. მეცხრე დღის საგძალი ყარაბ-ოღლის აღარა ჰქონდა, რომ ეჭმიგა, რადგანაც თავისი საგძალი დავიწყებოდა და ცხრა დღესა იმ ფაშქუნძის საგძლიდგან ეჭამა, — იმისათვინ დააკლდა მეცხრე დღის საგძალი. ყარაბ-ოღლიმ ორივე წვივების ნაკუთლები გამოიჭრა და ის შამაჭამა მეცხრე დღის საგძლათა. ფაშქუნძმა უთხრა: ეს რა გემრიელი რამ შამაჭამეო, ამისთანა გემრიელი ჩემ დღეში არა მიჭამია რაო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ჩემი საგძალი დამავიწყდაო, ცხრა დღესა შენი საგძლიდგანა ეჭამეო, მეცხრე დღეს საგძალი რომ აღარ იყოვო, წვივის ნაკუთლები გამოვიჭერი და ის შამაჭამეო. ფაშქუნძმა უთხრა: თუ მცოდნიყო, ეგრე გემრიელი იქნებოდი, ხის ქვეშ რომ გეძინა, მაშინვე შეგჭამდიო, რომ არ გამეგო, თუ ისეთი სიკეთე მიყავიო. ფაშქუნძმა ფრთა გამაიძრო, მისცა და უთხრა: მაგ გამოჭრილებს ეგ ფრთა მოუსვიო და გაგიმთელდებო. მაისვა და გაუმთელდა.

ყარაბ-ოღლი ფაშქუნძს გამაესალმა და წამოვიდა. ერთ სოფელს მოახლოვდა, საღამო არის. მელორეს შამახვდა. შინისაკენ ღორები მიუღიოდა, მიჰყვებოდა სინარულით და სიმღერითა. ყარაბ-ოღლიმ ჰკითხა: მელორევე, რა გამღერებსო? მელორემ უთხრა: როგორ რა მამღერებსო, ჩვენმა მღვდელმა ერთი მშვენიერი ქალი მაიყვანაო. შვიდი წელიწადია, რაც ის ქალი ცალკე ოთახში არისო, არავისი

პირი არ ინახულა ამ შვიდ წელიწადში, ეხვეწებო მღვდელი, იმისი ცოლათ შარტვა უნდოდაო, აქამდინ ნებას არ აძლევდაო და ეხლა ნება მისცაო. ამაღამ ჭვარს იწერსო, ქეიფის გაწვევასა ჩემ თავს ვკითხამო, როგორც მსურს, ისეთ ქეიფს გავწვევო და იმისთვინა ვმღეროო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა მელორესა: ეგ შენი ძველი ტანისამოსი მე მამეციო, ჩემი შენ ჩაიციო და ეს ჩემი მშვილდბოძალიც შენა გქონდესო, როცა მიხვიდე ქორწილში, მიიტანეო, თქვიო,—ეს მშვილდბოძალი მინდორში ვიპოვეო, და მეც ქორწილში მოვალო.

როდესაც დაღამდა, თავიანთ წესზე ჭვარი დაიწერა იმ ქალზე მღვდელმა. მივიდნენ და დასხდნენ, მიჯიდნენ სტუმრებიც, დაიწყეს სმა და ქეიფის წევა. ყარაბ-ოღლიც მივიდა, ის მელორეცა. მელორემ მიიტანა მშვილდბოძალი და თქვა, რომა ეს მინდორში ვიპოვეო. გამაართვეს და დაუწყეს შინჯვა, ნეტა ვისი ნაქონი იქნებაო. თითო-თითოთ თურმე დაეზიდებიან, უნდათ კილოზე მაიყვანონ, მაგრამა დაძვრითაც ძლივა სძრავენ, თორემა კილოში კი ვერავინ მაიყვანა. მერე ყარაბ-ოღლიმ უთხრა: აბა ერთი მეც მაჩვენეთო, ვნახოვო, ვისი რა ნაქონი იქნებაო. მიუტანეს მშვილდბოძალი. მოსწივა ყარაბ-ოღლმა და ცოტათ კილოზე მაიყვანა. გაუკვირდათ ხალხსა და თქვეს, ამას ერთი ორიოდ ჯამი ღვინო დააღვეინეთო, იქნება ცოტათ კიდევ მოუმატოსო. დააღვეინეს ღვინო. მოსწივა ყარაბ-ოღლიმ მშვილდბოძალსა და კილოზე მაიყვანა, თან დაიძახა: ხარსა თუ ფურსაო? ქალმა იცნა თავისი მაზლის ხმა, წამოფრინდა, გამოიქცა, ყელზე მოეხვია და უთხრა: ფურისა რა ბრალიაო, ხარსაო. ადგა ყარაბ-ოღლი, დაიჭირა მღვდელი, კისერი მოუგრიხა და მოჰკლა.

წამაიყვანა ქალი და მივიდა დევების სახლში. გავიდა შვიდი წელიწადი, შვიდი თვე და შვიდი კვირა. შვიდი დღე და იყო დარჩენილი და იმ შვიდ დღეს არ იცდიდნენ დევები, უნდა შეეჭამათ ალექსანდრე. და იმ დროს ყარაბ-ოღლიც მივიდა. ყარაბ-ოღლიმ ქალი თავის ძმას ალექსანდრეს მიუყვანა. გაუხარდათ ქალის ძმებსა და ალექსანდრესა და დიდ სიხარულში იყვნენ. ალექსანდრეს უთხრა ყარაბ-ოღლიმ: ეხლა კი დრო არის ჩვენს საქალაქოში წავიდეთო. დაემზადნენ, ქალის ძმებმაც თავიანთ დას, რაც უნდოდათ, მზითვეი მისცეს. გამოუსალმნენ ერთმანეთსა. ყარაბ-ოღლიმ და ალექსანდრემ წაიყვანეს ქალი და წავიდნენ თავიანთ საქალაქოში.

გზაზედ ყარაბ-ოღლიმ იფიქრა: ამ ჩემ ძმას იქნება ჩემგანა სცხვენოდესო, თავის ცოლთან გახუმრება უნდოდესო, ამოდენა ხანი არი-

სო ერთმანეთი არ უნახავთო. გზაზედ დაისვენებს გრილში. ყარაბ-ოღლი ცოტა მოშორებით გავიდა, — ალექსანდრე და მისი ცოლი მარტოკები დარჩნენ, — რომა ქალთან რამ ისიამოვნოს.

სადაც ყარაბ-ოღლი გრილში იჭდა, იქვე ხეზე შამოჯდა ერთი ჩიტი და თქვა: ვაი შენს დედასა, ყარაბ-ოღლიო, რომ შენი დიდი ამაგი და ჭირნახული რა ცუდათ ჩაივლისო. ალექსანდრეს მამა რომ გაიგებს ჩემი შვილი მოდისო, წინ რაშს მათგებებსო. ალექსანდრე შაჯდებაო, გაღმავდებაო და მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარჩებაო. ვინც მე გამცემსო, ქვათ იქცესო. გაფრინდა ჩიტი და წავიდა. ახლა მცორე ჩიტი შამოჯდა და თქვა: ვაი შენს დედასა, ყარაბ-ოღლიო, შენი დიდი ამაგი და ჭირნახული რა ცუდ-უბრალოთ ჩაივლისო. ალექსანდრეს მამა მწვევარს მათგებებსო, ის მწვევარი ცოფიანი არისო, ალექსანდრეს უკბენსო და მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარჩებაო. ვინც მე გამცესო, ქვათ იქცესო. გაფრინდა ჩიტი და წავიდა. მოვიდა მესამე ჩიტი და შამოჯდა ხეზე და თქვა: ვაი შენი ბრალი, ყარაბ-ოღლიო, რომა შენი ამაგი და დიდი შრომა ცუდ-უბრალოთ ჩაივლისო. ალექსანდრეს მამა გაიგებსო, ჩექმებს მათგებებსო, შიგ გველის წუწულები არიანო. რომ ჩაიცვამს, ალექსანდრეს ფეხებზე უკბენენო და მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარჩებაო. ვინც მე გამცესო, ქვათ იქცესო. გაფრინდა ჩიტი და წავიდა.

როცა კარგად დაძვენეს, წამოვიდნენ შინისკენა. გაიარეს კარგა შორი გზა. ყარაბ-ოღლი ძალიან დაღონებული იყო იმ ჩიტების ნათქვამზე. ფიქრობდა, რომა ეს ჩემი ძმა ალექსანდრე როგორ ავად-ცდინოვო იმ განსაცდელებსა და ან ჩემი თავი როგორ გადავარჩინოვო. ალექსანდრემ შაატყო, რომა ყარაბ-ოღლი ძალიან დაღონებული არის და უთხრა: ჩემო ძმაო, რათა ხარ ეგრე დაღონებულიო? თუ იმას ნაღვლიანობ, რომაო ამ ქალზე შენ დიდი შრომა გასწიეო, — ამის მეტი ხომ არა გვიშოვნია რაო, — თუ ჩემთვის გენანებაო, მითხარი და ეს ქალი შენი იყოსო, თუ არა და — ჩემ სახელმწიფოში როცა მივალო, ღმერთი მამიციო თავდებათაო, თავი შენ იყავიო და მე შენი ხელქვეითი ვიქნებიო, შენს უნებურად საქმეს არ დავიჭერო, თუ არა და — რაზე ბოროტობო, შენი ფიქრი გამაგებინეო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: ნება მომცეო, რომა რასაც მამაშენი მოგაგებებს, იმას რაც მე მინდა, ის ვუყოვო. ალექსანდრემ უთხრა: ამაზე რა უარი შემიძლიანო, რაც გინდოდეს, ის უყავიო.

გაიხედეს და დაინახეს, მეჯინიბე რაშს მაარბევინებს. მათგება

ალექსანდრესა და უთხრა: ეს რაში მამაშენმა მოგართვაო. ალექსანდრემ უთხრა: ჩემ ძმა ყარაბ-ოღლის მიმირთვიო. მიუყვანა მეჩინობემ ყარაბ-ოღლისა. ყარაბ-ოღლიმ გაიძრო ხმალი, შამოჰკრა რაშსა და ზედ შუაზე გააწყვეტინა. ალექსანდრემ ძალიან იწყინა, ასე რათ უყოვო.

გაიხედეს და ნახეს, რომა ალექსანდრეს მამას მწევარი გამოუგზავნია, მიუყვანეს ალექსანდრესა და უთხრეს: მამაშენმა მოგართვაო. ალექსანდრემ უთხრა: ჩემ ძმა ყარაბ-ოღლის მიმირთვიო. მიუყვანეს ყარაბ-ოღლისა. გაიძრო ყარაბ-ოღლიმ ხმალი, შამოჰკრა და ზედ შუაზე გააწყვეტინა. ალექსანდრემ ესეც ძალიან იწყინა.

გაიხედეს და ნახეს, რომა ახლა ჩექმები მაჰქვს კაცსა, მოუტანა ალექსანდრეს და უთხრა, რომა მამაშენმა მოგართვაო. ალექსანდრემ უთხრა: ჩემ ძმა ყარაბ-ოღლის მიმირთვიო. მიუტანა ყარაბ-ოღლისა. ყარაბ-ოღლიმ მიიტანა ჩალა, დააწყო ჩექმები, ზედ ჩალა დააყარა, წაუქიდა ცეცხლი და ის ჩექმები დაწო. ამაზედ ალექსანდრეს ძალიან ჯავრი ჩაეჭრა გულში.

გაიარეს ერთ ალაგასა. ერთი წყარო იყო, დაისვენეს იმ წყაროსთან პურის საქმელათა. ალექსანდრეს მამისაგან გამოგზავნილი საქმელი მრავალი ჰქონდათ. ყარაბ-ოღლიმ ორი ხმელი თევზი მიიტანა წყაროზე. ერთი თევზი ჩადო წყაროში გასარეცხათ,— გაცოცხლდა თევზი და გაექცა. მეორეც უნდა გაერეცხა და აღარ ვარეცხა,— ვაი თუ ესეც გაცოცხლდესო და გაიქცესო,— ისე წამაიღო, მიიტანა. გაშალეს სუფრა და დაიწყეს პურის ჰამა. ალექსანდრემ უთხრა ყარაბ-ოღლის: რა გქნაო, მე შენი ფიქრი ვერ გავიგეო და ვერც შენი გული მოვიგეო. რა მიზეზი არისო, რომა ის მამიჩემის გამოგზავნილი ნაჩუქრები შენ მოგართვიო და არც ერთი არ მიიღეო, ის წყრომა რათ გასწივეო?

ყარაბ-ოღლი ძალიან დაფიქრდა ამ საქმეზე და თქვა თავის გუნებაში: ვთქვაო, გავქვაედებო, არა ვთქვაო და — ეს ჩემი ძმა ძალიან მემდურისო. რაღას იქმოდა, — უთხრა: ჩვენ რომ ერთ ალაგას დავისვენეთო, თქვენ ცალკე გრილში გაგიშვითო და მე სხვა გრილოში ვიყავიო. იქ ჯერ ერთი ჩიტი შემოგდაო და თქვაო: ვაი შენი ბრალი, ყარაბ-ოღლიო, რომა შენი შრომა უბრალთ ჩაივლისო. ალექსანდრეს მამა რომ გაიგებსო ჩემი შვილი მოდისო, ალექსანდრეს ერთ რაშს მათგებებსო. იმ რაშზე შაჭდება, გაღმაგდებსო და მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარჩებაო. ვინც მე გამცესო.

ქვათ იქცესო. სიტყვა გაათავა და მუხლებამდინ ქვათ იქცა ყარაბ-
ოღლი.

ალექსანდრემა და იმისმა ცოლმა დაიწყეს თავსა და პირში ცე-
მა: ნულარ იტყვიო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: რის მარგებელი ვარ
აზის 'შეძლეგო, ისენიც უნდა ვთქვაო, ის რაში იმისათვინ მოვკა-
ლიო. მეორე ჩიტი 'შამოჯდაო და თქვაო: ვაი შენი ბრალი, ყარაბ-
ოღლიო, რომა შენი ამაგი ცუდათ ჩაივლისო. ალექსანდრეს მამა
მწევარს მათგებებსო, ცოფიანი არისო, უკბენსო, კბენაზე ალექ-
სანდრე მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარჩებაო. ვინც მე გამცესო,
ქვათ იქცესო. იქცა ყარაბ-ოღლი წელამდინ ქვათა. ის მწევარიც
იმისთვინ მოვკალიო. ახლა მესამე ჩიტი 'შამოჯდაო და თქვაო: ვაი
შენი ბრალი, ყარაბ-ოღლიო, რომა შენი ამაგი ცუდათ ჩაივლისო,
ალექსანდრეს მამა ჩექმებს მათგებებსო, შიგ გველის წუწულები
სხედანო, უკბენენო, ალექსანდრე მოკვდებაო, ქალი ქვრივი დარ-
ჩებაო. ვინც მე გამცესო, ქვათ იქცესო. გაფრინდა ის ჩიტიც, წა-
ვიდაო. ის ჩექმებიც იმისთვინ დავწვიო. გაათავა ეს სიტყვები და
სულ ქვათ იქცა.

ქალმა დაიწყო ტირილი და თავში ცემა, უთხრა ალექსანდრეს:
შენ ის კი ნუ გგონიაო, რომა შენთან წამოვიდეო, ჩემი ცოცხალის
თავით ამას თავს არ დაეანებებო, სადაც ეს ქვა იქნება, მეც მასთან
უნდა ვიყვეო. ალექსანდრემ გააგზავნა კაცები თავის მამასთან, და-
იბარა ურემი, წააღებინა ქვა, თავის სასახლის კარზე მიიტანა და
დადო. ქალი მოუჯდა ფეხთითა და ცხარის ცრემლით ტიროდა. ალექ-
სანდრე ეხვეწა, შევიდეთო შინა, არ შეპყვა: სადაც ეს ქვა იქნება,
მეც იქ უნდა ვიყვეო. მერე შინ სასახლეში შეიტანეს და ძირს და-
დეს. ახლა იქ მოუჯდა ქალი და დაიწყო ტირილი. ეხვეწა ქმარი
ტახტზე ამოდიო, არ ავიდა. მერე ტახტზე აატანინა ქვა. ქალი
მოუჯდა ახლა იქა და დაიწყო ტირილი. ყოველ დღეს წყლითა.
ჰბანდა ქვასა და უალურსებდა.

გავიდა რამოდენიმე ხანი. ქალს ორი ვაჟიშვილი გაუჩნდა. ის
ვაჟები სკოლაში მიიბარა და იქნობამდინ იმ ქვას ისევ ისე ტიროდა,
ყოველ დღეს წყლითა ჰბანდა და ესე მწუხარებით ატარებდა თავის
სიცოცხლეს.

ერთ დამეს სიზმარში გამაეცხადა ანგელოზი და უთხრა იმ
ქალსა: როდამდენ უნდა იტიროვო და შენი სიცოცხლე ეგრე მწუ-
ხარებით ატაროვო? თუ გაიმეტებო, შენ ორივე შვილებს ყელგები

დასჭერიო, იმათი სისხლით ეგ ქვა გაკბანუო და მაშინ გავიცოცხლდებო.

გამაელვიძა ქალსა და მიეცა დიდ სიხარულსა, რადგანაც ეს ჩვენება ნახა. იმ დილით ალექსანდრე თავის სასამართლოში წავიდა ყმაწვილებს რაევ ეძინათ. ქალი მივიდა, ყმაწვილებს ორივეს ყელე-ბი დასჭრა და იმათი სისხლი გამაიტანა. გაკბანა ქვა თუ არა, ყარაბ-ოღლი მაშინათვე გაცოცხლდა. ყარაბ-ოღლიმ თვალეზი მაიფშენი-ტა და თქვა: ოჰ, რა ბევრი მძინებიაო! ქალმა უთხრა: ეგრე შენ მტერს ეძინოსო, როგორც შენ გეძინაო. ყარაბ-ოღლის მაშინ მოა-გონდა, რომა ქვათ ვიყავი ნაქცევით. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: რო-გორ გამაცოცხლეო? ქალმა უთხრა: აქნობამდენ ესე მწუხარებაში ვიყავი და გტიროდიო. წუხელ ანგელოზი გამომეცხადაო და მითხ-რაო, თუ შენ ორივე ვაჟიშვილებს ყელეებს დასჭერიო, იმათი სისხ-ლით გაკბანავ მაგ ქვასაო, შენი მახლი გაცოცხლდებო. მეც ორი-ვე შვილებს ყელეები დავჭერიო, იმათი სისხლით გაგბანე და იმან გაგაცოცხლაო. ყარაბ-ოღლიმ უთხრა: იმ ყმაწვილებს მე გაგიცო-ცხლებო,— შენ თავები არ აგერიოსო, რომელი რომლისა არისო.

ალექსანდრეს ამბავი მოუვიდა, რომა ყარაბ-ოღლი გაცოცხლ-დაო. გამაიქცა, მოვიდა შინა. ნახა, რომა მართლა გაცოცხლებუ-ლია. გადაუხვივნენ ერთმანეთსა, დაუწყეს ერთმანეთს კოცნა და იყვნენ დიდ სიხარულში. ალექსანდრემ არ იცოდა, რომა მისი შვი-ლები ყელეზდაჭრილები არიან, იმას ეგონა, რომა სკოლაში იქნე-ბიანო. ცოლმა უთხრა ალექსანდრეს: შენი შვილები რომ დახოცი-ლიყვნენო, ის უფრო გერჩივნაო და ეს შენი ძმა გაცოცხლებული-ყოვო, თუ ის გერჩივნაო, რომა შვილები ცოცხლები გყოლიყვნენო და შენი ძმა ისევ ისე ქვათა ყოფილიყოვო? ალექსანდრემ უთხრა: შვილები საყვარლებიაო, მაგრამა ამისი გაცოცხლება მერჩივნაო. მერე ცოლმა შეიყვანა ალექსანდრე და თავისი შვილები უჩვენა,— შენი ძმა ამათმა სისხლმა გაგიცოცხლაო. ალექსანდრემ თქვა: რახან ამისი გაცოცხლება მეღირსაო, შვილები მითომ არც კი გამჩენიაო. ღმერთს კიდევაც დიდი მადლობა შესწირა, რადგანაც ჩემი ძმის გაცოცხლება მეღირსაო.

ყარაბ-ოღლიმ წაიღო ჰურჯელი და წავიდა იმ წყაროზე, სადაც ორი ხმელი თევზი გასარეცხათ მიიტანა, ერთი ჩადო წყაროში გასარეცხათ, გაცოცხლდა და წავიდა, მეორე აღარ ჩადო გასარე-ცხად, წამაიღო, ვაი თუ ესეც გაცოცხლდესო და გამეჭკესო. იმ

წყაროს წყალი მაიტანა, ყმაწვილები იმ წყლით დაჰბანა და ორნივე დაცოცხლდნენ.

ახლა მეორე სიხარული იმ ყმაწვილების გაცოცხლება გაუხდათ და ღმერთს მადლობა გადაუხადეს, რომა ამ დიდი განსაცდელის შემდეგ ბოლოს სიხარული მიერგოთ. დაიწყეს ორივემ ერთათ ცხოვრება, ერთმანეთის მზესა ფიცულობდნენ და ერთმანეთის დაუკითხავათ საქმეს არ დაადგებოდნენ.

38. ხემწიფის შვილი და ქალთხემწიფე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე, ყვანდა ერთი შვილი,— ხეირი არაფერში ემჩნეოდა. ერთხელ უთხრა ცოლმა ქმარს: მიეცი რამე, ვნახოთ, მიცემულს რას უზამსო. ქმარმა უთხრა: დამეხსენ, მაგას ხეირი არა აქვსო. მისცა მაინც ხუთი თუმანი. წავიდა ვაჟი, იარა, შემოეყარა ერთი დედაკაცი,— ქოთანში თაგვი ჩავარდნია, დაუჭერია ის თაგვი და არჩობს. ეს რომ ხემწიფის შვილმა დაინახა, დაუძახა დედაკაცს: დედაშვილობასა, მაგ თაგვის საცოდლობას ნუ მიჩვენებო. მისცა რაც ფული ჰქონდა,— ამის ფასი ხომ არ იქნებოდა, რაც გაგიფუქაო,— გამოართვა თაგვი და გაუშვა. მოუბრუნდა თაგვი და უთხრა: საცა გაგიჭირდეს, მეც მახსენეო. დაბრუნდა ხემწიფის შვილი შინ. დედამ ჰკითხა: რა უყავი ფულიო? დედავ, ერთი დედაკაცი თაგვს არჩობდა, შემეცოდა, ფული იმას მივეცი და თაგვი დავიხსენიო. რაღას ეტყვის დედა. ქმარმა უთხრა ცოლს, აკი გითხარი ბედოვლათიანო. კიდევ აუტყდა ცოლი, კიდევ მიეცი ფული და გაუშვიო. მისცა მამამ ექვსი თუმანი. წაიღო ხემწიფის შვილმა და წავიდა. ნახა, ერთი დედაკაცი კატას და ძაღლის ლეკვს არჩობს. მისცა იმ დედაკაცს ის ექვსი თუმანი და დაიხსნა კატა და ლეკვი,— გაუშვა. ესენი მოუბრუნდნენ და უთხრეს: როცა გაგიჭირდება, ჩვენ შენთან გავჩნდებითო. წავიდა ხემწიფის შვილი შინ. დედამ ჰკითხა: რა უყავი ის ფულიო? დედავ, ერთი დედაკაცი კატას და ლეკვს არჩობდა, იმ ფულით დავიხსენი და გავუშვიო, უთხრა შვილმა. ქმარმა უთხრა ცოლს: ეგ ჩვენ არ გამოგვად-

გება, ჩვენს სახემწიფოს ეგ დალუპავსო. ცოლმა უთხრა: ცოტა ფულს აძლევო, მეტი მიეციო.

ადგა ხემწიფე და ათი თუმანი მისცა. წავიდა ხემწიფის შვილი, დიდი გზა გაიარა. ნახა, ერთს გორაზე ერთი ხემწიფის შვილი, დედისერთა, ჩაუგდიათ ხელში ყაჩაღებს და ჰკლამენ. უთხრა ამ ვაჟმა: მაგისი სიკვდილით რა შეგემატებათ,— აი ეს ათი თუმანი, ნუ მოკლამთ, გაუშვითო. აღარ მოკლეს, გაუშვეს. წამოვიდნენ. მერე უნდა გამოესალმოს, ვინაც გაანთავისუფლა იმას, მაგრამ იმან უთხრა: სად მიხვალ, დღეს შენ დამიხსენ სიკვდილისაგან, ამას თავისი უნდა.— წამოდი მამაჩემთანო. დაარია: მამაჩემი. რასაც სთხოვ, მოგცემსო, და შენ უთხარი,— არაფერი არა მინდა რა, თქვენ რომ მალლა ჰქერში თვალი გაქვთ. ის მამეციითო. მოგცემენ, და წაიღე, იმის მეტი ნურა გინდა—რაო. მივიდნენ იმ ვაჟის სახლში. დედ-მამამ გაიხარეს, რომ შვილი ცოცხალი მიუვიდათ. შვილმა უთხრა დედ-მამას: თუ არ ყოფილიყო ეს ყმაწვილი, მე მკვდარი ვიყავიო, თქვენ მე ცოცხალს ვერა მნახამდითო, და ახლა ეს თავისას ითხოვსო. ჰკითხეს ხემწიფის შვილს: რას ითხოვ, რა მოგცეთო? ამან უთხრა: სხვა არა მინდა რა, თქვენ რომ ჰქერში თვალი გაქვთ, ის მინდაო. ძალიან ეწყინათ, მაგრამ რა ქნან,— რახან ცოცხალი ნახეს თავისი შვილი, აიღეს და მიასცეს. წამოიღო ხემწიფის შვილმა ეს თვალი და წამოვიდა. მოვიდა შინ. დედამ ჰკითხა: შვილო, ფული რა უყავიო? შვილმა უთხრა: ერთ ვაჟსა ჰკლამდნენ ყაჩაღები, იმათ მივეცი ის ათი თუმანი, ის ვაჟი დავიხსენი. ხემწიფის შვილი ყოფილიყო, დედისერთა, წამიყვანა თავის დედ-მამასთან და ეს თვალი მამცესო. შეუტანა მამას ეს თვალი. მამამ ნახა და გაეხარდა,— არა ყოფილა ჩემი შვილი ბედოვლათიო. თურმე ის თვალი ნატვრის თვალია.

დაიხოცნენ ამ ვაჟის დედ-მამა. ვაჟმა დამარხა, იგლოვა. მერე ერთ ღღეს ერთმა გლახამ მოწყალება სთხოვა,— ყოველი შენი ნატვრის ასასრულებლათო. ვაჟმა უთხრა: შენ ნუ მამიკვდები, ძალიან არ ამისრულებ ნატვრასო! გლახამ უთხრა: მიბძანე. რა გნებავსო. მიბძანებია, ქალთხემწიფე მინდა ცოლათო, უთხრა ვაჟმა. შაშინ გლახამ უთხრა: ბევრი არაფერია საჭირო, ერთი თხა იშოვნე, ორი სადგისი, ერთი ზედადგარი და წამამყე, — თუ ვერ გაშოვნინო ქალთხემწიფე, რაც გინდოდეს, ის მიყავიო. იშოვნა ვაჟმა ყველაფერი ეს, ახსენეს ღმერთი და წავიდნენ. მივიდნენ, საცა იმ ქალთ-

ხემწიფის ციხე არის, იქ დასხდნენ მოედანზე, ჩაიყენეს შუაში ის თხა, იქით-აქეთ მიუსხდნენ და თითო სადგისი დაიჭირეს: აქით გლახა შეურკობს იმ თხას სადგისს, და თხა დაიყვირებს, იქით ხემწიფის შვილი შეურკობს და თხა ბღავის. გადმოიხედა გამდელმა, დაინახა ეს და შეატყობინა ქალთხემწიფეს. ძალიან შეწუხდნენ. უბძანა ქალთხემწიფემ გამდელსა: ჩადი და ასწავლე დაკვლავ. ჩავიდა გამდელი და უთხრა: როგორ არ იციოთ დაკვლავ,— ასე უნდაო: დააკვლევიანა. ამოვიდა და მოახსენა ქალბატონს. იცინეს ბევრი. ახლა ის ვაჟი და ის გლახა ხორცს ვერ ხარშავენ, არ იციან მოხარშვა: ხან ერთი აიღებს ხორცს და დაარტყამს ზედადგარზე, ხან მეორე. გადმოიხედა გამდელმა; დაინახა ეს, მოახსენა ქალბატონს,— დიდი საცოდაობააო. ქალთხემწიფემ უთხრა: ჩადი და ასწავლეო. ჩავიდა გამდელი, უთხრა: თქვე ოხრებო, მოხარშვა როგორ არ იციოთ! დასჭრა ხორცი და ჩაყარა ქვაბში. მოიხარშა. გადმოიხედა კიდევ გამდელმა და ხედამს, რომ არც ჭამა სცოდნიათ: ხან ერთი აიღებს ხორცს და დაარტყამს ზედადგარზე და ხან მეორე. ამ ოხრებს არც ჭამა სცოდნიათო, უთხრა გამდელმა ქალბატონს. ამოიყვანე, მაღლია — ასწავლეო, ქალბატონმა უთხრა. აიყვანა. ხემწიფის შვილი ქალთხემწიფემ დაისვა, ის გლახა — გამდელმა. ასწავლეს ჭამა. მერე დაუგეს ცალკე ლოგინი. გამდელი ხედამს, რომ ხან ის ხემწიფის შვილი შეაჯდება ლოგინს და ხან ის გლახა. წოლაც არ სცოდნიათო, უთხრა გამდელმა ქალბატონს. ქალთხემწიფემ უბძანა: მოიყვანე, მაგ ხემწიფის შვილს მე ვასწავლი წოლასაო და მაგ მსახურს შენ ასწავლეო. დაწვა ხემწიფის შვილი ქალთხემწიფესთან. რაკი აისრულა თავისი სურვილი, უთხრა: განა მართლა არ ვიცოდი რაო, მაგრამ შენი თავი მინდოდაო, და უამბო ყველაფერი, როგორ იყო.

დაიწერეს ჯვარი. ჰკითხა ქალთხემწიფემ: სადა გაქვს ნატვრის თვალიო? ვაჟმა უჩვენა. როდესაც დაეძინა, ამოაცალა ქალმა ის თვალი და უთხრა: ნატვრის თვალო, ეხლავე ასწიე ამ ხემწიფის შვილსა და საცა პირველათ იმ თხას არ აწვალე ბდნენ, იქ დააწვიე, და ეს ჩემი ციხე-ქალაქი შავ ზღვაში გამართეო. მაშინვე თვალმა ის ყმაწვილი, მძინარე, იმ მოედანზე დააწვინა და ის ციხე-ქალაქი შავ ზღვაში გამართა.

გამოედვიდა იმ ყმაწვილს,— შენი მტერი, როგორც ის დაღონდა, მაგრამ რა ქნას. სად არის და სად არა, ის თავვი, კატა და ძაღ-

ლი მივიდნენ მასთან და უთხრეს: რათა ხარ დაღონებული, იმ თვალს ჩვენ ვიშოვითო. წავიდნენ, კატა და თავგი შეაჯდა ძაღლს, ძაღლმა შესცურა ზღვაში და მივიდნენ ქალთხემწიფის ციხეში. ქალთხემწიფემ რომ კატა დაინახა, დაიძახა: გამდელი, ჩვენი ფისუა მოვიდაო. მივალერსა,—ხელს უსვამს. იმ დროს ძმარი იდგა აბლო, წამოჰკრა კული კატამ და დაღვარა. ძმარი რომ ცხვირში ეცა, კატამ დაიფრუტუნა და გავარდა. ამ დროს თავგმა წამოავლო პირი თვალს და წაიღო. შეიყარნენ ერთათ. ძაღლი ეუბნება — თვალი მე მომეცითო, თორემ ორივეს წყალში ჩაგყრითო. ისინი ეუბნებიან,— რომ გავალთ, მოგცემთო. ძაღლმა არ ქნა. მისცეს. ძაღლმა თვალი პირში დაიჭირა და გასცურა. ზღვის პირს რომ მიახლოვდნენ, დახვდათ ერთი ლოქო, აკი დაჰყეფა ძაღლმა: გავარდა პირიდან თვალი და ჩაყლაპა იმ თევზმა. დგანან ძაღლი, კატა და თავგი. უყურებენ და არ იციან რა ქნან. ამ დროს ნაპირზე მოდის ერთი აზნაური. დაინახა ესენი და თქვა: ნეტა რას უყურებენო! ნახა, რომ ერთი შენი მოწონებული ლოქოა. ჩავიდა, ჩააცა ხანჯალი და ამოიღო. თქვა: ამათი მადლი მეყოფათ, ნაწლევებსა ჰამენო. გამოსწლა, ნაწლავები იქვე დააგდო და თევზი წაიღო. დაეხვივნენ ნაწლავებს ძაღლი, კატა და თავგი, იპოვნეს თვალი, გაიქცნენ და მიუტანეს ხემწიფის შვილს. რასაკვირველია, ხემწიფის შვილს ძალიან გაუხარდა. აიღო ის ნატვრის თვალი და ინატრა: ნატვრის თვალო, ესლავ ასწი იმ ქალთხემწიფეს თავის ქალაქითა და ჩემს ქვეყანაში დადგო. იმავე წამში აუხდა. შევიდა და უთხრა ქალს: რათ მიყავიო, რა დაგიშავეო? ეგ იმიტომა, რომ შენც ოინურად მამექეცი, — მეც იმიტომ გიყავიო. მეორეთ ქნეს ქორწილი და ცხოვრობდნენ ბედნიერათ.

პირი იქა, ლხინი აქა,

პური აქა, ქატო იქა.

80. მღვდლის ქალიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მღვდელი და ყვანდა ერთი ქალიშვილი. ძალიან სურდათ მღვდელსა და მღვდლის ცოლსა, რომ ღმერთს ებოძებინა იმათთვის ვაჟიშვილი. ყოველდღე მღვდელი მიდიოდა ეკლესიაში და ევედრებოდა ღმერთს, შეესმინა მისი ლოც-

ვა. ერთხელა, როდესაც მღვდელმა გაათავა ლოცვა და სახლში წავიდა, ეკლესიის კარები დაუკეტელი დარჩა. სახლში რომ მივიდა, მოაგონდა და თავის ქალიშვილს უთხრა: წადი, შვილო, ეკლესიის კარები ღია დამჩა და დაკეტეო. ქალი წავიდა და ეკლესიას რომ მიახლოვდა, ეკლესიიდან ადამიანის ხმები შემოესმა. პირველში ქალს შეეშინდა, მაგრამ მერე გამაგრდა და დაუგდო ყური ლაპარაკსა. ერთმა თქვა: ეს მღვდელი, რომელიც აქ მოდის სალოცავათ, ღმერთმა შეიბრალა და უბოძებს ვაჟიშვილსა. მაგრამ რა მიზეზი უნდა იყოს მისი სიკვდილისა, როცა სიკვდილის დღე მოუვა? ისა, რომ, როცა ეს ვაჟიშვილი ათი წლისა შეიქნეს, მღვდელს რომ სახლის წინ მსხლის ხე უდგას, იმაზე ავიდეს ხილის მოსაკრეფად, ჩამოვარდეს იქიდგან და მოკვდესო. მეორემ თქვა: ჩვიდმეტის წლისა რომ შეიქნეს, შეჯდეს თავის მამის თეთრ ცხენზედა, წავიდეს სასეირნოდ, გადმოვარდეს ცხენიდან და მოკვდესო. მესამემ თქვა: როცა შეიქნეს ოცდარვის ან ოცდაათის წლისა, წავიდეს ცოლის მოსაყვანადა, როცა დასაძინებლად დაწვნენ ცოლ-ქმარნი, მაშინ მოვიდეს ორი გველი, ერთი ერთ წალაში ჩაძვრეს, მეორე მეორეში და, როცა ისინი დაიძინებენ, ერთი ქმარსა ჩაუძვრეს მუცელში, მეორე — ცოლსა და მოკვდნენ. ვინც ჩვენ გაგვიგონოს და გაგვთქვას, — გაქვადესო. იმისი წამალი რაღა იყოსო? — თქვა პირველმა. მზის პირისნაბანიო, — მიუგო მესამემ.

ეს ყველა გაიგონა ქალმა, მოიბრძინა სახლში და უთხრა თავის მამას: მამა, შენ რომ თეთრი ცხენი გყავს, გაყიდე, თუ მე გიყვარვარო. რათაო, — მამამ უთხრა, — მე მოხუცებული ვარ, შვილო, ქვეითად სიარული არ შემიძლიან და რათ უნდა გავყიდოვო, მაგრამ ქალიშვილი არ მოეშვა და გააყიდვინა ცხენი. მეორე დღეს კიდევ მივიდა მამასთან და უთხრა: ჩვენი სახლის წინ რომ მსხლის ხე დგას, მოსტერიო. რათაო, შვილო, — უთხრა მამამ, — მერე ხილი აღარ გექნებათო. მაგრამ ქალი არ მოეშვა და მოაჭრევინა ხე. მართლაც, ვაჟიშვილი მიეცა მღვდლის ცოლსა, და როცა საცოლო კაცი შეიქნა, ცოლის მოსაყვანად დააპირა წასვლა. ქალიშვილი შეეხვეწა მამას, რომ გაეშვა ძმასთან. მამა დიდი ხანი არ უშვებდა, მაგრამ ბოლოს გაუშვა. ვაჟი წავიდა თავის დითა, ითხოვა ცოლი და დაიწერა ჯვარი. როცა ცოლ-ქმარნი დაწვნენ დასაძინებლად, ვაჟის დას არ დაუძინია. ნახა, რომ მოვიდა ორი უშველებელი გველი, ერთი ერთ ჩექმაში ჩავიდა და მეორე — მეორეში. ქალმა დაავლო

ჩემებს ხელი, ჩაადლო ცეცხლში და ჩასწვა,— გადაარჩინა ძმა და მისი ცოლი სიკვდილს. როცა წამოვიდნენ ახალი ჯვარდაწერილები სახლში და ჰკითხეს ჩემების ამბავი, ქალიშვილმა უამბო ყველაფერი და ისიც, რომ მას ამისათვის გაქვავება ეწერა და წამლად მზის პირისნაბანი ჰქონდა დანიშნული. ეს თქვა და გაქვავდა კიდეც.

ძმამ რომ გაიგონა, წამალი მზის პირისნაბანიო, და ნახა, რომ და გაქვავდა, წავიდა წამლის მოსატანად. იარა ორი დღე და მესამე დღეს დაინახა ერთი ირემი, რომელიც დაბმული იყო თავისი რქებით.— ერთი რქა ცაში ქონდა დაბმული და მეორე მიწაში იყო ჩასული. ვაჟი გაჩერდა ირემთან. ირემმა უთხრა: მე ვიცი, სადაც და რისთვისაც მიხვალ, თუ მიშველი,— შეეხვეწები მზის დედას, რომ ამიშვას, აგოყვან მზესთანო. როგორ არ გიშველიო, უპასუხა ვაჟმა. ირემმა დაისვა ვაჟი თავის რქაზედ, რომელიც ცაში იყო ასული, და ცაში აუშვა. მზის დედამ რომ დაინახა ეს ვაჟი, ჰკითხა: აქ რისთვის მოსულხარ ან როგორ ამოდიო? ვაჟმა უანბო, რისთვისაც მივიდა. უთხრა, ირემმა ამომიყვანაო და გეხვეწება, რომ დაბმულია და აუშვაო. მზის დედამ უთხრა: ჩემი შვილი შინ არ არის, მოვა საცა არის და შეიტყობს, რომ ადამიანის სული აქ არის, და დაგწვამსო. მოდი, ამ სკივრში ჩაჭექი, და როცა მოვა, მე ვეტყვი პირი დაიბანოს, ჩაგისხამ იმის ნაბანს ბოთლში და წაიღეო, ირემს კი უთხარი, — ერთი აქეთ-იქით გაიქნიოს თავი და აეშვებაო. მოვიდა მზე და მაშინვე ეცა ადამიანის სული, მაგრამ დედამ დაუფიცა, რომ აქ არავინ არისო, წადი, შვილო,— უთხრა მზეს,— დაიბანე პირი და ისე წადი, სადაც მიხვალო. წაიყვანა დედამ, პირი დააბანინა და გაისტუმრა შვილი. როცა გაისტუმრა, ჩაასხა ბოთლში მზის პირისნაბანი და მისცა ვაჟს. ვაჟი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, გამოაწია საჩქაროთ ქვევით. ირემმა ჩამოიყვანა და მერე ჰკითხა: ჩემი საქმისა რა ქნისო? გაიქნიე თავი აქეთ-იქით და აეშვებიო, უთხრა ვაჟმა. მართლაც, გაიქნია ირემმა თავი აქეთ-იქით და აეშვა. სამადლობლად ირემმა დაისვა ეს ვაჟი თავის ზურგზედ და საჩქაროდ მიარბენინა მის სახლში. ვაჟმა დაასხა მზის პირისნაბანი თავის გაქვავებულ დას და გააცოცხლა.

პირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხემწიფე. დიახ, ძრიელი და მდიდარი, ასე რომ არ იცოდა თავისი სიმდიდრე. მაგრამ შვილი არა ყვანდა და ძალიან დაღონებული იყო. ერთს ღღეს სხედან ხემწიფის ცოლი და ვეზირის ცოლი დაღონებულები; მივიდა ერთი გლახა და მოწყალეობა სთხოვა: ნეტავი შენა, რომ დარდი არა გაქვსო, უთხრა ხემწიფის ცოლმა. შენ რა დარდი გაქვსო? — ჰკითხა გლახამ. ხემწიფის ცოლმა უთხრა: დარდი როგორ არა მაქვს, ხომ ხედავ ამ ჩემს სახელმწიფოსა, შვილი არა მყამსო, ვინ იცის ვის დარჩება ჩემი სახემწიფოო. მაშინ გლახამ უთხრა: რას მამცემ, რომ ისეთი წამალი გაქვალო, რომ შვილი გაგიჩნდებო? გაიცინა დედოფალმა და უბძანა: რაჲც მთხოვ, მოგცემო. არა, მე სხვა არა მინდა რაო, — გლახამ უთხრა, — ეს გუდა ფულით ამიშაეო; ერთი ვაშლი მიბოძეთ, შევეულოცამ, ის შექამე და ჯორის ნაფეხურში რომ წვიმის წყალი იდგეს, ის დალიე, უქველად დაორსულდები და ვაჟი გეყოლებათ. მიუტანეს ვაშლი, მან შეულოცა. აუმსეს იმ გლახას გუდა ფულით და გაისტუმრეს. იცინიან. მიეცით, მადლიაო, თორემ მაგისი შელოცვილი ვაშლით რა შვილი გამიჩნდებათ, — ამბობდა დედოფალი. ზედ გაავდარდა, და ბძანა დედოფალმა, — ვეზირის ცოლიც გვერდით უზის: მოდი ერთი ეს ვაშლი შევექამოთ და ეს წვიმაც მოვიდა, ჯორის ნაფეხურშიაც წყალი იქნება, ისიც დავლიოთო.

გასჭრეს ის ვაშლი და ნახევარი ვაშლი ერთმა შექამა და ნახევარი მეორემ, ჯორის ნაფეხურშიაც წვიმის წყალი იდგა, ისიც დალიეს ორივემა, და სასაცილოთ იგდებენ იმ გლახასა, — ეს როგორ დაგვაორსულებსო. იქნა ღვთისაგან ბძანება და ორივენი ორსულები გამოღვინენ, ორივეს ვაჟები გაუჩნდათ.

ხემწიფის შვილს საბნელოში ზდიდენ. დავაჟკაცდა და ქვეყნისა არა იცოდა რა. ერთ ღღეს მოსამსახურემ საუზმე შეუტანა და ვაჟმა რომ ჭამა გაათავა, ძვალი გაიხროლა, ფანჯარაში მინას მოხვდა, გატყდა და ოთახში მზის შუქი შევიდა. გადიხედა ხემწიფის შვილმა და გაუკვირდა: ეს რა ვნახეო, — ქვეყანა არ ენახა. დაუძახა მოსამსახურეს: ბიჭო, ეს რა დავინახეო? ძალიან შეეშინდა ბიჭს, მაგრამ რაღა ქნას. მოახსენა: მამითქვენის სახემწიფოაო. რას ამბობ, ბიჭო, სწორედ მიანბე, ეს რა ანბავიაო? ბიჭმა უთხრა: ეგ ქვეყანაა,

ეგ ხალხიაო. ე ჯოხით რო დადის, ეგ ვინ არისო? ეგ ბებერი კაცი არისო, ეგ ჩვენსავეთ ყმაწვილი ყოფილა და ეგრე დაბერებულაო. ახლა რა უნდა იყოსო? ახლა ეგ მოკვდებაო. სიკვდილი რა არისო? სიკვდილი ის არი, მოკვდება, მერე გათხრიან მიწას და ჩასდებენ, დააყრიან მიწას და ეტყვიან, მიწა ხარ და მიწათ იქცეო; სული ღმერთთან წავა, — ხორცი მიწაში დალბება, მიწათ იქცევაო. ესეაო. ხემწიფის შვილმა რომ დაასრულებინა იმ ბიჭსა, დასწერა წიგნი და გაუგზავნა მამას: „მამავ, ეს რა ამბავია, ჩემი ასე საბნელოში გაზდაო. გთხოვ, ერთი კარგი ცხენი და ერთი კარგი სახემწიფო ტანისამოსი მიბოძო, მინდა გავიდე ქვეყნიერადა, ვნახო რამეო“. ხემწიფეს მიუვიდა თუ არა შვილისაგან წიგნი, გამოიყვანეს რომელიც რომ ისეთი ცხენია — მასკვლავებს ეთამაშება, შეუტახშმეს, სახემწიფო ტანისამოსი ჩააცვეს, მორთეს და გაისტუმრეს. რამდენიმე ათასი ცხენოსანი მოჯირითე გააყოლეს შესაქცევათ. როცა გასცდა ხემწიფის შვილი რამდენიმე დღის სავალზე თავის სახემწიფოს, მაშინ უბძანა თავის ჯარს: დაბრუნდით, შინ წადითო, მამა ჩემს მოახსენეთ, — მე ნულა მელის, მე ველარ მოვალ, მშვიდობითაო; მე ისეთს ალაგას უნდა წავიდე, რომ არ მოკვდეო. მრავალი ეცადნენ, მაგრამ არავინ არ გაიყოლა. დაბრუნდა ჯარი. უთხრეს ხემწიფეს: თქვენმა შვილმა ასე მოგახსენათო, ბევრი ვეცადენით, მაგრამ არავინ გაიყოლაო. მაშინვე ბძანა ხემწიფემ — სახემწიფოს შავი გადააკართო. გადააკრეს შავი და შეიქნა დიდი გლოვნა, ტირილი და ვაება.

წავიდა ის ყმაწვილი, იარა მრავალი, ნახა ერთი დიდი ალვის ხე, ისეთი, რომ ცას წვერი მიუბჯენია. ზედ ერთი მტრედი ზის. ხის წინ დიდი ხაროა ამოთხრილი. დაუძახა მტრედმა: სად მიხვალ, ყმაწვილო? მე იქ მივალ, საცა სიკვდილი არ იყოსო. მტრედმა გადმოსძახა: ამ ხაროს ხომ ხედავ, აქ იყავი ჩემთანა, წელიწადში ერთი ფრთა გამვარდება; სანამ ეს ხარო არ აივსება ჩემი ფრთებით, შენც იცოცხლებ და მეცაო, მერე მეც მოვკვდები და შენცაო. არაო, — დაუძახა ხემწიფის შვილმა, — მე ასეთს ალაგას მინდა მივიდე, რომ სულ სიკვდილი არ იყოსო. წავიდა. იარა მრავალი, ნახა იმაზე უფრო კიდევ უფრო მაღალი ალვის ხე და მის ქვეშ ხარო, იქაც ერთი მტრედი ზის. დაუძახა მტრედმა: ყმაწვილო, სად მიხვალ? მე იქ მივალ, საცა სიკვდილი არ არისო. დაუძახა მტრედმა: ხომ ხედავ ხაროსა, — წელიწადში ერთი ცრემლი ჩამამვარდება, სანამ

ეს ხარო არ ამისება ჩემის ცრემლითა, მანამ შენც იცოცხლებ და მეცა, მემრე მეც მოვკვდები და შენცაო. ოჰ, არ მინდაო, უთხრა ყმაწვილმა, მე ისეთ ალაგას მინდა მივიდე, რომ სულ არ მოვკვდეო. წავიდა. იარა, იმდენი იარა, რომ მივიდა ერთს ხის ძირში. ნახა, ერთი მშვენიერი ქალი გამოვიდა. დაუძახა დედას: დედავ, შენი ჭირიმე, აქ გამოდი, რა დაგანახვო,— ერთი მშვენიერი ყმაწვილი კაცი მოდის, დაუძახე,— შეეხვეწა დედას,— და ჰკითხე, რას იტყვის, ან სად მიდისო. დაუძახა ქალის დედამ და ჰკითხა: ყმაწვილო, სად მიდინხარო? ყმაწვილმა უთხრა: ასეთს ალაგას მივდივარ. რომ არ მოვკვდეო. შეეხვეწა ქალი დედას: დედავ, აქციე ანგელოზათაო. დამეხსენ, შვილო, — დედამ უთხრა, — მაგას თავის მიწა-წყალი მოიკითხამსო. უთხრეს ყმაწვილს: აბა თუ გინდა, რომ არ მოკვდე, აქ იყავიო, ჩვენთანაო, ანგელოზათ გაქცევთო, თავის დღეში არც მოკვდები, არც დაბერდებიო, თუ შენს მიწა-წყალს არ მოიგონებო. ხემწიფის შვილმა უთხრა: თუ ჩემი მიწა-წყალი მდომოდა, აქ არ წამოვიდოდიო.

დარჩა იქ ხემწიფის შვილი და გახდა უკვდავ-უბერებელი. აქი ერთ დღეს ხემწიფის შვილს ფიქრი არ მოუვიდა და არ თქვა: ერთი წავალ, ჩემს სახემწიფოს ვნახამ და ისევ მოვალო. უთხრა დედამ ქალს: ხომ გითხარი, მაგას თავისი მიწა-წყალი მოიკითხამსო. ყმაწვილმა არ დაიშალა. მაშინ ქალის დედამ სამი ვაშლი მისცა და უთხრა: თუ ამას ისევ მოიტან, ისევ ეგ იქნებიო, თუ არა და — მოკვდებიო. არავცა მიეცემო, უთხრა ვაჟმა. წაიღო ის სამი ვაშლი და წავიდა. იარა, ნახა ის ადგილი, საცა მტრედი იჯდა: ხარო ამსილიყო ცრემლით და მტრედი შიგ დამრჩეალიყო, შეაგინა ყმაწვილმა,— შენ დამრჩეალხარ და მე ცოცხალი ვარო. წავიდა, იარა. ის ადგილიც ნახა, საცა მეორე მტრედი იჯდა: ის ხაროც აზსილიყო ფთით და ის მტრედი მომკვდარიყო. ყმაწვილმა იმასაც შეაგინა,— შენ მომკვდარხარ და მე ცოცხალი ვარო. წავიდა, იარა: შენმა მტერმა ნუ რა კარგი გაიგოს, იმან ველარა გაიგო რა! იმისი მამის სახემწიფო სადღა არის! სულ მთათ და კლდეთ ქცეულა, ნადირიდა არის. რომ ველარა გაიგო რა, ადგა და უკანვე დაბრუნდა. წამოვიდა, იარა მრავალი. გადმოუდგა გზაში ერთი წყეული ეშმაკი და აუტყდა: შენ რომ სამი ვაშლი გაქვს, ერთი მამეციო. აღარ მოეშვა. უმაგრდა ვაჟი, მაგრამ ვერა გააწყო-რა და გადაუგდო ერთი ვაშლი. მაშინათვე შებერდა ხემწიფის შვილი და მისი ცხენიც. გად-

შოუდგა გზაში კიდეც ის ეშმაკი და აუტყდა: შენ რომ ორი ვაშლი გაქვს, ერთი მამეციო. მეტად მოაბეზრა თავი. აილო ხემწიფის შვილმა და გადაუგდო მეორე ვაშლი. მაშინვე ისე დაბერდა ხემწიფის შვილი და მისი ცხენიც, რომ თითონ ცხენზე ველარ ღდება და ცხენიც ფეხებს ძლივს მიათრევს. მიახლოვდა იმ ადგილს, სადაც ის უკვდავი ქალი იყო. გამოვიდა ქალი, დაინახა ეს მიმავალი კაცი და დედას დაუძახა: დედავ, შენი ქირიმე, ერთი გამოდი, შეხედე, აგერ კაცი და ცხენი მოდიან; მეტის სიბერით ფეხზე ვერ დგებიანო. დედამ უთხრა: აკი გითხარი, შვილო, მაგას თავისი მიწა-წყალი მოიკითხამსო. დაუძახა დედამ ხემწიფის შვილს: მე რომ ვაშლები მოგეცი, აღარ გაქვსო? ერთი კიდევა მაქვსო, უპასუხა კაცმა. მამეციო, უთხრა დედამ. ქალი შეეხვეწა დედას,—კიდეც ისე აქციეო. აღარ დაუჭერა დედამ. გამოართვა და გასჭრა ის ვაშლი,—ნახევარი იქით გადააგდო და ნახევარი აქეთ. მაშინათვე ცხენი იქით მოკვდა და კაცი აქეთა.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, პური აქა.

41. სამი სიტყვა

იყო ერთი კაცი და დედაკაცი. იმათ ჰყვანდათ ერთი შვილი. სიღარიბისაგან მეტად შეწუხებულები იყვნენ. ამ სიღალახაკეში შერთეს ამ ბიჭს ცოლი. სიღარიბეში მალე დაიხოცნენ დედა და მამა. ამ ბიჭმა იფიქრა,— დედ-მამა დამეხოცნენ ამ სიღალახაკეში, წავალ სადმე, მოჯამაგირედ დავდგები, იქნებ ჩემ ცოლ-შვილს ლუკმა გავუჩინოო. წავიდა. მივიდა ერთ ქალაქში და იძახის: ვის უნდა მოჯამაგირეო. ერთმა კაცმა უთხრა, მე მინდაო. ბიჭმა ჰკითხა, რას მომცემო. იმ კაცმა უთხრა: ერთ წელიწადს მემსახურე და წელიწადი რომ გავა, თუ გინდა შენს სამოჯამაგიროს მოგცემ, თუ გინდა სამ სიტყვას დაგარიგებო. დაუდგა მოჯამაგირედ. წელიწადი რომ გავიდა, ბიჭმა უთხრა აღას: აბა რას მიბოძებო? იმან უთხრა: გახსომს, რომ გითხარიო, გინდა სამოჯამაგიროს მოგცემ, გინდა სამ სიტყვას დაგარიგებო? რომელი გინდაო? ბიჭი დაფიქრდა: რა

ვქნა,—სამოჯამაგრო ავიღო, იქნება იმ სამმა სიტყვამ აჯობოსო. მერე უთხრა აღას: მიძძანე ის სამი სიტყვაო. მაშინ აღამ უთხრა: წინაპირველათაო, რომ გახვიდე, რაც გზაში დაგხვდეს, აიღე და წაიღეო. მეორე: შენი გულის პასუხს შენს ცოლს ნუ ეტყვიო. მესამე: ვინაჲ რომ მოვიდეს და შენს მეზობელს ავეჯიან თხოვნა დაუწყოს, იმას რომ არა ჰქონდეს, შენ ნუ გამოვარდები და ნუ ეტყვი.— მე მაქვსო. ბიჭმა თავი დაუქრა და წავიდა.

რომ მიდიოდა, დაინახა, გზაზედ რაღაც ეგდო და ბეჭყინავდა. თქვა: ეს რა წაალებია, და ჩაიარა. მაგრამ მერე, ცოტაოდენი გზა რომ გაიარა, თქვა: მოდი ავიღებო. დაბრუნდა და აიღო. წაიღო, მიიტანა შინ და ჩაფლა მიწაში. მეორე დილით რომ გამოვიდა, ნახა, — დიდი ვაშლის ხე ამოსულა და ზედ სამი ოქროს ვაშლი მოუსხაჲს. მოწყვიტა და შინ შეიტანა. მეორე დილითაც ეგრე მოხდა. მესამე დილითაც, სულ ყოველ დილით ეგრე ხდებოდა. წაიღო ამ ბიჭმა ოქროს ვაშლები და გაჰყიდა. გამდიდრდა, აიშენა კარგი სახლები. იმ ქალაქის ხემწიფეს შური აღეძრა,— ყოველთვისინ ფიქრობდა, რომ ხელი აეღებინებინა იმ სახლებისაგან და იმ ვაშლის ხისაგან. სხვა რომ ველარა მოიგონა რა, თქვა: მოდი იმის ცოლს შევიყვარებ და იმას გამოვათქმევინებო. შეიყვარა და ეკითხებოდა: გამიგე, შენმა ქმარმა ეს სარჩო ან ეს ვაშლის ხე საიდან იშოვაო. ქალი ჩააცვიდა თავის ქმარს: უნდა მითხრა, ეს ვაშლის ხე როგორ გაიჩინეო. ქმარი უმაგრდა, არ უნდოდა ეთქო, მაგრამ ცოლი არ ეშვებოდა. ბოლოს ქმარმა უთხრა: ეხლა კი ვერ გეტყვიო და ხვალღამ ამა და ამ საათზე გეტყვიო. ქალი წავიდა, ხემწიფეს უთხრა: ჩემი ქმარი ხვალ ამა და ამ საათზედ მეტყვისო, მოდი ბანზედ და ყური დაუგდო. მეორე ღამეს ხემწიფე ავიდა ბანზედ და ყური დაუგდო. ცოლი მოვიდა თავის ქმართან და ეუბნება: აბა, გენაცვალე, მითხარიო, და თან ეფიცება, — ჩემი პირიდან არავინ არ გაიგებსო. მაშინ ქმარმა უამბო, როგორც გააჩინა, და ბანზედ ხემწიფემ წვრილად გაიგონა. შეექმნა ხემწიფეს დიდი სიხარული. მეორე დღეს დაიბარა ეს ბიჭი და ჰკითხა: ეს სარჩო შენ საიდან იშოვეო? ბიჭმა უთხრა, ღვთის ბძანებით გამიჩნდაო. ხემწიფემ უთხრა: თუ შენ არ იცი, მე გეტყვიო, და თუ გითხრა, მაგ სახლ-კარისაგან ხელი აიღეო. ბიჭმა მაშინვე იგრძნო, ღალატი რამე არისო, და თავის აღას დარიგება მოაგონდა. უთხრა ხემწიფეს: კარგი, თუ გამოიცნობთ, ნება თქვენო

ასრულდესო. მაშინ ხემწიფემ უამბო, როგორც გაუჩნდა ამ ბიჭს ეს ქონება და ყველაფერზე ხელი ააღებინა.

ჩავარდა ეს ბიჭი უწინდელ გლახაკობაში და თქვა: თუ უწინდელ აღას არ მივატანე, სულ დავიღუპებიო. მივიდა უწინდელ თავის აღასთან და უამბო ყველაფერი. ალა მიხვდა, ცოლს დაუღუპნიო, და უთხრა: აკი გითხარი, შენი გულს პასუხს შენა ცოლს ნუ ეტყვიო. ხენწიფემ გაიგო, რომ ეს ბიჭი თავის დამრიგებელთან წავიდა, და თითონაც წავიდა იმ ქალაქში. იქ დარჩა რამდენიმე დღე. ერთხელ ამ ხემწიფემ გააკეთა სადილი და იმ ბიჭის ალა დაჰპატიჟა. აღამ შეუთვალა, — მე ჩემს სტუმარს თავს ვერ დავანებებო. ხემწიფემ შემოუთვალა: სტუმარიც თან მოიყვანეო. აღამ დაარცხა ბიჭი: შენაო თავს მიგვაპატიებენო, შენ კი არ შესცდე და თავს არ გადახვიდეო. წავიდნენ ხემწიფესთან. რომ მივიდნენ, იმ წამსვე გადიპატიეს ეს ბიჭი. ბიჭმა აღას დარიგება კიდევ არ გაიგონა, გადავიდა და თავს დაჯდა. ხემწიფემ თავის ტახტზედ მიიპატიჟა ბიჭის ალა, თვალი კი ისევ ბიჭისაკენ უჭირამს, — ეგება მიზეზი ვუპოვო რამეო. ამ ბიჭს ისევ თავის სიმდიდრეში ეყიდნა ისეთი დანა, რომ ერთ ქალაქად ღირდა. ამოიღო არხენად და დაუწყო ხორცს თლა. ხემწიფემ შეასწრო თვალი იმ დანას და ფიქრში შევიდა, თუ როგორ ჩაეგდო ის ხელში. შექნა ხემწიფემ ერთი ძახილი: დანა მომართვითო! არავინ გაუჩნდა, რომ მიეტანა დანა. ამ ბიჭმა დაიძახა: აჰა, დანა, მიირთვი, ხემწიფეო. ხემწიფემ თქვა: ამ დანას ვეძებდი, რამთონი ხანია, და აი ვაპოვეო. ამ ჩემი დანის ქურდი ეხლავე უნდა ჩამოახრჩონო. უბძანა თავის მოსამსახერეებს: ეხლავე გააკეთონ სახრჩობელა, ჩამოჰკიდეთ და ჩამოახრჩეთო. დაფიქრდა ბიჭის ალა, შემდეგ მოახსენა ხემწიფესა: აგრეც არ გახლამსო, როგორც თქვენ ფიქრობთო. ეს კაცი ჩემთან მოსულა სტუმრათაო, მე ჩემს სახლში უნდა წავიყვანო, იქიდან უნდა გავისტუმროო მშვიდობითაო, და მერე თქვენ ხემწიფე ბძანდებითო, — რაც გენებოთ ის უყავითო.

ხემწიფემ უთხრა: შენ იმეტომ უნდა წაიყვანო, რომ დარიგება მისცეო? იმან უპასუხა: თქვენი მოსამსახურეები გაგვატანეთო, მაგათ გვიყარაულონო, თუ მე ეს ბიჭი ჩემ ოთახში გავატარო, ან თუ მის ოთახში მე გავიარო. ხემწიფემ გაატანა თავისი მოსამსახურეები. აღამ ბიჭი ერთ ოთახში შეიყვანა. ბიჭმა იცოდა, რომ დარიგებას მისცემდა რასმე, და ყური მიადო კარებსა. აღამ აიყვანა კატა, ჩაისო კალთაში და ეუბნებოდა: ფისო, ეხლა რომ ხემწიფემ წაგიყ-

ვანოსო დააახრჩობათაო, შენ უთხარიო,— ეგრე არ არისო, პატარა ხან მალაპარაკეო და მემრე ჩამამხრჩეთო. იმან რომ გითხრასო: თქვი, რა გინდაო, შენ უთხარიო: ეგ დანა არც შენია, არც ჩემი არისო, მაგ დანით მამაჩემი ვიღასაც მოეკლათ და ყელში დარჩენოდაო; ეხლა დავეძებო მაგ დანის პატრონსაო, რომ შევიტყო, ვინ მოკლა მამაჩემიო. მაშინ ხემწიფე გეტყვისო: აბა, წაიღე ეს შენი დანაცაო, შენი სახლებიცაო, მე არა ვარ მამიშენის მკვლელიო. შემრე რომ მიიყვანეს ხემწიფესთან ეს ბიჭი, იმან სულ ყველაფერი ისე უთხრა, როგორც აღამ დაარიგა. მაშინ ხემწიფემ გაუშო ეს ბიჭი.

42. ოძროსრძიანი მავრები

იყო და არა იყო, იყო ერთი კაცი, ხყვანდა ცოლი. იმათ კიდენ ერთი ძროხა ხყვანდათ. იმ კაცის ცოლი როცა დაორსულდა, ამ ძროხამ გაიგო, რო ამ კაცს ეყოლებოდა ვაჟი. ძროხამ აიქცია თავი, წავილა გზასა, მივიდა ერთს ტყეში, გაიჩინა ბინა და გააშენა ნახირი. ამ კაცს გაუჩნდა ვაჟიშვილი. ეს ვაჟი დღეში მათრახის ტოლი იზრდებოდა. რამდენსამე დღის შემდეგ გავიდა ყმაწვილებში. ყმაწვილები კოჭაობდნენ. ამ ვაჟმა კოჭი სთხოვა, არ მისცეს და მოსტაცა. ბიჭებმა დააყვედრეს: ჩვენ რას გიშავებთო, თქვენ რო ერთი ძროხა გყვანდათ, ისაც გაგექცათ, ის მოძებნე, ჩვენ კი ნუ გვტაცებთ კოჭებსაო. ეს ყმაწვილი წავიდა და დედას ძუძუ მოსთხოვა. დედამ უთხრა: რა დროს შენი ძუძუობააო? არა, დედაო, ეუბნება ყმაწვილი, ძუძუ მინდაო. მაშინ მისცა დედამ ძუძუ, და შვილი ეუბნება: მოვეკნიტაო? რათაო, ჰკითხა დედამა. ყმაწვილმა უპასუხა: ჩვენ ერთი ფური გყვანდა, სად წავიდაო? შვილო, შენზე რო ორსული ვიყავ, მაშინ გაგვეხიზნაო,— დედამ უთხრა. მე წავალ და მოვიყვანო, შვილი ეუბნება. არა, შვილო, — დაუშალა დედამ,— მოგკლავსო. შვილი მაინც წავიდა, არ დაიშალა, მაშინ დაარიგა დედამა: როცა მიხოლ, ტყეზე შაჯე და დაუძახე: შიფში, შიფში, ჰერემაო, მე შენი პატრონი ვარო.

წავიდა ყმაწვილი, მივიდა იქ, საცა ძროხა იყო. შანდა ტყეზე და დაიძახა: შიფში, შიფში, ჰერემაო, მე შენი პატრონი ვარო. წავი-

და ძროხა, წამოხყვა მისი ნახირო: ამ ნახირში ორი ოქროსრქიანი მაზვეერი იყო. ძროხამ შესძახა: საით ჩემი პატრონი ხარო? ყმაწვილმა მიუგო: ჩემი დედა როცა ორსული ყოფილა ჩემზედაო, შენ გამოქცეულხარო. ძროხამ უთხრა: ჩამოდიო. მომკლავო, უპასუხა ყმაწვილმა. შახტიცა ძროხამა: არაო. მაშინ ჩამოხდა ყმაწვილი. ძროხამ დაუკლა ხბო, აქამა და გამოიხტუმრა. ის ოქროსრქიანი მაზვერები მისცა და ერთი გულადი, სამი ბეწვი გამოიწოდა და ისიც მისცა.

წამოვიდა ეს ყმაწვილი. ერთმა ხემწიფემ დაინახა, რომ ამ ყმაწვილს ოქროსრქიანი მაზვერები მიუღიოდა. დაუძახა, — დაიცადეო. დააყენა ყმაწვილმა მაზვერები. გამოვიდა კაცი ხემწიფისაგან და უთხრა ხემწიფის ნაბრძანები: რაც ჩემს სახემწიფოში მამულია, თუ ერთს დღეს მოხან, დასთესე და დაფარცხე, — ეგ მაზვერები შენი იყოს; თუ ვერ მოარჩი, ეგ მაზვერები აქ დარჩეს და შენ შინ წადიო. გამოვიდა დაღონებული ყმაწვილი. ხკითხეს მაზვერებმა. რას დაღონებულხარო? პატრონმა უთხრა: თქვენი თავი მერთმისო. როგორაო? — ხკითხეს. ასე და ასეო, რომ რაც ამ სახემწიფოში მამულია, ერთს დღეს უნდა მოვხნათ, დაეთესათ და დაფარცხოთო, მაშინ ჩემი იქნებითო; თუ ვერ მოვარჩიოთ, თქვენ აქ დარჩებოდითო. მაზვერებმა უპასუხეს: ჩვენ ვხნავთ, ვფარცხავთ, შენ სთესეო. აქ დღეს მოხნეს, დასთესეს და დაფარცხეს. გამოიხედა ხელმწიფემა. ნახა, რო გაეთავათ. მაშინ უბრძანა: რაც მარცვალა იყო დათესილი, სულ აკრიფე, ერთი არ გაუშო, თორე ეგ მაზვერები აქ დარჩეს და შენ შინ წადიო.

დაჯავრიანდა ყმაწვილი. ხკითხეს მაზვერებმა, რას დაღონებულხარო? რას დავღონებულვარ და იმასა, რო თქვენი თავი მერთმისო, — უთხრა ყმაწვილმა. როგორაო? ისეო, რო რაც დაეთესეთ, სულ უნდა აკრიფოთო. მაგაზე რას დაღონებულხარო. — მაზვერებმა უთხრეს, — დედაჩვენმა რო გულა მოგცა, მოხსინ პირსა და აიკრიფებო. მართლა მოხანა პირი და ამ გულიდან ამოვიდა იმდენი ჭიანჭველა და დაეხვია ამ ქერის მარცოლსა, რომ სულ აკრიფის. ერთი დააკლდა: ერთი ჭიანჭველა უყვირია: მე მამაქო, კოჭლი ვარ და უკან დავრჩიო. ეგ რომ შეუსრულა, ახლა ხემწიფემ სხვა რამ უთხრა: რაც ჩემ სახემწიფოში თივა-ჩალა არის, თუ ერთ დამეს შააკმეიე მაზვერებს, შენივე იყოს; თუ ვერ შააკმეს, მაზარები ჩემი იყოს და შენ შინ წადიო. შასწუხდა ეს ყმაწვილი. მაზვერებმა ჰკით-

ხეს: რაღას შასწუხდიო? ყმაწვილმა უთხრა: ასე და ასე, თქვენი თავი მერთმისო. რაც ამ სახემწიფოში თივა-ჩალა არის, სულ უნდა შაშქამოთო. მაგაზე რას შასწუხებულხარო, — მაზერებმა უთხრეს, — ჩვენმა დედამ რომ სამი ბეწვი მოგცა, გაუშვი სამივეო. ყმაწვილმა გაუშო სამივე. იმწამსვე იმათი დედა თავის ნახირით იქ დაიბადა.

იმ სახემწიფოს საკმელმა შუალამემდე ვერ გაუძლო, როცა გაათავეს, სულ შაქამეს, დედა წავიდა თავის ნახირითა. გათენდა. ნახეს, რო ზვირი აღარ იყო. იფიქრა ამ ხემწიფემა, რითი უნდა დანებინო თავიო და ეს მოიფიქრა: ერთი დიდი ქობი ქონდა; შადგმევეინა წყლით სამსე და ააღუღებინა. გამოვიდა კაცი ხემწიფისაგან და უთხრა ყმაწვილს: ქობში წყალი ააღუღეს და შიგ ჩაგდებას გიპირობენო. დაღონდა ყმაწვილი. ხკითხეს მაზერებმა, რას დაღონებულხარო? იმასაო, ყმაწვილი ეუბნება, რომ თქვენი თავი მერთმისო. როგორაო? და: ასე და ასე, რო დიდის ქობით წყალი აუღუღებიათ და შიგ უნდა ჩამაგღონო. მაშინ მაზერებმა უთხრეს: ერთი ერთს გვერდზე დაგიდგებით, მეორე — მეორეზედა, ჩვენ ვუბერავთ წყალს, ვაციებთ, შენ შიგ იქნებიო. წაიყვანეს, ჩააგდეს ქვაბში, ერთი მაზვერი ერთს გვერდზე დაუდგა, მეორე — მეორეზედა, უბერავდნენ, აციებდნენ. რამდენიმე საათი იყო შიგა. ამაუშვეს, — ისევ ისეთი, როგორიც ჩასვეს. ხემწიფემ თქო: განა აგრე უნდა ბანაობაო? ჩახტა ქვაბში და ჩაიხარშა შიგა. იმ ყმაწვილმა თავის გზაზე წაასხა მაზერები.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

43. ხემწიფის შვილი და დევთმეფე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძრიელი ხემწიფე, ჰყვანდა ერთი ცოლი და სამი ვაჟიშვილი. ერთხელ ამ ხემწიფეს მოუტანეს ამბავი, რომ ერთი საშინელი დევი მოვიდაო, შენი სახემწიფო ძალიან შეაწუხაო და ხარჯსა ითხოვსო. ხემწიფე გაჯავრდა და თავისი ჯარი გაგზავნა იმ დევის შესაპყრობად. ჯარი რომ მივიდა, იმ დევმა სულ ერთიანად გასწყვიტა და თითონ პირდაპირ ხემწიფე-

საკენ წამოვიდა. ამ დროს ხემწიფის ცოლი ბაღში დასერიანობდა. უცებ ცადგან რაღაც შავი ღრუბელი წამოვიდა, დაეცა ამ ქალსა და მოიტაცა. ისე უცებ გაჰქრა, რომ თვალი ველარავინ მოჰქრა. ხემწიფეს კინალამ გულს შემოეყარა, მას აქეთ დადარდიანდა, სულ დაღონებული იყო, თავის სასახლეს სულ შავები გადააქრა და შვილებს თვალით არ ნახულობდა,— გამდელი ზრდიდა.

როცა შვილები მოიზარდნენ, უნცროსმა ჰკითხა ერთხელ გამდელს: ჩვენ დედა გვყავდა თუ არაო? როგორ არაო, უთხრა გამდელმა, აღმოსავლეთის ხემწიფის ქალი იყო თქვენი დედა, დევმა მოიტაცაო. მამა თქვენი ბევრი ეცადა, ეძებდა, მაგრამ ვერა გაიგო რა, და თქვენ ჩემი გაზდილები ხართო. ეს რომ გაიგონა ხემწიფის უნცროსმა შვილმა, დაუძახა ძმებს და უთხრა: აბა, ძმებო, ჩვენ რაღა კაცნი უნდა ვაყვენეთო, რომ ჩვენ დედა გვყოლია, დაქარაჯულა, არც კვდარი ვიციოთ, არც ცოცხალიო. თუნდა ვიყვნეთ, ძმებო, თუნდა ნუო. წავიდეთ, ვეძებოთ; თუ ვიპოვნით, ვიპოვნით, თუ არა, მაღლობა ღმერთსა, ხომ აღარ გვექნება რა სასაყვედუროო. არჩიეს ძმებმა, ჯერ მამასთან წასულიყვენ და მისი გულის პასუხი შეეტყვოთ.

მივიდნენ მამასთან. გაუგზავნეს ვეზირი, თქვენს შვილებს თქვენი ნახვა უნდათო. ხემწიფემ უთხრა, მოვიდნენო. ვეზირი გამოვიდა და მოუტანა ყმაწვილებს ამბავი. უფროსმა სთქვა, რადგანაც მე ყვილაზე დიდი ვარ, ჯერ მე შეივალო. ძმებმაც დასტურად დასცეს. უთროსი ძმა შევიდა თავის მამასთან, მივიდა და წინ დაუჩოქა. ხემწიფემ დიდხან უყურა და ბოლოს ისეთი სილა შემოჰქრა, ამ ყმაწვილს კინალამ გულს შემოეყარა. დიდათ ეწყინა თავის მამისაგან, მაშინვე წამოღდა და ძმებთან გამოვიდა ტირილით. იმათაც დიდად გაუჟივრდათ. ახლა შუათანა შევიდა. იმასაც ისე უყო მამამ, ისიც სისხლიანი გამოვიდა ძმებთან. ბოლოს უნცროსი შევიდა, ამანაც წინ დაუჩოქა მამას. ხემწიფემ კიდევ სილა შემოჰქრა, მაგრამ ამ შვილმა უთხრა: თუნდაც კიდელზე აღმასის ხმალი რომ ჰქიდა, იმითაც თავი რომ გამაგდებინო, მაინც აქოდან მინამ არ გავალ, სინამ შინი გულის პასუხს და დალონობის მიზეზს არ შევიტყობო. მაშინ მამამ იფიქრა. უთუოთ ეს მიშვილისო და თავის დედას გამოეხსნისო. ადგა ხემწიფე და უამბო დალონობის მიზეზი უნცროსმა რომ თავის მამის გულის პასუხი მოისმინა. მაშინვე გამოეთხოვა და სამი ცხენი გამოართვა,— ერთი თავისთვის და ორი

ძმებისთვის. როდესაც წასვლა დააპირეს, იმ დროს მამასთან შევიდნენ და დალოცვა სთხოვეს. იმანაც დალოცა და წავიდნენ სამნივე.

ბევრი იარეს, მრავლისაგან მრავალი ნახეს. ერთ ტრიალ მინდორზე ნახეს ერთი დიდი ქვა ძევს. იმაზე სწერია: მარჯვნივ წავიდეს,— გაჭირვება ბევრი ნახოს, ბოლო კარგი ექნესო; მარცხნივ წავიდეს,— უხეიროთ იაროსო. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, საითაც გაჭირვება არის, იქით წავიდეთო. ახსენეს ღმერთი და წავიდნენ საითაც გაჭირვება ეწერა.

იარეს, მრავლისაგან მრავალი ნახეს. ერთს მინდორზე ნახეს ერთი მშვენიერი სახლია, წინ ბაღია აქვს; ერთი დევთღედა ზის ისეთი, რომ ცხრილის ოდენა თვალეზი უყრია, წისქვილის დოღაბის ოდენა კვირისტავი უჭირამს და მატყლს ართამს. გააგდო ის კვირისტავი და დაუძახა ყმაწვილებს: შვილებო, ერთი ეს კვირისტავი მომაწოდეთო. მივიდა უნცროსი ძმა და მისცა. იმ ბებერმა უთხრა: რად მიხვალთ, შვილებო, აქ იყავით ამაღამაო, ჩემი შვილი სანადიროთ არი წასული, საღამოზე მოვა და ნანადირევს მოიტანსო. ამაღამ აქ იყავით, დილაზე წადითო, შედით ბაღში, ხილი იხილეთ, ჩრდილი იჩრდილეთო. დაუჯერეს ყმაწვილებმა, შევიდნენ ბაღში. ნახეს — მშვენიერი ბაღია, შიგ ვაშლი დგას საუცხოო, ზედ ისრებია გაყენებული, — იმ ისრების პატრონები სულ ხემწიფის შვილები ყოფილან. ვნახოთ — საღამოზე ერთი დევი მოდის, ასთავიანი, ერთი ირემი მოუკლამ, ერთი შეშა გაუღვია მხარზე და მოდის. მოვა, შეხედა დედასა და უთხრა: დედავ, მე 'ნუ მოგიკვდები, სტუმრები კარგი მოგყოლია, მაგრამ მასპინძელიც კარგი მოვედიო. — აბა, დედავ, შენი სტუმრები შეშას დასჭრიან თუ ირემს გაატყავებენო. უთხრეს იმ ყმაწვილებსა. უნცროსმა ძმამ უთხრა: ესენი ჩემი უფროსი ძმები არიანო, და მე რასაც მიბრძანებთ, გავაკეთებო. შეშა მისცეს, დასჭერიო, და მისცეს სამთლის ცული. ეწყინა ძალიან, — სამთლის ცულით შეშა დაიჭრებარო? მიანტვრია — მონატვრია შეშა, მერე შეეშველა დევს, დასჭრეს ირემი, შედგეს, მოხარშეს.

ღევმა ერთი ურემი ღვინო დედას შემოუტანა, ერთი ურემი სამივე ძმებსა და ერთი ურემი თავისთვისა. დასხდნენ, შეექცნენ კარგა. დაუძახა ამ უნცროსმა ხემწიფის შვილმა: მასპინძელო, მოსამატს მოსამატი უნდაო. ღევმა დაუძახა, — რა გაკლიაო? ღვინოო.

აბღო დევმა გასაღები, მისცა და უთხრა: შედი, მაგ ოთახში ქვევ-
რია და ამოიღეო, თუ სარქველს ვერ მოერიო, დამიძახეო. ეს რომ
გაიგონა, ხემწიფის შვილს ეწყინა: რა ქვა იქნება, რომ ვერ მოვე-
რიოო. შევიდა, მოსწია ქვევრსა და ამოიღო ღვინით სავსე, შეიტანა
და დაუძახა დედას: სად დავდგაო. დევმა რომ შემოხედა, ელდა ეცა:
სამმა-ოთხმა ცარიელი ძლივ ჩავაგდეთო მიწაში და ამან სამსე
შემოიტანაო. მე აქ აღარ მედგომებო, ადგა და წავიდა, მალლა
გორა იყო და იქ დაჯდა. ადგნენ დილაზე ის ყმაწვილები. ჰკიბთეს
ბებერს, სად არის შენი შვილიო. მან უთხრა, მანდ იქნებაო. ღურბინ-
დი ქონდა იმ დევსა. აიღო უნცროსმა ძმამ და გაიხედა,—ნახა, გო-
რაზე იჯდა დევი. დაუძახა ჩამოდი, მანდ რას უზიხარო. დევმა დაუ-
ძახა: მე მანდ როგორ მოვალო, შენ რომ წუხელი ღვინით ქვევრი
შემოიტანე, სამ-ოთხთ ძლივ ჩავაგდეთო, მე როგორღა მოვალო,
ღმერთმან მოგახმაროსო. ყმაწვილმა შეჰფიცა: ჩამოდი, ძმა იყავი
ჩემი მეოთხეო, ოღონდა ერთ სიტყვას გეტყვიო, ის მითხარო.
ჩამოვიდა დევი. ჰკითხა ყმაწვილმა: დევთემწიფე სად არისო? თუ
მაგის მეტს არას მკითხამო, უთხრა დევმა, ამას გეტყვიო: აქედამ
წადი, ჩაიარე, ჩემს ძმასა ნახამ და იმან იცისო. წავიდნენ, ნახეს
კიდევ ერთი ბებერი იყო. მანაც კიდევ ისე გააჯღო კვირიტავი და
დაუძახა: შვილო, მამაწოდეო. მიაწოდა უნცროსმა ძმამ. მერე უთხ-
რა ბებერმა: შედით, ბალი არი, ხილი იხილეთ, ჩრდილი იჩრდილე-
თო, ამაღამ მოვა ჩემი შვილი, ნანადირევს მოიტანსო.

შევიდნენ, ნახეს მშვენიერი ბალი იყო. ხილი იხილეს, ჩრდილი
იჩრდილეს. დაღამდა, მოვიდა დევი,—ასთავიანია. მოიტანა ერთი
შეშა, ერთი ირემი. უთხრა დედას: დედავ, მე ნუ მოგიკვდები,
სტუმრებიც კარგი გყვანან, მაგრამ მასპინძელიც კარგი მოგივედიო.
შენი სტუმრები შეშას დასჭირან, თუ ირემს გაატყავებენო? უნც-
როსმა ხემწიფის შვილმა უთხრა: ეს ორნი ჩემი უფროსი ძმები
არიან, ესენი ვერას გააკეთებენ მაგისთანა საქმესო და მე რასაც
მიბძანებთ, გავაკეთებო. მისცეს შეშა, დასჭერიო. გამოუტანეს
სამთლის ცული. ეწყინა,—სად გაგიგონიათ სამთლის ცულით შე-
შის დაჭრაო,—მიანტვრია, მოანტვრია. მერე შეეშველა დევს, გა-
ტყავეს ირემი, შედგეს და მოხარშეს. დევმა ორი ურემი ღვინო
დედას შემოუტანა, ორი იმ ყმაწვილებსა და ორი ურემი თავის-
თვინა. დასხდნენ, შეექცნენ. დაუძახა უნცროსმა დევს: მასპინძლო
ბატონო, მოსამატს მოსამატი უნდაო. დევმა უთხრა: ე მაგ ოთახში

შედი, ქვევრი ახადე; თუ სარქველს ვერ მოერიო, დაშიძახეო. ეს ძალიან ეწყინა ყმაწვილს. შევიდა, მოგლიჯა ის ღვინით სავსე ქვევრი და შეიტანა. შეხედა დევმა, ძალიან შეშინდა და ღამე გაიპარა. გათენდა, ნახეს ყმაწვილებმა დევი არ არის, ჰკითხეს დედას: შენი შვილი სად არიო? მანდ იქნებო. შეხედეს — დევი ქედზე ზის. დაუძახა უნცროსმა ხემწიფის შვილმა, მანდ რას უზიხარო. დევმა დაუძახა: ვერა, მე მანდ რა მამიყვანსო, შენ რომ წუხელი ის ღვინით სავსე ქვევრი შემოიტანე, ხუთ-ექვსთ ცარიელი ძლივ ჩავდეთო; მე მანდ არ მოვალ, ღმერთმა მოგახმაროს მანდაურობაო. დაუძახა ყმაწვილმა: ღმერთი მიმიცია შენთვის თავდებათა, რომ მე შენ არას გერჩი, ოღონდ ერთს სიტყვას გეტყვი, ის მითხარო. ჩამოვიდა დევი, ჰკითხა ყმაწვილმა: დევთხემწიფე სად არიო? დევმა უთხრა: ე მანდ ჩაიარე, ჩემი უფროსი ძმა არი, ის იმის მოურავია, იმან იცისო. მადლობა უთხრა და წავიდნენ. ნახეს ის დევი, დევმა უთხრა: შენ დევთხემწიფეს ვერ ნახამ, ის ჩვენი ხემწიფე არი, ცაში აქვს რკინის სახლი, სამი შვილი ჰყამს, ისინიც რკინის სახლებში ჰყამს. შენ თუ შევიძლიან იმასთან ასვლა,— აი უნდა წახვიდე ცის ძირში, უნდა დადგე, საცა იმისი ასასვლელია, უნდა ზოცოთ ნადირი, იმათი ტყავები დასჭრათ, გაახმოთ, დაწუნათ და დაგრიხოთ. მერე გააკეთებინოთ ჰაპანი, გააკეთებინოთ მშვილდ-იპარი, მოაბათ. და თუ ჯანი გაქვს, აისროლო,— ისე ჯანიანათ, რომ იმის რკინის კალოზე დაერჭოს მაგრა ზევითო. უნდა ახვიდე და მერე თქვენ იცითო. ასეა მისი საქმეო.

ადგნენ ძმები, წავიდნენ. მივიდნენ, დგანან ცის ძირში. დახოცეს, დაატყავეს ნადირი, დასწნეს. გააკეთებინეს მკედელს მშვილდ-იპარი. მოსწია უნცროსმა ძმამა,— გაუტყდა ორი ფუთი რკინისა. დაარტყა თავში მკედელს,— მოუმატე ერთი ორათაო, რომ არ გატყდესო. მოუმატა მკედელმა. მოსწივა — არ გატყდა. მოაბა, აისროლა და იმ დევს რო რკინის კალო აქვს, იმას ჩაერჭო. უთხრა თავის ძმებსა: თქვენ აქ იყავითო, მე ავალ და ვეომებო. ვნახამ, ვინ არიანო, თქვენ ყური უგდეთო; თუ წითელმა სისხლმა გადმოიარა, თავს უშველეთ, თუ შავმა,— იცოდეთ, მე გავიმარჯვებო. ავიდა, ნახა არავინ არი, სამი რკინის სახლია დაკეტილი, ერთი რკინის კალოა. მიიხედ-მოიხედა, თქვა: მოდი ჯერ ერთი ამ კარებს შევანტერევო. შეანტერია. ნახა — ერთი ხემწიფის ქალი ზის. მშვენიერი. მის კალთაში დევს უძევს თავი. წაჰკრა წიხლი: ადექ, შე ძალო.

გამოდის, პატარა ხანს ვითამაშოთო. წამოდგა დევი, სამასთავიანია. ვინა ხარო? გავიდა, იომეს. გაიმარჯვა ხემწიფის შვილმა,— სისხლის რუ წავიდა,— ლეშის გორა დააყენა. გაუხარდათ ძმებს. შევიდა ყმაწვილი სახლში, ხელი ჩამოართვა ქალს: შენ ჩემი უფროსი ძმისთვის დამინიშნავხარო. ახლა მეორე კარები შეანტვრია. იქაც ნახა,— ოთხასთავიანი დევი წევს, ქალის კალთაში უძევს თავი. წაჰკრა ფეხი: ადექ, შე ძაღლო, გამოდის, პატარა ხან ვითამაშოთო. წამოდგა დევი. შენა ხარო? გამოდის, ვინცა ვარ, აქ გაიგებო. გაიყვანა და შეიბნენ,— აქეთ დევი და იქით ყმაწვილი. მოკლა დევი,— სისხლის რუ წავიდა, ლეშის გორა დადგა. გაეხარდათ ძმებსა,— ჩვენმა ძმამ გაიმარჯვაო. შევიდა ყმაწვილი სახლში და იმ ქალს უთხრა: შენ ჩემი შუათანა ძმისთვის დამინიშნავხარო.

მესამე კარები შეანტვრია, ნახა — ხუთასთავიან დევს ქალის კალთაში უდევს თავი. ქალი ისეთი მშვენიერია, ისეთი, რომ მზესთან მზეა და მთვარესთან მთვარე. რომ შეხედა ხემწიფის შვილმა ამ ქალს,— პირიდამ ია და ვარდი ამოდის, თვალებს ახამხამებს — თვალმარგალიტი სცვივა. ამ ქალის სიმშვენიერით გული წაუვიდა. უყურა ქალმა, უთხრა: ვინა ხარ, ყმაწვილო, გაბრუნდი, შენს ცოდოს ნუ მაჩვენებო. ხემწიფის შვილმა უთხრა,— შენ ეგ კალთა გამოაცალე და მე ვიციო. გამოაცალა ქალმა დევს კალთა. წაჰკრა ფეხი ყმაწვილმა: ადექ, შე ძაღლო, მძინარე კაცის სიკვდილი რა კაცობა არიო, აბა გავიდეთ, პატარა ხან ვითამაშოთო. წამოდგა დევი თვალების ფშვინტითა: რა ხარ, რა სურვიელი ხარ, თავზე ხელი ავიღიაო. გამოვიდნენ, შეებნენ ერთმანეთსა. მოერია ყმაწვილი, მოჰკლა. სისხლის რუ წავიდა, ლეშის გორა დადგა. შევიდა სახლში ყმაწვილი ქალთან. უთხრა: შენ ჩემი ცოლი ხარო. თავისთვის დანიშნა. სამივე ქალები ერთად შეყარა. უთხრა მათ: ახლა იმათი მამა სად არისო. მაშინ ქალებმა ტირილი დაიწყეს: ამათი მამის ბრძოლა შენ როგორ შეგიძლიანო. ის ჯერ არი და— ათასთავიანი დევი. სამი წლის ძილი აქვს, სამი დღე დარჩომია გაღვიძებამდე. რაც უნდა მხიარული იყოს და იცინოდეს, პირიდამ ცეცხლსა ყრის და. რომ გაანჩხლდება, ხომ სულ ცეცხლი ამოსდისო; შენ როგორ გადარჩები იმასაო. თქვენ ნუ შეშინდებითო, უთხრა ყმაწვილმა, სამნივე ერთად დადექით, რამდენიც იმან ცეცხლი გაჰყაროს, თქვენ წყლით სამსე ჩაფები გქონდეთ და პირში შეასხითო. მეორეც ესაო, უთხრეს ქალებმა, რომ ის საცა წევს, იმ სახლს რკინის კარები

აბია; რამდენიც ამოისუნთქამს, გაიღება, შენ შიგ მოჰყვები და გაგჰყვლეთამსო. ნუ გეშინიათო, უთხრა ყმაწვილმა, რომელმაც დმერთმა სამ ხიფათს გადამარჩინა, კიდეც ის გადამარჩინსო. მივიდა იმ სახლის კარებთანა. ნახა — ისეთი კარი აბია, რომ ვინ გაზომამს! რკინისაა. ამოისუნთქამს დევი, — გაეღება, ჩაისუნთქამს, — მიეხურება. ამოისუნთქა თუ არა, — გაეღო, და შევარდა ეს ყმაწვილი. ნახა — დევს ქალის კალთაში უდევს თავი. შემოხედა ქალმა ყმაწვილს, — რა იცის, თუ თავისი შვილია! — და დაუძახა: ვინა ხარ, შვილო, გაბრუნდი, წადი, შენ ცოდოს ნუ მაჩვენებო: დედავ, ნუ გეშინიანო, უთხრა ყმაწვილმა, კალთა გამოაცალე, ადექიო. ადგა დედა.

წაპკრა დევს წიხლი ყმაწვილმა: ადექ, შე ძაღლო, მძინარე კაცის სიკვდილი რა კაცობააო. ადექ, პატარა ხანი ვითამაშოთო. ადგა დევი, — ათასთავიანი იყო, — გამოვიდა და უთხრა: რა ხარ, რა სურვიელი ხარო, ჩემს შიშით ზეცას ფრინველს არ გაუვლია და ქვესკნელს ჰიანჰველასაო. შეებნენ ერთმანეთსა, აქით დევი, იქით ყმაწვილი. მოიქნია დევმა და ჩასვა კოჭებამდინ რკინაში ყმაწვილი, მოიქნია ყმაწვილმა და ჩასვა დევი მუხლებამდინ, მოიქნია დევმა და ჩასვა თებამდინ, მოიქნია ყმაწვილმა და ჩასვა დევი ყელამდინ. ასხამენ ქალები ჩაფებით წყალსა, ცეცხლიც გამოელთა დევს. დააყრევინა ყმაწვილმა თავები, სისხლის რუ წავიდა, ლეშის გორა დადგა. მიაშრა — მოამშრალა, მერე მივიდა, დედას ხელზე აკოცა და უთხრა: დედავ, შენ ჩემი დედა ხარო, ეს ქალებიც მე დავიხანენ, — ეს ჩემი უფროსი ძმისთვინ დამინიშნავს, ეს მეორე — მეორე ძმისთვინა, მე მესამე — ჩემთვინა. შენ დედა ბძანდებიო, შენის გულისთვინ წამოვედით, სამნივე შენი შვილებივართო; იმათ ეს ომი არ შეეძლოთ. ისინი ქვეით არიანო, ახლა წავიდეთ, დედავ, ჩვენს სახემწიფოში, მამა გავახაროთო.

ეს რომ გაიგო დედამ, რასაკვირველა, დიდ სიხარულს მიეცა. წამოიყვანა ყმაწვილმა დედა და ის ქალები, წამოიღო იმ დევის ცხოვრება. დაძრა თოკი და გაუხარდათ ძმებსა. დაწერა წიგნი უფროს ძმასთან, მისცა პირველ ქალს და ჩაგზავნა, — ეს შენი ცოლიო. დაწერა მეორე წიგნი მეორე ძმასთან, მისცა მეორე ქალს და ჩაგზავნა, — ეს შენი ცოლიაო. დაწერა კიდეც წიგნი ძმებთან და მისცა დედას, — ეს ჩვენი დედააო. იმოდენა დევების ცხოვრებაც სულ ჩააწოდა. ახლა თავის ცოლს ეუბნება: შენ ჩადიო. არა შვრება ქალი, —

არამც გილალატონ შენმა ძმებმაო. გაიცინა ყმაწვილმა,—ჩემი ძმები რას მილალატებენო, ჩადიო. ჩაგზავნა. დაუძახეს ძმებმა — კიდევ არი რამეო? არაო, ახლა მე: ჩამოვალო, ჩასძახა უნცროსმა. ეს რომ გაიგონეს ძმებმა, მოსჭრეს თოკი, დაანებეს ძმას თავი და წამოვიდნენ.

დარჩა უნცროსი, საითლა რა ეშველება. წუხს, იცემს თავში — რას პასუხათ მიყვეს, რა ვქნა, რა მეშველებათ. მერე იფიქრა, მოდი ერთი კიდევ დავიარო, ვნახო, ეგება ღმერთმა არ დამკარგოსო. დაიარა. ნახა — ერთი საშინელი სახლია, შიგ ერთი ბებერი ზის, იმ დევის დედა. ჰკითხა ყმაწვილმა: შენი შვილი რითი დადიოდაო? ბებერმა უთხრა,— ე მანდ არიან ჩემი შვილები, მიდი და ჰკითხეო. ყმაწვილმა უთხრა, შენი შვილები სულ დავხოცე, სადლა არიანო. მითხარ, თორემ შენც მოგკლამო. უთხრა ბებერმა: ე მან მიდი, ერთს ოთახში ერთი თხა აბია, ის დაკალი, სამათ გასჭერი. მეორე ოთახში სამი ძაღლი აბია, თითო ნაჭერი დაუდე, მერე ისინი არას გერჩიანო. მერე იქ ერთი ოთახია, იქ აბია სამი რაში: ერთი თეთრი, ერთი შავი, ერთი წითელი. იქა დგას ერთი სკივრი, შიგ აწყვია სამი ხელი ტანისამოსი და იარაღი. თუ შავზე შეჭდები ქვეშენელს ჩაგადგებს, თუ თეთრზე — ზეცას აგიყვანს, თუ წითელზე — საცა გინდა იქ წაგიყვანსო. სხვა — ერთს ოთახშიც ერთი ზარი უკიდია ჩემ შვილსა; როცა უნდა, იმას დარეკ: რაც ქვეყანაზე დევები არიან, სულ აქ მოგროვდებიან. დევების ბატონია ჩემი შვილი. რაც სამსახური უნდა, იმას აუსრულებენო. ეგ არი, მაგის მეტი არაფერიაო.

მოკლა ყმაწვილმა ის დევთდედაც. ის თხა დაჰკლა და აქამა იმ ძაღლებს. ძაღლებმა ძალიან შეიყვარეს. მერე ნახა ის რაშები. რაშებმა უთხრეს, ჩვენი ძუა შეინახე, რომელიც როგორ დაჭირდეს, მოტრუსე და იქ დავიბადებითო. მისცეს ის ძუები. შეინახა უბეში. მერე ჩამოიღო ის ზარი, დარეკა. მოსქდა, საცა იყო და არ იყო, დევები და მოახსენეს ამ ხემწიფის შვილს: რა გაგიჭირდა, გვიბძანეო. უბძანა ხემწიფის შვილმა,— ახლა მე ვარ თქვენი ხემწიფეო. მოახსენეს დევებმა: ეგ ზარი გქონდეს. საცა გაგიჭირდეს, დარეკე, ჩვენ იქ მოვალთ და, რასაც გვიბძანებ, ავასრულებთო. კარგიო, უთხრა ყმაწვილმა, დაითხოვა. წავიდნენ დევები.

მერე შეკაზმა ხემწიფის შვილმა წითელი რაში, შეჭდა და დაუსახელა თავისი სახემწიფო. გავიდა იქ იმავე წუთში. ნახა ერთი

მენახირე და ჰკითხა, რა ანბავია, ამ თქვენ სახემწიფოშიო. მენახირემ უთხრა: ჩვენს სახემწიფოში ჩვენს ხემწიფეს ცოლი დაეკარგა. სამი შვილი ყვანდა. წავიდნენ დედის საძებნელად. ერთი მოეკლათ, ორნი მოვიდნენ, დედა მოიყვანეს. რომელიც მოეკლათ, იმის ცოლს ათხოვებენ. ქალი არა თხოვდება, ამბობს, დამაცალეთო. ხემწიფის შვილმა თქვა: ერთი შევიდე სახემწიფოში, კარგა გავიგო ანბავიო. შევიდა, რაში გაუშვა. ერთი მოხუცებული ოქრომჭედელია, იმასთან მივიდა. უთხრა მოჯამაგირე არ გონდაო? ოქრომჭედელმა უთხრა: როგორ არ მინდაო, მაგრამ ძალიან ჯავრიანათა ვარო. რათაო? რათა და ჩვენმა ხემწიფემ ერთი ქალი მოიყვანა,— რომელიც ძმა მოკვდომიათ, იმისი ცოლი; აქ ათხოვებენ, და ის ქალი ამბობს, სანამ ზღვაზე ოქროს ხიდს არ გაზღებთ, არ გავყვებით. ახლა მე მეუბნებიან, ის ხიდი შენ უნდა გააკეთო. მე სად შემიძლიან, ჩემ დღეში ორი ოქრო ერთათ არ გამიბტყელებიანო. ყმაწვილმა უთხრა: ჩემო მამობილო, წვრილი ხელობა არ ვიცი, თორემ ეგ კი ვიციო. აბა შეუთვალე ხემწიფეს, ათი კოდი ჭარული თხილი, ათი საპალნე არაყი გამომიგზავნეო. მე გავაკეთებ, და შენ ნურას ეტყვიო. შეუთვალა ხემწიფეს. მაშინვე გამოუგზავნეს. დაჯდა ხემწიფის შვილი, ანტერევს, ჭამს თხილსა, სვამს არაყსა. ეყრება გულსა იმ ოქრომჭედელს: რასა შერება ეს კაცი, ამით ხიდს როგორ გააკეთებსო, ხვალ მამკლავენო. როცა ძალიან ფეხი მოწყდა და ამ ოქრომჭედელსაც დაეძინა, გავიდა ეს ხემწიფის შვილი, დარეკა ზარი, და— მოსქდა იმ ზღვის პირზე, რაც ცას ქვეშ დევები იყვნენ. უთხრეს: რა გავიჭირდა, ჩვენო ხემწიფევ, რას გვიბძანებო. ეხლაგ — უბძანა მან — ამ ზღვაზე ასეთი ოქროს ხიდი გადეთ, რომ ურემმა ურემს აუქციოსო. მაშინვე გადეს. წავიდნენ. მოვიდა ხემწიფის შვილი, გააღვიძა ის ოქრომჭედელი და უთხრა: წადი, შენა ნახე ზღვაზე ხიდი როგორია, მერე ხემწიფეს მოახსენეო. წავიდა ოქრომჭედელი კანკალითა: ეს წუხელი სულ აქ იყო, თხილს ანტერევდა, ხიდს როგორ გააკეთებდაო. მაგრამ რა ქნას, წავიდა ნახა,— ისეთი ხილია, რომ ურემი ურემს აუქციეჲს, ლაპლაპი გაუდის.

წავიდა, მოახსენა ხემწიფეს. ნახეს, გაუგზავნეს კაცი იმ ქალსა, ხიდი გაკეთდაო. მაშინა თქვა ქალმა: უთუოთ ჩემი ქმარი გამოჩნდა საითმეო. ადგა, გამოყვა საქმროს. რომ მიყამთ, იმ დროს ხემწიფის შვილმა თეთრი ძუა მოტრუსა, თეთრათ შეიმოსა, შეაჯდა

რაშს და გაუჰენა, დაიძახა: ხარსა თუ ფურსაო? ხარსა, ფურისა რა ბრალისაო?— აჰკრა იმ ხიდსა, ეს ქალი კი გამოიტაცა, მივიდა შინა და უთხრა დედას და იმ ქალებსა: თქვენ ხომ იცით რა ანბავი გამოვიარე, და ძმებმა რის პასუხად მიყვესო? დაიჭირა ის ორივე ძმები ცოლებით, იმ დევების ალაგას გაგზავნა. თითონ ჯვარი დაიწერა და ხემწიფეთაც თითონ დაჯდა.

ქარი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, პური აქა.
ელასა, მელასა, კიქა შეკიდა ყველასა,
მთქმელსა და გამგონებელსა ძილი გაამოთ ყველასა.
ბატონს ორი მოახლე ჰყამს, ორივე თავის ნებისაო,
მე ავდგები, საწოლს შევალ, ბატონს ძილი ნებისაო,
იისა ხარ, ვარდისა ხარ, მუშკისა და ანბრისა ხარ,
მოსარკე და მოსარდაფე, მოშუშტაკ ლამაზისა ხარ,
შუშტაკ ბატონი ვიბძანებ, წამოდექ, — ლამაზისა ხარ,

სამი ვაშლი მოიტანეს,
[ერთი ბატონს]
ერთი მთქმელს,
ერთი გამგონესა.
ჩამოვარდა ფურცელი,
ლექს გაუსკდა შუცელი.

44. აპი ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი კაცი, მეველე, და იმას ჰყავდა ერთი ისეთი ცოლი, რომ სულ თავსა და ბედს აწყველინებდა. ისეთი მსუნაგი იყო, ერთ დღეს ვერ გასძლებდა, თავის ქმრისათვის რომ ხილი არა მოეტანიებინა რა. ერთხელ იანვარში მარწყვი მოინდომა. წავიდა კაცი საძებნელად, თან თავის ორი ძაღლი წაიყვანა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ წყლის პირას. დაინახა ნაპირიდან ერთი თევზი. თქვა: მოდი ამ თევზს დავიჭერ, შევწვავ და გემრიელად შევჭამო. დაიჭირა, უნდოდა შეეწვა; მაშინ თევზმა უთხრა, გამიშვი და ძაღლების ენას გასწავლიო. კაცმა თქვა: რა საჭიროა ძაღლების ენაო, მაგრამ ბოლოს იფიქრა, მეტი სწავლა კაცს გულს არ დასძმარავსო და გაუშვა თევზი.

წამოვიდა; მიდის ერთ ტყეში. დაჯდა ერთ ალაგას და პურის ჭამა დაიწყო. ძაღლები მის ახლოს იწვნენ, ერთი ბებერი იყო და მეორე ახალგაზრდა. ბებერმა ძაღლმა უთხრა ახალგაზრდას: ამაღამ ჩვენს პატრონს მგლის ხროვა დაეხვევა და შინაც ქურდები მოვლენ გასაქურდადო, შენ აქ უყარაულე და მე შინ წავალო. მეგულემ გაიგონა ძაღლების ლაპარაკი. მართლა, შეიქნა შუალამე თუ არა, მაშინვე გამოჩნდნენ მგლები, ცეცხლივით ანათებდნენ თვალებს. მეველემ რო დაინახა, დაანთო დიდი ცეცხლი, გაიხადა თავის ტყავის ძველი, შიგ კუნძი გაახვია და დასდო, თითონ დიდ მუხანზე ავიდა, ძაღლს ძალიან გაეზარდა, ხტუნაობით ბუჩქებში დაიმალა. მოცვივდნენ მგლები, ეცნენ ტყავს და ლუკმა-ლუკმა აქციეს. პირში რო არა მოხვდათ რა, გაჩერდნენ და დაუწყეს ერთმანეთს ყურება. მერე დაინახეს მეველე ხეზე. გაიქცნენ, დაიმაღლნენ,— ელოდნენ მეველე ძირს ჩამოვას. მეველე არ ჩამოვიდა. მაშინ მოინდომეს ცეცხლის გაქრობა, მაგრამ ვერ გააქრეს, მაშინ უფროსმა მგელმა დაიფრუტუნა, გაიქცა, გაყვნენ სხვებიცა, ჩაწვნენ წყალში და კარგა დასველდნენ, მოვიდნენ, გადაგორდნენ ცეცხლზე და გააქრეს. ისევ დაიმაღლნენ, უცადეს მეველის ძირს ჩამოსვლას, მაგრამ არ ჩამოვიდა. ახლა დაუწყეს მუხას ღრღნა, მაგრამ ვერა დააკლეს რა. მერე შემოუძვკრივდნენ მუხას თითო პირი, მეორე მგლები ავიდნენ ზედა, მერე მესამეები, მერე კიდევ სხვები და ასე მიატანეს მეველესა. მეველემ ხანჯალი ამოიღო და ზევითებს დაუწყო თავების ჭრა, თითო მგელი სამ ოთხს ჩამოიტანდა ხოლმე. ამასობაში კიდევ გათენდა. მოვიდა ბებერი ძაღლი ყუფით. მგლებს ეგონათ, კაცებიც არიანო და გაიქცნენ. შეველე ძირს ჩამოვიდა, ბებერმა ძაღლმა უამბო ახალგაზრდა ძაღლს შინის ამბავი. ქურდები რომ მოვიდნენ, ისეთი ყუფა ავტენხე, რომ მთელი მეზობლები იქ შავყარე და ქურდები გაიქცნენო. ახალგაზრდა ძაღლმა უთხრა: როგორ გაპატივა და რა მოგართვა ამისთვის ჩვენმა ქალბატონმა? მეორე ძაღლმა უთხრა: მაპატივა კი არაო! ცარიელი ნაცარტუტი ამირია და მომიგდო, რომ არ მექაშნიკა, კინაღამ ქაფქირი დამარტყა თავშიო. ახ, ნეტავი ჩვენი ქალბატონი აქა ქნა, ა იქ რო ეშმაკების ორმოა, იმაში ჩაევაგდებდითო.

ეს რომ მეველემ გაიგონა, სიხარული შეუდგა. გაიხედა და იქვე ახლოს ხედამს ერთი ისეთი ვაშლი დგას, რომ კაცი მისთა-

ნას ვერ ნახამს. მივიდა ვალშთან და ვაშლის ძირიდგან ლაპარაკი შემოესმა. დაჰხედა, დიდი ქვა დაინახა. გადასწია ქვა, ჩაიხედა და ნახა რომ სოროში ეშმაკები ეღმურტულებენ. მაშინვე ისევ ქვა დააფარა. გაიარ-გამოიარა, ჩაფიქრდა.

მერმე მივიდა, ქვა გადასწია და ორმოს ფიჩხი დაათარა. წავიდა შინ და ცოლს უთხრა: დედაკაცო, ერთი ისეთი ვაშლი ვნახე, რომ თვალი უკეთესს ვერა ნახამსო. მინდოდა წამომეღო, მაგრამ შინ თურმე ვერ წამოიღება, ხელშივე ჰქრებაო. ეს რომ დედაკაცმა გაიგონა, მაშინვე წამოხტა და უთხრა ქმარს. აბა ჩქარა წავიდეთ და ვნახოთო. წამოიყვანა კაცმა ეს დედაკაცი. ვაშლის ძირს რომ მოვიდნენ, დაინახა დედაკაცმა ჩამოცვივებული ვაშლები ფიჩხებზე, მაშინვე იქით გაექანა, შედგა ორმოს თავზე და მაშინვე შიგ ტყაპანი გასძვრა, კაცმა მარღად ქვა დაადო ორმოს და წამოვიდა შინ გახარებული.

გავიდა ხანი. ერთ დღეს სთქვა ამ კაცმა: მოდი წავალ და დავხედამ, რა ყოფაშია ჩემი ცოლიო. წავიდა, მივიდა ორმოსთან, ასწია ქვა და ჩაიხედა. დაინახა რომ ეშმაკები სულ გადახვეწილა, მარტო ერთი ეშმაკი — ეშმაკთა ხემწიფე დარჩენილა და ყვირის: ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, ვინც ამ დედაკაცის ხელადან დამიხსნის, საშვილიშვილოდ გავაკეთებო. ეს რომ კაცმა გაიგონა, ჩასძახა: მე ამოგიყვან, თუ მაგ დედაკაცს ხელს არ მოჰკიდებო. ეშმაკმა უთხრა, შენი ჭირიმე ამიყვანეო, როგორ მოვაკიდინებო. ჩაუგდო კაცმა თოკი და ამოჩყვანა, ქვა ისევ დაადო ორმოს. ეშმაკმა უთხრა: რახან ამ დედაკაცისაგან დამიხსენ, ახლა მე ვიცი, რა პატივსაც გცემო: შენ ახლა შინ წადიო, ერთ ხემწიფეს ერთი ისეთი ქალი ჰყამს, რომ უკეთესს თვალი ვერ ნახამს. წავალ იმ ხემწიფის ქალთანა და თავს დავუჯდები: ისე ავად გავხდო, რომ არც მოგკლა და არც დავარჩინო. შენ ხმა დააგდე, რომ მოვარჩენ, თუ მაგ ქალს მე მამცემენ-თქო. როცა ეგ პირობა მოგცენ, უთხარი, სახლში ნურავინ შემამყვებით-თქო.

მართლა, ვინც ეშმაკმა უთხრა, ისე ავად გახდა, მეტი აღარ შეიძლება. ამ კაცმა ხმა დაჰყარა, რაც უნდა ავანმტყოფი იყვეს, მოვარჩენო. შემოესმა ხემწიფეს, დაიბარეს ეს საწყალი კაცი, მიიყვანეს ხემწიფესთან. კაცმა უთხრა: მაგას მე მოვარჩენ, თუ მე მომცემთო. ხემწიფემ უთხრა: ოღონ ჩემი შვილი მოარჩინე და შენთვის დამილოცნიაო. მაშინ ეს კაცი შევიდა სახლში და ეშმაკი

კარში გამოვიდა. ხელმწიფის ქალი კარგად შეიქნა. ხელმწიფეს კაცი მოუვიდა, უენი ქალი კარგად შეიქნაო. რასაკვირველია, ხელმწიფემ ძალიან გაიხარა, მაშინვე ამ კაცზე ჯვარი დასწერა ქალსა.

მაშინ რო ეშმაკმა ამ კაცს სიტყვა უთხრა, ეს ბედი მოგცეო, ესეც დაუმატა: მერე რომ კიდევ სხვა გახდეს ვინმე ავათა, არამც და არამც აღარ წახვიდე, თორემ რაც მომიცია, ისევე წაგართმევო. როცა იყო და არ იყო, ეს ეშმაკი კიდევ ერთხელ სხვაგან წავიდა. ხელმწიფის შვილსა სცემია და ასე გაუხდია, რომ მეტი აღარ შეიძლება. ხელმწიფეს უთხრეს: ამა და ამ ხელმწიფეს რო შვილი მოუჩინა, ის დაიბარეო. მაშინვე თავის ნაზირ-ვეზირები გაგზავნა და უთხრა, მოიყვანეთო. წავიდნენ ნაზირ-ვეზირები ამ კაცთან და უთხრეს, ხელმწიფე გიბარებსო. კაცმა უთხრა: მე რას მიბრძანებსო, არც წამოვალ და არც ფეხს მოვიცვლიო, დაბრუნდნენ და უთხრეს ხელმწიფეს, არ წამოვიდაო. ხელმწიფემ კიდევ გამოირეკა, — მოიყვანეო. მოვიდნენ კიდევ ამ კაცთან და უთხრეს, არ შეიძლება, თუ არ წამოხვედიო. მაშინ სთქვა ამ კაცმა, — მოდი წავალ, რაც უნდა მომივიდესო. აღგა და წავიდა.

ხელმწიფემ დიდათ გაიხარა კაცის მოსვლა. კაცმა უთხრა: ავადმყოფთან არავინ შემოიყვანოთო, მარტოკა უნდა შევიდეთო. აღგა და შევიდა მარტოკა. ეშმაკმა რომ დაინახა, წამოვარდა და ეცა. კაცო, შენ არ გითხარი, რომ აღარსად არ მოხვიდე, თორემ მაგ შენს ბედს ისევე წაგართმევო? ამ კაცმა უთხრა: შენთან რომ დედაკაცი იყო ორმოში, ის ამოაყულა ღა მოდისო. ეს რომ ეშმაკმა გაიგონა, გულგახეთქილი კარში გავარდა და გადაიკარგა. ხელმწიფის შვილი კარგად შეიქნა. ამ ხელმწიფემ ნახევარი თავისი სახელმწიფო ამ კაცს დაულოცა.

ქარი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი შევაგორე,
ჩამოვიდა გორებიოთა,
აქ სიცოცხლით გამიძებნით,
საიქიოს ცხონებოთა.
ხელსახოცი არა მქონდა,
თორე ხმელ ხილ მოგართმევდი,
მაგრამ ხელსახოცი მაქვს
ხილი არა მაქვს.
ელასა, მელასა,
მსმენელსა და გამგონელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

45. ფრინველები და მათი მცოდნე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ერთ დღეს ეძინა და სიზმარში ნახა, რომ ვიღაც კაცი მივიდა, უჩვენა ბალახი და უთხრა: თუ ამ ბალახს ყურზედ დაიდებ, ყველა ენას გაიგებ, ფრინველისას, პირუტყვისას, მაგრამ თუ ვინმეს უთხარი, წამალი აღარ გასჭირსო. გამოეღვიძა თუ არა, წავიდა და იპოვნა ის ბალახი. დაიდო ყურზედ და ყველას ლაპარაკი მოესმა. მეგრე ამ კაცმა ცოლი შეირთო. რამდენიმე ხანის შემდეგ ჯვარობაში წასვლა მოინდომეს. შესვა ცოლი მაკე ცხენზე და წავიდნენ. იმ ცხენს აღრინდელი კვიციცა ჰყავდა. მგზავრობაში კვიცი უკან ჩამორჩა. დაუხვიხვინა დედას და ცხენმაც პასუხი მისცა. იმათი ლაპარაკი გაიგონა კაცმა. კვიცმა დაუხვიხვინა,— მამიციადე, დავიღალეო. დედამ უპასუხა: თუ მეო ერთი მუცელში მიზისო და თანა ზედაც მაზისო და ისე მივდივარო, შენ როგორ არ უნდა იაროო. გაიგონა კაცმა და გაიცინა. ცოლი აუტყდა: რას იცინიო. არაფერსაო. მაგრამ ცოლმა არ დაუჯერა. ბოლოს კაცმა უთხრა, შინ მივალო და გეტყვიო. ეგონა ცოლს დაავიწყდებოდა და გაჩუმდებოდა.

მივიდნენ შინა. იმ დღეს არაფერი, მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა: არაფერია, რაღაც მომაგონდაო და იმაზე გავიცინეო. ცოლმა კიდევ არ დაუჯერა, სხვა რაღაც იყო და უნდა მითხრაო. ყოველ დღე ეჩხუბებოდა. დღეს ხვალ, დღეს ხვალ, მისჭირდა. გამოვიდა მოთმინებიდან კაცი. ერთ დღეს ლამაზი საღამო იყო, გადავიდა სახლის წინ და წამოწვა, უყურებს ქათმებს. მამალმა ჰკითხა პატრონს, რას დაღონებულხარო. კაცმა შესჩივლა თავისი მწუხარება, უამბო, ცოლი არ მეშვებაო, უნდა მითხრაო. მამალმა გაიცინა და ერთი დაუკიკინა დედლებს. ცხრა დედალი შემოეხვია გარს, პატარა ხანს უკან შემოუტია, თავი გაუქნია და სულ გარეკა ეს დედლები. ქათამმა უთხრა: თუ კიო, მეო ცხრა ცოლი მყამსო და ჩემ ჰკუთხე ვატარებო, შენ ერთ ცოლს ვერ ერევიო? რა უყოვო,— უთხრა კაცმა,— ცოლიაო, რა ვქნაო. კარგი უზნის სახრე გამოსჭერიო და ძალიან რომ აგიტყდესო, მაშინ მოარტყიო. მანამ არ შემოგეხვეწოსო თავი არ დაანებოვო. ქალი გაბრუნდება და თავს დაგანებებსო.

კაცს გაეხარდა. შევიდა შინ. აუტყდა კიდევ ცოლი, უნდა მითხრაო. დამანებე თავი, თორემ კაი კაის მოგარტყამო. რომ არ და-

ნება თავი, გამოვიდა კარში, შეიტანა სახრე და კაი კაი მოარტყა და მიარტყა. იქამდინ სცემა, სანამ ცოლი არ შეეხვეწა, ოღონდ თავი დამანებე და აღარ შეგაწუხებო. ასე დააპყვიანა თავისი შემწუხებელი ცოლი კაცმა.

46. უშვილ-უძეო მონადირე

იყო ერთი უშვილ-უძეო მონადირე. ერთხელ მთაშია წასული სანადიროთ, შეხვდა ღვეს და შეჩვილა უშვილო ვარო. ღვემა წამალი ასწავლა: ამა და ამ ადგილას ერთ ვაშლსო სამი ვაშლი აბიაო. ერთს შენ შეჭამ, ორს კი ცოლს შეაჭმევ, დაორსულდებით ცოლიცა და შენცაო. იმას ეყოლება ტყუპიო და შენაო კუნთშიო. წავიდა ეს კაცი. მოკრიფა სამი ვაშლი; ერთი თავათ შეჭამა, ორი კი ცოლს შეაჭამა. ორივენი დაორსულდნენ. ხანი გავიდა და ჟამი. რასაკვირველია, მონადირე სანადიროდ წავიდა. იმ დროს ცოლს ჰყოლია ტყუპი, თითონაც კუნთს თავი გაუჭრა და გაღმოვარდა კვიცის თავი. დაანება ამ კაცმა კვიცს თავი და წავიდა შინ. უძახის კვიცი: „მამა, მე შენი შვილი ვარო“. მონადირემ ყური არ ათხოვა. მივიდა სახლში. გზაზე მახარობელი მიეგება, ტყუპი გყოლიაო. გაეხარდა, სამახარობლოც დაჰპირდა. ვინც თვით იზრდებოდა, ისინი კვირით იზრდებოდნენ. შეიქნენ დიდი კაცები.

ბოლოს ღვემა სთქვა: თუ ჩემი მეგობარი არა ვნახე, არ იქნებაო. ადგა და წავიდა. ეწვია თავის მეგობარ მონადირეს. კაცს კი ღვეზე ფიცი აქვს მიცემული, თუ შვილი ეყოლება, ერთი მას უნდა აჩუქოს, რადგან უშვილობის წამალი ასწავლა. მოვიდა ღვევი, კაცი დაღონდა, ფიქრობს, როგორ გადავიღე ჩემ პირობასაო. ცოლმა გაიხმო, რათა ხარ დაღონებულყო. გაუტყდა, ერთ-ერთი შვილი პირობით ღვეს უნდა მივცეო. ცოლმა ნება დასცა. მოვიდნენ და დასხდნენ ვახშამზედ. ჰკითხამენ მამას შვილები: ვინ არის ეს სტუმარიო. ეს პაპაო თქვენისო, მერე პაპის სახელით დაუწყებენ ძახილს. იმ ღამეს კარგ დროს გაატარებენ. გათენდება თუ არა, ეტყვის ღვევი: მეგობარო, პირობაზედ როგორ ხარო? თქვენი ნებაა, რომელიც გნებამთო. ადგება ღვევი და უნცროს ამოარჩევს. მამაც უბძანებს, პაპას უნდა წააწყვეო. გაუდგებიან გზას და იქ გაივლიან,

საცა კვიციის თავი გლია. ღვევი წინ მიდის, შორიანლო ეს ყმაწვილი მისდევს. მივა თავთან თუ არა, ეს კვიცი დაუწყებს ლაპარაკს: ბიჭო, ბიჭო, გვიან-გვიანო. ბიჭი მობრუნდება. მაშინ კვიცი ეტყვის: მაგას რო მისდევ, რათ მისდემო, იცი ვინ არისო? შენ ჩემი ძმა ხარო და მაგას რათ მისდევო, ჩემთან იყავიო. ბიჭი გაოცდება და ჰკითხავს: შენი ძმა რათ ვიქნებო? კარგი, რახან არ დაიჯერე, ერთ სიტყვას გეტყვიო. ეგ არის მდიდარი ღვევიო. რომ მიხვალ, მოგცემს გასაღებს, გეტყვის კარებები გააღეო. შენ ეტყვი: ბატონო, არ ვიცი, ჯერ თქვენ გააღეთ და დავინახამ, და ისე გავაღებო. მეორეთ გეტყვის: აბა, თონე გაახურე, პური უნდა გამოვაცხოო. იმაზეც უარი უთხარი: არ ვიცი-თქო. ახლა გეტყვის: პური დააკარიო. კიდევ უთხარი: ჯერ თქვენ დააკართ და მე ვისწავლი-თქო. როცა პური ჩააკრას, შენ ასწიე და გახურებულ თონეში ჩააგდე. ღვევის გასაღები ხელში დაიჭირე, გააღე პირველი ოთახი — იქ ჩამოდის ვერცხლის წყალი, მიუშვირე ტანი. ტანი ვერცხლათ გექცევა. გააღე მეორე ოთახი. იქ ოქროს წყალი ჩამოდის, მიუშვირე თავი და ოქროს ქოჩორი გექნება. მერე გააღე მესამე. იქ აბია სამი რაში. იმათ აქვთ ღვთის ულუფა. სულ ასე ელაპარაკა კვიციის თავი.

წამევიდა ეს ყმაწვილი, ღვეს წამოყვა. გააღო ღვემა სახლის კარი. შეიყვანა ყმაწვილი და პურს დაუწყო ცხობა. ბიჭი უცქერის. ცოტა ისწავლა პურის ცხობა. გაახურა თონე, დააკრა ღვემა პური, რომ უნდა ჩაეწოდოს თონეში, მიეპარა ბიჭი, ჩუმათ ასწია და ჩააგდო შიგ. იწივლა და იკივლა, სულ ნაცრად იქცა. დარჩა ამოდენი ქონება ამ საწყალ ბიჭსა. გააღო ოთახის კარი და როგორც დაარიგა კვიციის თავმა, ისე მოიქცა. რაშებთან შევიდა, ნახა სამი რაში. აიღო ჯოხი და დაუშინა: თქვენ რა სულიერები ხართ აქაო. რაშებმა უთხრეს: თუ ჩვენი პატრონი ხარ, რათა გვცემო. ფაფარი გამოგვაძკრე და თან წაიღეო. ბიჭმა გამოაძრო თითო ბეწვი და კარები ისევ დაკეტა. შეინახა ეს ბეწვები. ერთ ოთახში თვალ-მარგალიტი არის ჩამოდენიმე ჯორ-აქლემი და საპალნე. გასწია და წაიღო, ჩაუტანა დედ-მამასა და უამბო თავისი ამბები.

მამამ ტირილი დაიწყო: მეგონა, შვილო, აქამდის შენი ძვალნიც არ იქნებოდა. დედამ ველარ იცნო შვილი. ბოლოს შეიცნო. ჩამოხადეს მარგალიტი და თვლები და შეინახეს. გაამდიდრა დედ-მამა. ბიჭი უკანვე წავიდა. ადგა და აღმოსავლეთის ხელმწიფესთან მივიდა, იმას დაუდგა მებატეთ. წაასხამს დილით ბატებს, გარეკამს

მწვანეზედ და თავათ დაჯდება. გაიხდის ტანისამოხს, დაიწყებს ბე-
ბერივით ხილვასა, გადმოხედამს ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი
ციხიდან და თავის გულში იტყვის: ეს ისე მომწონს, თუ არ შე-
ვირთე, არ იქნებაო. დაუძახებს დებს, დაახახებს, ისინი ვერას იც-
ნობენ. ეს კი იცნობს, რომ ოქროს ქოჩორი ასხია და ვერცხლის
ტანი აქვს. ყველას ჰკონია, რო ქაჩალი მებატეა. მზეთუნახავ
ქალს თვალი შეუა ქაჩალ მებატეზედ და ეტყვის უფროს დებსა:
მოდო და დავთხოვდეთო. ისინიც დათანხმდებიან და იტყვიან, მამას
როგორ გავაგებინათო. უნცროსმა თქვა: მებალესთან გავგზავნოთ
ბიჭიო. გამოგზავნოს სამი ნესვი, ორი მწიფე და ერთი კუხეო. გა-
უგზავნოთ მამას, ამითი იგრძნობსო. მართლაც, გაუგზავნეს ნესვე-
ბი მამას. ხელმწიფე ფიქრობს: ეს რა ამბავია ჩემ თავსაო? ვერ
გამოიციო რა არის ეს ნესვები, რის ნიშანია. მოღალა თავისი საყ-
მო, მაგრამ ვერავენ გამოიციო. ბიჭს გაუჯავრდა: ხომ არავინ დარ-
ჩენილა დაუპატიებელიო, ბოლოს ბიჭმა მოახსენა: ბატონო, ერთი
თქვენი ქაჩალი მებატე გახლამს დაუპატიებელიო. ხელმწიფემ
ბძანა: მოიყვანეთო. მოვიდა ქაჩალაც: დიდებულო ხელმწიფე, თუ
არ გამიწყრები, მოგახსენებთო. თქვი შვილოვო. თუ არ გაწყრე-
ბით, ესენი გახლავან თქვენი შვილები, გათხოვება უნდათო. ორს
გათხოვება უნდა, ერთი კი ცოტას იგვიანებსო. ძალიან გაეხარდა
ხელმწიფეს, კარგი საჩუქრებით გაისტუმრა ქაჩალი. გაუკვირდა,
გრძნეული ყოფილაო. შეემზადა ხარჯითა.

დაჰპატიჟა თავისი საყმო-საბძანებელი. დასხა და დროებას ატა-
რებინებს ყველას. ახლა შვილებს უბძანა: ვისაც ვინ მოგეწონოთ, ის
აირჩიეთ და გვერდზედ მოუსხედითო. უმფროსი ნაზირს მოუჯდა
გვერდზე, შუათანა ვეზირსა, დარჩა უნცროსი. აუელის და ჩაუე-
ლის. მამა: რა ქენი, შვილო, ვერ ნახე შენი მოსაწონი საკბილოო.
შვილი ეტყვის მამას: მამა, ვერ ვნახეო. გაუჯავრდება მოპატიჟესა:
ხომ არავინ დაგრჩენია მოუწვეველიო. ბიჭიც მოახსენებს: ბატო-
ნო, ყველა დავატყე, ხოლო თქვენ ქაჩალ-მებატეს დამიან წაუს-
ხამს ბატებიო. აფრინეს კაცი და მოიყვანეს. ხალხის ბოლოზედ
დაჯდა. აავლო და ჩაავლო თვალი ამ ხელმწიფის შვილმა და კალ-
თაში კი ჩაუარდა. დასცინეს დებმა: ვის ჩაუჯდა კალთაშიო, თვალი-
დაგიდგესო, მაგან როგორ უნდა გარჩინოსო.

ჩუმ-ჩუმად გაიციინებს ქალი, იმათ არ იციან იმის გულში რა
დევს, დღეს კი დასცინიან. ნაზირ-ვეზირებმა წაიყვანეს ცოლები-

შებატეს პატარა ოთახი მისცეს და იქ დადგნენ. ამ დროს ამ მეფეს ანგლიის ხელმწიფისაგან მოუვიდა ანბავი, ან ქალი მომეციო ან მეომეო. იფიქრებს: რა ვქნა, ქალები დავათხოვე და რაევ უნდა ვეომეო. შეემზადა თავისი ჯარითა. მზათ არიან მეომრებითა და ჯარით. გასწევენ და წავლენ. ამ დროს ხელმწიფე გახდება ავათ, ჯავრით ეტყვის სიძეებს: იქნება ირმის ხორცი და რძე მამიტანოთ, მაშინ მოვრჩებიო. წავლენ ვეზირი და ნაზირი მთაში. ქაჩალიც გამოვა, ეტყვის: ერთი კოჭლი ცხენი მეც მიბოძეთ, მაინც თავლაში აბიო და წაიყვანა. შენ რა შეგიძლიანო, დასცინეს ცოლის დებმა. მაინც არ დაიშლს, კოჭლი ცხენით გავა მინდორზედ, გახსნის შავი რაშის ძუას და რაშიც იქ დაიბადება შავის ტანისამოსითა. ჩაიცვამს შავათ, შეჭდება შავ რაშზედ, შემოურბენს მთებს და ერთ ველზედ დააგროვებს ირმებს თავიანთი მწყემსებითა.

ერთ ირემს დაკლამს და ხარშვას დაუწყებს, თან წველამს. მივლენ ნაზირ-ვეზირი, დაუწყებენ თხოვნას ქუდმოხდილები. ბატონო, ირმის ხორცი და რძე გვიბოძეთ და ფასი გამოგვართვიო. ქაჩალ მებატე მძიმეთ მისცემს პასუხს, ნაზირ-ვეზირი შორიდგან ეხვეწებთან. ბოლოს ადგება ქაჩალი და იტყვის: თითო ყური ჩამოითალეთ და მოგართმევთ, თუ არა, არ მოგცემთო. დაფიქრდნენ ნაზირ-ვეზირები, რა ვქნათ, როგორღა მივიდეთ ჩვენ ხელმწიფესთან ცარიელნიო. ჩამოვითალოთ, მა რა ვქნათო. ადგნენ და გადასწყვიტეს ჩამოვითალოთო. ორივეს ჩამოათალა ყური, მისცა ირმის ხორცი და რძე. გახარებულები წამოვიდნენ. მოვიდნენ ხელმწიფესთან. მოუტანეს ავადმყოფს. დახედა ხელმწიფემ: ვაიმე, შვილო, ეს რა არისო. — ირმისააო. შეწუხდნენ სიძეები. სირის ხორცი მინდაო. მა რა ვქნათო, სად ვიშოვნოთო. ამ დროს მოვიდა ქაჩალი. დაუწყეს დაცინვა ცოლისდებმა: შენმა სიცოცხლემა, შენ კი მოიტანდიო სირის ხორცს და რძესაო. ეს ჩუმ-ჩუმად ჩაიციენებს, პირით კი არას იტყვის. შევა თავის ოთახში. დაღლილია და დაეძინება, ხელმწიფე ეტყვის სიძეებს: უნდა მიშოვნოთ სირის ხორცი და რძეო. დაღონებულები ადგებიან და გავლენ ტყეში. დაიწყებენ სიარულს მთაში, მაგრამ ვერაფერს ხვდებიან. დაიღლებიან და დაისვენებენ.

ადგება ქაჩალიც და წავა. სოფლის გარეთ გავა თუ არა, ამოიღებს წითელი რაშის ძუას და გახსნის. რაში იქ დაიბადება, წითელ ტანისამოსითა. ქაჩალი-მებატე ჩაიცვამს, დაიხურამს, წითლათ გაავლევებს რაშს. შემოურბენს მთებსა, შესძახებს. ერთ ველზედ და-

ამგროვებს სუყველა სირებსა თავიანთი მწყემსებითა. ერთ სირს დაკლამს. დაიწყებს წველასა. შორიდან მივლენ ნაზირ-ვეზირნი, ქუდმოხდილი დაუწყებენ ხვეწნას: — ბატონო, თუ შეიძლებოდეს ფასათ გვიბოძეო. ქაჩალი უარს იტყვის: არ შეიძლება გაყიდვაო. ესენი დაღონდებიან: საით წავიდეთ, სადღა ვიშოვნოთ. საცა სირი არის, ყველა აქააო. ყველა ამასა ჰყოლიაო. იფიქრებენ და ერთმანეთს ჰკითხავენ: რა ვქნათ, რაც უნდა გამოგვართვას, უნდა მივკეთო, თორემ რა პირით ჩავიდეთო. ადგებიან: ძვარფასად მოგვეყიდეო. ქაჩალი ეტყვის: თითო ნეკი მოიჭერიოთ. ისინიც მოიჭრიან. მისცემს სირის ხორცსა და რძესა და წამოვლენ. თუმცა ხელები ძალიან ტკივათ, მაგრამ ისევ ის ირჩიეს სირცხვილსა და ცარიელ მისვლას. მოვლენ და მიართმევენ ხელმწიფეს. დასხდებიან თუ არა, მაშინვე იცნობს: აი ეს არისო, ნამდვილი სირის ხორცი და რძეო. მთართვეს და შორჩა.

დაბოლოს მოვა ქაჩალი, დაუწყებენ დაცინვას ცოლისდები: შენმა სიცოცხლემ, შენ არ მოიტანე სირის ხორცი და რძეო! დაიმალო, აქ ნუ ხარო. ესეც ჩუმ-ჩუმათ გაიცინებს. შორჩა ხელმწიფე და საომრად შეემზადება თავისი ჯარითა და სიძეებით. გასწევენ საომრათ, ქაჩალი ყურს უდგებს, გვიანობამდინ არ წავა. იმ ღროს წავა, რო ომი იყო, ადგება ქაჩალი, გამოვა გარეთ, ამოიღებს თეთრი რაშის ძუას და დაიწყებს თეთრი რაშის ზენებას. გახსნა თუ არა ძუა, რაშიც იქ დაიბადა თეთრი ტანისამოსითა. ჩაიკვამს და დაიხურამს. შეჯდება რაშზედ და გასწევს. ომში იმ ღროს მივა, როცა პირველი შეხლა არის, შეერევა ჯარში, რასაც ეს კაცი ხოცამს, ორ იმდენას რაში ჰკლამს ტოტითა და კბილითა. უნდა გითხრათ რომ ჯარი გაუნახევრა ინგლისის ხემწიფეს. სიამპრი ვერა სცნობს და იტყვის: ღვერთო, ეს რა გაამე, ანგელოზი ჩამამივარდაო. კი არ იცის, მისი რა არის! ხალხი კვირობს. გაუჭირვა საქმე მოშურნე ხელმწიფესა. როცა ძალიან შეაწუხა, ადგა და თავი დაუქრა ჩვენ ხელმწიფეს: ეგ ვინა გყოლიაო? და გაბრუნდა. ჩვენი ჯარიც გაბობრუნდა. ქაჩალი ხელმწიფეს გვერდზე უდგია, ხმალი უნდა ჩააგოს ქარქაშში. ჩაგებაზედ ხელი შეიჭრა, სისხლი გადმოუვიდა. დაინახა ხელმწიფემ: უი შენ ჩემო თავო, ეგ რა მოგივიდაო? ისიც იტყვის: რა ვიცი, ბატონოო. მაშინათვე ბაღდადს შეიხსნის ხელმწიფე და ხელს შეუხვევს შეწუხებით: ეს რა მოუვიდა ამ ყმაწვილსო. წავლენ სახლებში, ხელმწიფე აპირებს ხალხის დაპატი-

ყებას, რაკი ივარგეთ და გადავრჩითო. დეემზადა სუყველაფრით. დაჰპატიჟა ხალხი თავის სიძებითა. ქაჩალიც მივიდა სახლში ცოლთან, ცოლსაც გეეხარდა, რომ გაშარჯვებული დაბრუნდა. სიმამრმა ის არ იცის და დაავიწყდა დაპატიეება. ბოლოს მოაგონდა და დაპატიჟა. საწყალი ქაჩალი დაღალულია და ტანისამოსიანათ დეეძინა. როგორც სანთელი, ისე ანათებს იმ ოთახსა. მოპატიემ იფიქრა, ვინაა ამ სახლშოო და წაჯადა. დიდებულო ხელმწიფევე, — მოახსენა, — ქაჩალთან ვიდაც შესულა და სძინავს, სანთელივით აშუქებსო. გამოგზავნა კაცები, იმათაც ისე უთხრეს. გამოგზავნა გამდელი. შევიდა და გააღვიძა, წაიყვანა სადილათ ხელმწიფესთან. ვერა სცნობენ, დასხდნენ ზუფრაზედ. ხელმწიფემ გვერდით მოისვა, შეხედა ხელზედ და იცნო ყელბაღდადი. ეს ჩემი ბაღდადია, მე შეევუხვიე ხელი. შეხედეს ქვისლებმაც, ვერაფრათ იამათ. იცნო ხელმწიფემ: ეს არის ჩემი ქაჩალი-მებატე სიძეო. ადგა, გადაეხვია: შენ რო საქმე მიყავი, ჩემი ტახტი შენ უნდა ჩაგაბაროო. მაშინ დაიწყეს ლაპარაკი ცოლისდებმა. ცოლი არას იმჩნევს, ქვსლები ძალიან შეწუხდნენ. კარგი დროება გაატარეს, ბოლოს სთქვეს ცოლისდებმა გუნებაში: ჩვენ რო ამას დავცინოდით, აბა ეხლა შეევხედოთ რა დროებას ატარებენო. ქაჩალმა სთქვა: დიდებულო ხელმწიფევე, აბა შენ სიძებებს ყურები უნახეთ და ხელებიც. ხელმწიფემ: ყურებზედ ვერ შეატყო და ხელებზედ კი შეხედა. შეატყო, რო მოჭრილი აქვთ, ამ ქაჩალა მებატეს აქვს ხელსახოცში, ამოიღო და დაუწყით. უამბო ხელმწიფეს სუყველაფერი დაწვრილებით. გეეხარდა ხელმწიფეს. სიძე ესა მყოლია, ისინი კი არა ყოფილანო. მაშინ სულ იმას დაულოცა თავისი ტახტი, ხმალი, ნაზირ-ვეზირით. შენ იცი, შვილო, ბძანა ხელმწიფემ, როგორც გინდა, ისე გაუძეხი ამ ჩვენ საბძანებელსა. ადგა ქაჩალმა, ეს ნაზირ-ვეზირები კიდევ შეიცოდა, აღარ გაათახსირა, ისევე თავიანთი ნაზირ-ვეზირობა მისცა, სხვა არაფერი. ისინი დიდათ გაკვირდნენ, რა მოჩვენება ვნახეთ, საიდგან მოგვიარა დღესაცაო. იმის ხელქვეითნი არიან. ეს ცოლისდები ხშირად იტყვიან: ამ კუდიანმა რა ეშმაკობა მოიხმარა, რანაირი საქმე გაიკეთაო.

ნაცარი იქ დავყარე, ფქვილი აქ მოვიტანე,
ელასა, მელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ძილი ეამოს ყველასა.

47. ხელმწიფის ქალის ზღაპარი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყვანდა ქალი. ეს ქალი სულ იმას ლოცულობდა, ღმერთო, მდიდარი გააღარიბე და ღარიბი გაამდიდრეო. ერთხელ უგდო ყური მამამ და, რომ გაიგონა ეს ვედრება, იფიქრა, მე ხომ მდიდარი ვარო და ეტყობა ჩემი გაღარიბება უნდაო. ამიტომ უბძანა, იმის კარზე შეიკრიფონო ყველა ღარიბები. შეიკრიფნენ, მაგრამ ერთი ყველაზე ღარიბი კაცი არ მოვიდა, რადგან ის უწყალო ღარიბი იყო და ყასათხანაში ეგდო ხოლმე. თვიურ ორ შაურს ძლივს შოულობდა. გამოვიდა ხელმწიფე და იკითხა, ყველანი არიან თუ არაო. მიუგეს, მარტო ერთი კაცი არ არისო, ის არც არის ღირსი აქ მოსვლისაო. ხელმწიფემ ისიც მოაყვანინა. მერმე ჩამოიარა ხალხში და ყველასა ჰკითხა: შენ რას იგებო, შენ რას შოულობო. ზოგმა უთხრა ერთ აბაზსო, ზოგმა ხუთ შაურსო და სხვა და სხვა. ყველანი მდიდრათ ჩათვალა ხელმწიფემ, რადგან ბოლოს მოყვანილი კაცი იღებდა ყველაზე ცოტას. ეს ყველაზე გლახათ ჩაადრო და ამას მისცა თავისი ქალი ცოლათ. გაუგზავნა ქალიშვილი ღვდელს, ჯვარი დასწერეო. ღვდელმა ვერ გაბედა და შემოუთვალა ხელმწიფესა, ეს რა ღვთის წყრომაჲო, ეს რა მითხრესო და მე არ შემძლიაო. ხელმწიფემ კვლავ შეუთვალა, ქალიც ჩემია და ბრძანებაცაო, ახლა კი დასწერა ღვდელმა ჯვარი. ხელმწიფემ გაადრო ქალიცა და სიძეც, თანაც ნაზირ-ვეზირებს უთხრა, არათერი შემწეობა არ მისცეთო.

ქალმა სიხარულით მიიღო გლახა, მაგრამ კაცი ვერ ეკარებოდა. იძახდა, მე რა მისი ღირსი ვარო. გავიდა ხანი და ამ ქალმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ნახა, რომ ერთი ბეჭედი ჩარჩენოდა, მისცა დედამთილს და უთხრა: წადი, ეს ბეჭედი წაიღეო ზარაბთანაო და მიჰყიდეო. წაიღო დედაკაცმა და ოცდა ხუთ თუმნათ გაჰყიდა. ვნახოთ, ამ კაცს ერთი შაური უშოვნია, მოიტანა და მისცა თავის ცოლს. ცოლმა ძალიან გაიხარა. უთხრა დედამთილს, იმ ბეჭდის ფულიდან ოცი თუმანი შეინახეო, ვინ იცის სიკვდილ-სიცოცხლეო, და ხუთი თუმანი დახარჯეო. ამ დროს გამოიარეს ბეზირგნებმა და კითხულობდნენ კაცს, რომელიც თან წაყობოდათ. ადგა და ეს კაცი წაჰყვა. ბეზირგნები შეურიგდნენ ამ კაცს თვეში თუმნათ სამი წლის ვადით. უთხრეს, ექვსი თვე უწყალოთ უნდა ვიაროთაო და მერე ვნახამთ

წყალსაო. მერე ექვსი თვე კიდევ ვერა ვნახამთო. ეს ღარიბი კაცი თანახმა გახდა და წაჰყვა.

იარება ექვსი თვე. მივიდნენ ერთ ალაგას, საცა ჰა იყო. ბეზირგნებმა ჩხუბი დაიწყეს ჩაავლაზე, მაშინ უთხრა მოჯამაგირემ, რასა ჩხუბობთო, მე მაინც სასიკვდილოთ წამოვედი და ჩავალო. ჩაუშვეს, ამოუგზავნათ წყალი, ამისეჲს კასრები. ამოყვანის დროს ღარიბს გამოეცხადა ერთი კაცი და უთხრა, ეგ წყალი რომ აგაქვს, პატრონი არა ჰყავსო? მოჰკიდა ხელი და შეიყვანა ერთ ოთახში, სადაც დახოცილი ადამიანები იყო. ახლა მეორე ოთახი გააღო, ის მშვენივრათ მორთული იყო, სულ ოქროს ქსოვილებით დაგებული. შიგ ორი ქალი იჯდა, ერთი მშვენიერი, მეორე — გონჯი. კაცმა უთხრა, ერთ კითხვას მოგცემო, თუ სწორად მიპასუხებო, იანე დაგასაჩუქროო, შვილიშვილამდე გაგყვესო. თუ არაო, ისე მოგკლამ, როგორც იმ ოთახში ნახული მკვდარი ადამიანებიო. აი ჩემი კითხვაო: ეს ქალი სჯობიან თუ ის ქალიო. კაცი დაფიქრდა. რა პასუხი მივცეო, ფიქრობს, მე მაინც სასიკვდილოთ წამოვედიო, მოდი ვიტყვი ამ გონჯ ქალსაო და ეს მაშინვე მომკლამსო. უთხრა ეს სჯობსო, უჩვენა გონჯზე. ეს კაცი მაშინვე მიესალმა, მაღლობაც მოახსენა და უთხრა: განა მე არ ვიცი, რომ ეს ქალი სჯობიანო, — უჩვენა ლამაზზე, — მაგრამ მე მეორე მიყვარსო. ადგა, გავიდა მეორე ოთახში, ოცდა ხუთი ბროწეული გამოუტანა და მისცა. ახლა წადი, შენს ამხანაგებს ანიშნე აგიყვანონო. შესძახა: წყალი აღარ გინდათო? ბეზირგნებმა ძალიან გაიკვირვეს ამ ღარიბი კაცის სიცოცხლე, ვინც კი ჩადის, ვეღარ ამოღისო. წყალი კიდევ ამოიტანეს და მერმე კაციც ამოიყვანეს. ამოვიდა თუ არა, ამ კაცმა სულ უამბო, რაც ნახა. ბროწეულებიც უჩვენა და სთხოვათ, წიგნი და ბროწეულები ცოლს გაუგზავნონ, ამათაც გამოუგზავნეს.

როცა მოუვიდა, ცოლმა ძალიან გაიხარა, ჩემი ქმარი ცოცხალი ყოფილაო და მისი მოგება მომივიდაო. ადგა და შეინახა. სამ დღეს უკან სთქვა, მოდი ერთ ბროწეულს გავჭრიო. გასჭრა, ნახა რომ თვალ-მარგალიტითაა სავსე. ქალმა დედამთილს უთხრა: მეზობლებს დაუძახეთო. ამანაც დაუძახა. იყიდა სულ მეზობლებიანაგან მამული. მერმე შეჰკრიბა კალატოზები. ისეთი სახლი უნდა ამიშენოთო, რო შუაში კედელი იყოსო და აქეთ-იქით ოქრო გაკრულიო. კალატოზებმა უთხრეს ბატონი ბრძანდებიო. დაქციეს ქოხები თავიანთიცა და ნაყიდიც, მოთხარეს საძირკვლები. რომ მოთხარეს, კალატოზები და-

ფიქრდენ, ესენი თითქო ღარბებე იყენენ და ვინ მისცათ ამდენი ფულიო. წავიდნენ და უთხრეს: თქვენ ძვირფასი საქმე გვიბძანეთო და იმის ფასი კი გაქვსთო, რომ მოგვეცეო? ქალმა მაშინვე უთხრა დედამთილს, წადიო და ის ოცი თუმანი რომ გვაქვსო, მისი სულ ტილოები იყიდეო. ამ დედაქაცმა აასრულა. მერმე იმისი პარკები დააკრვინა. მერე გაატანა რძალმა ნანევარი ბროწეული და უთხრა, წაილეო ეს ზარბთანაო და ოქროზე მიჰყიდეო. მართლაც, დედამთილმა წაილო და ეს ოცი თუმნის პარკები სულ აუმსეს ოქროებით. რაკი ეს ნახეს კალატოზებმა, მაშინვე დაიწყეს შენოზა და მალე ააშენეს. ქალი დადგა ახალ სახლებში და მოიმართა ხელმწიფურათა. გამართა ეკიპაჟები, გაიჩინა მოსამსახურეები.

ამ დროს შეუსრულდა სამი წელიწადი და მოუვიდა მაჯლაჯუნა ქმარი. კაცი რომ მოვიდა, ვედარ იცნო თავისი ალაგი. წავიდა და ჰკითხა ხალხსა, მე რო დედა და ცოლი დავტოვე, რა იქნენო? უთხრეს, აი მანდ არიანო. შეუტანეს ქალს ამბავი, შენი ქმარი მოსულაო. ქალმა ძალიან გაიხარა. საჩუქრებიც მისცა სამახარობლო ოქროები, მსახურები დაარიგა, როცა შემოვიდესო, ზედ ოქროები შეაყარეთო. ეს კაცი გაჯავრებული მოდის. ჩემ ცოლსაო ეტყობა ცუდი ხელობა დაუწყვიტაო და მით გამდიდრებულაო. შევიდა თუ არა, მოსამსახურეებმა შეაყარეს ოქროები. გაიარა ცხრა ოთახი, შევიდა იქ, საცა ცოლი იყო და არ მიესალმა. დაუწყო ლაპარაკი, საიდან და როგორ გამდიდრდა. ქალმა ერთი ბროწეული იმასთან გასჭრა. მეორე დღეს ეს კაცი გაგზავნა აბანოში და ჩააცვა ხელმწიფური ტანსამოსი. დაიწყეს ხელმწიფური ცხოვრება.

ერთხელ სანადიროთ მიდიოდნენ ამ ქალის მამის ნაზირ-ვეზირები, დაინახეს სახლები, ძალიან მოეწონათ და მოახსენეს ხელმწიფეს: შენ რომ ქალი და სიძე გააგდეო, ისინი ძალიან გამდიდრებულანო. ხელმწიფემ ნახვა მოინდომა. წავიდა კიდევ. რაკი გაიგეს ეს ქალმა და სიძემ რაშებშებმული ოქროს ეტლებით მიეგებნენ ხელმწიფეს. მიესალმნენ და თავის ეტლში ჩაისვეს. ეს ხელმწიფე მართლაც გღარბებელიყო. ბოდიში მოიხადა ქალიშვილისა და სიძის წინაშე და ხელმწიფობაც გადაულოცა. მერე დაიწყეს ერთად ცხოვრება. ესე აუსრულდა ქალს თავისი ვედრება.

48. ფაშა ხელმწიფის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყვნენ ერთი ცოლ-ქმარი, ჰყვანდათ სამი ქალი. დაიხოცნენ ესენი და დარჩნენ მარტო ქალები. ერთ დღეს ნიაღვარი მოვიდა და იმ ქალების სახლის ერთი კედელი დააქცია, მაგრამ მაინც იქ იყვნენ, იმ ქოხში. ერთხელ ფაშა ხელმწიფე დადიოდა და იმ ქოხთან რომ მივიდა, ყური დაუგდო რას ლაპარაკობენო. ქალები მაყალს გარშემო უსხდნენ, კუტს ხუხავდნენ და სკამდნენ. ერთმა უთხრა: ერთი კუტიც მოიტა და შეეკამოთო. მერე უფროსმა დამ სთქვა: ნეტავ, ფაშა ხელმწიფის მეპურის ცოლი ვიყო, ბევრი პური გამოგიგზავნოთ და გაგაძლოთო. საშუალო დამა სთქვა: ნეტავ, ფაშა ხელმწიფის მეღვინის ცოლი ვიყო, ღვინო გამოგიგზავნოთო. ბოლოს უმცროსმა სთქვა: ნეტავ მე ფაშა ხელმწიფის ცოლი ვიყო! ფაშა ხელმწიფემ ყველაფერი გაიგონა, რაც იმ ქალებმა ინატრეს. მეორე დღეს ხელმწიფემ დაიბარა ქალები და ჰკითხა უფროსს: წუხელი შენ რას ნატრობდიო? ქალმა უპასუხა, მე თქვენი მეპურის ცოლობას ვნატრობდიო. ხელმწიფემ დაუძახა მეპურეს და მისცა ცოლად. საშუალსაც ჰკითხა. მან ასე უპასუხა: მე ვნატრობდი თქვენი მეღვინის ცოლობასაო. დაუძახა მეღვინეს ხელმწიფემ და ის ქალი მას მისცა ცოლად. მესამეს, ე. ი. სულ ბოლოს ჰკითხა უნცროსს: შენ რაღას ნატრობდიო? მე არაფერს, ისე გავიციე და თქვენი ცოლობა ვინატრეო. ადგა ფაშა ხელმწიფე და შეირთო უმცროსი და.

რამდენიმე ხანის შემდეგ ხელმწიფის ცოლი დაორსულდა და ვაჟი ეყოლა. აიღეს ეს ყმაწვილი დეიდებმა, დააკრეს ფიცარზე, მისცეს წყალს და ხელმწიფეს უთხრეს: დამპალი დაიბადა და დავმარხეთო.

მეორეთაც დაორსულდა და კიდევ ვაჟი ეყოლა. ისიც წყალს მისცეს. მესამეთ რომ დაწვა, მაშინ ქალი ეყოლა, ისიც წყალს მისცეს. ხელმწიფე გაჩავრდა და ცოლი გააგდო სახლიდან. ეს სამივე გადაგდებული ყმაწვილები დაიჭირა ერთმა უშვილო მეწისქვილემ და აიყვანა შვილათ და ზრდის. მეწისქვილეს ჰქონდა ერთი კარგი ბალი. მეწისქვილე და მისი ცოლი დაიხოცნენ, ის წისქვილი და ის ბალი იმ სამ ყმაწვილს დარჩა. ერთხელ სამივე ყმაწვილები დასეირნობდნენ ბალში. ერთი ბებერი ღედაკაცი შევიდა და უთხრა ყმაწვილებსა: ეს ბალი მაშინ იქნება კარგი, თუ იშოვნით ერთ მშვენიერ

ჩიტს, მარგალიტის ხეს და უკვდავების წყალსო. ადგა უფროსი ძმა, მისცა ძმას თავისი ხანჯალი და უთხრა: ეს ხანჯალი შენ გქონდეს და მალიმალ გაშინჯე, თუ დაქანგებული იყვეს — მიწველე. ახლა მე წავალ და ყველაფერს ვიშოვნო: მშვენიერ ჩიტს, მარგალიტის ხეს და უკვდავების წყალსაო.

წავიდა: იარა, იარა და ერთ მოხუც დედაკაცთან მივიდა. ბებერმა ჰკითხა: სად მიხვალ, შვილო, აქეთა? ვაჟმა უპასუხა: იმ ალაგას მივალ, სადაც მშვენიერი ჩიტია, მარგალიტის ხეა და უკვდავების წყალი მოჰქუხსო. ესენი უნდა მოვიტანოო. ბებერმა უთხრა: ჰეი, შვილო! წამკვლევი ბევრი მინახავს და დაბრუნებული კი არავინო. აილო ერთი ბურთი, მისცა ამ ვაჟს და უთხრა: ეს ბურთი დააგორე და თან მისდიე, სადაც დადგეს, იქ იქნება ისინიო. დაგიწყებენ ცემასა და ყურში ყვირილს: ჰაი! ჰეი! ჰაი! ჰუი! მარამ შენ უკან არ მიიხედო, თორემ გაქვავდებიო. ადგა ვაჟი, თავი დაუკრა, ბურთი გამოართვა და წავიდა. იარა, იარა და მივიდა თუ არა, დაუწყეს ყვირილი და ცემა. არ მოუთმინა გულმა და უკან მიიხედა, გაქვავდა. ამ დროს საშუალო ძმამ ხანჯალი ნახა დაქანგებულიყო. ადგა საშუალო ძმა და ხანჯალი დას დაუტოვა. თვითონ წავიდა ძმის საშველებლათ და იმათ მოსატანათაო.

იარა, იარა, ისიც იმ ბებერთან მივიდა. ბებერმა ისე უთხრა, როგორც მის ძმასა და თან ბურთი მისცა. წავიდა ეს ვაჟი და ისიც გაქვავდა. მესამეთ თითონ ქალი წამოვიდა. ქალსაც ბებერმა ისრე უთხრა, როგორც მის ძმებს. ამ ქალმა ყურები ბამბით მაგრად დაიციო და წავიდა. დადგა ბურთი. ისიც იქ დადგა. ბევრი უყვირეს, სცემეს. მაგრამა მას არა ესმოდა რა. აიყვანა მშვენიერი ჩიტი, მონახა მარგალიტის ხეც და უკვდავების წყალიც.

უმცროსმა დამ ნახა, იქ რამდენი ხალხი მოსულიყო ჯადოსნური საგნების წასადღებათ და სუყველანი ქვათ ქცეულიყვნენ. ჩიტმა უთხრა ამ ქალს, აიღე ეგ უკვდავების წყალი და ამ ქვებს წაუსვიო. ქალმა, რასაკვირველია, წაუსვა და მაშინვე გაცოცხლდა იმოდენა ქვად გადაქცეული ხალხი, მისი ძმებიც იქ იყვნენ. ამ ქალმა წამოიყვანა თავისი ძმებიცა და ის მშვენიერი ფრინველიცა, წამოიღო მარგალიტის ხე და უკვდავების წყალიც. მოვიდნენ შინა მშვიდობით.

ქალმა ეს მშვენიერი ჩიტი ჩამოჰკიდა ბალში, ის მარგალიტის ხეც ბალში დარგო და უკვდავების წყალიც ზედ დაასხა. რამდენიმე ხნის

შემდეგ ჩიტმა უთხრა ძმებს: ხვალ ფაშა ხელმწიფეს ორი ლომი გაჰყავს საჭიდაოთ, და თქვენც გალით თამაშათა. მეორე დღეს ეს ძმებიც გავიდნენ. ერთი ძმა მივარდა ერთ ლომს და გაგლიჯა, მეორე — მეორეს მივარდა. ფაშა ხელმწიფეს მეტად გაუკვირდა და ძმები მეორე დღეს სადილად დააპატიჟა. ყმაწვილები წავიდნენ ხელმწიფესთან. როდესაც დაბრუნდნენ ხელმწიფისგან, ჩიტმა უთხრათ: ეხლა თქვენ დაჰპატიჟეთ და როცა მოდიოდეს, თქვენ ქუჩაში მიეგებენით, ხოლო კარებში თქვენი და შეხვდესო. ყმაწვილებმა მართლა დააპატიჟეს ფაშა ხელმწიფე. გამოჩნდა თუ არა ქუჩაში ხელმწიფე, ძმები მიეგებენ კარებში, დასხდნენ სუფრაზედ, ხელმწიფემ აიღო ღვინო და სთქვა: ეს ღმერთმა აღლეგრძელოს მეწისქვილის შვილები! მაშინ ჩიტმა დაიყვირა: ეგ მეწისქვილის შვილები კი არ არიან, ფაშა ხელმწიფის შვილებიო. ხელმწიფემ ჰკითხა, საიღამაა ჩემი შვილებიო? ჩიტმა უპასუხა: როდესაც თქვენი ცოლი ლოგინობდა, თქვენი ცოლისდებმა ეს ყმაწვილები წყალში გადაყარეს და მოგატყუილეს, თითქოს დამპალი იყოვო. ხელმწიფეს ძლიერ გაეხარდა და თავისი ცოლი ისევ მოიყვანა. ცოლისდები კი გამოაბმევინა ცხენის კულზედა და დაახოცვინა. ეს ბალიცა, ჩიტიცა, ხეცა და წყალიც ამათ დარჩათ.

49. ნ ა ტ ა რ ძ ე მ ი ა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი. ყვანდა სამი ვაჟი, ორსა შერთო ცოლები, მესამე კი სულ ნაცარში გლია და ბუხარში ქექამს ნაცარსა. უთხრა დედამა, მოდით ამასაც ცოლი შეერთოთ, ეგება ნაცრიდამ გამოვიდესო. დაუჯერეს შვილებმა და შერთეს ცოლი, მაგრამ უფრო ჩაჯდა. კიდევ შეერთოთო მეორეო და შერთეს. ნაცარქექიამ ერთი აქეთ მოიწვინა, მეორე იქითა და უთხრა ცოლებსა: ღმერთმა თქვენ ნუ შავინახოთო, თუ მე არ შამინახოთო. ეცათ ელდა ქალებს. ქმარი იმიტომ შევირთეთ, რომ შეგვინახოსო, ეს კი ჩვენ გვეუბნება შემინახეთო. უნდა მოვიგონოთ რამეო. აღგნენ და მრავალი ქადა-ნაწუქი გამოაცხეს. ზოგი ბანიდამ, ზოგი კარიდამ ჩამოყარეს. უთხრეს: კაცო, გამოდი, შენც შეიტანეო. თუ ღმერთს უნდა, აქაც მამკემსო. კიდევ უფრო მეტი გამოაცხეს და ჩამოყარეს.

ადგა გავიდა კარებში. რომ იღებს ქადა-ნაზუქსა, მიუკეტეს კარი ცოლებმა: წადი, დაიკარგეო, არა გვინდა რა შენით. ბევრი ეხვეწა, ვერა გააწყო რა. მერე დაუძახა: ერთი გულა ნაცარი მაინც მამეციო, მახათი და ერთი კვერეული ყველი, წავალ დავიკარგებო. მაშინვე მახათი მისცეს. აუშსეს პარკი ნაცრით, გამოუკრეს ახალი ყველი და მიაწოდეს. ადგა და წავიდა.

იარა ბევრი, მივიდა ერთ ზღვის პირას. დაინახა გაღმა ერთი სა-მოცთავიანი დევი წევს. შემოხედა ნაცარქექიას და დაუძახა: რა ხარ, რა სურიელი ხარო, ჩემი შიშით ცას ფრინველს არ გაუვლია, ქვეშ-კნელში ჭინჭველასაო და შენ ვინა ხარო. ამოიღო ყველი. ჩადო წყალში და დაუძახა: მე ის კაცი ვარო, აი ქვას მოუჭერ ხელს და წყალს გამოვადენო. თუ ჰკუა გაქვს, გამოდი, გამიყვანეო. შეშინდა დევი, გამოვიდა, შეისვა კისერზე და გაყამს. შუა ზღვაზე რომ მივიდნენ, მახათი დააჭირა კისერში. დევმა დაიძახა, ნუ მამკლავო, ამიშვიო, ნაცარქექიამ უთხრა: რას ამბობ, მე რომ ჩემი სული და-უშვა მთლად გაგანადგურებო, მაგრამ მეცოდებო. გაიყვანა გაღმა და უთხრა დევმა: წამოდი, ჩვენ ცხრა ძმანი ვართ, მეათე შენ იქნებიო. წაიყვანა. შემოხედეს დევებმა და უამათ, დილის საუზმე მოუყვანიაო. დევმა უთხრა ძმებსა, ხმა არ გასცეთ, ისეთი ძრიელია, თქვენ არ იცით, მაგან ქვას წყალი გაღმოადინაო. იმათაც შეეშინდათ. ეფერებიან, რა იციან თუ ნაცარქექიაა. ადგნენ და წავიდნენ სანადიროთა. ჩასვეს ერთი კალოსოდენა ხმიადი და უთხრეს, გადა-აბრუნეო, გამოაცხვე, სალამოზე მოვალთ, ნანადირევს მოვიტანთ და ვახშამი მივირთვათო. წავიდნენ დევები. ვნახოთ, ერთი ასი კაცი მოდის — მუშები, დაუძახა ნაცარქექიამ, ეს გადამიბრუნეთო, გადაუბრუნეს და წავიდნენ.

სალამოზე მოვიდნენ დევები. ნაცარქექია წევს მშვენივრათ. პუ-რი გამომცხვარია. ეგრე რათა წევხარო? მიტომ ვწვევარ, რომ მუ-ცელი მტკივაო. ააყენეს, გამოიყვანეს, დასხდნენ და პურსა სჭამენ. იმ დროს ერთს დევს ცხვირი დააცემინა და ეს ნაცარქექია ჭერში არ მიეკრა! შიშლამ შეხედეს დევებმა, ძალიან შეშინდნენ. მანდ რათ ახვედიო? აქ იმიტომ ამოვედი, რომ ეს თავხეები ცუდათ გაგიწყვიათო. რას ამბობ, ჩამოდი, თითო ხე ოცმა დევმა ძლივ დავდეთო, ჩამოდიო. როგორც იყო ჩამოიყვანეს. დევები უფრო შეშინდნენ. შოდი ცხრავემ მწვილდ-ისარი მოვმართოთ და ერთად დავაზილოთო, ჭერ კი პატარა ხან დავიძინოთო. აქი ამ ნაცარქექიამ გაიგო, მივიდა,

ერთი კუნძი იყო, ის კუნძი შიიტანა, თავის მაგივრათ დადო და და-
ახურა ნაბადი. იდროვეს თუ არა ღვევებმა, ახლა ეძინებაო, წამო-
ვიდნენ ცხრანი, ჩსრები დაუშინეს და ისევ გაბრუნდნენ. დილაზე
სანამ ღვევები მოვიდოდნენ ნაცარქექიამ ის კუნძი გადააგდო, მერე
დაწვა და კვნესა დაიწყო. შევიდნენ და ჰკითხეს: რათა კვნესიო?
წუხელი წყილები მკბენდნენ და არ დამაძინესო. რაკი ესეც გაიგეს
ამ ღვევებმა, უთხრეს: ღმერთმა მოგახმაროს ეს სახლი, კარი და
ცხოვრებაო. ადგნენ და წავიდნენ ღვევები. ნაცარქექიამ მოიყვანა აქ-
ლემები, აკიდა ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და რამდენი
კიდევ სხვა რამე. წამოვიდა და მოადგა ცოლებსა. ახლაც არ შემო-
მიშვებთო? სიცოცხლე გაქვთ, ისინი გამხიარულდნენ. მოეგებენ.
შევიდა ნაცარქექია, შეიტანა ცხოვრება, ისე გამდიდრდა, რომ იმის-
თანა იქ აღარავინ იყო.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, პური აქა.

50. შანჭრაქამს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი ღმერთი ჩვენი
მწყალობელი. იყვნენ სამნი ძმანი. უთხრეს ერთმანეთს, აქ რას უს-
ხედვართო, წავიდეთ სამუშაოზედაო. წავიდნენ. ბევრი იარეს თუ
ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ღვევთან. უთხრეს მოჯამაგირე არა გნე-
ბავთო. რატომ არა, დამიღექითო. დადგენ მოჯამაგირეთ. უმცროს
ძმას შანჭრაქა ერქვა. შანჭრაქამ უთხრა ძმებს: ამაღამ ქალებთან
დაგაწვენთო ღვევი და იმდენი ეცადეთო, პერანგები შეცვალოთო,
შენი ქალს ჩააცვაო და ქალისა შენ ჩაიცვაო. ვახშამი აქამა კარგათ
ღვემა და ქალებთან დააწვიანა სუყველანი. შუალამე მოვიდა თუ
არა, შემოვიდა ღვევი და საყელო გაუსინჯა სუყველას. ვისაც კაცის
პერანგი ეცვა, თავები დასჭრა და წავიდა; ისევ თავის ოთახში
დაწვა.

გათენდა, ღვევი სამუშაოზე მიდიოდა და დაუძახა თავის ქალებს:
ეგენი კარგათ მამიხარშეო და წამამიღეო. შანჭრაქამ ქალურათ
უპასუხა: ბატონი ბრძანდებიო. წავიდა თუ არა ღვევი, შანჭრაქა-

ადგა და სულ ასო-ასო დაშვრა და მოხარშა. მამრე აიღო და გოდორში ჩააწყო; რომელიც შესამცნევი ასოები იყო ქალისა — სულ ძირში ჩააწყო, თითონ კი უფროსი ქალის ტანისამოსი ჩაიცო. უთხრა ძმებს: თქვენ წადით და მოჯამაგირეთ დადექითო, და მეც მოვალო. ძმები წავიდნენ, თითონ წამაიკიდა გოდორი და წავიდა დევთან. მოუტანა გოდორი და დაუდგა. შანჭრაქამ უთხრა დევს, მარილი შინ დამრჩაო და წამოვიდა.

დევმა სადილი რომ შექამა, გოდორს ძირში ნახა თავისი ქალეზის თმები. წაიშინა თავში ხელი და გამოუდგა შანჭრაქას. ვაჟმა დევი როგორც მოუახლოვდა, იქვე ზღვა იყო და იმ ზღვაზე ლასტის ხილით გადაირბინა და გავიდა მეორე მხარეს. ამ ხილზე დევს გასვლა არ მზეძლო, ჩაუწყდებოდა. დადგა შანჭრაქა და აჯავრებს დევს ამაზე, — სულ გაცოფიანდა დევი. უთხრა შანჭრაქას: კიდევ მოხვალ ჩემთანაო. ისე მოვალ, როგორც სიძე ცოლეულთანაო. გამობრუნდა დევი და წამოვიდა.

შანჭრაქას ძმები მისულოყვნენ ერთ ქვეყანაში და ხელმწიფეს მოჯამაგირეებათ დადგომოდნენ. შანჭრაქას მისვლამდე ძმებმა მახსენეს ხელმწიფეს: ერთ დევს ისეთი ალვის ხე უდგას, მთელი ქვეყნის ფრინველები ზედა ბუდობენო. ის ხე რო შენა გკონდესო, მაშინ არც ერთი ხელმწიფე არ გემჯობინებოდაო. ხელმწიფემ ბრძანა: ვის შეუძლია იმისი მოტანაო. შანჭრაქას ძმებმა მოახსენეს: თუ ჩვენი ძმა მშვიდობით მოვიდა, იმას შეუძლიანო. და მივიდა შანჭრაქა იქ, სადაც მისი ძმები იყვნენ. მეორე დღეს ხელმწიფემ უბრძანა შანჭრაქას, შენი ძმები დევს ალვიხეს უქებენო. შეგიძლია, თუ არა იმისი მოტანაო? მახსენა შანჭრაქამ: ერთი ორფუთიანი ცული გამიკეთეთო. გააკეთებინა და მისცა. წავიდა შანჭრაქა და დევის სახლს უკან ჩაიმალა. შანჭრაქამ ერთი ცული ჩაარტყა ალვის ზეს, მერე ისევ გამაიქცა და დაიმალა. გამოვიდა დევი, ნახა არავინ იყო და თქვა, ყური თუ მატყუებსო. შევიდა და რაევ ტახტზე დაჯდა. ისევ გამოვიდა შანჭრაქა და მეორეთ ჩაარტყა ხეს, ისევ გაიქცა და დაიმალა სახლის უკან. გამოვიდა დევი და ვერავინ ნახა, თქვა ყური მატყუებსო, შავიდა და ისევ დაჯდა ტახტზე. გამოვიდა შანჭრაქა მესამეთ, შამოჰკრა და წააქცია ხე, გაიქცა და დაიმალა. მაშინ დევი გარეთ გამოხტა, ვერავინ დაინახა და თქვა, ყური მატყუებსო. შებრუნდა სახლში. ამ დროს შანჭრაქამ, რომ აღარავინ გამოვიდა, დაიღო მხარზე ალვის ხე და წამოიღო. მინამ შანჭრაქა მოვიდოდა,

ძმებმა ხელმწიფეს უთხრეს: დევსაო ზურმუხტის ალთაფა და ტასტი აქვსო, შანჭრაქა რომ წამოვიდა, გამოხტა დევი გარეთ, ნახა ალვის ხე აღარ იყო. თქვა, ის მამაძალი შანჭრაქა მოსულა და წაუღიაო. გამოუდგა: შანჭრაქა დევის გულის გასასიებლათ ზღვასთან დადგა, მიახლოვდა თუ არა, მაშინვე ლასტის ხილი გაირბინა. დევმა დაუძახა შანჭრაქას, კიდევ მოხვალ ჩემთანაო. ისე მოვალ, როგორც სიძე ცოლეულთანაო.

შანჭრაქამ მოიტანა ალვის ხე და დარგო ხელმწიფის სახლის წინ. მთელი ქვეყნის ფრინველებმა ზედ ბუდე გაიკეთეს და ხელმწიფემ დიდი მადლობა გადაუხადა შანჭრაქას; ბევრი ფულიც აჩუქა. რამდენიმე დღის მერე კიდევ გამოუცხადა შანჭრაქას: შენი ძმებიო დევს უქებენო ზურმუხტის ალთაფას და ტასტსაო. თუ შეგიძლიან ისიც მოიტანეთ. შანჭრაქამ მოახსენა, ძნელიაო, მაგრამ რაკი თქვენ მიბძანებთ, გიახლებითო. წავიდა შანჭრაქა, მივიდა და აიტუზა დევის სახლის კარებთან. ფიქრობს, როგორ გამოვიტანო, ცხრა დაკეტილ კარის იქითააო. ამ ფიქრში მოასწრო დევმა და უნდა შეჰკამოს. შანჭრაქამ უთხრა, ერთი სიტყვა მათქმევინე და ისე შამჭამეო. თქვი ჩქარაო. უთხრა შანჭრაქამ: მამაშენს რომ მამიჩემისათვის საქმე უქნია, შენ ის საქმე მე არ მიყავო, — თქვი ჩქარა, რა საქმე უქნიაო. მეც ის უნდა გიყოვო, უთხრა შანჭრაქამ. ის უქნიაო რომაო, მამაჩემი წაუყვანიაო სანახევრდაო და მუცლამდინ შიგ ჩაუფლამსო, თავით ზურმუხტის ალთაფა დაუდგამსო და ფეხებთან ტასტო. მართლაც, დევმა შანჭრაქა მუცლამდინ ჩაფლა, თავით ზურმუხტის ალთაფა დაუდგა, ფეხთით ტასტი, დევი წავიდა და დაიბინა. როგორც კი დაეძინა, წამოდგა შანჭრაქა. აიღო ალთაფა და ტასტი და გამოსწია.

გათენდა თუ არა, ადგა დევი. ნახა აღარც შანჭრაქაა, არც ალთაფა და ტასტი. გამოუდგა უკან, შორიღამ დაინახა ზღვის პირასა დგას. მიუახლოვდა და შანჭრაქამ გაირბინა ლასტის ხილზე და დადგა იქითა ნაპირზე. მივიდა დევი და დადგა აქეთა ნაპირზე. დაუძახა, კიდევ მოხვალ ჩემთანაო. ისე მოვალ, როგორც სიძე ცოლეულთანაო. გამობრუნდა დევი და წამოვიდა. ახლა სანამ შანჭრაქა მივიდოდა, ძმებმა კიდევ მოახსენეს ხელმწიფეს, თითონ ის დევი რო ნახოთ, გასაკვირველიაო. ვინ მოიყვანს იმასაო? თუ ჩვენი ძმა მშვიდობით მოვიდაო, ის მოიყვანსო.

მივიდა შანჭრაქა და მიუტანა ხელმწიფეს ალთაფა და ტასტი.

დიდი მადლობა უთხრა ხელმწიფემ შანჭრაქას, მაგრამ მეორე დღეს გამოუცხადა: შენი ძმები დევს აქებენო, თუ შეგიძლია მოიყვანეო. შანჭრაქამ ხელმწიფეს მოახსენა: ერთი ხელი სადღურგლო იარაღი გამიკეთეთო და იმდენ ხანს დამაცადეთ, წვერი ამომივიდესო. მოუვიდა წვერი, ჩააწყო იარაღი გიდელში, წამოიკიდა ზურგზე და გასწია. მივიდა და დევის სახლის უკან ხეებს ჭრა დაუწყო. გამოვიდა დევი, ნახა ხუროა და ხეებსა ჭრის. გამოეკიდა დევი ხუროს, რას აკეთებო? ბატონო, მე ისეთ რამეს გავაკეთებო, შიგ რომ ჩაბძანდეთ, თავის თავად საცა გნებამთ იქ წაგიყვანთო. დევმა უბძანა: შენ რომ შინჭრაქას არა ჰგავდეთ, გაგაკეთებინებდიო. არა, ბატონო, ვინ აგდია შანჭრაქა, მე იმას რაში ვემგვანებიო. დევმა უბძანა, თვალებში გეხარო. არა, ბატონო, მე შანჭრაქა არ გახლავართო. მაშ გამიკეთეო.

გაკეთა შანჭრაქამ კიღობანი და მოახსენა დევს: აბა ჩაბძანდითო. დევი ჩაჯდა და გაიწივ-გამოიწია და ერთი კედელი გამოანგრიდა. შანჭრაქამ უფრო მაგრა აუშენა ახლა ის კედელი. კიდევ უთხრა: აბა ჩაბძანდითო. ჩაჯდა დევი: გაიწივ-გამოიწია, ვერც ერთი კედელი ვერ გაანგრიდა, მაშინ საჩქაროთ დაახურა თავი. დევმა უთხრა ყუთს, აბა ერთი მოყვრებთან წამიყვანეო. მოაბა შანჭრაქამ თოკი და გასწია ხელმწიფისაკენ, თან გზა და გზა დამღერის. დევმა შაატყო ხმაზედ და უთხრა: შანჭრაქავ, შენა ხარო? დიახ, მე გახლავარო. კიდევ ჩავვარდი შენს ხელშიო, გაიწივს და გამოიწივს, რა ქნას! აქეთ-იქით ლურსმები ჩხვლეტს, ზის ერთ ალაგას. მიიყვანა ზღვასთან და დაფიქრდა შანჭრაქა, როგორ გავიყვანო ლასტის ხიდზედაო, ჩაიქცევავო და მეც დავიხრჩობიო. ბევრი იფიქრა. ბოლოს სთქვა: მოდი გავიყვან, რაც მამივა მამივაო, გაიყვანა ლასტის ხიდზე და მიიყვანა ხელმწიფისთან.

შანჭრაქას ძმები გამოვიდნენ. ოჰ, დევი მოყავსო. შანჭრაქამ უთხრა ძმებს: თავი ახადეთო და მეც მოვალა, თვითონ გაიქცა და ციხეში დაიმალა მალა. ძმებმა ახადეს და დევმა იმწამსვე თითო-თითო ლუკმით გადაყლაბა ორივე. დაუარა და მთელი სახელმწიფო სულ მოსპო, შენობებიც ერთიანად დააქცია, ბოლოს მივიდა ციხესთან. შანჭრაქავ, შენ აქა ხარო? შანჭრაქამ უთხრა: აქ გახლავარ, რა გნებამსო. დაუშინა ყუმბარები და რვა თავი გააგდებინა. მეცხრეზე ხმალ და ხმალ ჩამოვიდა. მოკლა დევი. წამოვიდა და ნახა ხელმწიფე და მძიხი ხალხი ერთიანად გვეფუჭებინა დევს, სა-

სახლეც დანგრეული იყო, მარტო ერთ მხარეს იყო მთელი, მივი-
და, კარები კლიტით დახვდა დაკეტილი. გატეხა და შევიდა; ასე
დაამტვრია ცხრა კარები და შევიდა მზითუნაბავ ხელმწიფის ქალ-
თან. ხელმწიფის ქალმა უთხრა: შენ როგორ გაბედე აქ შემოხველაო,
ჩემი შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლიაო და ძირს ჭიანჭველა-
საო. შანჭრაქამ უთხრა: შენი დედ-მამა და მთელი სახელმწიფო
დევემა გაათუქა და შენ კი აქა ზინარ ლამაზათაო. გამოვიდა ქალი
და მართლა მთელი სახელმწიფო გაფუჭებული იყო. ახლა უთხრა
შანჭრაქას ამ ქალმა: შენ ქმარი და მე ცოლიო. დაიწერეს ჯვარი. პატა-
რა ხანს უკან სხვა ხელმწიფეს გაუგზავნეს წიგნი. იმ წიგნში ეწე-
რა, ჩვენი სახელმწიფო დევმა გაათუქაო, მარტო ხელმწიფის შეი-
ლი გადარჩაო თავისი ცოლითაო. გთხოვთ, ერთი კარგი სახლი
გააკეთებინეთო, რომ ჩვენც მანდ ვადმოვიდეთო. ათიოდე ურემიც
შააბმევიანეთო ბარგის ვადმოსატანათო. მონახა იმ ხელმწიფემ ერ-
თი კარგი ალაგი, დააყენა მუშები და გააკეთებინა სახლები, მერე
მაამზადებინა ურმები, ვადმოზიდეს ბარგი და თვითონაც ვადმო-
ვიდნენ. ხელმწიფეს შეუყვარდა შანჭრაქა, თავის მაგიერათ ტახტზე
ის დასვა და სახელმწიფოც იმას დაუმტკიცა. ასე გახდა შანჭრაქა
ხელმწიფე, ცხოვრობდა ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ქათო იქა, ფქვილი აქა.

51. ხელმწიფე და ოპრომხადლის ცოლი

იყო ერთი უშვილო, მრავლის მქონებული ხელმწიფე და დი-
დათა სწუხდა უშვილობას. ერთხელ მივიდა ერთი უცხო კაცი და
მოახსენა ვეზირის პირით: უკეთუ ხელმწიფე მართლა უშვილო-
ბისთვის სწუხს, მე შემძლია შვილი ვაყოლო იმ პირობით, თუ სამს
ვაუში ერთს მე მამცემს. ხელმწიფე თანახმა გახდა და აღუთქვა
ხელწერილის მიცემით. ერწმუნა აქიმი ხელმწიფის პირობას და მიარ-
თვა სამი ვაშლი წამლით შეზავებული და გამოუცხადა: ერთი ვაშლი
და ნახევარი ხელმწიფემ შექამოს გუფტქვენლად, ვაშლი და ნახე-
ვარი დედოფალმა მიირთოსო. ყოველივე ისე აღასრულეს, როგორც

ნათქვამი იყო. დაორსულდა დედოფალი, გაუჩნდა სამი ვაჟი. გამხი-
არულდა ხელმწიფე, გასცა მრავალი საჩუქარი გლახაკთა ზედა,
ზრდიდა შვილებს ხელმწიფის წესით. როცა ბავშვები შეიქნენ თორ-
მეტის წლისა, და მოვიდა ვადა აქიმის მოსვლისა, ხელმწიფემ თა-
ვისი შვილები ცხრაკლიტულში დამალა და აქიმს ვეზირის შვილები
დაახვედრა. პირობის თანახმად გამოუცხადა, რომელიც უნდოდეს
წაიყვანოსო. აქიმი გულთმისანი იყო და ხელმწიფეს უთხრა: თქვენი
შვილები დარბაზში გყავთ დამალული და მე ვეზირის შვილის წაყ-
ვანის პირობა არა მაქვსო. ხელმწიფემ ველარ დამალა თავისი შვი-
ლები და უჩვენა, რომელიც უნდოდეს წაიყვანოსო. აქიმმა კი უმც-
როსი აირჩია. შეწუხდა ხელმწიფე, მარამ პირობა ველარ უარყო.
გამოესალმა აქიმი და წაიყვანა ხელმწიფის შვილი, იარეს, იარეს და
მივიდნენ ერთი კლდის პირას, სადაც ერთი ხე იდგა და კლდის გა-
მოქვაბულიდან წყალი გამოდიოდა. აქიმმა ხელმწიფის შვილი დაჰ-
კიდა ამ ხეზე და დაუწყო უწყალოთ ცემა. სწუხს ხელმწიფის შვი-
ლი, ევედრება აქიმს, რა არის ამისთანა ტანჯვის მიზეზიო. აქიმმა
დაანება ცემას თავი და უთხრა: დასავლეთის საბძანებელში არის
ერთი ოქრომჭედელი, რომელსაც ჰყავს მზეთუნახავი ცოლი, და
უკეთუ ხელმწიფის შვილი მზეთუნახავს არ მოუყვანს, უთუოდ ცე-
მით მოჰკლავს. ხელმწიფის შვილი შეევედრა: გამათავისუფლეო და
წავალო, ან ვიშოვნო ან მოვკვდები მის გზაზედო. მაშინ ჩამოხსნა
აქიმმა და აჩვენა ის გამოკვეთილი კლდე. უთხრა: შეხვალ კლდესა
შინა და ნახავ წყლის პირზე დგას ერთი ოქროს შანდალი, აიღე იგი
და საჩქაროთ გამოდი. იქ სხვაც მრავალი სიმდიდრე და ნივთთა
ძვირფასი, მარამ ხელი არ ახლო, თორემ კარი მოგეხურება და
საუკუნოთ შიგ`დარჩები. როდესაც შანდალს გამოიტან, მაშინ გას-
წავლი რა გზით იშოვება მზეთუნახავიო.

წავიდა ხელმწიფის შვილი და შევიდა გამოკვეთილს კლდეში.
ნახა შანდალი წყლის პირსა, აიღო და ჩაიდგა ჯიბეში, გამობრუნდა
თუ არა გამოსასვლელათ, დაუწყეს აქეთ-იქიდან ლაპარაკი; ჩვენი
ფასი რა არის შენს სახელმწიფოშიო, აგვეკრიფე, წავგიღეო. ხელ-
მწიფის შვილმა არც კი შეხედა. მოვიდა კარებთან და გამოგორდა
ერთი დიდი მარგალიტი და უთხრა: ხელმწიფის შვილო, ხომ გახ-
ვედი გარეთ და მე მაინც გამიტანეო. ხელმწიფის შვილმა აიღო თუ
არა, დაიკეტა კარიც და დარჩა შიგ. აქიმმა ხელმწიფის შვილის ჩა-
კეტვა რომ შეიტყო, კლდიდან გადმოვარდა და თავი მოიკლა.

ხელმწიფის შვილი ძალიან სწუხდა და ცდილობდა განთავისუფლებას. ერთხელ შიმშილით შეჭირვებულმა განიზრახა წყალში ჩაეარდნილიყო. წყალს გასავალი ექნება, ფიქრობდა, გამადგებს გარეთ და ვინმე მადლიანი მნახავს და დამმარხავს მაინცო. ამ განძრახვით აკრიფა რაოდენიც შეიძლებოდა თვალ-მარგალიტი, ჩაიწყო ჯიბეებსა და უბეში, ასე ჩაეარდა წყალში. რაოდენსამე ხანში ნივთების სიმძიმემა და წყლის სიჩქარემ გამოაგდო გარეთ. წყლით დასუსტებული დიდხანს უგდო მდინარის ნაპირს. როდეს იყო ადგა და წავიდა თავისი აქიმის საძებნელად. დასავლეთის მხარეს გაყვა გზას, ბევრი ეძია, მაგრამ ვეღარ ნახა აქიმი.

იარა, ბევრი იარა. შევიდა ერთ უცხო ქალაქში. მივიდა ერთ ღარიბ მოხუცებულ დედაკაცთან და უთხრა: მშვიდობა შენთანა, დედავო. სთხოვა დადგომა. შეატყო მოხუცს რაღაცა აწუხებდა. მაშინ ამოიღო ერთი თვალი, მისცა და უთხრა: გაიტანე ბაზარში და რაც მოგცენ მოიტანე, ვკამოთ. წავიდა ბებერი, მოიტანა საჭმელი და შუამეს. მერე ბებერმა ჰკითხა ვინაობა. ვაჟმა ვაჭრის შვილობა უთხრა. ახლა ხელმწიფის შვილმა ჰკითხა დედობილს: ამ ქალაქს რა ჰქვიან, ან ვინ ხელმწიფობსო. აქაური ანბავი და ქცევა მიანბნეო. დედობილმა უთხრა: აქაური ხელმწიფე დიდათ მოწყალე და მრავალი სახელმწიფოს პატრონიაო. მხოლოდ უშვილობის გამო სწუხს, ქალი ჰყავს ერთი მზეთუნახავი, და აჩვენა მალალი კოშკი, იმაში დგასო. ის მზეთუნახავი არც შეირთამს ქმარს, არც ეჩვენება ვინმეს და ვერც არავინ მასთან კაცის სახელს ახსენებსო. გარდა ხელმწიფის მეტისა, ერთი გამდელი ჰყავს, აჩვენა ჯაჭვის კიბეები, იმაზედ ჩამოვა და საჭმელს აიტანსო. ამ ხელმწიფის შვილმა განიზრახა ხელმწიფის ქალის ნახვა. იყიდა რკინა და რკინის სამუშაო იარაღი, გამართა სამჭედლო პირდაპირ ჯაჭვების ქვეშ, ციხის ძირას. გააკეთა რკინის პალოები. ერთ ღამეს ციხეს თითო თითო პალო დაურჭო, აჰყვა ზედ და ავიდა ჯაჭვის კიბემდინ. მერე მივიდა კარებთან, შეიხედა და ნახა სახლი ხელმწიფურის წესით მორთული, მარამ შინ არავინ იყო. გაბედა და სახლში შევიდა. დაუწყო შინჯვა სურათებს. ხელმწიფის ქალის სურათი დიდათ მოეწონა და დიდხანს უცქირა. სახლი განათებული იყო ორმოციან სანთლისაგან. ვაჟს თავისი ნივთები დედობილთან ჰქონდა შენახული, მხოლოდ შანდალი ჰქონდა განუშორებლათ ჯიბეში. ამოიღო იგი და, სუფრაზე ოთხი ოქროს შანდლით ერთო სანთლები, ერთი სანთელი

თავის შანდალშიც აანთო და დადგა. მაშინ სწრაფად ორმოცი მშვენიერი და კარგათ დართული ქალები გამოვიდნენ. დასხდნენ თავთავის ალაგას და დაიწყეს სიმღერა სხვადასხვა რიგათ. ხელმწიფის შვილმა არ იცოდა თავისი შანდლის თვისება და დიდათ შეკრთა. ერთ ხანს ვერ იაზრა ეს კაღნიერება და იყო განცვიფრებული მაყურებელი ამ ყოფისა. ამ დროს მამიდვან დაბრუნებული ხელმწიფის ქალიც მოვიდა გამდლით. ამ ქალმა ნახა მშვენიერი ყმაწვილი კაცი თავის სახლში მყოფი და ორმოციც მშვენიერი ქალი მშვენივრათ მომღერალნი. დიდხანს უყურა ამებს. ხელმწიფის შვილი დაბოლოს მოვიდა გონებაზე, იგრძნო, რომ ამგვარი კაღნიერება ხელმწიფის სახლში არ იყო რიგი და აიღო თავის შანდლიდამ სანთელი, ჩაასო ისევ ოქროს შანდალში და მისი შანდალი კი ჩაიღო ჭიბეში. მაშინვე ის ორმოცი მომღერალიც გაქრა.

ხელმწიფის ქალმა ეს ყველა დაინახა. მერე გაბედა და შევიდა. დაინახა თუ არა ხელმწიფის შვილმა, დაიჩოქა და ბოდინი მოიხოვა კაღნიერებისათვის. მზუთუნახავმა ხელმწიფის შვილს უთხრა, ნურაზე შესწუხდები. დიდად სასიამოვნოა თქვენი ნახვაო. დასხდნენ და მრავალი იალერსეს. ქალმა გამდელი გაგზავნა და ვახშამი მოატანინა. დასხდნენ ვახშამზე, ყმაწვილს ბანგი დააღვეინეს და რომ დაეძინა, შანდალი ამოართვეს და ძირს გადმოაგდეს.

ხელმწიფის შვილი დიდათ დამტვრეული და ავადმყოფი მივიდა დედობილთან. მოხუცმა აქიმი დაუყენა და მოარჩინა. მეორე დღეს ხელმწიფის ქალმა მამას შემოუთვალა და სთხოვა ოცდა თვრამეტი დიდგვარიანი ქალი და რძალი დაუპატიჟოს და ვახშამიც კარგი გაუკეთოს. ხელმწიფეს ეს დიდათ იამა. ვახშამიც გაუკეთა და კიდეც დაუპატიჟა ამ იმედით, რომ უთუოდ ჩემი ქალი ქმარს შაირთავს, ჩემი სახელმწიფო უმემკვიდრეოთ არ დარჩებაო. დაღამდა და მოვიდა დრო. შეიყარნენ ოცდა თვრამეტი ქალი მორთული. ხელმწიფის ქალმა სთხოვა ქალებს დასხდომა, რათა უჩვენოს კარგი რამ სანახავი, დასხდნენ ყველანი თავთავის ალაგას, მაშინ ქალმა შანდალი ამოიღო სკივრიდან და რომ აანთო, ორმოცი კაცი გამოვიდა ქალების მაგივრათ და დაითითოვეს ეს ქალები, მანამ სანთელი დაიწვებოდა. რა სანთელი დაიწო — კაცებიც გაქრენ. და კიდეც გათენდა. ხელმწიფე დარდობდა, რატომ ქალმა ვახშამი არ მოითხოვაო. ქალებმა დიდი მადლობა შესწირეს ხელმწიფის ქალს ამისთანა შექცევისა და პატივისცემისათვის, მერე ავიდნენ პატრონებ-

თან საჩივრებულად და გამოაცხადეს ყველამ ხელმწიფის ქალისაგან რაც დაემართათ. მაშინ პატრონები მივიდნენ ხელმწიფესთან. შეიტყო ხელმწიფემ ეს ამბავი და თავისი ქალის მოყვანა ბძანა. უთხრა: თურმე იმისთვის გქონდა აღთქმული ქმრის არ შერთვა, რომ ამისთანა რამეს ჩადიოდიო და ამდენ პატიოსან ქალს რა შეამთვნიეო. ქალმა იმ თავის სასწაულის ამბავი უთხრა, იქ ქალები გამოვიდნენ და ახლა ქალები მადგირათ კაცები გამოჩნდნენ და მეც იმე მიყვესო. მაშინ ხელმწიფემ შანდალი მოითხოვა, მიართვეს. თავის ოთახში აანთო, დადგეს თუ არა შანდალი, გამოვიდა ორმოცი კომბლიანი კაცი და დაუშინეს ხელმწიფესა და იმათ, ვინც კარებზე მიდგა მისაშველებლად. სცემდნენ უზოგავად ხელმწიფე იძახდა, ვინც ამ განსაცდელს გადამარჩენსო სახელმწიფოსაც მას მივეცემ და ქალსაცაო. ხელმწიფის შვილმა თქვა, მე ვუშველი, თუ მართალს ამბობსო. შეფიცეს ვეზირებმა. მივიდა ყმაწვილი, ხელჯოხონები ცალკე მიდგნენ. აიღო შანდალი, გააქრო და ჯიბეში ჩაიღო. კომბლიანებიც გაქრნენ. შავიდნენ და წახეს ხელმწიფე მძიმედ ნაცემი, უწამლეს აქიმებმა და მოარჩინეს.

ხელმწიფის შვილს შეაძლიეს ქალიც და სახელმწიფოც. ქალი დანიშნა და გამოუცხადა იმათ, რომ ის მიდის დასავლეთის სახელმწიფოში და როდესაც მობრუნდება, მაშინ შეერთამს ქალსა და მიიღებს სახელმწიფოსაც. ამ პირობით წავიდა და მივიდა დასავლეთის ქვეყანაში. შევიდა ქალაქში და იქირავა ერთი სახლი. მერე დაუწყო ძებნა ოქრომჭედელს. ნახა ერთ ადგილას ღიდი და მშვენიერი სასახლეა, წინ მიდგმულია ღუქანი, სადაც ერთი ოქრომჭედელი მუშაობს. მივიდა ხელმწიფის შვილი, სალამი მისცა და დაჯდა იმასთან. ასე ყოველ დღე მივიდოდა, დაჯდებოდა და ელაპარაკებოდა. ერთ დღეს უთხრა, მე იმისთანა ბეჭედი მინდა გავაკეთო, ფასის დადება არავის შეეძლოსო. ოქრომჭედელმა უთხრა: თუ შეაძლება გაქვს, ასეთ რამეს გავაკეთებ, სახელმწიფოთ ღირდესო. მოუტანა ძვირფასი თვლები და ოქრო. მართლაც, გააკეთა იმისთანა ბეჭედი, რომ თვალს ვერავინ გაუმართავდა. ერთი კვირა ჰქონდა, მერე მივიდა და ამ ოქრომჭედელს აჩუქა. გეყოლება ვინმე და ჩემს სახსოვრათ მიართვიო. ოქრომჭედელმა სიხარულით გამოართვა და თავის ცოლს მიუტანა. ახალი მეგობარი კარგი ყმაწვილი კაცი ვიშოვნე, ეს გამაკეთებინა, ერთი კვირა ჰქონდა და მერე მე აჩუქა, გეყოლება ვინმე და ჩემს სახსოვრად მიართვიო. ქალმა იგრძნო,

იქნება ჩემი მძებნელი იყოს ვინმეო, თორემ ამისთანა ძვირფას რამეს ვინ გასცემსო. მეორეთ მივიდა ეს ყმაწვილი და სთხოვა, ქამარი გამიკეთეო ძვირფასი. მოუტანა მრავალი თვალ-მარგალიტი და გააკეთებინა ისეთი, რომ შთელ სახელმწიფოთა ღირდა. ერთ კვირას უკან ისიც ოქრომჭედელს აჩუქა, გეყოლება ვინმეო და ჩემს სახსოვრათ მიართვიო. მაშინ მთლად დაამტკიცა ქალმა, უთუოდ ჩემი მძებნელია ვინმე და ამ წყეულის ხელიდან დამიხსნისო. უთხრა ცოლმა ქმარს: ამისთანა მეგობარს რომ ამისთანა ნივთებს ართმევო, იქნებ კარგს სახლშიაც არ იდგესო. ერთი სახლი დაუცალე და დააყენეო.

მეორეს დღეს მოვიდა ხელმწიფის შვილი და ოქრომჭედელმა სთხოვა, თუ გნებავს სახლები ბევრი მაქ და აქ, ჩემთან დადგეო. დაუმაღლა ხელმწიფის შვილმა, გადმოვიდა და ერთს ოთახში დადგა. მერე მოიწვია მუშები და უთხრა, ამ ოთახიდან ორმო უნდა გამითხაროთო, და ამის უკანააქნელ სახლში ამიყვანოთო. უთხრეს, შეგვიძლიანო. დაიწყეს და ერთს თვეზედ გაათავეს. ჩავიდა ხელმწიფის შვილი და ავიდა ქალთან. გამოუცხადა თავის ხელმწიფის შვილობა და იმისი გულსთვის წამოსვლა. დიდათ იამა ქალს. დააწყეს აზრი, ერთი კაბა მისცა თავისი ჯვრის წერისა. ეს ჩემს ქმარს აჩვენე, ჰყიდიან-თქო. იცნობს რომ ჩემია, გეტყვის დამაცალეო. მინამდის იმ ცხრა კარს გააღებ და შემოვა, შენ აქავ მომაწოდე. რაკი აქ ნახავს, გეტყვის იყიდეო. მერე მე გამოვალ და ეგების ასე შოვატყუოთ, დამიხსნა მისგანო. მართლაც, ჯერ კაბა ნახა, იცნო, თავის ცოლისა იყო. წამოვიდა სანახავათ, ამას ვინ მისცაო. სანამ კარებს გააღებდა, ხელმწიფის შვილმა ის კაბა მოაწოდა. მოვიდა, ნახა თავის ცოლის კაბა ისევ იქ არის. გამოვიდა. უთხრა: იყიდე, კარგიო. ახლა თითონ ქალი გამოვიდა სხვარვით მორთული და უთხრა: წადი, უთხარ, ქალი მინდა ვითხოვო და თუ მოგეწონება, შევითრამ-თქო. წამოვიდა, ნახა, თავის ცოლი არის. უთხრა ვაჟს: მე ახლა წავალ, შენს რძალსაცა ვკითხავ, გამოვალ და გეტყვიო. მინამ ეს კაცი შევიდა, გაბრუნდა ქალი და იქავ დაჯდა. მივიდა, ნახა ცოლი იქავ ჰყავს. გამოვიდა და უთხრა: კარგი, შეირთეო.

წავიდა ხელმწიფის შვილი დურგლებთან, გააკეთებინა ხის ადამიანი, შაუტანა ქალსა. ქალმა მორთო ქალური ტანისამოხით და მესამე სართულზე ფანჯარაში დააყენეს. მეორე დღეს ხელმწიფის შვილი დაქორწილდა. ცხენები მზათა ჰყვანდათ. ხელმწიფის შვილ-


მა უთხრა ოქრომჭედელს, ცოლი უნდა წავიყვანო და გამაცილო. შახხდნენ ცხენებზე და წავიდნენ: მიიხედა ოქრომჭედელმა, დაინახა ცოლი ფანჯრიდამ უყურებს. სამი დღე იარეს, მერე ხელმწიფის შვილმა უთხრა: დაბრუნდი, შენი ცოლი მარტოკა იქნებაო. დაწერა წიგნი ხელმწიფესთან. ოქრომჭედელმა თავის ცოლი მამათხუა და სამის დღის სავალს გამომაცილაო. გთხოვთ, თუ ძალიან შაწუნდეს, თქვენ ანუგეშოთო. დაბრუნდა ოქრომჭედელი, მოართო წიგნი ხელმწიფეს, წაიკითხა და ბევრი იცინა ხელმწიფემ. ოქრომჭედელმა მოახსენა: რას იცინითო? არაფერსაო. შენი ცოლი მივითხოვებიაო და სამს დღესაც თან გაჰყოლიხარ, იმას ვიცინიო. რას მიბრძანებთ, ჩემს ცოლს რათ გავათხოვებდიო. თავი დაუტყრა და შინ წავიდა. შეიხედა მალა, იმის ცოლი მორთული ფანჯარაში დგას და იყურება. შევიდა სახლში. მივიდა ქალთან და ელაპარაკება, ხმას არაუინ სცემს. მოჰკიდა კაბაზედ ხელი, მოსწია, გადმოდი, რას უდგებხარო. ხე იყო, რას ხმას გასცემდა! და გადმოიქცა. ნახა, ხე არის მორთული. მამინ კი დააჯერა გული, რომ ცოლი გაათხოვა. წაიშინა თავში, მაგრამ რალას უშველიდა. ექვსი დღის სავალი გაევილო ხელმწიფის შვილს. მინამ ეს მოეწეოდა, დაუგვიანდებოდა და ისე დარჩა. ხელმწიფის შვილი წავიდა. ქალიც წაიყვანა და მივიდა იმ სახელმწიფოში, სადაც სხვა ქალი ჰყვანდა ნაშოვნი. ის ქალიც წაიყვანა დიდის მზითევით. მერე მივიდა თავის სახელმწიფოში. ხელმწიფეს მახარობელი მოუვიდა, შენი შვილი, აქიმმა რომ წაიყვანა, დიდის დიდებით მოდისო. მანაც დიდის ხელმწიფურის წესით მიეგება. დიდებით შამოიყვანეს ქალაქში. ხელმწიფეს მეტად გაუხარდა და მრავალი წყალობა გასცა გლახათა ზედა. მეორეთ ქორწილი გადაიხადა. ის ქალიც უფროს ძმას მიჰგვარა და ისიც დაქორწილდა. იყო ყოველ დღე ლხინი და შექცევა. მოკვდა ხელმწიფე და მისი უფროსი შვილი. ხელმწიფეთ ახლა უმცროსი დადგა. ცხოვრობენ დღესაც იმ დიდებითა.

პირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

ქათო იქ დაეჭდე, ფქვილი აქ მოვიტანე.

ელასა, მელასა, ჰიქა შევიდა ყელასა,

მთქმელსა და გამგონებელსა ლხინი გეკუთვნით ყველასა.



1. თხა და მგელი

თხა და მგელი გაამხანაგდნენ. მივიდნენ წყალზედ წყლის დასალევად. ქვეიდან თხა სვამს და ზევიდან მგელი. მგელმა დაუძახა: მაგ წყალს რათ მიმღვრეო? თხამ უპასუხა: ქვევიდან მე ვარო და ზევიდან შენაო, — საიდან გიმღვრეო? აქამდენაც მიკვირს, რომ დამაცალეო, — ჩემი ცოდოც შენაო და შექამა მგელმა.

2. დათვი, მელა და მგელი

დათვი, მელა და მგელი დაძმობილდნენ. იპოვეს ერთი მკვდარი ძროხა. მელამ სთქვა: სამთ არა გაგვიხდება რაო; მოდი და ვინც ძველი სიტყვა სთქვას, ეს ძროხა იმას დარჩესო. პირველი კითხვა იყო მგლისა და მგელმა სთქვა: მე მაშინდელი ვარო, პირველად ცა და ქვეყანა რომ დაარსდაო. ამოიგმინა მელამ და ხთქვა: ჩემი უფროსი შვილი მაშინ მომიკვდაო. ახლა დათვმა სთქვა: მე ორის წლისა ვარო, მესამე კი ნულარ მომივიდეს, თუ ან ერთს დაგანებოთ ან მეორესაო, და მართლაც ორივე ცარიელზედ გაუშო.

ნათქვამია: ძალი მოვიდაო და სამართალი ზანზე ავიდაო. შევარდენის ახლო ქედანი ვერ იბოგინებსო.

ღათვი ღა მელია ღამმობილღენ, ღაიწყეს ერთად ცხოვრება. მელიამ უთხრა ღათვს: მოღი, — იცი, რა ვქნათ? — ზაფხულში რაც ვიშოვოთ, ხორცი შევეჭამოთ, ქონი ერთ ქვევრში მოვაგროვოთ ზამთრისთვისო. კარგიო, უთხრა ღათვმა. მართლაც, ასე მოიქცნენ: იშოვეს ერთი ქვევრი: ხორცი რაც იშოვეს, ჭამეს ღა ქონი ქვევრში შეინახნეს. მთელი ზაფხული აგროვეს, აგროვეს ღა გაამსეს ქვევრი. ღაზამთრღა კიღეც. ღახურეს ქვევრს თავი ღა უთხრეს ერთიერთმანეთს: ეს ასე შევინახოთ ღა გაჭირვების ღღეს გამოგვადგებაო.

ერთ საღამოს მელია ღაღიქრებული იჭღა. უცებ წამოხტა ფეხზე, გადღა კარში ღა გასძახა: რას იძახი. რა...სა!.. — მელია, ვინ გიძახისო? — ჰკითხა ღათვმა. ერთი კაცი გამომღღარა ეგერ ღა მიძახის, შვილი მომინათლეო, ღა რა ვქნა, წავიღე თუ არაო? — ღღეკითხა მელია. — წაღი, კაცო, წაღიო, — ღათვმა უთხრა, — ღა ცოტა რამე მეც მამიტანეო. კარგიო, — უთხრა მელიამ, — ღა წავიღა. მივიღა თავის ქვევრთან, მოხაღა თავი, ამოფხაჭნა ქონი, გამოძღა ღამაზათ ღა მოვიღა ღათვთან. ოჰ, მოხვეღ, მელია? — ჰკითხა ღათვმა, — რა ქენი. არაფერი მომიტანეო? — რას მოგიტანღი, ძმავო, — მელიამ უთხრა, ერთი კვერი პური მომიტანნეს ღა ერთი კულა ღვინო. ავაკურკულე. ღავაკურკულე ღა მეც არ მეყო, თვარა შენ რაღას მოგიტანღიო. — ბოვშს რა ღაარქვესო? — ჰკითხა ღათვმა, ღა მელიამ უთხრა: თავმოფხოჭიღიო.

გამოღღა მელია ახღა მევორე ღამეს ღა გასძახა კიღევ: რას იძახი, რა... სა!.. — ვინ გიძახისო, ჰკითხა ღათვმა. მელიამ უთხრა: ვინ მიძახის, კაცო, ღა ჩემი ნათღიღამა მიძახის, რომავო კაი ხელი გქონიავო ღა ახღა ჩემი მეზობელი გეხვეწება, შვილი მომინათლეო. — რა ვქნა, წევიღე თუ არაო? ღათვმა უთხრა: — წაღი, წაღი, კაცო, ღა ახღა მაინც მომიტანე რამეყო. — კარგიო, უთხრა მელიამ, ღა გასწია ქვევრისაკენ. მივიღა, მოხაღა ქვევრს თავი, ჭამა, ჭამა, ღაიყვანა შუამღის, გამეიბერა კარგად ღა მოვიღა ღათვთან. ღაუღმა ჰკითხა: — რა ქენი, მოხვეღი, მელია, — არაფერი მომიტანეო? — ეჰ, რას მოგიტანღი, ძმავო, — უთხრა მელიამ, — ერთი ნაჭერი ყვეღი მომიტანნეს ღა ერთი კულა ღვინო, — ავაკურკულე. ღავაკურკულე, ყვეღი ჩავატანე, — მეც არ მეყო, შენ რაღას მოგიტანღიო. — რა გაეწყობა, ძმავო, — ღათვმა უთხრა, — ბეღი არ

მკონებიაო; ბოვშეს რა დაარქვესო? მელიამ უპასუხა: — შუა და-
არქვესო.

მესამე ღამეს კიდევ წამოხტა მელია და თან გააფურთხა: ფუი,
დაგწყევლოთ ღმერთმა, რომ აღარ მამასვენეთო! გასძახა: რას იძა-
ხნი, კაცო, რა...სა!.. — ვინ არიო, დათვმა ჰკითხა. — ვინ არი და ჩემი
ნათლიმამა მეძახისო, — უთხრა მელიამ, — შენი ნათლული გამიხნდა
ავათ და მოდი, ნახევო. — წადიო, — დათვმა უთხრა, — და ჩემ მა-
გიერათ უთხარი, გამამიგზავნე რამე-თქო. წავიდა მელია, მივიდა
ქვევრთან, ამოჭამა, რაც იყო, გამოძღა კარგად, ქვევრი ნაცრით გა-
ავსო, დაახურა თავი და მოვიდა დათვთან. — რა ქენი, მელია, რო-
გორ არის შენი ნათლულიო, — ჰკითხა დათვმა, — არაფერი მამი-
ტანეო? — ეჰ, შენც დაგიჯინიაო, — მელიამ უთხრა, — რას მოგიტან-
დი, კაცო, ნახევარი წიწილა მომიტანეს, ერთი კულა ღვინო, —
გავკრიხე წიწილი, ავაკურკულე ღვინო, ავსწიე, ვნახე, კულა ცარი-
ელი იყო, დავაგდე და წამოვედიო.

— კარგი, ძმაო, წავიდეთ, ჩვენი ქვევრი ვნახოთო, — უთხრა
დათვმა, — თვარა შენგან და შენი ნათლიმამისაგან ხნირი არც ყო-
ფილა და არც იქნებაო. გასწიეს ვორივემ, მივიდნენ ქვევრთან. წად-
და მელია, მოხადა ქვევრს თავი და შესძახა: — უჰ, მეიცა, მეიცა,
ქონს ჰკე მოუკიდნიაო. — რა უნდა ეშველოს ახლა მაგასო? — ჰკი-
თხა დათვმა. — ამითი არა უშავსო, — მელიამ უთხრა, — მოდი
ახლოს, დააჰყიტე ქვევრს თვალეზი, მე სულს შევუბერამ და გა-
დაყური ჰკესაო. დააჰყიტა დათვმა თვალეზი, შეუბერა მელიამ სუ-
ლი და მიაყარა ნაცარი თვალეზში. დეემსო დათვს თვალეზი და
დაიწყო თვალდამსილმა აქეთ-იქით ჩერჩეტი.

მერე მელიამ უთხრა: რაც მოგვივიდა, — მოგვივიდა, — ახლა
მეტი არაფერი გიეწყობა, მე ჩავყრი კვანში სიმინდის კაკალს, გა-
გიძღვები წინ, გავარინინებ კვანს და შენ მის რიხინს მოჰყევითო.
დაყაბულდა დათვი. ჩაყარა მელიამ კვანში სიმინდის კაკალი, მიდის
მელია, არიხინებს კვანს და მისდევს დათვი. ატარა, ატარა მელიამ
და აიყვანა ერთ დიდ კლდის თავზე, გაჩერდა და უთხრა
დათვს: — იცი, რას გეტყვი, — ახლა ძალიან კაი გზა არის, ვაკე
მინდორია, გავიქცევი მე და შენც გამოიქეციო. კარგიო, უთხრა
დათვმა. გადაადგო მელიამ კვანხი კლდეზე და უთხრა დათვს: აბა,
ჩქარა მომყევითო. გაჰყვა დათვი კვანხის რიხინს და გადავარდა კლდე-
ზე. მელია უკანიდან მისძახის: არიქა, დათუნია, არ გაუშვა, სულ

მაგ კვანის ბრალია ჩვენი ქვეყრის დაცლა, ნაცრით გავსება და შენი თვალეზის დამსებაო.

მ. კურდღელი, მელია, დათვი და მგელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კურდღელი. ერთხელ იგი მუხის ძირში იყო გაჩერებული. ამ დროს ზემოდან რკო ჩამოვარდა და თავზე დაეცა. კურდღელმა იფიქრა, ქვეყანა იქცევაო, და გამოიქცა, — თავს ვუშველიო. რომ მირბოდა, გზაზედ მელა შემოეყარა და ჰკითხა: რად გარბიხარო? კურდღელმა მიუგო: მივრბივარ შორს, თავს უნდა ვუშველო, ქვეყანა იქცევაო. მეც შენთან წამოვალ, უთხრა მელამ, და გაჰყვა. გზაში მგელი შემოეყარათ და იმანაც ჰკითხა: სად მიდიხართო? ამათ უთხრეს: ქვეყანა იქცევა, გავრბივართ, თავს უნდა ვუშველოთო. მეც თქვენთან წამოვალო, უთხრა მგელმა და გაჰყვა. როდესაც გაიარეს რამოდენიმე გზა, შემოეყარათ დათვი. იმანაც ისე ჰკითხა: რად მიდიხართო, და ამათ უთხრეს: ქვეყანა იქცევა და გავრბივართ თავის საშველადო. მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო, უთხრა დათვმა, და გაჰყვა. დიდხანს სირბილის შემდეგ გავიდნენ ერთ დიდ გაშლილ მინდორზე და დაბინავდნენ. მოშივდათ. მგელმა თქვა: მე ბატონი, დათვი ბატონი, კურდღელი ბატონი, — მელა რაღაო? მოჰკიდეს ხელი მგელმა და დათვმა და შექამეს. შექამის შემდეგ ძვალი ხორად დადგეს და ქონი ჭურჩი ჩაყარეს. კიდევ მოშივდათ. მაშინ მგელმა თქვა: მე ბატონი, კურდღელი ბატონი, დათვი რაღაო? მოჰკიდა ხელი და შექამა. რომ შექამა, ძვალი თვისად დადგა და ქონი ჭურში ჩაყარა. კიდევ მოშივდა მგელს და უთხრა კურდღელს: რა ვქნა, ძალიან შემეყვარდი, არ მინდა შენი შექმა, — წადი, ჩახედე ჭურში, რამდენია ქონიო. კურდღელი წავიდა, ქონს ნაცარი მოაყარა, დაბრუნდა მგელთან და უთხრა: ქონს ჰკე მოჰკიდებიო, წავიდა მგელი სანახავად, და როდესაც ჭურში ჩაიხედა, კურდღელს ხელში ნაცარი ჰქონდა, შეაყარა თვალეზში და დაუფსო. მგელმა უთხრა: ეს რაა, რომ თვალეზი დამიფსეო? კურდღელმა მოუგო: მე კი არა, იმან დაგიფსო, ჭურში რომ ჩაიხედეო. ახლა როგორღა ვიარო, რომ ვერაფერს ვხედავო? — უთხრა მგელმა. მაშინ კურდღელმა უთხრა: მე ხინჯკებს ჩავეყრი კულაში, დავაჩხარუნებ

და იმის ხმაზე წამომყევიო. მართლა, ჩაყარა ხვინჭკები კულაში, წაიყვანა მგელი ერთ დიდ უშველებელ კლდეზე, იქ კულა გადააგდო; მის ჩხარუნს მგელი მიჰყვა და კლდეზე გადაიჩენა.

4. მელია და კაპაბი

ერთხელ მელამ კაკაბი დაიჭირა და ფეხებ შუა რო ჩაიჭირა, კაკაბმა შესთხოვა მელას: ე ხომ შენი ლუკმა ვარო და ერთი ღმერთი ახსენე და მერე შემეჭამეო. მელამ რო ტოტები ალაპყრო, — კაკაბი გაფრინდა. მაშინ მელამ ტირილით წარმოსთქვა:

კაკბისა მოსატყუარსა
ვაი-ვაგლახი მელსაო,
ჰქონდა მშიერი მუცელი,
რაღა დიდება ღმერთსაო....

შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

ჯადონხური ზღაპრები

1. ილანკულა

მთქმელი ანა ორჯონიკიძე, სოფ. ტეზერი. ჩამწერი ნინო ხიდირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4171. უთარილო (ქვემოთ, სადაც შენიშვნაში თარიღი არაა მითითებული, ეს იმას ნიშნავს, რომ უმიკაშვილის არქივში სათანადო ცნობა არ მოიპოვება). ნ. ხიდირბეგაშვილის ჩანაწერები პ. უმიკაშვილის კოლექციაში წარმოდგენილია მოზრდილი რვეულის ხაზით. თარიღი არ უზის. თვითონ ნ. ხიდირბეგაშვილი ცხოვრობდა ს. ტეზერში (ხაშურის მახლობლად), მისი მთქმელგზი ადგილობრივი გლეხები იყვნენ.

2. ხმელი ქურანი

მთქმ. ივანე ორჯონიკიძე, სოფ. ტეზერი. ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4170.

3. მონადირის შვილი

მთქმ. ივანე ორჯონიკიძე, ს. ტეზერი. ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4169.

4. დევის ხაყვარელი და ამისი შვილი

მთქმ. ივანე ორჯონიკიძე, სოფ. ტეზერი. ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4167.

5. ხელმწიფის შვილი და ქოხა მეჩონგურე

ჩამწერი ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4168.

6. ხელმწიფის ცოლი და მოღალატე ძალუა

ჩამწერი ნინო ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. 4166. არა იშვიათად პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი მის მიერ, გამოსაცემად შერჩეულ ზღაპრულ

სიუჟეტებს მოკლე სქემის სახით გადმოსცემს. ეს წესი ბოლომდე დატული არაა. სიუჟეტური სქემები თან ახლავს ფილიპეს ხელით გადაწერილ მხოლოდ ჯადოსნურ ზღაპრებს, და ისიც არა ყველას. სქემების შედგენა მოწმობს თუ რა დიდი ყურადღებით სწავლობდა პ. უმიკაშვილის მემკვიდრეობას ფ. გოგიჩაიშვილი და როგორი გეგმით ვარაუდობდა „ხალხური სიტყვიერების“ პროზაული ნაწილის გამოცემას. ჩანს, მუშაობის პროცესში ფილიპემ ადრინდელი გეგმა შეცვალა და სიუჟეტური სქემების შედგენაზე ხელი აიღო. ჩვენ აღარ ვცადეთ პირვანდელი გეგმის გაგრძელება. ტექნიკური მოსაზრებით, სანიმუშოდ, აქ ვაქვეყნებთ სიუჟეტური სქემების მხოლოდ ერთ ნაწილს. სქემების ტექსტი ავტორის მიერ საბოლოოდ დამუშავებული არ ყოფილა, დაწერილია ფანქრით და ცალკე ფურცლად ახლავს ძირითად ტექსტს. „ხელმწიფის ცოლისა და მოღალატე ძალუას“ გოგიჩაიშვილისეული „სიუჟეტური სქემა“ მცირეოდენი ჩასწორების შემდეგ ასეთ სახეს იღებს: „ღარიბის შვილს, ქალს, ბედის მწერლებმა უწინასწარმეტყველეს ზელ-პირის ნაბანი — ოქრო, ხემწიფემ შეირთოს, უკვდავების კრიალოსანმა უშველოს. ხემწიფემ შეირთო, გზაში ძალუამ თვალები დათხარა, ტყეში დააგდო და ხემწიფეს თავისი ქალი შეატყუა. თვალდათხარილი ტიროდა. ბერიკაცმა შინ წაიყვანა. მოკვდა, კუბოთი მთაზე დასდო. მკვდარმა ბავშვი შობა. ხელმწიფემ ნადირობისას ნახა. ბავშვი წაიყვანა. ბავშვმა კრიალოსანი რომ ხელში იგდო, დედასთან წაყვანა მოითხოვა, მამამ (ხელმწიფემ) სურვილი აუსრულა — დედას მიუსვა. ქალი გაცოცხლდა. ხელმწიფემ ლალატი შეიტყო. ქმარმა ნამდვილი ცოლი წაიყვანა, ძალუა და მისი ქალი კი ცხენის კულზე გამოაბმევინა და დააგლეჯინა“.

7. ძმა და ორკბილა და

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. 4165.

8. ზღვის ქალი

მთქმელი გიგა (გიგლა) მანჩხაშვილი, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. უმიკ. 4164.

9. ხელმწიფისშვილი და მეწისქვილის შვილი

მთქ. გ. მანჩხაშვილი, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. უმიკ. 4163.

10. ორი ძმა

მთქმ. გ. მანჩხაშვილი, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. უმიკ. 4152.

11. ცხრა ძმა და ბაყაყი

მთქმ. ელისაბედ მანჩხაშვილი, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი, ფ. არქ. უმიკ. 4140, შდრ. „ხელმწიფის შვილი და ლერწამი“, აქვე № 17.

12. უხენა და ხაირამა

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4146.

13. ათი ძმა და ერთი და

მთქმელი ანა ორჯონიკიძე, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4141.

14. ნანათ-მონადირე

მთქმ. ლევან ორჯონიკიძე, ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4150.

15. ხელმწიფის შვილი და მზეთუნახავი

მთქ. პეტრე წველიძე. ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4151.

16. აღმახხანი

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4148.

16ა. ვეზირის ქალი

ჩამწერი მოსწავლე ბეზირგანიშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4494.

16ბ. ზღაპარი ვაჟად ქცეულისა

ჩამწ. მოსწავლე ბეზირგანიშვილი, ფ. არქ. უმიკ. 4494.

17. ხელმწიფის შვილი და ლერწამი

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. 4330.

17ა. ხელმწიფის შვილი და ბაყაყი

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძისა. დუშეთი. 1878 წ. გარდაიცვალა 98 წლის ასაკში 1896 წელს. ფ. არქ. 4448.

პ. უმიკაშვილის კოლექციაში სხვადასხვა წარმომავლობის ჩანაწერებია თავმოყრილი. დიდი ნაწილი შეკრებილია გარეშე პირთა მიერ, უმთავრესად პეტრეს მოწაფეებისგან გიმნაზიაში ყოფნის პერიოდში. ერთი ჯგუფის ხელნაწერები ქართული ენის სავარჯიშოების სახითაა წარმოდგენილი. ამის გამო მათ, თავდაპირველი სახით დაბეჭდვა შეუძლებელია და სამართლიანად, ფ. გოგიჩაიშვილი ამ გზას არც დასდგომია. ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ დასაბეჭდად მომზადებულ ძირითად ტექსტებს ზოგ შემთხვევაში შენიშვნებისათვის თან ახლავს არა მარტო „სიუჟეტური სქემები“, არამედ „ვარიანტებიც“. ერთი და იმავე სიუჟეტის რამდენადმე განსხვავებული ჩანაწერის არსებობის დროს, ფ. გოგიჩაიშვილი ძირითად ტექსტად სიუჟეტურად და ენობრივად სრულ ჩანაწერს არჩევს, დანარჩენს კი „ვარიანტს“ უწოდებს და მოკლე შინაარსის მრხედვით შემოაქვს შენიშვნებში. მაგალითად, „ხელმწიფის შვილისა და ბაყაყის“

ზღაპარს თან ახლავს „ვარიანტების აღწერა“. აი ისიც: „ვარიანტები: 1) მოწ. ნიკ. დაკვივეიჩის ნაწ., ტფილისი, 1871 წ. უფრო მოკლეა, ზღაპრის რამდენიმე მომენტს შეიცავს. ამისი განმასხვავებელი ელემენტები: ა) ხელმწიფე სხვადასხვა საქმის შესრულებას ავალებს არა რძლებს, არამედ თავის ვაჟიშვილებს, ბ) ხალიჩა იმით გაკეთდა. რომ ბაყაყის ქმარმა ცოლის მიერ მოცემული ოთხი შარცვალი დაყარა პიწაზე შორი-შორს, გ) ხელმწიფემ შვილებს შეუკვეთა, სხვათა შორის, ერთ ღამეს აბანოს გაკეთება, იმის შიგნით უნდა ყოფილიყო ბალი და ბალში მოქიქიკე ჩიტები, დ) ხელმწიფემ დაჰპატიჟა შვილები ცოლებითურთ, — „ვისიც ცოლი უფრო ღამაზი იქნება, ის ჩემი საყვარელი შვილი იქნება“.

18. გერი და დედინაცვალი

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. 4303. შეადარე „გერისა და დედინაცვლისა“, აქვე, № 18ა.

18ა. გერისა და დედინაცვლისა

მთქმ. ხანუმა შარვაშიძისა, სოფ. კუმისი. ჩამწ. პეტრე უმიკაშვილი. ფ. არქ. 4142. ჩამწერის შენიშვნა: „გამიგონია სოფ. კუმისის გლეხის ქალის ხანუმასაგან, ქალაქელის შარვაშიძის შეუღლისაგან, 1860 წ. ტფილისში. დავწერე 1882 წელს კათათვის ტფილისში“. არსებობს ვარიანტი: მხა ჩქარეულის ჩაწერილი, ხურთისი (ხევი), 1889 წ. ხელნაწერი დეფექტურია. გერისა და დედინაცვლის ფუნქციას აქ უფროსი და საშუალო დები ასრულებენ.

19. ყმის ცოლი და ბატონი

მთქმ. გ. მანჩხაშვილი. ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ს. ტეზერი. ფ. არქ. უმიკ. 4144.

20. შავჩიტა

ჩამწერი ს. მაყაშვილი. ფ. არქ. უმიკ. 4125.

21. არწივის შვილი

მთქმ. ნინო თავაძე, ჩამწ. გიორგი თავაძე, 1886 წ. ფ. არქ. უმიკ. 4126.

22. თუშის ბიჭი

ჩამწ. გრიგოლ პაპიტაშვილი, გორი, 1874 წ. 5 იანვარი. ფ. არქ. უმიკ. 4127.

23. ღურგალი და მისი ცოლი

მთქმ. მართა საკარული, სოფ. გრემისხევი. ჩამწ. ეფრემ გრიგოლის ძე გოძიაშვილი, 1885 წ. 17 თებერვალი. ფ. არქ. უმიკ. 4134.

24. თავიგლეჩია

მთქმ. სიხო მოძმანაშვილი, სოფ. არანისი, ჩამწ. ეფრ. გოძიაშვილი, 1882 წ. 20 ოქტომბერი. ფ. არქ. უმიკ. 4137. ფ. გოგიჩაიშვილს აქ გამოქვეყნებული ტექსტი დედნიდან გადმოუწერია 1941 წლის 16 იანვარს.

25. დევის ხანახევრო

მთქმ. ელისაბედ მღებრიშვილი, სოფ. ახალგორი. ჩამწ. ეფრემ გოძიაშვილი, 1884 წ. 10 ნოემბერი. ფ. არქ. უმიკ. 4139.

26. ალალა ბედისხვათილი

ჩამწ. ნინო ხიდირბეგაშვილი, სურამი. ფ. არქ. უმიკ. 4142.

27. და-ძმა

ჩამწ. ნ. ხიდირბეგაშვილი, ფ. არქ. უმიკ. 4145, ვარიანტი ჩაწ. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავიდოვის მიერ. სოფ. აბანო, 1888 წ.

28. ღარიბი ბიჭი და ხოვდაგარი

პ. უმიკაშვილის კოლექციიდან. ფ. არქ. უმიკ. 4155. ძირითად ტექსტს თან ახლავს ფ. გოგინაიშვილის მიერ შესრულებული ვარიანტების აღწერა, აი ისიც: ვარიანტები: 1) ივ. ანდრონიკოვის ჩაწ. კახეთში. აქ არაკის სახელწოდებაა: „მდიდარი კაცი და ღარიბი კაცი“. განსხვავებული მომენტები ესაა: იმ ღამეს, როდესაც ღარიბი „წისქვილის ამბარში“ იყო დამალული, მელიამ თქვა, საცა ეწვებო, ჩემი თავითი ერთი ქილა ოქრო დგას, იმას თავი აჩხარუნებს და იმის ხმაზე სიამით დამეძინება ხოლმეო. მგელმა თქვა: ერთი ფარა ცხვარი ვიცი უძაღლოთაო, სუყოველ დღე მივდივარ და თითო ბატკანს ვიტაცებო. იმ ფარაში ერთი ერკემალიაო, იმის გულ-ღვიძლი რომ ავადმყოფ ხემწიფის შვილს აჭამონ, მორჩებაო. დათვმა თქვა: ა იმ ტყეში, ერთი მუხის ძირში, ორი ქილა ვიციო, ერთში თავლია და მეორეში ერბოო; ყოველდღე მივდივარ, ვკვამ და არა აკლდება რაო. ბ) წყაროს გამოყვანის შესახებ დათვს არაფერი უთქვამს. გ) ღარიბმა კაცმა ამ ცხოველების ნალაპარაკევი ისე გამოიყენა, როგორც მოლაპარაკენი ამბობდნენ: ქილა ამოიღო მიწიდან, ის ერბოიანი და თავლიანი ქილებიც წაიღო, მეცხვარე გააფრთხილა ძაღლები გაიჩინეო, მგელი ბატკნებს გაპარავსო, და ერკემალიც იყიდა მისგან; ხემწიფის შვილი მორჩინა იმ ერკემლის გულ-ღვიძლით და დიდი საჩუქრებიც მიიღო და გამდიდრდა. დ) იმ ღამით, როდესაც მდიდარი კაცი იყო წისქვილში დამალული, მელამ თქვა: ვილაცას ის ოქროთი სამსე ქილა ამოუღიაო და იმის დარღით აღარ შეძინაო. მგელმა თქვა: შიმშილით ვკვდებიო. ბატკანი ვეღარ გამიტაცინაო, მეცხვარეს ძაღლები დაუყენებიაო. დათვმა თქვა: ქილები რომ იყო ერბოთი და თავლით, ვილაცას ამოუღია და შიმშილით ვკვდებიო. თქვეს: ჩვენს ლაპარაკს ვინმე ყურს ხომ არ უგდებდაო? მონახეს, გამოათრიეს ის მდიდარი კაცი და გაგლიჯეს“.

29. ხოხბის წყალობა

მთქმ. გურული ბებურიშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. თბილისი, მაისი 1882 წ. ფ. არქ. უმიკ. 4159.

ვარიანტები: 1) კახ. ივ. ანდრონიკოვის ჩანაწ., სათაური: „ქოსა და მდიდარი კაცი“. აქ წინა არაკის ორი მომენტია მოთხრობილი: ა) ქოსამ კურდღლის ბაქიის მიყიდვით მოატყუა მდიდარი კაცი, ბაქიას დააკრა ფული და უბრძანა, ჩემ შვილს

მიუტანე ვარშავაში. ბ) ქოსამ ჯერ ვითომ მოკლა ცოლი და მერე ჩონგურის დაკერით გააცოცხლა და ამ ჩონგურის მიყიდვით მოატყუა მდიდარი კაცი, უკანასკნელმა თავისი ცოლი მოკლა, მაგრამ ჩონგურის დაკერით ვერ გააცოცხლა. გ) არის ერთი დამატებითი მომენტაც: „ქოსამ უთხრა თავის ცოლს, ე მე ვიციო, მდიდარი კაცი თავის ცოლს მოკლავს, ჩემთან მოვა და მე წამეჩხუბებაო. ახლა მე აი რას მოვიგონებო: მე ვითომ მოვეკედი, — კუბოში ჩამაწვინე, ისე დამდე და შენ მგლოვიარეთ დაჭექიო. ორი რკინის შამფური გამიცხელე და მამეციო. ცოლმა გააცხელა რკინის შამფურები და ხელში მისცა. ამ დროს მოვიდა მდიდარი კაცი და ჰკითხა: სად არის ქოსაო? ცოლმა უთხრა, — მოკვდაო. მდიდარმა უთხრა: — იმისი კუბო მაჩვენე, რომ ძაღლებს გადაუგდოვო. ცოლმა უთხრა: აი, აგერ არისო. მივიდა მდიდარი კაცი კუბოსთან და ასწვია, — უნდა გადეგდო, ამ დროს ქვეშიდან ქოსამ შამფური უჩხვლიტა, კაცმა შეჰყვირა: ეს მამაძალი ნკვდარიც არ ისვენებსო!“. 2) გურია, სერგი კალანდაძის მიერ ჩაწერილი. აქ ზღაპარი ასე იწყება: „იყო ერთი ბერიკაცი, ჰყავდა დედაბერი ცოლი, ღარიბები იყვნენ. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, წადი და ერთი კარგი ყანა დაიდევ, ორი დღის სიცოცხლეს სულ სიღარიბეში ნუ გვატარებთო. ბერიკაცმა დაუჭერა, წავიდა ტყეში, კარგი საყანე ადგილი გააფა, დათესა შიგ ღომი და დროზე გამარგლა. როცა ღომი დამთავრდა და ცოტა კიდევ შემწვითა, ბერიკაცი თავის ყანის სანახავად წავიდა. მივიდა, ნახა, რომ სამი თაველის მეტი ღომი არ არის, — ფრინველებს შეუტკამიათ. ის სამი თაველი ღომი ისე დიდი იყო, რომ თითო თაველი თითო წელიწადს ეყოფოდა კაცს. დაღონებულმა ბერიკაცმა მისი ღომის შემქმელის დასაქერად თავლებზედ მახე მოაწყო, დასტოვა და შინ წავიდა. მეორე დღეს დახედა და ნახა, რომ მახეში წერო გაბმულიყო. ბერიკაცს ძალიან გაუხარდა, მაგრამ წერომ უთხრა: გამიწვი და რომ მოკვდები, მე და ჩემი გვარი გიტორებთო. ბერიკაცმა გაუშვა და შინ დაბრუნდა“. შემდეგ ამ ვარიანტში მოთხრობილია მხოლოდ სამი მომენტი: ა) მევალე სომხის მოტყუება კატის მიყიდვით, ბ) ბერიკაცის ნაცვლად მწყემსის გადაგდება კლდეზე და გ) სომხის გადაგდება იმავე კლდეზე“.

ასეთია ვარიანტების აღწერილობა, ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შესრულებული.

80. ხემწიფის შვილი და მისი ცხენი

ჩამწერი ა. ხუციშვილი, ფ. არქ. უმიკ. 4156.

81. მზის სიძე

მთქმელი უშგულელი სვანი (გვარი აღნიშნული არაა). ჩამწერი და სვანურიდან მთარგმნელი ბეს. ნიქარაძე. ფ. არქ. უმიკ. 4174.

82. მზის პირინახანო

პ. უმიკაშვილის კოლექციიდან, ფ. არქ. უმიკ. 4175.

ვარიანტი: სპირ. ქათამაძის ჩან. იმერეთი, ს. ძიროვანი. აქ შემდეგი განმასხვავებელი ელემენტები: 1) ძმა ოთხია და არა სამი, უმცროსი უცოლოა, სხვები — ცოლიანები. 2. ძმებს ნადირობის დროს მკვდარი არ უპოვნიათ. არც მისი ხორცი

უკამიათ. 3. „ქალებს უნდოდათ უნცროსი ძმის სიკვდილი. ერთ დილას ძმებს უნდოდათ სანადიროთ წასვლა, ქალებმა უნცროსს ქალაბანი გაუხმეს. როდესაც მოემზადენ ძმები წასასვლელად, ძმას ჰკითხეს: მოხვალ თუ არაო? უნცროსმა ძმამ მიუგო: „ქალაბნები მაქვს ხმელიო, დავალბობ და მოგვეწვიოთ“. 4. „ქალებმა მოკლეს უნცროსი ძმა, ხორცი გადაყარეს, ძვლები საცეხელის ქვეშ შამოსდევს, ერთი ნეკის ძვალი კალოზე დაეკარგათ“. 5. „უფროსმა ძმამ ორი ღლე ეძია, მესამე ღლეს მიუწია მზის დედას“. ირეში არ შეხვედრია. 6. უმცროსი ძმის სიკვდილი მზემ მოუთხრო არა უფროს ძმას, არამედ თავის ღედას, — უამბო, რომ „ერთ ოჯახში ყოფილა ოთხი ძმა კაცი. იგენი ყოფილარიან მონადირეები. სამი წასულა წინდაწინ, ერთი უკან დარჩენილა. ის ქალებს მოუქლავს, ხორცი გარდუყრიაყე და ძვალი საცეხველს ქვეშ ამოუდევყე. დედამ ტაშტი მოიტანა, მზემ პირი დაიბანა, ის პირისნაბანი შაინახა... ჩაუსხა კვახში“, უფროს ძმას მისცა. თან გააცნო მზის ნაამბობი, ასწავლა — მზის პირისნაბანი ძვლებს გადაასხი და გაცოცხლდებო. ხელსახოცი არ მიუცია. 7. ქალები ცხენების კუდებზე კი არ დაუგლეჯიათ, არამედ დასწვეს:—ძმები გამოვიდნენ გარეთ, ქალები კი დაამწყვედიეს სახლში, წაუქიდეს ტეცხლი და დასწვეს სახლი ქალებიანათ. შემდგომ ძმებმა ცოლები შეირთეს და დაიწყეს კარგათ ცხოვრება“.

33. მზეკაბუკი

ჩამწ. ესტატე პავლიაშვალი, 1869 წ. ფ. არქ. უმიკ. 4176.

33ა. მზეკაბუკის ამბავი

ჩამწ. ალ. ფერაძე, 1870 წ. ფ. არქ. უმიკ. 4177.

34. ცის ქალი

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. ფ. არქ. უმიკ. 4255.

35. სამნი ქალიშვილი

მთქმ. ივანე ჩიჩხაშვილი, სოფ. გლოლა. რაჭა. ჩამწ. ალექსანდრე ივანეს ძე წულუკიძე, 1886 წლის 10 ნოემბერი. ფ. არქ. უმიკ. 4256.

3. უმიკაშვილის არქივში დაცულია ამ ტექსტის გამო რაჭიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელიც იბეჭდება „ხალხური სიტყვიერების“ ბოლო ტომში. ტექსტს თან ახლავს შემდეგი განმარტება ადგილის შესახებ. „გლოლა კავკასიის მთის ძირში ერთი პატარა სოფელია 27 კომლი სახაზინო გლეხებისაგან შესდგება. ოსეთის სამხედრო გზის პირად, მამისონის უღელტეხილის ახლოს. ეს სოფელი სხვა რაჭის სოფლებზე დაშორებულია და არც ერთს სოფელში არც ენა და არც შეხედულება არა აქვს ხალხს ამისი მსგავსი, როგორც გლოლაში“.

36. შავ-დათუაშვილი

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. ფ. არქ. უმიკ. 4257.

36ა. ხემწიფის შვილი და მისი რაზმი

მთქმელი კილაშვილი, სოფ. ილტოზი. ჩამწ. მოსწავლე კ. კორინთელი, 1889 წ. „შავ-დათუაშვილის“ ვარიანტი. ფ. არქ. უმიკ. 4258.

37. ყარაბ-ოღლი და ალექსანდრე

მთქმ. იოსებ გოგებაშვილი, ს. გრემისხევი, ჩამწ. ეფრემ გრიგოლის ძე გომიაშვილი, 1888 წ. 14 თებერვალი. ფ. არქ. უმიკ. 4259. ფ. გოგიჩაიშვილს გადაუწერია 12. I. 1941 წ.

38. ხემწიფის შვილი და ქალთხემწიფე

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. ფ. არქ. უმიკ. 4259 ა.

39. მღვდლის ქალიშვილი

ჩამწერი დავით ვეზირიშვილი, ქართლი, 1870 წ. ფ. არქ. უმიკ. 4178.

40. თავისი მიწა-წყალი მოითხოვს

ჩამწ. კონია სპირიდონის ასული ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. გარდაიცვალა 1886 წელს 98 წლის ასაკში, ფ. არქ. უმიკ. 4260. პირველად ეს ტექსტი გამოქვეყნდა 1963 წ. (იხ. მრავალთავი, I, გვ. 173).

41. ხამი ხიტუვა

მთქმ. კარგარეთელის ქალი, ს. არბო. ჩამწ. დიმიტრი კარგარეთელი. 1875 წ. ფ. არქ. უმიკ. 4264.

42. ოქროსრქიანი მაწერები

ჩამწ. მიხეილ ჩქარეული, სოფ. ხურთისი, 1889 წ. ფ. არქ. უმიკ. 4270.

43. ხემწიფის შვილი და დევთმეფე

ჩამწ. კონია ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. ფ. არქ. უმიკ. 4272. კ. ბაქრაძის ჩანაწერი ნაკლოვანი ყოფილა, ერთი გვერდი ჰკლებია დასაწყისში და იგი ფ. გოგიჩაიშვილს ილია ჭავჭავიძის ჩანაწერი ვარიანტიდან შეუესია. ი. ჭავჭავიძის ჩანაწერი შესრულებულია 1869 წ.

44. ავი ცოლი

ჩამწ. 1889 წ. ორი ვარიანტიდანაა შედგენილი ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. ფ. არქ. უმიკ. 4143.

45. ფრინველების ენის მცოდნე

ჩამწ. ასლამაზაშვილი, სოფ. ფცა (ქართლი), 1885 წ. ფ. არქ. უმიკ. 4134.

46. უშვილ-უძეო მონადირე

ჩამწ. ასლამაზაშვილი, სოფ. ფცა (ქართლი), 1885 წ. ფ. არქ. უშიკ. 4133.

47. ხელმწიფის ქალის ზღაპარი

ჩამწერი გ. იოსელიანი. ფ. არქ. უშიკ. 4126.

48. ფაშა ხელმწიფის ზღაპარი

ჩამწ. მოსწ. ალ. ფერაძე, 1870 წ. ფ. არქ. უშიკ. 4109.

49. ნაცარქექია

ჩამწ. კონია ბაქრაძისა, დუშეთი, 1878 წ. ფ. არქ. უშიკ. 4115.

50. შანტრაქას ზღაპარი

ჩამწ. ზ. ჟანდიერი, 1873 წ. კახეთი, ფ. არქ. უშიკ. 4410.

51. ხელმწიფე და ოქრომტეილის ცოლი

იგივე. ფ. არქ. უშიკ. 4409.

ცხრველთა ზღაპრები

1. თხა და მგელი

ჩამწ. ალექსა გოძიაშვილი, ს. გრემისხევი, 1882 წ. ფ. არქ. უშიკ. 4188.

2. დათვი, მელა და მგელი

იგივე. ფ. არქ. უშიკ. 4189.

3. დათვი და მელია

ჩამწ. სიმონ ბოკორიშვილი, ს. საღმელი, რაკა. 1897 წ., ბათუმი. ფ. არქ. უშიკ. 4254.

3ა. კურდღელი, მელია, დათვი და მგელი

მთქმელი სანდრო კვიციანიშვილი, ფ. არქ. უშიკ. 4256.

4. მელია და კაკაბი

მთქ. სტ. ტატურაშვილი (დელე პავლიაშვილი), ს. ხიზაბავრა. ჩამწ. ილ. აღ-
ხაზიშვილი, 1888 წ. ფ. არქ. უშიკ. 4195.

სიტყვების ახსნა

ალთაფა 273, სპილენძის თავსახურიანი ხელსაბანი კურკელი.

აყარი 217, სხვენი. „მოუგრიხა კისერი, აყარზე შეაგდო, ქალი გაიტაცა“.

ახური 37, ახორი, ცხენის ბაგა. „ახურში ჩამაწვინეთო“. 2. ცხენის დასაბამი თავლა, ბოსელი, 95.

ბეზირგანი 264, დიდვაპარი, სოვდაგარი.

გაკნაქული 88, გამხმარი, მკლე, ხმელხმელი. „ერთი გაკნაქული ცხენი აირჩია“.

გამგუნებული 177, გაწბილებული, გულმოსული.

გამძლივნი 63, გამძლე, ამტანი. „გამძლივნეთ მოიქეცი“.

გახწვივა 145, გასწია.

გაშევა 142, დატოვება, დარჩენა, შიგ მომვლელად დატოვება. „ერთს შინ უშეებდა და ერთი თან მიჰყავანდა სანადიროთა“.

დადე 48, მდადე. პატარძლის მაყარი ქალი.

დაუორუალება 175, აწევა, აზიდვა. „ყმაწვილი დაეჟორჯალა ამ ქვას, მაგრამ ვერც კი შეანძრია“.

დაკილოვება 140, მორევა, დამორჩილება, დაძლევა. „იმისი დამკილოვებელი არაეინ მოსულა“.

დაწერნება 198, დაწერა, დაბედება, ბედის მწერალთა მიერ მომავლის განსაზღვრა. „სამნი ქალიშვილნი დაეწერნეს“.

დოშაკი 75, დოშაკი. ბუმბულის ლეიბი. „დოშაკ-ბუმბულში ხარ დაჩვეული ძილსა თუ ჩალაჩულაშიო“.

დუბე 61, დაბალი ადგილი (საბა). ქალა, ვაკე-დაბლობი. „იმ მთას მოჰკიდებს ხელსა იმ დუბეში გადაიტანს“.

ზარაბი 264, ზარაფი. ფულის დამხურდავებელი.

ინძის ყვავილი 192, ჯადოსნური თვისების ყვავილი, იშვიათი რამ.

ლიბანის ხე 68, წიწვოვანი ხე, ნაძვი, კედრის სახეობისა.

მაგოტეკლა 76, მაგოდენა, იმოდენა, დიდი.

მანჭვი 119, გუთნის ხელსაკიდი.

მაყალი 267, თავლია დუმელი ნახშირით გასაჩაღებელი.

მახარებელი 124, მახარობელი. ამბის პირველად მომტანი, შემტყობინებელი.

მეჭილავე 104, ცხენის დამჭერი, აღვირის დამკავებელი.

მორუჯა 89, მორუჯვა, მოწვა, შეტრუსვა.

რკინის კალო 77, გმირების საბძროლო მოედანი, საფალავნო ადგილი.
ხალოფი 154, ფართო კალთებიანი ქალის მოსასხამი, მოსახური. „მე ისეთი
სალოფი მინდა, წაეიდუ სადმე, თავისით წამომესხას“.

ხუზანი 105, ტახტის ლეიბზე გადასაფარებელი ფერადი ქსოვილი. „გაუშა-
ლეს სუზანი“.

ხხვიმის 180, სხვა დროს, სხუმის.

ტუქსუნება 130, ტუქსუა, გაწყრომა. „უტუქსუნება“.

უზანი 257. ბუჩქოვანი გიშის მცენარე, ხმარობენ სახრის, გოდრისა და ჩიბუ-
ხის გასაყეთებლად. აქეს ლამაზი ყვავილები.

უღური 87, იხტიბარი. უხერხული მდგომარეობის არ დამჩნევა.

ფართონა 130, ზღვის გუგუნე, ღელვა.

ქამანდი 70, კიდაობის ხერხი. „დაიწყეს კიდაობა... ბოლოს ერთის ქამანდით
ბაირამამ აყობა“.

ყაბი 102, კურკლის თავსახური. „ყაბი დახურეთ და მამას შიართვითო“.

ყაშხ 104, ყავს.

ყერო 176, დაკიდებული ხიდის საყრდენი ძელები. „ხიდის ორივე ყეროზე თა-
ვისი სურათი დაკიდა“.

შიშლამ 270, შეკრომა, დაფრთხობა. „შიშლამ შეხედეს დეეებმა, ძალიან
შეშინდნენ“.

წენი 199, წელი, სხეულის ნაწილი.

წინაწვევა 56, საშობიაროდ შშობლების ოჯახში ქალის დაბრუნება. „წინა-
წვევად მოუყვანია და ლოგინად დაწოლილა“.

წლოკი 188, წლოკვი, ქვეწარმავალი. გველის წიწილი.

ხარდანი 177, კიგო, ვაზის საყრდენი, ვაზის გასაყრავი სარი.

ხარო 237, ორმო, საბნელო. სასაქელის ადგილი, სატუსალო.

ხვირი 244, დერი, ნარჩენი.

„გათენდა, ნახეს, რო ხვირი აღარ იყო“.

ხინკვა 285, ხეინკვა, ქვიშა, ხრეში.

ჩინი 133, ჩელტი, ნაყელის საზიდი წნული.

შ ი ნ ა პ რ ს ი

შ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“
მესამე და მეოთხე ტომების გამო 5.

ჯადოსნური ზღაპრები

1. ილანკულა	27
2. ხმელი ქურანი	30
3. მონადირის შვილი	34
4. დევის საყვარელი და ამისი შვილი	38
5. ხელმწიფის შვილი და ქოსა მეჩონგურე	43
6. ხელმწიფის ცოლი და მოღალატე ძალუა	48
7. ძმა და ორკბილა და	50
8. ზღვის ქალი	53
9. ხელმწიფის შვილი და მეწისქვილის შვილი	57
10. ორი ძმა	63
11. ცხრა ძმა და ბაყაყი	67
12. უსეინა და ბაირამა	69
13. ათი ძმა და ერთი და	74
14. ნანათ მონადირე	65
15. ხელმწიფის შვილი და მზეთუნახავი	82
16. აღმასხანი	85
16ა. ვეზირის ქალი	92
16ბ. ზღაპარი ვაჟად ქცეულისა	95
17. ხელმწიფის შვილი და ლერწამი	97
17ა. ხელმწიფის შვილი და ბაყაყი	102
18. გერი და დედინაცვალი	106
18ა. გერისა და დედინაცვლისა	109
19. ყმის ცოლი და ბატონი	115
20. შავჩიტა	119
21. არწივის შვილი	122

22. თუშის ბიჭი	127
23. ღურგალი და მისი ცოლი	132
24. თავივლეჩია	136
25. დევის სანახევრო	143
26. ალალა ბედისყვავილი	154
27. დაძმა	159
28. ლარიბი ბიჭი და სოვდაგარი	165
29. ხობზის წყალობა	170
30. ხემწიფის შვილი და მისი ცხენი	173
31. მზის სიძე	176
32. მზის პირისნაბანი	183
33. მზეკაბუცი	188
33ა. მზეკაბუცის ამბავი	191
34. ცის ქალი	194
35. სამნი ქალიშვილნი	198
36. შაე-დათუაშვილი	201
36ა. ხემწიფის შვილი და მისი რაში	207
37. ყარაბ-ოღლი და ალექსანდრე	213
38. ხემწიფის შვილი და ქალთხემწიფე	230
39. მღვდლის ქალიშვილი	233
40. თავისი მიწა-წყალი მოითხოვს.	236
41. სამი სიტყვა	239
42. ოქროსრქიანი მაზერები	242
43. ხემწიფის შვილი და დევთმეფე	244
44. ავი ცოლი	252
45. ფრინველების ენის მცოდნე	257
46. უშვილ-უძეო მონადირე	258
47. ხელმწიფის ქალის ზღაპარი	264
48. ფაშა ხელმწიფის ზღაპარი	267
49. ნაცარქექია	269
50. შანქრაქას ზღაპარი	271
51. ხელმწიფე და ოქრომკედლის ცოლი.	276

ცხოველთა ზღაპრები

1. თხა და მგელი	289
2. დათვი, მელა და მგელი	282
3. დათვი და მელია	283
3ა. კურდღელი, მელია, დათვი და მგელი	285
4. მელია და კაკაბი	286
შენიშვნები	287
სიტყვების ახსნა	296

Г1 + ГФ
899. 962. 1 — 34 + 398. 21 (47. 922)
6 209

Петре Умикашвили
Народная словесность
III
(На грузинском языке)

Издательство «Литература да Хеловнеба»
Плеханова, 179
19 Тбилиси 64

გამომცემლობის რედაქტორი ნუნუ ხომერიკი
მხატვარი თ. სამსონაძე
მხატვრული რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. შამფორია
კორექტორი თ. იოსელიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. X. 64 წ.
ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 18,75.
საარტიკვო-საგამომცემლო თაბახი 15,44.
ტირაჟი 15.000, შეკვეთის № 823. უე 00694.
ფასი 1 მან. 18 კაპ.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.